

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მნათმეცნიერების ინსტიტუტი

ივანე ჯავთარაძე

# ქართული ენის გონიერი დიალექტი

(გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)



თბილისი  
„მეცნიერება“

1985

4 Г  
ББК 81.2 Гр  
499.962.1.0—3  
ქ. 153

„ქართული ენის მოხეური დიალექტი“ მონოგრაფიულა გამოკვლევაა. მასში წარმოდგენილია სამი ნაწილი: მოხეური დიალექტის ენობრივ თავისებურებათა ანალიზი, ტექსტები და ლექსიკონი. გამოკვლევაში სისრულით არის გამოვლენილი და კაანალიზებული მოხეურის ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიის, სიტყუაწარმოების, სინტაქსისა და სტილის სპეციალური ნიშნები, ნაჩვენებია მოხეურის ადგილი მთის დიალექტთა შორის. ტექსტები შეიცავს როგორც დიალექტური თავისებურებების, აგრეთვე ეთნოგრაფიული ყოფისა და ფოლკლორის თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშებს. ვრცელ ლექსიკონში თავმოყრილია თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის უცნობი სიტყუები და გამოთქმები, ვანმარტებული უმეტესწილად კონტექსტების დამოწმებით.

ნაშრომი საინტერესო იქნება ქართული ენის ისტორიითა და დიალექტოლოგიით დაინტერესებულ პირთათვის.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი

ივ. გიგიენიშვილი

პრ. მარტიროსოვი



## წინასიტყვაობა

ქართველური ენების დიალექტების შესწავლისათვის უკანასკნელი ორ-მოდდაათი წლის განმავლობაში განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა — გამოიკა ტექსტები, დაიწერა გამოკვლევები, შედგა ლექსიკონები: სვანურისა და ზანურის. ასევე ქართული დიალექტებიდან — ხევსურულის, ქართლურის, კახურის, იმერულის, გურულის, აჭარულის, ინგილოურის, მთიულურისა და სხვა, მიმდინარეობს შეუსწავლელი ან ნაკლებად შესწავლილი საკითხების კვლევა.

ქართული დიალექტების ენობრივ თავისებურებათა პირველი მოკლე და ზუსტი აღწერა ეკუთვნის აკაკი შანიძეს, რომელმაც თავის ცნობილ გამოკვლევაში 1913—14 წწ. „ქართული კილოები მთაში“ მოგვცა მოხეურის ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების ანალიზი (ა. შ ა ნ ი ძ ე-თხზულებანი. ტ. II, თბ., 1981, გვ. 13—23).

მოხეური დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა კ. გუგუშვილის (1938) და ო. ქაჭაიას (1954) საკანდიდატო დისერტაციები, დაცული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციის დახმარებით მოხეურზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1948 წელს. მუშაობა გრძელდებოდა 1949, 1956, 1958 წლებში, როდესაც ვიწერდით ტექსტებს, ვაგროვებდით და ვამოწმებდით სხვადასხვა სოფელში სალექსიკონო მასალებს. ამ მუშაობის პირველი შედეგები გამოქვეყნდა 1949 წელს მოკლე გამოკვლევის სახით („მოხეური კილო ყაზბეგის ენაში,“ თსუ შრ., ტ. 35-ბ, გვ. 81—100). ხოლო 1961 წელს დაიბეჭდა ტექსტების ნიმუშებიც (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 27—51).

წინამდებარე გამოკვლევა ემყარება ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებისა (რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი იბეჭდება) და ხევის ერობაში საუბარზე დაკვირვების თუ ცალკეული პირებისაგან მიღებული ინფორმაციის მასალებს. ჯერ დაიბეჭდა მოხეური ონომასტიკა (გვარ-სახელები, შტო-გვართა სახელწოდებები, შერქმეული სახელები). ლექსიკონი თითქოს უფრო ვრცელია, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ჯერ კიდევ მაინც მასალებია სრული მოხეური დიალექტური ლექსიკონისათვის, რომელზედაც მუშაობა ამიერიდან უფრო გაადვილდება.

ნაშრომში თანმიმდევრულად არის განხილული მოხეური დიალექტის მთავარი თავისებურებანი ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სიტყვაწარმოებაში, სინტაქსსა და სტილისტიკაში.

მოხეურ დიალექტზე ჩვენი მუშაობის დროს დიდად გვიწყობდა ხელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექცია (დირექტორები აკად. ვ. თოფურია, შემდეგ — აკად. ქ. ლომთათიძე), განსაკუთრებული თავაზიანობით და სითბოთი გვხვდებოდა ხევის მოსახლეობა, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რისთვისაც ყველას გულითად მადლობას მოვახსენებთ.

.....

## შესავალი

ქართულ ენას თხუთმეტსაუკუნოვანი უწყვეტი ლიტერატურული ტრადიცია აქვს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი მდიდარი და მრავალფეროვანი წერილობითი ძეგლები დიდ დახმარებას გვიწევს ენის ისტორიის პერიოდების გამოკვლევისათვის, სალიტერატურო ენის ნორმათა განვითარების შესწავლისა და დადგენისათვის, ენის მდიდარი ლექსიკის გაცნობისათვის. მაგრამ ქართული ენის ისტორიის კვლევა მაინც ვერ დაკმაყოფილდება მარტოდენ ამ ისტორიის მონაცემებით. ქართული ენის დიალექტები უაღრესად წიდად და საინტერესო ფაქტებს გვაწვდიან ენის ისტორიის შესწავლისათვის, ენის განვითარების შინაგან კანონთა თავისებურებებში გარკვევისათვის.

ამავე დროს ცალკეული ქართული დიალექტის ზუსტი და სრული შესწავლა, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი მეტყველების თავისებურებათა სოფელ-სოფელ გამოკვლევას, ტექსტების ჩაწერას და ლექსიკური მასალების შეგროვებას, აუცილებელი წინაპირობაა დიალექტოლოგიური ატლასის შედგენისათვის.

ხ ე ვ ი საქართველოში რამდენიმე დიდ თუ პატარა გეოგრაფიულ პუნქტს ქვეყანა. მაგრამ ქართულ დიალექტოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხევის, უფრო ზუსტად. მ ო ხ ე უ რ ი მეტყველება გულისხმობს ყაზბეგის რაიონის სოფლების მცხოვრებ ქართველთა მეტყველებას.

ხევი, როგორც გამოკვლეული აქვს ივანე ჯავახიშვილს, გამოხატავდა არა მარტო დღევანდელ მნიშვნელობას, არამედ აგრეთვე პროვინციას, კუთხეს. მთიელი ქართველებით დასახლებულ ადგილს<sup>1</sup>. მაშასადამე, გეოგრაფიული სახელწოდება ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა და დაუკავშირდა იქ მცხოვრები უძველესი ქართული ტომის (თემის) სადაურობას.

როგორც სამეურნეო, ისე განსაკუთრებით სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით ხევი ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვან კუთხეს და, ცხადია, მისი დასახლება უძველესი დროიდანვე საქართველოს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო... არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების

<sup>1</sup> И. А. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I, ТР, кн. VIII, СПб., 1905, გვ. 35.

(„ყაზბეგის განძი“) შესწავლით ირკვევა, რომ ხევი ჩვენ წელთაღრიცხვამდე X—VI საუკუნეებში ყოფილა დასახლებული და ინტენსიური შრომით დასაქმებულ<sup>2</sup>. ხოლო შემდეგ და შემდეგ — ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს აქტიური და თანამდგომი, მსახური, რასაც სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებთან ერთად თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაც ადასტურებს: მოუწოდა მეფემან ათაბაგსა, და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, კადელთა... ერწოთიანელთა“<sup>3</sup>....

ხევი და თრუსოს ხეობა მთიულეთ-გულამაყართან ერთად XIX საუკუნის ოცლაიდან წლებამდე შედიოდა ე. წ. მთიულთა სამმართველოში, შემდეგ დუშეთის მაზრაში, უფრო გვიან კი ყაზბეგის რაიონად გამოიყო, ხევის საზღვრები ჭერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა მოხაზა<sup>4</sup>. საქართველოს ბარისაგან და მთიულეთისაგან (მთლეთიდან) მას ყოფს კავკასიონის ერთ-ერთი მთავარი, ქედის ნაწილი, რომელსაც მე-14—15 სს-დან ვახუშტიმდე ჭუართა ყელი, ე. ი. ჭვრის უღელტეხილი (მოხეური სახელწოდებით ჭო რ თ ვ ა კ ე), ერთხანს ბიდარას მთა, ეწოდება<sup>5</sup>. სამხრეთით ხევს ესაზღვრება მთიულეთი, ჩრდილოეთით — ოსეთი, აღმოსავლეთით — ხევსურეთი, დასავლეთით — სამხრეთ ოსეთი. ტერიტორია 1082 კვ. კილომეტრია, მოსახლეობა — 6593 სული.

მოხეური, როგორც ითქვა, ყაზბეგის რაიონშია წარმოდგენილი, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ყაზბეგის რაიონში მთიულეებით და ხევსურებით დასახლებული რამდენიმე სოფელიც შედის<sup>6</sup>, ასევე — ოსებით (თრუსოს ხეობა, კერაოდ, კობი), ნაწილობრივ ქისტებით (გველეთი) და რუსებით (ლარსი) დასახლებულებიც.

საკუთრივ მოხეური სოფლები გაშენებულია თერგის ორივე მხარეზე: მარცხნივ — ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი, გაიბოტენი, თოთი. გერგეტი; ცდო: მარჯვნივ — სიონი. გარბანი, ვარდისუბანი (ტორნისა), ყაზბეგი. ამას გარდა, თითქმის ერთი მესამედი დასახლებულია სნოსწყლის ხეობის სოფლებში: აჩხოტი, სნო, კარკუჩა, ახალციხე, ქოსელი. უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში რამდენიმე მოხეური სოფელი გაერთიანდა ან ცენტრში ჩამოსახლდა და ზოგან დასახლება მოიშალა. ასეთებია: მალსაგიანი, თარ-

2 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიულთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 5 (აქვეა ბაბლოგრაფია); მისივე, რეცენზია: И. Арджеванидзе, Военногрозинская дорога, მნათობი, № 8, 1950, გვ. 167; მისივე, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967; დ ო ლ ი ძ ე, გარბანი, თბ., 1958, გვ. 11—17.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდეღიანი, კ. კეკელიძის გამოც., 1941, გვ. 138, შდრ. ქც. 11, 1959, გვ. 111; იქვე, გვ. 54.

4 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 65—67.

5 ბიდარას სახელწოდების ისტორიის ახსნა მოცემული აქვს ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ს, ჭვრის უღელტეხილის სახელწოდებანი, მაცნე (ისტორიის სერია), № 1, 1974, გვ. 74—80.

6 წინათ ხევსურები სახლობდნენ მიგულდასა და ართხმოში. ამჟამად მარტო ჭუთაში შემორჩნენ.

გმანი, არშა, თოთი, გაიბოტენი. ამის გამო მოხეურის სავარაუდებელი ოდინდელი კილოკავური დაყოფა კიდევ უფრო შემცირდა.

მოსახლეობის მიგრაციულ-იმიგრაციული ძვრების უძველესი ჩვეულების შესაბამისად, ხევის მოსახლეობის ნაწილი ტოვებდა თავიანთ სოფლებს და უკეთესის ძიებაში ან ქართლისა და კახეთის შიდა რაიონებში გადმოდიოდა, ან ჩრდილოეთ კავკასიის (მაგ., ძაუგის. აწინდელი ორჯონიკიძის რაიონების) ადგილებზე მკვიდრდებოდა. მეორე მხრივ, ხევიც საუკუნეთა განმავლობაში თანდათან ივსებოდა მთიულეთისა თუ საქართველოს სხვა შორეული კუთხეებიდან სხვადასხვა მიზეზების გამო გადმოსული მოსახლეობით, რასაც ადასტურებს ხევის ონომასტიკა და ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემები ცალკეული გვარების ისტორიის შესახებ. ხევის ტოპონიმიკაში უდავოდ გარკვეული წილი უდევს ნახურ-ოსურ სუბსტრატსაც<sup>7</sup>, მაგრამ აქ ყოველთვის სჭარბობდა და უძველესი დროიდანვე წამყვანი იყო ადგილობრივი, ქართული ელემენტი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ხევის მოსახლეობის, ასე ვთქვათ, ერთგვარი „ნარეგობისა“ და ხევის თავისებური გარემოცვისა (ოსურ-ნახურ-ენოვან მოსახლეობასთან მეზობლობა და ურთიერთობა), მოხევეთა შორის არ შეინიშნება ორენოვნების შემთხვევები, რასაც ზოგჯერ გარკვეული მნიშვნელობა აქვს დიალექტური მეტყველების თავისებურებათა წარმოქმნაში. მოხეურს საქართველოს სამხედრო გზის წყალობით განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა და მეტადრე ახლა აქვს ბარის კილოებთან, რის გამოც საკმარისად განუცდია ქართლური კილოსა და სალიტერატურო ენის გავლენა<sup>8</sup>, დაუკარგავს ძველად სავარაუდებელი ნიშანდობლივი ენობრივი ფორმა, შეუცვლია საერთო ლიტერატურულით. მაგრამ მასვე დაუცავს ან შეუძენია რიგი თავისებური ფონეტიკურ-გრამატიკული. განსაკუთრებით მეტად — ლექსიკური ფორმები, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოხეურს გამოგვაყოფინებს ცალკე დიალექტურ ერთეულად.

ქართული დიალექტების განვითარებაში ყველაზე უფრო მძლავრად შეინიშნება საყოველთაო მოვლენა, მსოფლიოს ბევრი ცივილიზებული ენის დიალექტებს რომ ახასიათებს: ლიტერატურული ენის, სკოლის, პრესის გავლენით და კულტურული დონის ზრდის კვალობაზე დიალექტურ თავისებურებათა ნიველირება, დიალექტის შიგნით თაობათა შორის მეტყველებაში განსხვავების გაჩენა: არქაიზმების შემორჩენა ძველი თაობის მეტყველებაში. ამ არქაიზმების გამოდევნა (უარყოფა) ახალი, სკოლაგავლილი თაობის მეტყველებიდან. ეს თავისებურებები, ცხადია, თავს იჩენს, უპირველეს ყოვლისა, დიალექტურ ტექსტებში, რომლებშიც მთხრობელს ასაკისა და ბიოგრაფიის

7 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმიკა, გვ. 7.

8 ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920, გვ. 156, § 69.

გარდა, ჩვეულებრივ, დაჩნდება ხოლმე ინფორმატორის სქესის, შესაფერისი მოსაქმეობის ხასიათისა და წარმომავლობის თავისებურებაც.

ჩაწერილი ტექსტები (სტამბურად დაბეჭდილი და მაგნიტოფონური) დიდი მნიშვნელობის მქონეა დიალექტის თავისებურებათა (მათ შორის, მანვილისა და რიტმიკა-მელოდიკის) სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლისათვის, ამიტომ დიალექტური ტექსტების სერია ცალკე უნდა გვქონდეს. ის არა მარტო დიალექტოლოგიით დაინტერესებულთ გამოადგება, არამედ კუთხის ფოლკლორით, ეთნოგრაფიით და ისტორიით დაინტერესებულებსაც.

მოხეური მეტყველების ნიმუშების პირველი ფიქსაცია ლიტერატურაში ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც „მგზავრის წერილებში“ გამოყვანილი სოფელ გაიბოტენის მკვიდრის ლელთ ლუნიას აზრს იმისივე ფერი შეუნარჩუნა და სიტყვას — იმისივე კილო<sup>9</sup>. ამჟამად აუცილებლობა არაა ლელთ ლუნიას მოხეურის შესახებ მსჯელობა ან დღევანდელ მეტყველებასთან შედარება<sup>10</sup>. ეს კია მხოლოდ, რომ რიგი ფორმა საეჭვოა და საერთოო შეუძლებელიც (ზმნებში: ქალაბდის, ვაუაბდის, შენ ხარ, ვარს; სახელებში: გერგეთიდ, აჭაიდ, მცხეთაიდ, აღრიდა, ცოცხვალ...), მაგრამ მოხეურ სიტყვაში მანვილის ადგილის შესწავლის ისტორიისათვის ეს დიალოგური ტექსტები დიდად საინტერესოა.

მოხეური მეტყველების ბევრი სწორი და საინტერესო ფორმა, ხევის ეთნოგრაფიული ყოფის ბევრი დეტალი, მოხეური ტოპონიმის, ონომასტიკის და ლექსიკის საუკეთესო ნიმუშები აისახა ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ თხზულებებში. რომელსაც თანაბარი ნდობით იყენებს ენის ისტორიის სპეციალისტი და ეთნოგრაფი. ა. ყაზბეგის მოქმედი პირების მეტყველებაში გამოყენებული მოხეური დიალექტის ფორმები, ძალიან მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ძვირფასი მასალაა დიალექტის ისტორიისათვის, დიალექტის დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებისათვის<sup>11</sup>.

<sup>9</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, თბ., 1950, გვ. 20.

<sup>10</sup> მოხევის საუბრის ტექსტზე ილია დიდ ხანს მუშაობდა, ამოწმებდა და აზუსტებდა აღრე ჩანაწერს, კავშირი ჰქონდა მოხეურის მცოდნე პირებთან: პ. ინგოროყვა, შენიშვნებში ილიას „მგზავრის წერილების“ ტექსტის გამო, გვ. 582; ვ. ითონიშვილი, ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შესახებ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში: „ილია ჭავჭავაძე“, საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 115; კ. გუგუშვილი, ი. ჭავჭავაძე და მოხეური კილო (ლელთ ლუნიას ვინაობისა და მისი მეტყველების რაობის დადგენის ცდა), გორის პედ. ინსტ. შრ., ტ. V, 1960, გვ. 78—85.

<sup>11</sup> ი. ჭავჭავაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, თსუ შრ., ტ. 35-b, 1949, გვ. 81—100.

## I. ფონეტიკა

### ბაზირთი შეფასებები

ქართული ენის დიალექტებიდან მთის კილოების (თუშურის გამოკლებით) ფონეტიკური სისტემა ხასიათდება ძირითადად ორი მთავარი თავისებურებით: რამდენადმე არქაული ბგერითი შედგენილობით და ფონეტიკური ცვლილებების შეზღუდულობით. ცნობილია, მაგალითად, რომ ფშაურსა და ხევსურულში ძალიან ნაკლებად არის გავრცელებული ან ზოგჯერ სრულებითაც არ გვხვდება ის ფონეტიკური პროცესები, რომლებიც შეინიშნება ბარის დიალექტთა დასავლურ არეალში ან თვით მეზობელ თუშურში. ნაწილობრივ განსხვავებული ვითარება გვაქვს მოხეურში, რომელშიც ფშაურ-ხევსურულთან შედარებით ზოგი რამე მეტია, მაგრამ თუშურის რიგი ფონეტიკური თავისებურება უცნობია. საერთოდ კი მოხეურის ფონეტიკური სისტემა მაინც იმდენად სპეციფიკურია, რომ მართო ეს, თუ არ ჩავთვლით ლექსიკას, საკმარისი იქნებოდა, როგორც საკლასიფიკაციო ნიშანი, მოხეურის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფისათვის.

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ქართულისეული ფორმებით არის შემორჩენილი სიტყვები სთჟელი, სძალი (—||რძალი), ასთავეს, სჯული (—შჯული—რჯული), რომლებშიც ახალ სალატერიატურ ქართულში და დიალექტების დიდ უმეტესობაში თავკიდურა ს შეიცვალა რ-თი; ასევე ძველი სტრუქტურა შემოინახა სიტყვებმა ნავდელი, ფირტჟი, რომლებიც თანაბრად არის გავრცელებული ხვეის ყველა სოფელში (რა თქმა უნდა, ახალი თაობის მეტყველების გამოკლებით):

ჯისჟები სთჟლობას დაწყებენ ბოტობას (ყზ. 40)<sup>1</sup>, იქ ყოფილიყო ჯევის ქალი და სძალი (გერგ.); იქ ცხო სჯული<sup>2</sup> (||შჯული) არც რეულა (გერგ.); მოერთავ ტარს და კჟიშტავს, ვასთავ და ინასთითა მოვქსოვ... (ფხელშე, 52); ვინც იმას ძალას მიატანს), ნავდელი დანთხიანო (გერგ. 19).

<sup>1</sup> ფრჩხილებში ჩასმული პირველი სიტყვა აღნიშნავს სოფელს. სადაც ჩაწერილია ტექსტი. ციფრი — გვერდს. თუ მითითება არაა, სიტყვა მოსმენილია საუბარში და იგულისხმება, რომ ყველგან იხმარება.

<sup>2</sup> იგულისხმება ხალხი, ერი, ეროვნება.

## § 1. კ-ს ხმარება

მოხეურში საგრძნობია კ ბგერის ხმარება და მისი სიტყვათგანმასხვევებელი მნიშვნელობა. მაგრამ ამ უძველესი ფარინგალური ხშულის გამოყენებაში ყველაზე აშკარად შეინიშნება ძველი და ახალი თაობის მეტყველების დაპირისპირება: უკანასკნელი თითქმის აღარ ხმარობს მას და მხოლოდ მოხუცებისაგან ესმის, ხოლო თვით მოხუცების მეტყველებასაც ამ შემთხვევაში აღარ აქვს ის თანამიმდევრობა, რაც უფრო ძველად უნდა ჰქონოდა. ძველი ქართულის წერილობითი ძეგლებიდან ცნობილი და დადგენილია მისი ხმარების კანონზომიერება გარკვეულ ბგერათკომპლექსებში<sup>3</sup>. ასეა მოხეურშიც: ერთი მხრივ, გვხვდება: ეკიდა მკარხედა (სნო, 51); საკნავ-სათიბი; ჯმალს გაჩუქებო (სიონი, 42); ჯელმწიფე, საჯელმწიფო (ყაზ., 92); ჯსენი; ჯბო (მრ. ჯბები); ჯარი; ჯელის ჯაგები; გაჯდა ფეჯი; ჯორცი: მუჯლი; ჯოცს; ჯევი; ჯიდი...

მეორე მხრივ, იმავე სიტყვებში ან იმავე პოზიციაში გვესმის: ხელის-ჯაგები; ხელს სდებს („მფარველობს“), ხირტალა და ჯირტალა („ჩოგანი“). გაჯერება და გახერება („გაოჯნება“). იმის მიხედვით, თუ ერთი და იგივე პირი ვისთან საუბრობს, ხან ხ-ს ხმარობს და ხან კ-ს, უცხო პირთან უპირატესობას ხ-ს ანიჭებს. საინტერესოა ისიც, რომ ძველი ქართულის აჯსენა ფუძეში ჯს კომპლექსი მოხეურის სუფიქს-გამოცვლილ ფორმაში სისტემებრ შეცვლილია ხს კომპლექსით: ჩემს ხსონობაჩი; მახსონ. ამ ორი ბგერის აღრევის მაჩვენებელია ჯუთულა, რომელიც მომდინარეობს ხუთ ფუძისაგან: ხუთულა („ხუთ კონალ აგებული ღნა“). ასეთივე მეორეული გააზრებისა და მონაცვლეობის შედეგია ჯიჭჭი (შდრ. ძვ. ჯიხვი), ჯოჯიდა (—ქვაჯიდა). ეს სიტყვა საზიაროა ხევსურულთან, ცალკე კი ქვა სიტყვაში მონაცვლეობა არ შეინიშნება და ასე იხმარება.

ამგვარად, ხ და კ ბგერების დაპირისპირება ფუძე დიალექტებში ძალიან დიდი ხნის წინათ მოშლილა, ხოლო სხვა დიალექტებში სულ რამდენიმე საუკუნის წინ დაწყებულა<sup>4</sup>. ამგვარი დასაწყისი პროცესი გვაქვს მოხეურში. კ-ს ხმარებაში მთქმელი ნორმით არაა შეზღუდული, მათ მონაცვლეობაში ალტერნატივა თავისუფალია და ამდენად სიჭრელეც გასაგებია. აქ ერთმანეთს უპირისპირდება არა სოფლები, ე. ი. კილოკაეები, არამედ, როგორც ითქვა, თაობები, რაც მომავალში ამ ბგერის ბედზე მიგვანიშნებს.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III. კ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 175.

<sup>4</sup> ამ დაპირისპირების მოშლაზე მიუთითა კ. გუგუშვილმა ც, მოხეური კილო, I. ფონეტიკა, გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიკის შრ., ტ. I, 1942, გვ. 124; ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს., I, თბ., 1964, გვ. 42—43.



## § 2. ე ბ გ ე რ ა

ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ე იხმარება მეგრულ-ჭანურში, სწორად ქართული ყ-ს შესატყვისად<sup>6</sup> (ცოროფა „ყვარება“), ხოლო ქართული ენის დიალექტებიდან აჭარულში (ხმოვნით დაწყებული სიტყვის თავში<sup>7</sup>), ინგილოურში, იმერულში და ყველაზე უფრო ფართოდ — თუშურში ძლიერი შემართვისა და დამართვის გამოსახატავად<sup>7</sup>. ვერ ვიტყვი, რომ მოხეურში ის ასე შესამჩნევი იყოს, მაგრამ არის შთაბეჭდილება, რომ ზოგჯერ ხმოვნით დაწყებულ ნაცვალსახელში ე არის ხმოვნის წარმოთქმის თანმხლები ელემენტი. უფრო ძველი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაზე დაკვირვებით ეს, ის ნაცვალსახელები ისმის: ე ის, ე ეს, ე იმ... მაშასადამე, ე მაგარი შემართვის ნიშანია. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ უარყოფითი ნაწილაკი ა რ ა თითქმის არასოდეს გამოითქმის ასე, როგორც დაწერილია. აქ რაღაც თანმხლები ელემენტი ისმის და ეს ელემენტი არის ე: ე ა რ ა! ეს ე არის უარყოფის გამომხატველ შორისდებულშიც ე ა ჰ!

მაგრამ ამნაირ პოზიციაში უფრო სწორად გვაქვს ხმოვნის სხვაგვარი წარმოთქმის შემთხვევებიც. მოხვეუთა მეტყველებაში გარკვევით ისმის ა ე მ (ამ, მაგ.), ა ე ს, ა ე გ, ა ე ნ ა, ა ე რ თ ი... ამ იშვიათი შემთხვევების მიხედვითაც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ზოგჯერ ხმოვანს რბილი (იოტირებული) შემართვაც ახასიათებს.

საერთოდ კი კატეგორიულად უნდა აღინიშნოს, რომ მოხეურში ა დიფტონგენში არ იხმარება, ყველა ფუძეხმოვიან სახელში სახელობითის ნიშნად სრულიად გარკვევით ისმის სრული ა. ამით აიხსნება, რომ ტექსტში და ლექსიკონში ყველგანაა: ბ ა ტ ა რ ა ი, ბ ე ბ ე რ ა ი<sup>8</sup>.

ზოგჯერ საუბარზე დაკვირვების დროს ასეთ შემთხვევებში ჰ-ს შთაბეჭდილებაც გვჩნდება: აეკალი|ჰეკალი... ასეთი შთაბეჭდილება მით უფრო საფუძვლიანია, რომ მსგავსი მოვლენები გვაქვს სვანურის დიალექტებში<sup>9</sup>. ხმოვნის შემართვა, როგორც ცნობილია, განსხვავებულად გამოიხატება: ა ა ლ ო ნ (ლაშხურსა და ლენტეხურში) და ჰ ა ლ ო ნ (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში), „ალონი“.

5 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 20—21.

6 ქ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936, გვ. 7.

7 თ. უ თ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, თბ., 1961, გვ. 7.

8 ასეთა მღლებელი მსგავს სიტყვათა დაწერილობაა ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით გამოცემულ ქართულ დიალექტოლოგიაში, თბ., 1961, გვ. 26—51. შდრ. კ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 125-6; ანალოგიური ვითარებაა ხევსურულში. შდრ. ა. კ ი ნ ჰ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 1, გვ. 48.

9 ს. ე ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949, გვ. 120—122.

### § 3. ზ-ს ხმარება

როგორც ცნობილია, ზ ნეიტრალური, ირაციონალური ბგერის ნიშანია. რომელიც ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურად შუა რიგის ხმოვნად მიიჩნევა<sup>10</sup>, ის ხმოვანთა რედუქციის შედეგად ხშირად იხმარება ზანურ-სვანურში. ეს ბგერა გარკვეულად ისმის დიალექტებში — იმერულსა და ლეჩხუმურში წინადადებაში პაუზის დროს: უქმეები რომ ვ ი ც ო დ ი თ გ<sup>11</sup>. ქვემოიმერულში ზ ვითარდება უმეტესწილად თანხმოვანზე გათავებული სიტყვის ეოკალიზაციისათვის. ერთნაირი ფუნქცია უჩანს ზ-ს ქართლურში, რაქულსა და მოხეურში<sup>12</sup>. მოხეურში განმეორებული (შებრუნებული) კითხვის დროს ის აკლიერებს ბოლო თანხმოვანს, მასზე მოდის მახვილი და ხასიათდება ეელარიზებული ო-ს და ფარინგალური ყრუ მკვეთრი ჟ-ს შუათანა აკუსტიკური ელფერით.

— ძაუგს შიღისხარ?

— ძ ა უ გ ს გ?

— ჭუთას უფრო კარგა ცხოვრობენ, თუ ართხმოს?

— იფრო კარგა ცხოვრობენ?

კითხვი-ძახილის წინადადებაშიც ზ ისმის აუსლაუტში. მოულოდნელობას გამო დასმული კითხვის დროს ზ დადასტურდა ფუძესმოვნიან სახელებშიც. მთქმელის გაკვირვებით ნათქვამი სიტყვის გამოთქმას, ვფიქრობო, ასეთი გრაფიკული გამოსატვა შეეფერება:

— ვინ მოვიდა? — ნიკალა! — ნ ი კ ა ლ ა გ? (||ნიკალაუო?).

ძალიან იშვიათად, ჩვენი შთაბეჭდილებით, ზ არის თანხმოვანთშორის ე და ი ხმოვნების „რედუქციის“ შედეგი, როცა სამაგიეროდ ინტენსიური ხდება დასაწყისისა და მომდევნო თანხმოვნების არტიკულაცია. ამის, თიანქოს ერთადერთი, მაგალითია სახელი წ ი რ წ ე ნ ა (წერწენა — „ხის გუთნის ნაწილი“), რომელიც სწოში და სხვაგანაც ასეც ისმის: წ გ რ წ ე ნ ა („ქართული დიალექტოლოგია“. I. 1961, გვ. 565).

### § 4. ჟ ბგერა

უმარცვლო უ-ს ხმარება ჯერ კიდევ გარკვევით შეინიშნება ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებულ რამდენიმე ქართულ დიალექტში, უმეტესად ბარისაში. მთის კილოთაგან მოხეური ჩანს ერთ-ერთი, რომელშიც მყა-

10 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 66.

11 გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962, გვ. 8—9; ნ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 175.

12 ი. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, თსუშ ტ. 35-ბ, 1919, გვ. 33; ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, ივე, IV, 276; ვ. თოფურია, მთარაქელის დახასიათებისათვის, ქესს, II, 1962, გვ. 245.

რია მისი პოზიცია. ის გვხვდება ყველა სოფელში და ყველა იმ შემთხვევაში. რაც დადასტურებულია ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით: მკჭდარი (ფხ., 122); მაკჭდა; სთჭლობა (ყაზ., 40); გჭირგჭინს მავდიდა; შჭიდი; სირცხჭილი; წისქჭილი, მშჭიდობა; ძჭელი; გჭერდი...

უფრო მეტიც: მოხეურში მას თითქმის სიტყვათგანმასხვავებელი მნიშვნელობაც მიუღია. თითქმის ყოველი მთქმელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სჭელი არის „დასველებული“ („სოველი“), ხოლო სველი — შრატი, წაქი. მაგრამ, ბუნებრივია, რომ მოხეურ დიალექტურ ტექსტებში ჭ-ს ხმარებას საერთოდ ასეთი მკაცრი თანამიმდევრობა არა აქვს. მეტად საინტერესოა ერთი საერთო ფაქტი: ყავ (ვიყავ), რვა, ყველა, ქვა და რამდენიმე სხვა ფუძეში, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე იყო კბილბაგისმიერი ვ<sup>13</sup>, რომელიც ხმოვნებთან და თანხმოვნებთან მეზობლობაში არც თვითონ იცვლებოდა, არც სხვა ბგერის ცვლილებას იწვევდა. მოხეურში, ალბათ, ანალოგია უნიფორმაციის ძალით, ჭ ისმის ამ ფუძეებშიც, და შემდეგ ზოგ მათგანშიც იმგვარადვე იცვლება ვა, როგორც კომპლექსი ჭა—ო. ამგვარად, გვაქვს იყჭისკე („იყო ხოლმე“), ბეჭრი (ბვერი), ყუელა, ქუაჯიდა—კოჯიდა, თრვამეტი — თრუამეტი — თრომეტი.

ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში და ქართული ენის დიალექტების უმეტესობაში ჭ-ს ხმარებისას სიტყვის ფუძეში რაიმე ცვლილება არ შეინიშნება, მაგრამ მოხეურში ის ყოველთვის იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვანს (დაგჭრჩა—დოგჭრჩა—დოგრჩა. იხ. ქვემოთ).

გვართა ცვლილებები

§ 5. ბგერის დაკარგვა

მთის დიალექტებში, ბარისაგან განსხვავებით, შეინიშნება ერთი დამახასიათებელი თავისებურებაც, რომელიც მტკიცედ გასდევს ყველა თაობის მეტყველებას: ეს არის სიტყვის მკაფიოდ, დინჯად, თითქმის დამაჩუკლით წარმოთქმა. კლარტიკულაციის პროცესში ბგერები, ყრუ ფშვინვიერებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ სონანტებზე, თავისებური სიძლიერით, თითოეული თანხმოვანი თითქოსდა გამოყოფილია, ისე წარმოითქმის. ამიტომ ფონეტიკური ცვლილებები შედარებით ნაკლები და ერთფეროვანია. ამითვე აიხსნება, რომ მელერთა დაყრუების ფაქტები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, რომელიც

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, № 2—3, 1923, გვ. 74—75. შდრ. ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველიძე [ვა], [უა], [უა], [ვ] და [ო] სეგმენტა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში, მრავალთავი, III. თბ., 1973, გვ. 73—84.

ფართოდაა გავრცელებული ბარის დიალექტთა ერთ ჯგუფში (ვაკეთეფ, უც-ფათ...), მოხეურმა არ იცის.

თანხმოვანი იკარგება უფრო მეტად თანხმოვანთშეჯგუფების შემთხვევაში, და რამდენიმე მათგანი — ხმოვანთა შორის. ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენა, რ-ს დაკარგვა თანხმოვანთშეჯგუფებისას, მოხეურშიც დასტურდება:

სახინკლე ცომი გაამტყელა; არ ეძინა, მთხილობდა<sup>14</sup>; დამფთხტეს და გაიქცეს; მჩხილები<sup>14</sup> დაშკრა; კაბა აქტ გძელი.

საინტერესო და იშვიათი შემთხვევაა რ-ს დაკარგვა სიტყვაში როგორხან ანლაუტში, ხან აუსლაუტში; ამგვარ ფაქტს შეიძლება დისიმილაციური დაკარგვა ეწოდოს: ა) ეხლა გიამბობ როგორ შევარიგე ორი მოსისხლე ოჯახი (გერგ., ქართ. დიალექტოლოგია, I, 23); ოგორცვე გაუვლია; ისითი ამბოვი დაიწყის, ოგორიც იყვისკე; ბ) ეგეთი კაცი იყო, როგომ მერცხალი (ყაზ.); როგოა ჩტენი საქმეო (ფხ.).

თითო-ოროლა შემთხვევაა, ისიც საყოველთაოდ ცნობილ მაგალითებში, მ-ს დაკარგვისა: წყემსი (ნუ შააწუხებ წყემსებსა: სნო), რო (—რომ), მაგრა (—მაგრამ, შდრ. ძველი მაგრამ—მაგრამე—მაგრა...), თორო (—თორემ). აქ დაკარგვაა წინა ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ.

შეზღუდული და ერთგვაროვანია ნ-ს დაკარგვის მაგალითები. ეს არის -გან და -კენ თანდებულებში: გაათავისუფლა შეშის ყალანისაგა; სიცხისაგა; მამა-პაპათაგა; ეშმაკისაგა; სუყველგა; დასავლეთისკე... გუშინ სიტყვა გვხვდება გუში და გუშის ფორმით.

იშვიათად იკარგებს ს, არაა წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ინვერსიულ ზმნებში: ხყავ, მაქტ, აქტ, გყავ, უთქომ. ჩვეულებრივია მისი დაკარგვა -თვის თანდებულში: შენთჟი, რაისთჟი, სახლისთჟი, ჯორცოვენებისთჟი... და ძალიან იშვიათად — ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელთან: მარიანობითჟი; დედაცხტირი ფარა; გაშოვიდა თავი ჭართა და თავი დამცველებითა (ყაზ., 312).

ლ-ს დაკარგვის შემთხვევებიდან თანამედროვე სალიტერატურო ენასთან შედარებით ყურადღებას იქცევს შემდეგი ნიმუშები: კომი (—კომლი); გამაუშობდით ყოველი კომი არაყსა (ფხ., 51); იწითა (—იწითლა, გაწითლდა): თუ იწითა დღესა, კარგი ამინდი გამოვა.

ვ დაკარგულია ხმოვნებს შორის ისევე, როგორც მეზობელ დიალექტებში: გული ამატკია (გერგ., 104); გაუშო და აძოა (სიონი); იქნებ მოიდენ ჩანხელა (სიონი, 33); მეელე ამაირჩიანკე...

<sup>14</sup> რ-ს დაკარგვის კომპენსაცია აქ ყრუ ფშვიწვიერის მ სონანტის შენაცვლებით უნდა ხდებოდეს.

მეორე შემთხვევაში ვ-ს დაკარგვა განაპირობა დისიმილაციურმა ფაქტორმა — ბავისმიერებთან მეზობლობამ: კოზი (←კოვზი); კოზ-ბაკანი დოგირეცხე (ყაზ., 23); ითამ → ითომ (←ვითომ). ძველი ფორმითაა დაცული მდღელი (მღვდელი): აძულებული ხყავდა მდღეები (სნო, 2).

რამდენიმე შემთხვევაში ვ არ ჩანს ნაუმლაუტევი ხმოვნის დელაბიალიზაციის გამო: დოგირეცხე (←დოგჭირეცხე—დაგვირეცხე). რაც შეეხება ნაცვალსახელის ფორმას სუყელა, რომელიც ხშირად გვხვდება მოხეურში (სუყელაზე კარგი არის; განა სუყელაი ქალი... უნდა მაიყვანას კაცმა?! სუყელას უნდა გვევლა; სუყელამ დამივიწყა), საფიქრებელია, აქაც იგივე პროცესი გვექონდეს, ე. ი. დაკარგვა დელაბიალიზაციას მიეწეროს.

მოხეურშიც არის ცალკეული შემთხვევები ბოლო მარცვლის მოკვეცისა: მიე (←მიეცი), მარი (←მაერიდე, მოეშვი), ჩე (←ჩემო). ამ ფორმებს. სხვათა შორის, ხშირად ხმარობს ალ. ყაზბეგიც და ისინი ახსნილია მწერლის თხზულებათა ლექსიკონში<sup>15</sup>.

### § 6. ხმოვნის დაკარგვა (რედუქცია)

რედუქციის მხრივ მოხეურში მთის სხვა კილოთაგან განსხვავებული ვითარება თითქმის არა გვაქვს, მაგრამ რამდენიმე თავისებური შემთხვევა მაინც შეინიშნება. ხმოვნის ამოღება ან მისი დასუსტება სახელისა და ზმნის ფუძეში, როგორც დადგენილია, დაკავშირებულია ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვასთან, უფრო ხშირად — სუფიქსის დართვასთან. მოხეურში ხმოვანი იკარგება მთლიანად ან ნაწილობრივ რამდენიმე ისეთ ფუძეში, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უკუმშველია:

შკმები („სკამები“) არა გაქტ? მანდ იპოვეს კუბოს კრები („კარები“. გერგეტი); ნიკბის (←ნიკაპის) ძირჩი; შეშის გლები (გალები, მხ. გალი||გალო „ღერი“) დაიწებო: აქა დომლებია (ღუმელები) გაკეთებული; საკლები („საკლავები“) მარეკეთ (თოთი); გძელი წამწმები აქტ (კარკუჩა); სარკმელები ემოდნები იყო (ფხ., 126) შაძტრა ჰანდრის („ტანტის“) ქტეშა (ხორისციხე); ქალაის ბედნიერობას შეგასწრას.

ზოგ შემთხვევაში ო-ს რედუქცია მოსალოდნელია ო—ვა პროცესის შემდეგობით: ბატონი—\*ბატვანი—ბატენის: შიოლა გავდა აჩხოტის ბატენად; მაში ბატენები ჩაბაიძეები იყვნეს; გაიშალა სტვლები.

უფრო იშვიათია აწმყოში ზმნის თემის ნიშნისეული ხმოვნის ამოღება მრავლობითის საწარმოებლის დართვისას: გვხვდება გახპარსვენ (←გახპარსავენ); წყალსა სმენ: პურს იზმენ ისითსა და ა. შ.

<sup>15</sup> ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 506; ტ. II, გვ. 559, ობ., 1949 (ლექსიკონი შეადგინა შ. ძიძიგურმა).

## § 7. ბგერის ჩართვა

ძველი ფორმით არის შემონახული სიტყვა რგოლი — მოხ. გ ი რ გ ო ლ ი: რკინის გ ი რ გ ვ ლ ე ბ ი შაამბეს სამების კარებზე (შდრ. რკო—კრკო...). საერთოდ კი დაკვირვება ადასტურებს, რომ ბგერათგანვითარების შემთხვევები მოხეურში იშვიათია. ერთ-ერთი სიტყვა, რომელშიც ზ განვითარებულია ანლაუტში და თანხმოვნის წინ, ეს არის რუსულიდან შემოსული ზღუხი (შდრ. дyx, вoздyx): შენი ზღუხი არ ვნახა აქ! ასევეა მისგან ნაწარმოებ ზმნებში (ვულგარულ გამოთქმაში): გაიზღუხე („დაიკარგე“).

გავრცელებულია აგრეთვე ვ-ს განვითარება ხმოვნებს შორის ისევე, როგორც ეს საერთოდ არის ცნობილი ქართული ენის დიალექტებიდან და ზოგჯერ წერილობითი ძეგლებიდანაც: სნო: სნოველი; არშა: არშაველი. უფიქრია არშავლებს: უსათუოდ ტყუია-წამალი შამააკლდა სნოვლებსო (სნო, 212); ქუეგიტ — მოხ. ქოით (←ქოიით);

ვ იხმარება ანლაუტში და არაა აუსლაუტში: ვეკვი: ვეკვი ეელა („ეკვი აელა“), ეშვები—ვეშები: დააძრა ოქროს ვეშები (ფხელშე): შ ვითარდება სიტყვის თავში: მირგულივ („ირგულივ“): მარგულივ ნახტევო მთა-წუერო (ხალხ. ლექსი „თივის არაზე“). საკუთრივ მოხეურის დამახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ შ-ს განვითარება სიტყვებში დამსუნვა („დასუნვა“, „დასუნთქვა“), დამსუნული; მდოლი; მძლივ, მცისა: ელვა დადგება მცისაო (გერგ.); მემძროზე ისაა, მძროხებს რო დაუყენიანკე მთაჩი; სამძროხო უნდა ეკადა (კარკუჩა); სიმჭკუიანე, უმძრაზა (უმძრაზა „უთხრა“); დაამბით, დაემბა<sup>16</sup>; ყაზბეგიანნი ჩაყლამპვას გუპირიპდეს (ყაზბ.).

საყურადღებოა აგრეთვე, შ (ვ)-ს განვითარება სახელში ხმოვანთ შორის: პეტრე, პოვლე პურსა სკამდეს ივორდანეს ყანაზედა (ს. მაკალ. 205) და ზმნაში გუოქ („გვაქვს“), სადაც შუაკომპლექსის ო-დ ქცევის შემდეგ (გუაქ—გოქ) ვითარდება ბაგისმიერი, თუმცა სხვა დიალექტების მსგავსად ანალოგიურ შემთხვევაში ვ არ ვითარდება (შდრ. ვოჯახი, ვორმოცი... იმერულში, გურულში და სხვაგან). ნ განვითარებულია სიტყვაში მუნთაქა (შდრ. ზ. იპერ. მურთაქა, ლიტ. მუთაქა).

გვაქვს ხმოვნის განვითარების ორიოდ შემთხვევა: მზორეს ადგილს იფრო კარგი თივა მადის, სალამ ჩირდილიჩი; ლურმა ადგილი (შდრ. ინგილ. ღრიმა „ღრმა“).

## § 8. მეტათეზისი

ქართულში ცნობილი და დადგენილია მეტათეზისის ფაქტები სონორთა მეზობლობაში. ეს მოვლენა მოხეურშიც გავრცელებულია. ჩვეულებრივია

<sup>16</sup> აქ მეტათეზისი შეიძლება ვივარაუდოთ.

ნ, რ, ვ, თანხმობანთა როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური მეტათეზისი არა მარტო ერთმანეთის გვერდით მოხვედრისას, არამედ სხვა ბგერებთანაც; მყინვარი მოხ. ყ ი რ ვ ა ნ ი: ყ ი რ ვ ნ ი ს ძირი (გერგ., ყაზ.). დიდება ჰქონდეს ყ ი რ ვ ნ ი ს წმინდა გიორგის (ვ. ბარდაველიძე, მსე, I, 36); მაშინვე — მოხ. მ ა შ ი ვ ნ ე: მ ა შ ი ვ ნ ე ლექსი გამოუთქომ; ცხენი მ ა შ ი ვ ნ ე გაჩერდა (გორისციხე, 341); პეშვი — მოხ. პ ე შ ვ ა ი: პ ე ვ შ ა ი მიუშვტირა (პ ე ვ შ ა ი ურმის ნაწილიც არის); ძველი ფონემატური სტრუქტურითაა შემორჩენილი ნ ა ვ დ ე ლ ი და ზოგჯერ ვ ნ ვ ა: ჯარებს ვიშოვნო და ვ ნ ვ ა ს დავიწყებო (ყაზ. 92); ქმრივ — ქ უ რ ი ვ, მოხ. ქ რ უ ვ ი: ქ მ ა რ ი მოუკულა, დარჩა ქ რ უ ვ ი: ვისი ცოლი დ ა ქ რ უ ვ დ ა ო.

სისტემურია რ-ს გადასმა სიტყვებში: ძ რ ი ა ლ გუწამს; ბ ე დ რ ი ა ნ ი შეესწრება კედენიშის დღეობას (ყაზ. 28), ბ ე დ რ ი ა ნ ა ი ჩაიცვამს ქალას დაქსოვილ წინდასა (ს. მაკალ. 269), მ ა დ რ ი ა ლ ი ც ვ არ ცხოვრებისა (გერგ., 104).

ნაუმლაუტევი ხმოვნის შემდეგ თანხმოვნის მეტათეზისი გვაქვს პ ა ტ რ ო ნ სიტყვის მოხეურ ფორმაში: პატრონი—\*პატრონი (პატრუნი—პატერნი): პ ა ტ ვ რ ე ნ მ ა დიდის მთისაჲ (სნო, 207).

ამას გარდა, შესამჩნევია აგრეთვე პარმონიულ კომპლექსთა და მარცვალთა მეტათეზისის შემთხვევები: დ ა ტ ყ ლ ე ქ ა, ე შ ა ი — ე ხ შ ი. ე ხ ს ი ა ნ ი ქ ა ლ ა ი (ცდო); კახ.-მთიულ. თულანა — მოხ. თ უ ნ ა ლ ა. ხუტვა — მოხ. ჭ უ ხ ვ ა ( ძველი ფორმა), დამკუხვა: დ ა მ კ უ ხ ვ ე თოლი; ტალავარი — მოხ. ტ ა რ ა ვ ა ლ ი; დაჩოლფოტება—დ ა ფ ო ლ რ ო ტ ე ბ ა.

ბამ ფუშეში ყოველთვის გადასმულია მ: აზნაღა, შამბული<sup>17</sup>: საბელი იყო ჩ ა მ ა მ ბ უ ლ ი (ყან., 98); დევისა მ ბ ი ყ ო („დერხული გაემართა“), ასევე: ეტმანება—ეტამსნება: ე შ მ ა ვ ი ე ტ ა მ ს ნ ა.

ორითდე მაგალითის მიხედვით მოხეური ლიტქოს ერიდება ღ რ ბგერათ-მიმდევრობასო: ღ რ მ ა ხშირად შეცვლილა (ჩართულია) ღ უ რ მ ა ფორმით: ღ რ უ ბ ე ლ ი ფუძის ნაცულად იხმარება ღ უ რ ბ ე ლ ი, მ ო ღ უ რ ბ ლ უ ლ ი, თუმცა ეს სიტყვა ბევრ სხვა დიალექტშიც ამგვარადვეა.

იშვიათი და თავისებურია, ალბათ მარტოოდენ მოხეური, მ-ს პროგრესული მეტათეზისი სიტყვაში მ უ ც რ ო ს ი (უმცროსი): ერთი ბებერი ყოფილა, მეორე ჩველი, მესამე ორივეზე მ უ ც რ ო ს ი; უფროს-მ უ ც რ ო ს ო ბ ა (ყაზ. 89).

### § 9. ხმოვანთა მონაცვლეობა

მთის დიალექტებში და ნაწილობრივ საშუალო ქართულის წერალობით ტექსტებში არის მაგალითები, როცა ო ხმოვანი იშლება ვა კომპლექსად. რამ-

<sup>17</sup> ბამ—ბამ—ბამ პროცესს გარდა, აქ მ შეიძლება განვითარებულად მივიჩნიოთ, შღრ. ა მ ბ ა ე ს („ამამს“).

დენიმე შემთხვევაში ამ მოვლენის თანაარსებობის ფაქტებიც გვაქვს (სემანტიკური დიფერენციაციით, შდრ. კვამლი, resp. კუამლი—კომლი). მოხეურსა და ხევსურულში ეს პროცესი თანაბრად არის გავრცელებული<sup>18</sup>, მთიულურში კი უფრო შორს ჩანს წასული. ო ხმოვნის ვა-დ დაშლის შემთხვევები გვაქვს ირანულ-თურქული ენებიდან შემოსულ სიტყვებში, ამდენად, რაიმე გავლენებზე ლაპარაკი, ალბათ, ძნელია, ო—ვა თანაბრად გავრცელებულია ყველა პოზიციაში საკუთარ და საზოგადო სახელებში:

ს ი ვ ა ნ ს აჭ უ ეს დღეობა (სიონი, №27<sup>19</sup>); ყ აზ ბე გ ი შვი ლ მა გ ი ვ ა რ გ ი მ გ არ ე კ ა (გერგ., 8); მო გ უ ი კ ლ ე ს ჩ უ ე ნ ი ვ ა ნ ი ს ე (სიონი, 46); ყ ა მ ა რ ი ... ვ ა რ ს უ ლ ა დ ი ყ ო (კარკ., 69); ვ ა რ თ ი თ ი („ფიწალი“) ყ ე ლ ჩ ი მი ე ც ა; მ ი ნ დ ვ ა რ ჩ ი ა კ ო შ ვ ი პ ო ვ ე ს (ს. მაკალ., 286); ა ლ ი ვ ა ნ ი, ნ ი ვ ა რ ი ...

ამოსავალი ფორმებია დაცული შემდეგ მაგალითებში: ქ მ ა რ ი ... შ ი ნ ს წ ვ ა ლ ი ა; თ ა ნ ხ ა ლ ხ ი მ ი ე ყ ვ ა ლ ა (გერგ. 12); ე ყ ვ ა ლ ა ბ ა ლ ლ ი; ბ ა დ რ ი კ ლ დ ე ს გ ა დ ა ვ ა რ ნ ი ლ ა, უ ს ა ბ თ ა ნ გ ა დ ა ყ ვ ა ლ ი ა (გერგ.). ცალკეულ შემთხვევაში შეინიშნება უ > ვი პროცესიც: ვ ა ს კ ი რ ა თ ა ვ ი ს დ ვ ი რ ბ ი ნ დ ი თ (გერგ.).

ხმოვნებში მოხეური მეტყველება გვიჩვენებს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ერთი შეხედვით ჰგავს პროგრესულ ასიმილაციას (ფარეხი—მოხ. ფ ა რ ა ხ ი, ქესატობა—მოხ. ქ ე ს ე ტ ო ბ ა, მაგრამ, მეორე მხრივ, დისიმილაციაა (ჯაგარი—მოხ. ჯ ე გ ა რ ი, თებერვალი—მოხ. თ ე ბ ე რ ვ ე ლ ი); მესამე მხრივ, უმლაუტს მოგვაგონებს (კრამიტი—მოხ. კ რ ე მ ი ტ ი\*; კრამიტი...). საქმე ის არის, რომ სხვა მაგალითების ამგვარი ახსნა არ ხერხდება. შესაძლებელია ზოგჯერ არც ერთი ამ პროცესთაგანი არ იყოს და ლიტერატურულ ფორმასთან შეპირისპირებით სახეცვლილება იმ ენაშივე იყო, საიდანაც ზოგი სათანადო სიტყვა შემოსულა. თანაც აღსანიშნავია, რომ მოხეურში ეს ხმოვანმონაცვლე ვარიანტები პარალელურად, მნიშვნელობის შეუცვლელად იხმარება. ამიტომ ამჟერად უფრო მიზანშეწონილია ვინხმაროთ ხმოვანთმონაცვლეობა. უფრო ხშირად ა-ს ენაცვლება ე:

ათანგენობა || ა თ ე ნ გ ე ნ ო ბ ა, კურატი > კ უ რ ე ტ ი: მ ა ჯ ა გ ა ნ ი || მ ა ჯ ე გ ა ნ ი; ჯ ა გ ა რ ი > ჯ ე გ ა რ ი; ს რ ა ვ ა ლ ი || ს რ ე ვ ა ლ ი; ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი > მ ა ს კ უ ლ ე ვ ი: კ რ ა მ ი ტ ი > კ რ ე მ ი ტ ი; ა მ ი ნ დ ი > ე მ ი ნ დ ი; უ კ ე ნ მ ა ზ დ ე ვ დ ა; ო ბ ლ ო ბ ა ჩ ი დ ა ჩ ე გ რ ი ლ ი; ე ს ე ნ ი გ უ ჩ ე გ რ ი დ ე ს; კ უ ჳ მ ე ჳ ე ბ ი (შდრ. კუჳმაჳი); პ ე პ ი რ ო ზ ი; პ ა შ ტ ე ნ ი კ ი (პაშტანიკი „ქვედა საცვალი“); ნ ა გ ე ვ ე ი; წ ი რ წ ე ნ ი || წ ი რ წ ა ნ ი; რ ა შ ი || რ ე შ ი, ჩ ე მ ი რ ე შ ი ა ლ ა ლ მ ი ს ი (ს. მაკალ., 286).

არის პირიქითაც, ე შეცვლილია ა ხმოვნით, მაგრამ უფრო იშვიათად:

<sup>18</sup> ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 304.

<sup>19</sup> № აღნიშნავს აქ დართულ ტექსტებს.



ზ ა ი თ; კ ი დ ა ვ; მ ა მ რ ე || მ ა მ რ ე ნ ა || მ ა მ რ ე ნ ი ს. იმავე ე ხმოვანს ენაცვლება ი ან, პირიქით: ფ ი რ ფ ლ ი; გ ი რ გ ი ლ ი ა ნ ი: დ ა ა ბ ი ზ - ლ ა; შ ე ნ შ ი („დეიდაშვილი“) წ ე რ წ ე ნ ი || წ ი რ წ ე ნ ი. იშვიათია აგრეთვე ო—უ მონაცვლეობა: ლ ო მ ე ლ ი; ა ბ ლ ა ბ ო დ ა; ზ უ თ თ უ (შდრ. ზუთო — ეკლის ნაყოფი *онлеписа*), ქ უ თ ა ო || ქ ო თ ა ო; ტ უ მ ა რ ა ი; დ უ გ მ ა || დ ო გ მ ა („საკინძი“).

### § 10. თანხმოვანთა მონაცვლეობა

წარმოთქმის ადგილის მიხედვით მახლობელი ბგერების მონაცვლეობის დიალექტებში ცნობილი წესი ზოგიერთი თავისებურებით მოხეურშიც ვხვდებით. ერთმანეთს ენაცვლებიან ბაგისმიერი ბ, ფ, შ და აგრეთვე ვ: მიწრო; სამსე; მასკულევი; ჭემსური; თებზი (გერგ.); კაცმა უნდა იმთხილას; არეძინა, მთხილობდა; დამთხუეს და გამაქციეს; მჩხილი; დაამტყელა; მტყელი ქვა...

მონაცვლეობა შეინიშნება წინაენისმიერებში და სონორებში: ძ || ც რ || ნ, ლ || რ, ნ || ლ: ყელი სავსე გაქვს მძივითა, შიგ გირევია გიშელი (სნო); ერთ თუეჩი სულ გასცოცეს; მილამდი მოვბრუნდებოდი; მზე სალამდი ჩაბზანდება; რომენია ეხლა ყაბზეგიანი; ავი დედინაცოლი ჰყვალყო ათერასა (შდრ. ოთხასი ცხორი ხყვანიყო<sup>20</sup>). ნ ა ხ ა („ჩახან“) გადაგწყოტია: რ ხ ი ნ ი თ („ლხინით“) მოვიდოდიან; ფ ი რ ტ უ ი; დაშაშვლა („დაშაშვრა“); დაშალტვა („დაშარტვა“).

ერთმანეთს ენაცვლება უკანაენისმიერებიც ან უკანაენისმიერები შეცვლილია წინაენისმიერებით: კელფი — ტელფი („დაპრესილი თივა“); კონკილა — ტონკილა („ურმის ნაწილია“); ხოკი — ვოტი, ქუეყანა — ხოყანა; ქორწილი — ხორწილი || გორწილი; მძალე — მძავე.

### § 11. ცვლილებები თანხმოვანთა კომპლექსებში

მოხეურში ხშირია ცვლილებები თანხმოვანთა კომპლექსებში. ამ ცვლილებათა საფუძველი ერთ შემთხვევაში არის აფრიკატიზაცია: შხ—ჩხ; სხ > ცხ; ქშ—ქჩ; ჩხამა (ბალახია ერთგვარი); ჩხამგარეული სადილი (კარკ. 197); ანათებდეს მაჩხალებსა; ქშ—ქჩ: ექშერება (ფშაური „ემეტება“) — ექჩერება: გზვდება ჩქ—შქ პროცესიც: გააშქარე საქმეო („ბუენიანი“, ფხელშე). სხ > ცხ: ცხო (სხვა); ცხოწანი, ცხოგნით; ცხოფრივ; ცხოთა შვილი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საწინააღმდეგო პროცესიც: ძველი და ბუნებრივიც კომპლექსი ანალოგიის თუ ჰიპერკორექციის ძალით, უფრო ხშირად კი

<sup>20</sup> მოხეურში უფრო ხშირად იხმარება ყვან ფუძე: ხვანდა, ხყვანა, ხყვანყო.

დებარებიან იქვეა სხ-დ: ბალები სულ სხენებზე სხდანან; ყაზახები სულ სხენოსნები იყვნეს (ყარკ., ყაზბ.); სხიმიანს არც რას არ წვამდეს, ღმერთს ლოცულობდეს ბერები (გერგ., 320; ხურთ., 150).

მეორე შემთხვევაში ცვლილებების მიზეზი არის მიდრეკილება თითქოს უფრო გავრცელებულია კომპლექსებისაკენ<sup>21</sup>. სტ—შტ: ჯარიახს ქოიტკე ქიშტების<sup>22</sup> სოფლებია; მაგრა დაუშტუენს; მეშტები ეცო: შტტირი; ნეშტები. იგივე პროცესი მოქმედებს რუსულიდან ნასესხებ სიტყვაშიც стор—შტოკი: თავი შტოკზე გჭოქ; სკ—შკ: საფაქრო შკამჩი ვზივარ; საუფროსო შკამს მართოშკამს ეძახოდეს; გამაიტანე შკმები; ქტეშკნელი; ფასკუნჯი>ფაშგუნჯი (ვინც მეფაშგუნჯს არ შემაჭმევს, ს. მაკალ., 286).

საგულისხმო მოვლენა გვაქვს ტებ ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითის ფორმაში: ისტორიულად ტებ-ედ იძლევა: ტებეღ-ა > ტხღ-ა > ტყღ-ა; მობხურში კი ტყ კომპლექსი შეცვლილია თბ-დ და იშვიათად ვნებითისეული დ-ც გამკვეთრებულია: ნუ გათხდები, კაცო! ეგ ციხე რო გათხტა; ნემსი გაუთხტა.

## § 12. ჭ—ვ ბერის შემცვლელი კომპლექსების ცვლილებები

მოხეურში თვალსაჩინო ცვლილებებს გვაძლევს ჭ და ზოგჯერ ვ თანხმონების მომდევნოდ ა, ე, ი ხმოვნებისაგან შექმნილი კომპლექსები — ჭა, ჭე. ჭი. ეს ცვლილება გავრცელებულია თითქმის თანაბრად ზმნასა და სახელში ყველა პოზიციაში: ფუძის შიგნით და მორფემათა ზღვარზე, ფუძისეულ და აფიქსისეულ ბერებში. ჭა და ჭე იძლევა ო-ს, ჭი კი უ-ს, რასაც ხშირად ახლავს ლაბიალიზებული არტიკულაცია.

ჭა>ო: გომი, ქობი, ცხორი, მთროლი (მთვრალი < მთრუალი), ჯორი, ჯორობა, ჯორედინად, ძოლი, ღორი, თოლი, ლახორი („თოლსა — ეკალი, გულსა — ლახორი“, შელოცვიდან), მცორი („ცვარი“), საწოლები („საწვალებელი“: საქმე საწოლები გაუჯდა), საწოლავი („ტიხარი“), შდრ. ძვ. ქართ. მწვალ-ებ-ელი), საყორელი, უყორდა, სიტყო, გეეშო („გაეშვა“), დაწო, დაგიფქოვ, საფქოვი, მიგოქ („მიგვაქვს“), უთქომ, ჩამაარ-

<sup>21</sup> მოხეურში ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, თანაბრად გავრცელებულია თბ, ფხ კომპლექსები. მაგრამ საინტერესოა ტოპონიმ ფხელშე-ს ისტორიისათვის 1779 წლის საბუთის ჩვენება: თეთრი აულია... გორისციხიდან, თხელშიდან (მასალები საქ. ეკონომ. ისტ., II, 6552).

<sup>22</sup> ქიშტნი გვხვდება XII ს. ქართულ ხელნაწერში (A—1469): კ. კეკელიძე. ეტიუდები, I, 1956, გვ. 179.

თო, გაუსომთ, გორგა („გვარგო“), გოსახელო, გოპა-  
ტიას, გოვიწყდება, თემსაც გოქმიე სახელი (მუზ. 843).

ანალოგიით ამგვარი ცვლილება ზოგჯერ ხდება კბილბაგისმიერ ვ-ს შემც-  
ვლელ კომპლექსშიც.

ოხთანგ მეფე; თრომეტ (<თრვამეტი; ცხენები ჩამო-  
ორთუი („ჩამოვართვი“); ორ დღეი გადმოოლ; რად არ გამახოლ  
გარეთა?

უე>ო: ქოით, ქოითა, გაშობა, ეროვა, ჩოულობა,  
შემთხოვა, ხოყანაზედ („ქვეყანაზე“), არ მამეშობა, ჯოდა  
(„ხვედა“), კორი, დაიკოთა, ჩონიანი, გეხოწებით, და-  
კოხებული, ყოლა („ყველა“: ყოლა ჩონგანსა თოფი ხქონიყო, შდრ.,  
ყუელას ეზოჩიგა ციხე ხქონიყო, სნო 9). ჩონ, გოძახის, რაილა გო-  
შოლება...

მოყვანილი მაგალითების უმეტესობა ფიქსირებულია აქ წარმოდგენილ  
ტექსტებში და თანაბრად გავრცელებულია მოხეურის ყველა სოფელში, რაც  
შეეხება ოხთანგ სახელს, ის გვხვდება ძველ ლეგენდებში, ახლა გავრ-  
ცელებულია ვახტანგ (თუმცა იშვიათია). ვა—ო პროცესის მაგალითებიც  
იშვიათია.

ჭი—უ. მშუდობა იყოსო; შუდი კომლი; საკურელი საქ-  
ნე; თუ აკურდები; ეგ მაჟდა სამოც დაშუდიო...

ჩამოთვლილი ფაქტებიდან თითო-ოროლა სხვა დიალექტებშიც შეიძლება  
შეგვხვდეს (მათ შორის ბარისაშიც. მაგალ., იმერულში: წუნა; ძველ ჩო-  
ულობას არ ეშობა...), მაგრამ ყველგან (ფშაურში, ხევსურულშიც)  
რეფლექსს ჩვეულებრივი წარმოთქმა ახასიათებს. მოხეურში კი გავიგონებთ  
სხვადასხვა ფორმას ერთ სიტყვაში: გაწყუტილია, გაწყობილია, გაწყობილია.  
ფქტილი, ფქული. თითქოს უფრო სშირია ლაბიალიზებული წარმოთქმა:  
მშვიდობა; მოხეურში უფროსი თაობის მეტყველებაში ისმის მშუ-  
დობა, ასევე: შუდი. ქრუვი, გოშოლება და ა. შ. მაშასადამე.  
ასე: ერთი კურის სავალი ერთ დღეი გაიარა, ერთის თუსა — ერთ კურ-  
რაჩი (ქარკ., 83); აიღეთ სამი თუს საგძარი (№ 84); თუსები იყე-  
ნეს („თავისიანები იყენენ“); სულის („სვილის“) ბერტყვა; გულ-დუძლს  
უკორტნიან; მარცოლი არ გადაცუვდეს, წუმები მოვიდისკე; თუ  
აკურდები; საკურველი იყო, ჩახუეს ჯელები ერთურსა; გულალატა  
შუაგზაჩი; ფეტუ; ვეფხუ; ფირტუ; ვერხუ...

ამგვარად, მოხეური ამ შემთხვევაში ჩამოკავს ინგილოურს, როცა უე და  
ჭი კომპლექსები იძლევა უმლაუტიან ზ, უ, ხმოვნებს<sup>23</sup>, და ნაწილობრივ ფე-

<sup>23</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი,  
თბ., 1966, § 26—28.

ჰეიდნულს<sup>24</sup>, როცა გაუმლაუტებული ხმოვანი ასიმილაციის შემდეგ განიცდის დელაბიალიზაციას და უე, უი კომპლექსიდან გერჩება ე, ი: დაგვეცეს — დაგუეცეს — დოგუეცეს; დაგვივლიდა — დაგუივლიდა — დოგუივლიდა — დოგუვილიდა — დოგვივლიდა.

ჯერ ვაჩვენებთ უმლაუტიანი ხმოვნების მაგალითებს, შემდეგ ლაბიალური ბგერის შემცველი კომპლექსით გამოწვეულ ცვლილებებს.

უე—ო: ის მთები ჩ ო ო ნ ი იყო; რაილა (არის); მამრე ჩ ო ო ნ ი წამალი; ვბო ორის წლისა — უკვე მ ა ა ზ ო ო რ ი; ჩაილევა ხ ო ო წ ნ ა ი რ ო ბ ა ო; ე მ დ ო ო ნ ი საქონელი მყავ; ბატის კ ო ო რ ც ხ ე ბ ზ ე დ ა ვ ა ს ო ო ნ თ; ორ-სამ თ ო ო ჩ ი დაივარგებსო; ვინლაა მ შ ო ო ლ ე ლ ი; თ ქ ო ო ს — ზლუა გაიყინაო; ნახა („რა-ხან“) ეგრე გადაგიწყობია; ჩ ო ო ნ გ ო ო გ ო ო ნ ა ცხორი დამურებული.

უი—უ: ესენი გავდეს შ ო ო დ ი კ ო მ ლ ი; სულ მცრები ჩ ა მ ა ს ც ო ო ვ ე ნ ო დ ა; ქალი გ ა ა დ ო ო ძ ა; მეფე გ ო ო უ კ ო ო დ ე ბ ა ო; პეფში მ ი უ შ ო ო უ რ ა; მ შ ო ო დ ო ბ ი თ, ჩემო ცოლშვილოო; სპილენძი იფრო ძ ო ო რ ა დ ფასობდა; წ ო ო ს ქ ო ო ლ ჩ ი (წიქისქიქილი) ვინც მიდიოდა; ს ო ო რ ც ხ ო ო ლ ი (სურცხტილ) დოგუედებაო (დოგუეედებაო).

არის რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც მეტათეზისის და ასიმილაციის თავისებური შემთხვევის გამო. ან უე, უი კომპლექსების მისაღებად გარკვეული პოზიციის შექმნით, გვაქვს ო, უ: თ ო ო ქ ს მ ე ტ ი („თექსუმეტი“) ბალდი იყო დაჭრილი (გერგეტი); ქ რ ო ო ვ ი („ქვრივი“): ქმარი მოკუდა და ქ რ ო ო ვ ი დარჩა.

### § 13. უმლაუტიზაცია. დელაბიალიზაცია. ასიმილაცია

ამ კონტექსტში უმჯობესია ჯერ შევეხოთ ლაბიალური ბგერების გავლენით წინამავალი ზმნისწინისეული ღია ხმოვნების ცვლას ბაგისმიერ (ზოგჯერ პალატურ) ო ხმოვნად. როდესაც სიტყვაში გვაქვს უ, უა—ო, უე—ო და უი—უ, — მაშინ ძალიან ხშირია რეგრესული ასიმილაციური ცვლილება, რომელიც უპირატესად შეიმჩნევა ზმნებში.

ა) ასიმილაციის გამომწვევია პირველი ობიექტური პირის გუ ნიშნისეული უ, რომელიც შემდეგ აღარ ისმის, იკარგება; ასიმილაცია დისტანციურია, რეგრესული: გზის თავსამც დ ო გ მ ა რ ხ ი ა ნ ო („დაგუმარხიანო“); დ ო გ ქ ე რ დ ე ს („დაგუქერდეს“); დ ო გ ც ი ნ ი ა ნ; სისხლი დ ო გ დ ი ო დ ა; გოგბანიან და თმა გ ო გ კ რ ე ქ ი ა ნ; შენს მტირალ დებს გ ო დ მ ო გ ხ ე დ ე (ტირილში მოსმენილი); შუა გზაჩი დ ო გ ყ ა რ ა; ცხუებმა დ ო გ ზ ა რ დ ე ს; ჩუენ რაჩილა დ ო გ კ ი რ დ ე ბ ი თ (ყან., 98); ლეკნი გ ო გ წ ყ ო ტ დ ე ნ; ჯორი დ ო გ წ ე რ ე; ჩონმა დედებმა და მამებმა ო გ ზ ა რ

<sup>24</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულს მთავარი თავისებურებანი, ტუმ, VII, 1927, 23. 203-5.

დეს და ზოცნიარობას გოგაცნეს; ცელები პირშუქცევები დო გჩრ-  
ა; სახლჩი არ დო გხჭდა; წმინდა სამებაც შოგყრის.

ძალიან იშვიათად ჭე შემორჩენილია: ეს სამი წელია შოგჭრთეს  
(„შეგჭრთეს“).

ბ) ჭე—ო ხმოვნისეული ასიმილაციის მაგალითები:

იმათ ადრე გოგოფრთხილეს და გოგოგებინეს; რაის-  
თჭი გოგოპალიჩა („გაგვამასხრა“) იმ უსტინდისომ! ეხლა კი მოგო-  
სრნეს; სუყელაი გაჩუმებულები ვიყავით და ამან ოგოძრახა („აგ-  
ვალაპარაკა“); არ დოლორო წყალი: წამალს დოგოლევინებენ;  
შუბლზე გოგოკრიან; გოგოსწრა ქალაქჩი; ერთი ცხორი დო-  
გოკლდა; ვიცოდითკე და დოგოვიწყდა; დოგოწიოკა და ამა-  
საც არ დოგოჭერებს, კიდავ გოგომწარებს და გოგტან-  
ჯავს; ერთად დოგოწვინეთო; წმინდა სამება დოგოშოშმა-  
ნებსო; იმან კარგა დოგობინავა; ბედრიანობას შოგოსწრას.

გ) ჭე—ო ხმოვნით გამოწვეული ასიმილაცია:

შოგოხხოწეს, ოლომც წადითო; ისრიე ჩრნიანები დოგოხმა-  
რეს; სათემოდ თავები დოგოჭრებაო; ეხლანის ესენიც დოგო-  
მატნეს; კარგადაც შომოგოწიეს; ნამგალად უნდა ოგოყვანა;  
გოდოხოწილი იყო.

დ) ჭი—ჭ ხმოვნის მიერ წინა ხმოვნის დამსგავსება:

გზაზე გომოგუტუედიან; თემთან ვინლა წოგუძლობაო;  
გზაზე დოგუხუდა და გუთხრა; დაგოგუანდა („დაგვავიანდა“); იმ  
კაცებმა გორი შომოგუტიგეს („შემოგვიტიგეს“); ჭერთ არ გოდოგუწყოტია.

როგორც ვხედავთ, გაუმალაუტებული ხმოვანი იმსგავსებს მისგან განსხ-  
ვავებულ წინამავალ ხმოვნებს, კერძოდ ა-ს არა მარტო ახლო, არამედ შორე-  
ულ მეზობლობაშიც (მესამე მარცვალში: შომოგუტიგეს!). წინა სამი  
მაგალითისაგან განსხვავებით, მეოთხე რიგის მაგალითებში ჭ-ს მიერ წინა ხმო-  
ვანი დამსგავსებულია ნაწილობრივ, მიღებულია არა უ, resp უ, როგორც ეს  
არის ინგილოურში (წამოგვიყვანეს—წუტმუგუყონეს), აჭარულში (წავიდენ—  
—წვიდენ) და თუშურში (დეუცახა—დეუცახ), არამედ ო.

თანხმოვანსა და ხმოვანს შორის შუალედური ბუნების — ჭ ბგერის მიერ  
წინამავალი ზმნისწინისეული ხმოვნის მიმსგავსებაში (დაგუივლის—დოგივ-  
ლის) ვ-ს დაკარგვის შემდეგ ი-ს თვლიან ასიმილატორად<sup>25</sup>, რაც სწორი არაა.  
არც ის არის დამაჭერებელი, თითქოს აქ ჭ-ს მეტათეზისი გვექონდეს<sup>26</sup>, რად-

<sup>25</sup> კ. გუგუშვილი, მოხუერი კილო, I, ფონეტიკა, გორის ნ. ბარათაშვილის სახ.  
პედინსტიტუტის შრ., ტ. I, 1942, გვ. 131.

<sup>26</sup> ო. ქაჭაია, ქართული ენის მოხუერი დიალექტი, მანქანაზე ნაბეჭდი, გვ. 24; ო. მ.  
Каджая, Моховский диалект грузинского языка. Автореферат диссертационной рабо-

ვანაც არც საამისო პირობებია აქ მეტათეზისისათვის (ვ-ს მეტათეზისი ხდება ნ, რ, ლ, ბგერათმეზობლობაში) და, რაც მთავარია, ქართველური ენების დიალექტებში პირის ნიშნის რეგრესული მეტათეზისია ცნობილი და არა პროგრესული: ქართული ვ ჩ ე ჩ ა ე → თუშ. ჩ ჟ ე ჩ, სვანური ვტიხე—ტტიხე „ვაბრუნებ“; ბოლოს, კიდევ რომ იყოს პროგრესული მეტათეზისი, მის შედეგად მიღებული აუ კომპლექსი მოხეურში არ იცვლება: აუ > ოუ მოხეურმა არ იცის.

ასიმილაციის ეს თავისებურება მოხეურში საერთოა ფერეიდნულთან (შდრ. დაგჭერდეს — დოგჭერდეს, შეგჭირდა — შოგპირდა, დაგჭყარეს — დოგყარეს, გაგჭიგა — გოგიგა<sup>27</sup> და ინგილოურთან (დაგჭრჩა — დოგრჩა, წაგჭიყვანეს — წოგჭყონეს), ქართველური ენის დიალექტებიდან კი სვანურთან და ზანურთან. სვანურშიც ზმნისწინისეულ ხმოვნებს პირის ნიშნისეული ვ იმსგავსებს: ადვიგოთვიგ „ადვიდგი“, ლა-ხუ-ქედ—ლოხპედ „ვეკითხე“. ან-გუ-მარე—ოგმარე „მოგვამზადა“, \*ეს-გუ-ლუა—ოგლუა „მიგვაქვს“<sup>28</sup>. ზანურის სახელთა მთელ რიგში ო—უ მიჩნეულია ა-საგან მიღებულად ფიქსირებული ვ-ს გავლენით: ქართ. ქ ა ც ვ ი — მეგრ. ქ უ ც (—\*ქ ო ც ვ), და თ ვ ი — მეგრ. თ უ ნ თ ი (—\*დ ო თ ვ) და სხვ.<sup>29</sup>

მოხეური დ ო გ ი ვ ლ ი ს (—დაგვივლის) და დ ო გ ე ც ე ს (—დაგვეცეს „დაგვეცნენ) ღორმების გასაგებად საინტერესოა ისევ სვანური და ფერეიდნული. სვანურის დიალექტებში დადგენილია ნაუშლალტევი სმოცნის დელაბიალიზაციის ფაქტები: ქართული თოფა — ზსვ. თ ო ფ // თ ჟ ე ფ, ქვს. თ ე ფ<sup>30</sup>.

მოხეურში, როგორც ითქვა, უ იმსგავსებს წინა თანხმოვანს (ან თანხმოვნებს) და უჩინარდება (აგჭზარდა—ოგზარდა, შომოგრჩა—შამაგჭრჩა). ეს უფრო მკაფიოდ შესამჩნევია უე და უი კომპლექსების გაუქმალუქებული რეფლექსების ცვლილებაში, რაც გამოიხატება ბაგისმიერობის დაკარგვაში, დელაბიალიზაციაში: დაგჭეცეს (—დოგრცეს // დოგჭეცეს)—დოგეცეს: უე—

---

ты на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тб., 1954. შდრ. გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი. გვ. 21—23.

27 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, № 2—3, 1923, გვ. 83; მისივე, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. ტუმ, VII, 1927, გვ. 202—205.

28 ვ. თ ო ფ უ რ ი ა სვანური ენა, I, ზნა, 1931, გვ. 11—13; 31; მ. ქ ა ლ დ ა ნ ა, სვანური ენის ლაბალური კილოკავის თავისებურებანი, იკე, VII, 1955, გვ. 148—150.

29 გ. რ ო გ ა ე ა, ქართველურ ენათა ისტორიულ ფონეტიკის საკითხებია, I, 1962, გვ. 31—32 (§ 6, § 15); შდრ. ტ. გ უ დ ა ე ა. ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში, ს მ ა მ, ტ. XXV. №1, 1960, გვ. 119—122.

30 ა. შ ა ნ ი ძ ე, უშლალტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 367; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, კვლავ უშლალტისათვის სვანურში, ტუმ, VIII, 1928, გვ. 336—346.

—//რ—: დოგეციანკე ქიშტები (ყაზ., 113); საცა დავილღობოდით, იქ უნდა დოგეძინა; სახლი დოგეშალა, დედობოძი წოგექცაო: მეხი დოგეცას ბანზედა (სნო); რაიც დოგეხარჯა; განა ჩონ დოგენახება?!

ასეთ შემთხვევებში უბრალო დისტანციური ასიმილაციაც გვაქვს, მაგრამ უფრო იშვიათად: დაგვეცეს ტიპის ფორმები მოხეურში ზოგჯერ იძლევა დეგუეცეს, დაგუეხმარა — დეგუეხმარა (იხ. ქვემოთ).

დელაბიალიზაციის მოვლენა კიდევ უფრო ბეტად და თანამიმდევრულად არის გატარებული ჭი კომპლექსით გამოწვეული რეგრესული ასიმილაციის შემდეგ. აქაც ლაბიალური წარმოთქმა გადაეცემა წინა ხმოვნებს და ამ პროცესის განომწვევი უ უჩინარდება: აგვიშენდით—ოგუიშენდით—ოგიშენდით (მისალმების ფორმა სახლში სტუმრის შესვლის დროს), დაგვირჩა—დოგუირჩა—დოგირჩა („დოგირჩა შენი თავი“ — მასპინძლის პასუხი); უი—უი: ფარეები დოგიქცია (ს. მაკალ., 268); ცუდი დოგიდგა ჯამია (ფა, 88); დოგისხი ღუინო: ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო დოგილიას („დაგვილიოს“); თემობა წოგიკდებაო; გოგიძეხ წინა; ოჯასს რაისთვი შოგირცხუენო; ვერც რაი ვერ წოგიღეს: არც ვინ არ დოგინახავსო; აღარ შოგიძლიან; გოგიყვანდეს წყალზე; ძალუმ მაგრად შოგიღგა (ქართ. დიალექტ., I, 35); ვაპრობა არ დოგიწყია; ცხორი მშობი დოგიყარა; სახლი გოგიუბედურა; ცხორი ომოგირეკეს; [ზოგმა] სახლა დოგიშალა; ნატვრა ვერ ოგისრულდებაო; ჩონ არ გამოგიყვანია; ჯემსურებმა კარგი ძროხა გოდმოგიყვანეს: ვინჯარათ, დოგიღამდებაო; ვინც კი უამკარს ოგირეეს; რაილა ღმერთი დოგიფარავდა; ბიძაშვილები ემონას გოგინეენ; ეგრე როგორღა გოგიმეტე; ცენი ძლივ დოგიდიოდა; ათელი დეეყრებოდა და გზას ოგიბრწყინებდა; ოგიდიღდა რუვის წყალი, აქემარეს ეფინება, ჭუნულ-კრული წომოგიღა. მამალს აღარ ეყივლება (ფა. 127); სანზეთე არ გოგესლება.

რთობრც იქვლავთ. უმლაუტრისა და დელაბიალიზაციის შემთხვევები უფრო ბეტად სმნებში გვხვდება. თუ უმლაუტი საერთოდ იყო მოხეურში, მაშინ ბუნებრივია, სასელებშიც გვეთნოდა. მართლაც, მისი ნაშთი შეიძლება იყოს ხმოვანთა ზოგიერთი ცვლილება, რომელსაც ახლა ან სუბსტიტუციას ვეყოლებო. ან ასიმილაციას (კრამიტი—მოხ. კრემიტი, დარჩალი—მოხ. დარჩელი: იხ. ქვემოთ). სხვა მხრივაც მტკიცდება უმლაუტის გავრცელება სახელებში: უმლაუტიანი ხმოვნის დელაბიალიზაციად მიგვაჩნია მოხეურში უართოდ ხმარებული და თითქმის ერთადერთი ფორმა სიტყვებისა სიფრო (სუფრა) და იფრო (უფრო):

მეიფრო იათად გასადილებთო; შენიფრო გილოდინება; სიფრო დაუღვეს; სიფრო აჭუ; გაუქეთეს სიფრო ჭურჭალი.

ამ სიტყვებში სავარაუდებელია გვქონოდა: უფრო >ჭიფრო> იფრო; სუფრა >\*სუიფრა||სუიფრო (პროგრესული ასიმილაციით) და დელაბიალიზაციით — სიფრო. დელაბიალიზაციას შეიძლება ხელი შეუწყოს სიტყვაში ლაბიალური ფ თანხმოვნის არსებობამ.

ნაუმლაუტევი ხმოვნის დაშლისა და შემდგომ მეტათეზისის მოქმედების შედეგი ჩანს მოხეური პატვრენი („პატრონი“; დიდის მთის პატვრენი, სნო) და ნიჟერი („ნუერი“: ხეს ნიჟერი აქჷ): პატრონი → \*პატრონი → \*პატრუენი → პატვრენი; ნუერი → \*ნუერი → \*ნუერი → ნიერი (შდრ. სვან. ფჷრ-ფჷირ — ფირუ „ძროხა“).

რაც შეეხება მოხეურ ლაყვა (ლოყა) და ლე ბ ი ო (ლობიო) სიტყვებს, პირველში ამოსავალია ო ხმოვნის დაშლა და შემდეგ პროგრესული მეტათეზისი: ლოყა → \*ლვაყა → ლაყვა, მეორეში კი გაუმლაუტებული ხმოვნის დაშლა და დელაბიალიზაცია უნდა იყოს სიტყვაში ლაბიალური ბ თანხმოვნის არსებობის გამო: ლობიო → \*ლობიო → \*ლუებიო → ლე ბ ი ო.

ამგვარად, მოხეურში ჭე და ჭი კომპლექსები შესაბამისად გვაძლევს ო—უ რეფლექსებს, რომლებიც იმავდროულად იძენენ ლაბიალურ არტიკულაციას, უმლაუტდებიან, ხოლო გაუმლაუტებული ხმოვნის დაშლის შემდეგ ხდება ლაბიალური ხმოვნის დაკარგვა. ასეთი ცვლილების შედეგია დო გ ი ლ ი ა ს (დაგვილიოს) და გო გ ე ს ვ ლ ე ბ ა (გაგვესვლება). ანალოგიური ცვლილების შედეგები ნაშთის სახით შემორჩენილია სახელებში, ზნეებში კი მოქმედი პროცესია. ზმნებში და საერთოდ მრავალმარცვლიან სიტყვებში გარკვეული მნიშვნელობა ასეთ ცვლილებაში შეიძლება მახვილის მოქმედებასაც ჰქონდეს...

ქართული ენის დიალექტებიდან უმლაუტის ნაშთია მესხურ-ჭავჭავურში. ფართოდაა გავრცელებული ინგილოურში. მთის კილოთაგან უმლაუტიზაციით გამოირჩევა მოხეური. თუ ინგილოურსა და მესხურ-ჭავჭავურზე მის ვაჩენაში სათანადო როლი შეასრულა თურქულ და აზერბაიჯანულ ენებთან კონტაქტმა, მოხეურში ასეთი უშუალო გავლენელი ენა არა ჩანს: მოხეურს კონტაქტები აქვს ოსურთან და ქისტურთან. პირველს უმლაუტი არ ახასიათებს, მეორეში მხოლოდ ნ. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი გამოყოფს უმლაუტს, როგორც ძირისეული ხმოვნის მეორეულ ცვლილებას<sup>31</sup>. ამდენად, მოხეურში ის თავისთავად ვაჩენილი ჩანს. საინგილოს ქართელობა, წარსულში კი ერთ პერიოდში მესხეთ-ჭავჭავეთის მოსახლეობაც ორენოვანი იყო და ამ ფაქტმა გარკვეული გავლენა იქონია უმლაუტის ვაჩენაზე ამ დიალექტებში ან მის კონსერვაციაზე, რამდენადაც შეიძლება უმლაუტის შემთხვევები გვქონოდა ქართულშიც: შდრ.

31 Н. Ф. Яковлев, Морфология чеченского языка, при участии З. Джамалханова, А. Хумпарова. Труды том I. Грозный, 1950, с. 7—8, შდრ. Ю. Д. Дешериев, Современный чеченский литературный язык, ч. I, фонетика, Грозный, 1960.



ძვ. ქართ. ფუცავს — ახალი ფიცავს, უმატებს — ამეტებს... მოხეური ლაბიალური უმლაუტი ფონოლოგიური ღირებულებისა არაა.

#### § 14. ხმოვანთა ასიმილაციის სხვა სახეები

მოხეური ერთ-ერთი პირველთაგანია ქართულ დიალექტთა იმ წყებაში, რომლისთვისაც ფართოდ არის დამახასიათებელი ხმოვან კომპლექსთა ასიმილაციური ცვლილებები, კერძოდ, ყველა პოზიციაში აე>ეე. ასეთ მოვლენას ქართულ დიალექტებში, როგორც დადგენილია, საერთო ფონეტიკური საფუძველი აქვს<sup>32</sup>. აე>ეე, ოე>ეე რეგრესული ასიმილაციური ცვლილება ზღე-ბა არა მარტო უშუალო მეზობლობაში, არამედ ერთი და ორი მარცვლის წინაც. მოხეური ამ მხრივ ძალიან შორს არის წასული:

ა) როცა მტერი დეეცის, მდეეარი დეედევნის; მლეწავები გეეშო; რო გეეგა, მომდევსო, გეექცია ცხენი და ის უკან გეეწორა („დაეტოვებინა“); ეგრე დეეყუდა; მეეკლა და რუხის გადასაყალჩი ჩეეყარა; თემს მეელაპარაკა; შეთქმულება მეეწყა; ფიჩხის კონები უნდა მეეტანა.

ბ) ბეწუი ემებრუტგნაო; ნუ ემეგები ხმალზედა (მეზ. 788); თმა ეგესხმება ბროწეულისა, ქსელი გეგემართება ძოწეულისა (მუზ. 30—1031); ხოყანა გედეგემტერა (აჩხოტი). კაცი რო მეგეკლა; უნდა დემებარა („დამებარებინა“); მიწა ემეეთხარა; მაგას კი ვერ მევესწუერ; უნდოდა, რო გევეფატრე; მტერი ემეეფარა გორასა (მუზ. 782); შენ აქარ მეგესტლებოდა (მუზ. 84); თითონ შინ გემეემართა (აჩხოტი); წამოალ, წემეგეწევი (იქვე); მტრად გემეეკიდიანკე იმასა; ეგრო ქალაქს გეგეგზავნა; კიდზე უნდა გემეეელა: ესენი გემეედავნეს ადგილსა; თოლზე ლიბრი გედეეკრებაკე; იმ ხალხი კი არ გემეეცხადა; კელი მეგემართასო; ჭიჭის თავი ჩემეგეტანასო; იცი, რაი უნდა გეგეკეთაო? ჩემეგეწეული, გივარგი! ცხორი რო არ გემეგეჭექცეს; მინდოდა გემეეეცტალა.

ასეთი სახის ასიმილაციურ ცვლილებებს გარდა, ზემოთ აღიწერა გაუმლაუტებელი ხმოვნებით გამოწვეული ცვლილებებიც. როდესაც ზმნაში ჭე კომპლექსი ურევია, ეს უკანასკნელი წინამავალ ხმოვანში ორგვარ ცვლილებას იწვევს: ხან ლაბიალიზაციას გადასცემს და ო-დ აქცევს (დაგზეცეს—დოგეცეს), ხან კიდევ ე-დ (დაგზეცეს—დეგზეცეს).

<sup>32</sup> შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკვ. 1, 1946, გვ. 26—30.

ასიმილაციის გამომწვევი უ ხმოვანიც არის: იუ—უუ: ახალ წელს მ უ უ ბ-ზ ა ნ ო დ ე თ ხატები; დედას მ უ უ ტ ა ნ ს ბეჩავსა.

მოხეურში ი ასიმილატორი არაა<sup>33</sup>, თუ არ ჩავთვლით ისეთ ერთეულ შემთხვევას, როგორცაა ამიჩქარე — ე მ ი ჩ ქ ა რ ე („დაქმნიჩქარე“).

ხმოვანთა ასიმილაცია მოხეურში იმიჯაც არის საყურადღებო, რომ ქართულში გავრცელებული რეგრესული მიმართულების გარდა, რამდენიმე შემთხვევაში პროგრესულიც დასტურდება; სიტყვის დასაწყისი მარცვლისეული ო, ა, ე იმსგავსებს მომდევნო ა, ე-ს: რკინის ბურაოები იყო ფ ო ლ ო დ ი ს ა, დაპირული (ფხ., 131); ბ ო რ ბ ო ლ ი აქუ წისქვილსა (ხურთ., 154); დ ო ლ ო ბ ე ბ ი აქუ დევებზედა (ზღაპრიდან); ცხორს ფ ა რ ა ხ ს ვუკეთებთ (სიონი, 270); თებერვალი იდგა, შიმშილობა და ქ ე ს ე ტ ო ბ ა სუფევა (გერგ.).

ანგვარივე ცვლილების შედეგად უნდა მივიჩნიოთ პარალელური ფორმები: ნ ი ა დ ა გ ო ნ ი ე დ ე გ („რასაკვირველია“), ღარიალი ო დ ა რ ი ე ლ ა<sup>34</sup>; ჯარიახი ო ჯ ა რ ი ე ხ ი.

### § 15. ხმოვნის ასიმილაცია თანხმოვნის მიერ

ქართულში მოქმედი რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის წესის მიხედვით, მოხეურში საკმარისია ა და უფრო იშვიათად ე ხმოვნები მოხვდეს წყვილბაგისმიერ თანხმოვანთა მ, პ, ფ, ზ, ასევე ვ-ს მეზობლობაში, რომ იგი იცვალოს ო-დ. ეს წესი ხორციელდება როგორც ფუძისეული და ზნის ბოლოკიდური თემატური ნიშნისეული თანხმოვნების, ასევე პირველი სუბიექტური პირის ვ ნიშანთან მეზობლობაში. ავ იძლევა ოვ-ს.

პ ო ვ ლ ე გოჩიეთს ეთქო; პეტრე-პ ო ვ ლ ო ბ ა ხვალ იქნეა: ა მ ბ ო ვ ი მიაქვთ შამილთან (ს. მაკალ. 277); ა მ ბ ო ვ ი მოგუივიდა; ერთი ა მ ბ ო ვ ი იყო; თ ო ვ პ ი რ ი ჩაალეწა (ყაზ.; 88); უ კ უ დ ო ვ ე ბ ი ს წყარო; ჭ ო პ ა ნ ი საქართველოში იცინ; წელს კი დეესწარითო და კ ლ ო ვ ნულარაო (ყან., 163); დ ა ს ა ფ ლ ო ვ ე ბ ი ს დღეს (ყაზ., 35); შუღჯერ მივედი ს ა ფ ლ ო ვ ზ ე; ვისაც არ გ უ ყ ო ვ ცხენი; რამდენი მ ო გ უ ყ ო ვ დაჭრილი; გ ო ვ რ ე კ ე თ საქონელი; ახლა აბა რაილა ვიცი, დ ა მ ო ვ ი წ ყ დ ა; გ ო ვ ფ ხ ე კ თ საფხეველით; სუ თეთრას გ ო ვ ა თ ე ნ ე თ, დეგუმეცემიან და დ ო ვ ი ლ უ პ ე ბ ი თ ო.

ამგვარი ცვლილებების შედეგი უნდა იყოს მოხეურ სიტყვაში ნ ო ს კ ი („ნასკვი“), რომელშიც დისტანციური ასიმილაციით ბოლოკიდური უ იმსგავ-

<sup>33</sup> უშუალო მეზობლობაში, ხოლო დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები დასტურდება, რაც შენიშნული აქვს ო. ქ ა ქ ა ი ა ს ა ც, დასახ. ნაშრ., გვ. 33; შდრ. კ. კ უ გ უ შ ე ი ო ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—131.

<sup>34</sup> ამ ტომონიში ამოსავალია ღ ა რ ი ა ლ ი (ღარ „კარი“, ი ა ლ ა ნ „ოსევისა“. ალანების კარი). თუ რამდენად ძველია ეს ცვლილება, ჩანს გიორგი ბრწყინვალის სამართლიდან: ღ ა რ ი ე ლ ა მ დ ი ს (ი. დოლიძის გამოც., გვ. 103).

სებს ა-ს და იკარგება: ნასკუი>ნოსკი (შდრ. აგუზარდა>ოგზარდა); დროთა განმავლობაში ეს დამოუკიდებელ ფუძედ ქცეულა და ზმნის საწარმოებლად გამოუყენებიათ (შდრ. გამოვნოსკავთ).

ასეთივე აკუსტიკური შთაბეჭდილება იქმნება ორი სიტყვის მეზობლობის მიჯნაზეც. გამოთქმა „რა ვუყოთ“ იქცევა რო ვუყოთ<sup>35</sup>. მაგრამ ამგვარი ცვლა გავრცელებული არაა, ეს ერთეული შემთხვევებია.

წინამავალი ა, ე ხმოვნების ასიმილაციას ახდენს მ: რამდენი>რომდენი||რომთენი (რომთენიც გინდათო, ყაზ. 35), ბოლო პოზიციაში კი მ ასიმილაციის შემდეგ იკარგება: თორემ>თორომ>თორო: ველარ მამკრა თოლი. თორო გამაფუჟებდაო.

არის პროგრესული ასიმილაციის ერთეული შემთხვევებიც, კერძოდ: ბელტი>ბოლტი: კნავდეს, ბოლტს ჰკუწდეს და ჰყრიდეს გოდრებში (გერგ., 258).

### § 16. თანხმოვანთა ასიმილაცია

თანხმოვანთა ასიმილაცია მოხეურში არაა იმდენად გავრცელებული, რამდენადაც სხვა (მაგალ., იმერულ-გურულ) დიალექტებში, ეს პროცესი აქ უფრო შემოფარგლული და ერთგვაროვანია. რეგრესული ასიმილაციური მოქმედებით ფუძისეული დ, ძ, შ, ჩ თანხმოვნები იმსგავსებს მის წინ უშუალოდ მყოფ მეორე სუბიექტური ან მესამე ობიექტური პირის ნიშანს და ვიღებთ სდ>ზდ, სძ>ზძ, სჩ>ზჩ, სკ>ზკ:

ბიჯავ, ქვეყნის პირს რო მიზდევ (სახალხო ლექს. № 36); დ ა ზ ძ ა ხ ა — იუჟქეთო (ყაზბ.). ეხლა სად მიზდისხარ? ძალა არ გამაზდევს: უკენ ზალქო მიზდევდა; დევს ეგონა, ზძინათ: ნეტარ სადილად რასა შჯამთ: იმას შაშჩივლა: თავით დაეშკვა (დაესჯო||დაერქო); კაცს ყველებურებ შკრისათ (გარბანი): ხულარა მჩაგრავე ობოლსა; ეშმაკი გამაშჩუნე ბიყო...

მეორე მხრივ, ნ, ლ, რ, ვ, მ, ბ თანხმოვნების წინ მთის კილოების ცნობილი წესის მიხედვით II სუბ. და III ობ. პირების ჰ პრეფიქსი იქცევა ლ-დ, ხოლო ხ, ყ, ქ, ფ, პ თანხმოვნების წინ ზ-დ<sup>36</sup>: გვაქვს, რასაკვირველია, ჰ-ც. რომლის ხმარებითაც მოხეური განსხვავდება ხვესურულისაგან: მიხყვენ ესენი და დაჯოცეს ირჯეულები (ყაზბ.); დახკრა ხმალი; ჯორ-აქლემები დახკაზმა („ბეჟანიანი“); დედავ, ნუ ლრბრალობ შეილსაო.

<sup>35</sup> შდრ. რა იქნა, იმერ. რე იქნა: ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტუმ. I, 1918, გვ. 70. ამ>ომ პროცესიც არის დადასტურებული ა. ყაზბეგის ნაწერებში: ამენ>ომენ.

<sup>36</sup> ანალოგიური მოვლენები აღწერილია გურულ-აქარულშიც; ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში, თსუ შრ., VI, 1936, გვ. 130—135.

რეგრესული ასიმილაციური ცვლილების შედეგია თკ>ტკ კომპლექსებში: წამაილა აქატკე; ერტკე ჩუნ ვიყავით, მეორეტკე ისენი; ქო-ოტკე (ქუეითკენ).

უნდა დავასახელოთ ერთეული, მაგრამ საინტერესო შემთხვევები პროგრესული ასიმილაციური ცვლილებისა სიტყვებში პატალიონი (ბატალიონი) და ოხთანგ (ვახთანგ).

### § 17. აფრიკატიზაცია და სპირანტიზაცია

მოხეურში ბგერათცვლილების ეს სახეობა ნაწილობრივ აისახა ზემოთ, როცა ჩამოითვალა თანხმოვანთა კომპლექსების ცვლილებები (შხ>ჩხ).

შესამჩნევია აგრეთვე სპირანტებისა და მჟღერი ხშულების შეცვლა შესაბამისი აფრიკატებით სხვადასხვა პოზიციაში და თვით აფრიკატთა მონაცვლეობა ც>ჩ: \*ცალსკამა > ჩაშკამა<sup>37</sup>; შ>ჩ: შიკრიკი > ჩიკრიკი; შილინგი > ჩილინგი („ზალი“); დ>ჯ: ქირდავს(?) > ქირჯლავს („დასცინის“, „აჯაერებს“); უ>ჯ: მანდითო გპატიჯებენტო.

აფრიკატიზაციის მოვლენები ჩანს აგრეთვე შემდეგ მაგალითებში: ჩაიწყვა გუდაჩი საგძარი („საგზალი“); ფიწალო („პიტალო“) კლდე (ყაზბ., 1, 266), ხოლო სპირანტიზაციაა: ხატი მუუბზანიან; შავიძლიათ იქ მიბზანდე თ<sup>38</sup>.

### § 18. დისიმილაცია

მოხეურშიც ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტთა დიდ ნაწილში, ვადასტურებთ ორი ჰომოგენური ბგერის განმსგავსებას სიტყვაში. დისიმილაცია გვაქვს თანხმოვნებისა და რამდენიმე შემთხვევაში ხმოვნებისა; თანხმოვანთა დისიმილაციის ნიმუშებია: მ+ფ > ნ+ფ: მეფე > ნეფე (ნეფე ცოლეთრთას დარჩისკე); მ+მ > მ+ნ: მარიამობა > მარიანობა (მარიანობა ზაფხულში ვიცი); რ+რ > რ+ლ: პირჯვარი > პირჯოლი (ქუდმაჯდილები პირჯოლს იწერენ); ნ+ნ > რ+ნ || ლ+ნ: სხდანან > სხდარან (შიგსხდარან ლუდუშაურები, თოთი, 239); დანიშნული > დალიშნული (დალიშნული გუქონდის კაცი, იმისთუი. ყაზ., 23). ლ+ლ > რ+ლ: დარალაი (დალალი).

დისიმილაცია (ორი აბრუპტივიდან ერთ-ერთის გამჟღერებით) გვაქვს სიტყვაში პატარა > ბატარა, ბატარაი (ბატარას შინაურს საქმეს აქაურები არჩევდეს: გერგ., 7) ლაბიალარული დისიმილაცია უნდა გვქონდეს სიტყ-

37 აქ შეიძლება დისტანციური ასიმილაციური მოქმედებაც იყოს.

38 რა თქმა უნდა, ეს პროცესი გლობალური არაა, ამდენად ჩვეულებრივია: ბზე—საბზელაი...

ვებში: მ ა ზ ზ ე რ ი „მოზვერი“ და მ ა მ რ ე „მემრე“. დისიმილაცია არის აგრეთვე შემდეგი სიტყვების ხმოვნებში: ფოთოლი > ფ ა თ ო ლ ი (წიფათვალი), ერთხელ > ე რ თ ხ ა ლ, ეთერაი > ა თ ე რ ა ი (საკუთ. სახელი), დერეფანი > დ ა რ ი ფ ა ნ ი || დ ა რ ი ფ ა ნ ა ი.

## § 19. მახვილი და ინტონაცია

მთის დიალექტების უმეტესობა (თუშურის გამოკლებით) ხასიათდება სიტყვის მკაფიო და დინჯი არტიკულაციით, მარცვალთა გამოკვეთილად წარმოთქმით, რაც თითქოს ერთ-ერთი პირობაც უნდა იყოს იმისა, რომ ფონეტიკური ცვლილებები აქ ბარის დიალექტების დასავლურ ჯგუფთან და მეზობელ თუშურთან შედარებით საგრძნობლად მცირეა. მოხვეის მიერ წარმოთქმულ უკანაენისმიერებსა და წინაენისმიერ ხშულებს, თვით ყრუ ფშვინვიერებსაც კი სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული აკუსტიკური შთაბეჭდილება ახლავს. თითქოს უფრო „მკვეთრია“, უფრო ინტენსიურია და ენერგიული ყველა თანხმოვანი ბგერის წარმოთქმა: მყინვარი, ეკალი, ლურბელა, გერგეტი, ჭოთიკე, წერწენა, ვაკეთებ, სასთულოდ... აქ არა მარტო მახვილია თავისებური და განსხვავებული, არამედ თითოეული ბგერის წარმოთქმაც, დამახასიათებელია არა მარტო მელერობის მაღალი ხარისხი, არამედ ფშვინვიერთა ბუნების შენარჩუნება და გაძლიერება.

როგორც ცნობილია, ქართულის ბევრ დიალექტში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მელერები ხშირად ყრუვდება (ვუსურეებ — ვუსურეეფ, ერთბაშად — ერთბაშათ...), მოხეურში თითქმის არც ერთი შემთხვევა არაა ამგვარი ცვლილებისა. უფრო მეტიც: გამელერებულია ზოგი ფშვინვიერი და მკვეთრი და გვაქვს: ძაბი (←ძაფი), ბატარძალი (პატარძალი), სამხლო (←სამლეთო — საღმრთო)...

მოხეური მეტყველების ნიმუშების ფიქსაციის დროს ილია ჭავჭავაძემ მახვილი სიტყვის მეორე მარცვლის ხმოვანს დაუსვა ბოლოდან: ადრრდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თანეი ჩვენდღე გეყუდნეს, მით რყვის უკედ. ადრრდა ერი ერრბდის, გული გულრბდის, ვაჟი ვაჟბდის, ქალი ქალბდის. ადრრდა?! ერთ-ურთს დაეყუდნით, ერთ-ურთს ვიხეეწებდნით... (ილია, II, 1950, გვ. 28).

ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამას, არც ერთი სრულ-მნიშვნელოვანი სიტყვა უმახვილოდ არაა დატოვებული, სხვა თავისებურებები — ფონეტიკური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური, სრულებით არაა მხედველობაში მიღებული, ფორმები ლიტერატურული ქართულითაა ფიქსირებული. როგორც ირკვევა, ილიას არაერთგზის შეუმოწმებია მოხეური მეტყველება ინფორმატორებთან (იხ. ზემოთ პ. ინგოროყვას და ვ. ითონიშვილის შენიშვნები) და თითქოს არა გვაქვს საფუძველი ეკვი შევიტანოთ იმაში, რომ ნიმუშები მოხეურია. საინტერესო ის არის, რომ ეს ხმის აწევის ნიშნები

ილიას ტექსტში ისეა წარმოდგენილი, როგორც ამას დღესაც ვხვდებით მთიულურში<sup>39</sup>. დავსძენთ. რომ ასევეა დღევანდელ მოხეურშიც, მახვილი ბოლო მარცვლისეულ ხმოვანს მოუდის ყველა სიტყვაში — ზნაშიც და ნაზმნარ სახელშიც. საკუთარ და საზოგადო სახელებშიც: წაერდა, სოფელში, წერწენა, ველადი. გამრჩნდა, დავაგდე, საღრმე, გენადი, გიგარგი, მათუტენი, დოგეტეს („დაგვეცენენ“), შავსწუხნი, კარტონას მასთხრდილთ და ა. შ.

ასეთია ლტყუარი სურათი. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია გამორჩენილმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა, რომელმაც გაკერით აღნიშნა ოსურის შესაძლო გავლენა მოხეურზე<sup>40</sup>.

ოსურ-ქართულის ენობრივი კონტაქტები ასეულობით წლებს ითვლის და ორივე ენაში მისი კვალი შენიშნულია (გ. ახვლედიანის, ვ. აბაევის, მ. ანდრონიკაშვილის და სხვათა მიერ). მაგრამ ოსური მახვილის გავლენა აბსოლუტურად გამოსარიცხია, რადგან მახვილის მხრივ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ოსურის დიგორული (სამხრეთული და ირონული (ჩრდილოური) დიალექტები. დიგორულ დიალექტში მახვილი ძირითადად ქართულისებურია, ირონულში კი მახვილის კანონზომიერება დამოკიდებულია გრძელ და მოკლე ხმოვანთა მქონეობაზე და მათ რაი ენობაზე სიტყვაში. მახვილი არაა დიქსირებული, მაგრამ ამ თავისებურებას მახვილის ხმარებისას მთავარი მნიშვნელობა აქვს<sup>41</sup>. როგორც ჩანს, დიგორული დიალექტი უფრო დაიახლოვა ქართულმა მახვილის მხრივ, ვიდრე პირიქით).

მოხეურში ისევე, როგორც მთლიანად ქართველური ენების დიალექტებში, მახვილი არაა ფონოლოგიური საშუალება. მახვილი აქ სიტყვას ანიჭებს მუსიკალურ-ტონურ ელფერს და იცავს სიტყვას წინადადებაში მონოტონური წარმოთქმისაგან. ხმოვანი რომელია. ამას მნიშვნელობა არა აქვს. მახვილი. ანუ უკეთ, სათანადო ადგილზე ხმოვნის გაძლიერებული, სხვებისაგან გამორჩეული წარმოთქმა, რომელიც თითქოს გრძელი ხმოვნის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა მთიულურში, ტონური მახვილის მოდულაციის შედეგად იქნა მიჩნეული<sup>42</sup>. მაშასადამე, ტონურ მახვილს ახლო კავშირი აქვს მუსიკალურ მახ-

<sup>39</sup> არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტუმ. IV, 1924, გვ. 343; თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, 1966, გვ. 88.

<sup>40</sup> H. Schuchardt, Über das Georgische, Wien, 1895, გვ. 13—14.

<sup>41</sup> В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, М.-Л., 1949, с. 100, с. 529—31; М. И. Исаев, Дигорский диалект осетинского языка, М., 1966, с. 26; М. И. Исаев, Очерк фонетики осетинского литературного языка, Орджоникидзе, 1954, с. 65.

<sup>42</sup> არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტუმ. IV, 1924, გვ. 341—2; შდრ.

А. Г. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тианетский уезды для изучения грузинских говоров, ИАН, 1913, с. 1071.

ვილთან და ეს „მახვილი“ არც ისე ერთფეროვანი და იმგვარად „ფიქსირებულია“, როგორც მთიულურში (ბოლოდან მეორე მარცვალზე). მართალია, ცალკე სიტყვაში მოხეურის მახვილი ჰგავს მთიულურს, მაგრამ მრავალმარცვლიან სიტყვაში ის ტონურ-დინამიკურისაქენ იხრება ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში<sup>43</sup>. სიტყვაში მთავარი და დამატებითი, თანამახვილი, შეინიშნება ბოლოდან მესამე-მეოთხე მარცვლებში: მოსამსახურე, მასწავლებელი. სალამ მზე მისწუტრდებოდა, სასამართლოჩი ეჩრვლა. ცხორი მშიარი დოგრყარა, ცხორი ომრგრერეკეს („ამოგვიერეკეს“).

რთული სიტყვის კომპონენტებს თავ-თავიანთი მახვილი უნარჩუნდება. მახვილისა და ინტონაციის ცვალებადობის შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური მომენტი: წყევლა, შეხვეწნა, შექება, დალოცვა, ბრძანება, შეკითხვა, საყვედური სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმისას ტონურ-მუსიკალური მახვილის ცვალებადობას იწვევს იმ მხრივ, რომ ხმოვნები, რომლებზედაც ეს მახვილი ივარაუდება, კიდევ უფრო გამოკვეთილად გამოთქმის, ე. ი. გვაქვს მუსიკალური ტონის ამღვლება:

ამის მამრე გარეთ გამაგესულება? ჩუენს რო გემგვევლა, განა კაცობა შაგრცხუებოდა?! მაითავექლე საქმე?

როდესაც კითხვით წინადადებაში უარყოფითი, კითხვითი-დადასტურებითი თუ სხვა ნაწილაკები ურეკია, ისინი მომდევნო ზმნასთან ერთიანდებათ და შეიგრძნობა სიტყვათა მთლიანი დამარცვლით გამოთქმა, მახვილის ნახტომისებური ხასიათი, რაც გრაფიკულად დაახლოებით ასე გამოისახება: არგრცხუენ-ნა? არგრ-ნახანვს? განაყრუ-ვრა?

შედგენილი შემასმენლის პრედიკატიულ ნაწილს მახვილი არა აქვს, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანზე თავდება წინადადება და მალდება ტონი, თუმცა აქაც თანამახვილი გვაქვს და ასეთი დაყოფა ამის მანიშნებლად მიგვანჩნია: გათი-ბუღრა, გერგე-ტუღრა, მასწავლებელ ვარ (მღრ. ზემომერ მასწავლებელი ვარ...), მადლობელ ვარ.

განმეორებული კითხვის დროსაც ასე „იმარცვლება“ სიტყვა: მეომარი კაცი ყოფილყო? მერ-მარრო?

ფრაზაში და ლექსში მახვილის სისტემა ზემოგანხილული წესისაგან განსხვავებული არაა, თუმცა ფრაზის საერთო მახვილის ხვედრითი წონა მეტია: მთავრობაჩი არ მაჩრვლათ, თორო ცხელს დღეს დაგაყენებენტ-მეთქი.

მახვილის შესახებ ჩვენი დაკვირება აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ემყარება. მოხეურისთვის მახვილისა და ინტონაციის, წინადადების რიტმიკისა და მელოდიკის თავისებურება იმდენად შესამჩნევია, რომ მეზობლები (ხევსურები, მთიულები, ფშაველები) ერთმანეთს ადვილად ცნობენ, ყველა მათგან თავისი ჰგონია სწორი. თვით მოხეურის შიგნით ამ მხრივ განსხვავებას

<sup>43</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 132, 136.

ვერ ვამჩნევთ, თუმცა სნოსწყლის ხეობის მცხოვრებნი თერგის მარცხენა ნაპირის მცხოვრებთა მეტყველებაზე შენიშნავენ, რომ ისინი ტკრეციით („დამარცვლით“) ლაპარაკობენო. ასეთი „ტკრეცა“ სწორედ თანამახვილს უნდა მიეწეროს მრავალმარცვლიან სიტყვაში ორი მახვილი — დინამიკური და ტონური<sup>44</sup> უდავოა. ტონური ჩანს დომინანტი. ტონის ამაღლება მესამე-მეოთხე მარცვალზეა. სიტყვათა მუსიკალური ტონები საზიარო ჩანს მოხეურსა და მთიულურ, რაჭულსა და მესხურს შორის. აქაც მუსიკალური ტონი თანდათან იძლევა და ბატონდება დინამიკური მახვილი<sup>45</sup>.

---

44 გ. რ. გ. ა. ვ. ა., მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქესს, III, 1963, გვ. 7.

45 შ. ძ. ი. ძ. გ. უ. რ. ი., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 59--61; შდრ. გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე., მახვილის შესახებ ფშაურ დიალექტში, იკე, XX, 1978, გვ. 137—142; შდრ. ი. თ. ე. ვ. დ. ო. რ. ა. ძ. ე., სიტყვათმახვილისათვის ქართულში, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969, გვ. 65. ორი მახვილი მიაჩნია სიტყვაში ო. ქ. ა. ჯ. ა. ი. ა. ს. ა. ც. დასახ. ავტორეფერატი, გვ. 9—13.



## მორფოლოგია

### § 1. სახელის ბრუნება, ბრუნვათა მნიშვნელობები

მოხეურში თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით თავს იჩენს რამდენიმე თავისებურება, რომლებიც, როგორც სხვაგანაც ვთქვით, ან არქაიზმია, ან მოხეური მეტყველების განვითარების შედეგი. ნაწილობრივ სველია ბოლოხმოვნიან ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება, მოქმედებითი აბლატივის მნიშვნელობით და ადგილის მიცემითი; ახალია ნათესაობითის ემფატიკური ი და ზოგი სხვა.

სახელობით ბრუნვაში უ ხმოვნით დაბოლოებული ერთმარცვლიანი სატყვეები (ბუ, რუ, ყრუ...) ინარჩუნებს ძველ ქართულში ცნობილ ფუძეს — ვ თანხმოვანს: დააქანებენ რ უ ვ ზ ე; მძიმედ ესმის, ყ რ უ ე ი ა, ვ მაძალა უთხროდე... მტკიცედ არის დაცული ერთი კანონზომიერება: თითქმის ყველა ა ფუძიან სახელს სახელობითში მოუდის ი ნიშანი, თანაც ეს ი არასოდეს არ კარგავს ხმოვნიანობას, არ იქცევა ა-დ<sup>1</sup>.

ს ა რ ე კ ა ლ ა-ი, მ ა ჯ ა გ ა ნ ა-ი, დ ი დ ე ბ ა-ი. ა მ ა ლ ა-ი, რ ა-ი, გ უ-დ ა-ი, ბ ა ტ ა რ ა-ი, ბ ე ბ ე რ ა-ი, ქ ა ლ ა-ი... ი ხმოვანი თანაბრად არის გატარებული ყველა პოზიციაში (როგორც წინადადების შიგნით, ისე ამგვარი სიტყვის ბოლოში მოხვედრის შემთხვევაში): ქ ა ლ ა-ი გვეჩქენა; რ ა-ი გინდა; ბ ა ტ ა რ ა-ი ხანს მამკვირე. ი შედარებით უფრო იშვიათია ო, ე, უ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებში: მ ა კ ა ტ ო (და არა მაკატო-ი), ზ უ თ უ, დ ო, რ ძ ე, ო ქ რ ო, თ ა მ ა ქ ო, მ წ უ ი რ ე... მაგალითად: ცხორი ჩუენი ბარაქა და ს უ ყ ვ ე ლ ა ი, რ ა ი არაა: მატყლი, ვორცი, რ ძ ე, დ ო, ე რ ბ ო, ყველი და რ ა ვ ი ც ი კ ი დ ე ვ რ ა ი! (ერობაში მოსმენილი). მოთხრობით ბრუნვაში არქაული ფორმები დაუცავს პოეზიას: პირმა დავლოცას ღვთის სამან. ნაწილმა ბარძიმისაგან, ივანე ნათლისმცემელმან, პატრონმა ხმელეთისამან (ს. მაკალ., 169).

ბოლოხმოვნიან სახელთა ბუნების დროს უმეტესად დამახასიათებელია უკვეცელობა, თანაც ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, არაა განსხვავება ამ მხრივ საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის:

<sup>1</sup> შლრ. კ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 140; ო. ქ ა ჯ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

შკოლა-ის თავი ვცხოვრობ; დარიფანა-ის ბოძზე; ღერძი იყო კირ-  
ცხილა-ისა; ბებერა-ის... ტოლი: ქალა-ის ლოცება და შიძლებოდა;  
რა-ის თუ არ მახტე? გაგა-ის მამამა; რა-ით მახტე? დაიწყებენ მაჯაგანა-  
ით ზელასა; ტუმარა-ით წაილა; სულ დიდება-ით და მღერით გააცი-  
ლებენკე; გამოალის თავისი ამალა-ითა...

ღვინო სახელის შემდეგ, ალბათ ო-ზე დაბოლოებული მეორე სახე-  
ლია კბო, რომელიც მოხეურში კვეცადია (რაც სრულებით არ იყო მოსა-  
ლოდნელი): კბ-ის მაგებისკეა („მოგების პირზეა“); ვირი კბებჩიო (ან-  
დაზა).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ ჩვეულებრივია ემფატიკური  
ახმოვანი: ქალავ, გქონდეს შებრალება უცოლოსა ბიჭისაო (ს. მაკალ.,  
259). ოლონდ უნდა აღინიშნოს, რომ ის უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე,  
მაგალითად, ქართლურ-კახურსა და ზემორაქულში; ლექსში იხმარება ო  
ახმოვანიც: არავინ არ იცის ვისია, ეგ არის ჩემი ძმის-ი-ა (სიონი, 60); რაი მე-  
გონა იმ დრო-ს-ი (ს. მაკალ., 255); წესია დარეჯანელთ-ი ჯიბას ჩადება და-  
ნის-ი (ამირანი, მუზ. 817); ამბავი მამა-პაპათ-ი (ზელიმხანი, მუზ. 69).  
მხოლოდობით ეს ო იშვიათია (შდრ. თათარეთ-ი და მისთ. წარმოება) აქაც  
და მოქმედებითშიც. ამიტომ გვაქვს ოქროთ შეკაზმული კმალი (სიონი,  
42); სპილენძის ქობი აავსიან ორი ფუთი ერბოთა და შიგ ჩააყარინ სი-  
მინდის ფქვილი (ყაზბ. № 33).

ამავე მოქმედებითს უთანდებულოდ ჯერ კიდევ ფართოდ აქვს შენარჩუ-  
ნებული აბლატივის მნიშვნელობა და თანაც, ძველი ქართულისაგან განსხვავ-  
ებით, ემფატიკური ა შეიძლება ერთოდეს: ნასყიდა გერგეტი იყო  
(ყაზბ. 27); სნოთ ვართ გადმასულები (სიონი, 57); იქით გოხალეს თოფები  
(გერგ., 6); ფრინველი მოვა ზეცითაო (გერგ., 12); მე შეშობით მოვ-  
დილოდი; ზაითით ჩამავარდნილმა კუნესა დაიწყა ძირსაო (ხალხ.); ხურ-  
თისით მაყოლებული აქამდისინა.

მოხეურში არ ხდება ა-ზე დაბოლოებული სახელების ცვლილება, ი აქ  
ასიმილაციის ძალას მოკლებულია, ჩვეულებრივია: კჭირაი, ტუმარაი (შდრ.  
ქვემოიმერ.-გურული კვირე, ტომარე...) მართალია, გვხვდება გამო-  
თქმაში: თითო კუირეს იყარაულოს (სნო), მაგრამ ეს ფორმა ამ სახით  
უნდა იყოს შემოსული სხვა დიალექტებიდან. თუმცა ამ კონტექსტში მაინც  
უნდა მოვიგონოთ მეთვრამეტე საუკუნის საგადასახადო ნუსხის (Hd—3130,  
1770 წ.) ერთი ადგილი: გამოიღოს ფანშეთმა... (sic), თხელშამ, ქურ-  
თამ, გაიბოტემ [ამდენი და ამდენი...]. თუ ძველად თხელშა იყო, აწინდე-  
ლი ტოპონიმის ფხელშე-ს ნაცვლად, მაშინ ეს ორმხრივ არის საინტერეს-  
სო: ერთი, კომპლექსის ცვლილება თხ → ფხ; მეორე, ებოლოკიდური გაჩე-

2 შეშობად ნამყოფი, შეშის დამზადების სამუშაოდან მოსული.

ნილა ან ი-ს დართვით (ფხელშია—ფხელშიე—ფშელშე), რაც ნაკლებმოსალოდ-  
ნელია, ან, უფრო სავარაუდებელი, ე იყოს სუფიქსის ნაშთი (ფხელშე—\*ფშელ-  
შეთი||\*ფხელშენი).

მიცემითი ბრუნვა მოხეურში ლოკალური მნიშვნელობითაც გამოიყენება:  
ძ ა უ გ ს წავიდა; ა ჩ ხ ო ტ ს დაუხუდეს მტერსა; ქ ა ლ ა ქ ს მივიღივარ. ემ-  
ფატიკური ა აქაც იხმარება. ის გამოყენებულია მრავლობითშიც სახელთა  
ხელმეორედ ბრუნებისას: ც ო ლ ე უ რ თ-ა-ს დარჩებოდა; გამავიდეს დ ე-  
დ უ ლ ე თ-ა-ს (კარკ. 196); დაასახლეს დედის ძმა-თ-ა-ს (კარკ.); მ ე ზ ო ბ-  
ლ ი ა ნ თ-ა-ს (ა. ყაზბ., III, გვ. 391,31).

ამ ბრუნვისათვის მოდალური მნიშვნელობაც არაა უცხო: მიცემითი ენა-  
ცვლება ვითარებითს, თუმცა ამ ფორმით რამდენიმე სახელია გვხვდება გაქვა-  
ვებული სახით:

თოფები მ ზ ა ს გუქონდის (ყაზ., 22); მ ზ ა ს იყავითო; ე გ ე თ უ რ ა ს  
ვინ იფრო იტყუის? ქალი მინდორჩი დააგდეს მ ა რ ტ უ ა ს ა (კარკ., 84); ნუ  
დააგდებთ მ ა რ ტ უ ა-საო; კოქლა-კ ო ჭ ლ ა ს სიარული; ძოვნით მოდის  
[ცხორი] ნ ე ბ ა ს; ფ ხ ი ზ ე ლ ა ს უთქმია; გიგოლის ძმაი ფ ხ ი ზ ე ლ ა ს  
იყოო (სიონი, 193); სუ თ ე თ რ ა ს გავათენეთ: ტ ი ტ ვ ე ლ ა ს დადიოდა  
სულ: მ ე ზ ო ბ ლ უ რ ა ს ვიცხოვრათო (ფხ., 126); კაცი ი ო ლ ა ს გავა;  
მ შ ი ა რ ა ს იქნები; რ ი გ რ ი გ ა ს ყარაულობენ; წ კ რ ი ნ ა ს („მწკრივად“)  
მიდიან; რ ო გ ო რ ა ს ხარ თავადა?

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიცემითში გამოვლინდება ა, რომელიც მრავ-  
ლობითის ფორმაში ემფატიკური ხმოვანია (ც ო ლ ე უ რ თ-ა); ეს ა მხოლო-  
ობითშიცაა. ერთ შემთხვევაში თუ ის ფუძის საწარმოებელია (კნინობითობა  
'ან დაცინვა: ტიტველ-ა, შშიარ-ა...), სხვა შემთხვევაში ასეთად მიჩნევა გაჭირ-  
დებოდა (წკრინ-ა-ს). მაშასადამე, ას მიცემითს ერთ მთლიან სუფიქსად გვე-  
ლინება, ვითარებითის ად სუფიქსის მსგავსად<sup>1</sup> (-ად||-ას).

ნანათესაობითარი ვითარებითი ცვლის -თვის თანდებულებიან ნათესაო-  
ბითს, მაგრამ არც ისე ხშირად, როგორც, მაგალითად, ხევსურულში: არ შე-  
ეტყობინა ხალხისთჳი ან ც ხ უ ი ს-ად (გორისციხე, 172).

ბოლოხმოვნისანი სახელების მიმართვის ფორმაში მკაფიოდ ისმის ვ||ჴ:  
ჯახოთა-ჴ, ლელა-ჴ, კოტია-ჴ, ნინია-ჴ.

საინტერესოა ქალ სიტყვის მიმართვის ფორმა: ერთია საერთოდ გავრცე-  
ლებული ქალ-ო (სახლო, გამშვენებს ქურჭელი, ქალო და რძალო, სიტურ-  
ფე: ს. მაკალ. 528), მეორე — სააღერსო ფორმისაგან ნაწარმოები ქალა-ა-ვ  
(ქ ა ლ ა-ა-ვ, მაგ. შენმა მერდინმა... მოხ. ხალხ. ლექს. № 11) და მესამე იშვია-

<sup>1</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუ-  
ნებასთან შედარებით, სმამ, V, № 3, 1944, გვ. 340.

თი. თუშურში შემორჩენილი სახიერ ტიპის ქალ: ქალ, შენის მოლოდინთა (მოხ. სახალხ. ლექს. № 7); სულ-გული გადავლია, ქალ, შენის მუდარობითა (იქვე, № 5). მართალია, უკანასკნელი ფორმა ძველია და მოსალოდნელი, მაგრამ მოხეურში სხვა შემთხვევაში არ შეინიშნება. ამდენად, ლექსს უნდა მიეწერებოდეს მისი შემოტანა.

მრავლობითი რიცხვის გამოხატვით მოხეური სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება, მაგრამ მინც საგრძნობია -ნ, -თ სუფიქსების ოდნავი უპირატესობა: ახკიდა ჯორ-აქლემთ თავის ქონება; თავ-თმათ იგლეჯდა (სიონი. 1:5); ეშმაკთ სწორი გაცდაო; ნათლიათ („ნათლიებმა“) შაიფარეს (გორისციხე, 171). ამგვარ შემთხვევებში ნათესაობითში ემფატიკური ა-ც იხმარება და ი-ც. უპირატესად ღია კონსტრუქციაში: ჩოულობა გუოქ მამაპაპათი (ხურთ., 151).

ზოგჯერ ამ თ-ს თითქოს თავისი ფუნქცია არც აქვს (დღეისწორთ ჩანოლის): სხვა მაგალითების მიხედვით ის უფრო სიტყვაწარმოებისეულია (იხ. სიტყვაწარმოება).

## § 2. ნაცვალსახელი

პირველი პირის ნაცვალსახელი იშვიათად მენა ფორმითაც გვხვდება: ოცი ცხორი შენა გყავ, ოცი — მენა (ტყარშ., 185); მენაც ჩქარ დავეთხოვები (ს. მაკალ. 267). ჩვენებით ნაცვალსახელს კი თავიკიდური ხმოვანი ეცვლება. ამ ფუძის ნაცვალად არის ემ მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც, იგივე გადაწყვება მისგან ნაწარმოებ კუთვნილებითს ნაცვალსახელშიც: ნახა ემ ქალმა ჯორი; ემ სიმდიდრეს კელჩი ჩავიგდებო; ემ კაცსა ხყვალა ხიზანი; ქალსა წინავ ვერ შეეძლა აი ემ კოკების გამაჩენა (ყან., 20); ემ ეზოზე გამეველა; ემას ორი კაცი ქირაობდა (ყაზ. 113); ემასა სამწყალობნო სამანს ეძახოდეს (გორისციხე, 50); ემან იცის; დავასახელებდით: ემან ქვა ზიდას, ემან კედელი ააგას (ხურთ., 55); ძრიალ დაღონდა ემის გაგონებაზე (გარბანი, 84); ემისი სადგური აქ არისო (გერგ., 12); შაგროვდებოდა ემითაც ქუეყნის ფული (ყაზ., ემდენი ცხორი...).

ემ ნაცვალსახელს ხმარობს ა. ყაზბეგიც (III, 421; IV, 355). მნიშვნელობით ემ უდრის ამ და შავ ნაცვალსახელებს, გამოითქმის და ისმის ჟემ.

ისმის კითხვა: დამოუკიდებელი ფორმაა ემ, თუ ხმოვანთა შერწყმით და ასიმილაციით მიღებული: აი ამ>ეი ამ>ემ? ასეთი გზა მოსალოდნელი არაა, მოხეურში უნდა გვექონდეს ხმოვანთა მონაცვლეობა, უკეთ: სახელობითში გამოყენებული ე ხმოვნის შენარჩუნება: ეს—ემ (შდრ. ეს—ამ, ამან...) ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (და ზმნისართების) სისტემების კვლევისა და მათში ხმოვნების ისტორიისათვის ემ ფუძე გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს: გამოდის, რომ ე პირველ პირთანაც შესაძლებელი ყოფილა, თუმცა ჩვენ ეს მეორეულად მიგვაჩნია.

ასევე ხმოვნებს შეაქვს განსხვავება მესამე პირშიც: გურგენამ წაიყვანა ისა, ისაც გოხმარებოდაც; ისაც დეთანხმა; ეგა, რომენი მიზღინხარ მაგ შაროვანთა გზათაო („ამირა“, სნო); ისითი ჩოულობა იყო (ყაზ., 39). თავისი ნაცვალსახელი სამსავე პირში იხმარება ისე, როგორც ეს ძველ ქართულში და მეზობელ დიალექტებშია: მე თავისი ცხორი მექნებოდა („მეყოლებოდა“).

გვხვდება იგ (<იგი) ნაცვალსახელის ხმარების იშვიათი შემთხვევა აღრინდელი თაობის მეტყველებაში: რო მიხოლი, უთხროდე ეგრენა: იგ რო არა ხარ? თუ იმან გითხრა, რო იგ ვარ, მაში ჩუენი ვინმე იქნებაო... მოვიდა მანიჯავი და, როცა შახკითხა — იგ რო არა ხარო, იმან უთხრა, რო იგი ვარო და არცა („არსად“) სქო შენაო. მამრე ბეჟანის ცოლმა უთხრა, რომ ის ბეჟანის ცოლი იყო („ბეჟანიანი“ სოფ. გაიბოტენი).

იგ ფორმას იყენებს ილია ჭავჭავაძე მოხვევის მეტყველებაში: იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევერ გასატან-გასასყიდ აქვენ; იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ; არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს (ილია, II, 25—29).

იგ ანალოგიურია ის (<ისი) ნაცვალსახელისა და იხმარება XII—XVII სს. წერილობით ძეგლებში<sup>4</sup>.

ჩვენებით ნაცვალსახელებს და მათთან საზიარო ფუძის მქონე ადგილის ზმნისართებს ხშირად დაერთვის მაკონკრეტებელი ისევე ჩვენებითი ნაცვალსახელები ან მარტოოდენ დეიქტური სმოვანთავსართები, რომლებიც ხმოვნით დაწყებულ მომდევნო სიტყვებს არ ერწყმიან, არც რაიმე ცვლილებას იწვევენ<sup>5</sup>; დაუნახია დიდი ჭურჭელი და უთქმია: ეგე ეგაი მამიტანეო (ყაზ.): ეგე ეგეთია ზოვი ტიალაი; ეგე ეგვიცი, ცხო არც რაი; გაიტაციაწყე ეგე ეგრე (ყარ., № 53); ნადირი ეგე ეგრე ფერდობზე გადმადისყე: აგე, იქა დგას; აეს ქურდობა რომ არ ყოფილიყო: ე მაგ ლუქა (გეგრაგ., 10); ე მაგ ოთხ მათავანი არიან ეგ ჩოფიკენი (გეფრაგ., 106); ე მაგას ეძახიან ალსა (სიონი, 120); ე მაგის მალექსობელი ლალიტეთ სება ვარიო; ა ის ყოჩი დაქალო (გეგრაგ., 110); ე მაგის თანა მეცხორე.

სხვა დიალექტების მსგავსად, I, II და III პირთა ჩვენებითი ნაცვალსახელების მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში მარტოოდენ ხმოვანი იხმარება: ისამხედრო როგორი იყოო; ადგა ისევილი, იარადიც არ აილა; შაუძრაბა შუა ლამეჩი ისეშაკსა; მეშინია ისეკისაგა (სიონი, 119); საილამ მაგყავთ ექალიო? — ექალი კადოდამ მოგუყავო (გეგრაგ., 81); ნეტამც ეგული ტიალი, თავს შემოავლო შანადა (სახალხო ლექს. № 8).

<sup>4</sup> ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, § 81.

<sup>5</sup> შდრ. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 12.

<sup>6</sup> აგე, ეგე ამ შემთხვევაში აგერ, ეგერ ადგილის ზმნისართებში გამოყენებული ფუძეა.

კითხვითი ნაცვალსახელი რომელი მოხეურში ხშირად რომენი ფორმით იხმარება (რომენიც იქ მოთაური იყო, იმას უთქმია), ხოლო რამდენი. იმდენი, მაგდენი — რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება: რომთენი, როსდენი, როსტენი, რომლონი, რომდჟენი, რამტჟენი: რომთენი ცხორი წაუღეს (კარკ., 63); ვინ რომთენს შააწევდეს; როსთენჯერ იტყოდეს, მამრე გარიგდებოდეს (ყაზ., № 34; დარჩა რომდენიმე დღე იქ (ყაზ., 34); სად იყავ ამდონს ხანსო (სიონი, 117).

ჩვენებით ნაცვალსახელებში, ვინ და ზოგი ნაცვალსახელებში მრავლობითს ყოველთვის -ებ სუფიქსი აწარმოებს, თანაც მოსალოდნელი ორი ე-ს ნაცვალად ერთია: ვინებიც ქალს მაყრად გამახყვებიან; ჩუენაო საით მიგურეკეო, ვინები ვართო (ფხელ., 124); მე არ მყავ შვილიო და ესები მაინც დაიზრდებიანო; ეგები სულ გაუწყუტია (ცდო, 276); შენ ეგები ის („მაგათი“) სისხლით გამაძღარი ხარო (ყაზ., 21); მაგებს კარგად შაგინახავ (ს. მაკალ., 281); შენც მაგკლავთ და ემეებსაც დავკოცავთო (ყან., 159); იმებს გეყარნეს; აღმართი კი მე ვაჯობე, თავდაღმართი — იმებმაო (ხალხ.); წამაიღეს მამრენა ისები (ფხ., 121); ისები რო დასტენეზულები არიან (ყაზ., 40); მე როცა ესეები მამივიდა (ყაზ. 88); ზოგს სულ არ უნდა ცხორჩი, ზოგები სულ დავდივართ.

ქართულ-კახურიდან ცნობილი ისემე||ისამე (იმერ. იმანო) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის პარალელურად, ან უფრო ხშირად მოხეურშია ამე<sup>7</sup>. ამეს ეძახოდეს. ამე ექტინა იმ ბალსა... გოგნა, აი ესეთი ამე გავამტყელითყე; სასმელი და ისამე კი არ იყვის: ეზოჩი ისხდეს ისამები... კაცები.

მოხეურში მავანიც გვხვდება, მაგრამ იშვიათად და მასაც სხვა ნაცვალსახელ-ზმნისართების მსგავსად, დეიქტური ა ერთვის: ამავანმა კაცმა გამამგზავნაო (ხურთ., 144).

საყურადღებოა ნაცვალსახელებში და ნაწილაკებში მათი თანამიმდევრობა: ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის შემდეგაა ნაწილაკი: გიკბინა რამამე? ერთბაშად რამლაც ამიტაცა; იღებდა ქოით რასცალა; ვინებლაც იყვნეს (ყან., 159).

### § 3. რიცხვითი სახელი და თვლის სისტემა

რიცხვითი სახელი და თვლის სისტემა მოხეურში ნაწილობრივ განსხვავდება სალიტერატურო ქართულისაგან. სათვალავში ოცეულებრივი სისტემა გრძელდება ოთხმოციდან ზემოთ: ოთხოცი, ხუთოცი, ექვსოცი... ხოლო ასე-

<sup>7</sup> ნიშნავს: „ვიღაც“, „რადაც“, „რა ჰქვია“... მტკმელი ვერ იგონებს სახელს, თუ გაახსენდა (პაუზის შემდეგ), ბოლოს დაურთავს.

ულებრივი — ათასის შემდეგ: ცხრაასი, ათასი, თერთმეტასი, თორმეტასი და ა. შ. ასეულების რაოდენობის მსაზღვრელი რიცხვითი სახელი ხან ფუძითაა; ხან კი სახელობითშია: იქნებოდა ეგრე თ ხ უ თ მ ე ტ ასი (კარკ. 63); თ ო რ მ ე ტ ასი ცხორი წამილა ქარბუქმა (ცდო); ორი ათას ე ქ უ ს ო ც ი ცხორი დოგელუბა (გერგ.); თ ე ქ უ ს მ ე ტ ი ასი თუმანიც არ ჰკმანობს (სიონი). ეგევე სახელი ასეულების აღმნიშვნელ სიტყვას ეთანხმება ბრუნვაში: მ შ უ ი დ ო ც ს წელს მიაღწია (გერგ., 120).

ოცეულობითს გარდა, ზოგ შემთხვევაში თვის სისტემა ოცდაათეულობითიცაა: რ ვ ა ო ც და ა თ თუმნად მოვრიგდით (ტყარშ., 189).

#### § 4. თანდებულები

თანდებულები უპირატესად ფონეტიკური ცვლილებებით განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. იხმარება ში თანდებულის (resp. ზმნისართის) გააფრიკატებული სახეობა ჩი, რომელიც ჩიგა ფორმითაც დასტურდება. შ კ ა მ ჩ ი ზის; მამჭუღარა გ ზ ა ჩ ი; ფუთნახვეარი ჩადიოდა ჩ ი გ ა: ქუღზე კაცი დაიძახიან ს ო ფ ე ლ ჩ ი გ ა. თუ რამდენად ძველია თანდებულის ეს სახე, ამის შესაძებ დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ისტორიული საბუთები. მაგალითად, 1626 წლის ერთ დოკუმენტში ნათქვამია: ს ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ო ჩ ი გ ა მამულს გუთაჯენით (ქართულ-სპარსული საბუთები, 58); 1742 წლის საბუთში სწერია: თუ ა მ ა ჩ ი გ ა გსარჯო, წ ე ლ ი წ ა დ ჩ ი სამი კოდი წმინდა პური სარგებელი მოგცე (მასალები საქ. ეკონ. ისტორიისათვის, II, გვ. 28, საბუთი შედგენილია მარნეულში).

● ხალხური ლექსის მიხედვით, ვით (>ვი) თანდებული სახელობითში ერთვის ფუძეხმოვნიან სახელს: სიკვდილის დღემდე მაგარო, ს პ ი ლ ო ვ ი გაუტეხარო (მუშ. 25—812).

როგორც ზემოთ (ფონეტიკის ნაწილში) აღინიშნა, თვის თანდებულში ხან ს იკარგება, ხან ძველი — -ინ(ა) დაბოლოება გეხვდება: კაცი რო გამოგიგზავნე, პასუხს რ ა ი ს თ ე ი არ მეტყვი (სახალხო ლექსები, № 24); მოუაროთ იმ ყვავილსა, რაც რო დარგეს გ ლ ე ხ ი ს თ ვ ი ნ ა, არ დაქროთ ის სინათლე, რო ენთება ლ ხ ი ნ ი ს თ ვ ი ნ ა (ს. მაკალ. 256). ასევე კენ და გან თანდებულები ხშირად იკვეცენ ბოლოთანხმოვან ნ-ს; ჯარებით ეზიდებოდეს ქ ა ლ ა ქ ი ს კ ე; ომს უჩვეულო ბიჭაი შ ი ნ ა ტ კ ე გაიპარაო (ფა № 50), მაგრამ: მე შე ნ კ ე ნ ვარ, შენ კი ც ხ ვ ი ს კ ე ნ (სახალხო ლექს. № 30); საჩუქრად მიელა ნ ე ფ ი ს ა გ ა... მაგრამ ნაწილაკთან ნ აღდგება: მე ზ ო ბ ლ ი ს ა გ ა ნ ა ც. გვხვდება -მღი, -მღინ, -მღის და კონტამინაციით -მღისინ ფორმები: ს ა დ ა მ დ ი ნ უნდა გელოდე, რ ო დ ე მ დ ი ს ი ნ ცრემლი ვღვარა (ს. მაკალ. 265); სათავით ბ ო ლ ო მ დ ი ნ ა (კარგ., 66). მ ი ლ ა მ დ ი ს ი ნ არ ჩამაყდებოდეს, ს ა ნ ა მ დ ი ს ი ნ არ გასწორდებოდა. -მღინ თანდებული მიცემითის

ფორმასაც მართავს: მაღალი ციხე კლდეზედა დღესამდინ ისევ მდგარია (ს. მაკალ. 128).

ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც შეინიშნება -დამ (>დაღმე) თანდებული: ზემოდამ მორბის ღრუბელი, ქვემოდამ წვიმა წყვეტილი (ს. მაკალ: 260); შიგნით კარი გააღე, გარედამ ფანჯრები (ს. მაკალ. 258); საიდაამ მაგყავთ ეს ქალიო? ხადოდამ (გერგ.).

-დამ თანდებულის საპირობება მოხეურში არაა, მოქმედებითი ჯერ კიდევ უთანდებულოდაც გადმოსცემს ამ შინაარსს.

რამდენიმე თანდებულისი (-გან, -ზე, -ჩი, ||ჩიგა) სახელი მოხეურში იბრუნვის, კერძოდ, მოქმედებითში კონკრეტულად გადმოგვეცემს ადგილს, საწყის პუნქტს, საიდანაც გამოდიან ან ნასუბიექტარ უბრალო დამატებას (ვის-გან): არშის ციხევე, ბევრს დარჩა შენგნით სახელი („არშის ციხე“); კაცი სგნით ვერც რაი გახერხდებოდა; ის თინა ლეკები სგნით ყოფილა გატაცებული (სიონი). იმათგნით გაყრილები ვართ; ცხოგნით მასულები ვართ (სიონი, 58); თოფისგნით დაშინებულები (ყარკუჩა): გულზედით ჩამმდინარმა სისხლმ შაგიღება კალთანი (ახალციხე); ქობი საკიდელზეით ჩამოხსნა (ყაზ., 93); სალამოზე საჯნავზედით მალიოდა (ყაზ., 90); ჩამოვიდოდის იმ ქედზედითა (ყაზ., 23); თავზედით ქული მამეჯადა („შევრცხვი“); ლოგინზეით აუდგომელსო. (შელოცვიდან); იყო ამარჩეული ხალხი ჩიგათა; ცხოჩიგათ რო მავილოდა (ყაზ., 20); ჯარჩიგათ მამდინარი მამკუდარა გზაჩი.

სალიტერატურო ენის გარდა და საშუალი ქართულის კიდევ თანდებულად გამოყენებული სიტყვების ნაცვლად ან მათ პარალელურად იხმარება აგრეთვე გან (>გა) თანდებულისი სახელი და მეტი: არცვინ არ ასდგეთ ჩემგამეტი (ყაზ., 135); შენგამეტი არცვინ იტყოდა (ყაზ.); შენგამეტი ვერვინ დასწონდა („გაბედავდა“ კარკუჩა).

## § 5. ზმნისართები

მოხეურში წარმოებისა და მნიშვნელობის მხრივ მეტი თავისებურებით ხასიათდება დროის, ვითარების და ნაწილობრივ ადგილის ზმნისართები. ამ ზმნისართებს საზიარო ფუძე აქვთ ნაცვალსახელებთან, მაგრამ აქაც განსხვავებულია ხმოვნები, ხშირად ერთვის -ნა საწარმოებელი და მთლიანად ეს ახალი სიტყვა ნათესაობითის გაქვავებული ფორმითაც გვხვდება. მაშასადამე, სალიტერატურო ენის ასე, ისე, აგრე, ეგრე, ისევე მოხეურშია: ესრენა, ეგრენა, ისრივე და ა. შ.

დემესიზმრა ესე ესრეო; გასწია-გამასწია ესრენა; ჰკრა კელი ესრენა; აქ არ იყოდიან ეგრენა; დარჩა ხალხი ეგრენის (ყან., 135); გამთელდებოდა ისავა („ისევე“); დეებეგვა ისრი, რო სისხლი წამევეა;



ის რ ი ტირის, რო სადგომი ცრემლითაა სავსე; იმას ის რ ი უთხრეს; მართ-  
ლაც, ის რ ი მავადინეს; ის რ ი გაგვაყვალთან, ქმარი არც კი ვიცოდით; ჯდე-  
ბოდის ის რ ი ცა, რომელი ღამე აძუებდის; ჯოხი გართა ის რ ე ნ ა („ისე“,  
„იმნაირად“) როგორც კიდი (სიონი, 272); ის რ ი ვ („ისევ“), ქალაქი წავიდის;  
მარიანობაზე აიტანიანვე ის რ ი ვ ა; თუ შავალ, ის რ ი გამოალ.

არსებითი სახელებისაგან რთული -ებრივ||-ობრივ>ობლივ საწარმოებლე-  
ბიანი ფუძეების ზმნისართებად ქცევის რამდენიმე შემთხვევა (ზოგჯერ ბოლო  
კიდურა ვ-ს დაკარგვით) არის შემდეგ მაგალითებში: ვისაც ცხენი არ ჰყვან-  
და, კ ა ც ო ბ რ ი ვ ჩამაიტანდა (სნო, № 215); ცხორი ქ ე ჩ ო ბ რ ი ვ მიგუი-  
დიოდა (სიონი, 271); ავდექით, ბალხეთს წავედით, ქ უ რ დ ო ბ ლ ი ვ შავიპა-  
რენით (მუზ., 713); ცხორ-ძროხა მოხევეების ფ ა რ ო ბ ლ ი ვ მიუდისაო  
(„შიოლას ლექსი“); წ ლ ო ბ რ ი ვ ვრიგდებოდით (ხურთ., 154); საბელს ძუი-  
სას დავეგრებთვე ც ა ლ წ უ ე რ ო ბ ლ ი (>ცალწვერობლივ); ის რ ი გაქირდის,  
ხ უ ი რ ო ბ ლ ი („ღერა-ღერა, „ღერობით“, „ცალობით“) ვაქმიითვე თივა;  
არაყი ვ ე დ რ ო ბ ლ ი ვ ა ც ვიცოდით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის -ვით თანდებულიანი საგარე-  
შობო სიტყვის ნაცვლად გვხვდება -ებურ სუფიქსიანი სახელის გარდაქცევი-  
თი ბრუნვა: ყ ვ ე ლ ე ბ უ რ ა დ („ყველივით“); ხანჯალი კაცს ყ ვ ე ლ ე ბ უ-  
რ ა დ შკრისაო (გარბანი); ქ ო რ ე ბ უ ლ ა დ („ქორივით“); ქალს ქ ო რ ე-  
ბ უ ლ ა დ დაქროლავს (ა. ყაზბ. ლექსები, 1910, გვ. 30). საინტერესოა ამ  
ფორმათა მონაცვლედ მიცემითის გამოყენება (შდრ. მზად||მზას) ხალხურ ლექ-  
სებში: ამოვქროლდი ქ ა რ ე ბ უ ლ ა ს, ამოვევირდი ქ ა რ ე ბ უ ლ ა ს (შე-  
ლოცვაში), შდრ. ამოვალი ც ე ც ხ ლ ი ვ ი თ ა, დავზანდები ვ ე რ ც ხ ლ ი-  
ვ ი თ ა (მუზ. 23—723).

ზედსართავეებისაგან ნაწარმოები ზმნისარტები ფუძით (გაუფორმებლად)  
ახმარება ისევე, როგორც ეს მთიულურშია შენიშნული<sup>8</sup>. არის იშვიათად ვი-  
თარებითი ბრუნვის სრული ფორმით გამოყენების შემთხვევებიც და დიალექ-  
ტებისათვის დამახასიათებელი პარალელური ვარიანტები: ჩ ქ ა რ || ჩ ქ ა რ ე ||  
|| ჩ ქ ა რ ე დ.

რო კაცი კაცთან ს წ ო რ ი ყოს; ჩ ქ ა რ რომ არ ვლაპარაკობ? ს წ ო რ გი-  
წერია? ძმებსაც ჩ ქ ა რ შაგიტყობინებთ; ლ ა მ ა ზ ვაიგე, იმ მთიულის ცხე-  
ნი რომენია (გორისციხე, 340), მაგრამ: რო ვაზელდეს იმ ტყავსა ლ ა მ ა ზ ა-  
და (გერგ.); მა გ რ ა დაკრა (სნო, 9); სულ ჩ ქ ა რ ე ბარად ჩამოვა, მენაც  
ჩ ქ ა რ დავეთხოვები (ს. მაკალ. 267); ჩ ქ ა რ ე იარე, ზალიქო (სნო, 5) ჩ ქ ა-  
რ ე დ ვ ე ცხენი მოჰგუარე, რომენიც ჩ ქ ა რ ე დისაო (ხალხ., გერგ.).

გარდა ამისა, ზმნისარტებს აქვს -თ დაბოლოებაც (ჩ ქ ა რ თ; შდრ. ნაწი-  
ლაკ.) ჯ ე რ თ), რომელიც შესაძლოა დ-ს დაყრუებით იყოს (შდრ. იმერ. ჯ ე-

<sup>8</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშის მოაგებ, II, 1937, გვ. 50.

რეთ < ჯერედ: ამჯერად), მაგრამ თვით მოხეურში ამგვარი ფაქტი (დ-ს დაყრუებისა) ძალიან იშვიათია: გემდური, თეთრო მყინვარო, ჩქართ ამიხარე კელია (ხალხ., გერგ.). ეტყობა, მარტივ ფუძეს ერთვის -დ: \*ჩქარ-დ (შდრ. ჩქარ-ე-დ, ჩქარ-ა-დ) > ჩქარ-თ.

ვითარებითი ზმნისართი გამოიხატება აგრეთვე მიცემითის გაქვავებული ფორმით და -ზე თანდებულით: ნებას უთხროდე; ჩქარე მღევარი მოვიდა (ფხ., 168) გათხარეს ერთაზე დიდი სასაფლაო (ყან. 134); ერთბაშაზე დასტაცა კელი.

სალიტერატურო ენის კომლობრივ ფორმას ენაცვლება კომეურად (კომლეურად).

ადგილის ზმნისართების წარმოების ერთი თავისებურება ისიც არის, რომ მხოლოებითის ფორმაში ნაგენეტივარი მიცემითის წასვლ-ის-ა-ს ნაცვლად მარტოოდენ ნათესაობითი ან ცალმაგი მიცემითია (ნაცვალსახელებში) — წასვლ-ის. გვაქვს შემოკლებული ფორმაც ამოვეს „ამოსვლისას“): ჩავლის კი არ გინდა რა, ამოვეს გმართებს ზიანი (გაიბოტენი, 315); გამავეს რო გამაივლი, დედილაი ღნაზოდე; მთელი სოფელი ჩემს იყვის (ხურთ, 155): ჩუენს წამაივია; ამელამ თქუენს უნდა ვიყოთ; იმათას გოგრეკეს (ყაზ., 264).

ჩვენებით ნაცვალსახელთა შესახებ მსჯელობისას ნათქვამი იყო, რომ პირველი პირის ამ ფორმის ნაცვლად გვაქვს ხმოვანშეცვლილი ემ, ასევე ადგილის ზმნისართებშიც: ნაცვლად აქ, იხმარება ექ: ცოლი მასტაცეთ და ექ ჩამაიყვანეთო, რომ ემით მაინც შავარცხუინათო (ფანშ., 225). ასევე ამ ზმნისართებშიც გამოიყენება ადგილის მაკონკრეტებელი მისათითებელი სიტყვები, ზმნისართები (აგრა იქა) ან მარტოოდენ ხმოვნები (ა, ე): აგრა, აიმ მთაჩი; დაწეე ახლა აგა, ე მანდაო (გერგ., 109)<sup>9</sup>; ე მანდ, აჩხოტს გამაივლეს (ფხ., 124); ე მანდ ბეერი განძეულობა ყოფილა (გერგ.); ჩემი ბინა აიქიტკეა (გერგ.).

ძალიან ხშირად უთანდებულო მიცემითსა და გარდაქცევითშია ადგილის ზმნისართები: ლამაზო, გნახე ხატობას (სახალხო ლექს. გვ. 8); ან მტერი შემოღვარდება, ან მთად გაუვა ნადარი (იქვე, 34).

ღროს გამომხატველი ზმნისართების წარმოება ნაწილობრივ იმეორებს ნაცვალსახელის ძირების საზიარო ფუძის მქონე ვითარებითი ზმნისართების თავისებურებას — დაერთვის -ნა ბოლოსართი, რომელიც საერთოა სხვა დიალექტებში (მაგალ. გურ.-იმერ.) გამოვლენილი -ნა ელემენტისა და დეტერმინანტებისა (მარტუა-ნა, წელა-ნა, აქა-ნა, სადა-ნა).

<sup>9</sup> ძალიან საყურადღებოა მოხეურში ჩვენებითი აგა ნაცვალსახელი, რომელიც დიქტური ფუნქციით იხმარება ჩვენებით ზმნისართებთან: აგა იქ. თუ აგა ნაცვალსახელის ცალკე ხმარება დადასტურდებოდა, მაშინ შეივსებოდა ე. თოფურის მიერ ნავარაუდევნი პარადიგმი: ||ევე||აგა.

ზმნისართის წარმოების თვალსაზრისით ეს საინტერესოა, რამდენადაც ერთი ძირიდან დიალექტების მიხედვით რამდენიმე ვარიანტი დასტურდება: კ ი დ ე, კ ი დ ე ვ, კ ი დ ა ვ, კ ი დ ე ნ (შდრ. კ ი დ ე ნ ა ც, ღმარობს ილია, „კაცია-ადამიანი?!“).

სახელისაგან ნაწარმოები ზმნისართები ანალოგიით და უნიფორმაციის ტენდენციით, ასევე პირველადი ზმნისართები ხშირად მიცემითი, ზოგჯერ კიდევ ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა. ზოგ მათგანს დიქტური ა-ც დაერთვის. ამგვარად, გვაქვს ერთი და იმავე ზმნისართის რამდენიმე ფორმა: ეხლა, ეხლანა, ეხლანის; მაში, მაშინ, მაშის, მაშინის; წელა, წელას, წელანის და ა. შ.

წელას აქათ გეძახი; შენ რო მიანბობდი ძოლანისა; წინას („წინათ“) ხეს გათლიიან (კარკ., 65); გარეთ რო გავალით, მაშინის გამავაჩინათ ერთურთიო (ყაზ., 26); მაშინის მღღელი მარკიო იყო (გერგ., 7); თუ ნაკლები ბალახი აქუ, მაში უჯდება ზედმეტი ძოვება (კარკ.). გუშინის ეთქო.

აეხლა ცხო დროა (ფხელშე, 51); ეხლანა<sup>10</sup>, ომი რო იყო, იქით მოვე; ეხლანის კი ზოგ-ზოგები მიზღვევენ (ხურთ., 156); ბედრიანია ეხლანის; ეხლანის ადრე აღარ თხოვდებიანკე; წამაილეს მამრენა ისები (ფზ., 121); აილა კიდავ; წინავ კიდენ თემის წესი იყო (ყაზ., 332); მავამზადით ესები და მამრენის გამოუშუთით არაყი (გერგ.).

მიცემითის ფორმით გადმოცემულ უთანდებულო სახელს ვითარების ზმნისართის ფუნქცია აქვს, მას სალიტერატურო ქართულში -ით დაბოლოება შეესატყვისება: ლარსამდინ მამყვა სროლასროლას (ყაზ.); კითხვა-კითხვას მოვიდა კარკუჩას (კარკ.).

ასევე ჩვეულებრივია სახელთაგან ნაწარმოები დროის ზმნისართები: დაშინებულია ხალხი აქა: ზამთრის ზოვი, ზაფხულის წყალი; ისითა სახლები აქუთ იქა, რო ზამთრის თბილია, ზაფხულის — გრილი; სანდრო ზაფხულის აქ მოვიდის: ზაფხულის სამშობლოს მთებზე ბევრჯერ შავაფინე ცხორია (ხალხ., გერგ.); ზამთრის უყორდა ბუხარი, ზაფხულის — გრილი ნიავი (სახალხო ლექს., 7); ზაამთარს ჩამალღევს ქირითა, ზაფხულის წავა მთაზედა (მუზ. 844); შუალამის დახფანტვია ცხორი (სიონი, 121).

მოქმედებითის ფორმით გაქვევებული ოდინდელი ზმნისართი წინათ და ზოგიც სხვა გვხვდება უძველესი -ავ, -ივ დაბოლოებით, ზოგჯერ უნიფორმაციით ესეც ნათესაობითშია: წინავ-ის: წინავ ხატობაჩი დავდიოდით (გერგ., 6); წინავ მანდ მდგარა ირჯეული (გერგ.); ესრე იყო წინავა და ეხლაც; წინავა იფრო ბევრს ვმუშაობდითე; ეგ წინავისა ყოფილიყო

(კარკ., 205); ამ ზამთრივ ვიყავ ცხორჩი (კარკ.); წამაიყვანეს უნებლივ („უენებლად“); ჩემ მაგივრივ შენ წადი ცხორჩი (სიონი).

შიგნიდან ფორმის ნაცვლად უთანდებულო მოქმედებითა გამოყენებული: შიგანი თ კარი გააღე (ს. მაკალ. 258); შიგათით გამაიყვანო ფერანთ აბაბის ქალია (ს. მაკალ., 275).

## § 6. კავშირები

თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით რამდენიმე თავისებურება შეინიშნება კავშირების ფორმასა და მნიშვნელობაში. არის შთაბეჭდილება, რომ და კავშირი მაპირისპირებელი მაგრამ, ხოლო კავშირების მნიშვნელობითაც იხმარება: იმათი ლუდი კარგია და უსუფთაო ხალხია (სნო, 9); ნიჭიერია და ზარმაცია; ვარგნებული (sic) ადგილია და ბატარაია; წყალი გემრიალია და ოგუემლურა; არ მეშინია კი და მეზურება სიკუდილი.

რომ (რომელ) კავშირი, ძველი და ახალი ქართულისაგან განსხვავებით, კითხვით-დადასტურებითი ხომ ნაწილაკის, ხოლო ლექსებში როგორც კავშირის მნიშვნელობითაც გამოიყენება: ქალი რო არა ხარ, შეხუტეწებო! (სიონი, 56); იმ ავადობას რო არ მოვიტანდიო (სიონი, 118); იმუშავე, რო ხხედავ შიმშილი გუკოსო (ყან., 95); თამარ ნეფე რო იცი? მირგულივ ნახუევო. მთა-წუერო, რო გალავანო ქვისაო („თივის თრაზე“).

რთული წინადადების კავშირად ვიდრე-ს მაგივრად ჩვეულებრივია სანამ // სალამ: ჭუთას იფრო კარგა ცხოვრობენ, სალამ ართხმოსა; ყიზლარჩი მეტი სათიბია, სალამ აქა. აქვე დავსძენთ, რომ კავშირი და კორელატი გამოყენებით განსხვავებული არაა: სალამ დე ვერავინ დაღრია კელი, სალამ დე ჩუენი ბიჭები არ ჩაუჯდეს (ყაზ., 84).

## § 7. ნაწილაკები

ქართულ სალიტერატურო ენაში დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა სხვათა სიტყვის ნაწილაკების ხმარება პირთა მიხედვით. მთის დიალექტები ჯერ კიდევ არ განასხვავებს მკაცრად მათ გამოყენებას, კერძოდ, -ო სამივე პირისათვის გამოიყენება<sup>11</sup>. მართალია, სალიტერატურო ენის გავლენით მოხეურში პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად -ო იშვიათილია, მაგრამ თითო-ოროლა შემთხვევებს მაინც ვადასტურებთ: — ვინ გნებაესო, მკითხა. — ჩემი ამხანაგო, ვუთხარ. — როგორ იარე, რაითაო? — თავტალიკაიო მოველ, მარტუასაო — ვუპასუხე (გერგეტი).

<sup>11</sup> შდრ. ვაჟასთან: გამარჯობაო, რამდენჯერ ვუთხარი... კლდეს (III, 307).

რასაკვირველია, უფრო გავრცელებული და მიღებული პირველი პირის ნათქვამის გასამეორებლად მოხეურშიც -მე თქი ნაწილაკია, ოღონდ მისი ადგილი თავისუფალია: არ მე თქი მესმის; როგორ მე თქი არის საქმე? (ყან., 100); შავშინდი, არ მე თქი სცას; ნუ გეწყინება კი მე თქი, რაც მე თქი არ იცი, ნუ მე თქი აწერინებ.

-მე თქი ნაწილაკის ასეთი გამოყენება მოხეურისა ძალიან ჰგავს სვანურს (შდრ. ლახვთე მიგჯ ლური „მთაზე მეთქი ავალ“)...

სალიტერატურო ენის ჭერ ნაწილაკი ჭერთ ფორმით გვხვდება (შდრ. იმერ. ჭერეთ//ჭერე//ჭერეთი...): ჭერთ დედა მოუკჷდა, მამრე — მამა; ჭერთ ქვით გამატენიან კედელი... (ყან., 134).

ფშავურ-ხევსურულის მსგავსად, მოხეურშიც ნაწილაკიანი სიტყვის „სად-მე“, „სადაც“, „როგორღაც“, „რაიმე“ მნიშვნელობით იხმარება სამ: შინ არ ყოფილა, წასული სამ ყოფილა (სნო, 213); ლეკები ძრიალ ძალას სამ ატანდეს (სნო, 211); კაცი სამ შამამაჷდა (გაიბოტ., 317); საქმე სამ მაჷთო (ტყარშ., 319).

მოხეურში თავისებურად გამოითქმის უარყოფითი ნაცვალსახელები და ნაწილაკები, არაფერი, ვერაფერი, არავინ — თითქმის არ იხმარება, მათ ცვლის არარა, არცრაი: ჩუენ ცხო არა გუინდა რა (გერგ., 110); იმან არა გაიმაბა რა? (ყან., 271); — რაი გინდა ჩემგაო? — არც რაიო, შენი კარგა ყოფნაო; — ვინ იყო შენთან ერთად მთაჩი? — არც ვინ არ იყო; — ვინ ღნახე? — არც ვინ არა; არც ვინ დოგინახასო.

ასევეა უარყოფით ზმნისართებში: — სად იყავ? — არც სად; — როდის მახოლი? — არც როდის!

მთიულურის მსგავსად, შესაძლებლობის უარყოფის შემთხვევაში არ ნაწილაკს ზოგჯერ ცვლის ვერ: რაი ეჷთინა, ეს კი ვერ ვიცი; ვერ შამიძლია.

თურმე ნაწილაკის პარალელურად და უფრო ხშირად გვხვდება თუ: ურჯულოები მისდგომიან კარს, ქალს ქმარი თუ შინ არ სწვალაია; საბელი ყუთზე თუ ყოფილიყო გამამბული. სხვა კონტექსტში მასვე კითხვით დადასტურებითი ხომ სიტყვის მნიშვნელობაც აქვს: უნდა გეევა, იმ მთიულს ცხენი თუ არ ჰყვანდა.

მოხეურში ხშირად იხმარება -მცა ნაწილაკი. ძველი ქართულის სინტაქსური ძალა, ორიოდ შემთხვევის გარდა, მას აღარ აქვს, გამოიყენება სურვილის, დალოცვის ან წყევლის დროს: ხორბალს ეგრენა დალოცავდეს — დარშიმც გაილეწები; არამც ვინმე შამოვიდესო; ზანკალი სახურაღი აჷთ, არამც ჩაიქცეს [სახლი]; შარიგებულიმც ვიქნებითო; ისარიმც შამრჩება შენი თავი; ბალს კალთაჩი ჩაუსუენდეს და ეტყოდეს: ამის სახისამც გეყვალეზო (ხურთ., 145): ამოწყვეტილიმც მინახავ ორგულ-

ნი დედის ძმისაო (ს. მაკალ., 135); თემსაც აქამიე სახელი, ს უ ლ ი მ ც გ ი-  
ცხონდა მკვდრისაო (ს. მაკალ., 278).

მოხეურში ძალიან ხშირად იხმარება -ლა ნაწილაკი და, სალიტერატურო  
ენაში ცნობილ მნიშვნელობებს გარდა, ზმნასთან ერთგვარი თავაზიანობის,  
თხოვნის იერსაც გადმოსცემს: ო რ ი კ უ ი რ ი თ ღ ა ა მ ა რ ე კ ე ს ც ხ ო რ ი, გ ა ნ ა-  
ღ ა ლ ი რ დ ა ღ ა?! ე ხ ლ ა ღ ა ა რ ც ვ ი ნ ი ც ი ს, წ ი ნ ა ვ ი ც ო ლ ი ა ნ (გერგ., 103);  
ჩუენი მამიდა ბ რ მ ა ღ ა ა რ ი ს (ფხ., 125); ო რ ჯ ე რ ღ ა წ ა ვ ი კ ი თ ხ ე, ი მ ღ უ-  
ენი მაციანა, მეტის სიცილითა ვ ტ ი რ ო დ ი ღ ა; ხ ი ზ ა ნ ი ს კ ე თ ო ლ ნ ი გ ე ჭ ი-  
რ ა ს ღ ა მ ე თ ჭ ი; წ ა მ ა დ ი ღ ა შ ე ნ ც ა; მ ა მ რ ე ეს კ ა ც ი ძ რ ი ა ლ ჭ კ უ ი ა ნ ა ღ-  
ღ ა ც ხ ო რ ო ბ ღ ა (ყან., 99); დ ა ჯ ე ღ ა, ვ ი უ ბ ნ ა თ.

მოხეურში აღარ იხმარება კითხვითი -ა ნაწილაკი. თუ მაინც გვხვდება, ეს  
ა გადმოსულია მეზობელი დიალექტებიდან (ლექსებში), ან შემორჩენილია  
ძველთაგან: არ მაგწონვარ-ა ქალაუ? ეხლა მაგაგონდაი-ა ის სასი-  
კ უ დ ი ღ ი ა ი-ა? სამაგიეროდ, ფართოდ გამოიყენება კითხვით-დადასტურე-  
ბითი განა („აკი“, „ხომ“, „არა“?): თუ ორის წლისამ მაივა განა, ის უმარ-  
თისაია; მოდის განა? დუღილს რო მარჩებოდა განა, ქობჩი ჩავასხამდით  
(ახალციხე, 72).

## ზ მ ნ ა

### § 8. ზმნისწინები

ზმნისწინის საშუალებით ზმნის გრამატიკული კატეგორიების და ახალი  
ლექსიკური ერთეულების წარმოება მოხეურშიც იმგვარადვეა, როგორც სალი-  
ტერატურო ქართულში. მიუვთითებთ მხოლოდ იმ თავისებურებებზე, რომ-  
ლებიც მათ აღნაგობაში და გამოყენებაში შეინიშნება. ერთი ასეთთაგანია  
ზმნისწინთა მონაცვლეობა: მოსალოდნელია, მაგალითად, შო- (მა-), იხმარება  
გა-: სიზმარი გ ე ე ჩ უ ე ნ ა (ხურთ., 148); და-ს ცვლის გა- ზმნისწინი ან, პი-  
რიქით: მძინარს [ძმებს] სულ თურმე გა შ ჭ რ ა თავები (ცდო, 276); თავის  
ძროხა მეზობლის ძროხებჩი და უ რ ი ა; და-||გამო-: ქალის მაყრები გ ე-  
მ ე ე რ ე ვ ი ა ნ ქ ა თ მ ე ბ ს... ასეთი ბევრი სხვაცაა და ის მოხეურის ნორმად  
ითვლება. საყურადღებოა ერთი ფაქტიც — ზმნისწინის გადატანითი, ინტენსიუ-  
რი თუ ირონიული მნიშვნელობით გამოყენება: — ეს რაი უქნია ბეჩავსა, და-  
ხურეტენ, ალბათ! — დახურეტენ არა, გ ა დ ა ხ უ რ ე ტ ე ნ! სხვათა შორის, ამ  
ზმნისწინის ასეთი გამოყენება სხვა დიალექტშიც შეინიშნება. ასეთსავე ინტენ-  
სივობის გამოხატვას ემსახურება კომპოზიტურ ზმნებში და- ზმნისწინის ხმა-  
რება, რომელიც სხვა დიალექტების მაგალითებიდანაც არის ცნობილი: გვი  
ა ტ ი რ დ ა-ღ დ ა ტ ი რ დ ა, თოლს ცრემლი მოადგებოდა („ბუეანიანი“, სნო).

ცნობილია, რომ მთის ყველა დიალექტში, ნაწილობრივ ბარის დიალექტე-

ბის ერთ ჯგუფში (აღმოსავლურში) მო- და შე- ზმნისწინების ნაცვლად იხმარება მა-, შა-. შა-ს ხმარებაში გამონაკლისი არაა, თუ მას მასიმილირებელი ე არ მოსდევს (შეექნა < შექნა); რაც შეეხება მა-ს, ის ზოგჯერ მო- ვარიანტიც გვხვდება. ჩვენი შთაბეჭდილებით, აქ ერთგვარი კანონზომიერება დგინდება: მო-ს შემონახვას ხელს უნდა უწყობდეს ლაბიალური ბგერების მეზობლობა, კერძოდ, მომდევნო ბ, ვ, უ. ამით აიხსნება, რომ უფრო ხშირია: მა იქ ც ა, მა ხ კ ლ ა, მა ხ ა რ შ ე თ, მა კ დ ა, მა ს ტ ყ უ ვ ლ ა, მა ი ტ ა ნ ა, მა გ ც ე მ, გ ა მ ა ხ ყ ვ ა, მ ა ა ს წ შ რ ა, მა ს უ ლ ა ნ, მა ს წ ყ უ რ ე ბ ო - დ ა... მაგრამ, მეორე მხრივ; მო ვ ი ტ ა ნ, ა მ ო ვ ე დ ი, მო ვ ღ მ ა რ თ ე თ, მო უ ჯ დ ე ს და სხვა. თუმცა დიალექტის წესისამებრ, საწინააღმდეგო მაგალითებიც შესამჩნევია: წ ა მ ა მ ი ღ ე თ, მო ი ქ ც ი ა, ა მ ა მ ი ბ რ უ ნ დ ა, არ მა უ ც დ ე ბ ი ს ლ ა ა. შ.<sup>12</sup>

### § 9. პირთა ნიშნები

ცნობილია, რომ ზმნის ფუძისა და გრამატიკული კატეგორიების წარმოება დიალექტებში რამდენადღე უფრო მეტი სირთულით ხასიათდება, ვიდრე სალიტერატურო ენაში და ეს აიხსნება ძველი ფორმებისა და ინოვაციების თანაარსებობით. ეს თავისებურება მოხეუროსთვისაც ნიშანდობლივია, თუმცა ინოვაციების ხედრითი წონა მეტია.

პირველი სუბიექტური და ობიექტურა, ასევე მეორე ობიექტური პირის აღნიშვნაში მოსეური არ განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ იშვიათ ფონეტიკურ ცვლილებას, რომელიც მოჰყვება I სუბ. პ. ნიშნის მომდევნო ა ზმოვნის და ვა კომპლექსის ო-დ ცვლას.

I სუბ. პირის მომდევნოდ მოაუერში თითქმის ყოველთვის იხმარება მე-

<sup>12</sup> მო- ზმნისწინის ნაცვლად მა- ფორმის ხმარება ახსნილია არტიკულაციის შედარებით მეტი უკანანისმიერობით (არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის შთავარი თავისებურებანი, ტუმ, VII, 1927, გვ. 210). ვ. თ ო ფ უ რ ი ა მო > მა ასიმილაციას მიაწერს: შა > შე > ვა, მაგრამ: მო > კა, მაკა (ქართლური, გვ. 131). ზემოაღვრულში მო- გვხვდება მა-ს სახით მხოლოდ მაშინ, როცა მას მოსდევს სონორი მ: მამყევით, მამეწონა, მამეღელი... (ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშვრული კილოკავი: ქუთაისის ჰელნისტ შრ., XI, 1952-53, გვ. 71-72). ამ პროცესს (მო < მა-) ზოგი დისიმილაციით ხსნის: (კ, კ უ ბ ლ ა შ ე ო ლ ი, ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, 1959, გვ. 149. ბელნაწ.). თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ვოკალიზმი: მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, V, 1974, გვ. 15), ზოგი კი ამოსავლად თვლის მა-ს და ასიმილაციით მიღებულად მიიჩნევს მო-ს (ეს თვალსაზრისი და სათანადო სპეციალური ლიტერატურის თანამიმდევრული განხილვა აქვს გ. კაჭარავის, სადავო ფორმის მქონე ერთი ზმნისწინის აგებულებისათვის ქართულში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგ. შრ., ტ. 25, 1973, გვ. 79-81). ო. ქ ა ჭ ა ი ა, მო-ს ხმარებას მომდევნო ვ-ს გავლენას მიაწერს, დასახ. ნაშრ., გვ. 76-77.

სამე ობიექტური პირის ნიშანი ისევე, როგორც ეს იყო ქართულ სალიტერატურო ენაში ძველთაგან, ვიდრე თითქმის XIX ს. ბოლომდე: ცელს გამოვსწკეპავთ, ქასურით გავღღესთ; ვჰფქოვდით ქერსაც, სიმინდსაც; ეხლა ჩუენ გავხყვებოდით; მთებზე შავჭფინე ცხორია; ძმისწულებს ვჰკითხავდო; მივღბერავ ნაღებსა რძეს ცალკე გადავსწურავ; სჭილს გავღბერტყთკე; გავღმართავდით გეჯასა; ქერს გავღღეწავდითკე; დავხპატე მე იმებსა; რამღჟენს მოვხპარავდო.

არის ისეთი აკუსტიკური შთაბეჭდილება, თითქოს კ, ხ, ფ და ზოგი სხვა ბგერის წინ ჰ იქცევა ფ-დ და გამოითქმის: გაფფხეკ, გაფქრავ, შაფქონე, გაფხედავ... აქ მტკიცე წესი დაცული არაა: მესამე პირის ნიშანი მაშინაც გვხვდება, როცა ეს პირი სახელობითშია; ცნობილ წესს გარდა, ნიშნის ხმარება თითქოს ინტენსიურობის, მეტი ექსპრესიულობის მიზნითაც აიხსნება.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშანთა ხმარებაში მოხეური ნაწილობრივ განსხვავდება ხევსურულისაგან, რამდენადაც მოხეური სალიტერატურო ენის გავლენით შემორჩენილია ჰ-ს ხმარება. უმეტეს შემთხვევაში კი ჰ ცნობილი წესის მიხედვით იცვლება<sup>13</sup>. ლ, რ, ნ, ვ, ბ. მ თანხმოვნების წინ გვაქვს ლ, ხოლო გ, კ, ქ, ყ, პ თანხმოვნების წინ — ხ; ლ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჰ, ჩ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებში ხ, რომელიც ასიმილაციით ზოგჯერ იძლევა ზ (ლ, ძ თანხმოვნების წინ) და შ (ჩ, ჰ თანხმოვნებთან) ნიშნებს:

დაღბერდო აქა და არ იცი?! რასაც ღნახავ, შინ შამაგაქჟ! იქნებ იმასაც დაღმეტე (ს. მაკალ. 269); არ ხყლაპავკე? დასწერე ეგა? მაგრამ ახალი თაობის მეტყველებაში ამ წესს თითქმის ვეღარ ვადასტურებთ. სალიტერატურო ენის ნორმა სკარბობს. შეინიშნება ორმაგი გამოხატვა სუბიექტური პირისა აღწერილობით ზმნაში: ქალაქს მისდიხარ? (||მიზდიხარ); რომენი მიზდიხარ მაგ შაროვანთა გზათაო („ამირანი“, სნო). გვაქვს კონტამინაციური ფორმებიც: საღ მიზდიხოღო, რჯულძაღლო, მზეს დაგიბნელებ ცისასა (მუზ. 778); შენ კი არ მიზდიხოღიკე სამებაჩი? ხთიშობლობაჩი მისდიხოღითო (კარკ., 23). ანალოგიური სურათია რაქულშიც<sup>14</sup>.

დასტურდება ნიშნის ხმარების აღრევის შემთხვევებიც (ბრძანებითში): აბელაი ღნახე და ფული გაატანე! ისმის როგორც ხფრინავ, ისე ღფრინავ; ძველი ნიშნის ფუძისეულად გაგების გამო ხელახლა ერთვის პირის ნიშანი: ჰკუით მაიქეც, ღმერთს ნუ ჰღგმარავ („სცოდავ“).

13 ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თბ., ტ. I, 1857, § 21.

14 ა. შანიძე, იქვე, გვ. 259; შ. ძიძიგური, ქართული ენის, მთარკვეული ლექსის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის შოამბე, II, 1937. გვ. 80.



როგორც დადგენილია, მესამე ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში მიცემითში დასმულ პირს მოეპოვება<sup>15</sup>. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სახელობითთ გადმოცემულ პირთანაც გვხვდება:

დახკლავდეს მესამეს წელიწადს იმ დასულდგმულებულს ჯარსა (გერგ., 7); ცხორს ხპარსვენ (გერგ., 13); ხალხი რიყის მინდორს დახფარავდის (№ 23); ლომი დგლეჯდა კამეჩსა (ყაზ. 87); თითომ თითოს ჯელი დადრია (ყან., 101); ქალი არ დადნებდა (ყაზ., 27); უბეწობატკანს ღბადებს; ვალი დმართებიყო; ცხორი ხყვანიყო; ცხურებს დაჰყოცენ; თუ დეეწეოდეს, მაჰკლავდეს; ჩამაჰკიდიან დარიფანის ბოძზე (ყაზ., № 33).

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო სრულში და მეორე თურმეობითში ყოველთვის იხმარება ა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფონეტიკური გარემო (ჟი||ვ-ს მეზობლობა) ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის ო-ს მიღებისათვის (ჩააწყო საგძარი; ჩამაართო ჯელი, გაუშო ცხენი...); ნუგზარმა ოსები და ლეკები მიიმხრა (ყაზბ.): როცა იმან გაიგა; ხმლით სცა დათავი გაუჰა, დააძრა ოქროს ვეშები („ბეჟანიანი“, ფხელშე). გააღაკარები; დაუწყა ჩხუბი, მაავლა-ა ჯელი; ადგილი ვერ დათმა; სულტყუილი უამბა; გალა ჩასცხა-თავჩი; შვილებს ერთი სახლი დაუგდა; რაილა შაეძლა; უნდა გეევლა-ა.

მრავლობითის მესამე სუბიექტური პირის ხმარებას ნამყო დროს ნაკეთებში ყველაზე მეტად ახასიათებს ძველი და ახალი ფორმების თანაარსებობა — გავრცელებული და ძველი -ვის ნიშნის ადგილს თანდათან იჭერს -ენ ნიშანი, ძალიან იშვიათად კი -ნენ (სკოლისა და ქართლურის გავლენით).

იაცს მახკლავდეს და თავის მკუდარს შასწირავდეს; რაჰის მთებამდისინ გადადიოდეს; გააკეთებდეს სარათასა და იმითანიშნებდეს; დაჰყოცდეს საკლავებსა, გამააცხოზდეს პურს, არაყს გამოუშობდეს (მოხევეები!); ფიხის კონებს უზიდავდეს; ყარაულები გამაიქცეს იქითა; დეგუეცეს ქიშტები; როცა ისენი გამასცდეს კობს;

ისებიც სტიროდენ თავის ენაზე; ჩიოდენ შავთელები (ს. მაკალა 271). ერთგულად ემსახურებოდენ; ქადას წაიღებდენ, დაილოცებოდენ; წავიდნენ ახალგაზრდები (ლექსში — „არშას შაიქნა თქონთქორი“); მართლაც, ეგრე მაიქცნენ. მოვიდნენ და მიადგნენ ვაჰარს.

ნამყო სრულის ფუძისაგან ნაწარმოები ნაკვთების ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითის ფორმებში ძველებური წარმოებაც არის, მაგრამ უპირატესად მაინც ახალი შეინიშნება: წემეჰპარნეს ქიშტები; ორნი კი

დაიმაღნეს (ყაზ., 27); ჩუენც საჩქაროზე მოვემზადენით (გერგ., 14); ერთურთს შეეკითხნენ... მაგრამ: მევეფარეთ კლდის კედელსა; დეეჭმარეს ცხო მეცხოვრებთ: გედეეხუიეს ერთურთსა და გადაკონეს.

გვხვდება როგორც ვიყვენით, ისე უფრო ხშირად ვიყავით...

პირთა გამოხატეასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ორი თავისებურება: პირველი: ერთი ჭგუფის ინვერსიულ ზმნებში დაკარგულია ლოგიკური სუბიექტის ნიშანი და ყველგან ისმის მაქჟ, მყავ, მოგყავ, ზძინავ (||ზძინია), მახსონ (მახსოვ)... იკარგება სუფიქსი ზოგჯერ აგრეთვე გარდამავალ ინვერსიულ ზმნაშიც: უთქომ და სხვ. მეორე: ახალ სალიტერატურო ქართულში ცნობილი -ია დაბოლოებიანი ზმნები, რომელთა უმეტესობა უძველესი ხოლმეობითის გადმონაშთია (მაგალ. ჰრქვიან > ჰქვია, სწადის > სწადია...), მოხეურში ინარჩუნებს სუფიქსს: იმ ორშაბათით მცალიან; ნუ გიხარიან, ქალებო! ნუ გეშინიანთ, მოვალთო (ყაზ., 308).

## § 10. დრო და კილო

ზმნის ფუძის წარმოება აწმყოში. ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით დიალექტებს მეტი თავისუფლება და ამდენად მეტი თავისებურება ახასიათებს ნასახელარი, მათ შორის რთული ფუძეებისაგან (კომპოზიტებისაგან) ზმნური ერთეულების წარმოებაში. მოხეურ მეტყველებაში ფართოდ გვხვდება ახალი ნასახელარი ზმნები, რომელთაც ნაირგვარი ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ. წარმოების პრინციპი აქ იგივეა, რაც სალიტერატურო ენაში — პრეფიქს-სუფიქსები ან მარტოოდენ სუფიქსი (ზმნის თემატური ნიშანი) და ვნებითის ფორმანტები: ა) მარტივი ფუძეებისაგან: დახანჯლეს, ჩავთოფე, მოვიქუეშიე, გამაილომლებს, ღმატლავდა ცხორს [თოლებს] (ყაზ. 268); ღმერთი ღმიზეზავს (გერგ., 62); უნდა ერჯულა და შეერიგა (სიონი, 269); მამრე შავუძალუმდით (გველეით, 320); წაიკურდლებს: ინერბებს; იგონჯა; იგუელა; წაპერანგდება; ჯენისკე გამოვაგზიურეთ ცხორი (გორისციხე, 340); აღარც რაიმე ისაქმლეს (ტყარშ., 318)...

ბ) რთული ფუძეებისაგან: შამამგლისფერდებოდა თუ არა, მაშინვე თავზე წამოგუადგის (გორისციხე, 344); იცისკრა; წახისფეჯდება; იკაიბიჭებს...

მოხეურში შემორჩენილია უძველესი წით ფუძის გამოყენება მოქმედებითსა და ვნებითის ფორმათა საწარმოებლად: ქალი ქვას მოაგორებდა, მოაწითებდა ქვიშასა (ს. მაკალ., 262); ისეთსა საქმეს ნუ იზამ, გასწითდე, გაიქეოდე (სახალხო ლექს., 60). გვხვდება ლამის ფუძისაგან გარდამავალი ფორმა: ბიძაშენისა ქალსა სთხოვენ, საქორწილოდ მალამიან (ე. ი. მიპირებენ. ფა, 63).

იშვიათ შემთხვევაში ზმნა არაქართული ფუძისაგანაც უწარმოებიათ: თი-  
ვას ჩამავსთრიოთ, მამრე და ვ ს კ ი რ ტ ა ვ თ (კარკ. შდრ. სკირძ). ყველა ამ-  
გვარი ზმნა თანაბრად არის გავრცელებული და გამოყენებული.

აწმყოს ფუძის წარმოებაში შეინიშნება რიგი სხვა თავისებურებაც, რამ-  
დენიმე ზმნაში შემონახულია ლიტონი ფუძე, არაა -ავ, -ებ-ი და სხვა თემა-  
ტური სუფიქსები:

ა) წასვლა მეჩქარის გზაზედა (შოლას ლექსი, გარაბანი); მოსაკლა-  
ვად ვერ იქჩერს (ე. ი. იქჩერებს, „იმეტებს“ ყაზბ.); ქერს და ვ თ ე ს-  
დ ი თ; მატყლს ვ ჩ ე ჩ დ ი; ვერ ს თ ი ბ ე ნ საკმაინსა; კედელს ნებჭ-მიწით  
ლ ლ ე ს დ ი ა ნ კ ე; რასა ს წ უ ე ნ ო („სწვავენო“); ჯ ე ჯ ე ნ თურმე ნისკარ-  
ტითა; მო ვ კ ე ე ც, ამავეკერავ, მამრე შავთელავ; გა და ვ ჩ ა ლ დ ი თ, ორი-  
თები იყო, იმით ვ ჩ ე ჩ დ ი თ (ბზეს); ესრე ვ ღ ლ ე წ დ ი თ.

ქალს თუ უ შ უ ე ლ ს ო; ძროხას ს წ უ ე ლ ს; ს წ ო ნ ს, თუ მაიმატა წ ო-  
ნაჩიო.

იმას იქ არ და ვ ტ ო ვ თ ო; წამადი, თორო მა წ ყ ე ე ნ („მაწყენინებ“);  
გზაზე და ვ ა ს უ ე ნ („დავასვენებ“).

მაგრამ, როგორც ეს დიალექტისთვის არის დამახასიათებელი, არაიშვია-  
თია პარალელური ფორმები: ვ თ ე ს ა ვ დ ი თ, ჯორედინად ვვანვდით; ბო-  
ლოკს თურმე ს თ ე ს ა მ ს. ბამ ფუძე მეტათეზისის შემდეგ ხალაზლა იწარ-  
მოება -ავ სუფიქსით: ამბავ: გუერდით და ვ ი მ ბ ა ვ ლურჯასა; ცხენს.  
ამბავდა. მეორე მხრივ, ვალ ფუძეს აწმყო-მყოფადში იერთვის მო-  
ვალ-ი: საით მიხოლი, მამუკავ (ს. მაკალ., 276); წყარონი, მოხვალით  
ოქროს მილითა (იქვე, 257); როცა მახოლი, მნახოდე; მცოდნე წყემსი შე-  
ვალის: ნეტარ, ჰილიგ, აღარ მახოლი? — ეგრე მოვალი, როგორც  
სიძე ცოლეურთასაო; აქ ვერ მოალის. მაგრამ: ვინც ერობაჩო მა ვ ი-  
ვალს (ს. მაკალ., 265).

ბ) სალიტერატურო ქართულში და სხვა დიალექტებში გავრცელებული  
ზმნური სუფიქსების ნაცვლად მოხეურში სხვა ნიშნებია: -ოვ>-ონ: მახ-  
სონ: -ებ>-ენ: წილი რასაც არ გენდა („არგუნებდა“). ეს ზმნა ფუძედრე-  
კადია. „მამამ დაკლა ქათამიო, არ მარგინა ბარკალიო“ (ხალხ.); -ებ>-ავ:  
ზოგჯერ ღბადავს ორ ბატკანს: -ობ>-ოვ: ცხეთას რო ოქროს კუბო დვას.  
ზედ ნათოვს კელაპტარიო (ფხელზე, 182); -ამ>-ენ: დაასუენს. ეს  
ზმნა დასვამს, დადებს. დადვამს მნიშვნელობებითაც იხმარება და  
ფუძედრეკადია: იყანწს რო დაასუენდი, დაიდურებოდა ღჭინო; ვმალს  
ფეკების წინ დაუსუენდა; ქაქი ავადა და იმის ქუეშ შაასუინა (შდრ-  
სამანი იყო ჩასუენილი — „ჩასმული“).

აქვე უნდა აღინიშნოს სალიტერატურო ქართულის რქუ ძირისაგან ნაწარ-  
მოები ზმნის თავისებური ფუძის შესახებაც: ძირს არა აქვს ისტორიული რ  
თავსართი და გამოყენებულია ორმაგი სუფიქსაცია, დახქუინებს, დახ-

ქუინეს („დაარქვეს“): დამქუინე კახის ქალია (ხალხ.); ექუინა („ერქვა“): სტეფანწმიდას წინავე თარგმანი ექუინა; -ი>-ობ: მღერობს ეს კაცი (ყან., 158); -ებ>-ობ: თუ გარეთ მაასწრობდეს ჯარები (სიონი); იწყობა დოლი; -ავ||-ამ: გვილოცამენ ახალს წელსა (აჩხოტი).

ეს -ობ სუფიქსი ფართოდ გამოიყენება საშუალო გვარის ზმნათა უქცეო ფორმებში. ზოგჯერ უსუფიქსო ფუძეებსაც დაერთვის: ერთ ადგილზე ვერსუენობს; ოთხი კაცი სუენობს („ისვენებს“); დედაცხორი ბატკანს თუ არ ჰყუარობს; ის იფრო ხსონობს; თუ არ ჰკმაინობს საქმელი: ნათელ-მირონობა ძრიალ გუწამობს (გვწამს).

ზომავს და აშინებს ფორმების ნაცვლად გვხვდება ზმანავს (სხვა დიალექტებშიცაა) და შიშავს: ფეკით ზმანავდიან; ჩუენ კი ვშიშავდით მუდამა ქიშტებსა („შიშის ქვეშ გვეყავდა“).

გ) გავრცელებულია ნამყოს მიმღობის -ილ, -ულ სუფიქსიანი ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები: მართლულობს<sup>16</sup> თავს; ნდომულობს; რჩეულობს; ჯავრს ყრილობს; გადასაჯადს კდილობს; ამინდიროგორ ცვლილობს („იცვლება“); ქნილობს („შვრება“, „აკეთებს“: შენ ეგრე ნუ ჰქნილობ!).

დ) ძველ ქართულში და მთის დიალექტების უმეტესობაში ჩვეულებრივია აწმყო-მყოფადის ვნებითი გვარის ზმნებში -ი სუფიქსი სამსავე პირში (იმალე ბის || იმალვის), მაგრამ მოხეურში, ბარის დიალექტების მსგავსად, -ი მესამე პირის ფორმაში ძალიან იშვიათადაა გვხვდება; ხვალ იქნება; ეგება მავასწვრა; ჩაილევა ხოყნიარება; ქალი ჩადგება შუაჩი; რა შახუდება; გათავდება კაცი; რას დღეჩი ჩავარდება; ერთი ზაით მაექცევა; ექუსი ქუეით დარჩება... ასე რომ, ალ. ყაზბეგის თხზულებებში ზოგჯერ ნახმარი გეყოფის (II, 377), ატირდება ის ტიპის ფორმები ან სტილიზაციის შედეგია, ან უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ იყო მოხეურში ასი წლის წინათ. მართლაც, ხალხურ ლექსებს შემოუნახავს ზოგი ასეთი ფორმა: ვაჟკაცსა უღვაშგაქრეკილს, ხატში წილ აღარ ერგების, გოგოსა მანდილახდილსა ნამუსი დაეკარგების (სახალხო ლექს. № 7). სამაგიეროდ, არის მეშველ ზმნასთან -ი სუფიქსის შემორჩენის ერთეული შემთხვევები ლექსებში: ე მაგის მალექსობელი ლალჩტეთ სება ვარიო.

სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფუძის წარმოებაში შეინიშნება როგორც -ავ, ისე -ია დაბოლოებები: ა) წუერიც ნუ მასხავ ყბაზეო; ნატირალ მაჩნავ თოლზედა; წელს გორტყავ კმალი ფხიანი; მგონავ სუდია ზისაო (სნო,

<sup>16</sup> ეს ფორმა ა. ყაზბეგსაც აქვს გამოყენებული (I, 204, 437) და სხვა დიალექტებშიც გვხვდება. ანალოგიური წარმოება აღრიდან ვრცელდება: ი. ქავთარაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავისებურება ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფ. მოამბე, № 3, 1960, გვ. 189—194.

210); ბ) ეშათ წყაროზე ღმარხიან ორნივე (ფხელში, 168); მარჯუნა კელით ვმალი უქერია (ყან. 101); დევს ეგონა ზძინიაო (ყაზ., 91); ხოკერას ტყის პირ სძინია, ნაბადი ხურავ შავიო (ს. მაკალ., 270).

-ავ დაბოლოებიანი ფორმების უმეტესობა ლექსებშია, ლექსები, როგორც ცნობილია, ადვილად გადადის კუთხიდან კუთხეში. თანაც ზეპირმეტყველებაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ საუბარში -ავ ნაკლებად იხმარება, უფრო ხშირია -ია. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ -ავ დაბოლოების შემონახვას ხელი შეუწყო ფშავ-ხევსურულთან მეზობლობამ.

ჰგავს, ჰყავს ზმნების მეორე პირის ფორმებში ამოსავალი ჩანს პერმანსივისეული ფუძე: არ ვგუივართ მამასა და პაპასაო; მთავარანგელოს გვიხარო (სიონი, 58); ეგრე გასასტუმრებელი არ გუყვიხარო (ყაზ., 29).

სხედ ზმნა გავრცელებულია სხდან ფუძით; ვსხდავართ (— ვსხდან-ვართ) ერობაჩი (ფხ., 173); ბალები დუქნის წინ სხდანან (სიონი, 44); შკმებზე სხდანან (ყაზ., 115); ამავე ზმნას ძველებური წარმოებაც აქვს ნამყო სრულში: ხვამალღი ვინებიც სხდა (ტყარშ., 180).

აწმყოს წყველი ფუძის ნაცვლად გვაქვს ფუძედრეკალი სწყევეს-შასწყია (შდრ. ავად გაქდა იმ შაწყევლაზე).

## § 11. ნამყო სრული

ნამყო სრულის წარმოების მიხედვით მოხეურში აღსანიშნავია უნიშნო ვარიანტები, გაუვრცობელი ფუძის შემორჩენის შემთხვევები: თუ ზმნის ბოლოკიდურად ერთზე მეტი თანხმოვანია, მაშინ I და II პირში -ი ნახმარია (გაუუშუ-ი, გაუშუ-ი: გამოვართუ-ი, გამოართუ-ი...), ხოლო თუ ამავე ადგილას ცალი თანხმოვანია და ბოლოში მარცვალი იქმნება, ნართაული ი ჩვეულებრივ არ გვხვდება: მევესწუერ („მოვესწარ-ი“), ვიყავ, მოვკალ, დავკან, დავთუერ. ვუთხარ, შავძუერ, მე გემევექეც; აღარც გამოხვედ კარზედა (სახალხო ლექს., № 5). ხევსურულის დავაკალ („დავაკელი“) და გურულის გაექარ („გავკერი“) ტიპის წარმოება გვაქვს მოხეურშიც: თუ თენებამდე ვერ გასძალ, ქვაიც ნუ გიძე ქვაზედა (ფა, 58), რაც საინტერესოა საერთოდ ხმოვანთა აბლაუტის ისტორიისათვის.

ბრძანებითში გამოვლენილია ძველისძველი ფორმა: ეზოჩიგათ შაუძრა-ხე — ლამფა-მეთქი ჩააქერით (გორისციხე, 342).

-ევ სუფიქსიან ფუძედრეკალ ზმნებთან ნამყო სრულის ფუძისაგან წარმოებულ ნაკვთებში ხმოვნებს შორის ვ ხან შემონახულია, ხან იკარგება:

ა) ცოტა პური მიკამივა (სახალხო. ლექს., გვ. 2); სოფელს სახელი ვაქმივა (ს. მაკალ., 280); ბევრჯერ კარ-კლიტენ გიმტვირინა (მუზ., 720); ხალხმა ამაირჩივის (გერგ., 7); დეესივინეს ეს ლულუშაურები

(ყარკ.); შამაავლივიან დედუფალი კერასა; იმათ გაირივიანკე ცორო: ბ) წყალი რო არაცად დალიეო (გერგ., 17); კორცი აკმეიეთ<sup>17</sup> დილითა (სნო. 3); პური მაკმიეს (გერგ.); დაღრიეს კელი და მიღრეკეს (ყან., 158); გამაავლია სოფელჩი; ამ გარბანს სიარულითა სულ დემეხია ბანდული (აჩხოტი).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ქართულში დაეხევა (დაეხა) და დახეეს (დახია) ნამყო ძირითადს განსხვავებულად აწარმოებს, მოხეური და ზოგი სხვა დიალექტი ამ ტიპის ზმნებში უფრო ერთგვარობას იცავს...

## § 12. ხოლმეობითი

მოხეური კილო მთიულურ-გუდამაყრულთან ერთად ქმნის მთის დიალექტების ქვეჯგუფს ხოლმეობითის წარმოების თვალსაზრისით. ამ მხრივ მას ეხმიანება ინგილოურ-ფერეიდნული და ქაზიყური, თუმცა ამ დიალექტებში მოხეურისებური სიხშირით ხოლმეობითის ფორმათა ხმარება აღარ შეინიშნება. ხოლმეობითის ძველებური ორგანული წარმოება მოშლის გზაზეა, ქართული სალიტერატურო ენისა და ბარის დიალექტების მსგავსად შეცვლილია აღწერილობითი ფორმებით — კე ნაწილაკის გამოყენებით: ეს ნაწილაკი დაერთვის თბრობითი კილოს საუღლებელ ერთეულებს და აძლევს მას მრავალჯერადი მოქმედების მნიშვნელობას<sup>18</sup>.

ხოლმეობითის წარმოებაში გაირჩევა ძველი სინთეზური წარმოების გადმონაშთები, მარტოოდენ კე ნაწილაკიანი და კონტამინაციური — ხოლმეობითის ფუძეზე კე დართული ფორმები. მასასადამე, სინტრონიულ დონეზე, ტრადიციული აღწერით გვეჩვენება: ა) ნამყო უსრულის ფუძეს ერთვის ცნობილი უძველესი -ი სუფიქსი და მესამე პირის დაბოლოების მიხედვით გადმოიცემა ე. წ. პირველი ხოლმეობითი, რომელიც უკვე იშვიათია მოხეურში: ბევრი ცხორი იკოცებოღის; ხალხი რიყის მინდორს დახფარავღის; ფასანაურჩი დავდიოდი, გასაყიდები დამქონღის; წინავ ლამ-კარი არ იცოღიან... ბ) იმავე უძველესი -ი ბოლოსართით ნამყო სრულის ფუძისაგან

<sup>17</sup> აკმეეს — აკმიო, დაარბეეს — დაარბია ჩვეულებრივი კანონიერი წარმოებაა ამ ტიპის ზმნებში. მაგრამ აკმიო ბარის დიალექტებში და სალიტერატურო ენაში არ გვხვდება და მის ნაცვლად დამკვიდრებულია აკამა. ამ ფორმისათვის ამოსავალია ძველ ქართულში და ინგილოურ-ქვემოიმერულში აკამებს (შღრ. კამ-ებ-ულ-ი). მოხეურში აკამა ფორმის ხმარების ცალკეული შემთხვევები ბარის კილოთა გავლენის შედეგი (ან რელაქტორის ნახელავი) ჩანს ლექსში: „დედავ, ჩამადი, დედაო, ქალი ზის წყაოზედაო, ვაკამოთ პური და ყველი, გავუშვათ ნელაზედაო“; შღრ. ცხენს ქერი აკმიე (ს. მაკალ. 269; 278).

<sup>18</sup> ი. ქაჯთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქეპს, 11, 1961, გვ. 10; გვ. 24—25.

გვაქვს სამსავე პირში დაუბრკოლებლად გამოხატული წარმოება, მაგრამ ესეც იშვიათადაა გამოყენებული: ის იქ და ე ა გ დ ი და მე შინ მოვბრუნდი; თერგ-ჩი ი ბ ა ნ ა ე ის, მინდორზე გაწვის და ეგრე იყვის; ქულები და ყი-დის, და ბ რ უ ნ დ ის იქითა და ისრივ წ ა ვ ი დ ის; ნეფე ჩ ა ა ც ი ლ ი ა ნ და მ ი ა ბ ზ ა ნ ი ა ნ; ბალახის თოკი გა ა კ ე თ ი ა ნ; როგორც კი გა თ ე ნ-დის, მაშინვე გა ი ლ თ ი ძ ი ს...

მოხეურში ხოლმეობითის გამოყენების საპირობება დარჩა, მაგრამ გამო-ხატვის ფორმა შეიცვალა. როგორც იტქვა, ფართოდ გავრცელდა კე ნაწილაკის გამოყენება „ხოლმეს“ მნიშვნელობით. კე თანაბრად ერთვის ძველი ხოლმეო-ბითის ფორმებსაც მათი გამოცოცხლებისა და გაძლიერების მიზნით და ერთ-გზისის თხრობითის ფორმებსაც (შეინიშნება ნუ ნაწილაკიან ბრძანებითშიც: ნუ და ი გ თ ი ა ნ ე ბ კ ე!):

აწმყოსა და მყოფადში. ცხორი ხშირად ბ რ მ ე ბ ა კ ე; სულ ის გ თ ი ნ-და კ ე; მე შ ი ნ ი ა ნ კ ე იმათაგა; აღრე ვ დ გ ე ბ ი თ კ ე; აბედს ხე ი კ ე-თ ე ბ ს კ ე; ნაცარჩიგა მო ვ ხ ა რ შ ა ვ თ კ ე; ქორწილისთჳი მე ე მ ზ ა დ ე-ბ ი ა ნ კ ე; სჳირლს გა ვ ღ ბ ე რ ტ ყ თ კ ე; ზოგი ზამთარჩი გა მ ო ვ ა კ ე; მზე-ზე გა ე თ ე ნ თ კ ე; ისითი ზ ა მ თ ა რ ი ა კ ე<sup>19</sup>, რო აქ საით გაზძლებდა; რო-ცა წზიანი ამინდი ა რ ი ს კ ე...

ნამყო უსრულის ფორმას, ჩენი დაკვირვებით, კე პირველ-მეორე პირში ერთვის, მესამე პირში ის ხოლმეობითს აძლიერებს: ვაჲთებდიკე, აკეთებდიკე, აკეთებდისკე (აკეთებდაკე არ იხმარება!); დ ა ვ ხ ე დ ა ვ დ ი კ ე და დ ა-ვ ა გ დ ე ბ ი ნ ე ბ დ ი კ ე; არ მე ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ო დ ი ს კ ე ეგები: პაჭიჭებს ვქს ო ვ დ ი თ კ ე; ი კ ე რ ა ე დ ი ა ნ კ ე კაბასა, კაპოტსა.

ნამყო სრულის ფორმებთან ძალიან იშვიათია კე: გა ვ თ ი ბ ე კ ე, გა ს თ ი-ბ ე კ ე, გა თ ი ბ ა კ ე (ე. ი. „მან გათიბა ხოლმე“) მოხეურში ჳერჳერობით თითქმის სულ არ გვხვდება, რადგანაც გათიბის ჳერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მივიწყების გზაზეა, მას გაძლიერება ესაპირობება და ამით აიხსნება კე-ს დარ-თვა<sup>20</sup>: მაშა რო გარეთ გავიდოდის, მე წივნს თაღი დ ა ვ ა ნ ე ბ ი კ ე; მო ვ ა მ-ზ ა დ ი კ ე იარალი, საგძარი ჩ ა ვ ა წ ყ ვ ი კ ე გულაჩი; ზამთრის მეტი დ ა ვ-ჩ ე ჩ ი თ კ ე; არაყი გა მ ო უ შ ჳ ი თ კ ე; რო შ ა მ ა ვ ი დ ი ს კ ე ჩუენს სან-დრო, ეგრე მაიქცის, როგორც შინაური ჳალაფი: კალმანი წინავ იფრო ბეერი ი ყ ვ ი ს კ ე.

19 ასეთი შემთხვევები ერთეულია. დამხმარე ზმნა ყოველთვის სრულადაა: 'ზამთარი: არისკე.'

20 მოხეურში კე-ს ადგილს თანდათანობით იკერს ხოლმე. ამის ცალკეული მაგალითებია: იქი-აჲ შეგვხვდება: ცხორჩი როცა ვ ი ყ ვ ი თ ხ ო ლ მ ე (ნუცა ლულუშაურის საუბრი-დან, ყაზბეგი).

## § 18. თურმეობითების წარმოება

თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით თურმეობითის გამოხატვაში შეინიშნება რამდენიმე თავისებურება. აქედან ნაწილი ძველია, ნაწილი ახალგანვითარებული, მოხეურის შექმნილი.

-ამ თემატური ნიშნის მქონე ზმნებში გვაქვს სამგვარი ფორმა: უ თ ქ ო მ-ს (<უთქუ-ამ-ს), უ თ ქ ლ ი ა, უ თ ქ მ ი ა. მაგრამ უფრო მეტად აწმყოს თემატური ნიშნისეული ხმოვანი რედუცირებულია და გარდამავალი ზმნების დაბოლოება ემსგვსება გარდაუვალი (ვნებითი გვარის) ზმნებისას: ნაბადი წ ა მ ა უ ს ხ მ ი ა (გერგ., 110); წ ა მ ა უ ს ხ მ ი ა ყისინაი; იმ ქალს ა უ ს ხ მ ი ა იარალი; ფერცხლები მ ი უ რ ტ ყ მ ი ა ქვაზედა; სარტყელი შ ე მ ო უ რ ტ ყ მ ი ა; ერთი ციხე და უ დ გ მ ი ა (სნო, 223); იმას კიდავ უ თ ქ მ ი ა — შენმა შეილმა მეკებე შაირთაო.

პირველი თურმეობითის ვნებითი გვარის ფორმა ნაწარმოებია -ომ სუფიქსიანი მასდარისგან: ძროხაი ტყეჩი და რ ჩ ო მ ი ა (ყაზბ.); თუ ლექსის სპეციფიკას მხედველობაში არ მივიღებთ, გამოდის, რომ გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითი ნამყო სრულის ფუძეს ემყარება: მათ შორის მეცა ამაყად კისერი მ ო მ ი დ ე რ ი ა (ალ. ყაზბ. ლექს. 1910, გვ. 11).

-ავ სუფიქსიანი ზმნებში უფრო ხშირად ნამყო სრულის ფუძეა გამოყენებული, -ავ იშვიათად თუ გვხვდება: ჯორი დაუწერია და შ ა უ რ თ ი ა; კაცისთჳი არ მ ი ძ რ ა ხ ი ა; კელები გა უ კ რ ი ა თ; დ უ კ რ ი ა ხანჯალი და მა უ კ ლ ი ა; და უ პ ა რ ი ა ეგ ცხენები; არ მ ი ნ ა ხ ი ა... ქურდი ეგეთი (სნო, 4)...

რამდენიმე მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ თურმეობითში აქაც ფეხს იკიდებს -ნ (-ენ) სუფიქსიც, რაც მთის დიალექტებში ჯერ კიდევ უცხოა: გა უ ტ ა ც ნ ი ა (ხურთ., 141); სუყველა სოფლით ე ტ ა ც ნ ა თ, რაც მაეწონათ ქალია (ყაზბ.); შ ა უ ხ ე დ ნ ი ა ი დედაკაცსა (სიონი, 119); უ ჩ ი ვ ლ ნ ი ა მეფესთან; წყალი უ ზ ი დ ნ ი ა (ყაზბ.).

სხვა დიალექტების მსგავსად, მოხეურიც თურმე ნაწილაკის გამოუყენებლად გადმოსცემს უნახაობის შინაარსს მიმღეობის ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნაში: არც პური უმკია, არც საქონელი უშენებია, და მ დ ი ნ ა რ ა ნ ეგრე ურმითა (ყან., 362); ჯორწილჩიგათ მ ო მ დ ი ნ ა რ ა (ყან., 163); ერთი კაცი მ ი მ დ ი ნ ა რ ა ღამე<sup>21</sup>.

სტატიკური ზმნებისათვის -ებ სუფიქსიანი დინამიკური ფორმაა აქაც ამოსავალი. უთესია — ეთესა — თესებია; ქერები თ ე ს ე ბ ი ა მანდა; ყ ა ვ-ს ზმნას კი იგივე ფუძე აქვს თურმეობითში, რაც ნამყო უსრულში: ჰყავს — ჰყვან-

<sup>21</sup> შდრ. ქვემოთმც. მ ი ნ ა ვ ა ლ ა. იხ. გ. რ ო გ ა ვ ა, დრო-კილოა მეოთხე ქგუფის ნაკვეთები ქართველურ ენებში, იკე, VII, 1953, გვ. 18—61.



და — ჰყვანია (||ხყვალია): ცხო არცვინ ხყვანია; დედისძმაი ხყვანია თანა.

მეორე თურმეობითის გარდამავალ ზმნებში მთლიანად შემორჩენილია ძველი ქართულის ნორმა — ამოსავალი ფუძეა ნამყო უსრული, -ებ ნიშანი არ ჩანს. ასევეა კაუზატივის ფორმებშიც: გაიბოტნელებს იმ ხატის მოტაცება ქიშტებისთჳი და ე ბ რ ა ლ ა თ, მამრე ის ხატი და ე ბ რ უ ნ ა თ; გაგის თავის ძმა გ ა ე ფ რ თ ხ ი ლ ა (სიონი); ერთი ეს ქალაშაგა დ ე მ ე ბ ი ნ ა ვ ა; ცხტ-რისთჳი თავი დ ე ე ნ ე ბ ა (გორისციხე, 343); ძაუგს თუ მიდიოდა, მინდოდა დ ე მ ე ბ ა რ ა რ ა მ ე; კარგა უნდა გ ე მ ე კ ე თ ა; შ ე ე ყ უ ა რ ა ის ქალი; შუიდი წელიწადი ე შ ე ნ ა ე გ საყდარი; თავის შვილი დ ე ე რ ი გ ა; ადგილები გ ე ე ნ ა წ ი ლ ა; რომ მამრე აღარ გ ე ე გ რ ძ ე ლ ა ო (კარკ., 64); მ ე ე - მ ა რ ჯ უ ა . თოფები; თემი ძრიალ შ ე ე წ უ ხ ა თათარსა; ერთის გაქნევით თავი გ ე ე გ დ ე ბ ი ნ ა; სულ უნდა დ ე ე ლ ე ვ ი ნ ა, ისრი არ შიძლებოდა.

გარდაუვალ ორპირიან ზმნათა ამავე ნაკვეთში სხვა დიალექტების მსგავსად აღწერილი წარმოებაა, -ოდ-ი დაბოლოების ნაცვლად იყო ზმნის ფორმები გამოიყენება: მათ მტერობა ჩ ა მ ო ღ ვ ა რ დ ნ ი ყ ო (სნო); ცეტი გ ყ ვ ა ნ ი ყ ო ქმარიო (კარკუჩა); გ ა ს თ ე თ რ ე ბ ი ყ ო წვერია (მუზ. 720); იმათ ფეკისაი ბ მ ი ყ ო: შაწუხება ხ ქ ო ნ ი ყ ო ძრიალა (ყაზ. 30); ურჯულოებს ხ ქ ო ნ ე ბ ი ყ ო წესი (გველეთი, 325); გ ა მ ა ს დ ე ე ნ ე ბ ი ყ ო და დეეკოცა; ქმარი მ ა ჰ კ უ ლ ო მ ი ყ ო; ყირვანწურზე აღარ გ ა ს წ უ ლ ო მ ი ყ ო; სურათი გ ა ხ ფ უ ჰ ე ბ ი ყ ო; ეგეთი ხალხი იყო, რ ო მ ა ს წ ო ნ ე ბ ი ყ ო ტარავალი, მახკლავდეს კაცსა; ორასამდე ცხორი ხ ყ ვ ა ნ ი ყ ო; ავი დედი-ნაცოლი ხ ყ ვ ა ლ ი ყ ო; უნდა დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ყ ო იმათა.

#### § 14. კილოს კატეგორია

მოხეურში თავისებურებით ხასიათდება ბრძანებითისა და კავშირებითი კილოს ფორმათა წარმოება. როგორც ცნობილია, ბრძანებითი ორგვარია — კატეგორიული და თხოვნითი, მაგრამ ისე ფართოდაა გაცრცელებული თხოვნითის ფორმები, რომ ჩვეულებრივი ბრძანებითი აღარც კი იხმარება. თხოვნითი ბრძანებითის ამოსავალი ფუძე მოხეურში არის ნამყო სრული, მას დაერთვის -ოდე ელემენტი, რომელშიც, როგორც ვ. თოფურიამ გააკრეცა, ე ნამყოს საერთო საწარმოებელია<sup>22</sup>.

მამაშიჩემი ხშირად უჯავრდებოდისკე — კეჭიანად იყო დეო; ცხორჩი უნდა იარა: აღრე და ს წ ე ო დ ე და აღრე ას დ გ ო დ ე; თოლჩი დაღეჳილი თამაქოს წუენი და ი ს ხ ო დ ე ო და ხურხაით და ი ბ ა ნ ო დ ე ო; მაკითხვა

<sup>22</sup> ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში. იკვ, VII, 1955, გვ. 453—459.

უთხროდე: კიდავ მ ა ბ ზ ა ნ დ ო დ ე ჩუენს; გონჯი კი არ დაწეროდე<sup>23</sup>, არაყი მისცოდე; სახლჩი მიმიყვანოდეთო, არც რაი მინდა თქუენიო; თუ თქუენი წყალობა იქნება, ხოსროსთან მიმ ა ბ ა რ ო დ ე თ ო; გერგეტლებს ახალ წელს მუუბზანოდეთ ხატები; ამინთოდეთ თანარი, რომინა გავიგა: ლეკის ბელადის ძაღლებსა / აუდუდოდეთ სორიო; რად გინდა შუშის ლამფაი, / დაძინოდეთ ბანზედა, / სარკეჩი ჩაიხედოდეთ, / წუერი იპარსეთ ყბაზედა, / თუ არ ჰქმინობს საქმელი, დოდაუსხოდეთ ჯამზედა (ლექსი: „სნოვლებს“), ოთხნი მწყემსებსა შასწირეს: მიუბრუნოდეთ ცხორია, ერთი ლურჯასა შასწირეს: დაუკვეროდეთ ნალია (ფხელშე, 175); სუყველამ დამივიწყოდეთ, ნულარც მანსენებს ხატობათ („ბესო ვარ ყამარაული“).

მანასადამე, ბრძანებითის ამ ფორმებით თხოვნა, თავაზიანობა და ზოგჯერ ალერსით მიმართვაც გადმოიციემა (შდრ. მ ო ბ ზ ა ნ დ ო დ ე). ამ ფორმებს გარკვეულ კონტექსტში ზოგჯერ იყენებს ალ. ყაზბეგიც<sup>24</sup>. თხოვნა ერთჯერადი მოქმედებისაგან განსხვავებით (მიმ ა ბ ა რ ე! დაწეე! ადექი!) მრავალჯერად. ხშირად განმეორებულ მოქმედებას გულისხმობს (დასწვოდე და ასდგოდე — დაწევი და ადექი ხოლმე). თუმცა ზოგჯერ არც -ოდე დაბოლოებიანი ფორმა არის მრავალჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი, კონტექსტში ერთჯერადობა ივარაუდება (შდრ. ზემოთ: ხოსროსთან მიმ ა ბ ა რ ო დ ე თ). არის აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როცა ამგვარი თხოვნა-თავაზიანობა ზმნაში კონტექსტის მიხედვით არ იგულისხმება: ე მ ს ა ს უ რ ო დ ე, რჯულძაღლო, მიუტანოდე წყალია, მთაჩი რო ცხორსა გაღრეკავს, დაუბანდოდე ჯღანია (ბოძო ხულელიძის ლექსიდან). ანდა: დააყენოდე ენა! — სრულებითაც არაა თხოვნა-ალერსი! აქ წამოტივტივდება ხოლმეობითის შინაარსი, რომელიც ამგვარ ფორმებს უნდა ჰქონოდა მოხეურში. -ოდე დაბოლოებას ხოლმეობითი (თბრობითი კილოს ნაკვითი) უნდა გადმოეცა ისევე, როგორც ეს ფშაურსა და ხევსურულში გვაქვს -იდი, -ოდი პირველსა და მეორე პირში ხოლმეობითის ფორმებთან<sup>25</sup>. შესაბამისად გვექნებოდა მოხეურში -ოდე<sup>26</sup>.

ბრძანება, როგორც ცნობილია, მეორე პირს ეხება თანამედროვე ქართულში და ლიალექტებში, მესამე პირის ბრძანებითად გაგებულნი ფორმების (იყავ-ნი!

23 მიმართავს მოქმელი ამ სტრიქონების დამწერს.

24 ი. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, გვ. 92.

25 ა. შანაძე, დასახ. ნაშ., გვ. 18; არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948, წ. 18, შდრ. ა. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 109—111.

<sup>26</sup> -იდი დაბოლოებიანი ხოლმეობითი მოხეურში ამჟამად აღარ ვხვდებ, შიოლა დუდუშაურის ციკლის ლექსებშიდაა შემორჩენილი: არ გაუშვიდი მთრეხელი, კეკს მიმავალი დისასა (მუხ. 23—714).

იყვნენ!) კვალი აღარსად ჩანს. მოხეურში -ოღე დაბოლოებიანი ზმნები I და II პირებშიც გვხვდება და მას ან თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, ან კავშირებითისა:

ა) ვ ი ყ ო დ ე „ვიყავი ხოლმე“: მე მაშინ აქ არ ვ ი ყ ო დ ე<sup>27</sup>, სარაჯოკის ზავოტში ვმუშაობდიკე ძაუგჩი (ლარსი, ვანო მაისურაძე); საწველელაჩი არ შავუშუითვე ცხორი, სილამ არ მ ო უ ლ ო ბ ო დ ე თ („ვიდრე არ მოუვლობავდით ხოლმე“).

მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამგვარი ფორმები -კე დაბოლოებით შეიცვალა.

ბ) -ოღე აფიქსდართული ზმნები სხვა შემთხვევაში მეორე კავშირებითის მნიშვნელობით გამოიყენება, ის მრავალჭერადობასთან ერთად ერთგვარ სურვილს, ნატვრას, მოწოდებას გამოხატავს და ამ ფორმით ერთი უძველეს<sup>28</sup> თაგანია:

სულ ის გუინდაკე — ყოველდღე ვ ნ ა ხ ო დ ე თ ერთმანერთი; ბლომად დააცხუე მკადები, დ ა ვ ი ტ ე ნ ო დ ე თ ძალზედა (ხალხ.); ლიტრა არაყი უნდა ჩაიდვა ჩიბაჩი, დ ა ვ ლ ო ც ო დ ე თ ერთმანერთი (გერგ. 7); როცა მ ი ს - დ ი ხ ო დ ე, ასრე უნდა დ ა ი ხ ა რ ო დ ე, ამაიქცია სული (გერგ.):

საინტერესოა, რომ ამ საყრდენი ფუძიდან ამგვარი ზმნები მესამე პირშიც იხმარება, რაც, ჩვეულებრივ, იშვიათია: კაი პატივი უნდა სცან, ლხინი გ ა ა ჩ ა - დ ო დ ე ნ (ხურთისი); ბიძას უთხარ — ხვალ შინ ი ყ ო დ ე ს, ნახვა მინდა; ქელჩი მიეციტ ჩონგაი, გ ა ა ბ რ უ ნ ო დ ე ს ტარია (მუზ. 23—958), ტაბლები გ ა ა მ შ ა დ ო დ ე ს, აღდგომას გასატანია (ფა, 82).

ასეთი -ოღ-ე (resp. -ოღ-ი) დართული ზმნები საკმაოდ იხმარება ძველი ქართული ენის (IX—X სს.) ძეგლებში და მას რატომღაც შერეულ ხოლმეობითს უწოდებენ. შენდევში იგი საყოველთაოდ იცვლება II კავშირებითის (-ოღ ჩამოცრლებული) ფორმებით და თანმხლებ შინაარსს აქაც ინარჩუნებს<sup>29</sup>.

კავშირებითის წარმოება. სიხლე გვხვდება კავშირებითი კილოს წარმოებაში: გარდამავალ ზმნათა II და III კავშირებითების გამოხატვა უნიფიცირებულია. იყენებს მხოლოდ -ა სუფიქსს; ეს არ ეხება I კავშირებითს, რომელსაც, ხევსურულსაგან განსხვავებით. -ე ნიშანი არ ეცვლება:

შავშინდი, არ მეთქი ს ც ა ნ („სცემონ“); დაწკირებულან ისრი, რომა ერთმა მეორეს უნდა გ ა დ ა ს ც ა ს: ახალი წელი უნდა შ ა უ კ უ ლ ი ა ს; მტერი არ შ ე მ ე გ ე პ ა რ ა ს ო; რაითლა შ ა ე ვ ი ნ ა ხ ა თ ა ვ ი; დახმარება გ ო გ ი წ ი ა ს ო; ჩემი ამბოვი რაისთჳილა გ ი ა მ ბ ა თ? მთხილობენ — არვინ

<sup>27</sup> ანალოგიური ფორმები გაანალიზებული აქვს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა ს. დაახ. ნაშრ., გვ. 89.

<sup>28</sup> ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები, ქესს, V, 1981, გვ. 138—143.

მაშალას; წყალი უნდა დავლია; ვაი თუ იმისი გული ვერ მავიგა და თავიც წავაგაო; არც მაგან უნდა გოგტეხას („გავტეხოს“); პური უნდა წაუღას მწყემსებსა.

საინტერესოა აღინიშნოს ჰიპერკორექციის შემთხვევები, რაც ამგვარი ზმნების ხმარებაში შეინიშნება უცხო პირთან დაბალი ენობრივი განათლების მქონე პირთა მეტყველებაში: საკლავი უნდა დაკლონ; ჯერ ერთი პირი უნდა დაჯნონ.

-ა სუფიქსი გარდაუვალ ზმნებთან ძალიან იშვიათია, მაგრამ თითო-ორო-ლა ნიმუში მაინც გვხვდება: დაიკარგას, ჩაიქცას, ეწყინას...

### § 15. ზმნის სხვა თავისებურებანი

ღიალექტებში ხშირად ერთი და იგივე კატეგორია სხვადასხვაგვარად გამოიხატება, რაშიც შეიძლება ღიალექტის შიგნით მისი დიფერენციაცია იყოს მიზეზი, ზოგჯერ თაობათა მეტყველების განსხვავება, ინდივიდუალური მოვლენები და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგი. ერთეული თავისებურებები აქ მსჯელობის საგანი ვერ იქნება. აღვნიშნავთ უფრო ტიპიურ რამდენიმე თავისებურებას:

ა) ვნებითი გვარის წარმოებაში შეინიშნება სუფიქსაციის მეტი ხვედრითი წონა, შემორჩენილია არქაიზმებიც: აბაბაბა, როგორ შემბრალდა ის ბეჩავი; [დაეკარგა] ამღუენი ფული, დანანდა ძრიალა; დასთანხმდა; დასვენდი ბატარა ხანს; იმის გული კი არ გაწმდება („გაიწმინდება“); დაღბრმი თუ დახკოკლდი? აღექსანდრე ძრიალ გახარდის; გახარდით ეგრე, როგორც მე გამახარეთ!

ვნებითი გვარის ფორმებიდან უნდა დავასახელოთ პოტენციალისის შინაარსით ნახმარი ზმნები. შვილდი არ დეეთმოზოდა, ადგილს დგას ნაპირისასა („შიოლას ლექსი“, ახალციხე); ნეტავ არ შაიხვეწება ძმისა მოკლავი დისასა (იქვე).

ბ) ზმნური პრეფიქსების გამოყენებით საინტერესო ჩანს რამდენიმე ფუძე: სალიტერატურო ენისა და რამდენიმე ღიალექტის ე. წ. საარვისო ქცევის ნულნიშნაინ ზმნებს ანიშანი გამოაჩნდება ან არსებული ესპობა: მოახსნა გუდას თავი (ახალციხე); თოვლი დადვა ისითი, რომ ცხორ-ბატკანი სულ მოასპა<sup>29</sup>; რაით დაგსაჩუქრაო (გერგ.).

ესვრის ზმნა დასტურდება ასვრის ფორმითაც: ასროლა და პირდაპირი შუაჩი გააჭრევირა (თოთი, 302); იმანაც კიდევ მიასროლა (ყაზ).

<sup>29</sup> ეს ფორმა შეგვინიშნავს ხაშურისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაშიც.

303); ჩვენ გუბგონა გიგოლი აქით ასურის თოფსაო (გორისციხე, 338). იხიზნება ფორმის მნიშვნელობით დასტურდება ეხიზნება: ხალხი ეხიზნებოდა მთებში (ფანშეტი); ხოლო უძლებ ზმნას ენაცვლება ეძლები: სასჯელად ვეც გეყოფა, ემაგათ რო ეძლები (ფა, 91). ლაპარაკობ ფუძიდან საობიექტო ქცევის იშვიათი ნიმუშია ულაპარაკე: სუყველა ულაპარაკე, რაც რო გადამხდა თავზედა (მუზ., 782).

საობიექტო ქცევის ფორმა ძველი შინაარსით (სამი პირის გაგებით) არის შემონახული: წყისქვილი წყალმა წამილო („წამართვა“); სხვა შემთხვევაში უბრალო (თანდებულისანი) დამატების პირიც ამგვარივე ფორმით გამოიხატება: ფული გამომირთჟით სებას.

გ) კაუზატივის ფორმები სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება, აფიქსების დაკარგვა ძნელი შესამჩნევია, მაგრამ ზმნაში პირთა შეწყობა და გაგება არის თავისებური. მეორე პირი მოქმედების შემსრულებელი კი არაა, არამედ მოქმედების ობიექტია; დაგაგლეჯინებ — დავაგლეჯინებ მე მას შენ თავს: ერთ საათში გასწორდითო, თორო თავრობას დაგაკვერინებ და ციხეჩი ჩაგაღპობინებთო (გერგ., 13); მეცხვარევ, შენი ჰირიმე, ძაღლებს არ დამაგლეჯინო (ფა, 74); თუ ლეკებს წაგაყვანინე, წვერი ნუ მესხას ყბაზედა (მუზ., 845).

ჩვეულებრივია კაუზატივის საობიექტო ქცევის ფორმები: ჯალაფსაც შამიტყობინეთ; სოფელსაც შაგიტყობინეთ, სოფელს მიეცა ზიანი (მუზ., 836). ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე მიეც ფუძისაგან ნაწარმოები ქცევის ფორმები: ცეტი გჰვანიყო ქმარიო, გულჩი დაგიეც ვმალიო (ფა, 46 შდრ. ძალა მიეც მუხლშია...).

გვხვდება ე- პრეფიქსიანი ვნებითის კაუზატიური ფორმები: ჩუენ ხო არ გევეჟლეთინებოდიო (გორისციხე, 339); ჯოხი მეჭირა ჯელჩი და აბა როგორ ვეცემინებოდი; სარქალი ისრი არ მეეკვლევეინებოდა, რო ხუთი-ექუსი წინ-წინ არ დეეკოცა; ადე და შინ წალი, ნუ გამეფუქებინებო (გაიბოტენი).

ჩასხა (ჩასვა) და შეაკვდება ზმნების ნაცვლად იხმარება ჩაასხდინა (ღრამჩი ჩაასხდინა ორივე სალდათი: ფანშეტი, 230) და შეეკოცება (დაეკოცავთ ან შეევეკოცებთო: გორისციხე, 339).

### III. სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოების მხრივ მოხეური ერთ-ერთი საინტერესო დიალექტია და ლექსიკური შედგენილობითაც საკმაოდ მდიდარი, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და მეურნეობა-მოსაქმეობის მხრივაც არც ისე მრავალდარგოვანია. ძველი ქართულის ლექსიკურ ფენებს (შდრ. ლექსიკონში უხოიშნებს, გაწოლავს...), ნეოლოგიზმებს (შდრ. ასევე დუგდუგა, ყივყივა, წიაპა, წაკურდღღება, ჩახალათებულნი...) და ნაწილობრივ ოსურ-ნახურ სუბსტრატულ ელემენტებს ეზაგება სიტყვაწარმოების სხვადასხვა საშუალების გამოყენებით წარმოქმნილი ახალი ლექსიკური ერთეულები. მოხეური ზოგჯერ თავისებურად იყენებს ქართულში ცნობილ და დამკვიდრებულ სიტყვასაწარმოებელ აფიქსებს და ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად, ერთი და იმავე ძირისაგან (მეტათეზისით) გვაქვს სამბო („ძირმაგარა“), საბელი, სამბური („პოეტუტყვის დასაბმელი“), სამბელია („საქსოვი დაზგის ნაწილი“); ფეკი: ფეკისაი („ფერკული“), საფეკისო („საფერხლო“), საფეკო („საფეხური“), საფეკური („საფეიქრო დაზგის ნაწილი“).

ერთი და იმავე საწარმოებლის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებიც ახალ ლექსიკურ ერთეულებს იძლევა: საგორელი („საქონლის ბარკალი“), საგორებელი („ძროხის საწუწკარი, სასუსნავი“), საგორებაი („სატკეპნელი“); გასაზდელო // გასაზდელი (გასაზდლის ქადა, ნათლობის შემდეგ ხატში მიტანილი ქადა) და გასამზდელო („ქალის აღზრდაზე გაწეული შრომის საზღაურად სიძის მიერ მიტანილი საჩუქარი“); საძროხე („ძროხების საბალახო“) და სამძროხო („ძროხების მწყემსის ქირა“). ასევე განსხვავებულია მწყემსთა მომთაბარეობის აღმნიშვნელი ტერმინები მობინე, მობინავე და სხვ.

ფართოდ არის გავრცელებული -ა და -ია სუფიქსებით სიტყვაწარმოება ზოგჯერ სულ სხვა (არა კნინობით-საალერსო!) შინაარსის გადმოსაცემად. მაგალითად, სასხეპი („სახურავი, ბადიმი“) და სასხეპიაი („მხალია“); ჩხტერს („ჩქენს“) და ჩხტერია // ჩხურელიაი; გულღრუტუნნი („გულჩათხრობილობა“) და გულღრუტუნნაი („გულჩათხრობილი“, „უამხანაგო“)... ყველა მათგანს აქვერ შეეგებებით. ესენი შეძლებისდაგვარად წარმოდგენილი და განმარტებულია აქ დართულ ლექსიკონში. აღვნიშნავთ თავისებურებათაგან უმთავრესს.

## § 1. მრავლობითობის სუფიქსების სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა

მრავლობითობის -ენ/ნ და -ეთ/თ სუფიქსები სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით ფართოდ გამოიყენება მოხეურში. როგორც ცნობილია, მთის დიალექტებშიც გვარის სახელები საერთო ქართულში მიღებული წესით იწარმოება (გოგიშვილი, ხულოძე, წიკლაური...). მაგრამ დიდი გვარის შიგნით სხვადასხვა ისტორიულ პირობათა და სოციალური დიფერენციაციის შედეგად გაჩნდა განშტოებები, რომლებიც მამის სახელით აღინიშნა. საამისოდ მოხეურში, რაჭულის მსგავსად, თანაბრად იხმარება -ენ — -ეთ და -ი-ან — -ი-ან-თ სუფიქსები<sup>1</sup>, რომელთაც პატრონიმისტიკული ფუნქცია ხელს უწყობდა აღინიშნა საერთო წარმომავლობა. ღუღუშაურების გვარში გამოიყოფა შიოლენი<sup>2</sup>, თათარენი, ყაზიენი, ტუხუენი. ჩქარეულების გვარში — შაბურენი (შაბურ ჩქარეულის შთამომავალი), ლალიტენი, დორიჩენი, შიენი, ყიზილენი... ახლანდელი თაობის რომელიმე, ვთქვათ, ვახტანგ ჩქარეული იმ ჩქარეულების შთამომავლად თვლის თავს, რომელთა პაპა თუ პაპის პაპა იყო შაბურ-ი ან შაბურ-ა, მაშასადამე: შაბურეთ ვახტანგ. ამ -ეთ სუფიქსის დართვით გვარის სახელს -ურ დაბოლოება ხან მოეკეცება (ხეთაგ-ური: ხეთაგ-ეთ იასე, „ხეთაგურების იასე“), ხან — არა (ბეგა-ური: ბეგაურ-ეთ ბერაი). მოხეურსა და რაჭულში ამჟამად აქტიური გამოყენების ეს უძველესი ქართული სუფიქსი იშვიათადღა გვხვდება სალიტერატურო ქართულში. ის ან ფუძეს შეხორცებიან (შდრ. მოწამე-თა, სიმონეთ-ი...) ან სტილიზაციის დანიშნულებით იხმარება (შდრ. დედული და დედულ-ეთ-ი).

თითქოს -ენ, -ეთ სუფიქსები უფრო გავრცელებული ჩანს მოხეურში

1 ვ. თოფურია, მთარაქელის დახასიათებისათვის. ქეს, ტ. II, 1961, გვ. 242-3; არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, ტუპ, VI, 1926, გვ. 307-8; ს. ჭანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმეის შოამბე, I, 1937, გვ. 201-13; ვ. დონდუა, ლიპარეთისა და ანალოგიური ფორმების გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თსუ შრ., ტ. 33-ბ, 1945, გვ. 133-166; კ. ქეკელიძე, -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში, ეტიუდები, ტ. III, 1955, გვ. 116-119.

2 -ენ სუფიქსისეული ნ მოხეურში არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაიკარგოს. მაინც ყურადღებას იქცევს არაგვის საერისთავოს გამოსაღების ნუსხაში (Hd-3130, 1770 წ.) მოხსენიებული სოფლები: [გადაიხადოს] ფანშეთმა, თხელშამ, ქურთამ, გაიბოტემ, ტყარშეთმა... თუ ჩაწერილი სწორია და ეს სოფლების ძველი სახელწოდებაა, გამოდის, რომ გაიბოტემ არის ახლანდელი გაიბოტენი (ილიას ლელა დუნაის სოფელი, თერგის მარცხნივ), თანაც ყველგან -ეთ დაბოლოება და არა აწინდელი -მტ (გერგეტი, ფანშეთ...). -ეთ სუფიქსი ეგერტივად გავრცელებულია მოხეური გვარის სახელთა წარმოებაში და არაა მოულოდნელი ტომონიმებშიც ყოფილიყო. ამ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ დიალექტებში, მაგალითად, რაჭულში, გვაქვს -ეთ||ე: გრიგოლეთ||გრიგოლეთ ქალები (იხ. ვ. თოფურია, მთარაქელის დახასიათებისათვის. გვ. 243).

3 ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, ჩვენი მეცნიერება, № 11-12, 1924, გვ. 9.

გვარის სახელებში (ჩოფიკაშვილების შემცვლელია ჩოფიკენი, კვირკიშვილებისა — კვირკიენი, ავსაჯანიშვილებისა — ავსაჯანენი...), მაგრამ, ამას გარდა, გამოიყენება აგრეთვე საზოგადო სახელებიდან ცნობილი -იან სუფიქსი, რომელიც ხშირად ახალ სიტყვას აწარმოებს მოხეურში: ვაე-იან-ნი („ვაეის მხლებლები, მეფიონი“), ქალ-იან-ნი („ქალის, დედოფლის მაყრები“), მეზობლ-იან-ნი (მეზობლები, მეზობლობა). ეს ი-ან, -თ სუფიქსები, ქართლურ-კახურის მსგავსად, გვარის სახელთა მრავლობითობის, უკეთ შტო-გვარიდან წარმომავლობის საწარმოებლად გვაქვს: ყაზბეგი — ყაზბეგი-იან-ნი, ოდიშელი — ოდი-იან-ნი (ოდიშელები); როგორც ზემოთ ითქვა, მოხეურში ოჯახის შიგნით რამდენიმე თაობით დაცილებული ნათესავეები ოჯახის გაყოფამდე ქმნიდნენ მამით შთამომავლობის დასახელების შესაძლებლობას. ამიტომ ყოველი მამიშვილობა 5—7 თაობის შემდეგ ატარებს იმ ოჯახის სახელს, რომლიდანაც ის წარმოიშვა. ასე გაჩნდა, მაგალითად, გოჩიენ-ი ფიცხელაურების გვარში<sup>4</sup>.

მრავლობითის ნათესაობითში -თ სუფიქსიანი ფორმა ემფატიკური ხმოვნის დართვით სიტყვაწარმოებით მნიშვნელობასაც იძენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემფატიკურ ხმოვნად იხმარება ა და ი, უფრო ხშირად კი ი, რომლის დართვა-დაურთველობას ნათესაობითში ზოგჯერ განსაზღვრავს სათანადო სიტყვის ადგილი წინადადებაში: ღია კონსტრუქციაში (წინადადების ბოლოს) ი-ს დართვა თითქოს უფრო ხშირია. მაშასადამე, გვაქვს: ყაზბეგიან-თ, შიოლე-თ... მსაზღვრელად გამოყენების დროს; ყაზბეგიან-თ-ი, შიოლე-თ-ი — გაარსებითების შემთხვევაში ან ამ ტიპის სიტყვების ბოლო პოზიციაში ხმარებისა და განკერძოების დროს. საზოგადოდ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენება უცხო არაა ქართულში. ამგვარი -თ-ა, -თ-ი დაბოლოება გვხვდება სახელთა ბრუნებაში (მრ. ნათესაობითში) თუშურში<sup>5</sup>, ფშაურში, მოხეურში და სხვაგან:

ყაზბეგური ქალი ვარ, ფიცხელაურთი; აქ იყო არშული ქალი, სულიაურთი (ე. ი. სულიაურებისა. ყაზ., 308); წინაე ეგ ადგილი შიოლე-თი იყო, მამრე ბეკურეთ იყიდეს (ყაზ.); ეფხეთ გივარგი და ტეხეთ იაგორაი წასულიყვენს ნადირობა; ძრიალ ეშინოდა გერგეტლებს ყაზბეგიანთი; ერთი ქოსელთი ყოფილა (გორისციხე, 48); იქიველი ქალი შართეს, ჩქარეულთი (სიონი, 174); ელგუჯა საბაურთი იყო (სიონი, № 18).

მოხეურში ბრუნვათა ნიშნების სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენების ნიმუშია აგრეთვე ისეთი წარმოქმნილი სიტყვები. როგორცაა: ფევი:

<sup>4</sup> ვ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 26; მისივე, მთიელთა საოჯახო ყოფა-ცხოვრება, თბ., 1974, გვ. 20.

<sup>5</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 139, 5 (მაკრატონთი ქალი).



ფ ე კ ი ს ა ი („ფერხული“), ჩოკა: ჩოკისაი („შალის ჩოხის ნაჭერი“), ქოჩხისაი („თიხის ნატეხი“) და სხვ.

დაძვენთ აქვე, რომ ნათესაობითის ფორმა მონაწილეობს თავისებური მიმღებების წარმოებაში: საბზანისი („საბრძანებელი“), მოსაპარისი („მოსაპარავი“), სალონისი (ხურთ., 153).

## § 2. წარმომავლობა-სადაურობის გამოხატვა

სადაურობის სახელთა გამოხატვაში ყურადღებას იქცევს პარალელური ფორმები — „ვინ“ და „რა“ კატეგორიის სახელთა ერთნაირი წარმოება -ურ სუფიქსით და მის გვერდით -ელ სუფიქსის ხმარება, რაც სალიტერატურო ენის გავლენის შედეგია. მაგრამ თვით იმ სიტყვებშიც არის -ელ ნახმარი, რომლებსაც სალიტერატურო ქართული -ურ სუფიქსით გამოხატავს: იქიური კაცი გაუტაცნია (ხურთ., 141); მაგრამ: ცხო იქიველი კაცი არვინ ღნაზე? მე აქაველი არ ვარ, დედას გამოვეყ გერადა (ხალხ.); ჩუენ სადაველები ვართ (ფხ., 123).

საზოგადოდ, -ურ სუფიქსი ფართოდ არის გავრცელებული მოხეურში. სადაურობის გარდა, ის გამოხატავს კუთვნილებასაც და ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვით შეიძლება შეიცვალოს: ყაზბეგური ადგილი — ყაზბეგისა, ყაზბეგიანთ ადგილი. -ურ და -ელ ფორმანტების დართვას მოსდევს იგივე ცვლილებები -ის, -ეთ დაბოლოებიან ფუძეებში, რაც ცნობილია საერთოდ (მოკვეცა, ვ თანხმოვნის ჩართვა...).

[სხვებს] მასწერს ბაჩხიძემ და ხურთისელმა (სნო). მაგრამ: კოჭლი ხურთიელი იყო (ხურთისი); ერთი ხურთიელი კოჭლი ბაჩხიძე (გერგ.); ხურთით გემეტაცა ქალი, გზაჩი დეწივნეს ხურთივლები (ყაზ., 203); ხურვიული დღეობაა ევა (სიონი); რძალი იყო აწკუეთი, გერგეტული ქალი (ფანშ., 237); გერგეტული ყოფილა ის ქალი (არშა); გარბანული (ე. ი. სოფ. გარბანიდან) ხალხი (სნო); აქ იყო არშული ქალი (ყაზ., 308. მაგრამ არის არშაველი ქალიც!); გადასულა ტყარშეტულ მთაჩი (ფხ., 121); დარიალით გაურკვია ყაზბეგური ცხენები (ცლო, 278); ათენგენობა ყაზბეგური და სნოური დღეობაა (გერგ.); გაავლო კოლი სნოურ მინდორსა, ეგ აჩხოტური კი დარჩენია (ფანშ.).

## § 3. კნინობით-სააღერსო სახელები

ქართული დიალექტებიდან რაჭულს (ნაწილობრივ გურულ-ქვემოიშერულს) და მთის კილოებს შემორჩათ კნინობით-სააღერსო სახელთა წარმოება გარკვეული ჯგუფის სახელებში და არა საყოველთაოდ, ერთი და იმავე

სუფიქსით ნებისმიერი ფუძისაგან როდი იწარმოება კნინობითი სახელი. გვაქვს დაპირისპირება ქალ-ი და ქალ-ა, მაგრამ ასე როდია სახლ-ი და სახლ-ა, წარმოება მაინც შეზღუდულია. საზოგადოდ, ქართულში ისტორიულად კნინობით სახელთა წარმოება ფართოდ გავრცელებული არ იყო. კნინობით-საალერსო მნიშვნელობის გამოსახატავად მოხეურში იხმარება -ა, -ია, -ონ, -ალ სუფიქსები.

-ა და -ია (ეს უკანასკნელი ა ფუძიან სახელებშია) არა მარტო ფიზიკურად პატარა საგანს თუ პიროვნებას აღნიშნავს (1), არამედ მოფერებას, ალერსს, სინანულს, თანაგრძნობასაც გამოხატავს (2); ზიზღს, აბუჩად აგდებას გვიჩვენებს (3); დამცირებელი, ნაკლები მნიშვნელობით, სათვალავში ჩაგდების ღირსად არსაცნობ შინაარსზე მიუთითებს (4). რასაკვირველია, ყველა ამის პირობა არის კონტექსტი. ამას გარდა, სუფიქსები ერთვის არსებით სახელსაც. ზედსართავსაც, რიცხვითსაც და კუთვნილებითს ნაცვალსახელებსაც (უპირატესად, როცა ესენი მსაზღვრელებად იხმარება); ზოგჯერ ესენი მრავლობითის ფორმაში გვხვდება, მაგრამ მრავლობითის შინაარსით არ იგულისხმება, „მრავლობითის“ -ნ სუფიქსი აქ კნინობითობის -ან resp. -ალ სუფიქსია.

1. სამი გორი ეცილებოდა ერთმანეთსა, საქმე სასისხლოდ არ გაჯდესო და ქალამ თავი დაიმარხა (ყან); ცხენას ვკედავდი (ყაზ.); ბანას ვხუტდი (სიონი); წამადი, პურა შეგვამათ (სიონი); ბატარაი ქალაია, ბეჩავ (ყაზ.); პურათ დავუცხობ სტუმრებს და მამრე ბევრს ჩავაწერიანებ (არშა); ნახეს, რომ ბატარანი წყალანია (ტყარშ., 227); წყალათ კიდი; ბიკავ; წყალჩი გამიყვანე (მუზ., 29—971).

2. გავალ, ცხორათ გავჰხედავ (სიონი); ერთაი ძმაი გუყვანდა ობოლ ხუთ დასა; ორანი ბალდანი დავმარხეო (ფანშ., 237); თეთრანი ცხორანი მყავ სულა; ჩაიარა ჩემმა თეთრა ბატკანამაო? თეთრაი... ქალაი (სახალხ. ლექს., 55).

3. ისრი გასიებულაი და ბატარია დედუფალაია, როგორც ლამაზაი გოგრიაი (ყაზ.). ბაბაღე ფიცხელაურ-ჩოფიკაშვილის საუბრიდან; მთხოვარას ჩემთან არ ეუშეებო (ყან., 98); ძალლას მივიყვანს მკუდარზედა (ყაზ., 5).

4. ორანი ქათამანი-ლა მყავ; რაიც რძის ნაწილანი დარჩება სადღობელჩი, გადავსწურავ; არაყანი არა გიდგასთ რა? ერთაი ბოთლაი არაყი მქონდა და ემით სადლა გვევჭიბრებოდი?! ერთაი ძროხაი მყვანდა და ისა გავამბიდითკე [საჯნავჩი]; ორაი ურემაი პურაი ძლივ მადიოდა; [ერთი] ყოჩი აღრე დავკალით, სამანი კი სასთჟლოდ დავყარეთ (ყაზ.); ერთა თიკანა ხყვანდა (ცლო); ერთა ნათესავი ხყვანდა თოთსა (კარკ.).

6 სნოსწყლისა და თერგის შესართავთან ხიდისა და ადგილის სახელია.

-ა სუფიქსი, როგორც ვთქვით, დაერთვის ნაცვალსახელებსა და გარკვეულ კონტექსტში მათთან შეწყობილ ისეთ სიტყვებს, რომელთა საალერსო-კნინობითი ფორმა მოსალოდნელი არ იყო. ეს კონტექსტია: ტირილი, შექება, დალოცვა, ხვეწნა...

შენაი ჰირაიმე, ნუ მეტყუი უარსა, შენი ლამაზი მამაის სულს გაფიცებ; არ შეგნანდება შენაის სახლაის ერთის საათის მამრე დატოვება? (ტირილში მოსმენილი); ეხლა მოგაგონდაია ის სასიკუდილიაი? [იმ კაცის ცოლი] ჩემაი შეილაი იყო (ყაზ.).

უნდა შევნიშნოთ, რომ ლ ფუძიან სახელებში ზოგჯერ განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვის გარეშე დასტურდება -ა სუფიქსის გამოყენება: საჩეჩელი // საჩეჩელი-აი, საპენტელი // საპენტელი-აი, საკიდელი // საკიდელი-აი (შდრ. სალიტ. ენის წიფელი // წიფელი-ა...).

საალერსო-მოფერებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე -ა სუფიქსიან სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში: დედაისი, მამაისი, ბიძაისი, რაც მიმართვის დროს იხმარება: წადილა, ბიძაისი, წყალი გამამიტანე ვალმით (ვარდისუბანი). სხვა შემთხვევაში ნათესაობითის ფორმაში მდგარი სიტყვა დამოუკიდებელია, ახალი ლექსიკური ერთეულია (იხ. ზემოთ ფეჯისაი და მისთ.).

-ალ სუფიქსს იშვიათადლა ეხვდებით: გონჯ-ი: გონჯალ-აი, ვაც-ი: ვაცალ-აი; დედა: დედალ-აი // დედილ-აი (დედალაის ჰირიმე)?, თივა: თივალ-აი. ეს უკანასკნელი მეტად საინტერესოა ამ ფუძის აღნაგობის ისტორიისათვის. უდავოდ თივალ არის ამოსავალი ძველ ქართულში დადასტურებული სიტყვისათვის თივლოვან (შდრ. დაბა—დაბან:უდაბნო): იყო დიდად თივლოვან ადგილი იგი (ი, 6, 10 ც).

-ონ // -უნ სუფიქსი გამოიყოფა მიმართვის დროს ნახმარ სიტყვაში ბიქონ: ბიქონ, აქეთ მაიკვირე (თოთი. შდრ. ბიქუნ-ა), ბუზ-ი: ბუზუნა; შაუკქერია, ითომ ბუზუნაი არის იმის წინ (ყაზ., № 71).

ყოველთვის კნინობითის -აკ სუფიქსით იხმარება ჯორაკ-აი („ჯორი“. იქნებ ჯუარო—ჯორი სიტყვის სადიფერენციაციოდ). მოურავის ჯორაკაცი მოვიდა, პურს (ჯეჯილს) შკამს (ლარსი, 244).

#### § 4. შქონეობის -იერ სუფიქსი

-იერ მოხეურში ყოველთვის -იარ ფორმითაა გავრცელებული: ხოყნიარება მშიარი დარჩა (ყან., 96); ბედრიანი ღლე; ყველიარის წინა ღლე (გერგ., 237); წავიდა ისრივ ცარიალაი (ყან., 99); წყალი გემრიალი იქნება; მადრიალიც ვარ ამ ცხოვრებისა (გერგ., 104):

7 ბევში ეფერებოდა ღელას ამ სიტყვებით.

გონიერი ბიკები: საბნის მაგიარ ხმარობდეს (ხურთ., 139); ძრიალ გოწუხებდეს.

## § 5. ხელობის სახელებისა და მიმღობათა წარმოება

ზოგ ასეთ ფუძეში თანამედროვე სალიტერატურო ენის პრეფიქს-სუფიქსები ან სულ არაა, ან სახეცვლილია. კერძოდ, მო- პრეფიქსი ხშირად იცვლება მე- და მა- (ან პირიქით) თავსართებით. (უქანასკნელში ალბათ გარკვეულ როლს თამაშობს ზმნისწინებთან ანალოგია):

ბევრ მენადირე<sup>8</sup> მინახავ (ხალხ. ლექსი „თივის თრაზე“); შენი ძმის ცოლის მაკეთე (ყაზ., 328); აქაველი, მაკვევე კაცი იყო (ყაზ.); ცხორ-მეცხორისა კი ვიცი და დანარჩენი მოცნიარობისა ვერ ვიცი (ლარსი, 247); მოსულა ქალაქის მოთაურთან (ყაზ., № 71); ოჯახის მეფურღ-სე იქნებოდა (ყაზ., 40); ერთი მოკომური ყოფილა (ახალციხე, 73); დაუნახია ი მოცნავსა ბაღლი (ყან., 156); თქუენის ავისა მათქუ მსა (ყაზ., 4).

ანალოგიით არის წარმოქმნილი მოკირე: შენ არც მაკეთედ ვარგინარ და არც მოკირედო (ყაზ., 88); ასევე ანალოგიით არის შეცვლილი საგზალი მოხ. საგძარი (შდრ. სამხარი).

საინტერესოა სა- პრეფიქსით ნაწარმოები სახელების შესატყვისები მოხეურში: საჯნავის ნაცვლად საჯნაური (საჯნაური ადგილები: ყან., 156). წარმოშობით საობიექტო მიმღობაში, ამჟამად გაარსებითებულ ზოგიერთ სახელში სა- პრეფიქსის ნაცვლად იხმარება მარტოოდენ ს-, რაც ნიშანდობლივია უძველესი უპრეფიქსო ზმნებისათვის: გასტეხელი („ქადა“), დასკერავაი („დასაკერებელი“, „საკერველი“), გასკიდელი და სხვა, სადაც ყველგან შესაბამისი ზმნები უპრეფიქსოა: ტეხ-ს, კერავ-ს, კიდებ-ს. ანალოგიური წარმოების ნაშთები გვაქვს ძველ ქართულში დასდებელი (შდრ. დებ-ს). თუმცა ამგვარი წარმოება თანამიმდევრულად არაა დიალექტში გატარებული: ზრდი-ს, მაგრამ მოხეურში გვაქვს გასაზდელი, გასამზდელი. ასეთ მაგალითებში, ეტყობა, ზმნის ანლაუტის თანხმოვანთა რაოდენობას და მარცვლიანობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. რამდენიმე ასეთ შემთხვევაში ზმნისწინი სა- პრეფიქსის შემდეგაა: საგამრჯელო (—გასამრჯელო).

## § 6. კომპოზიტები

მოხეურშიც, ფშაურისა, მესხურ-ჯავახურისა და სხვა დიალექტების მსგავსად, გვაქვს ფუძის ხმოვანმონაცვლე და კომპოზიტის მეორე კომპონენტში მა-

<sup>8</sup> ამგვარი მონაცვლეობა ისტორიულია, შდრ. მემრუშე (ლ. 18,11) მემრუშე (მთ. 12, 39).

მარცვლის შემცველი ფორმები: შამზადებულხარ სამრად, გორგურო  
ლაზათიანო (ყაზ., 260); სიჩქარ-მაჩქარას გავთხარეთ საფლავები (გო-  
რისციხე, 238). ხშირად მეორე წევრია -ტილა: წელტილაი, დათუ-  
ტილაი, ძალლტილაი; ვითარდება ს: დედასჩემი (—//დედაშ-  
ჩემი. გერგ., 14).

## § 7. აბსტრაქტული სახელებისა და მასდარის წარმოება

აბსტრაქტული სახელებისა და მასდარის წარმოებაში აღსანიშნავია რამ-  
დენიმე თავისებურება. ზოგი არქაული სახელის ანალოგიით და უნიფორმა-  
ციით უფრო მეტად გავრცელებულია პრეფიქსული წარმოება: სიკაჟკაცე,  
სიკაიბიჟე (||კაი ბიჟობა), სიობლე, სიმხიარულე, სიგულა-  
დე, სიმქკუიანე (ქალისთჳი მთავარია სიმქკუიანე: ყაზ.), სიბრმე  
(ცხორს სიბრმე დაეწყება ზაფხულჩი: კარკ.). გვაქვს სუფიქსებიც ზმნისართი-  
საგან ნაწარმოებ სახელში: მანდ: მანდ-ი-ობა: მგლად მახქცევიხარ მანდიო-  
ბასაო („მანდაურობას“, „მაგ ადგილს“).

მასდარებში ძველი ფორმაც გვხვდება (რბოლით ვიარათ) და ახალიც:  
პატრიჯილი (პატრიჯლი იყვისკე ერთმანერთჩი).

## § 8. ტოპონიმია და ონომასტიკა

ისე როგორც საქართველოს ყველა რეგიონის, ხევის ტოპონიმიაც და  
ონომასტიკაც საინტერესო და თავისებური<sup>9</sup>, რამდენადაც წმინდა ქართული  
წარმოების გვერდით აქ შეიმჩნევა რთული სუბსტრატული მოვლენებიც. სა-  
კითხი ენათმეცნიერული თვალსაზრისით ცალკე კვლევის საგანია. ამჟერად  
ორიოდე შენიშვნით უნდა დაგკმაყოფილდეთ.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული -ის დაბოლოებიანი ტოპონი-  
მები სევეშიც დასტურდება. კონკრეტულ შემთხვევაში ის უკავშირდება გვარის  
სახელს: ხუთ-ის-ი — ხურთიშვილების საცხოვრისი<sup>10</sup>. განსაკუთრებით ხშირია  
მრავლობითობის (resp. კრებითობის) სუფიქსებით გადმოცემული ტოპოლექ-  
სები. ყან-ობ-ი (საყანე ადგილი); ბოსლ-ობ-ი (საძოვრები ხურთისში), სათი-  
ბოენ-ებ-ი (სა-თიბ-ოენ-ებ-ი — ადგილია გარბანში), რომელთა ანალოგიური  
ფორმები სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში (შდრ. ბოსლ-ებ-ი||ბოსლ-ევი-ი...) -ობ  
სუფიქსის ფუნქციას ამ ასპექტში განგვახილვინებს.

<sup>9</sup> ამ საკითხზე საინტერესო და უხვი მასალებია: ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპო-  
ნიმია, თბ., 1977.

<sup>10</sup> ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), III გერგე-  
ტის სამების მატანე, მოსახსენებელი სულთა მასალები საქ. და კავკას. ისტორიისათვის,  
ნაყვ. 30, თბ., 1954, გვ. 272.

მრავლობითობის ფუნქციადაკარგული ფორმა, ზოგჯერ ახალი აფიქსების დართვით, ფართოდ გამოიყენება გვარ-სახელთა და მცენარეთა სახელებისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: თ ე მ უ რ-ე ნ-ი (კობიაშვილების ერთი ნაწილის პატრონიმული სახელი, შდრ. თემურ-ერთ წყარო), გ ო გ ი-ა ნ-ი (გოგიშვილებისეული), ო ხ თ ა ნ გ-ე ნ-ი (ყანობელი ვარდიშვილების გამონაყოფი, შდრ. ოხთანგ-ეთ ადგილი), პ ა კ ი-ა ნ-თ-ე ბ-ი (ხულეღიძეების შტოს სახელია, ჰქვია სათიბს გაიბოტენში), ბ რ ო ლ ი ა ნ-თ-ი (ტუხაშვილების შტოს სახელია, ჰქვია ადგილს ხურთისში, შდრ. ბროლიანთ წყარო).

მოხეურშიც გვხვდება -თანა დართული მიკროტოპონიმები: ე ს კ ა ლ-თ ა-ნ ა (ე. ი. ასკილის ბუჩქებთან ახლო მდებარე ნაკვეთი), კ ა რ-თ ა ნ ა და მისთ.

#### IV. სინტაქსი

ქართულ დიალექტებში რთული წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ძირითადად იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულ ენას ახასიათებს. თავისებურებები შეინიშნება უპირატესად მარტივი წინადადების წევრთა სინტაქსურ ურთიერთობაში. ამ თავისებურებათაგან ნაწილი ძველი ქართულისეულია, ნაწილი — საკუთრივ მოხეურის ინოვაციაა.

1. შეინიშნება შემასმენლის გამოტოვების რამდენიმე შემთხვევა, როცა ეს შემასმენელი კონტექსტით ადვილად იგულისხმება, მაგალითად, გამოტოვებულია ხ ა რ, გ თ ხ ო ვ ა, შე მ ო გ ი თ ვ ა ლ ა: — მანგიაუ, შენა? — უთხრა იმ ბებერმა. — ჰაი, ჰაი, მე ვარ (კარკ., 69)<sup>1</sup>; — გიგიაუ, მამამა ცხორი ჩირდილჩი არეკოდეო (სიონი); შამოვიდა და დაიძახა: ვინ მლქიძარი და ვინ მქინარიო (ყან., 91).

2. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ჰემდებარესთან ერთად მრავლობითშია: ექჷსნი ძმანი იყუნეს წასულე ბი ქოითეე ხორბლობა (ყან.); ისები რო დასჷენებულე ბი არიან (ყან., 10); ცჷრები მშივრე ბი დოგრჩისკე, ჩუენი აღგილები წართმეულე ბი იყო (ყან., 25).

3. მეორე ობიექტური პირი შემასმენელს ითანხმებს მრავლობითში მაშინაც, როცა სუბიექტი მრავლობითშია. ამგვარად, ეგაქეს:

ა) მა გ ი კ ი თ ხ ა ვ ს თ [ის თქუნენ]; გ ი შ უ ე ლ ა ს თ ა; გ ი დ გ ა ს თ; ჯ ო რ ი გ ე წ ე რ ა ს თ; სული გ ი ც ხ ო ნ დ ე ს თ მკუდრისაო; იმედი გ ქ ო ნ დ ე ს თ; შამაგითოლესთ იმათა — ჩქარ ამადითო; პირმა დაგლოცესთ<sup>2</sup> ღმრთისამა (სნო, 207).

ბ) თქუნენ იქ მი გ ე ლ ი ა ნ თ [ისინი]; ცხელს დღეს დაგაყენებენთ; აქითაც მა გ ი კ ი თ ხ ა ვ ე ნ თ; ბატარა ხიზანი არ გაგტაცონთ.

4. -ს სუფიქსიანი მრავლობითი მოხეურში იშვიათადაა გვხვდება, თუ მაინც ლექსებში, რომლებშიც ის ან უქლეღსი დროის გადმონაშთია, ან რითმის საჭიროებისა და სტილიზაციის შედეგია. ასეთ შემთხვევებში ხან ძველი წესია დაცული: შემასმენელს ითანხმებს მრავლობითის სახელობითი ბრუნვაში დასმული სახელი (ობიექტი, სუბიექტი), ხან ახალი ნორმია, შეთანხმება ალარაა: ა) იქ ვ ნ ა ხ ე ნ ე ს ე ნ ი; შ უ ი დ ნ ი გაუ წ ყ ჴ ე ტ ნ ი ა (კარკ., 203);

<sup>1</sup> მსგავსი შემთხვევები ალ. ყაზბეგის თხზულებებშიც არის.

<sup>2</sup> ლექსშია. ასეთი რამ ძალიან იშვიათია.

ვეს მოკვეენი უბნობენ: ვევსურნი გავაქციენით, წითელ-ყვითელი დროშანი საბაყეს დაეყრიენით (კარკ.); ცოტანი თამაქონი მქონან; ძმანი წაკვიდნო (ასეა!) ერთურთსა (ს. მაკალ., 266); ხევსურეთს ბასალიონმა სიონს ირჩივნა ველნია (ს. მაკალ., 272); ბ) ფეჯნი ჩაუსხლტა; ხუთნი დაიჭირეს (გერგ., 6); არწივს მოტეხა მხარნია (ს. მაკალ., 207); სად მოვნახო შენი გზანი (ს. მაკალ., 257).

5. ინვერსიულ ზმნებში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა შემასმენელში უმეტესწილად არ აღინიშნება, ისე როგორც ეს იყო ქართული ენის წერილობით ძეგლებში მეთექვსმეტე საუკუნემდე: რაი კელი („უფლება“) აქჷ მაგ გონჯთაო! იმათა კარგა ზძინია: შეშის კონები შეეწერა [ყაზბეგებს გერგეტლებისათვის]; ყაზბეგიანთ იმის დაქერა ძალიან ეწყინა...

მაგრამ იმის გამო, რომ მიცემითში დასმული მეორე პირის ობიექტი ზმნაში მრავლობითის ნიშანს აჩენს (შდრ. ზემოთ: მაგიკითხავ-ს-თ), ანალოგიით აქაც ისახება მრავლობითში შეთანხმება: თავუისგა ნუ გეშინიათო...

6. არქაული სინტაქსური წყობა შემოუნახავს ასწია, დაპატრეა, ეშინია და ზოგ სხვა ზმნას: პირველთან ობიექტი მიცემითშია, დანარჩენები თანდებულების მეშვეობით იმართვიან: ასწია ქვასა („ბეჟანიანი“, ფხელშე); დავხპატიჯე მე იმებსა; ვარებს დაასულდგმულიან (გერგ., 6—7); არცხუინის იმ ქალსა; თავუისგა ნუ გეშინიათო (სნო, 5); იმ ქალისაგა ძრილ მებათრება; დავსწუხდი თქუენკე („თქვენგან“, „თქვენგამო“).

7. შესამჩნევ მერყეობას იჩენს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში: ხან სრული შეთანხმებაა, ხან — ნაწილობრივი: ვკმარობდით დიდს გუდანურებსა; ცხრას ლეკს (ს. მაკალ., 267); დიდს მტყელს ქვასა; ცხელს დღეს; რვის წლისამ დავიწყე, მაგრამ: ამირჩივდეს პატიოსან კაცსა; მესამე წელიწადს.

ანალოგიით არის შეთანხმება ატრიბუტულ სინტაგმებში: ავის თოლით, ცხელის ცრემლით; შავს წყლად...

მართული ინვერსიული მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს მრავლობითში: ფრთენი აკრია ფაშგუჩისანი („ბეჟანიანი“, ფხელშე), ანალოგიურად, აწრობრივი შეთანხმება გვაქვს ასეთ შემთხვევაში: ორივენი ხმელხმელი, მაღალი ტანისები იყვნეს (გერგ.).

8. მხოლოდობითის ფორმით წარმოდგენილი ორცნებიანი კომპოზიტები და კრებითი სახელები (კოლექტივის აღმნიშვნელი სიტყვები), ასევე რაოდენობითი რიცხვითი სახელები შინაარსის მიხედვით ითანხმებენ შემასმენელს მრავლობით რიცხვში:



დედამამეს ამბოვი ძრიალ შაითხრეს („შეიცხადეს“); ჩუენი გორი სამხდოს აკეთებენ; სამი დიდი გორი ერთმანერთს ეცილებოდეს იმ ქალსა; ადგეს და დაადგინეს ესრე თემთა საბჭომ; ერთ სახლჩი სამი იდგიან; ხედვენ თემი (ყარკ., № 62); ბელადი რო მაუკლა, ადგა და გაიქცეს ჟარიცა; ხალხი შენ სისხლს დაღლევედესო (ყაზ., 21); იმ ადგილას ხალხმა გააკეთეს ჟორი; ჯევის მოსახლეობა კი ყმად არ მიეცნეს მაგათა (ყაზ., 37); ორ პირას ისხდა ერობა (ყაზ., 38). ფიცი ქნეს თემმა (ს. მაკალ., 129).

არის საპირისპირო შემთხვევა: ადამიანის სახელი მრავლობითშია, მაგრამ შემასმენელი არ ეთანხმება: ხიდის ყურს იდგა ქალები; გარს ეხვეოდა ქალები (ს. მაკალ., 260).

9. გვაქვს ასილენტური წინადადების საინტერესო ფაქტები პოეზიაში: „მოგივიდოდი ცოლად, არ ვიყო კვეთილიანი“, გამოტოვებულია კავშირი რომ. შეინიშნება სინტაქსური ანალოგიისა და რეგრესული სინტაქსური ასიმილაციის ცალკეული შემთხვევები: დეეცეს ქიშტებმა და გარეეცს ცხორი; ამ ღრუბელამ წამოვიდა და ავსაჯანიშვილის ქალი ითხოვა.

10. შემორჩენილია ე. წ. მასდარული კონსტრუქცია— ძველი ქართულის შესაბამისად ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ინფინიტივის ფუნქციას ითავებს: ოლონდ, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ამ კონსტრუქციის გადმოსაცემად გამოყენებულია სახელისაგან -ობ||-ობ-ა (<-ობად) სუფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული ფორმები. სახელებს -ა დაბოლოება ხანდახან ეკვეცება და, იგულისხმება, ეკვეცება გარდაქცევითი (მოდალური) ბრუნვის დაბოლოება: ხილობ წასვლა ჩვენ მიგვაჩნია ხილობად ფორმისაგან მიღებულად. ეჭვი არ არის, რომ ეს კონსტრუქცია უძველესი ვითარების გარდმონაშთია მოხეურში (და ხევსურულში) და ადასტურებს ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში ცოცხალი ქართული მეტყველების ანარეკლს<sup>4</sup>. მოხეურში დასტურდება სამგვარი ფორმა: ნადირობ, ნადირ-ობ-ა და იშვიათად — ნადირ-ობ-ად; აღნიშნულ ფორმებს შეესატყვისება მიზნის გარემოება ან შესაბამისი დამოკიდებული წინადადება.

ათ წელ ვიარე ნადირობ, შენი იმედი მქონდაო („ჯარჯის ლექსი“); ბრძოლად კაცს უნდა ფარ-ხმალი, გული და გამოცდილება (სახალხ. ლექს. 33); ეფხუეთ გივარგი და ტუხუეთ იაგორაი წასულიყენენ ნადირობად; ზემო მთებჩი ნადირობა წავიდა აბესალომი თავის ამქრებითა; კოწა-

<sup>4</sup> ფაქტები შენიშნულია და ახსნილია: ვ. თოფურიძე, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა დიალექტების მიხედვით, ჩენი მეცნიერება, № 1, 1923, გვ. 119—121; კ. დოზღუა, შიპარტებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიშკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 330—334.

<sup>5</sup> ი. ქავთარაძე, ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები, ქესს, V, 1981, გვ. 138—143.

ხ უ რ ო ბ წასულიყვნეს ქალი და რძალი; ვეტყუი მეზობელსა, რო წავიდეთ  
კ ა ლ მ ა ხ ო ბ ა; კ ა ლ მ ა ხ ო ბ ა არ წამოხოლ? ბ რ ო ლ ო ბ ვიყვენით ყუ-  
როს მთაჩი; შ ე შ ო ბ ა ეხლა არც ვინ დადის.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ კონსტრუქციის გვერდით ვხვდე-  
ბით ისეთ ფორმებსაც, რომლებიც ნახმარია საშუალო ქართულის წერილობით  
ძეგლებში. ამ კონსტრუქციის განვითარება-ცვლილების შედეგად ვითარები-  
თის ფორმა შეცვლილია უთანდებულო ან -ზე თანდებულიანი მიცემითით, ან  
მყოფადის მიმღობით (შდრ. მიცემად ვარ — მისაცემს ვარ „უნდა მივცე“)<sup>6</sup>.

შ ე შ ო ბ ა ს ვყოფილვარ ქავთარეთჩი [მთიულეთში]; მააქუნებდა ტოლებს  
და წავიდოდა შ ე შ ო ბ ა ზ ე; ძროხა მ ა ს ა გ ე ბ თ ა ა [ე. ი. მალე, აუცილებ-  
ლად მოიგებს].

---

<sup>6</sup> ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, აღწერითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ძველ ქართულში,  
მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), № 1, 1971, გვ. 136.

## V. სტილი

აღსანიშნავია სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ერთი სტილური თავისებურება: ცოცხალი (სულიერი) საგნის აღმნიშვნელ სახელებთან ცალკეულ შემთხვევებში ჰყავს ზმნის ნაცვლად აქვს ზმნის გამოყენება: შენ კი აღარ გუქნებო, ძმაო... (ტირილიდან); ოჯახს თუ ბევრი მუშა ექნებოდა, ქვას თითონ მაამზადებდა; ვისაც თითო ჯარი გუქნებოდა, ან ცხენი გუქნებოდა, შავამბავდით ერთადა მეზობლები; ყუელა მტერ-მოყუარე გაცნობილი ექნებოდა (ყან., 99); იმას ექნებოდა ყვენი, კიდავ ექნებოდა მოლა („ბერიკობა“, ტყარშ., 185); ცხორი გექნება, რაიც გექნება — მისცემ (ყაზ., 41).

ამგვარივე ვითარებაა რაჭულში<sup>1</sup>, მთიულურ<sup>2</sup>, ფშაურ და მესხურ-ჯავახურ დიალექტებში.

---

1 ვ. თოფურია, მთარაქულის დახასიათებისათვის, ქესს, II, 1961, გვ. 247.

2 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 57.

## დასკვნები

1. მოხეური დიალექტი აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოთა ჯგუფში შედის. მას ბევრი საზიარო აქვს ამ კილოებთან: მსგავსია ბრუნვათა ნიშნები და ფუნქციები, თანდებულები და თანდებულიან სახელთა ბრუნება, თვლის სისტემა, ნაცვალსახელების, ნაწილაკებისა და კავშირების შედგენილობა-გამოყენება, მარტივი წინადადების წვერთა სინტაქსური ურთიერთობა, სიტყვაწარმოებისა და დრო-კილოთა წარმოების ძირითადი ნიშნები. ზოგი უხერხულობა რომ არა, მიზანშეწონილი იქნებოდა დარჩენილიყო ხმარებაში „ფხოური კილო“ და მაშინ დიალექტებად ჩვენ მიერ სახელდებული ერთეულები სამართლიანად მიიჩნეოდა კილოკავებად. მაგრამ დამკვიდრებული ტრადიციით და ტერმინ დიალექტის ისტორიულ-ეტიმოლოგიური გაგებით ჩვენც ვხმარობთ მოხეურისათვის დიალექტს, რომელსაც ამართლებს ისტორიულად განვითარების შედეგად შექმნილი რიგი თავისებურება, ბარის დიალექტებისა და სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული. მთის კილოთაგან მოხეური მთიულურთან ერთად მაინც ყველაზე უფრო ახლოს დგას სალიტერატურო ენასთან, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს სამხედრო გზით ბარის კილოებთან (ქართლურთან) კონტაქტებმა, სკოლისა და ლიტერატურული ენის გავლენამ.

მოხეურის კილოკავური დიფერენციაცია მეტად უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევია, თუმცა მეტყველების რიტმიკითა და მელოდიკით თითქოს უფრო გამოირჩევა თერგის მარცხენა მხარის მცხოვრებთა მეტყველება. არქაული ფონეტიკური და ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები უფრო შესამჩნევია ძველი თაობის მეტყველებაში.

2. მოხეურის ბგერითი სისტემა ხასიათდება ზოგიერთი სირთულით. შემონახულია უკანაენისმიერი ფარინგალური ჯ და ხმოვნისა და თანხმოვნის შუალედური ბუნების უ ბგერები. უ-ს პოზიცია ჯერ კიდევ მტკიცეა სიტყვის ყველა პოზიციაში, იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, რომელშიც ძველი ქართულიდანაა ცნობილი, ანალოგიით ზოგ სხვა ფუძეშიც ჩანს გავრცელებული (მაგ.: ვიყავ, შდრ. იყუის...). შეიმჩნევა რყევა ჯ-ს პოზიციაში, რაც გამოიხატება ხ-ით შეცვლის (ახსონ, ხარი...) ან ხ-ს ხმარებასთან მისი აღრევის შემთხვევაში (კირტალა||ხირტალა, ხუთულა||კუთულა...).

3. იშვიათ შემთხვევაში ხმოვნით დაწყებულ სიტყვას ახასიათებს მაგარი ან რბილი (აოტირებული) შემართვა: ე ი ს მწყემსი, ე ე ს მთა, ე ი მ ქალამ...

მე მ კაცს, მე ნა („ენა“). განმეორებული კითხვის დროს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში შეიმჩნევა თანხმოვნის ვოკალიზაცია, რაც გამოიხატება შუარისის ნეიტრალური (ირაციონალური) გ ხმოვნით: ძაუგსგ (ძაუგში?). ჯ, ყ, გ მოხეურში ფონემებად არ მიიჩნევა.

4. მოხეურ სიტყვაში ბგერათა არტიკულაცია მკაფიო და ძლიერია. მახვილი ტონურ-მუსიკალურია: ორ- და სამმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამზე მეტმარცვლიან სიტყვაში მთავარი და თანამახვილია, რომელიც მოუღის მესამე-მეოთხე მარცვლებს და მუსიკალური ტონების ამაღლება თანაბრად ნაწილდება (მოსამსახურე; ოგბრწყინდებოდა „აგვიბრწყინდებოდა“). ფრაზაში და ლექსში სიტყვის ეს მახვილი არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ინტონაცია სხვადასხვა ფსიქოლოგიური მომენტის შესაბამისად (გაჭავრება, მუქარა, წყევლა, შექება, ხვეწნა, მოფერება).

5. მეტყველების ზომიერი რიტმისა, მეღერობის მაღალი ხარისხისა და გამოკვეთილი არტიკულაციის წყალობით მოხეურში ნაკლებად არის გავრცელებული ბგერათცვლილებები. მაგრამ მაინც შეინიშნება ცალკეული შემთხვევები: ა) ბგერათა დაკარგვისა (მეზობლისაგა, მეელე—მეველე, აქუ—აქვს, დაფთხა); ბ) ბგერათა ჩამატებისა (მქუჭიანი, მძლივ, სნოველი, მუნთაქა, ჩირდილი, ლურმა—ღრმა), გ) ბგერათა თუ მარცვალთა გადასმისა (ყირვანი, მუცროსი—უმცროსი, მაშიენე—მაშინვე, გატყლეჭა—გაჰყლეტა, ბედრიანი, ძრიალი, ეხშიანი—ეშხიანი. აეტამსნა—აეტმასნა); დ) ბგერათა მონაცვლეობისა (ქორწილი—ხორწილი||კორწილი, მიწრო, მთხილი, აბლაბოდა, ფირფლი—ფერფლი, უკენ, კიდავ, სივანი—სიონი, ვანისე—ონისე).

6. მოხეურში იცვლება სალიტერატურო ქართულის თანხმოვანთა კომპლექსები: სტ>შტ (ქიშტი), სკ>შკ (შკამი), სხ—ცხ (სხვა—ცხო. შეინიშნება წინაუქმოც: ცხ—სხ: სხიმიანი „ცხიმიანი“), შხ>ჩხ (ჩხამი), თკ>ტკ (ქოიტკე).

ჟ ბგერის მომდევნო ა, ე, ი ხმოვნებით მიღებული კომპლექსები თითქმის ყოველთვის იცვლება და შესაბამისად მიიღება: ჟა>ო (ქობი, ცხორი, თოლი...), ჟე>ო (ქოით, ხოყანა, ეხოწება), ჟი>უ (ერთ კურაჩი, თუ აკურდები...), ჟე, ჟი კომპლექსების რეფლექსებს ახასიათებს პალატალური არტიკულაცია, რის შედეგადაც გვაქვს არაფონოლოგიური ღირებულების ლაბიალური უბლაუტი: გვეხვეწება>გოხწება, გვიყვარს>გუყორს... ოღონდ მოხეურში ჩვეულებრივია ჟე||ჟ. ჟი||ჟ თავისუფალი მონაცვლეობა და მათი პარალელური ხმარება: ერთ თჟეჩი||ერთ თოჩი, სჟილის ბერტყვა||სულის ბერტყვა, გჟეშტელებე||გოშტელებე, გჟიღლიდა||გუღლიდა...

7. ბგერათა სპონტანურ ცვლილებებს გარდა, საკმაოდ შესამჩნევია დისიმილაციისა (ჭაგარი>ჭეგარი, დალიშნული<დანისნული, მარიანობა<მარიამობა) და განსაკუთრებით ყველა სახის (უფრო მეტად მაინც — რეგრესული) ასიმილაციის შემთხვევები, რის შედეგადაც: აე>აე (აედევნა>ეედევნა, გამაგეზხანა>გემეგეზხანა, დაგვეცეს>დაგუეცეს), იუ>იუ (მუუზხანან „მიუბრძა-

ნონ“). მოხეურში უცხოა აუ > ოუ და უშუალო მეზობლობაში აი > ეი პროცესი. შეინიშნება მხოლოდ დისტანციურად: ამიჩქარე > ე მ ი ჩ ქ ა რ ე; მომდევნო ბაგისძიერი იმსგავსებს წინამავალ ა-ს: ა > ო\* პოვლე, ამბოვი, ომენ (<ამენ). ყველაზე უფრო ხშირია ფუძისა და პირველი ობიექტური პირის ნიშნისეული უ-ს პროგრესულ-ასიმილაციური მოქმედება მეტადრე ზმნებში. ასიმილაციის შემდეგ უ უჩინარდება დელაბილიზაციის ძალით: 1) ო გ ზ ა რ და (<აგუზარდა), დ ო გ რ ჩ ა (<დაგურჩა); 2) გ ო გ ა ც ნ ე ს (<გაგუცნეს); 3) ო გ ე მ ღ უ რ ა (აგუმღურა), დ ო გ ე შ ა ლ ა (დაგუმშალა); 4) ო გ ი ს რ უ ლ და (<აგუისრულდა), დ ო გ ი ლ ი ა (<დაგუილია).

მართალია, ეს მოვლენა ზმნებშია და სახელებში არ შეინიშნება (შდრ დოგასუენა „დაგვასვენა“, დოგესუენა „დაგვესვენა“, მაგრამ დასუენებულისი დასონებულისი და არა დოსუენებულისი!), მაგრამ აღნიშნულ ცვლილებებში უნდა გვეჭონდეს დისტანციური ლაბიალური ასიმილაციის კვალი და არა მეტათეზისის შემდეგ მიღებული დამსგავსება (ოგზარდა < \*აუგზარდა). პირის ნიშნისეული უ, resp. ვ ბგერის რეგრესული მეტათეზისი ქართულში უცხოა, პროგრესული კი ცნობილია (თუშურში, სვანურში, ნაწილობრივ იმერულში). გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს არალაბიალური დისტანციური ასიმილაციის ფაქტებიც: ყაჩაღები დ ე გ უ ე ც ე ს („ყაჩაღები დაგვეცნენ“), სადაც ხმოვნის პროგრესულ-ასიმილაციურ ცვლილებას იწვევს ვნებიანობის ე ნიშანი. უ რომ თავის ადგილზე რჩება, ამას ადასტურებს გაუმლაუტებული რეფლექსები (უე > ო, უი > უ: დაგუეცეს > დოგუცეს, დაგუიშალა > დოგუიშალა) და მერმინდელი დელაბილიზაცია ზმნებში (დოგეცეს, დოგიშალა) და სახელებში (\*სუფრა > სიფრა. \*ლობიო > ლებიო).

8. ბოლონმოენიანი სახელებიდან ა ფუძიანებს ყოველთვის მოუდის სახელობითი ი დაბოლოება. ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნების დროს უფრო მეტად არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი იცვლება (შკოლა-ის, ტუმარა-თ, მამა-ის); შეინიშნება გარდამავალი საფეხური ნათესაობით-მოქმედებითში და ემფატიკური ა-ს შეცვლისა ი ხმოვნით (გვაქვს: ოქრო-თ, ძმ-ის-ი); მიცემითი ფუნქციით ენაცვლება ვითარების (მზა-ს, წკრინ-ას „მწკრივად“); უთანდებულო მოქმედებითი გამოიყენება აბლატივის მნიშვნელობით (გერგეტ-ით „გერგეტხდან“). -თ ვის თანდებულს ზოგჯერ ცვლის ნანათესაობითარი ვითარებითი (ცხტისად „სხვისთვის“), -ში-ს ნაცვლად იხმარება -ჩი||ჩიგა. ჩვეულებრივია თანდებულიან სახელთა ბრუნება (ქალაქ-ჩიგა-თ, საცნავ-ზედ-ით, მამა-ბაპის-გნ-ით).

9. თვლის სისტემა ოცობითი (სამოცი..., ხუთოცი, ექვსოცი...) და ასეულობითი (ათასი, თერთმეტასი...). ამ ნაცვალსახელის მაგიერ იხმარება ემ. ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს დაერთვის დეიქტური ნაწილაკები ან იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელები: ა ემ კაცს, აგა იქა... უნიფიცირებულია დროისა და ვითარების ზმნისართების ფორმები — გამოიყენება ან ზედსარ-

თავის ფუძე (ჩქარ, ლამაზ), ნაწილაკ-დეტერმინანტი -ნა (ეხლანა, მამრენა), ან მიცემით-ნათესაობითის და ვითარებითის უძველესი -ავ დაბოლოებები (წინას, ძოლას; წინავ, წინავის, ძოლანის, ეხლანის, მამრენის, ზამთრის „ზამთარში“); თუ კავშირს ნაწილაკის „ხომ“ მნიშვნელობაც აქვს, ამავე ნაწილაკის მნიშვნელობით გამოიყენება რომ; -და ნაწილაკი ზმნასთან თხოვნითი იერისათვის იხმარება (ნახედა).

10. ადამიანის სადაურობას სახელებს თანაბრად აწარმოებს -ურ და -ელ სუფიქსები (ყაზბეგური||ყაზბეგელი ქალი); მქონეობის სახელთა -იერ||-იელ სუფიქსი ყოველთვის -იარ||-იალ სახით გვხვდება (ძრიალი, მშობარი); ფართოდ და გამოყენებული კინნობით-საალერსო -ა, -ია სუფიქსები (ქალ-ა, ბატარია, „პატარა“). გვარის სახელთაგან ახალი შტო-ოჯახების საწარმოებლად იხმარება -ენ/-ეთ (შიოლ-ენ-ი, შიოლ-ეთ-ი) და ი-ან/-ი-ან-თ სუფიქსები (ყაზბეგ-ი-ან-ი, ყაზბეგ-ი-ან-თ-ი); აბსტრაქტულ სახელებში კარბობს სი—ე (სივყუ-კაცე, სიკაიბიჭვე).

II. მოხეურში დაუბრკოლებლად იწარმოება სახელთაგან ზმნური ფუძეები (მოითავკვლებს, გამოილომლებს...). აწმყოში რიგი ზმნა უთემისნიშნოა (თიბ-ს, კოც-ს...); პირველი სუბიექტური პირის მომდევნოდ იხმარება მესამე ობიექტური პირის ნიშანიც (ვლესავ, დავხფარავ, გადავსწურავ...); მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთა ნიშნები მოხეურში იცვლება იმავე წესით, როგორითაც ხევესურულში: ზმნის ფუძისეული ბ, გ, ვ, მ, ლ, ნ, რ, თანხმოვნების წინ გვაქვს ღ (<ნ<პ), ხოლო კ, პ, ფ, ქ, ღ, ყ ბგერების წინ — ზ (<პ); დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ კი -ს, რომელიც ზოგჯერ ასომილაკით გვაძლევს ზ, შ და იშვიათად უ-ს (შ-ჩეჩავ-, ე-ჭავრობ-. მა-ზ-დევ-); არაიშვიათად პ-ც იხმარება. ნამყოს ნაკვების III სუბ. პ. მრ. არის -ეს დაბოლოება, ფეხს იკიდებს -ენ, ძალიან იშვიათია (სკოლის გავლენით) -ენს.

12. მოხეურში ხოლმეობითის სინთეზური გამოხატვა გადავარდნის გზაზეა. ნამყო უსრულის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმა მესამე პირში (აკეთებ-დ-ი-ს) და ნამყო სრულისეული (გავაკეთ-ი, გააკეთ-ი-ს) იშვიათადაა იხმარება, ფართოდ გამოიყენება „ხოლმეს“ მნიშვნელობის მქონე კე ნაწილაკი როგორც ერთგზითის ყველა ფორმასთან, ისე თვით ხოლმეობითთანაც მისი გაძლიერების მიზნით: აკეთებსკე, აკეთებდისკე, გააკეთებსკე, იყვისკე...).

პირველ თურმეობითში ბარის დიალექტების დამახასიათებელი წარმოებაა -ია დაბოლოება ყველა ზმნაში. განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ -ამ ნიშნიანი ზმნები, რომელთაც მოქმედებითშიც ვნებითისებურად გადაჰყვებათ შეკუმშული -ამ>-მ: უთქჳამ[ს]>||უთქომ|| უთქმია, დაუსხმია... გარდამავალ ზმნებს მეორე თურმეობითში -ებ არ გადაჰყვება (გაუშენებია — გა ე შე ნ ა); გარდაუვალ ორპირიან ზმნებს -ოდ-ი დაბოლოების ნაცვლად დამხმარე ზმნის ფუძე ჩაერთვის (დაჰსველებიყო).

13. იხმარება უპირატესად თხოვნითი ბრძანებითის -ოდ-ე დაბოლოებიანი

ფორმები (მოზზანდოდე, უთხროდე), რომელიც წარმოშობით შესაბამისი ხოლმეობითის (პერმანსივის) უძველესი ნაკეთისაგან უნდა მომდინარეობდეს, რამდენადაც პირველ პირში ხმარების გადმონაშთებიც დასტურდება: ვ ი ყ ო დე „ვიყავი ხოლმე“, მ ო ვ უ ლ ო ბ ი დ ე თ „მოვეუღობავდი ხოლმე“. მოხეური, ამგვარად, -ოდ-ე დაბოლოებით გვერდში უდგას ფშაურ -ოდ-ი და ხევსურულ -იდ-ი ფორმებს.

14. მიცემითის მრავლობითში დასმული ქვემდებარე შემასმენელს უფრო ხშირად არ ითანხმებს; მრავლობითის სახელობითში დასმული ობიექტის ნიშანი ზმნა-შემასმენელში უფრო მეტად აღარ არის, რამდენადაც მრავლობითში -ებ დაბოლოება გავრცელებულია, დაცოც-ნ-ა ტიპის ფორმები ძველ ლექსებშილა გვხვდება. მეორე პირის ობიექტის მრავლობითობის ნიშანი შემასმენელში მაშინაც არის, როცა სუბიექტი მრავლობითშია: გლოცავ-ს-თ ის თქვენ, გლოცავ-ენ-თ. ისინი თქვენ.



## ტიქსტაბისათვის

როგორც ცნობილია, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ჩაწერილი ტექსტების მთავარი დანიშნულებაა სწორი წარმოდგენა შეგვიქმნას კუთხური მეტყველების თავისებურებათა შესახებ. ქართულ დიალექტურ მეტყველებას უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საგრძნობი ცვლილება დაეტყო სკოლისა და საერთო კულტურული აღმავლობის ზეგავლენით. ბუნებრივია, თუ ეს ტექსტებშიც იგრძნობა — ბევრი ფორმა ქართული საერთო ლიტერატურულის მსგავსი იქნება. ჩვენ წინასწარ ვარჩევდით მთხრობლებად უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებსაც შედარებით უკეთ ექნებოდათ შემორჩენილი დიალექტური მეტყველების ფორმები. მაგრამ, როგორც ითქვა, ერთგვარობა მაინც არაა ტექსტებში: შეინიშნება რყევა უ და ვ, ხ და ჯ ბგერების, უე—ო, უი—უ კომპლექსებისა და მათი რეფლექსების ხმარებაში, ნამყოფობის მესამე პირის დაბოლოების გამოყენებაში და ა. შ.

სამწუხაროდ, ზეპირმოსმენილის სინქრონიულმა ჩაწერამ (უმაგნიტოფონოდ) თავისი დალი დაასვა მონათხრობის ფიქსაციას. მიუხედავად ამისა, ტექსტები ინტერესმოკლებული არ იქნება ენობრივად, აგრეთვე კუთხის ეთნოგრაფიული ყოფისა და ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით. როგორც მოსალოდნელია, სხვადასხვა პირი ამა თუ იმ სოფელში განსხვავებულ ცნობებს იძლევა შრომის პროცესების, ადამ-ჩვეულებების, ტოპონიმების, გადმოცემებისა და ლეგენდების შესახებ. კერძოდ, ცნობილი სპარსანგელოზის ლეგენდამდენიმე ვარიანტითაა გავრცელებული, აქ ერთ-ერთია წარმოდგენილი: როგორი ტრანსფორმაცია განუცდია თქმულებას „ყამარზე“, ამას ადასტურებს სოფელ ფხელშეს შესახებ ნაამბობი, აგრეთვე ს ა ბ ა ს არაკებისა და ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი ს მოთხრობების ხალხური ვარიანტები...

წიგნის ფორმატის შეზღუდულობის გამო აქ ვერ მოხვდა ბევრი საინტერესო ტექსტი; ვეცადეთ, თითო-ორ-ორი ნიმუში ყველა მთავარი სოფლის მეტყველებიდან ყოფილიყო. აქ შევიდა მცირე ნაწილი ტექსტებისა, რომლებიც დაიბეჭდა 1961 წ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით გამოცემულ „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ წიგნში.

### 1. ხენა-თესვა

წინავე ხის გუთნები იყვის. იმით რო ვპქნავდით, ხანდიხანა ი გუთანი წაიყვანდის მრუდად გუთნის დედას და პატრონი გაუჯავრდებოდის, რო რუყს ნუ აგდებო, რუყი დაგრჩისკო. — რაი ვქნა, ჯარები გამრუდდაო.

ვენავედითვე აპრილის ორის კვირითა, ვთესდით შრუას ნაბეჩხარზე. იმ ნაბეჩხარს მამულზე შრუას ვსთესდითვე. შრუას რო გავათავებდით, ვსთესდით-ვე იფქლსა (კეური მთის თესლი იყო), იფქლის შამდეგ ვთესდითვე ქერ-სატილსა, შამდეგ გჭირგუალს ქერს (მშრალი ქერი იყო, იმაჩი არა ერია რა), ვინახავდითვე იმის ფქტილს სტუმრისთუი, სახინკლელა და არც თაკილობდეს.

მილამდე საქნავად გავიდოდით, ერთი-ორი დღით წინ ძოლებურს კარებზედა ჯორს დაუსომდით თხლად, კარებს დავსცხებდით ჯოროდინად მარჯუნა მკარზუნა ისრივ იმ ცომსა, ვახსენით ღმერთი. გავავლითვე ჯორი, ჯორედინად მოგვნით, რო მშუილობით გუთანნი გავიტანათ.

## 2. სტილის ბერტყვა

სტილს სთრლზე ვსთესთვე. სთრლზე დავსთესთ, ცოტას ამიწვესკე ჩე-ჯილი და მამრე იმას თოვლი დეეფარებაკე. თოვლდაფარული სტილი სიცივეს ეჩოვა, ჩეჯილობაჩივე და გაზაფხულზე, როგორც კი მიწა გაეუუუნდება, იმ წუთიჩი ტანს აიყრისკე.

მამრე როგორც კი თავთავი გამოუვა და დაპურდება, იმას მოვმკითკვე. მამკულს თითო კელეურად შავკონავთკე და მარჯილის უბეებად ავაგებთკე. რო ავაგებთკე, მამრე დავაცლითკე და, როგორც კი ცხოდაცხო საქმეებს მოვითავკელებთ, მამრე სტილს გავღებერტყთკე (მარცოლს გავაყრევიწებთ). გავღებერტყთკე ეგრე: ფიცარს გავრთავთკე და ზედ დავხურავთკე კელეურსა. რო კარგა ჩაიბერტყას, თითო ოროლჯელ კოდასაც დავხკრავთკე და მამრე გაბერტყილ სტილი სტარს ცალკე გადავაწყობთკე. თავთავაცლილ კელეურს ხქტიან ლაბარი. ლაბარს ძროხებს ვაქმევთკე და ღამე გარეთ სასინათოდაც ვკვამარობთკე.

კალოზე კი არ იბერტყება სტილი, არა. იმას უნდაკე დახურულს სახლჩი საღმე, რო მარცოლი არცით გადაცუწდეს.

მამრე მარცოლს ცხრილცხაეჩი გავავლებთკე და, როგორც კი მზეზე გავაკვობთ, მაშინვე დავხფქოვთკე ან კიდავ საარაყედ გამოვიყენებთკე. საარაყეჩი კარგია კიდავა ქერი და სიმინდი.

ხორბალი? — არა, არ ვარგა: ძალა არ გამაზღვეს. სტილის არაყმა, მარტო ეგაა. რო თავის ტკივილი იცის, მაგისი წუნი აქუ, ცხოფრი არ დეემდურება კაცი. ეხლა ახალი ჩიში გამოუგონებიათ სტილისა, თითქოს გაზაფხულზე დასთეს და ორ-სამ თოჩი დაივარგებსო. — არა, ეგ არ იქნება მართალი. თუ იქნება და არ ივარგებს. რაიმე იქნება ბუჩი, ფუტურო და უვარგისი.

## 3. სათიბად წასვლა

შევემზადენით, ვქნით სასოფლო სამხთო, ახსენიან ღმერთი, დაცოციან ორი-სამი ქედლიაი, არაყი მაკრიფიან, რო მშუილობით ცელი გავიტანათ. და-

ნიშნის — ემ დღეს გავიდეთ სათიბლადა; ერთის პირით ერთს დღეს გავიდოდეს სათიბლადა. მილამდისინ, ვეძახოდით სევალდახეს, დავგრიხით ისა, მოვიტანით სანაჰია (ბალახია), სანაჰიოდ წავიდოდით, დაწნიან საბელი იმითა და თივას გადააკრიან. კავს ეძახოდეს, იმით გრეხდეს და აკეთებდეს ვალდახს, თივას გადაუჭირებდა და ქარი აღარ კლიდა, ვერ შლიდა თივას; საცა ზოვი ზრ დაჰკრავს, იქ დატოვებდეს. ზოგა ისითი ადგილი მაჰკდის, რო კაცოც წამაუღია და თივაც დაუტანია. ის თივა საგულეებელჩი (საცა თივა ედგა) ჰქონდა.

#### 4. თიბის თავი

სათიბები შორა გჷოქ, კაცი დილით რო წავიდეს, საღამოზე ძლივ მივალის. საჯნავებიც იჰაა. უწინ მარტო უქნიათ კართა. ცხენი კი არ გავივლის. თიბის თავს გააკეთებდეს: სამს-ორს კარგს ყოჩს დაჰკლავდეს, ხატს შასთხოვდეს: — კარგა გოთიბინეო; სანთლებს აანთებდეს: — მშუტილობით გომყოფეო, ლამაზადო, — იტყოდეს. წავიდოდიან სანშაბათსა ან შაბათსა. ცელი, გრდემლი, კჷერი წაილიან. უწინ, ძუელობრივ, ცელი იყო, ქართული ცელი იცოდიან; იმას გრდემლი არ უნდოდა, ქასურით გალესიან. გათხრილი ჰქონდისკე გეჰე-ბი, მოვიდოდეს, გალესდეს, პირს მოუწყობდეს მბილი სასრევეთა და, რო გაუმრუდდებოდა ი ცელი, სამართს ეძახოდეს, იმით გაუსწორებდეს პირსა: სასრევი ჩუენის ქვისა იყო. იმ ქვას მაძებნა უნდოდა, სნოჩი არის და ყორას მთასა, კლდე არის და უნდა მასტეხა, გააკეთა შენ თითონ კჷერთა. თიბაჩი ძალიან მღერობდიან:

ცელო, ვასჰერი მზის პირსაო,  
სწორნი მბელვენო, სირცხუილიაო,  
მე რაი უნდა მემეთიბაო,  
ჰალი მქონდა და სჷელიო,  
გავსკჷერი ცხუების ნათიბსა,  
ჩამამდიოდა ცრემლიო.

გასთიბდეს ნამჰრეულეზადა. მამრე, როცა გამრება, რო აღარ შახურდეს. იმას საკრეფლით მიხყებიაან დედაკაცები და ხუეტენ სათავით ბოლომდინა. მამრე საფანდარი საცა დადგება, ჩაუსხდებით, სათარს დაესწნავთ, დაუგებთ ორს-სამს ფუთს თივას, ვალდახს დაუგებთ და გადავაკრავთ. ესრე დააქანებენ მთით რუეზე. როცა ეეგება სათარზედა, სამს გალს გავაკეთებთ, ჰიჰიტაში შემეჰეჰირება ვალდახი და ეგრე შაკრულს ჩამაიტანდეს სოფელჩი. ის უკვე თივალაია, ერთს თივას თივას ვეძახით. თითო მთიბავი გასთიბდა ესრეთ თივასა ოცდაათსა, ზოგი ჰარბსაც. იმას საჩალეებჩი ინახავდიანკე.

## 5. ცხვარი და მეცხვარეობა

უქმით. ახლანა, სულ არც ერთი ცხორი არა გყავ და გინდა ცხორი გაიჩინა. ამისთვის წყემსი კაცი ადგება, წავალის იმ მეცხორესთან, რომენსაც ხყავ ბევრი ცხორი. და სთხოვს, დაუდგეს იმას მოჯამაგირედა, ცხორი უმწყესას.

მარიგდებიან ან ოთხის წლით, ანდა ერთი წლით. ოთხს წელნი მეცხორეს აძლევს პატრონი ორმოც დედალ ცხორს წინდაწინა, დადგომისთანავე. ეს ორმოცი ცხორი შენობს (ნაშენობს) წყემსის სასარგებლოდ.

ოთხი წელი ნიადაგა პატრონთან არის გამაუტუღელი. უსრულდება წყემსს ოთხი წელიწადი და გამაჰყავ იქითა 250 სული ცხორი. შაიძლება, რო ამან გააგრძელას მეცხვარეობა და დადის ამხანავად იმ ბევრის პატრონთან. ეს მაინც, ვემძღვანელი. ბევრის პატრონია, ის მოთაურობს.

ზამთრობით დადიოდიანკე ყიზლარჩი. ზამთრის ეს პატრონი ქირაობდა ადგილს. ამ ადგილს, მეტს ვინც მისცემდა, იმას რჩებოდა. ადგილის ტორგი არისო და წავიდეთ და ავიღათო — დაიძახებდეს. ადგილი იყო, რომ 10 ათასი სული ცხორი თავსდებოდისკე. ასე რომა, ძუელ დროს ცხორზე ათი შაური ხტდებოდა. ემას (ადგილს) ორი კაცი ქირაობდა. ესენი ღებოდეს ემ ერთ ადგილნი, რომენიც ითულებოდეს ერთი მეორის ნამგალადა.

ერთი ერთკე გააგებდის ბინას, მეორე — მეორე მკარესა, გუერდი-გუერდ, როგორც მეზობლის სახლებია. ბინები იცოდეს ჩაღით დახურილი, ლერწმითა, გორდებიც, კედლებიც — ლერწმით. კედლებს საგორდულები ხქონდა, ი ლერწმის კედლებსა. ეს ბინა შედგებოდა: საბატკნე, საჩულე, საწუტები (საწოვები) ბაკი, რომენიც მოთავსებულა საბატკნესთან, ფარახი. ქოხი მიწაჩი ამალებულა მწყემსებისთვის, იყუისკე საზამთრო ბაკები კიდენა. სითბოს დროს ბაკებჩი ღება, სიცივის დროს — ფარახჩი.

წინავ სამასი მეტრო ხქონდა მიცემული ცხორს გზადა, იქით და აქათ იყო კოლი გავლებული. იქიტკე თუ გადაუშობდეს, ყაზახები აუცილებლივ წოგორთომდეს რასმე: ცხორს დაიქერდეს, ჩუენ ცხორს დავიხსნიდით; ფულს გავივდიდით. ვდებოდა ჩხუბიც ყაზახებსა და წყემსებს შორის. გზაჩი დოგეციანკე ქიშტები და ცხორი გოგირეკიანკე, ჩუენ უკენ დავიბრუნით ნიედეგა.

ვინც მდიდარი კაცი იყო, თავრიჩანი ექუინა, ის ადგილი რო ექირა. ერთი სული ცხურის ნება არ გუქონდა. რო გედეგუეშუა იმის ადგილჩი.

ეხლა, ცხორი დაბინავდა საზამთრო ბინაჩი. დადგა თებერველი, ესრე შუა თებერველი. ჩუენ, ნიადაგა, ვაძუებდით იქა ცხორსა. მაგრამა იყო ადგილები, რო არ ვაძუებდით, ვინახავდითკე ყორულადა (მარაგადა), რო დოლი დაიწყებოდა, ხქონიყო ბალახი დედაცხორსა. იმას სასთულო ექუინა.

ეხლანისა, დაიძრა დოლი. ემ დოლის დროსაც გუყოვ ვირები, ადგია კეხი და ზედ ხურჩინი ხკიდა. მიგუყოვ ამ დედაცხორთან მინდორჩი, ვხყრითკე ემ ხურჩინებჩიგა ბატკნებსა და მოგუყოვ ბინისკე. ეს დედაცხურები, ნიადაგა, თან ვირთან ერთად მაზღევენ. ეს წყემსი არის მცნობი, რომენმაც იცის — რომენი

ბატკანი რომლისაა. პირველი მცნობი კი ადგილზეა. რო მარეკა განა, ხურჯინ-ჩიგათ ამახყავ და ამ ბატკნებსა ეს წყემსი თავთავის დედას უყრის (დამსწრის შეკითხვა: — თავრობანი რაისთჳილა იყვის განა). ეს დედა ცხტრები ცალკე მიდის, იმაჩი აღარ ერევა, რომენიც მოსაგებია.

ბატკნები შადის საბატკნეჩი. ამ ბატარა ბატკნებს აქჳ საბატკნე, თბილად დახურული არის, დათბუნებული, ზედ ღრემლაი აყრია. მზე რო გადახრებაკე, ეს ბატკნის დედა მიდის მონდორჩიგათ. ბაკის კარებთან რო მოვალის, იმ დროს გამაუშობენ ბატკანს საბატკნეჩიგათ ემ საწუბულ ბაკჩი, დაირივიან ერთურთ-ჩი, თავის დედებს იპოვნიან, იქ რომენიც ვერ იპოვნის, მშაიარ ბატკანს აიყვანს და ზძებნის იმის დედას, პოვნის დედას და მუუგდებს.

არის კიდავ ისითი ცხორი, რო თავის ბატკანს იძულებს. იმას აიღებენ, მოწნულია ქობულა, ჩახყრიან ორივეს — ბატკანსაც და დედასაცა ამ მიწრო ქობულაჩი. ამით ერთი დღე თუ არა, მეორეს დღეს მაინც შაეჩტევა. იყვისკე ეგრეცა, რომა ამაუსობდით დუმის ქუეშა, რო იმისი სული გადაზღებიყო ბატკანს; ანდა ბატკანს დააყრი მარილსა, რო ალოკას. კიდავ შაიძლებოდა, რო კელით დეგეტრიალა იმაჩი, საიდანაც იგებს. ძალიც დაუმბიანკე იქა და იმის შიშითა (არ წამართოსო, განა), თუ ერთხალ მააწოვა, მამრე ნუ გეშინია. ორ კჭირას ცალ-ცალკე არიან. მერე ერევა ერთმანეთჩი და მიდის ერთადა. თუ კარგი ამინდია. რჩებთან ერთად მინდორჩი. რჩება ერთი თჳე ადგილზე ბატკნების გაყოლის შამდეგ. ბატარაი ბატკნები ცხორზე ლამაზ მოდის უკენა. ოთხის თჳისა უკეე ძოვნით მოდის ნებას მთაჩი. აქ ირჩევა ბატკანი და ცხორი, ცხორი ცალკე გადის, ბატკანი — ცალკე. დედებს ვაცლით ბატკანს. დედებს ვწუთელთ ექჳსი კჭირა, ზოგი თჳეს წუთელს, ზოგი — მეტს.

ეხლა, ხუთასი ცხორი მეწუთელება. ხუთასისას სულ ერთაზე რო არ გააკეთებდა?! არის გძელი საწრლელაი, რო ცხორი არ გადაფრინდეს, შარეკენ, კაცები სხდანან შკმებზე, დედაკაცები კი მაკუზილებია და ისრი მიზღევენ უკენა. სწუთელს დედაკაცი დახრილი კელადებჩი (სულ ხის ამები იყო წინავა). მამრე რძე მიაქჳ და სწურვენ საცერჩი. ასხმენ გობებჩი, გობები იყვისკე ღისა. ეს ჩაწურილი რძე იდგებოდა დილით მზის გადახრამდე, ზევითთ მაიყრიდა ღალასა, მაკდიდეს მამრე იმ ღალასა, ბატარაი თეფშია, სალაღეჩი ჩაასხამდეს. ეს რძე კი დიდ სპილენძის ქობჩი გაათბიანკე, ხსენს უზამდეს, დააფარებდეს. რძე შადგებოდა და ამიღებდეს ყველს.

ხსენს აკეთებდეს: ბატარაი ბატკანი რო მაკუდებოდა, იმისი კუჭკი, ესე იგო, სახსენე აქჳ, ემას ვულებთ, იმაჩი კეთდება, იქ კუჭკი უკეთდება ის ხსენი, პირველად რო მასწოვს. იმაჩი მარილს ვაყრით, სუთელს დაასხმენ, მისცემენ გამთბარს რძეს.

ეს ღალა კიდევ გროვდება, რო აივსება ეს საღალე, მამრე სადლობელს ვიჯახით, კერხობჩია ჩამაკიდებული, რო აივსებოდა, სდლობდეს და ამადიოდა კარაქი, რჩებოდა ღო.

ახლა ი ცხორი რო ბრუნდება და მოდის გაზაფხულზე, ერთი-ორი კვირის შამდეგ ამ საზაფხულო საძოვრებზე იპარსებაკე პირველი მატყლი — რისჭი. სოფელი ეტყოდეს, რომ დემეშოლენითო, მუქთად შუელდა, ქირას კი არ გამოგართომდა. ბეერი ხყვანდისკე, ჩეკეთასა (გიგაურები არიან) 9 ათასი ხყვანდა. პარსვის დროს ოთხსავ ფექს გაუკრავდით თოკითა (საბანდი როგორ შაიძლებოდა, გაცმება და წაუქერს).

მატყლს შახოვდეს და გააკეთებდეს კანძებადა. შამდეგ მაღიოდისკე მატყლის მუშტარი, მაიტანდა თავის ბარდანებსა (დიდ ტომრებსა) და ვაძლევდითკე წონით გაზაფხულის მატყლს, შემოდგომის მატყლს, ბატკნისა კი იყო ცალობითა. შემოდგომისასა კიდავ სთჟლის მატყლი ექუინა. ნაქცი მატყლი ხქუინან, რომენსაც ჟერ არ მაუგია ბატკანი, ბერწად დამრჩალი.

ცხტრის ავადობა იყო ყოვილი. გადმაყრიდა ცურთან, მკერდჩი, საცა ტიტველი აქუ, როგორც ადამიანსა, წითლადა. ზამთრის, ცივ ყინვაჩი, ყოვილი ცხორს კოცდა, ზაფხულის კი იფრო კდილობდა, ნამეტავად ბატკანს კოცდა, ბატარასა, ის არ იქმევოდა.

თურქული გომოგიჩნდა ერთხალ და მთელი ზაფხული ეყარა ცხორი. იალა (იელი), უტუთელა რო შეეჭაბა, კოცდა; ტრიალა მატყლჩი ეშქობა. ცხორმა კიდავ იცის რეტივნობა: თავჩი უდგას წყალი, თავს რო გახეთქ, წყალა გადმაილჭრება იმდონი რო... შაიძლება გაუარას დროებითა, როდისმე მაინც ისრეი უწევს. მაგით გამარჩენილი მე ვერც საით მიხახავს. თოხლობის დრო: თუ შეეყარა, მორჩა! შიშაქს არც ეგრე ემართება.

მეცხორებებმა კიდავ იკოდეს: პირველად რო გამაჩნდებოდა მამალი ბატკანი, ამ ბატკანსა გაუხევედეს ყურსა, ეძახოდეს დოლის თავსა, დაუსულდგმულეზდეს და დახკლავდეს, რომენიც იმ სოფელიჩი ხატი იკოდეს, იმის სახელზედა. ან უნდა ყოფილიყო ცივად თეთრი, ან ცივად წითელი, ასრე რომე, კრელი, თოლშავი არ შაიძლებოდა, ან ყელშავი, უნიშნო უნდა ყოფილიყო, ცხონიშანი არა ხქონიყო რა, იმისი არც გაყიდვა შაიძლებოდა, არც გაჩუქება.

## 6. ცხორი

კარგია, კარგი ტიალი ზამთარი ცხორჩი ყიზლარსაკე. წყემსის გულის გამხარებელია კარგი ბალახი და მზიანი დღეები.

დოლიანობა ქოითკე დაიწყებაკე თებერვლის ნახევარჩი, ძროლბაზე ესრე ათჩიგა. დოლჩი სუყელას წყემსს საქმე გაუჩნდებაკე. უსაქმოდ ედარვის დაინახავ. დოლისთავს ვეძახით იმ ბატკანს, რომენიც აღნიშნავს დოლის დაწყებას.

ზოგჯერ ერთი ცხორი ორს ბატკანს მაიგებსკე. როგორც ადამიანებჩი ტყუპებჩი მსგავსება ერთმანერთისა, ეგრევე ცხორჩი არის. ტყუპი ბატკნები ხშირად მამლები არიან და ისებიც ერთმანერთს გვანან. დოლისთავ ბატკანს დაკლავენკე, თუ კარგი დოლობა გამოვაკე. დოლის დამთავრების მამრე ცოტა

ხანსლა არისკე ცხორი ყიზლარჩი. როგორცვე გაზაფხულდებაკე, მაშინვე ავი-  
ყრებთკე და, ნატანჯნი და შინაურობაჩი მანატრებულეზი, წამოალითკე ში-  
ნაისკე.

ერთხალ ღუნქიანას გუყონდა ზაფხულჩი ცხორი. სულ თოთხმეტასამადე  
იქნებოდა. ზაფხული კარგი იყო, მარტო დათუტიალამ შოგოწუხა. დამე არ გა-  
ვიდის, რო ფარაჩიგათ სანაქებო ცხორი არ წეელა. ძრიალ დავლონდით, საქმე-  
საგონი გოგიწყუიბა იმ ოკერმა, აღარ ვიცოდით რაილა გუქლონა. შამამგლის-  
ფერდებოდა თუ არა, მაშინვე თავზე წომოგოდგისკე. შავიდოდა ფარაჩი, უკა-  
ნას თათებზე ადგის და წაუსტუინისკე, რო ცხორი არ დამთხოლიყო. გაშინჯის  
წელზე, რო მსუქანი ყოფილიყო, მაიკიდის ზურგზე და გადალუპისკე. ვერც  
ძალღტიალეზი რასმე აკლებდეს და ვერც ჩუენ უბედავდით რასმე, გუქშინო-  
და, ჩუენ არ გევეფუქენით. ხანდისხან ქართული თოფი ვესროლითკე, ისრი კი,  
რო არ მახსუდრიყო და არ დოგეკრა, დაჭრილი სუ ქეით მოგწყუტებდა. ერთ  
ღურბლიან დღეს მე და გივარგიმ ქედზე გავშალეთ ცხორი. ჩუენ ქედზე ჩა-  
მოვსხედით ბატარა ხანია და ბედზე ძუნწულით დათუი ჩამადის. ეგრე გავშეშ-  
დით, რო ფეჯზე ადგომაც და გაქცევაც ვერ მოვასწუერით. მოიდა ჩუენთანა,  
ველჩი თოფი გუქეირა, გომოგორთო თოფი, წაილა იქითკე, მანახა ქვა, ლუ-  
ლით დაიკირა თოფი და სუ მიანსხუტრა ქვაზე. რაიც ტეგანი რაიმე სქონდა  
თოფსა, სულ მიამტუტრია, რაიც რკინეული შარჩა ველჩი, წამაბრუნდა და ჩონ  
წამოგუტყორცნა, რაიც ძალა და ღონე სქონდა, რო არ გავსცილიყავით, სულს  
გოგოყრევიზებდა. გატრიალდა ისრივე ქედ-ქედ შაჰყვა. იმის იქით აღარც მა-  
სულა ჩუენთანა. ჩუენ ვიდეიჭრეთ, იქნებ შომოგწყრა. აბა რაილა თქმა უნდა,  
გოგჩხარდა კიდევაც, მოვისტუნეთ. აღარა გოწუხებდა რა.

დათუი რო გაიტაცებესკე რასმე, მაშინვე არ შაშუამსკე. ჯერ გასთხრის ღიდს  
ორმოსა, ჩასდებს შიგა, ჩააღბოზს და მამრე ამ დამაჯლს შუქამს. კაი ბიჯი ხარ  
და მახპარე ეს ჩანალული ჯორცი. თუ ორმოს ახლოს სადმე მაგასწვრა, ვაი შენი  
დედის ღმერთსა: ბოლტითა და ქეით ამაგართომს სულსა. მაგაზე გონიარი ნა-  
ღირი არა არის რა მკეცებჩი.

## 7. მატყლის დამუშავება

მე იმთავითვე საიჭიოს მკუღდართ ეაკლინარ და ამ ქუეყნად ცოცხალთა,  
აბა რაი ამბოვი გითხრა, რაი მოვიგონა.

ჩემმა დედამ ეს ტარი და ცოცხი მამცა ველჩი, რო დაღგავოდეო. მატყლს  
შამოვიტანკე, გავლრეცხ, მამრე გაუაშრობ, გავჩეჩ, მამრე ტარსა და კუიშტავს  
მოვრთავ და ვასთავ. დავასთავ, დავიქსოვ, სამოცი მკლავი იქნება, ოთხმოცი,  
უნდა მოვესოვა ტოლი, შავსთელავ, შავლებავ და შავხკერავ ჩოკას, პაჭიკებსა.  
შარვალსა.

## 8. საკმელ-სასმელი, რძის პროდუქტები

მოკეური საკმელ-სასმელითაგა სუყელაზე კარგი არის ხინკალი. მას მას-დევის ხაბიზგინები, ვორცოვნები, ბატკნის ყაურმა, ხაჟო-ერბო, ხავიწი და კარ-გის ქადის ქადა. დასალეუად ხინკლებს ძრიალ უქდება შინ გაკეთებული ლა-მაზი კაპარი და შინ გამაჯდილი არაყი — თავთავაი.

სამხდოს ან ვორწილის დროსა კარგია ხინკლები, ქადა და ხაბიზგინები, არაყი ნაკუშლიანი. მკუდრიანობის დროსა პატივის წასაღებად ქადა, ხაბიზგი-ნები და არაყი, თუ ახლოს ნათესავეები მაკუდა, მაში — საკლავი და ვედრობ-ლივ არაყი.

სთყელზე მოკევე სასთლოდ დაჰყრის საკლავებსა, რო საჯორცე რაიმე ეგულებოდეს შინა. ბეჩავ, თუ ჩუენს კაცს ვორცი არაა აქუ, პირს არას დაა-დებსკე.

შარშა შინ დავყარეთ ოთხი კარგი ყოჩი. ერთი ადრევე დავკალით ივანო-ბისთუი და სამანი კი სასთლოდ დავყარეთ. მამრე კაცმა სამივ ერთს დღეს და-ვოცა და საზამთროდ ჩავაწყეთ ტავანაჩი. კაცმა თითონვე ჩაამარილა და მამრე, როცა კარგა გაუჯდა მარილი, ამოვიღეთ და დარიფანაზე ბოძებზე ჩამოვჰკი-დეთ, ეგეთი კი იყო, რო კაცი იმის ჰამით ვერ გაძლებოდა. მთელი ზამთარი ვორცი არ მოგოკლდებაკე. სახინკლედა და ვორცოვნებისთუი ცალკე ქოთანაჩი მე თითონ ჩავყარე ლამაზი მწოდები და მშუენივრადაც შაინახა.

მარხვის დროს ვორცი ინახება, მაში ვინლა შაშჰამს, ბეჩავ, ვორცსა! მაში ვშჰამთკე კარტოხას, ნივრის ხინკლებსა, ნივრის მარიწყალსა, აბა რაი ვიცი, ცოტაი რაიმეა?!

ზაფხული იფრო კარგია, კაცი იოლის გავა, ცხორი ჩუენი ბარაქა და სუ-ყელაია. რაი არაა: რძე, კარაქი, დო, ყველი, ნადუღლის მარიწყალი, ნირღი, ერბო, ხავიწი, ბევრი რაიმე, ბეჩავ!..

დოს არ შავსდღუებკე, ღალას ვავროვებკე, კარგა ხანა, მამრე რაჩიც ჩასხ-მული მაქუ, ის რო აივსება, ავიღებ და ჩავასხამ სადღობელჩი და გავსდღუებ კარაქსა. კარაქს რო ამოვიღებ, რაიც რძის ნაწილნი დარჩება, ის იქნება დო. ცხურის დო სუყელაზე კარგია. ცხურის ერბო კი კაცის წამალია უნებელი. ჩუენი კაცი რო სადმე მიდისკე, არც როგორ არ წავა, თუ ერბო არ წაიღას, მეტყუისკე: არიქალა, დედაკაცო, სამუჯლე არ დაგავიწყდესო!

კარაქს რო ერბოდ — საპოხად ვადავადნობთკე, მაში, რაიც ბოლოს დროს დარჩება. იმას ჩავაყრი სიმინდის ფქუილსა, ვადუღებ, მარილთ მივაყრი და ის იქნება ხავიწი.

## 9. საღალღობო

საღალღობოს მახარშულ ალტამას ვეძახით. არა, ალტამაი კი არაა, ცხონაი-რია. აი ესრე ვაკეთებთკე: ქონს გავადნობთკე და შიგ, როგორც ქადის გული-



სათუი ფქჷლს გავხსნიტყე. მამრე ემას ავიღებტყე და წონჩი გავხსნიტყე თხლა-  
და. ავიღებტყე და ემ გულს გამოვახოვტყე ქერქჩი და წონჩი მოვხარშავტყე.  
სალალობო ძრიალ ასუქებს კაცსა. ალტამაი კი უგულოა; მთლიანი ცომი მი-  
ხარშებაყე. ხინკალს კი სუყელი იცნობს. კიდავ ცომისას ვხარშავტყე ატრია-  
სა, ფუშრუქსა და შაჰამადსა.

## 10. არყის გამოხლა

დავფქოვდით საარაყედა სიმიდსა, საფორედ ჩავსდებდით ქერს წყალჩი  
ტუმარაითა. როცა ძრიალ დაღებოდა, ამოვიღებდით და თბილად შავინახავ-  
დით. დავხყრიდით ფარდაგზე ან ცხო საფენზედა, ძირს დავუღებდით სტილის  
ტარსა (ან ბალახის ღეროებსა), მამრე დავხურავდით ძრიალ თბილად, რო შა-  
ხურებულიყო. როცა ღივი ბევრი გამაუვიდოდა, ავხყრიდით, ორი დღის შემ-  
დეგ გავშლიდით გასაჰმობად. როცა გავმებოდა, დავჰფქოვდით. ფორის ფქჷ-  
ილს საარაყე ფქჷილჩი ერთად ჩავხყრიდით კოდებჩი, ან კასრებსაც ეძახოდეს  
და მაფუეების მამრე, დუღილს რო მარჩებოდა განა, საარაყეს ქობჩი ჩავასხამ-  
დით, შაუნთებდით ცეცხლსა და ავადუღებდით. დავხურავდით ქობის თავსა  
და გავღმართავდით გეჰსა. მამრე მიუღვამდით კოკასა. გეჰჩი ონჩარის გასა-  
ციებლად ჩავხყრიდით ყინულს. როცა გამადენას დაიწყებს, დაბადებას ვეძა-  
ხით. თუ ვინმე მეზობელი მივიდოდა, შაუძრახავდა: — ბადაგიო. ითამ სულ  
ეგეთი არაყი გამაგივიდესო. მამრე ჩუენ ვეტყოდით, თუ გვექჩერებოდა: — ერ-  
თი, ორი დალიეო. გადაწურულს არაყს ჩავასხამდით ტიკჩი.

## 11. ტყავის დამუშავება

ეხლანა, ტყავი ძროხისა, ვარისა, ღორისა, ცხტრისაა, — რაიც იქნებოდა.  
მარჩილი მაყარიანყე გარშემოზე, მამრე დაჰკეცენ, გადაჰკეცენ და იქნება ეგრე  
სამი-ხუთი დღე. მამრე ბეწუი უნდა გააცალან ჩმასა ან დანითა, ან ბარითა,  
გინდა ცხელს ნაცარს დავაყრიტყე და გათლილი ჯოხით ვფხეკტყე, წინ-წინ  
ავშქრით შოლტებადა, უნდა დაიჰრას ზომაზედა და მამრე გაიფხიკას.

ქვის ლოდია ამახტრეტილი, საღენწელი ხქჷია ციძასა, აიღებდეს, რკინის  
ბურაოები იყო ფოლოდისა დაპირული, სცემდისყე ნება-ნება კორითა და ამა-  
იღებდეს ღრმულსა. მამრე ციმ ტყავს, რომენიც არის აჰრილი შოლტი ზომაზე-  
და, წაუსტიანყე დოხტი, გინდა ღორის ქონი წასცხიან, შეუყრიდა იმ საღენ-  
წელი კედასა, ქრშ მაჰცივიანყე ტყავი და გაახურინ ზელითა. კედას კაცი  
აწუება, აიღებს და დაიღებს, ზოგჯერ ათი კაცია მზელელი, დასწუენ კიდეცა  
უტოდინრობითა. ისრი კი დღენახევარი მაინც უნდა ზელა. ზელა ალბობს,  
ალარ ვმება, ასქელებს კიდავაცა. იმ თავითვე რო წითელია ტყავი, ზელენ, ზე-  
ლენ, მამრე გასთლიან დანითა, ღნახვენ და, თუ თეთრია, ალარ უნდა ზელა.

როცა შაბხი და კირჩი გამახყავთ, ის სულ თეთრია. ეგრე ყაიშები აკეთებლიან-  
კე. ჩონ კირი არც როდის გუივმარია.

## 12. ნაბადი

ნაბადი არისკე მკრისა (მოსასხამი), ძირსაგები და ურმისა (ურემზე გადა-  
საფარები). ნაბდებს შინაც: ვსთელავთკე და ვიყიდითკე კიდეცა. ნაბადი ითე-  
ლება მატყლითა. კარგია ნაბდისთუი რისტი, ნაქცი არ ვარგა ნაბდობაჩი, გუბ-  
დებაკე, წყალსაც უშობსკე. მატყლი უნდა იყოს გაწეწილი საპენტელაითი და  
ნაგულგაცლილი.

თელვა უნდაკე მთორის ვსების დროსა და ცხელის წყლითა.

## 13. აბედი და თამბაქო

აბედს ხე იკეთებსკე, მამრე ძროხის მწტირეჩი, ჯინჰარჩივა, ნაცარჩივა  
მოვსარშავთკე. ეგრე კორცისოდენა ხარშვა კი უნდა. მზეზე გავფენთკე. მამრე  
მოხარშულ აბედს დავხქუინებთკე.

თუთუნის მარცოლს ნაცარჩი აღვრევთ და მოვებნევთ. რო შეეკრიფა,  
ამათ იმ დღეს დეეყარა დაბლა, უნდა კი შეეტანა მალლა. კრემიტმა ძრიალ  
გააკმის თუთუნი.

## 14. სახლის აგება

სახლებს ჩონებურის ჭაჭის ქვისას ვაგებთ. უწინაც ესრე უგია და ეწლა-  
ცა. თუმცა აქა-იქ არის ძრლებური ნასახლარები — ქტითკირით ნაგები. კირი  
საით მახქონდისკე, არ ვიცი, სახლები არის მიწურიცა და სახურავიანიცა. აღრე  
კი სახლებს ჭერხონიც ხქონდისკე. ეს ჭერხო იფრო კემსურებმა იცოდინაკე,  
თორო ჩონ არ გომოგიყენებია.

კედელი რო ოგზგა, ჭერთ უნდა ოგოზთხარა საძირე. საძირეჩი თეთრს  
ფულს ჩავხყრივთკე. საძირეგათხრილს სასახლეჩი კედლის აგებას ველოსნები  
დაიწყებენკე. გება ვდებაკე ესრე: ერთი პირი რო შადაგაი გეეღლება, მეორე  
პირზე სავალაი უნდა გახყეს, თორო კედელი დაიფუშება ან ზანკლად იქნება.  
აგებული; ეგაცაა, რომ ულამაზოდ იქნება. კედელს დაუგდებთკე სასარკმლებ-  
სა; რასაც ზედ გავრთავთკე, სართებია. სართებები გრძელი ქვებია ჭაჭისა. კა-  
რებსაც ზედ სართავი უნდა.

როცა კედლები აიგება, მაში ზედ გავრთავთკე ხეებსა. ხეებზე კი და-  
ვაყრივთკე ჭერსა. ჭერს ვეძახით იფრო წტირილს, სწორს და გრძელს გალებსა  
შეშისებსა. მამრე ჭერზე დავაყრივთკე ფიჩხსა და ზედ იმაზე კი მტყელს ჭაჭებს  
დავაწყობთკე. ჭაჭებზე კი დავხყრივთკე მიწასა, თუ სახლი მიწური უნდა იყოს.  
მამრე მიწადაყრილს სატკეპნელით გავსტკეპნითკე, რო წყალი არ ჩემედიანას.

თუ სახლი მიწური არაა, მაში იმას დავხურავთკე კრემიტითა ან ჯემტითა. იმას ჭერი არ უნდა.

## 15. სარკმლიანი სახლი და სახლში საქმიანობა

უწინ სახლებს ჰქონდა სარკმლები, საითაც მარტო სინათლე ჩამადიოდისკე.

ლოგინებად ვეპარობდით დიდს გუდანურებსა და ჯეჯიმებსა. ჯეჯიმები ძირს გუევისკე და გუდანურებს ვიხურავდითკე.

თოვლი რო მადიოდისკე, სარკმლებჩიგათ ჩუნქარი გადმადიოდისკე, გოყრიდა და მინც კარგა ვიუჭენით, არა გუიქირდა რა.

ერაზე ჩამაკიდებული იყო საკიდელაი, იქვე იყო ზგიდე ქვისა და ლომელი. როცა პურის გამაცხობა გუინდოდა, მაში გახურებულს საკიდლის ძირზედა გამოვხუტდით ღადრსა და ჩავასუენდით დიდ პურსა, დავაყრიდით ცეცხლის თუთქარსა. ცეცხლის ჭეტეშ პური ცხუებოდისკე და ცეცხლზედა საქამადი იხარშებოდის.

ეხლა ბალს მივხედითკე. ბალს აკვანჩი უგებდითკე ლამაზს, რბილს შათელილს მატყლსა; როცა დავაწვენდითკე, გადავხოვდით მატყლის ნაბადჩი და გადავაყრიდით გადასაკრავები. ზამთარჩი, როცა ძრიალ გუიოდია, უბეჩი გაუთბითკე ტყლაპები და ისრი გავათბითკე მტირალაი ბალსი. მაგრამ რკინასავით კი იზრდებოდის, განა ეხლანდელებს ჰგევანდის ჭიყუელებსა! სახლიჩი ზშირად კომლი დადგისკე და ბალსებს თოლები უქმებოდა, ან თოვლი აყრიდა და მძინარს ბალსს ეყრებოდა, ან ველებამაწუდილს სულ სახეჩი შამაყრიდა და მარცულებივით ზედ დეეყრებოდა და ბალსს სულ ოგიბწყინებდა.

წინავა მოვევის ქალები ძრიალ ბევრს საქმეს ვაკეთებდითკე და ეხლა სულ პირიქითაა, ქალები სულ უსაქმურები დაეცდით. წინავა ქალის სამუშაო იყო: თიბა, მკა, წისქვილჩი წასვლა, თულუხით ან ტავანაით წყლის მატანა, ცხურის წუელა, ძროხის წუელა, ძროხის წუელა და სახლიჩი კი სულ დედაკაცი ტრიალებდა, ურმის ცხენებიც კი ზოგჯერ ჩუენ შავამბითკე.

## 16. ძველებური სახლი

სახლის აშენებაჩი მეზობლები შუელოდიან, ქვა მაუტანიან, საძირე გაუთხარიან, მაუშზადიანკე. საძირე ჩაყარიან ოთხსავ კუთხესა. თუ მანათიანი არ იქნებოდა, აბაზიანს ჩააწყობდეს: — კარგიაო ფული. ხუთი მამა დააბერა ჩონმა ძოლმა სახლმა და ერთი ქვაც არ გადმავარდნილა. კედლებს ამიყვანდეს ქვითა, ხეს დართაედეს კედლებზე, მამრე ჭერს დახყრიდეს ფიჭუისას, ტირიფისას — ტყეჩი რასაც მახველავდეს, სწორი კი უნდა ყოფილიყო. მამრე ჭაჭი დააწყუიანკე, ჩალა გავშალითკე იმ ჭაჭზედა, რო მიწა არ ჩასლოდა, მამრე მიწას დააყრიდეს, სატკეპნელი იცოდეს ხისა, იმით ვზეპდითკე. სარკმლები

ემოდნები იყო, კაცის თავი არ შეეტეოდა. ერთ დედაკაცს ბალლი აუტირდა, ველარ გეეჩუმა და სარკმელთან მიეყვანა:

— ეგე, ბულულაი, ეგაი წაგიყვანსო, აშინებდა, რო ითამ გეეჩუმა. გარეთ, ნიადაგა, მტერი ყოფილიყო და თავი წეცალა იმ ბალლისთჳი. ემაგრე იყვისკე წინავა ბატარაი სარკმელი.

ჩემს ბალლობაჩი ჩირალს აანთებდეს, სამფევა იყო, იმაზე რკინა იყო დაკრული, წიწკებს დააწყობდეს და ენთებოდა. მალ-მალ მაჩხრეკა უნდოდა, ნაკორჩხალი მეექებნა. შუაყანა იყო, სამყარო მიწისა. სკივრჩი, კილობანჩი ვინახავდითკე ტანსამოსსა. ბედრიანია ეხლანის, წიწკები რაზეც გინდა ენთება.

ემ სისქო ფიცრის კარი იყო, ხის კედა ხქონდა, ყიმ კედას თანთან გადუგადებდეს კარის საყუნწურამდე (||საყუნწურამდე) და დაკეტიან. პაპის ჩემის ბალლობაჩი მზით თურმე შალაგიან საქონელი, მზით დაკეტიან კარები, იმისთჳი — მტერი ეცემოდა.

### 17. ნადირობ წასვლა

ნადირობ როცა მიდის კაცი, ჩოულობა გოქ ისითი: რო შაგბტდება ვინმე, აუცდენად გზა უნდა დაგილოცას: გზა მშჳიდობისაო, ჳიკუტის თავი ჩემეგეტანას, ცარიალაი არ ჩამაგიყვანასო.

საეკო რო ვინმე შახვედრიყო, გზაჩიგათ მამბრუნდებოდა: — კოლი არა აქჳ მაგას კარგიო.

თუ ნადირი მოკლა და მთიდან თავქვე მოდის და მეორე მონადირე შახტადა, უეკველად ჳიკუტს უზიარებდა იმას, ნახევარს მისცემდა. ეს წესი ეხლაც არის დამრჩალი. ორნი რო იყენეს ნადირობ წასულნი, ვინც მახკლავს, ტყავი იმისია, დანარჩენ ჳორცს კი გახყოფდეს შუაზე. იყვის ეგრეცა, რომა უმძრახი გაივილიდის კარსა. საკმელს სახლჩი მონადირე არც როდის არა შჳამს. რო შახტდეს ვინმე, არ ჳკითხავს; თუ შასთანახმდეს, ორნი ერთად წავლენ, თუ არა — ის თავის გზას წავა, ის თავისას.

### 18. ჳიხვის და ვეფხვის მოკვლა

ნადირობის დროს ესეთი შამთხოვა მამიჯდა მთაჩი. მითხრეს:

— მსხჳილი ჳიკვებია უკენაო.

მე უთხარ: უნდა წავიდე, ვნახა-მეთქი.

ისრი მამიჯდა საქმე, რო ველარ დავებრუნდი. დაღამდა და დაიძრა თოთხმეტეი კარი, რომენიც დიდი იყო, მოუძღრბა წინა. თუნგი ჩადიოდა, იმოდენა რქა ჳქონდა, ვესროლე, აქ, მკერდს მახხტედრიყო, გადმადგა მეორე, მეორე მოვასწურე. ორს მახხტედრიყო. შაქუჩებულნი იყვნეს, ისრი ვესროლე. ჳაქები იყო გონჯი სავალი. მამრე გუდად გავჳაღდე ტყავი, ჩავეტყერ გუდაჩიგა, ლეში თავით დავიდე და მივწევე კლდეზე. გათენდა, სიციე არ გავიგე. წამოვდე, გა-

ვიციკირე — ორი დავოცილი ჭიჭუი. ისაც აქ ამოვიტანე, დავშურე, წამოვიღე. ჩავე ქოხჩიგა, გავანთე ცეცხლი, მწოდი შავწუი, მოვე სახლიგა და საწყალი კობაი... შავამბი ცხენი, იქით წამოვიღეთ და ოხშობის დროს ძლივ მოვედით.

ელგუჯაი საბაურთი იყო. იმან ვეფხუი მაკლა. სანადიროდ ყოფილიყო, გედევციკირა, ორი ყოფილიყენეს ვეფხუები, თამაშობდეს თურმე. მე თავად ვნახე ჩემის თოლითა, ტყავი გეეკადა.

— როგორც ვესროლე ერთიო, ისაო ადგილზე დატრიალდა, ბევრი ირბოლა მეორემ და ველარ მამკრა თოლი, თორო გამაფუჭებდაო. იღრიალა და გადიღუბა მთას იქითაო.

შეეტყობინებინა და წახყვალყო და მეეტანა სახლი. იმ ვეფხუის სიკუდილმა დიდი ცოდვა-ბრალი დასდო: მთელი ოჯახი გაუწყდა.

## 19. გივარგი და იავორაი სანადიროდ

ეფხუთ გივარგი და ტუხუთ იავორაი წასულან ნადირობა. ჭიჭუები უნდა დავოცან ყუროს მთაჩი. გივარგიმ თურმე უთხრა ემ იავორასა: — მეო თენებისას ღემეძინებო ხშირიო და ნადირებით გამაიშლებო და ზაით აიწევსკეო. შენ მაშინ გამალუიძე მეო.

თურმე ამ იავორასა ბოთლი არაყი ჯიბაჩი აქუ და, რო წაილა, იმან კი არ იცოდა. თენებისას, როცა ნადირი გამაიშალა, ის ადგა და ერთი არაყი გადაჰკრა, იმას კი სძინია. როცა გათენდა კარგად და იმას თავად გემეღლუიძა, უთხრა:

— შე ფეკმასატეხო, ნადირი ე ეგე, ფერდობზე არეკილა, რატუ არ გამალუიძეო?

— აილე, ეს არაყი დალიეო, რომელი ყანა-საფიბები შენ დაგილუპეს მაგათა, რას ერჩი მაგ ნადირებსაო, რად ემტერებიო?

— მა, რასლა წამამიყვანე აქაო?

როცა აღარა გამაუვიდა რა, ადგეს და წამოვიდეს, ჩხუბით იარეს გზაჩიგა.

## 20. ჭიხვის ჩვეულება

მე და, აქ ერთი მამასახლისი იყო ალიბეგაშვილი, ხუტუნაი, ცაცუეთი, ვიყვენით ბროლობ ყუროს მთის ზაითა. ჭიჭუის გუნდი ვნახეთ, ეგრე ორმოცამდე იქნებოდა. მათ ხყვანდა თავის ყარაული. სულ მუდამ ხყვანია ერთი ყარაული. ისები რო დასუენებულები არიან, ერთი-ორი მალლა კლდეზე შაქდებიან, რო არავინ გაიგას და მეეპარას. რო ვინმე გამაჩნდეს, ესენი წამადგებიან და ისრი მაგრა დაუშტუენენ, ყურებიჩი გეეკუდება. შაატყობინებენ ცხუებს და როგორც ტყუია, ეგრე გასცუივიან. ზაფხულის დედალი და მამალი ერთად აღარ დადიან. სთულობას დაიწყებენ ბოტობასა. თუ კარგი ამინდია, მალე

გვერევა ერთმანერთს. ვიტყუითყე: — ჯერ ნადირი არ შარეულა, დიდი ზამთარი იქნებაო.

როცა ნადირი ბატკანს მაიგებს, მამრე საძოვარზე წავა, ბატკანს დასტყენს და დაიძალება ჩუილი ქვებჩიგა. ეგენი ლამე დადიან საძოვარზედა. ეხლა მოვალის დედასთან, მასწოვს, მასწოვს, მამრე დაუსტყენს და შავარდება ქვებჩი.

## 21. ახალი წელი

ძულებურად ახალს წელს ღამესა, რომენიც ოჯახის მეუფროსე იქნებოდა, ის წამადგებოდა, გამოვიდოდა გარეთა და უნდა შაუკელიას სახლსა: „შამოვდგი ფეკიო, გწყალობდესთ ღმერთიო“. როცა შავიდოდა, ნიგუზალი უნდა ეშონა დიდი. იმაზე გადაჯდებოდა, შალებდის კარსა და დაიძახებდის:

— ბებერაი მობზანდებაო.

ეხლა ვინააც დასძახებს (ბლენა კიდავ) — ჯალაბობა იქნებოდა თუ ვინა, — რასა ბზანებსო?

ახალ წელიწადს გილოცავთო, ფეკი ჩუენიო, კოლი ანგელოზისაო.

## 22. ბარბარობა

წინათ რო სახლს გაღმართავდიან, ბარბარე იცოდინან სიმღერის დროს. ოცი კაცი — ათი დაბლა დარჩებოდა, ათი მაღლა მეექვსეოდა, მკრებზე შადგებოდიან, მხიარულობის დროს დაიწყებდიან მღერასა. მაღლა ვინებიც იქნებოდეს, მინამდისინ არ ჩამაჯდებოდეს, სულ მღერობდეს — „ბარბარეთ წყალათ გავსულვართ“ — მღერითა.

## 23. ივანობის დღესასწაული.

ივანობა ჯევის სალოცავი ხატია. ხატობის დრომ რო მათანის, დეკანოზები ერთის კუროთ ადრე გავიდიან და წმინდობდიან. მოვიდოდა ხატობის წინაი დღე და ღამისმთვეელი ხალხით გაქედილი ურმები და ცხენები ერთურთის შურაზე მიდიოდინან წითლადა და ყუითლად აყოებული ხალხი რიყის მინდორს დახფარვიდის. ერთი ამბოვი იყუის, წამსტლეელი ხალხი საკლავებითა და მამლებით იქნებოდა უსათუვოდ დატუირთული.

ჩასული დეკანოზები ხალხს დაამწყალობნებდეს და მას მამრე დაიწყებოდის სმა-ჰამა.

გაისმოდის ხალხის ლოცვა-კურთხევა: „წყალობა გამაგაყვალასთო წმინდამ გივარგიმთო, ნათლისმცემელმთო“ — და იყუის ერთი ამბოვი. გაიმართის ტაშ-ფანდურაი და დაიწყის ჯეელების ლხინი და ერთი ამბოვი. გაიმართის

ფეკისაი ერტყე კაცებისა და მეორეყე — დედაკაცებისა. ამირჩივიან „დათუ-  
იაი“, შიგ ჩაიგდიან კაცი ან გულადი დედაკაცი. მამრე შამღერიან:

თეთრი ქალი ოგირჩიე, ჩუენო დათუიაო...

მამრე „დათუიამ“ მოიყარის ღოინჯები და, ვინც ქალი შეეწონებოდა,  
გადმაიყვანის და ზედ გადააჯღისკე, მამრე გაუშობდა იმ ქალსა.

ახლა ისრივ ხალხი შამღერებდა: ახლა სახლი ღოგინჯეტე, ჩუენო და-  
თუიაო;

წიწყსა ან ჯოხს დაიჭერდის „დათუიაი“ და დაიწყის ხუეტა; მამრე ისრივ  
ხალხი:

(შამღერიან ეს ლექსი ჯერ კაცებმა, მამრე ქალებმა):

კოზ-ბაკანი დოგირეცხე, ჩუენო დათუიაო.

მამრე გაიმართის ტაშ-ფანღურაი.

მთელი დღე და ღამე გრძელდებოდის ხალხის ღოინჯი და ერთი ამბოვი,  
მამრე რო დაიშალნიან ხალხი და წამოვიდიან, ეხლა შინ დახუდებოდა გაშლი-  
ლი სიფროები და ისრივ ისითი ამბოვი დაიწყის, ოგორივ იყუთისკე. ერთი გრძე-  
ლი კუირე გამადიოდისკე ესეთის სიმხიარულითა.

## 24. ათანგენობა

ათანგენობას ავიდოდეს ჯუთასა. ხატები ააბზანიანკე. მამრე აქ ჩამოვი-  
დოდინ კურა სალამოზე. იმ ღამეს ღამის თეება გუქონდის, ორშაბათს — შა-  
ღამაგობა (ადგილს ვეძახით შაღამაგას) ისები, ჭკუიანი კაცები, იტკოდეს: —  
აქ ბევრი სტუმრები მოვალისო და დაგულაჯვენო. აქათით ართხმოს ავიდოდეს,  
იქითით ხეთანას მთას აჯდებოდეს. იქაც ღამის თეება იქნებოდა. დილაზე შა-  
ვიდოდა მხუეწარი დეკანოზებთან ღალანგურის წუერზე. იქ ერთი დღე იქნე-  
ბოდა ქეიფი. დეკანოზებთან სუყუელაი მახუეწარი თითო მოკომური მიიტან-  
და ქადასა და სანთელსა. შახუეწილი მიიყვანდა ერთს საკლავსა — ცხორს, კუ-  
რეტს, რაიც იქნებოდა, ერთს ბოთლს არაყს მიიყვალებდა. ის შახუეწებდა  
ღმერთსა: — ღმერთო, გაუმარჯე ამ საკლავის მამყვანსაო, ღალანგურის წმინ-  
და გივარგო, შენ გაუმართე ჯელიო: გასჭრიდა ქადასა და ნახევარს დაიჭერდა  
თავადა. ტყავი და მჯარი საკლავისა დეკანოზისა იყო. ქეიფის შემდეგ გავდე-  
ბოდა ჩხუბი, დეერეოდეს მოჯევეები და ჯეესურები ჯმლითა და ხანჯლითა. ჩა-  
მავიდიან დეკანოზები, ჩამაიტანიან ხატები, ამწყალობნიდიან გასაშუტლებლა-  
და. დაშუტლდიან და გათავთავადდიან ცალკე მოჯევეები და ცალკე ჯეესურები.

## 25. ბოჯლოგინობა

ჩუენი პაპის პაპა, ვინც იყო ის მარსავი, იმას შეეკლა იქ კაცი ქიშტებჩი.  
წამოვიდა და გადმასახლდა მამრე აქა, გემეეცალა, გემეეხუეწა იქითა, რომ

მტერს არ მეეკლა, და მას უკან დამრჩალი არის აქა. იქით გადმოუყვანია თავისი ცოლი თავისთანა. აქ უწინ ვემსურსაც უცხოვრია, მამრე აყრალა და ვემსურეთს გადასახლებულა. ემებს გეეყარნეს, ჩხუბი ჰქონდა. ნათქომია ძველად ეს ლექსი:

შიოლა ლედუშაერმა  
შამამატანა ძალიო,  
კარკუჩა დამაგდებინა,  
ზურგიო ნაზილი ქვანიო.

ამ გადმასახლების მოსაგონრად გუქონდა დღესასწაული. წელიწადი ორჯელ — ერთი ზამთარჩი, იანვარჩი, და მეორე ამ დღესა (ვეკითხები: 28 ივლისს? — ჰაი, ჰაი), ვეძახითვე მამა-პაპის ქოთქიდალეს, სახელს ვეძახით ბოჯლოგინას, პურს გამააცხობდეს, ქადებსა, სასმელი და ისამე კი არ იყვის. ქოთქიდალეს შეეხუწებოდეს, გაუმარჯოს ჩუენს ქოთქიდალესო. მამა-პაპის სალოცავენს შეეხუწებოდეს.

წინას ხეს გათლიდიან, ოთხკუთხი როგორდაც იყო, საჭრებდას ეძახოდეს, ძირზე ხქონდა დაჭრეხილი, დანით გამაღებული. იმ საჭრებელით პურს დაშჭრებდეს, მამრე ხონჩაზე დააწყვიან, დავეჭრიდით და ვქამდით ამ ბოჯლოგინასა.

## 26. ლალანგურის წმინდა გივარგი

ძუელებს უთქმია, რო ზაით, სუ წუერზე, არის ლალანგურის წმინდა გივარგი, ქვით არის გამაყვანილი. კაცი მკრივ (ვეესურებისგნით გამიგონია) მდგარა, ამან ამას მიაწოდა ქვა, იმან — იმას, ასულა თავჩი და ეგრე აუგია კოშკი. ვერა ვართ ჩუენ მამსწუტრლები, როდისაა აგებული, ლოცვით ჩუენც ვლოცულობთ. ლალანგურობას ღამის თეებით ავდივართ, ხატებს გამააბზანებუნ დეკანოზები. საკლავებს ჰვოცენ, კურეტებსა. კაი ლუდებსა და სასმელებს აიტანენკე, მღერაიან ძუელებურად, რაიც ვინმე იცის, თუ ახლურად. იმართება თამაშობა, ქალი და ბალლი თამაშობენ, ქალი ბალს გემეეცულება, ბალლი იცულისკე სამს ქალს. ველმძლონელს ირჩევენ, რომენიც იფრო ენაზე გასული იქნება, იმას ამირჩევენკე. ჟერ ხატს ადიდებენ, მამრე მაყვალეებით ბალლებსას, მამრე მიცვალეებულების სულს მაიგონებენ, ზოგი — ჟარჩი წასულებისას. დახკივლებენ მოკეურ სიმღერებსა. ცხენების რბოლა იციან, წუერზედით გამააქცევენ, ქოიტკე დაუშობენ.

## 27. ღვთისშობლობა

ენკენისთჳის ცხრაჩი ღვთისშობლობა ვიცით. მაში კიდავ მოდიან, თავისთავად ლოცულობენ; მარიანობა იციან თხუთმეტჩი, სასწაულო, ხატობა დღეა, ტყეჩია იმისი ნიში. საკლავებს ვოცენ, ქეიფობენ, თამაშობენ. აგე დღეობები



უწინით მოდის, ძუელითვე მაგონილია. აქ ძეგლი იყო, დააქციეს, დაამტურო-  
ვეს. ეგეთი დღეობები ბევრები იცოდეს უწინა. შუადღის დროზე წავლენ, მამ-  
რე ისრივ ჩამოვლენ, აქ საკლავები მოჰყავ, სანთლებს ანთებენ. მარტო სივანს  
აქჲ ეს დღეობა აქა. ცხო სოფლები მოდიან სტუმრად.

## 28. მამაწმინდობა

აქისა მე ბევრი არა ვიცი რა. პატარაობაში აქ არ ვიყვივე, მამას ცხორი  
ძაუგისკე დაუდიოდა, იქ ვიყავ. ცხორი ქიშტები დაცემით კი დოგვემიან, ხო-  
ლოთ არა წაუღია რა. დეგუეცნეს ღამე, მოვიდოდეს სახლორზე. ვესროლეთ და  
ვერც რაი ვერ წოგილეს.

უწინ ცხო დრო იყო, ახლა ცხო დროა. მაშინის ჩვენ ვიცოდით მამაწმინ-  
დობა. გამაუშობდით ყოველი კომი თითო ქობს არაყსა, მოვიდოდა თემჩივათ  
ხალხი, სტუმარი, თითქმის ოთხს დღეს ქეიფი იყვის. ეგრე. რო, დაიჯოცებოდა  
ბატკანი სამოც-ოთხმოცი, ასამდისინაც. მამრე, აი ნისლია მაღალი მთა, წუე-  
რი არ ჩინობს, ხატს ჩამაიტანდეს დაბლა, ვაკე არის, სახლოთ ვეძახით, გაჰქდი-  
დეს ტყაეებს, ამ კორცს დაანაწილებდეს ყოველ კომზედ, მამრე დასხდებოდეს  
და იქეიფებდეს: ქადა, სასმელი, ლუინო ისმებოდა. პურის ქამის შემდეგ გაი-  
მართებოდა ტაშ-ფანდურაი ქალისა და ახალგაზრდისა. ჩამოვიდოდეს მამრე  
სოფელი, მამრე აქ იქეიფებდეს. სამს დღეს შემდეგ სტუმარი წავიდოდა თავ-  
თავის სახლი და გათავდებოდა ჩუენი მამაწმინდობაცა.

## 29. სეტყვის თავიდან აცილება

როცა სეტყუა მოდიოდა, ხალხი ფითილას დაახრვდეს ტარზე, დაასახე-  
ლებდეს თავ-თავის სალოცაეებსა (დარყის წმინდა გივარგის, წუერის სპარს-  
ანგელოზსა, კუირე ხთიშვილსა): მამრე კოზზე დაახრვდეს დაჩეჩილს მატყლსა  
და, სალამ გადმახყრიდეს უკენა, რომელიც გადმოსცუვა, იმის სახელზე ცხორს  
დახკლავდეს, სანთელს აანთებდეს, ქადა-ხაბიზგინებს გამააცხობდეს. იტყო-  
დეს, რო იმის ბრალი არისო, შაისმინა ჩონი ხრწნაო.

## 30. ხატობა

წინავ ხატობაში დავდიოდით. ღამაში საკლავები დავჯოცითყე. ავიყვან-  
დით მღდელს და ეკლესიაში წირის. ღომისაში შუღლი იცოდეს. ამ ქეველებმა  
არ იცოდინა ჩხუბი. არაყი ბევრი იყუის, დავითურობოდით, ერთურთს კვოცნი-  
დით. ნათლისმცემელი წავიდოდიან, წაილიან თავის პურ-შაჰამადი და გამო-  
ბრუნდიან შინ. შუღლი არ იცოდინა. სასმელი ბევრი იყუის. ფორი გააკე-  
თიან, ჩააგიან პური სამე, მახუხს ეტყოდეს და გამაწყანწყარდის. კარტოხაის  
არაყი არ გუიკეთებია. ხატობაში კორციც ბევრი იყუის, პური გამააცხვიან, ჯა-

რებს დაასულდგმულიან (დაღნიშნიან) და დახკლავდეს მესამე წელიწადს. სამ-  
ლოსთუი ღორი არ მოგჭქონდა, სახლჩი კი ვიკმარებდით. მეგეკსენებათ, რომ  
მაშინის მღდელი მარკოი იყო და აღთქმა გჭქონდა ეგეთი — ღორის ჯორცი არ  
გჭქვამა. წმინდა ბეთლემჩი ბერები რო ცხოვრობდეს, იქ ღორები სთხრიდეს  
და ბერებმა თქვეს: ღორი აღარ ექამათო.

ესლა ეს რო გითხარ, თითო ლიტრა უნდა ჩაიდვა ჯიბაჩი და დავლოცოდეთ  
ერთმანერთი. როსტომას ეგრე უთხროდე, ეს იმას დაოთქმევიწენ-თქო.

### 31. ეშმაკის მოჩვენება

ერთხალა მეც მემეჩუნა ეშმაკი, დედა ავად იყო და საარაყეს ვაცხოვდი,  
ნივბრუნდი და აგე ისა, ფორს აკეთებდა. მივდივარ შინა, მეშინია ი კაციისაგა.  
დალამდა ძრიალ, ისითა ნისლია შამასული, რო... გულგახეთქილი ვარ, ფეკის  
ქმა მემედინა, მავიციქირე და — ნასტაი იყო. იმ ქალმა არც რაი არ მიძრახა,  
ნებაზე მივდივარ, აღარ მეშინია, გამოვიარე იმ ბეგზე, გავიციქირე და არც რას  
არ მიძრახავს. ისრი შავშინდი! შავედ და ლამფაი დავინახე, სულ მთლად გა-  
წითლდა სახლი.

ფხელშეს ყოფილა ისა. თურმე ბებიობა სკოდნია და შეუძრახია შუა და-  
მეჩი ი ეშმაკსა ი ბებიისათუი. გამოუყვანია გარეთა: — ისამე ავადაო და  
ჩქარ წამადიო; გაიტყუეს და იმის სახლის კარზე გაავლიეს, ეგე მანდ, ჳიდი  
როა, გორიციხულს კლდესთან, მანდ გაღებულა კლდე და იქ შაუყვანია ის  
დედაკაცი. შაუხედნია ი დედაკაცსა და ისით ლოგინჩი წევს რო, სულ ლაპლა-  
პი გააქუ. როგორც აი ვერცხლჩი ჩაწვალელი. ვისაც წეეყვანა, იმათ ეთქო: —  
რასაც რა საჭმელსაც მაგიტანენ, არც რაზე არ დეეწესაო. მართლაცა, მიუტა-  
ნიათ რაი საჭმელი, რაი სასმელი. ვაჟი ეყვალა იმასა. მიუტანეს საჭმელ-სასმე-  
ლი და: — აბა, აბა, არც რაი არ მინდა, გაიძახის, როგორც იმან დაარიგა. მარ-  
ტო ის თქუის, რო სახლჩი მიმიყვანოდეთო, არც რაი არ მინდა თქუენიო. მამ-  
რე წაუყვანია ის დედაკაცი და იმ შალის ყურჩი სულ ოქრუები გამაუკრია.  
თურმე მძიმეა ისა, უნდა რო მაიძროს და გადააგდას და ისები არ აძლევდეს  
ნეღას. როცა მაიყვანეს, ისინი წავიდეს, ნიადავა. წავიდეს ისინი და გაუძჭრია  
ეს შალი და გადაუკრია ეს და გაღუფანტია, ითამ რაი იყო, რაი იცოდა იმან.  
დილაზე გამასულა და რას ხედავს — შაფენილი ოქრო-ვერცხლია. მამრე უამ-  
ბნია. რაც იყო. ის დედაკაცი მამრე სულ შინდებოდა თურმე.

რამდენსამე წლის უკენ კიდევ გემეყვანა ის დედაკაცი და ეკრა კელი და  
შავს კლდეზე გედევგდა. ეშმაკი როცა ეგრე თურმე ეეტამსნება, ემაგას ეძა-  
ხიან აღსა. ერთს კარკუჩელს კაცსა ნელადა, ათი წელიწადი არ იქნება, აჩხო-  
ტით წასულა მთროლი შინ, კარკუჩას მიდის, სნოს რო გასცილდა, ქალი გას-  
წევია როგორც მზე, ისითი ლამაზი. თურმე შანკითხებდყო: — ვინა ხარ? — მე  
ვარ ქოსელთ დისწული და სადაურიადაც. უვლია იმ კაცსა და იმ ქალსა ერთი

მეორის არშეყოფილობა. ის გორგეთ კაცია, ახალგაზდაი. ეხლა, როცა მიახლოვებულან კარკუჩასა, უთქმია იმ კაცსა, საცა წყალს მიაღდგეს: — აბა შენ გადაფრინდი ჯერათ. — არა, შენაო, იმას უთქმია. ასრე ერთი მეორის წუქევითა გადაფრინილან ის კაცი. წამაუცქერია უკენა და გამქრალა ის ქალი.

მეორე საღამოსა მეორედ გამასცხადებია ის ქალი. იმ გორგეთ კაცი მკუდარი ვინმე ყოფილა და იმის დედაკაცი იქ თურმე წასულა, პური წაუღია. ის ეშმაკი იმ კაცთან მისულა, იმას დასწვალა. წაუცქერია იმ კაცსა: — საით მახუე? მემეცალე აქათითაო, ჩემი ცოლი ისრი არ მენდობა — ცხო ქალებს დაზღევო. გამქრალა ი ქალი ლოგინჩიგათ.

ახლა ცხორჩი წასულა ის კაცი, ცხორთან თურმე დიოდა და ნაბდის ძირ შაუძურის იმ კაცსა, ტყავ-ნაბადჩი დაუწვის. მამრე ეამბნა მწყემსებისტუი — ესრე რაიმე მახუებებს, როგორც იყო, ისრი ეამბნა. როგორც ეამბნა, შუალამის დახფანტვია ცხორი, ის მწყემსი კი დეერჩო. როცა ეგრე რაიმეა, არ უნდა თქოს.

გაგას მეეჩუენის წყალათ ვიდზედა, ემანდ რო მივიდოდა, ამოუვლიდა, როგორც ბატარაი „რეპკა“, ისრი მეეჩუენის. მამრე კაცად იქცის. მამრე მახვდიანკე, იბრძვიან, რომენიც გადმაქცევდა, ამჯობნიდა, წავიდოდა. ვინც ღონიერი და მძლავრი კაცი იყუის, ყუელას მეეჩუენის, ის თავად ბატარაი თუ იყუისკე.

## 32. მოლანდება

ერთხალ ჩემი მამა სახლჩიგათ გამასულა ღამე, წასულა მეორეს სოფელჩი ახალციხესა. ოგორცვე ცოტაი გზა გაუვლია, მაშინვე ერთი დიდი, ოგორც მთა. შევნაბადიანი კაცი ახეალოყო და გუერღზე თურმე მიზღვედა. ოგორც მე მივიდიოდიო. ისრი ის მადიოდაო და თან გაიძახოდაო: „მოვდივარ, მოვდივარ“. ისრი შეეშინდიო, რომაო თმა სულ ზეით წამივიდაო, სანამ ჩემს ადგილას მივიდიოდიო, თან მამღვედაო და გაიძახოდაო — „მოვდივარ, მოვდივარ“. ოგორცვე სოფელს მიუახლოვდი. მაშინვე გაქრალა. მივე და სახლჩი შევსახეო. რომაო სინათლე არ აანთათო, არ მინდაო. ისრი გამიგონიაო, რომა შაშინებულს კაცს რო სინათლე დაანახვა, მაშინვე გაგიყდებო.



ერთხალ კიდავა, ერთი კაცი მამდინარა თუ მიმდინარა ღამე უნაგირის ცხენით, ჰოდა, ეკალჩი ერთს ადგილას, მინდორჩი, ეშმაკებს ფეკისაი მბიყო, ოგორცვე დაუნახია ეს უნაგირიანი კაცი, გადასდგომიან წინა და ეუბნებთან თურმე: ჩამავე და ჩუენს ფეკისაჩი ჩეემბიო. შაშინებულა ეს კაცი და რაილა

მეტი გზა იყო, იმათ ფეკისაჩი ჩამბულა. ეხლა თურმე ეუბნებთან რო: შენც  
შამღერეო.

აემ კაცს უთქომს: არაო, მე თქუენებური მღერისა არა ვიცი რაო.

— არაო! — აბა კაცს რომ ეშმაკები გვდეეკიდებოდეს, კარგს რას დააყ-  
რიდეს, ამდგარა და ემ კაცსაც შამოუძახებია:

ეკისაო, მეკისაო,  
ქალბანი მეო მეშისაო.  
წინდაი ხის ქერქისაო.  
წმინდამ გივარგიმ დასწყევლას  
ეშმაკების ფეკისაო.

ოგორცვე გაუთავებია მღერა, მაშინვე ეს იმყუელი ხალხი სულ ნაც-  
ტუტადა და იალბუხად იქცაო და ისრი დაიშალა იმათ ფეკისაიო. სულ იქით  
გაჰქრესო. ბოლოს მერთი ქალიდა დამრჩალა და იმას უთქმია აემ კაცისთჳი,  
რომაო: არ უნდა შეგემღერა ეგრეო, შამცდარი ხარო- და ისაც გამქროლიყო.

ძრიალ შაშინებული ეს კაცი მაშინვე ცხენს შამაშქდომია და სულ შევარ-  
დენივით წაუყვანია ცხენი.

### 33. ქალის გათხოვებისა და ქორწილის წესი

ქალი რო 18-20 წლისა მაიყრება, ის უნდა გაათხოვა, თორო ბებერმა კ-  
ცებმა ი ცოდიანკე, რო ქალის შინ დარჩენა ოჯახის სჳირცხტილიაო.

ქალის სათხოვნელადა შუაკაცები სამჯერ-ოთხჯერ მაინც უნდა მივიდენ.  
ქალის ნათესაობამ უნდა გაიგას ეს ამბოვი და შუაკაცებიც ამ ქალის მთელს  
ნათესაობას უნდა შეეკითხენ, ერთურთი უნდა აწონ-დაწონან, ქალი ისრი არაა  
საძებნი, როგორც ქალის გორი, მამა-ბიძანი, დედის ნათესაობა, მთავარია  
მძახლები და ოგორის ჳიშის ქალია. განა სუყელი ქალი, ვინც პირმაკობტავე-  
ბულია, შინ უნდა შაიყვანას კაცმა?! მთავარი იმის ქალობაა, იმის გაზდილობა  
და ზრდილობიანობა, რო არ მათხარას არც გორი და არც თავის კერაი.

თუ საქმე გარიგდა ქალის გათხოვებისა, მაში ვაჟიანთ უნდა გამაგზავნან  
ურვათი. ურვათი წინავ იფრო ცხორი, ძროხა, ცხენი იყუისკე, ეხლა ცხონაი-  
რად შამოვიდა, ეხლაა ფული, ოქროული და საკაბე, საპალტუე ეგეთი რაიმე.  
ქალი დაინიშნება, აიღებენ ნიშანსა. კორწილის დღეზე მაილაპარაკებენ, სანამ  
კორწილი იქნება, იქამდი ვაჟიანნი სანახავად უნდა მივიდენ ქალიანთასა. სანა-  
ხავად ვაჟის მშობლები და მოკეთეები წავლენ და სარძლოს წაუღებენ სანა-  
ხავსა; ქალიანთას იქნება სიფროები.

ეხლა კორწილი.

როცა ბატარძალს მაამზადებენ წასაყვანადა, შამაავლივიან წინავა ნეფე-  
დედუფალი კერასა ამადებულის კმლებითა, შუაჩი ენთის დიდი ცეცხლი და  
სამჯერ ჩამაივლიდეს, თან უკან ხალხი მისდევდის დიდებაითა:

აი დიდება და ნათლისმცემელსა...

გურიგუნიაანი ნეფე-დედუფალი სულ დიდებითა და მღერით გააცილის ხალხმა ურმებამდე და გაისტუმრიათ ქალიანთაგა.

ბაღის მაყრებჩიგათა და ქალის მაყრებჩიგათა ორი ცხენოსანი გავარდებმა ვაჟიანთას სამახარობლადა და იქ რო მივა, ვაჟიანთას, მეჯორწილეები შამბვენ წითელს ცხურსაჯოცსა და მისცემენ ჭურჭლით არაყსა — თავთავსა და უკენ გამაისტუმრებენ ისრიე მაყრების შასახედრადა.

მთელი სოფელი გარეთაა, როცა მაყრები მიდიან ან მოდიან, აინტერესებს ან სიძე, ან საჩქლო. ვაი იმ ქალშავაის მზესა, ვინც ლამაზი არაა, დედაკაცები გაზიჯილით აიკლებენ. როცა მივლენ მაყრონნი, ჩამაჯდენენ დედაკაცები და კაცები დედუფალსა, გურდით მეჯორე დაუდგება და კელსაჯოცს ქალისა მამბული აქუ მეჯორესა და ისრი შამაველევენ ახლა იქა კერასა; მამრე გამართული სიფროებისკე რო წავიდოდეს ნეფიონნი, წინ თეფში დაუდგინ, რო დედუფალსა და ნეფეს დემტური. მამრე ქალის მაყრები გეგერევიან იმ გორის ქათმებსა და საქონელსა და უნდა დავოცან, ზასაც შახედებიან იქა და მამრე დაიწყობა გართობა.

თენების დროსა, დაიწყებოდა ცხონაირი გართობა. ნეფე-დედუფლის წინა იდგისკე წინაგა ანთებული კარაჩხაი, სულ კანფეტებითა და სანთლებით შამკული, ზედ რაი არ ეგებოდა, ქათმებით დაწყებული, გათავებული დუმამდე. ესეთი წესი იყო: ის უნდა მეეტაცა მაყარსა, სულ ერთი იყო, თუნდა ქალისასა, თუნდა კაცისასა. იმ კარაჩხას მოიტაცებდა, შაჯდებოდა ცხენზე და წავიდოდა, დახეჭებოდა მთელი ხალხი და ის კარაჩხაი სულ გაიღეგებოდა, ემროლაჩი გასტუიოდა სუყელაი და ხალხი ხკრეფდა. როცა ეი კარაჩხაი გაცორცისკე ხალხმა, ეხლა დილაზე დაიწყებოდა ჩამაკიდება. მიეპარებოდეს ხალხი ბაღის რომელსამე მაყარსა, დაიჭერდეს, გაპთოკავდეს და ჩამახკიდებდიან დარიფანაის ბოძზე, იქამდე, სანამ თავისთავს შაფასებულს ფულით არ გამაიხსნიდა. შავროვდებოდა ემითაც ქუეყნის ფული და ისრიე იწყობოდა კორწილი.

წინაგა, ჩემს მასწრობამდე, სცოდნია ისრი, რო ორფუთიანი სპილენძის ქობი აავსიან ორი ფუთის ერბოთა და შიგ ჩააყარიან სიმინდის ფქვილი, რამდონსაც მოითხოვდა და, როცა აღუდღებოდა, ხაბიზგინებთან ერთად იმასაც ბაკნებით ჩამაარიგებდეს სიფროზე.

ორის კურიის შემდეგა ბატარძალი რძლებმა და დედამთილმა წყალზე წაიყვანიანკე და ხაბიზგინებს გაუჭრიდეს და წყაროზე შამხედრ ხალხს პატვის სცემდეს.

წინავე მოვიდოდა მარჯეკალი და ეტყოდა: — შენს ქალს ეს ითხოვსო.

ქალს არ ხკითხავდეს. ახლა ის ეტყოდა: — არა, გენაცვალე, მე იმას ქალს არ მივსცემ.

როსთენჯერ იტყოდეს, მამრე მარიგდებოდეს. მიუტანდეს სასაგულესა საჩუქარსა, ურვათსა — მაშინ 25 მანათი იყო, ზოგჯერ ჩოკასა, განა შეაკერილსა?! — ტოლს მიუტანდეს, მანათს მისცემდეს ბეისა და ეტყოდეს: — ემა და ემ დროს მზას იყოსო.

ქორწილში წავიდოდეს მაყრები, დაიკლებოდა საკლავები, თუ არ გეეწონებოდათ მიყვანილი საკლავები, უკენვე დააბრუნებდეს. ამისთუი კარგს აარჩედა დედუფლის წამყვანი. შასაწვეარი იყვის, შააწვედიან: დედის ძმაი თუ-მანსა, მაცხოვრებელი როგორ იყვის, ისრი აწვედეს. ეგრე თრმოცამდი შაუდგებოდა ფული. იქ სწერდეს და მამრე პატრონს ჩააბარიან. მამრე ზედმეტი უნდა შეგეწია. ტაბლა იყვის, ტაბლის სწორი, ცაშკამას ეძახოდეს, ა' ხდებოდეს. მეღვინეები თავს ადგეს ყანწებით. ნადირის რქები რო გინახია? იმით ასხამდეს და იმით ასომდეს. იქ შატყუება არ შაიძლებოდა, ჩასტკერდეს იმაჩი, წამაიხრებოდა: — დალიე ეგა, თორო თავზე დაგასხამო. ლჷინოც იყო და არაყცა, ვისაც როგორი შაძლება ხქონდა, ჯობინებაზე იყო ვორწილი. თუ შენ ესრე ჰქენ, ის იმის მოცადობას არის, რომ იმაზე მჯობინი ვორწილი ქნას. ლჷინის სმა რიგით მაზღევდა და ისრი ასომდეს. ორპირად ისხდის ხალხი, სათავიო მახყვებოდეს. — შენ დალიე? — ახლა შენ, ახლა იმან, მეღჷრემ თავთავის ამე იცოდეს. შაპკითხავდეს:

— შენს ამეს დააღევინე?

— დავაღევინე, მაშა!

იფრო ხშირად „დიდებას“ დაიძახებდეს. მამრე მაიგონებდეს, ვინც კარგი გააკეთა (მაგალითად):

ყაზბეგიანი გოტანდეს ძალასა. ერთხალ ცხენები ყანებჩი გეეშო. გავიდა ივანე და დავოცა ის ცხენები, რო თავწასხმულ ყანებჩიგა ცხენები დადიოდა. ერობაჩი ამოვიდა გივარგი და იკითხა: ვინ დავოცა ცხენებით? — აბა, ვინ იტყუის, არც ვინ არა! არც არავისაზე კი ვეჭი ჰქონდა. მამრე ივანე წაშადა და უთხრა: მე დავვოცეო. აბა ვორწილჩი არ არის მასახსენებელი ივანე, ხალხის ყანები რო გადაარჩინა?! (ან კიდევ).

მამრე გივარგიმ დააჭერინა ივანე. მაში ჩუენი ადგილები წართმეულები იყო. მცხეთით იყო წამასული ფოშტის ცხენები, ძაუგს მიდიოდეს, ეპ, რაი ხალხი იყო წინავე, რაი მუკლი ხქონდა! ივანე გადმოვიდა და ფოშტის ცხენები უკენ დაცუდეს. მცხეთით წამასულ ფოშტის ცხენებს გადმასწრა და ძაუგჩი ჩავიდა და იმებს უთხრა: თქუენც აი ეგრე თქუითო, რაიც იქით დააბარესო. იმათაც ისრი უთხრეს.

იმ სადღიგრძელოს ღირსი არ იყო, რო კორწილში შეეხსენა?!

მამრე ჩამავეღვედეს, ვინც ჰყვანდა და აღარ არის, იმის შასანდობარსა. სიმგებირგულით უვლიდეს ქალი და ბაღლი და ისარი თამაშობდეს. თოფების კლა იყო. ზოგჯერ ჩხუბიც მაჰკდისკე. ვინც სჭინდისიანი მეჩხუბარი იყვის, როცა შინატკე წამოვიდოდეს, მაში უზამდეს ჩხუბსა. ეგრე ეტყოდეს: ა-ჰ კი ნუ ვაუგემურებთ ხალხსა, გარეთ რო გავალით, მაშინის გამოვაჩინათ ერთ-ერთით.

### 35. მკვდრის წესი

მოკვდევებმა კარგი ტირილი და კარგი მკვდრის დაფასება იციან. მე მახსონ ყაზბეგიანთ სანდროს სიკუდილის დროს ტირილი.

ჩემი ბებიაი, ათერი გოდერძიშვილი, ყაზბეგიანთ დისწულისშვილი იყო. როცა გაიგა სანდროს სიკუდილი, ჩემი ბებიაი მაშინვე მგემზადა წამასასულელადა, — სანდრო უნდა ვიტერაო. ათერიაი ჩამოვიდა სტეფანწმინდასა და გალანჯანი ისარი იტერა. რო მთელი კევი გააჰყირა. ემ დროს ანჯარიეთ ანჯარიაი ყოფილიყო იჭა და ისარი მასწონებოყო ათერიაის ტირილი, რომ ცოდვანი შააყარა: თუ შენზე აღრე მოუჰყდი, ჩემი ცოდვა გქონდეს, თუ არ მიტერაო. მართლაც, მას მამრე გავიდა რამდენიმე წელიწადი. ანდრიაი მართლაც ათერიაზე აღრე მაჰყდა. ათერიაი ისარიე ჩამოვიდა სტეფანწმინდასა, ანდრიაი მამკვლარა და უნდა ვიტერა, ცოდვაშამაყრილი ვარო. მართლაც, ისარი იტერა, რომ ანდრიას რომ რაიმე გეგვა, ძრიალ ესიამოვნებოდა.

თუ ჯევისი კარგი ვაჟკაცი თათერაკით დაიღუბეს. მაში ხალხი მას ცხონარიად დააფასებს. სამი დღე და ღამე იქნება გაუთავებელი ტირილი და. როცა დაიმარხება, მაში დაიკლება საპატივსაცემოდ მასული ხალხისთჳ საკლავებო, ზოგჯერ თრომეტი ან მეტი საკლავი მიუვაკე. დასაფლოვების დღეს დაიკლება ხუთი ან ეჰუსი. მესამეს დღეს სამი ან ოთხი, მამრე ცხუბი. ემ ვაჟკაცს დარჩება ჩასაცმელი. ცხენები, ძროხები, დეგულები ან ისარი იარაღი და შორთულობა, რო შინ შანახვა არ ვარგა: მაში მკვდრის პატრონმა უნდა გააჩუქას. გაჩუქება კდება მესამე დღესა, როცა თოფის ნიშანს გასტეხენ. თოფის ნიშანი უნდა გაცხან მესამე დღესა. მისმა სწორმა ახალგაზდობამა: დასდებენ მკვდრის ჩასაცმელსა, ჭედსა, საათსა, კიდაჲ ძუირფას რასმე, დააყენებენ ნიშანსა და, ვინც ნიშანჩი მაახტედრებს. იმას მისცემენ, რაიც კარგია სახსოვრად, და ესრე დაარიგებენ ტანისამოსსა.

წელიწადი რო შასრულდება. დანიშნება დოლი. დოღზე იქნება დაწესებული ცხურები, მაზტერი ან ცენი. გამაიზონება ერთი ლოფლის ცხენებით გამაქცევა მკვდრის საფლოვამდე; ვინც იქ პირველი მოვა, მაში იმას მისცემენ არა ნაკლებს 10, 12 ცხორსა. მეორეს კუიცსა, მესამეს მაზტერსა და ეგრე დარიგდება ბოლომდე.

მკუდრის სახელზე უნდა დაიდგას შუილი სიფრო. პირველად: თხუთმეტი, მამრე ორმოცი: მამრე ხალარჯობა, მარიანობა, წყალკურთხევა, მკუდრების მარხვისა და წლისთავი. ემ შუილივე სიფროზე გორის უფროსი უნდა იყოს, ეგრე სიფრო არ შაიძლება. გორის უფროსი თუ არა, გორის წლოვანებით უფროსი კაცი მაინც უნდა იყოს, რო პირველი შასანდობარი იმან დალიას და მას მამრე ოჯახს სუ კორწილ-ნათლობა ულოცას.

### 36. გლოვა, ტირილი

როცა მიცვალებული შახტდება ოჯახს, თუ მამაკაცი გადაიცულება, ქალები თმაგაშლილები მოვლენ. თმაჩი, მუკლებჩი იცემენ და ტირიან, როგორც ვინმე მიაჯერებეს. ზოგი მასთქომს, წასულებს იგონებს, ან თუ ლაშქარჩი ყოფილა, იმის სადარი მაიგონება. მამრე იციან შავები. შავები უნდა ჩაიცონ წლამდინა, ორმოც დღემდე პირი არ უნდა გაიპარსას. დახკლავენ ან ძროხასა, ან უნდა დაიკლას სამი ყოჩი. პური უნდა გამაცხუეს 7-8 ფუთი, სასმელი. მესამეს დღეზე ვასაფლავებთ, პურ-მარილი მაშიც არის, მაგრამ იფრო მეტად. როცა დავასაფლავებთ. სულ უნდა ყუელაი ქირის პატრონის ოჯახჩი მივიდეს, შანდობას იტყუიან, დალოცვენ და წავლენ თავ-თავის ოჯახჩი.

მამა-პაპის დამრჩალი არის ეს წესი, რომ ჩუენ ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევს არ დავმარხავთ. ძოლი მარხვის ჩოულობით იმ წესს მივზღვევართ. მეორე დღეს სასაფლაოზე გადავლენ, მაიხსენებენ, ცხო არაფერი.

### 37. შერიგება

შარიგება რო უნდოდა მოეკდინა, მოქუჩრებოდეს პატროსანი კაცები, ივლიდეს ქირის პატრონთან და, როცა დააყაბულებდეს, გარდასწყუტედეს რამდჷენი საკლავი. პური და ხარჯი უნდოდა, წამოვიდოდეს მკვლელთას, იმათაც დააყაბულებდეს, მოვიდოდეს ქირის პატრონთან, გაღრეკდეს მტერთან, გამააბზანებდეს სპარსანგელოზსა, მაიწუევედეს სოფელსაც, მოკეთეს და მიაჯღენდეს შარიგებასა.

### 38. ძმად გაფიცვა

ვისთანმე თუ კავშირი გუქონდა, გინდა მტერობა, მიაჯღენდეს ძმად გაფიცვას, რო მამრე აღარ გეეგრძელა მტრობა, ვერცხლის ჩასთლიდეს რძეჩი, ნახევარს ერთი დალევდა ყანწითა (ყანწი რო იცი), ვარის რქითა ან სტაქნითა: — რაი ბედენა არის: როგორც ერთის დედის ნაშობები, ეგრე ვიყენეთო — და დალევდეს. ბოლოს კიდავ დაილოცებოდეს. ხალხიც მაულოცავდეს, იმათ სადღეგრძელოს დალევდეს.



## 39. ძველი სამართალი

ძტელს დროს ისითი ჩოულობა იყო, რომა ხალხი თითონ უშტრებოდა სამართალსა.

წინაე იცოდინან მგზავრობა, კარებით ქირას ეზიდებოდინან ქალაქისაკე. ჩტენ ქათეთ ვეძახით, იმათი ბაღლიც იქ ყოფილიყო ამხანაგად ცხტებთანა. როცა გადმოვიდეს, შვილმა მამას ქირა ველარ გადმაუტანა, დახარჯა გზაჩი, შაჰამა. მამამ მასთხოვა ქირა, მაგრამ რას მისცემდა, დახარჯა. იმაზე შეექნათ ლაპარაკი: მამა ღლანძღავდა, ბოლოს შვილმა პირი შაუბრუნა, შალანძღა; მამრე, ერობას ვიძახით ჩტენა, საცა ბერიკაცები არიანე, ესები ქურდებიან ერობაჩი. იჩივლა იმან ერობაჩი: — შვილმა გამლანძღაო, — შაშჩივლა იმათა.

იმათ გამაუძახეს იმ ყმაწუილსა, ჯეელსა, უთხრეს იმ ყმაწუილს: — რაი ხტენ, რაისთუი შაშჰამეო? იმანაც თავის კკოზე უთხრა რაებიღაც. — მამას რაისთუილა ღლანძღავდიო?

— მაშინ იმ ბერმაკაცებმა დაუძახეს ახალგაზრობას თავისთანა: — აილეთ ქვაო, კორახი, და ჩაქოლეთ ეს ყმაწუილიო!

ისრიე მამას შეებრალა, წამადგა და გედეელობა წინა:

— მაპატიეთ ისრიე მეო.

აი, მაგისტანა სამართალი იყვისკე უწინა და დანარჩენნი შიშობდეს.

## 40. დახმარება

წინაე სამი მოსამართლე იყო ამარჩეული ხალხჩიგათა, ხალხმა ამირჩივის. ჩტენი წყალი ჩტენსას ამირჩევდის, გერგეტი და ყაზბეგი — თავისას. ამირჩევდეს პატროსან კაცსა. ბატარას შინაურს საქმეს აქაურები აირჩევდეს. ქურდს არვინ აირჩევდა, არც მეზობლად არ გაუშტიან. უგემურო ვინმე იქნებოდა ან გორჩი, ან სოფელჩიგა, იმას მაიშორებდეს, არც საქონელს გაურევდეს, არც სახლჩი დაუძახებდეს, არ მივიდოდეს.

თუ ვისმე ცხორი გაუწყდის ან საქონელი დაეღუპის, დეენმარიანე სოფლელები. თუ ბეჩაევი, ჩავარდნილი იქნებოდა, ეკმარებოდინან უჯდურით (ერბო, ყველი) მეზობლები. ჯარჩი თუ ვინმე წავიდოდა, მთელი სოფელი გუდაგატენილი წავიდოდა, შეეწოდა, თემი შაიყარის თემობითა, საბჭოჩი მოვიდოდა ამარჩეული თემის კაცები ყტელაის გორისა.

## 41. გაყრა

დაუბადლებდეს საქონელს ერთი მეორეს, წილებს ჩახყრიდეს, წილი რასაც არგენდა, ეგრე იყო. მამულებსაც გახყოფდეს. რამდონი ძმა იქნებოდა, ისრი გაიყოფოდა მამული. ვინც სიალამართლის კაცი იქნებოდა, რო არც შენეე ყოფილიყო, არც ჩემკე, სისწორით გეეყო სუყოლაი.

სილამდე განაწილებდეს, პურს მოუმზადებდეს, სასმელს. როცა განაწილებოდა, პურს შუამდეს და წამოიღოდეს, გათაული საქმე იყო.

გაყოფაჩი ძმაზე გაიყოფდეს. თუ ბებერი ვინ იქნებოდა, იმ ბებერსაც წილს აულებდეს. რომენ შვილთანაც ინდომებდა, იმასთან მივიდოდა. თუ ისრი შრომაზე წავიდა, ჭილაბთ ემსახურებოდა. გაყრის შამდეგ მარჯე ადამიანი გავლიდა ჩხუბს, ძმანი კი — არც როდის.

#### 42. დაჭრილის მკურნალობა

აკეთ ღერენაი ურემზედით გადმოვარდა და სუ აჭრა თავზე თანისთან კანი. ცხენის ჩორო დავადეთ და შენჯუიეთ პერანგითა.

დაჭრილს, თუ სისხლს ვეღარ აჩერებდეს, ბებერაის ტოლს და სველს ცხენის ჩოროსა დაადებდეს, ან ჭორტლს დაადებდეს, შაახოვდეს თავშალითა, პაკიჭის ძველით. სისხლი რო დაუდგებოდა, მარილსაც დააყრიდეს, რო ხავარი არ ეეკრიფა. ძოლი თუ გაიჭრებოდა, ძუელ დუმას დაადებდეს. თუ ჯელჩი, ან ფეჯნი დაჭრილი იქნებოდა და დახავრავდა, დაადებდეს ნეხვის ჭიასა, რო არ დეცხავრა. ჭრილობას სიმგჭირგჭულით დახზობდეს თაფლითა ან ღორის ქონითა. ირმის ლუედიც მავკრიან.

#### 43. აღექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებიდან

მე ჩემ ძმაზე შუილის-რვა წლით უფროსი ვიქნები. დედას არ სცალოდის და მე ველჩი მეჭირის (ამ დროს ბავშვს მიმართავს: „რასაც ღნახავ, სულ სახლჩი შამაგაქუ, გადაავდე“). სანდრო და ჩემი ძმა ვანე ეგრე იყვნეს ერთურთი, როგორც იმანი, მეც კარგა მაცსონ, ჩუენს ამოღიოდის, გუიყორდა, ჯალანთაც პატივისცემა გუქონდა მისი დიდი. ჭამაზე რო დავესხდებოდით და ის რო არ იქნებოდის, ბალღები ერთურთს დეეცქირებოდეს, თუ არ შაუძრახათო. ჯღუნაი ჩემი ალალი ბიძა იყო. რო შამავიდისკე ჩუენს სანდრო, ეგრე მაიქცისკე, როგორც შინაური ჯალაბი; უყორდა ხალხი.

ლაზაზი ყმა იყო სანდრო. ცოლი არ ხყვანდა, არც ვიცი, შენმა მშუილობამა, ვინ მასწონდა. დედ-მამას მთელი ჭოყანა ველჩი ეჭირა, ხალხს ვერ ექცეოდეს კარგა. დედა კი, ღმერთის წინაშე, კარგი ხყვანიყო. როცა მაქუდა, ქალაქჩივათ რო გადმაიტანეს, ეს მახსონ, შაიყარა მთელი სოფელი, სუყელა გორეულობა. ბიძაი კი გონჯი კაცი იყო, დიმიტრის შვილი, ჯღებოდა, რო ეჩხუბებოდისკე თავად მშობლებსა.

სანდრო ზაფხულის აქ მოვიდის, ორი-სამი კუთირა დარჩის და ისრიე ქალაქჩი და ჭუთაისჩი წაჰიდის. იმას აძლევედეს ბატარას რასმე დავმარებასა, საცა წაეიდის. აქ ხალხი ძრიალ პატივეცემული იყო, სადაც მივიდის სოფელჩი, მთელი ხალხი შაიყარის. აძულებული ჰყავდა მდღეები: ტყუილად შუამთ პურსაო აჭაო. როცა დასნეულდა, ხალხს უბრალოდ შახყურის და გაიარის, არცო

რაიმე უთხრის. ზაფხულში ცხორაი დადიოდა, იმან ფრანციკული ენა იცოდა, ოთხი-ხუთი კელი ენა იცოდა. შაირობა ძრიალ უყორდა.

#### 44. სანდროს ერთი ხუმრობა

გერგეტს სიფრო გქონდის გაშლილი, ქიშტები ამოდიოდეს, უკრავდეს გარმონს. რო ითამაშეს, ქიშტმა ქალს გზა არ მისცა, არ აძლევდა ი ქიშტი გზას. სანდრომ კელი უქნა და დააყენა, ძირ-ახალი ეცო. რაისთჳი დახქუინეს მაჩხუბარი, არ ვიცი, ალბათ ბატარობაში თუ იცოდა.

ერთხელ სანდრომ ცხორი შარეკა ოთახში.

— სანდრო, სანდრო, რასა შურები, გაალოკიანა ოთახიო, — დედამ რო დაინახა, გაჯაერდა.

— აბა გამაბზანდი და გაიგებ, როგორ დღეია მწყემსებიო.

იმისი მამა რო დამარხეს, ყაზბეგი<sup>1</sup> არ მიუშტეს, ცხო სუყელაი. მამა ჯოჯოხეთი იყო. რაც სახლებს ქვა აქუ, სულ კამებრით და ზურგით აზიდვინა. ურემსა განა რკინა ხქონდა, ღერძი ხქონდა ხისა. თოთიცი იმას ეკირა, გერგეტიცა. ძუელი ნაკიდურის ბოლო ყაზბეგური იყო, აქათკე, სნოვლების ვორთან, ბოლოზე ჯანუყენი იღგეს. მიტკაი<sup>2</sup> დამალულიდა იყო, არ ჩნდებოდა, დაზღვედეს დასაჰერად. განა ხალხი?! — ხემწითე!

#### 45. სანდრო მწყემსებთან

სანდრო ცხორიცი დადიოდა, როგორც ცხორი მოარული, კოხუჯები ეცო, ბოხონიცი ეხურა. ესეები იცოდის. ეს მიმდინარა ცხორი და პურისთჳი დამარხალა ძაუგსა, პური უნდა წაულას წყემსებსა. ეხლა მეპურეს ვინდაც უბრალო კაცი ეგონა და დაუძახა გარდავოსა და წაუყვანინებია, უნდა დააქერინას, რო მიუყვანია, როცა მივიდა უფროსთანა, იმან ამილა და თავისი ნიშანი უჩუენა (გერანლის შვილი და თავადი, დიდი თავადი იყო). დასძახა გარდავოსა:

— ეს ვინ მაიყვანეო? წადი, დაუძახე მეპურესა! — უბზანა: „დაიჭირეთ მეპურეო“!

სანდრომ დასძახა: — დასაჰერი მეპურე არა, გარდავოიო, მე ყოველ თჳეს სახლი მივდივარ, ვნახავ ციხეში და, თუ არ დამხუდება, შენ დაგაჰერინებო.

დაუპარსია სთჳელზე ბატკანი, გამოლმი ხყვანებიყო, როცა მოურეკია ვალავანი, უთქმია დედ-მამისთჳი: — გამადიო, და ოთახში შაურეკია ცხორი. დედა გაშჯავრებია და ეგრე უთქმია (სანდროს): — აბა შენ გაიკადე და ტიტველამ ერთი გასინჯე გარეთ ყოფნაო. მაშ, ცხორი რაილაო?

1 იგულისხმება სოფელი.

2 იგულისხმება დიმიტრი.

იმ სახლებს უკენ რო სახლებია, სულ მუქთად დააკეთებინეს. ფასანაურჩი და გულაურჩი ხუდებოდეს მეურმეებსა, სიმინდზე წამასულებსა ძაუგსა, უკენ აბრუნებდეს და ქვას აზიდვინებდეს.

სანდრომ მამრე დააშლევინა ეს ეკლესია და ახლად ააგებინა, ფასით გააკეთებინა. იმას არ უნდოდა ნაუსამართლოვი. მაგრამ „აეთა მამათა ნაქნარი შვილიშვილს გარდაჰდებო“ — და ისაცა და ცხო ყაზბეგიცა ამასწყდეს. აბა რომენია ეხლა ყაზბეგიანი!

ერთხალ ცხორს თურმე ხპარსვენ გალავანჩი. სახლის გუერდზედა ბოსტანი ხქონიყო. წყემსისთჳი უთქმია (შიუქას ეძახდეს, ისითი მარლჳლიანი და ხუმარაი კაცი იყო!..):

— შიუქა, დედასჩემი რო გამოალის, მე ბოსტნისაკე თხებს გავაბრუნებ. დედასჩემი რო იტყუის — ბოსტანი გაუფუჳებია, ეს რაი უქნიაო? — შენ ერთი შააგინე, მე ნებას გაძლევა.

შიუქას უთქმია: — არაო, ეგ როგორ იქნებო.

აქათ-იქით, როცა მზე ამასულა, წაუტკერია ქალბატონს ბოსტნისაკე: — შვილო, რაი გიქნიაო? როცა შეუგინებია შიუქას, ქალი გაუჯავრებია, სანდრო კი კუდება სიცილითა.

სანდროს მამა-ბიძა გერგეტს გამოვიდეს, ჩუენ მოვემზადენით, ბევრი საკლავი დაეკოცეთ. ზედ ქეიფზედა სანდროც შამოვიდა. მამას შეჰკითხა და ეგრე უთხრა: როგორ ჩაგივა ყელჩიგა ემაგ ლუქმაო, ხალხს რო ხედავ, ეგ ფიჩხის ბეგარაი უქირსო (ჩუენ ხუთი კონა ფიჩხი გქქონდა ბეგრად შამაწერილი).

იმისი ბიძაი თავის გალავანჩი დგას და ქალალდს იკითხავს. აქათით ჩეეარა ერთს კაცსა: დილა მშუტილობისა, გივარგი ნიკალაიჩო — ამ კაცმა შეუმძრახა. იმან რო პასუხი უთხრა, სანდრო გაუჯავრდა — ბიძა რაისთჳი გამილანძღეო. — აბა რაისთჳი? აი ცხენზე რო სხდანან, აჩუ-აჩუ უძახიანკე და შენ ამ კაცს ვირი დასძახეო, — ნიკალა, აჩუ-უთხარო.

ეს საქმეები ბებრებისგა გოქ გავონილი, ცხო კი არ მახსონ რა. თქუენისთანა კაცისთჳინა აბა როგორ რაიმე უნდა დავზოვათ.

#### 48. სანდროს თვისებები

მე, აბა რაი გითხრა, ბევრი არა მახსონ რა, გულმავეიწყობა შამექნა. წავე ძაუგჩი, მოვედ იქითა და სახლი ძლივლა ვიპოვნე. მაშინის დალლილი ვყოფილიყავ და ჩემს ძმისწულებს ვჰკითხავდი — რამ გადაგასახლათ აქ-მეთქი.

— არა ხუდებით, რო შენი სახლიაო!

მე მეგონა სანდროსეულ ყანაჩი თუ გადავე-მეთქი. ბატარად ნასომიცი ვიყავ, ჰქუით არეულიდა ვიყავ. — რაისთჳი-მეთქი ესრე-მეთქი? ავირიე, ეს ცხო სახლი არაა-მეთქი, ტყუილს რაისთჳი იძახი-მეთქი, შავუტე. მამრე გაყურდა ისა.

მე მევესწუთერ იმასა, რომა ხალხს ეუბნებოდა სანდრო:

— მაშალეთ თქუენებული გონჯი ჩუეულებო.

— რაისთუი უნდა მოვშალათო? — ხალხი ეუბნებოდა.

ძრიალ უნდოდა ჩუენთან ლხინი.

— საკლავის დაკლვაზე, კორწილჩი რო დეგუესწრობი-მეთქი, — ვეტყოდი.

— მაშო; მეც შამატყობინეთ, მინდა ვიცოდე, როგორ შამაველებენკე დედუფალს კერასაო.

ვევში ასეთი წესი იყვის, როცა დედუფალს შამაველებენ, უკენ მიხყვებიან მეფეცა და ცხო ხალხიცა, დაიძახებენ „დიდებსა“. ვერ შეეძლა დედაკაცსა, აი ემ კოჭების გამაჩენა, ეხლა ტიტველები დადიანკე.

ცხორჩიგათ რო მოვიდოდა, გაიგებდა იქ კორწილიაო, აუცილებლად წავიდოდა, გაღმართავდა თამაშობასა, თამაშობდის. როცა თამაშობაჩიგა გზას აურევდის, — ზოგი სულელი დაუწყებდა ქალსა წვალეებასა: — ჰეი, შენ მავას ნუ შუტრებო, — სანდრო წამასძახებდა, — ქალსაც გზა მიე და შენც ითამაშეო.

როცა ვინმე დააშავებდა, არიგებდა:

— ეგრე არ ვარგაო, შე დალოცვილო შენაო, სადაველი კაციც ხარ, იქიური ქული უნდა დაიხურაო, ეგრე გაგონილაო?!

სანდროსაგა გამიგია ის, რასაც იძახდა, რომაო შოთა რუსთაველის ნათქომები ძრიალ კარგზე კარგი იყოო. და ახლა ვიტყუითოკე, რო მისი ნათქომები ძტირფასები არისო. შოთაი და ნეფე თამარი ძრიალ ჯელს სდებდეს ერთურთსა, ძრიალ უყორდა თამარ სულცხონებულსაო.

სანდრო ძრიალ უკმაყოფილო იყო გიორგისგა. — შენ გახსონ, რო ხალხის სისხლით გამაძლარი ხარო, შენ ამათ გასწავლეს სუყულათფერიო, როგორც წესია, ისრი უნდა მახქეუელიყავო, ამასალებს კბილს ამალება უნდაო, შენ იცი აქ რაი უნდა გეგუეთაო? ხალხს შე ვაშლეეინებ, თორო შენს სისხლს დიდი ხანია დალვედესო. შენაო ეკალს არ აზიდეინებ, ეკალი გამაიტანანო ობოლმა, ბეჩაემაო, რაი გაპატიათო. რაიც შენა ჰქენ, იმღუენი წისქუილს არ უბრუნებიაო! გივარგის ცოლი იქ ჰყვანდა. — წამოდი, წამოდიო — უმძრახავდა.

მაშინის გივარგისა შვილი მოუკუტდა და მაიტანეს მოსკოვითა. — დედა უნდა მალლოდინებოყო ამასაო?! შვილი ზარდა, ზარდა და ეშმაკისთუიო. რაიც გააკეთე, შენ გადაგკლაო. შენს ნათქომს ასრულებდეს ის შენი შვილები და რაი კარგი იმათ გადაჰკლაო — ეუბნებოდა სანდრო.

#### 47. ალექსანდრეს გულკეთილობა

ალექსანდრე, როგორცა ჩუენ ძტუელები გუეუბნებოდეს, ხალხის დიდი მოსიყვარულე იყო. გერგეტლებს ყალნად ედვა შეშის კონების მატანა, ვისაც კი შეეძლა, ყველას უნდა მეეტანა სანდროს მამისთუი ფიჩხის კონები. ერთხალ მამა გაშჷავრებია გლესხა: — რაისთუი ერთი მარცოლი კონა მაგიტანიაო. სან-

დრომა იმ მოხუცსა უთხრა: წადი და მეორედ აღარა გნახა აქაო. მამრე მამას მიუბრუნდა და უთხრა: მე და შენ დავიკაფრებთ ერთურთისაგაო, თუ გერგეტ-ლები არ გავითავისუფლებია შეშის ყალანისაგაო.

როცა ის ცხორჩი დადიოდა წყელის დროს, საღამოზე იქნებოდა თუ დი-ლითა. ბაღებს დაუძახებდა და ყუელას ოჯახჩი, ვისაც საქონელი ნაკლებად ჰყვანდა, რძეს მიატანინებდა. მამრე ყუელას ეტყოდა: დალიეთ რძე, რომთე-ნიც გინდათო.

ის რო წამოვიდა მასკოვჩიგათა, კაკეაეჩი რო წამოვიდეს, რო ჩამოვიდეს ვაგონჩიგათა, შახტდეს ერთმანერთს ერთი მთიული და ალექსანდრე, მიესალ-მნეს, გაუხარდა და უთხრეს ალექსანდრეს: — წამოდი, ერთი ბაზართან ხარჩო-ნიაჩი წავიდეთ, პური ექამათო.

ალექსანდრემ იმათ უთხრა: — მე იფრო იაფად გასადილებთო, — და „გასტინიცაჩი“ შაიყვანა ისენი. ეს მთიულები ძრიალ დახკუირდეს.

როცა გაათავეს იმათა, მთიულებმა ყალიფნები გაავსეს ჩუენებური ჯო-ყართა, ბოლი დადგა, შაზიანდა და გაუგემურდა. ერთი აფიცერი ადგა და უთხრა „გასტინიცის“ პატრონსა: — ესენი აქათით დაითხოვე და მაგათ ნახარ-ჯებსა მე გარდაგივთო.

ალექსანდრემ ეს გაიგონა და ეგრე უთხრა იმ მთიულსა: აბა ერთი მაგრა გატენე ყალიფანი და გააბოლეო. მამრე დაუძახა „გასტინიცის“ პატრონსა: სულ გარეკე ეს ხალხი და მაგათ ნახარჯს ჩუენ გადავივდიოთო. მამრე კელად უბრძა-ნა: არესტოვანად ამყოფეთ ეგ აფიცერი ჩემს განკარგულებამდეო.

#### 48. ბიბო ყაზბეგი

კვიანი და კარგზე კარგი კაცი იყო. იმისი სახლი მიწური იყო, წინაე ბევრს არას დაზღვედეს მაგისტანა ამეს. ისითი ზარიანი და მავდენილი კაცი იყო, რო... მოკუდენით ის სულ უკენასკნელად მოკუდა, სამადლოდ დასამარხავი გაუქდა საქმე. ქალაქჩი რო შეესწრებოდა გლეხსა, აქაური იყო, თუნდა მთიუ-ლი, შვილსავით დასმარებას უწევდის.

ერთ დროს, მაში ქირაენობა იყო, ფარჩას ვეზიდებოდითკე ურმებითა, დოგისრლდა ფარჩა. ერთი კურე სულ ავდარი იყო. მოვიტანეთ კანტორაჩი და, როცა მაჰადეს, სუ წყალი გაზდის. იმის პატრონებმა გუთხრეს: აქ რას უდგა-ხართო, ეს ცხენებიც დაგიცუვათო აქაო. მამრე სულეური იყო, ამხანავი ჩუენ-ნი, შიოს ეძახოდეს, მაიგონა და მაიყვანა ბიბო. წამოვიდა, მაიკუთლია იმათი უფროსი და დაუკივლა, სუ ცახცახი დააწყებინა: ემ საათჩი გასწორდითო, თო-რეო ციხეჩი ჩავალპობინებთო!

მცხეთით მატარებელი ქალაქისაკე გეემართა. ბიბო მაშინის იქ შეესწრა. დაღუპვა სამე მეელოდა მატარებელს. ისითი ჩქარი ცხენი ჰყვანდა, ელვაზე უმაღესი იყო, დეეწია და გადაარჩინა ის მატარებელი.

#### 49. გახეთ ნიკოლაზას შემთხვევა

ქოითით მოვდიოდით, დოგილამდა, დოგიკდა ქიშტი და გოგრეკა. მე ვეუბნები: ხიზნის პატრონი ვარ, უთოფოი. დამეკსენ-მეთქი.

— წადი, წადი შენი ესრე და ისრიო, შამამაგინა. ქალი რო არა ხარ, მეხრწებიო. მამრე ვიფიქრე: ვილუბები ბეჯითად და ერთი ჩემს ბიჭობას ვაცდი. მაში ჭველად ვიყავ. ვიფიქრე, ესრე მოუბრუნდე, დამკრავს თოფის ყონდახს მკრებნიგა. გავიარეთ დიდი გზა. ამტენაზე გავსციდი, მოვსციქირე, ვეცი, ზედ ჩემს მკარზე თოფი გავარდა. ამხანაგს ვუთხარი: მიშეელე-მეთქი და ის გაიქცა. რო მამკლან-მეთქი, ჩემს ჯალაბს უთხარი, მამნახან-მეთქი, მიპოვნან მკუღარი მაინც-მეთქი. ვიბძოლეთ მე და ქიშტმა, მოვიგე ქიქეშე, წამამიდგა, კიდავ ქიქეშე მოვიგე; კიდავ ვიბძოლეთ. მეოთხედ გადმოვაციციე, მაგრამ ამამიბრუნდა და ძირს მამიქცია, თოფს კი არ ვანებებ. თოფი პირ-კბილჩი მამუხნდა, მამრე დავდე და დავიჭყვიელე; შაშინდა კიდეცა ის რჯულძალდი. ყახალი არ დაინდობა, თოფი წავართვი და გამოვიქეცი.

ერთის წლის წინა ჩემს მეზობელთან, ბაგრატს ეძახიან, წავჩხუბდი გზისთუი. გადმაფრინდა, ლობე იყო, ქვა აილა და შამამტყორცნა. ისრი მაქცდა, რომა პირდაპირ სასისხლოდაა საქმე, დამკრა თოლჩიგა და სინათლე წემერთო პირს უკენ ხალხი ამტყუუნებს, პირჩი კი ვერა სწონს. გზა ორთივეა, გზას ნაპირ-ყურები აქუ და იმას თითონ სდებს ველსა. მაგის მამამაც ეგრე მანვალა, ეხლა ეგ წამასჩინდა. მეზობლებს ვეუბნები — რაისთუი მაგას არა სწონთ. ეხლა მე შვილები დავასისინა, რაილა იქნება?

#### 50. ობოლობა და მოჯამაგირობა

ჩვენ ორ ძმანი ვიყვენით, დოგრჩენია დედა, მამა აღარ მახსონ. მამრე ვიწყემსეთ და მწყემსობით ავაშენეთ ეს სახლი და მოჯამაგირობითა. მამრე თავის ცხორი გუყვანდა, ცხენებიც ბევრი გუყვანდა. თორმეტი წელი სულ მოჯამაგირე ვიყავ ცხოსთანა. წინავ ცოტა ფასი ჰქონდა: ოთხს თუმანს მაძლევდიან წელიწადჩი. მამრე შამიმატეს. ფასები შუიდი თუმანიც იყო. იმით ვიყიდე ცხურები, ჩემს ცხორჩი დავდიოდი, შავირთე დედაკაცი, მოვდე ცხოვრებასა და ცოტა მოვგორდი.

გადავდიოთ რა გადამჯდა, არაფერიც არა. ერთხან, ფოდრეჩიკსა ეძახოდეს, იმასთან საზიდრად მიგუიწვიეს. თურქებთან რო ჩხუბი ჰქონდა ნიკოლოზსა, აქედამა წასულები წოგიყვანეს ყარსის საზლორჩია, დოგირიგეს პურები. ავად მყვანდა ერთი ამხანაგი და ისევე მობრუნდა, მორჩა. წიგნს სახლჩი არ ვწერამდი, შამემძლა ამხანაგებს დავაწერიხებდი, ხოლოთ ერთხელაც არ მოვსწერე. წაველ, წაველი და, როცა მოვალი, ეგ იქნება, მე მივდივარ-მეთქი; დავავდე დედა მარტოკა და წავე. ჩუენ ჯარჩი გაკუღეულები არ ვიყავით, წავედით

ჩუენის ნებით ეგრე. ჭარჩი გაკულებვა იყო მაშინაც, როგორც ეხლა იკულებვენ, ისე მაშინა.

ასე, ვიჯამაგირე ცხოსთანა, მივჰყე, გაბეგრდა ცხორი. ცხოსთან რო წავი-  
დიკე, ცხურები მამციან წელიწადჩი თორმეტი, რასაც პატრონი გაიჩქერებდა,  
იმისთანასა.

## 51. მწყემსის გასაპირი

შუიდის წლისა ვიყავ, ცხორჩი რო წავე. გავტეხე მთაჩი პური, გამვარდა  
და დაგორდა. დავრჩი მშიარი. გემვედღევნე პურსა. იმასობაჩი ქულიც გამაგორ-  
და. ძალიან მაგარი, მარჯე მამა მყვანდა. ცხორი რო მამიკუდებოდა, განა რამეს  
მეტყოდა?! გადმამაქცევდა და სუ აემ მუვლებითა მცემდა. ფევთ არ მეცო: —  
არ უნდა მაკუდეს ცხორიო.

რას ვიქამდი, ზევით გამაგორებული ქვა მახუდებოდა ცხორს ან თავჩი, ან  
გორდჩი და მაკუდებოდა. მამა ლუყი იყო, ძლივდა მეტყოდა — რაი მოუვი-  
დაო? შინ მოვიტანდი იმ ცხორსა, გასატყავებს გავატყავებდი. პირველად დაჩნ-  
დებოდა, რო გავკრიდი, შიგამასავალი ფაშფუში, ნაწლავები, ჭიგარი (ღვიძლი,  
გული, ფირტუი) და კუქმეკები. კუქმეკებს ვეძახით ჩუენა თირკმელასა; ჩავ-  
ყრიდით ქობჩი, მოეხარშავდით, ქაფქირით ხონჩაზე ამოვიღებდით და გავსწუ-  
რავდით. ხარშვის დროსა ღოღოსა, ქონდარსა, ქეკარსა, ბაშოსა, მკუთლიავს და  
მარილს ჩავაყრიდით.

## 52. გლეხიშვილის მოგონება

— ძველი ამბავი ან ზღაპარი რაიმე თუ იცით?

— ეგეთური არა ვიცი რა. შენ იფრო იმისთანა კაცი უნდა მოლნახა, რო-  
მენიცა ჩონგურზეც ამღერობდეს ძრიალა, რხინიც უყორდეს.

ვემწიფე რო ჩამაგდეს, მაში გამიწვიეს მეცა, წამიყვანეს რაილა ჭარჩი.  
თბილიჩი ჩამიყვანეს, გამამიციტალეს ტარავალი და გოგრეკეს ბათუმჩიგა. ბა-  
თუმით გოგრეკეს საომარადა ტრაპიზონს. გავიმარჯვეთ ჩუენა და ავიღეთ ეგე-  
ები — ტრაპიზონი და ამე სოფლები. დავინებეთ ისა და მოვბრუნდით იქითა  
და ჩამაგდეს კიდეცა ვემწიფე. ჩონ გომოგიშუეს შინა. მამრენის დადგა ეს  
მთავრობაი. მამრე კი აღარ გოგრეკეს ჩემის ხნიანები.

თექუშმეტი წელიწადი გზაჩი ვიმუშავე მოჯამაგირედ, მამრე ტუნლები გა-  
კეთდა ყირვანჩო. ცხო სავემწიფოჩიგათ მაღიოდეს და იღებდეს და აკეთებდეს  
და სძებნიდეს მადანსა — სპილენძსა, ტყუიასა, ნახშირსა. გამახქონდის კიდე-  
ცა, ჰექოვდეს, ტუმარაჩი ჩაყარაან და წაილიან ქოიტკენა.

აქ სუ ყაჩაღები იყვნეს, იმისაგა გუეშინოდეს, ცხენებს გორთომდეს, გზა-  
ზე გუიხუდებოდეს, არ გაივლებოდა. დეგუეცნიან აქა მთაჩი და გარეკიან სა-  
ქონელი. დღეცა არ გაივლებოდა, ფოშტას უხუდებოდეს, აფუქებდეს.



მე გლეხიშვილი ვიყავ, ვინ მავლევდა შკოლაჩი, ახლოც არ გოგეკარიან. ბოლოსა და ბოლოს, როცა ხალხმა ბატარად გაიღჭიდა, ათასში ერთხალ თუ გაუშობდიან ძალადა.

სალამდი ეს მთავრობა შამოვიდოდა, მიწური სახლები გუჭონდა, იატაკი საით ხქონდა, შუაყანას ვეძახოდით, მიწა იყო, ჩალა დავეგიით და დავეწვით. ფარჩა რო გამოვიდა, ვაკეთებდით გობანასა. ზედ შუასახლჩიგა დაევანთით ცეცხლი, კომლით აივისის სახლი, ტარავალი ისრი გოგეცდის ქორტლისაგა... ბატარაი სარკმლები იყვის, ვერ გადიოდისკე კომლი იოლას. დავაკეთით ჰურები და ნაცარჩი გამოვაცხეთ.

ტარავალს (||ტარავალს) შინ ვქსოვდით. დაასთიან მატყლი, დიდი შკამი იყო, გაამბავდიან ძაბებს, გაუგდებდა და გამაუგდებდა და მანქსოვდა საეარცხალითა და შეებითა. მუხის ქერქჩი ვღებავდით ტოლსა.

დღესასწაული რო მოვალის, საკლავებს დავკლავთ. წავიღებთ ჯორცსა, ლტინოსა. ვალოცებდით ბატარას ბაღლსა. ქალის ლოცება არ შიძლეპოდა, სისხლს მახსომდით ცხურისასა შუბლზე, ეგრე ჯორს დავხატავდით. შინ კი არ წამავიდოდით, იქვე მავხარშავდით და ვშჰამდით.

### 53. ქალის მოტაცების ამბავი

ქალს წინავ იფრო ხშირად იტაცებდინაკე. მამტაცებელი ან იყუთისკე დარიბი, ან კიდავ ქალს არ უნდოდისკე. ხშირად იმიტომაც იტაცებდინაკე, რო არც ქალის დედა-მამათა და არც ბაღლის დედა-მამათ არ უნდოდისკე დამოკეთება. ჰოდა, მაიტაციანკე ეგე ეგრე ქალი, ეგე მაგიტომა.

მამრე ქალს მღვეარი გამოუდგისკე და ხშირად წაართუანკე კიდეცა.

ერთხალ ჩონთან გივარგის ბაღლი ავარდა საცოლედა, ეგე ეგრე, რო თავისები აღმართსლა აუყენა. რაი უნდა ექნა იმის მშობლებსა, როცა ემ ბაღლზე — დოღდაზე არვინ თხოვდებოდა?

ჰოდა, ამაჩი ემ გივარგიმ დაუძახა, ცხორჩიგათ ჩამაყენინა ჩონი ზურაბაი და უთხრა: ბაღლო, თავზედით ქუდი მემეკადა, თემჩი ქალი არვინ მამცა და რაიმე უნდა მიშოლაო.

ზურაბამ უთხრა: ბიძავ, ვისი ქალი გინდათო?

— თოთელი, ხულელიძე, ნიკალას ქალი, სათოო.

— კარგიო, ბიძავ, — უთხრა ზურაბამა.

ემ ზურაბას ხყვანდა თოთსა ერთი ნათესავი, ჩონივე დისწულის შვილი. ჰოდა, იმასთან მაიმიზეზა წასტლა. თან „ნეფეს“ უთხრა, შენ კი ჩემს მაგივრად ცხორჩი აღიო, ძმები შენი კი გამაყვალეო.

მართლაც, ეგრე მაიქცნენ.

შავშუალამეს მასიარულე ზურაბაი გუან მიაღვა მაკეთეს კარზე.

— რამ მაგიყენა, ზურაბავ? — ხკითხეს იმათა.

— დავილუპე, კაცი შამამაკტდა. — უთხრა ზურაბამა და ზღურბლზე ჩაიკეცა. შაიქნა ერთი ვაი და ვიში.

მამრე იკითხეს: ეხლა რაი ვქნათო?

— რო არვინ მნახავდა, თქონს რო მოვეო? — იკითხა ზურაბამ.

— არაო. — უთხრეს: — თიბაა, კაცები საქმეზე არიან და მარტო ქალე-ბილა არიან შინა ჩაკეტილებიო.

ზურაბას ეს უნდოდა.

მამრე უთხრა. დავწვეთ, არამც ვინმე შამოვიდესო და მნახვენო.

მართლაც, დავწვენ. შუალამე როგორც კი გადავიდა, მამლები პირველს ყვირილზედა, ზურაბაი წამადგა, მასპინძელს კარები გარეთით გადმოუკეტა, მამრე იმათი კარებებიც ნასკუჩი მააქცია, თანგაყვალელი გივარგის შვილები ნახა, კარტოხანი რო დაყარა. იმ დროს მივიდა იმათთანა, რომ იმათ კარგა ზძინათ და ხჭრინვენ.

— აი, თქონი დედა კი ესრე და ესრეო, — დაშეყვილა ზურაბამა და ერთი თუ ორი, სამი თუ ოთხი მიხყო წიხლები და წამაყარა. — თქო გონჯნო, თქო თავად დედაკაცებოო, აბა, ჩქარა გამამყევითო. იმათაც დახარეს თავები და გახყვენ.

როცა ქალიანთ სახლთან მივიდა, შეკუნაი მონახა, შიგ გადაძრო და ქალი გააღჭიძა.

— ადე, გამამყევ, ვიდრე მამისკერაჩი სისხლს დავღჭიროო. — ქალი შამინდა. ბზუკუნნი დაიწყა და კმამალა დაკვილება კი ვერა გაბედა რა. ზურაბამ გაიგდა ქალი წინა, გაიბოტნამდე ჩამახყვა და მაზლებს გაატანა. თან უთხრა, ჩქარ იარეთ, არ გაგიტენდესთ, თორო ჰირს აკმევთ სოფელსაო.

მართლაც, წამაიყვანეს ის ქალი და მადგორეს გივარგის შვილსა.

— ზურაბაი წავიდა, იმ ღამესვე იქ ავიდა, მასპინძელთანა, და სმა დაიწყო. მეორე დღეს, როცა ვმა გავარდა — ქალი გაიტაცესო, თითონ გადავიდა პოვლესთან სახლჩი და უთხრა: — მაგიკუდესთ ჩემი თავი, ქუდი ვინმე მაგკადათო?

— ჰოო, ძალად გაიტაცესო. — უთხრა ძმამა.

— ძალად კი არა, წუხელ ღამე მოვდიოდი და წინ შამხუდეს, ორ კაცს წინ მიუძლოდა თეთრკაბიანა ქალი სიცილითაო.

— ჰო, ის იქნებოდა, — პერანგიანაი წასულაო!

— ჰოდა, ეგეთს მდევარი არ უნდა. დაასხით, დალიეთ და დამალევინეთო — უთხრა ზურაბამ და, კარგა რო იქეიფა, შინ წამოვიდა: — მგონია, მე რო კაცი მოვკალ, გაცოცხლებულა და შასარიგებლად მევემზადებო. ეგე ეგრე მააქერჯა. მამრე გაუგეს. აბა, ვინლა რასმე ეტყოდა, შარჩა და ეგ იყო.

#### 54. ერესტის ამბოვი

ეგ ერესტი ობლად დამრჩალა, ბატარაი. ერესტის ორი შვილი ხყვანდა — ბეჟანი და ნინიაი. ბეჟანიასაგა ჩუენა ვართ, ნინიაისაგა — თქუენა, ორნი ძმო-

სანი ვართ. ის ერესტი ობოლი ყოფილა. იმის ბიძას ერქო სედანაი და ის სედანაის ცოლი თურმე არ იკდენდა ერესტისა, არ უნდოდა რო ყოფილიყო. წინავ დიდი ქობები სკოდნია ლუდის ასადუღებლად. ეყვანა იმ დედაკაცსა, ბიძაის ცოლსა, და ქობი ჩეეშო. ი სედანაი მაში შესულიყო და ემეეტაცა ის ბალლი, სახე სულ დამწორი ხქონიყო, აღარც წუერი გამაჰსულიყო. სუყელას ის ღონებიყო, რო თოლები დეეწობოდაო, თოლებს კი არა გასჭირებიყო რა და აღარც წარბები და აღარც უღვაშები აღარ ხქონიყო. მამრე ხალხმა თქო, რომაო, მოდიო, ეგ ბალლიო მოვაშორათ მაგ დედაკაცსა, თორო მანკლავსო, ან დედის ძმათ ჩავაბარათ, ან ხოსროსაო. ი დედის ძმაი გერგეტს ხყვანია, აწკუთ ეძახიან. მოვიდა ი დედის ძმაი, შავიდეს შინა, ლაპარაკობენ. ი ბალლი უწინვე დაარიგეს: — როცა შემეგვიკითხებიან კაცებო, ხოსროსთან ირჩიეო, ხოსროსთან მილიო (ეგ ძრიალ გულით მინდოდა რო მკოდნოდა, ერესტის მამას რაი ექტინა, აბა როგორ გავიგა ახლა, საით მოვიგონა). ეკითხებიან ამ ბალლსა კაცები: — ვისთან გინდაო, ვისთან მიხლო, დედის ძმას გაგაყვალაო. თუ ხოსროსაო. რო შეეკითხნეს: — თუ თქონი წყალობა იქნებაო, ხოსროსთან მიმბაროდეთო. ჩააბარეს ხოსროს და ხოსროსთან გაიზარდა, ხოსროსთან დაჯორწილდა, ეყვალა ხიზანი, ორი ვაჟი, ორი ქალი. განა არ იცით, წუერილმა ხიზანმა ჩხუბი იციან. ამ ხოსრომ იფიქრა, — ეს ბალლები მალ-მალ ჩხუბობენ, ვაი თუ ამათ დედაკაცებმაც ეგრე იჩხუბანო, მარიო, ეხლა გავიყრებითო, სილამ ჩხუბი მოგუთივაო.

დიდ ხანს იფიქრა ერესტიმ და ბოლოს კი უთხრა:

— ძმაო, მე ეს მინდა ვითხრა და აღარც მიტქმიაო.

— მამრე რაისთუი აღარ ვითქმიაო.

— უნდა გავიყვნეთო. ისრი გავდა ის ერესტი, რო სამი დღე პური ველარ ქამა.

— ეგ რაი მითხარიო.

— იმისთუი ვითხარიო, რო ხიზანს ჩხუბი მაზდისო, მამრე დედაკაცებს მაუა ჩხუბი, მე ეს არ მინდაო, როგორც ძმურას დავიზარდენით. ისრი ძმურას გავიყვნეთო.

დასხდეს ერთად ოხშამზედა, საქონელიც გაიყვეს, ცხენიცა, ძროხაც, კარიც. ერთი მეორეს არჩევიანდეს. გაყვეს სუყოლაი. აბა, ახლა, ფული როგორ გავიყოთო. ვინა სთულის იმას! თაბახი მიიტანეთ და აეწყათო, როგორც დაყრით დაეტეოდა, გაყვეს ისაცა. მამრე იმ დღეს დღე კი ვერ ამოიდა თავის სახლჩი ჩუენი ერესტი, რო დაღამდა ის დღე და სუყელა სახლჩი დაწვეს, დაიძინეს, მამრელა ამაიდა თავის სახლჩი.

დილაზე ცეცხლი გაანთეს და ბოლი გამოიდა. გარეთ ერობანი ყოფილან, კაცები: — ერესტის სახლჩიგა არაყს თუ ვინმე უშობსო, რაი ბოლიაო? ეს კაცები რო ლაპარაკობენ, იმ დროს ერესტის შვილებმა გამოიარეს ბატარებმა? — ბალლებო, არაყს ვინმე უშობსო, თქონს რაი ბოლი ამადისო? — არაო, გავი-

ყარენითო. გაკჷირდეს: — ერთმანერთი უყორდათო და რაისთჷი გაიყარნესო. იმ ლაპარაკი ერესტიც გამოვიდა შეეკითხნეს: — რაისთჷი გაყრილხართ, კარგა იყვენითო?

— მალამ ვაწყენდით ერთი მეორესა, მალამ გავიყარენითო. — ვინ გყვანდათო. ვინ გაგყარათო?

— არც ვინ, არავინაო, ჩჷენ გავიყავით ძროხაიცა, ცხჷარიცო. — ფულიო? და — ფული თაბახით ავწყეთო და ისრი გავიყავითო. — ძმანი დასხდიანო, სამართალი გაშჷრიანო. იმ ერესტისანი ვართ ჩონცა და ესეცა. იმათ ნინიეთ ეძახიან, ჩონ ბეჷანენი ვართ.

### 55. ყარანგოზა

ყარანგოზამ დაიჩემა ეგ ადგილი მატყუებითა. ჩჷენ ორი სოფლის იყო ეგა. სუელას უნდა გეველა ცხჷრითა. ყარანგოზას იმ თავითა ამ ორის სოფლისათჷი ეთხოვა: მაგაზე ცხორი გოგოშობინეთ, ისრი ნუ მამაკლავთო. მამრე ერთ ათჷერ რო ამაზე ავიდა... ის ტყარშეტლები ყარანგოზას ყმა ყოფილიყო. ჩჷენ ორ სოფელ (ფხელშესა და გორისციხეს) წოგორთო, მატყუებით მეევმარა ის გზა. სამი ზაფხული იარა მანდა და დეეჩემა ის ადგილი. ბატონია მანდაო, ხათრობდეს და იმ ხათრმა ადგილი კი წაართო. წავიდის აქათ სოფელი, ამოვილიანკე ტყარშეტლები, დეერივიან, ჩხუბობდიან. ჩჷენები ჩადიოლიანკე ქალაქი და ეგენიც ჩავიდიან, ბატონთან მივიდიან და ის უკეთებდა საქმესა.

### 56. გუგუაი და მიხაი

ერთხალა გუგუაი და მიხაი წავიდეს ტყარშეტულ მთაჩი სანადიროდა. ტყიან მკარეს რო მივიდეს, ზაით ქედზე დაინახეს დათჷი, რომენსაც მეეგლიჯა უზარმაზარი ხე და ზედ გადაზჯდომიყო. უნდოდა ჩიკუბისთჷი დეეცა, ქოით მდგომებისთჷი. როდესაც ნახევარი გადაუშო, და ჩიკუბებს ზედ დაეცა ის დათჷიც. მაშინ ის დათჷი მაკუდა და ერთი ჩიკუბიც მაკლა. თოფი კი არ დაუქლია, იმ სიმაღლე კლდე ყოფილიყო, რო იქვე მამკუდარიყო. წამაიდეს მემრენა ისეები სივანჩი.

### 57. ხორბლობა წასვლა

წინაე შიმშილობა იყო. აქათ ხალხი წავედით ქოიტკე ხორბლობა, პრახლადნაისკე. შაამბეს, ვისაც ცხენი ჰყვანდა, და წავიდეს, სამუშაოდ წაველით, ხორბლის კრეფის დრო იყო. წყალი იყო გონჯი, ცხენები არ სომდეს. ვინც სო, ჩაიკოცა. ვინც თავს გაუმთხილდა, ცხენები გაყიდა, პური იყიდა.

## 58. ურჯულოების დაცემა

ჩველი კაცი ოჯახიგა სულ გზას უნდა ყოფილიყვა, ბანდულები უნდა ჩეცო, რო მთაზე არ დაქანებულიყო. მეცხორე, როცა დასტაცებდეს საქონელსა, სოფელს შატყობინებდა. მასწრობაზე იყო, რემენიც წინ წავილოდა, ვაჟკაცობა იყო ი ურჯულოებისა. ლაშქარი მოვილოდა, ჩუენების ცხორს წაიღებდეს. მე ბატარა ვიყავი მაშინ. ჩაუსაფრდეს მთაჩი, თავი შაუკრეს, თოფებს ისროდეს და ჩუენი ბიჭები აღარ აუშუეს, არც ვინ არ მაკუდა, კლდეებჩი დაიშალა ხალხი და ტყუთა ისრე სხლტებოდა. არ ვიცი, რომთენი ცხორი წაიღეს, ხოლოთ იქნებოდა ეგრე თხუთმეტ ასი. იმისთანა ალაგჩი იყო, რო ჩუენები ვერ უდგებოდეს. საერთოდ არ სჩეევია ჩუენებს ქურლობა. გადმეერეკა კი ერთხალ ცხენები, ამაასწურეს წუერჩი და ქოით აღარ უშუებდეს ურჯულოებსა. ისინი გაიყოფდეს ამ მონაპარსა ერთურთშია. ზოგს დახყიდდეს. თუ გამაჩნდებოდა, მთავრობა ძალას დაატანდა. ისენი ისრევ კდილობდეს, დაღმალავდეს საღმე უღაბნო ალაგებჩი, რო მთავრობის ხალხსა ვეჭი არ ეელა. ზოგჯერ იჭერდა ბაზარზე. ხოლოთ ეგეც კდებოდა, რომ მაჯერჯებით ქურდები გამადიოდეს მართლები. ერთი პირი რო ექნებოდათ, დეედევნებოდესკე ქიშტებსა. ეს ჩემ ხსომობაჩიც მამკდარა, რო ამის მამასა დახზარეს ცხენები, მამრე ისევ ვადმარეკეს. ჩუენც ვუჭერდით მათ საქონელსა.

## 59. უცხო ტომების შემოსევები

ძუნელად აქ თურმე ეცემოდეს ურჯულოები. ლიჯეს (საჯოგეს) ვეძახით, ჩუენებს იქ სდგმია ჯოგი, მეჯოგეც ხყვანია. როცა მტერი თურმე დეეცის, ნათქომი ხქონია, ნიშნად იმ მეჯოგეებსა: მტერი როცა მაგივათ საქონლის განსარეკად, სამი თოფი დაცალეთ, მღევარჩი მაშინ წამოვალთ სოფლით ხალხით.

წავიდის თურმე სოფელჩიგათ მღევარი და დეედვენის ამ მტერსა. ზოგჯერ დააყრევინან ეს საქონელი და ზოგჯერ გარეკიან იმათ. ერთ დროს ელოშვილებს, ზედმეტ სახელს ეაშკაცეთ ვეძახით. სთუელს, საღამოზე მღენწავები გეეშო ყანაჩი, მასულან ისები და გაურეკია ეს მღენწავები. დაზღენენბია სოფელჩიგათ მღევარი, გამაზღეგია უკენა. რუსეს ვეძახით, ყირენის ძირი, დასწევიან იქა. ეხლა მღევარმა დახედა, რო ველარ წაართმენ ამ საქონელს, ყირენის გადასავალჩი დასწევია ერთი, აქ თემურაზს ეძახოდეს, ელოშვილი იყო, ის გადახყვალიყო. შემეეძრახა მტერს იქითა: — ნუ მოგუღეუხარო. კიდავ თურმე მიზღენდა, გედმეებრუნდა თოფი და გედმეგდა კლდეზე, მეეკლა. დვალთ ღორღს ვეძახით, რუხის გადასავალჩი, იქ ჩეეყარა. სუყუელას თითო ქვა ეელა და გააკეთა ერთი დიდი ღორღი (ქვის კედელი); როდესაც აქ ომი იყო, ის ხალხი რო გაბრუნდა, ყუელამ, თავისი რაიც დააგდა თითო ქვა, თან გაიყვალის. კიდავ აუარებელი დღესაცაა დამრჩალი ის ქვის გორაი. იმით გაიგეს ჩუენებმა რამდუენი დასცუვდა მკუდარი.

## 60. შემოსევის შეტუბინება

წინავე სახლები იყვის დაკეთებულები, აი ეგრე გორდ-გორდითა, გრძელი სახლები იყვის, გამბული. როცა შამოვიდოდეს ქიშტები, ერთს ნაპირზე ჯოხს დაჰკრავდეს, რო ქიშტი მადისო, რო მომზადებულ იყვნეს მზასა თოფებითა. თოფები, თოფებს ვამბობ, თორო რაის თოფები იყვის, პისტულიანი თოფები იყო, ტალისა. ჰოდა შატუბინებდეს — მტერი უნდა დოგეცასო და მზას იყავითო.

როცა გავიდოდეს სულ ნაპირზედა, ყუროს წავალის, აქით მალვრეკეთ. ყუროს ზაითით ხალხს დაჰხედავდეს, ერთი მეორეზედა სრა დადგებოდა. დამცირდებოდა ჩუენიცა და მათიცა. როცა ვერ გაუვიდოდა, გაიქცეოდეს, აბა იქ თუ არ დოგიდგებოდა!

## 61. ამალანი

ძრლს დროსა დადიოდეს დამე ყაჩაღები, ეძახოდეს იმას — ამალანი. ჯგუფად დეეცნიან სოფელს, აი, ემისთანა ბაღლებსა, თურმე ჩაყარიან საღმე კალოში და თურმე ღლეწდიან. ხაჯიანთ კალოს ვეძახით. იქ ულეწიათ, ჩაჰყარიან და ჯოცდიან.

გორისციხეს ამაჩნდეს კარგი მძლე კაცები. მძლე ისრი არა, სილამ ჰკუიანები. ერთი იყო ეფთიაშვილი, მეორე იყო პაპეთი, ჩქარეული. ამათ გააკეთეს ერთიანი დიდი სახლი, ერთი დიდი ლასტი მიაკრეს ეგრე წნელებითა. შავიდეს იმ სახლჩი ის ამალანი, უნდა შააწერან რაიმე ან საქონელი, ან ფული უნდა წაართონ. ახლა გაჯერჯიანებულებია შინათვე კაცები. რომტენიც წნელია ხეზე აკრული. ეს ხეები აჯდლია, საცა წნელია, ამებს დაუსუტეს ცულები. ჯერთ სულ ქვით გამატენეს ის ლასტი და ისრი არის ჩამაკიდებული.

როცა ესენი პურის ჰამაზე გაიმართნეს, ამ გლეხებმა დაუსუტეს ცული ამ წნელსა, დაშკრეს წნელები და დეეცა თავსა ის წნელი, ის ლასტიც. ქვებიცა, დაჰუქკა ხალხი. ამ ლასტიდან რო ედარ გამოხოლ! აიღეს და სულ ხანჭლებით სჩხუირეს ლასტებჩიგათა და დავოცეს იქა. გათხარეს ერთაზე დიდი სასაფლაო და ჩაყარეს.

გავარდა ჯმა, გაიგეს ამალებმა, შაშინდეს — ჩონც ეგრე დოგკოცენო. გაივა ხალხმა, როგორც მაქცევა უნდა: — სახლჩი შევალით, აი ესრე გვიზმენ და მიიშალეს ამალობა.

## 62. ფეფელო—სპარსანგელოზი

ეს ამბოვი ძრიალ დიდის ღნისა არის. მე ჩემმა მამამ მიაგმა და იმას კი-დავ — თაენისმა პაპამა. პაპას კი ეთქო, რო ეს ამბოვი ჩემმა პაპამ მიაგმა თავისი პაპის ნამბობით. ესრე რო, ბევრს გამოუგლია დროსა. იმ დროსა საქარ-

თველოს მეფეს თურმე თათრების მეფე დაუმარცხებია. იქით, სათათრეთი-გათა, თათრები აუყრია და ჯეჭვი ორი-სამი სოფელი დაუსახლებია. თითონ ხალხი კი დაუნათლია ქრისტიანულს რჯულზე.

პირველად თურმე თათრები ერთგულად ემსახურებოდეს მეფესა და თო-ლი თურმე ფხიზლად ეპირათ საზღორის დასაცავად. მამრე, მეფე როცა და-ბერდა და ორგულნიც ბლომად გაუჩნდენ, თათრებშიგათ თურმე ერთი კაცი ღონითა და მაჭვრკებით სახელგანთქმული გავდა. მეფეს გაუორგულდა და სნოს ციხეი ჩაიკეტა — გამაგრდა. თათრებს წევეჰმარა და ქართველებს ნია-დაგ ავი დღე დააყენა. რაიცი სულიერი მეეწონა — მისიაკუთრა. ესაც არ იკმარა და თქო — ვინც გათხოვდება, კორწილის პირველ ღამეს ის ჩემთან უნდა მაიყვანანო და მაყრებმა დილაზე ჩემგნით უნდა წაიყვანანო.

იმ ხანებში კეეს სახელი გაღვარდნია სილამაზითა ობოლს ქალსა ფეფე-ლოსა. ფეფელო სუნდისიანი, ნამუსიანი და ლამაზი, ლამაზი, რო ხუთიშობელს-ლა თურმე ღვეანდა სილამაზითა.

ფეფელო ცოლად უთხოვია ობოლს ბალსა ფადიაურის გორისასა. მოიდა კორწილის დღე და მოუნდა ურჯულოსა ფეფელო. ფეფელო კი ატირდა და აატირა სუყელანი. ფეფელო ეკლესიაჩი რო შადიოდისკე, ღმერთს ეხრწებო-დისკე: ღმერთო, ქმარს უმწიკლო ჩამაბარეო და ეხლა აბა რაილა პატიოსნება იქნებოდა, თუ ჯერ თათართან იქნებოდა?!

ძალა კი აღმართს ხუნავს... მიუყვანეს მაყრიონთა ფეფელო თათარსა და შუეგდეს ციხეჩი. თათარმა გაუცინა ფეფელოსა და ფეფელომაც გადაიხარხა-რა. კელი ძახკიდა თათარმა და ფეფელო პანდარზე გაგორდა.

თათარს გაუხარდა.

იძრო ტანზე და ფეფელო კელებშიგა მაიქცია და ზედ დეეყინა. ფეფელო-მა ზეკებჩი წურილი ხანჯალი დააშკო. თითონ ფეფელოს კი გული შასწუხე-ბიყო.

ელიან მაყრები ფეფელოსა, და სადაა... შაუძრატეს მეფესა და ჯმა არვინ გასცა. მამრე კი შაამდგულისე კარები, ურდულით დაკეტილი, და კაცნაკლავი, გულშალონებული ფეფელო გულადმა დაგდებული კი დასჭდათ.

გამაიყვანეს ფეფელო გარეთა თათრებმა. გახჯადეს ტანზე, შაასტინეს ვირ-ზე, ტალახი წაუტოს და სოფელ-სოფელ კი ავლიეს. მამრე მავლეს კელი და სპარსეთში გაგზავნეს.

— ქმარი?

— ქმარმა, იბრძოლა, მაყრებიც დაიშოლა და აბა ჯართან რას გავდებოდა.

სუყელას დაავიწყდა ფეფელო. ... და გაზაფხულზე როგორც კი ბალახი გაუუყუნდებაკე, რას ხედვენ თემი: აი, იმ გორაზე, სპარს-ანგელოზს რო ვეძა-ხით, ფეფელო, ტანისამოსშამახეული, ნაცემი, ნაწამები და ნამუსაკდილი, ზის და ტირის. წავიდა ხალხი. იცნეს ფეფელო. ლამაზი ფეფელო. და ვიდრე იმას-თან მივიდოდნენ, იქამდე მარცხენა ძუძუჩი დანაი კი ჩაიცა. რო მივიდა ხალხი,

თურმე მკუდარს ნათელი ზქონდა დამდგარი. მას აქათ იმ ადგილს ზქუან სპარს-  
ანგელოზი. ჩონ კი ყოველ წელს ვზეიმობთ. საკლავს ვხკლავთ.

### 63. როგორ გათხტა დარიალა

შუდი წელი ეომა ოხთანგ ნეფე დარიალას ირჯეულთა და კაცი კი ვერ  
გამაიყვანა ციხეჩიგათა, დახურული იყო, ეგრე დაფარებული, რო ტყუია არ  
მანხტედრიყო. მამრე, როცა რო მავიდა აქ, ყაზბეგჩიგა და კრება მაითხოვა,  
ნეფემა თაოდ გააკეთა კრება. — აბა, ხალხოო, რაი ამბოვიაო, ეს ციხე რო ვე-  
ლარ დავიჭირეთო.

— ჩუენაო რაი გიყოთო, ბატონოო, ჩუენ რაი გავარიგათო — როგო უნდა  
გასტეხაო? მაშინ გერგეტსა ექუსოცის წლის კაცი იყო ქათეთი და უთხრეს —  
ემასთან მიდი და ის გეტყუის მაგისასაო.

ავიდა იმასთან, ნახა, შკამჩი ზის და იცქირება იქი-აქა, მეტი აღარა შაუძ-  
ლია რა, უთხრეს, რო — ნეფე მოგიდგა კარზედაო.

— ნეფეო! — ოპ, რაი ლუთის წყალობა მოვიდა ჩემს თავზედაო, არ ეჯე-  
როდა.

ახლა მიუბრუნდა ისავ იმ ხალხსა! — რაისთუი მამასხარავებთო, ნეფეს რაი  
უნდა ჩემთანაო. არ ეჯერა. ნეფე მივიდა თავადა და გამარჯუება შაუძრახა:  
ბერიკაცოო, ბიძაო, მე ვარო ოხთანგ ნეფე. პირჯორი თუ გამაიწერა: — რაი  
გავაკეთე ეგეთური, რო ნეფე მოვიდა ჩემთანაო.

— ბერიკაცოო, შენთან საკითხი მაქუო.

— შენ დალოცვილოო, შენაო, ნეფეს ჩემთან რაილა საკითხი აქუო, რო  
ჩემთუი აღარა ვიცი რაო და შენ რაი გასწავლაო?

— ბერის კაცის სიტყო მისანიო, მითხარ ამბოვი რაიმეო. მაშ, თუ მკი-  
თხაო, გეტყუიო (ყოჩალი რამ ყოფილა; გული მაგარი კი ზქონია იმასა, მე  
თაოდ ვნახე ბალობაჩი, ლუინოს სომდა ჩიუუებითა, უსუენებლივ გადაჰკრისკე).

მამრე უთქმია ი ბერი კაცსა — შუდჯერ შუდი წელი რო ეომა, შენ მაგას  
ვერ გამაიყვან გარეთაო. გული კი ნუ გაგიფუქვებო.

— მაშ, როგორ?

როგორ და ასრეო: ეგ ჩერგესია, ურჯულოო. აი, თუ გინდა, რო გასტეხა,  
გერგეტლებს შეეხტეწეო: ახალს წელს დილაზე სამება მუუბზანანო. ისაო გა-  
მუა თავის ამალითა გარეთაო, მიაყვალე მალული ჯარი და ციხე დაიკეტება, ის  
გარეთ დარჩებაო.

მართლა, ახალს წელს, რო გათენდა, უწინვე სთხოვეს გერგეტლებსა —  
სამება მუუბზანეთო. მუუბზანეს კიდეცა, დაიჭირეს ი ჩერგესის უფროსი და  
გააუბედურეს. მამრე მავდინეს ეგრე: დაიკეტა ციხე და ჩერგესი გარეთ დარ-  
ჩა, დაიჭირეს თავის ჯარითა.



მამრე გერგეტლებს პატივი სცა იმანა: გერგეტელ კაცსა ქალი უთხოვარი და სიფრო უწევარი; გერგეტელთ კაცმა რო ვინმე მაკლას — მცირე სისხლი და ცოტაიო, გერგეტელი კაცი რო ვინმემ მაკლას, შუდი სისხლი (იფრო მძი-შეა, რაილა!). თაჭრობას რო ქორი შიმშილით უკუდებოდეს, გერგეტელ კაცს წიწილა არ ეთხოვბოდეს. მერე თქო კიდავა, რომ ძუელ დარიალა შამიწევია წმინდი სამეზბისთუიო და სოფლისთუიო, ნიადავა; ართხმოს ვორჯი, ყაი, ყანა-ნაზი და ფაშტის მემესამედი — სულ შასწირა. როცა ვინმე შეედავებოდა — საკელმწიფოსაგა არი დამტკიცებულიო — ეუზნებოდეს. ჩუენ ქალადებჩი გუიწერიო, რითაც გუეკუთუნისო, წაიკითხეთო და თქუენ თითონ ღნახავთო. მაიკითხეს, მაიტანეს კბოს ტყავზე ყოფილიყო დაწერილი. ისრი დაშლილიყო იმ ნაწყობებზე, რო ძლივ მიაწყუეს ი ამარჩეულმა ხალხმა. უთქვია, რო რა კკო დაგიკარგიათო, ემაზე რო რუსის კელი ეწერასო, მართლა დამტკიცებულიაო, ეხლა კი გაუქმებულიაო. მამრე უთხრეს სოფელმა: ჩუენც კემწიფისანი ვართო და ადგილიც კემწიფისა იყოსო. დარჩა საკემწიფოდ.

#### 64. გმირი ბაზალი

არშის ციხეჩივა ლეკის ჯარს ბელადი სდგმია. არშასა ორი ყოფილა ბაზა-ლი. იმან თურმე მაიყვანა ბატარძალი და დაუბარა ლეკმა: ამამიყვანეო ციხე-ჩიო. არ აუყვანას, არ შაიძლება, ეს ყალანია. აილა იმანა და, ოქროთ შაკმაზუ-ლი კმალი ხქონია, წაუღა საჩუქარადა: — ეს ბატარძალი მაპატიეო და ამ კმალს გაჩუქებო. იმან გამაართო, დასცქირა და მეეწონა ეს კმალი, მაგრამ ის ბატარ-ძალი ურჩევნია. კმალი რო აიღას, მაშინ ბატარძალი უნდა აპატიას. დასცქირა, დასცქირა და უნდა წუნი რაიმე მისცას და უთხრა: — მოკლე არისო.

გამაართო, გააძრო ქარქაშჩითა. კმალსაო სიმოკლე რას უშლისო, ფეკი წადგი წინაო და დაგრძელდებაო.

გაიქნია კიდეცა და თავი გაავდებინა: აი ესრე უნდა მოკლე კმალსაო. ბელადი რო მოუკლა, ადგა და გაიქცეს ჯარიცა და გათავისუფლდა კვეი.

#### 65. არშის ციხე

არშის წმინდა გივარჯი ციხედ ყოფილა. ეგ კლდე არის იმნაირად მასუ-ლი, რო ციხედ უკმარიათ. მანდ ყოფილა ადრე თემობის ყრილობა. ემანდ რო ყრილობა იქნებოდა, შიში იყო ეგეთი. მანდით აქ სიონის ციხესაც ხედავდეს და სნოსაცა. იქ რო ცეცხლი ანთებული იყო, იტყოლიანკე, რო მტერი დეგუეცაო. ფიჩხის ცეცხლი აანთიან, იმით იცოდეს. მაშინის იქ წავილოდეს, საცა ცეცხლის სინათლეს დაინახავდეს, რო იქ გაქირვება აქუ. თემის საქმე კი გადასწყუდებოდა არშის ციხეჩი.

სათიბზე ყოფილა გახეთ კაცი, სთიბს და გამაშჩენია ეშმაკი. როგორც ის მაუსომს ცელსა, ისრი ის მაუსომს; იმას ჭქონია ხის ცელი. დაჯდება თურმე ეს კაცი, ის ეშმაკიც დაჯდება, წყალს დაღლევეს, ის ეშმაკიც დაღლევეს, პურსა შქამს, ისაც პურსა შქამს. ეხლა უფიქრია იმ კაცსა: როგორ დავივირა ეს ეშმაკი. დიდი ბალახები იყო იქა, ამეეკრა ის ბალახები, ვალდახი გეეკეთა იმ კაცსა და იმით გეეკონა ფეეკები. ეშმაკსაც ისრი გაუკეთებია. ამაუსმია იმ კაცს ცელი და გაუკრია. ის ეშმაკიც უსომს ხის ცელსა და ვერ კი შქრის, აბა რას გაშქრიდა ნის ანე! მისულა და დაუქერია. დაუქერია, ნიადაგა, და თმა და მჩხილები დაუქრია ი კაცსა ეშმაკისათუი და წასულა შინ. წავიდა შინა და გახყვა ი თმა და მჩხილებსა. ჩაუსახლდა ისრი, როგორც ქალბი. ცხრა წელი ხყევანიყო თურმე. წაიღის წიქჭლჩი საფქოვი აგრა იქა, გადახყარის კლდეზე და სალამომდი თურმე არჩივის. წყალზე თურმე წავიდის და, დილით წასული, სალამოს მოვიდის. რო კითხავდეს — სად იყავ ამდრნს ხანსო, რაისთუი დაიგუიანეო?

— იმისთუიო, რომ წყალს მააქო სუყელაი ავადობა, იმას რო არ მოვიტანდიო. ძლივ თურმე აავსის ი ტაგანაი, — იმ ავადობას რო არ მავიტანდი, წყალს მააქო ყველა სატკივარო.

დადიოდა თურმე სატირლად, სატირალნი დახყვანდისკე. ერთხალ ტირის თურმე ქრჭვი თავის ქმარსა, სულ თავს იკლავს, რო ქმარი მაუკუდა (ერესტეთას ყოფილიყო), სულ იფათრება, თავ-თმათ იგლეჯს. ახლა, შასულა დაბლდეძილი კაცი, ბებერი. გაუტინებია ძრიალ იმ ეშმაკსა. გადახკიდებია: — რაისთუი გაიცინეო? (იმ სახლჩი კი არ გემეეცხადა, გზანი ეთქო) — ის დაბლდეძილი კაცი რო შამაუიდა, იმ ქრჭვმა თავისთუი თქო: რაისთუი თავს ვიკლავ, ეს კაცი კი მაინც არ შამირთავსო.

სუყელას აკეთებდა: საქონელს უვლიდა, ხუეტდა, ბატარას ბაღლებს დაუყენიან ოჯახის უფროსთა და თავად წავიდიან მთაჩი, ეშმაკი სახლჩი დაავდიანგე. პაპა ამის მამსწროლი ყოფილიყო, შიო იყო, გახეთი, ასის წლის მამკუდარიყო. ცხრა წელი რო შეუხსრულდა, მაიგუნება იმანა, რო უნდა წავიდეს ეშმაკებჩი.

ერთი იფრო მაზრდილი ქალაი ყოფილა ექტისის წლისა, იმისთუი უთქომ: — ქალაუ, წითელს მძივებს შაგამბავ, ჩემი მჩხილები სადაა, მაპოვნიეო..

იმ ეშმაკს რო მჩხილები არ დაშქრეს განა, კერა იცოდინ, იმის ძირ ჩემმარსა. ცეცხლს თურმე არ უდგებოდა, სულ გარეშე იჯდის, მაშორებთა.

მამრე იმ ქალამ ყური თუ მაუწია, მაიგონა, საცა ჭქონდა შანახული. აბა, მოდიო. მისულა, ემეელა ი ქალსა; ემეესხა მჩხილები, თმა, გემეესო ეშმაკსა და დეეკლა ქალაი და წასულიყო.

ჩირალობ თურმე დადიოდეს წინათ, ნავთი არ ყოფილა, დარიალას ქომოთ, ჭარიახისკე (ბახტარს) ყანობის მოსახლეობიდან ექუისი კაცი წასულა ჩირალობ. ჭარიახის ვეობაზე მოსულან, რომენიც ქვა არის ლერმონტოვისა, და დაბინავებულან იმის ქუეშა. ერთი ჭარიახის ვილაც გათქმული ყაჩალი ყოფილა ალათანგი, რომენიც იყო ყაზბეგიანთ მეგობარი. ერთი ბნელი ღამე ყოფილა და შუალამის დროს მასულა ალათანგი, რომენიც იყო ქიშტი ყაჩალი. მოსულა და უთქომს: — ვინები ხართ თქუენაო?

— ჩუენა, დიდო ბატონო, ჩირალისთუი მასულეები ქართველები ვართო. ამ ლაპარაკი ერთს დასცა ველი და ცხენდაცხენ გაიტაცა. სახელად გოგნაი ექუინა. წაიყვანა ჭარიახის სასაფლაოზე და დაკლეს ჭარიახის ქედის სასაფლაოზე, სადაც ციხეა, შასწირეს თავის მკუდარს. დამფთხუეს და გამაიქცეს ეს ხუთი კაცი და მოვიდეს ყანობს.

მამრე შაიკრიბა სოფელი — დახკითხეს რაი ამბოვიო. იმათ უბასუხეს — გათქმული ალათანგი დრგეცა, მოგტაცა გოგნაი და სასაფლაოზე დაკლესო. შაიკრიბეს, რომლებიც იყენენ მძლავრები, 9 კაცი: — ჩუენ მკუდარს არ დაეხკარავეთო, თუ ალათანგს ვერ მოვიყვანთო, მთლად იმათ სოფელს აქ მოვლრეკთო.

შაიარადდეს ისენი და წავიდენ. ჩაიარეს ყაზბეგზე, გამოვიდა ყაზბეგიანთ ნიკოლოზი და შიხელი და უთხრეს: — ყანობლებო, დაბრუნდითო, თორო თქუენ იმას ვერაფერს ვერ უხამთო, მძლავრი კაციო. მამრე უთხრეს ყანობლებმა: ჩუენ არ დავიშლითო, წავალთო. ჩუენს მკუდარს არ ვაპატიებთო.

— მაშ, თუ არ დაიშლით და წახოლითო, დასცინეს ყაზბეგიანთ მამა გიცხონდესთ, ველშეკრული არ ამაავლიათო ალათანგიო. ●

ყანობლებმა არ უგდეს ყური და გასწიეს ჭარიახისაკე. რომლებიც იყენეს 9 კაცი, ჩავიდეს და დაბინადდეს ისრიე იქ, ლერმონტოვის ქვესთან, ქოხჩი. დაანთეს ცეცხლი, იყო შამადგომის ხანი. ყანობლებმა იციან, რო ალათანგი ცეცხლის აღზე მოვა კაცის მოსატაცებლად. ალათანგი მოვიდა, მოსვლის დროსვე ცხენიდან ცეცხლი მაჰკუთლია. მაჰკუთლია — მომეციოთო ცეცხლიო. ყანობლებისაგა ყუელაზე მძლავრი იყო გივარგი. ამხანაგებს უთხრა: — მაიცა, მე მივაწუდი ცეცხლსაო. ალათანგს ცეცხლი არ უნდოდა, იმას კაცის მოტყუილება უნდოდა, რო გაეტაცა. ყანობლებმაც იცოდეს ესა და უნდოდა ცხენზედით ჩემეგდა, შეეკონა და წემეყვანა.

გივარგიმ აილა ცეცხლის ნიგზურაი და მიუტანა მარცხენა ველითა. მარჯუენა ველით კმალი უჰერია ზურგს უკენ. ალათანგი გედმეეწაწა, ცეცხლს ყური არ უგდა და უნდოდა კაცი ეეტაცა. მძლავრმა გივარგიმ დაასწრა ველი და ალათანგი დაბლა ჩამაავდა. იმან რო ის დაიჭირა, ცხო ყანობლებმა თითომ თითოს კელი დალრია და დაიჭირეს, თოკებით შაკონეს. დედაკაცი, რომენიც

ჰყვანდა ალათანგს, თითო თითო ყანობელს ჰკბენდა კელებზე, მაგრა ყანობლები ყურადღებას არ აქცევდეს. შაკონეს, ნიედაგა, ცხენებზე შაასტინეს და გამარეკეს. ყაზბეგიანთი ეშინოდა, ყაზბეგზე არ გამაიარეს, ყუროზე გამაიარეს და თარგმანით ყანობისაკე წამოიღეს. ვინღაც ერთი ყაზბეგელი შახტადა წყალათ კიდთან და ყაზბეგიანთას რბოლით მივიდა და შაატყობინა! — თქუენი მეგობარი ალათანგი თავის ამხანაგებით ყანობლებმა შაკონილები აავლიესო.

ყაზბეგიანთ იმათი დაქერა ძალიან ეწყინა. იმ დროს ყაზბეგჩი რუსეთის ჯარი მდგარა, ჯარი გამაუყენეს და დააბრუნეს, მირეკეს სტეფანწმინდაჩი. გამოვიდა ყაზბეგიშვილი მიხეილი და უთხრა: ჩუენი მეგობარი კაცი რატო დაგიქერიათო?

— კაცი მოგუტაცეს, წაიყვანეს და სსაფლაოზე დაკლესო — უპასუხეს ყანობლებმა. სილამ ჩუენ მკუდარს არ მოგუტანენ, არ გაუშობთო, შური უნდა მოვიგათო.

რაკი ის იყო ყაზბეგიანთ მეგობარი, ყაზბეგიანთ უთხრეს: ეს კაცი გაუშუი და მკუდარს მე მოვატანინებ თავის ფეკითაო.

ალათანგი იქ დაიჭირეს, თან ყანობლები დაუდგეს ყარაულად, მხოლოდ 8 კაცი წავიდა მკუდრის მოსატანად. წავიდეს და ქიშტებმა თავის ფეკით მოიტანეს ყანობს. მამრე მკუდარი როცა მაიტანეს, ყანობლებმა გაჩხრიკეს: ჩუენია თუ არაო, და მართლა გოგნაი იყო.

მაში ყაზბეგისშვილმა პატივი სცა ყანობლებსა. — არ მეგონა თუ ალათანგს კაცი დაიქერდაო. ლუინო, არაყი გამაიტანა და გაუმართა ქეიფი. თავის მამა-პაპის სსაფლაოზე დაასაფლავეს გოგნაი და ალათანგიც მაში გაუშუეს.

## 88. ჰიალეთ ვაჟის გმირობა

(ალათანგის ვარიანტი)

ერთი ყანობელი იყო, ჰიალეთი, მძლე კაცი, კობიაშვილი, გოგნას ეძახოდეს, მაიტაცა ქიშტმა დარიელით, მგზავრად მიდიოდეს ურმებით. დადგეს იქა დიდ ქვასთან და გემეველა ი ქიშტსა: — მაშიკიდე ცეცხლიო. იმ ცეცხლის მიწუდაჩი ჩაავლა კელი მჯარჩი და გაიტაცა ქიშტმა, წაიყვანა კაცი, ცოცხალი კაცი, დარჩა ხალხი ეგერენის.

დარჩა რომტენიმე დღე იქ, არ გაუშუეს. შაიყარნეს ყანობლები და იმავ ქვასთან, ლარსის ბოლოზედა დიდი კლდეა, დამდგარან იქა და ერთურთჩი გაუხალისებიათ. იმ ჰიალაშვილს უთქმია: — არც ვინ არ ასდგეთ ჩემგამეტი, რო მაიქულის ცეცხლიო. მოსულა ცხენდაცხენ, ნიადაგა, და — გამარჯობათო — უთქმია ამ ქიშტსა, — მაიტა, ცეცხლი მაამწოდეთო. წამომდგარა ი ჰიალაშვილი ცეცხლით კელჩი, გადმოუღია იმ უნაგირის ცხენზედითა ის კაცი, გაუკრია კელი, ფეკი და წამოუყვანია აქ, ყანობსა.

ამ ყაზბეგიანთ შიშითა ღამე გეველა, რო არ წოგორთონო, არ გოგიგან (ესენი ქიშტებს კელს სდებდეს, მფარველობდეს). ღამე მიიყვანეს სოფელჩი. რამტენიმე ღამის შემდეგ ქიშტები მოვიდეს აქ, ყაზბეგიანთას, გაიგეს ყაზბეგიანთა, რო ქიალაშვილმა გაიტაცა ი ქიშტი. დაიბარა ყაზბეგიშვილმა: — ეს ტყუე მიეცითო. უთხრა იმ ქიალაშვილმა, რო ის კობიაშვილი გამაგზავნან და ამეს, ტყუეს, მივსცემთო. მაშინ მობრუნდა ის კობიაშვილი და ქიშტი მისცეს საბადლოდა.

### 69. გოჩაის ამბოვი

(შემოკლებულად)

გოჩაი და გირგოლაი მამა-შენი იყვნეს. მაყრილი ხალხი იყო და დააყენა კობსა, თრუსოს მთაჩი. აქ ურჯულო თათარი მამდგარი არის, დარიალას ციხეჩი. აქ იცავდეს, რომ არ გადმოვიდეს ლეკი აქატყე. ეს გირგოლაი თავის მოყორესთან დანიშნულია და იქ მიდის. უთხრა გოჩამ თავის შვილსა, რო დაიცეო. ის ამდგარა და წასულა თავის ცოლურთასა, ე ხალხი ეგრე დაუყრია. გოჩაი სახლჩი არის, როცა გაუგია, რო ლეკი შამოვიდა. მავლა კელი ემ ხალხსა და სულ გაუყრია. საღამ ემ ლეკებს გაპყრის, მასულან და უნდა იმ გოჩაის ცოლი მაიტაცან და წაიყვანან იმ დარიალასა.

მამრე გამაიკითხა გოჩამა:

— გირგოლაი საღლა იყოო?

უთხრეს: — ესრე, ესრეო.

ხალხი შახყარა გოჩამა: — აი ჩემი შვილი როგორი ყოფილა, ეხლა რაი ეკუთნის ამასაო?

— ვაბატიათო, — ხალხს უთქმია. მაგრა, ამაილა თოფი იყო, რა იყო, დანკრა და მაკლა იქვე.

დარიალით მასულან ლეკები და უნდა მაიპარან გოჩაის ცოლი. „საცა არ გაგიდიოდესო, დევს დედობა უთხარო“. ავიდეს დარიალას, ორნი კი დაიშალნეს და ის ქალი კი გამაჩნდა. იქ ქალი არ დაღნებდა, სალი იყო. ავიდეს ჩქენი ხალხი, სულ აივსა ლეკის პოსტი და, რაიც ხალხი იყო ლეკებისა, ისრი დაკოცეს, როგორც ცხტრები დაგივოცია.

### 70. ღურბელა

კევი როცა ეჭირა თათარსა, ყოფილა ზოჯა თათარი. თავისი რაზმი ხყვანდა და, ლეკი რო ეცემოდა ჰევსა, იმას დაჯმარებას უწევდა.

ერთი ქოსელთი ყოფილა, ღურბელას ეძახოდეს. ის მეტისმეტი მკლავიანი კაცი ყოფილა. ემ ღურბელამ წამოვიდა და აესაჯანაშვილის ქალი ითხოვა: — აი ეს ქალი უნდა მამცაო, — აილა და დაინიშნა. ამ ქალმა და ამ ღურბელამ

ღუთის ფიცი მისცეს ერთმანერთსა: — თუ ლეკი დეგუეცასო, თუ მე მოვკუ-  
დდო, შენ ცხოზე აღარ გასთხოვდდო; თუ შენ მაგკლესო და მე ცოლს აღარ  
შავირთავო.

მაჰკდა ისითი ამბავი, რომ დეეცა ლეკი. ემ ღურბელამ ძალიან აზარალა  
ლეკის ჯარი. მამრე გადაიყვანეს ტყუედ თავის საჯემწიფოჩი, თავის მეფეს  
მიუყვანეს. ეთქვა იმ ჯემწიფესა: — მოსაკლავი კაცი არ ყოფილა, ესეთიაო, —  
დაიყენა თითონა და იმსახურა.

ერთი ბატონის ქალი ყოფილა იმ საჯემწიფოჩი და იმის ქალს თურმე  
ითხოვს იმ ჯემწიფიშვილი. მაგრამ ქალი სწუნობს. ძმებმა თურმე უთხრეს  
ღურბელას:

— ოლონც შენ გაიტაცე ის ქალი და ჩუენ გაგაცილებთ საზღვარჩიო.

ღურბელას ეთქო: — ცოლი ხუთის ფიცით მყავ, ეგ დად მომეციო, წავი-  
ყვანო.

დეეკმარეს და გამაისტუმრეს. დად გაიფიცა. გზაჩი ცხო ვილაც შეეხეჩა  
და დაიპირეს. სამი წელიწადი დარჩა. ის ქალი გაათხოვა. სარდალია ისითი რო,  
საითკე წავალის, სუყუელგა იმარჯუებს. სამი წელი ცო შასრულა, ამ ჯემწი-  
ფემ უთხრა:

— რაი გინდა, რით დაგსაჩუქრაო?

— თუ იმოდენა სიკეთეს გამიწევე, ჯეეს დიდი ჭირი აძევეს, ის უნდა მოვა-  
შორა, ჯარი მამეც ერთი ხუთასი კაციო, რო გავრეკა ის მტერიო. მისცა ის ჯა-  
რიცა და გადარეკა. კობის ბოლოჩი რო ჩამოვიდა, მაგ ჯეეჩი შაუბრუნებია ჯარი  
და უთქმია: დადგით მანდა, თუ დამპირდა. მოვალიო.

ღურბელას ის აჯავრებს, რომა ხოჯას ისთი კანოლი ხქონია, თუ მას ბატარ-  
ძალს არ ჩამოუყვანდეს, ნებას არ მისცემდა. წამოვიდა ღურბელაი, აქათკე გა-  
მოიქცირება. თავის ცოლეურთასა. თავის ცოლეურთ ეზოჩი ჯარია, ცეცხლი  
უნთია დიდი, თათრულად ჩაცმულია. შამაიკოლთა, წყალჩი გამაჰკდა, მივიდა  
ცოლეურის სახლიჩი და ნახა: ცეცხლი ანთია, კაცი აგდია ცეცხლჩი; მივიდა,  
კარები უნდა გააღას და შავიდეეს. კარები დაკეტილია. შამატუტრია და შავიდა.  
რო შასქირა ი ქალმა, თათარი თუ ვინმე შამოვიდაო, დაბანჩა აილა და  
თქვა: — ღურბელას კი არ ვუღალატებო — და ის უნდა რომ დაიკრას, დატუ-  
რა კელი და წაართო და ერთურთის ცოლ-ქმარი გამოვიდეეს. უთხრა ღურბე-  
ლამ: — ეს რაი ამბოვია, რასა სწუენო?

ქალმა ეგრე შაატყობინა. რო: იმ ხოჯას ჩემთან გამაუგზავნია ეგ ჯარი, მე  
უნდა ჩამიყვანან იმასთანო, მამასჩემი დაიპირეს და ცეცხლჩი ჩააგდეს, იმას  
სწუენო.

გამოორდა ეს ღურბელა და იმათ სულ თავები დასჭრა, არ გაუშო ერთი,  
სულ დაჯოცა. დაჯოცა და უთხრა ქალსა: ჩაიცუი და უნდა მიგიყვანა იმ ხოჯას-  
თანო. წაიყვანა და წავიდა.

არშას რო ჩავიდა, მამიდაი ხყვანდა იქა, მამიდაის ნახვა მაიწადინა: ვინ იცის, ველარ მოვტრიალდე იქიდანაო. გავიდა მამიდასთანა და მამიდამ უთხრა: ეს ქალი დააგდე აქა, ამის სამოსს მე ჩავიცომ და მე წამოვალაო.

წინავე დედუფლებმა მერდინი ჩამაიფარაიან, იმით წავიდა. ჩავიდა დარიალასა, ხოჯაის ყარაულებს დაუძახა თათრულად და შაუყვანა ხოჯას პირდაპირ ციხეჩი. დაიწყეს ლაპარაკი, კელად ლურბელამ გაჰკრა კმალი და წააქცია ი ხოჯაი.

## 71. ბეჭაურეთ ბერაი

ერთხალ ქალაქი მაქიდავე მასულა თურქი. ისითი რაიმე ყოფილა, რო მთელი ქალაქის მაქიდავები სულ დაუცია. სიგრძითაც დიდი ყოფილა, აყლაცუდაი. საქართველოჩი ვერვის დაუმარცხებია და ჩუენები ძრიალ შაწუხებულები ყოფილან, სუირცხუილით თურმე იწუებოდეს.

ამ დროსა მთიულეზი ყოფილა ერთი დიდი და შამძლე კაცი ბეჭაურეთ ბერაი. მარილზე წამასულიყო ქალაქი, მარილი უნდა ეყიდა საქონლისთუი. ბერაი რო ქალაქში მასულა, სუყელას თოლჩი სცემია იმის სიგრძე და სიგანე. დაუნახია, ნიადაგა, ხალხსა, მისულან ქალაქის მოთავურთანა და უთქომთ, რო აგა, ესეთი-ესეთი კაცი შამოვიდა ქალაქიო, იქნება იმან მაინც რაიმე გუიშტუელასო. ამ ბერას კი უყიღია ცოტაი მარილი და მიდის თურმე შინა. ხალხი კი ამბობს: თუ ბერაი იმ თურქს არ დაუხუდა, გონჯაა ჩუენი საქმეო. დაჰყვალთან ბერასა და, როცა დასწევთან, უნდა მიაბრუნან, უთქომს ბერას: — რაი გინდათ ჩემგაო?

— არც რაი არაო. შენი კარგა ყოფნაო. ესეა ესეო ჩუენი საქმე, უნდა გუიშტელა და გოსახელა, დეეკიდე. თურქი უნდა დოგიმარცხაო, გეეჯიბრო, წამადი ქალაქი, ერთს-ორს კუირას სულ უნდა გალხინათო, პატივი უნდა გცათო.

— რაი ლხინის თავი მაქუო — ბერას უთქომ — ცხორი უმარილობით მეკოცება, მემეცალეთ აქითაო!

არ მეეშო და დეემყოინა ე ბერაი: — რაი ლხინი მინდა, მოვალე ვარ გეეჯიბრაო და ჩუენი შამარცხუენელი დავჯაბნაო.

წამატრიალებულა და წამასულა ქალაქი. მოუყვანიათ იმ თურქთანა. ემ თურქს აუცქერია, დაუცქერია ჩუენის ბერასთუი, ბერასაც ეგრე შაუცქერია, ითომ ბუზუნაი არის იმის წინა. თურქი ცოტად კი შათოქებულა. სალამ კიდავობა დაიწყებოდა, თურქი ძალუმ იკიმება თურმე. აქეთვე ჩუენს ნალხს ძრიალ ეშინია თურმე. ბერაი დგას დოინჯებითა და უცქერს იმის ცმუკვას. მამრე დაუძახებია: — აქ მადი, რას დფრინავე იქი-აქაო!

ამოაბაჩი ისიც გამაქანებულა ბერაისკე, მაგრამ ბერაი წადგა წინა, უკენ ფეკით მისწუდა კიდეცა, ჩაავლა კელი, გადმააბრუნა და დასცა კიდეცა მიწა-

ზედა. უგრიალებია ხალხსა, შამახტევიან ემ ბერასა და სულ ცაჩი უნარცხე-  
ბიათ, ისრი გახარებულან. შარცხტეს ის მოქიდავის მკარენი, ბერას დეექად-  
ნეს. ქალაქელებს ერთის ამბოვით გამოუცილებიათ ბერაი, კაცებიც გამოყვა-  
ლებიათ სოფლამდისა.

ახლა ქალაქის მოთავურს უთქომს ბერაისთჳი: — რაით დაგასაჩუქრაო,  
რო ჩუენ გოსახელეო.

ბერაი ბეჩავი ყოფილა და ფული არ ხქონია იმთენი, რო კარგა მარილი  
ეყიდა და ამობაზე უთქომ: — არც რაი არ მინდა თქუენი, მე ჩემი ვალი მოვი-  
კადეო, რაი ბედენაა, თუნდა ჩემთჳი ვისმე უჩხუბია და თუნდა ჩემის ქუეყნის-  
თჳიო. რაკი არ იშლით, მარილი მამეციითო, თორო საქონელი დამეკოცებაო.

მოთავურს უთქმია: — ჩემო ბერავ, რამთონსაც მეერევი, წაილეო.

აულია ემ ბერასაც, ეეწონა თორმეტი ფუთი მარილი, დიდს ბარდანაჩი  
ჩაუწყუთია, მიუსაბლია ზურგზე (საბელი გეეკეთა, ეეკიდა მკრებზედა) და გა-  
მამართულა. მოთავური და ხალხი ეუბნება — კაცს მაგაშუელებთო, ცხენებს  
მაგეცემთო, ისრი წაილეო. მაგრამ ბერასა ცივი უარი უთქმია: — მე სუყელაზე  
კარგი ცხენი ვარო. ეეკიდა, ნიადაგ, ეს მარილი და მასულა შინა მშუიდობთა.

## 72. ფხელშეს დაარსება

(გადმოცემა)

ყოფილიყენეს ორნი ტყუპნი ძმანი — ივასებაი და როსებაი. ისები ტყუ-  
პები გაჩენილიყენეს ჳემსურეთსა. აგა, ის, საყდარს ხედავ? ეგე, მაგ საყდრის  
წინა ციხე იყო ჩუენი. იმ ციხესთანა ჩუენი მკუდრები ყოფილიყო დამარხი-  
ლები. იმ ციხის ძირა ერთი გაძრიალებული კაცი ცხოვრობდა იმ დროს. მაში  
დეერიეს ჩუენ სოფელსა, დათხარეს მკუდრები და კლდეზე გადაყარეს სულ.  
ერთადერთი ქრუვიდა ყოფილა ჩუენის გორისა და ჩუენის უბნისა, ცხო არც  
ვინა. შაწუხებულა ის ქრუვი, რომაო კუდრები გადამიყარესო და რაილა ვქნაო.  
მაგ საქმეს ნუ შუტრებითო, — ეშინოდა რო ეთქო რაიმე იმათთჳი, მაჳკლავდეს,  
ვერ ეუბნებოდა. ჩუენი მამიდაი სივანს ხყვანებია სისოურსა. ადგა და იქ გა-  
ვიდა ის დედაკაცი, სისოურის ცოლთან, მული იყო იმისა. იმას შაშჩივლა: —  
ჩემო მულოო, რა ვქნაო, მკუდრები სულ კეტოს (ადგილია) გადამიყარესო, რაი-  
ვქნა, ჩემო მულოო, სულ გადაყარეს ჩემი მკუდრის ძულებიო. — ადე, შვილო,  
ადეო, გეეცალეო, მამის სახლს ჩაღბარდიო (ვემსურის ქალი იყო, არხვატით).

როგორ წავიდეს, აბა, პატიმრად იყო (ორსულად). — პატიმრად ვარო და  
საძრახი დემედევნებაო, დამძრახავს ხალხიო. — ქალი იქნებაო თუ ვაჟიო —  
ჩუენი იქნებაო, მე კარვად ვიციო, რო შენ პატიმრად ხარო, წადი, ჩაღბარდიო  
შენ მამის სახლსაო.

წავიდა, ჩაღბარდა მამის სახლსა. იქ ეყვალა ორი ვაჟი, ტყუპები. ის ორი  
ვაჟი იქ დაზარდა და რო წამაიზარდეს, ვემსური ბალღები თურმე აჯავრებდეს,



ველს ღრვედეს (ერეოდეს). მამრე ერთმა ჯემსურის ბაღმა თუ შაყყედრა კიდეცა — წადიო, შენ იქ ივაჟეო, საცაო მამა-პაპის ძულები კლდეს გადგი-ყარესო.

დაფიქრდეს ეს ბაღლები — ეს რაი გუითხრა მაგანაო. ახლა ჩუენ რაი გავაკეთათო — ერთურთს შეეკითხნეს. — ჩუენ ეს გავაკეთათო, რომაო ღედას ძუძუ მავკუტილიათო და კბილით დაეუჭრათო ძუძუიო და ვათქმევინათო, ჩუენ სადავლები ვართო — ნაბიჭვრები ვართო, თუ როგოა ჩუენი საქმეო.

მამრე, ნიადაგა, შვიდეს: — უჰ, ღედაო, ძუძუ მოგწყურდაო... იმ ღედამა მართლა იგრძნა, რო რაიღაც შაუღვა ამათაო: — რა ღროილა თქუენი ძუძუაო. დაუწყა ჯავრობა, მარი, მემეცალეთ აქათაო, თხუთმეტის წლის კაცები ხართო, — არაო, მოგწყურდაო, გედევკიდნეს, ამაღებინეს ორიგ ძუძუ და ერთი ერთმა დაუკირა, მეორე — მეორემა. და — ჩუენაო სით მავტრეკეო, ღედ-მამიანები ვართო, ნაბიჭვრები ვართო, რაი ვართო, ვინებო.

ამატირდა ეს ღედაკაცი, ტირილი დაიწყა და უთხრა სუყელაფერი. — თქუენ ვერას გაჰკდებითო, გაძრიალებული კაციაო და მწოდად არ ეყოფითო. სამი ღდე ძალად იკირა, ძალისძალადა. მამრე მანც ადგეს და უნდა წავიდენ. — დაიცათ შვილო, ნუ წახოლთო, ყველი წაიღეთ, ერბო წაილოდეთ, სავკვროს სამ მიხოლით, გაჰყიდოდეთო.

მამრე, ნიადაგ, წამოვიდეს და ღედამ უთხრა: კარკუჩას რო ჩახოლთ. იქ იკითხეთ კევის გზა საითკეაო. კარკუჩით გამაასწავლეს გზა, ემანდ, აჩხოტს გამავიდეს, მამრე მანდ იკითხეს — სივანი სად არისო, მანდ რო მოვიდეს, სივანის ბოლოზე, ჩუენი მამიდაი ვისღაც შორ ხყვანდა, ის ყანას მკიდა სივანის ბოლოზედა, ოცი ნამგლიანი შინათ ხყვანდა შვილი, შვილიშვილა და რძალი. მოვიდეს, საცა ხალხი მკიდა, და იმათ შეეკითხნეს, რო სისოურის სახლი გოსწავლეთო. სისოურსა მარჯილის უბე ღედგა, სისოურმა როცა მარჯილის უბე ააგა, იმ მარჯილის უბესთან ქურჭი წემეცხა. რო მოვიდეს, გამარჯობა უთხრეს მუშათ და — სისოურის სახლი გოსწავლეთო. — აგრა, იქ, მარჯილის უბესთან რო მახუცია, ეგ თითონ არისო სისოურიო.

— გამარჯობაო, შაუძრახნეს, ჩუენა შენი სტუმრები ვართო. — აბა, წავიდეთ შინაო, თუ ჩემი სტუმრები ხართო. ადგა ეს კაცი, გამაუძლო შინათკე წინა. წატრიალდა და შვილებს წაუძასა — ადრე აუშუითო. შაბათიო, ვზიო აუშუითო. მოვიდა, მარეკა ის სტუმრები, შვიდეს შინა. ჩუენი მამიდა ბრმაღა არის, უთოლო, უსინათო. სისოურმა უთხრა, რო, აბა, ბებერო, ძმისწულები მაგირეკეო. — ოჰ, ჩემს ძმისშვილებს რაილა უნდა აქაო, ადგა და კელს თურმე უსომდა — მალღებია, თუ დაბღებო. მამრე ბეური ეუბნა — ვერას გაჰკდებითო, გაძრიალებული კაცია, ჩაიგოცებითო. მამრე უთხრეს, რო ჩუენ იმისთუი მოვედითო, რომ რაც იყოს, იყოს, ღოგოცას თუ ღოგოცისო, ჩუენ მანც მზეზე აღარ გავივლით ცოცხლებო, ჩუენი მამა-პაპა მაგათ დაუკოცნია, გოგი-შუით, ან მავეღავთ, ან შენეკოცებითო.

აბა, როცა აღარ დგებოდეს, გამააცხოვინა პური ჯალაბთა, არაყი, ტყუია, წამალი, რაიც უნდოდა, გამააყვალა სამი შვილი. მივიდეს დაბლა ქალაზე და ავიდეს კიდეცა თავის ციხეჩი და აიტანეს, რაიც რაიმე უნდოდა (ნებას უთხროდე, ბიძაუ!)<sup>1</sup>. ი სისაურის შვილები წინ წავიდეს, ნიადაგა. გათენდა დილა თუ არა, გამოიდა დარიფანზე კაცი. გავარდა თოფი და გადმოარდა დარიფანზედითა კაცი. ახლა თოფის კმაზე კელერთიანადა ჯალაბი გამასცქივდეს და იმაშის ორი კაცი კიდავ მაკლეს. მამრე თქტეს იმათა, რო ცურთხევა ქონდეს, ნათელი ქონდეს იმათა!) ის ძალლი რო ცოცხლივ გაუშვით, იმან ლეკტები დაყარაო. წავიდეს სისაურთა: — ეს რაი ამბოვი, სამი კაცი ჩოგიჯოცეს, ეს ვინები მოვიდესო. სისაურმა უთხრა — აბა რაიო, თქტენ რო ძტლები გადახყარეთ, ის ძტლები გაცოცხლდესო და ისებიო.

მამრე წავიდეს ისები და საცა ჯევის კაი კაცები იყვენეს, კაი კაცები მაქუჩა, წმინდა სამება მააბზანა, შარიგდეს და გადასწყუიტეს, რომ რაიც დამრჩალი სამი კაცი იყო, მეზობლურას ვიცხოვრათო. ხალხის თავსდებობით და წმინდის სამების თავსდებობით შარიგდეს და მარიგდეს. მამრე დედაც აქ მაიყვანეს, ცხოვრობდეს. ეხლა იმათი კი აღარვინ აღარაა, ვინც ჩტენი ძტლები გადახყარა.

ჩტენი პირველი გორი სალქალბანოისძეა, მცხეთის იქით კავთისკევი სად-მეა, აქათ თუ მასულა ელოი, ელიოზა, და თავის სახელი დახტინა გორსა.

### 73. ყამარი

ჩვენ ყამარაულების ნამღვთილი გვარი ნინიაურებია, დედის გორზე ვართ. ეს ნინიაურები, როცა გაათავა ჭირმა, ერთი ქრტვი დარჩა ყამარი. ის ყოფილიყო ორსულადა, არავინ არა ჰყვანდა, ველარ წავიდა მამის სახლჩი, ამის გამოთა გადმოვიდა იქიდანა მამა იყო, ვინ იყო და შეეკითხა იმასა: — აქ რას აკეთებ, ბალლი არა გყავ, მასავლელი არავინა გყავო. — რა ვიცი, როგო წამოვიდეო, ვარსულად ვარო; მე რო იქ წამავიდე და გაჩნდესო, ამას დეექტინება სტირცხტული, ხალხჩი აღარ გამეველებო. მამრე იმან მაიფიქრა და უთხრა: თემჩი უნდა გამააცხადება, რო ვარსულად ვარ, რო ბოლოს მე საზრახი არ მექნას.

აღგა ეს დედაკაცი და ჩავიდა ყველა წმინდის მინდორს, თემჩი, ახალციხეს: მე რას დაუდგე, აქ რაი გავაკეთა, შასანახი არავინ მყავ, უნდა წავიდე მამის სახლჩი. აი ახლა ვარსულად ვარ და ქალი გაჩნდება თუ ბალლი, ამათ გორისა არის, მე ბოლოს საზრახი არ მექნას.

წავიდა მამის სახლჩი და გაუჩნდა ბალლი. კარგი ვაეკაცი მაიყარა. ჭეელებჩი ჩხუბი მაუვიდა და ერთმა უთხრა: შენ აქ კი ნუ კაიბიჭომ, ადექი და სადაველიც ხარ, იქ იკაიბიჭეო. აღგა, მივიდა დედასთან და ძტუ მასთხოვა, ძა-

<sup>1</sup> თანხლების შენიშვნა.

ლიან დავსწუხდი ძუძუსაგანო. მისცა. დაიპირა ძუძუს თავი და — მოგვლევო, მითხარ სადაველი ვარო. დედამ შასტირა: ცოდო ვისმე დაუდვია ჩემიო და უთხრა — ესე, ესეო, შენ ნინაური ხარ, კარკუჩას ცეხოვრობდითო.

გადმოვიდა აქა და ყაით (ყაის მთიდან) თემის ჯოგი ჩამაყარა ქალაზე. თემმა ეს გაიგა: — ეს ვინ ატუყარა მასხრად და გადასწყუიტა იარალი აილან. ერთი ბებერი კაცი ყოფილა ქოსელთი, ეს ხოხორი გაუგია, როცა ის შავიდა დარიფანჩი: — მანგრა, შენაო — უთხრა იმ ბებერმა. — ჰაი, ჰაი, მე ვარო: — შვილო, ყველაწმინდის მინდორზეითო ხოხორი გამამდისო, რაის ხოხორია, რაზე ხოხორობს ხალხიო?

— საჯოგეთიგათო ჯოგი ჩამოუყარიაო ვილაცასო და იმის ხოხორი იყოო.

— რაისთუი გამახვე აქაო. — იარალი უნდა ავისხათ და უნდა წავიდეთ მთასაო, ვინცა ჩამაყარა ის ჯოგიო, მოვჰკლათო.

— ნუო, შვილოო, შენ ცოდოს ნუ დამადებო, შენ კი ნუ წახლო და ხალხმა რაც უნდა, ისა ქნასო. მაგ ყაის მთასაო თავის წიწილა გამასჩენიაო.

მაში გაახსენდა იმასა, რო ყამარი წავიდა ისამე... ვარსული. ადგა ი შვილი, იარალი არ აილა და გამოვიდა ყველაწმინდის მინდორზედა. ხალხმა დაიწყა ლაპარაკი: რაისთუი გამახვე ცარილაო. — მეო ვერ წამოალიო, მაგ ადგილს პატრონი გამასჩენიაო. მამრე ჯარები შაამბეს მარკილჩიგა და გამაიყვანეს ბებერი მინდორზედა და შეეკითხნენ: — შენ რაი იციო. — მე ის ვიციო, რო ყამარი მოვიდა თემჩიგა და გამააცხადა: — ვარსული წაესულვარ და იცოდეთო. ალბათ ბალლი გაჩნდაო და პატრონი გამაუჩნდაო მაგ ადგილსაო. წადით, მაიმყოინეთ ი კაცსა, ყამარი ექუინა იმ ქალსაო და შეეკითხეთო. კითხეს, დასთანახმდეს იმის სიტყოს, რო ყამარის შვილი ვარო. იმაზე დევრქო ყამარული ჩუენს გორსა.

მამრე ჩუენ მთაჩი დავჰკლითკე საკლავები, იმათ გადიჯადიანკე დღესასწაული, ჰერხობა გააკეთიან, დალიანკე წმინდა გივარგის სადიდებლო და დაკლიან ცხორი იმ ბებრის შესანდობარი. იმ კაცს გაუმარჯოს, ვისგნით ჩვენა ვართ და ვინც მართალი თქო. ეს მარსაგაიანები ნელად მოსულები არიან. იმ ყამარულთ ნადირობ შაჰყრია ის გამაქცეული და მაშინ ეთქო — ესეა ჩემი საქმე. კაცი შამამაქუდა, გთხოვთ შამიფაროთო. მაგრამა უარი უთხრეს: ურჯულოს შათვისება არ შაიძლება, ბოლოს უგემურობა იქნებაო. ბოლოს მაინც მაიყვანა და დაასახლა ბოლოში და ესე მოშენდა.

ქვენა მთისა, ჯუთის, არხოტის გზები ასე მიდის და მთიულეთში გადადის. ამიტომ ჩვენ სოფელს კარკუჩა დახჰუინეს, ითომ კარი და ქუჩაო.

#### 74. ყორელი

ყორასა, ეხლა რო ნასახლარები არის, იქ წინავ ხალხს უცხოვრია და სოფელი ყოფილა. ეხლა კი მარტო სახლების ნაშალიდაა.

ლეკიანობაზე კიდავ იფრო ადრე ამ ყორაჩი თურმე ცხოვრობდა ერთი ძრიალ მახუცებული კაცი, რომენსაც სამოც სულამდე შვილი, შვილიშვილი და იმისი შვილი ხყვანია და სუყუელას თავის „ხონჯრისებს“ ეძახოდა. მრავალი საქონლითა და ქერის დიდძალი მასავლით მდიდრულად თურმე ცხოვრობდა გაშენებულ სახლსა. ემ კაცსა ხქონია დიდი თოლ-ოქრო მიწაჩი დამარხული აფი უამის დროს გამასაყენებლად.

ერთხალ სთოლზე ქერის ლეწვის დროსა, იმას სტუმრებია ქართლელი მახუცი კაცი. ვახუტირებია მასპინძლის სახლის მდგმურთა მრავლობა და ეს უკითხა მასპინძლისათჳი. მასპინძელს უთქმია. ეს ყუელანი ჩემი ხონჯრისანი არიან, მადრიალიც ვარ ცხოვრებისა ჩემთა ძეთაით, მაგრა ისლა მაშინებს, რო ლმერთს ჳერთ ჩემგნით ძეგორციელის ყალანი არ აუღიაო, რომთენიც გოგინდა, ყუელანი ცოცხლები არიანო.

გასულა ბევრი უამი და ეს მახუცი ქართლელს კახეთჩი უნახია. ვახუტირებია. გადმასახლების მიზეზი გამოუკითხია. მოხუცს უთქომს: მე ყორელი ვარ, ხევის მდგმური. მფლობელი ძრავალთა განძთა და მეფეთ საჭურველ-გუირ-გუინისა. ჩემგან არეინ დარჩა. ერთმა შავმა მარტმა წამაიარა და, ვინც მყვანდა, სულ მიწაჩი ჩააქუხა, ამასწყუიტა. ჩემს ნასახლარჩი ჳინჯარ-კანაფილა ნეფობენ. მე გული ამატკია ჩემმა დამლუპავმა ალაგმა, ევლარ უყურე გაოხრებულ სახლ-კარსა და აქ გადმოვსახლდი, კაცთაგან განშორებულად ვცხოვრობ, აღარც მტერი მაშინებს და აღარც მოკეთე მიყრჩს. შუიდოცს წელს მივალწიე და სიკუდილი მაინც მემალემა.

მამრე ისრიე ქართლელს უკითხია: განძი ვისლა დაუგდეო: მახუცს უთქმია: ის ისითს ადგილას არის დამარხული, რო ჩემთა შთამომავალთაც არ იცოდეს. ეხლა კი წმინდა გივარგი ხვატრონობს.

ეს მახუცი კახეთის ნაპირ ალაგას დასახლებულა, საცა ცხო არც ვინ მდგმურობდა ლეკთა შიშით. იმ ადგილისთჳი, საცა ყორელი ცხოვრობდა, ხალხს ყორელი (ყუარელი) დაუქუინებია, როცა ყორელი მამკუდარა, იმის სოფელჩი ხალხი დასახლებულა და სოფლისთჳი ყუარელი დაუქუინებია.

## 75. მიგულა

ჩონ სოფელს მიგულა ხქუიან. ამას იქიტკე კემსურების სოფელია — ართხმო. ართხმო ბატარაი სოფელია, სულ იქნება ცამეტ-თოთხმეტი კომი. ჩონ სნოს კოლხოზჩი შავდივართ. უწინ ცალკე იყო, ახალციხის კოლხოზჩი შავდიოდით. ეს სამი წელია შოგოერთეს. ჩონს სოფელჩი სულ ორი კომი ვცხოვრობთ: ჩონა, მიშენი და ვალოდენი. მიშაი ჩემი შვილია, ვალოდაი კი ძმისწულია ჩემის ქმრისა. რო ბევრნი არ ვცხოვრობთ, ეს იმიტომ, რო ჩონი გორი შაწყევლილია ეშმაკისაგა. დაუწყევდივართ: თითო შვილზემც დაღბერდებითო. მართლა, მეც ერთი შვილი მყავ და დედილისაც ჩემს რძალსა. შვილიშვილე-

ბიჯ თითო გყოვ. როსტომი რო იყო, ის სახელოვანი, იმისი შთამომავლები ვართ... აბა, ჩონ რაილა ღმერთი დოგვიფარავდა, როცა მამამ შვილი მაკლა. ჩონს ზევით ცხორთ სძოვარი მთებია. კარგი მთებიცაა. წინავე ის მთები ჩონი იყო, ეხლა კი — კალხოზისა. ჩონი სწავლით არვინ სწავლობს. იმიტომა, რო ჯიში არა გოქ სწავლისა. მეცხორები ვართ და არც გონჯები. ემ ახლომახლო სოფლებში ჩონსავით ბევრი ცხორი არვის ხყვანდისკე.

## 76. ჩოფიკენი

ეს ყაზიბეგიშვილები ვიზედაც მადიან. ეგენი ყოფილან. ოთხნი ძმანი: ლევანაი, გუგუაი, ზალიაი და ყაზიბეგაი. ი ყაზიბეგაი მარკე და ბრო კაცი იყო, შაუხედავი, გონჯი. ემაგ ოთხ ძმათანი არიან ეგ ჩოფიკენი. მაგათ იმ თავითა სიდიდე იმით მიიღეს, რო, რუსი რო შამავეიდა, მიხეილის მამა იყო, გაბრიელი, დიაკვნობდისკე აქა, ერთიც ლუღუშაური იყო, როცა რუსს შამაუძღვეს, გადა-  
აცილეს მთასა. ორი კაცი იყო, ერთი ლუღუშაური და მეორე ჩოფიკეთი, უთხ-  
რეს, რო — დაბრუნდიო ახლა და თქუენ საგამრჯელოს მიიღებო. მამრე დაი-  
ბარე სლუღუშაური და ჩოფიკენი. ის ლუღუშაური გზაჩიგათ დაბრუნდა, ჩო-  
ფიკაშვილს თუ უთხრა — თუ რაჲმე მოგცეს, შენც გადმაიტანო, თუ არა, მე  
რაისთჳი წამაუალო, რაი გუინდა ორს კაცს იქაო. ჩავიდა, იმან თავისად აზ-  
ნაურობა მიილა, ლუღუშაური დარჩა ცარიელი. ემაგით მიიღეს მაგათ სიდი-  
დე, ჯარს რო გაუძღუეს წინა.

## 77. ზედგინიძეთა შთამომავლობა

ჩუენი გორი ჯავახეთის ახალქალაქიგათ არიან გადმასულები, ძირით  
ჩუენ ზედგინიძეები ვართ. საქართველოს რო შამეესია თათარი, მაშით ვართ  
გადმახუეწილები ყანობჩი. ჩუენი პაპის ერთი ბატარაი ძმა მონადირე ყო-  
ფილა, ვახთანგს ეძახოდეს. მაში მოსახლეობა აქ ძრიალ ცოტა ყოფილა. ამ  
ადგილას პირველად ის მოარდნილიყო. აქ ისითი ტყე იყო, ირემი ბუდობ-  
დაო. მეეწონა ეს ადგილი და უთხრა თავის ძმებსა: — ჩავიდეთო. ეს დავაგდათ  
და იქ ვიცხოვრათო.

ჩამოვიდეს, მაგრამ წყალი ვერ იპოვნეს. მაში ვახთანგმა გასწია, გამასწია  
თავსუილა ბალახი, დაფარული გამაჩინა თერგის წყალი. მამრე ჩამოვიდეს,  
ძმებმა სახლი აუშენეს ვახთანგს და მარტო იმან დაიწყა აქ ცხოვრება. მამრე  
ცხო გორეშიც მეემატნეს და გაკდეს შუიდი კომლი.

ეს პატარა ვახთანგი ზემო მამულებში ნადირობ წავიდა და იპოვნა ორი  
ქიშტი, ისენი ბალახს სძოვდეს, რო დაინახა ეს უცხო ხალხი, შორით ხკითხა:

— ვინები ხართო?

— ჩუენ ქიშტები ვართ, ჯარიახით გადმასულები, კაცი შომოგოკუდაო.

ვახტანგმა თავისი საგძარი დაუგდა ამათა.

მეორე დღეს კილავ ჩააწყო გუდაჩი საგძარი და წაულა. ზამთარი რო მახლოვდა, ჩამიყვანა და ქოით დაასახლა. მამრე აქ ჩუენი გორი გაწყდა, ეხლა ჩუენ ქუშაშვილებზე მოვდივართ, ქიშტი ხყვანიყო ერთს ჩუენს პაპას ცოლადა და იმისგნით ვართ. კილავ ბევრია ჩუენი თავგადანაწყედი, მაგრამ შორს წოგიყვანს.

ჩოფიკაშვილები თავადები იყვნეს. კევის მოსახლეობა კი ყმად არ მიეცნეს მაგათა. ისრი კი ადგილებჩი ბევრჯელ გამოგრდევნეს. მაიყვანეს მოწმად ქიშტები, ოსები, ცხო ხალხი, მაგრა ჩუენმა ხალხმა არ დაუთმა იმასა, რო ყმად გავლომიყვნეს.

## 78. ხუციშვილები

სუჯეთ გორი და ჩუენი ყოფილა პირველით. ორი გორი — წიკლაურები და ჩიბაშვილები — ნელად მოსულები არიან. ხუცესი გუყვანია ჩუენ უწინა და იმაზე ჩამოვდივართ ჩუენა და ხუციშვილი დაგუქუთინეს.

ეხლა, აბა რაი ამბოვი გითხრა, გადაუგონთებული ვარ, აძრახდომა აღარ შამიძლია. წინას, იფრო ჭეელობაჩი, ამესაც ვაჯერკებდი.

## 79. სურხავი

ჩუენს გორჩი ვინც უფროსი იყო, ექუთინა სურხავი; მამრე იმას ეყვალა ხუთი შვილი. ხუთ შვილჩი სამი უწილო იყო. ერთს უწილოს შიო ექუთინა. იმ სურხავის შვილი იყო ყარაჯაი. ჩუენ ამ ყარაჯაზე მოვდივართ და ყარაჯეთ გუეძახიან, ეგრე კი ლუღუშაურები ვართ. ჩუენ სნოთ ვართ გადასულები, როცა ლეკი სადმე იყო აქა და ომობდეს, ი სურხავი გასულიყო ომჩი. იმას ხყვანიყო ცხენი ისითი, რო მარჯუნიტკე დაადგამდა ავჯანდასა, დადგებოდა, თუ მარცხნიტკე დაადგამდა — გაიქცეოდა. როცა სურხავმა იომა, იმ ლეკის ბელადმა ესროლა თოფი, მუტელზე გაუარა ტყუთიამა. სურხავი გედმეეკიდა, ლეკის ბელადი უნდა მივიდეს და აკათას, მაშინა სურხავმა შამაუქნია კმალი და გაადებინა თავი. — რაით დაგასაჩუქრაო — უთხრა კემწიფემმა. არც რაი არ მინდაო, სივანს გადამასახლეთო. მამრე ეჩუქა სურხავი. სთუი ტყე და ადგილები აქა. ჩუენ სხოგნით მოსულები ვართ.

## 80. ამოან ავსაჯანაშვილი

ამოანი იყო ავსაჯანაშვილი, იგიც მკლავიანი კაცი ყოფილა. არშის ციხეჩი როცა დეეცისკე, მთელი კევი მანდ ქუჩიდებოდა. იქით ყველა ციხე შჩნდა. შიოლას ციხეჩი ტყუთია-წამალი გასთავებიათ და აღარ აქუ. თქუეს — ეინ გაუტანს იმას წამალსაო, რო ლეკის ჯარმა გაიარასო.

იმან სადმე თქო: — ერთი გულა გამივსეთო ტყუია-წამლითაო და მე წავალიო.

გაივსა გულაი, აიკიდა ზურგზე, წამაიციო ნაბადი და წავიდა. მთა-მთა გადავიდა ტყეჩი, გეერია ლეკებჩი, იქითით ალიშნა და შაუტანა ტყუია-წამალი. დააშაჩუქრა კევმა ამოანი: — სიფრო უწევარი და ქალი უთხოვარიო! — არ უნდა ეთხოვა ქალი, ისრი უნდა შეერთა, ისრი უნდა სწუთეოდა, არ უნდა დეეპატიჯა. სამნები ჩაუგდეს სალოცაებჩი — დარყის წმინდა გივარგის (კარკუჩას), ყანანაზის წმინდა გივარგის (წმინდა სამებაჩი). ლომისაჩი. იხარასა და იმრავლასო. სამწყალობრო სამანს ეძახიან ემასა. იმ ამოანს მეტსახელს კიშარას თურმე ეძახოდეს. მამრე იმას არშის ციხეში უცხოვრნია, იქ უკნია კიდეცა.

### 81. იასე თექთურმაზის ძე

ჩემი პაპის პაპა, იასეს ეძახოდეს, იმის ქალღლები მაქუ, უწინ ომჩი რო უძახოდიან საქართველოს, რო იცი? როცა გაჭირდის, ქულზე კაცო მაიკითხიან ჩუენი იასეცა მაში წავიდა, როცა ქულზე მაიკრიფა; როცა ომი გაჯდა განა, იასე იმ ომჩი გაისაჯა კარგა. როცა ომი გათავდა, ზალბი დითბოვეს, მაგრამ იასე დაიჭირეს იქა: — ეს გამადეგილი არისო, — თქო ვახთანგ ნეფემა. შუიდი წელიწადი არ გამოუშუეს და გამოვიდა პირველი ბელადი. რასაც ომჩი გეერვის, გაიმარჯვის იმანა, იასემ, მტერი დაამარცხის.

როცა დაიმსახურა შუიდი წელიწადი, სთხოვა იასემ: — დამითხოვე შინაო, წავალ ეხლაო.

მამრე უთხრა ნეფემა: — შენ ეგრე გასასტუმრებელი არ გუყვიხარო. დაუძახა თავის ვეზირებს და ჰკითხა: — იასე შინ გუთეხოვებო და მაგას ნამსახურობა დაუფასათო.

შაიყარნეს ვეზირები და გადასწყუიტეს იმის საჩუქარი: სივანი, გარბანი და თოთი. სამი სოფელი საყმოდ მისცეს. იასე დაფიქრდა და თქო:

— მე ხალხის ცოდვა არ მინდაო.

— მაშ, რაი გინდაო?

— მე მინდა სამების დეკანოზებმა ყოველ ახალი წლის დილაზედა მამილოცანო ყუელა ზატზეო წმინდა ნინოს ჯორითა და ჩემი განასაჯობაო ხალის ულაპარაკანო, ხალხს გააგებინანო.

— იასე, რო იციო. მეო საქართველოს ბატონ-პატრონი ვარო, მე არ მილოცენო და შენ გლეხიკაცი ხარ, ეს არ გირჩევიანო? უთხრა ვახთანგ ნეფემა.

— არაო, იასემ უთხრა. დასთანხმდეს.

დაიწყეს მამრე სოფელჩიგათა, როცა ალივანი აიწევს, იქ წავლენ, იმ დროშებს გამააბზანებენ. ზუთი დეკანოზი ჩამოდოდა. ორს ჯურები ჰქონდა და სამსა — აღმის ტარები. სამი ის დროშია და ორი ჯორი! — ზუთი ნაწილი ჩამოდოდა. ღამე წავიდიან იქა, ღამე ჩამაბზნიან და გათენდის თუ არა, ჩუენკე

წამოვიდიან. როცა გაღმა ჩამოვიდოდეს, აქათ ჩუენ ჩავილოდით კიდთანა, იქითთ აქ მახყვიან მღერითა. მოვიდიან აქა, ე ნიში იმისთჳია გაკეთებული, ამაზე შაკდიან დეკანოზები, მთელი სოფელი ზედ მივიდიან, დაამწყალობიან, უქადაგიან, რაიც იასეს განასაჯობა ხქონდა. დაამწყალობიან ჳერ ჩუენი გორი, უთხრიან იასეს ამბოვი, იმისი ომი, რაიც გადაიყარა, გადასციან ხალხსა.

მამრე დეკანოზებს მივიღებდით, სალამომდე ვიქეიფებდით და სალამოზე გავაცილებდით.

ი ქალალდები მაში არ წამაილა იასემ, განა! ორი წელი რო გავიდა, ის ჩუენი ნეფე რუსეთი წავიდა, შაწუხება ჰქონიყო ძრიალა მტრისაგა. ეს ვაიგა ჩუენმა იასემა, შაკმაზა თავის ცხენი და წავიდა რუსებისაკე. იარა იასემა და სად დაუხუდა არ ვიცი, გამახყვა ვახთანჯ ნეფეს, ჩააცილა. და მაში მისცა იასეს ქალალდები: თუ შენ არ გინდა, შენმა შვილმა მაინც მაიკმარასო.

იასეს მამას თექეთრმაზი ექუინა. ოთხი თუე სრული, გამამითვლია, ქეიფი გუქონდის, კორწილები.

## 82. ხახანი

კოსტა ხეთაგური ჩუენს სახჩიგათ იყო, ჩუენ ნარით მასულები ვართ, იმის მამა, ლევანა, ჩუენთან მოვიდისკე, ბალღებს ქუდს მაჰკდიდის და შუბლზე გუიცქერდის. რომენიც იცნის, — ეს ჩუენიაო. ორი გუერია მეზობლის ბალღი, ის დაიწუნა: — ესები ჩუენი არ არიანო.

კოსტამ დოგიბარა ჩუენა: — თუ გინდათო, ნარაჩი, მამა-პაპის მამულს ვიდავებო და გამოვიტანო. მაგრა ჩუენ არ ვქენით.

ჩუენ გუყონდა ჩემი პაპის ბიძაშვილი, ხახანს ეძახოდეს. იმას ჰყვანდა შოჯამაგირე ვეესური (რო იცი, ვეესურს რას გუქინებთ?) რამდუენიმე ხნითა. როცა ბოლოს რამდუენიმე ხანი იმსახურა იმან აქა, სთხოვა ვეესურმა: — დამითხოვე ეხლა სახლჩიო, რასაც მამკემ, ეგ შენ იციო.

წინავ ფული არ იყო ეგრე ხშირად. აილა და ხახანმა გაისტუმრა საქონლითა, ზედმეტი მისცა, რაიც არ ერგებოდა. ის ვეესური დიდი მადლობელი წაუვიდა.

ბოლოს მეზობლებმა ხახანის შვილი გააგულადეს, გაახლისეს: — მამაშენმა უზომო საქონელი გაატანა ვეესურსაო (ავი ენა წინავაც ტრიალებდა, განა მარტო ეხლა!).

შამოვიდა შვილი მამასთან და უთხრა მამასა: — რამოდენი საქონელი გაატანეო, მე არ გავატანო მაგთენსაო.

აილა ფარ-კმალი და გამაუდგა გზაზე.

საცა დეეწია ვეესურსა, გადუდგა წინ: დაყარე ნახევარი! გაუჯდა იმათ ჩხუბი და ვეესურმა მაკლა ხახანის შვილი.



შახტდა. ვილაიც კევსურსა და უთხრა: შენ რაილა გეშუელეზაო, დაბრუნდი უკენაო და ადი საყდარჩიო, იქნება გიშველას იმისმა მადლზაო. ვამაიქცა კევსური, წყალჩი გავიდა და ხატჩი უნდა ავიდეს — იქნებ მაპატიასო.

ხახანმა ეს რო გავიგა, შაკმაზა ცხენი და გამოუდგა კევსურსა. გერგეტის ახლოს რო მივიდა, წყალი რო ჩამასდის კევზე, ი წყალჩი კევსური კი გავიდა და ხახანსა ცხენმა უარი უთხრა. ბევრი ატრიალა და არ გაფრინდა წყალჩიგა. გერგეტელმა ჩამასძახა თურმე ქედზეითა:

— ხახანო, რაი ამბოვიანო?

— კევსურმა შვილი მანიკლაო, იმას მივდეგო.

— მოდი, ხახანო, სამების მადლით აპატიეო.

— წმინდის სამების მადლით და შენის მოწმობითაო (გერგეტელი რო შეესწრა), მიპატიებიაო. აპატია.

ყოველ მარიანობაზე მანდ გავდიოდით, დეკანოზებს დაუძახითკე, ვახსენებდით.

უხლჷ, ციხე ჩამაიშალა ემანდა. ვერც რაით ვერ აგებდეს. მამრე იმ ჩუენს ძქელს ვისლაც ეთქო: აიღეთ ხეები, შეკონეთ და ხით აგეთო. მართლაც, ეეგა ის ციხე და ამაზე დაქქიინეს ხეთაგეთი, ითომ ხით აგეთო.

### 83. ამირანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კელმწიფე, რომელსაც ხყვანდა ძრიალ ლამაზი ქალი. ჰოდა, ემ ქალს თავის ბადალი არცვინ არ შახტდა, რო ცოლად გახყვალყო. ერთხალაც ვნახათ და იმათ, სანადიროდ რო მიდიოდეს, გზაზე შახტდათ მწყემსი. შახტდენ და ცხენები დაუძახა. ცხენმა ქალი გაიტაცა. მიდის, მიდის ეს ცხენი, რო ფეკებჩიგათ ნაწინწლებს ისვრის. დაღონდა მეფე. დაღონდა იმისი ამალიცა და ვერა და ვერ დაიჭირეს აშარი ცხენი. მამრე თქო მეფემა: — ვინც იმ ჩემს ქალს, ცხენის გატაცებულს, მაძიყვანს, ცოლადაც გავყვალეზ და ქონებასაც შუაზე გაუყოფო.

აბა, აღარ იყო კაცის ძე, რო ბედი არ სცადა და ვერა და ვერა. ქალი მიხყავ და მიხყავ ემ ცხენსა, რო კმელეთის პირსლა მიახწია.

მეფეს რო სუყელი იმედი გაუწყდა, მაში ჩაიკეტა ბნელეთჩი და აღარ გამასულა, ვიდრე იმის კარზე მწყემსი არ მიადგა. მწყემსმა უთხრა, შენი ყმა ვარ და ნება მომეც შენს ქალს მღევრად გავხყვეო.

მეფემ უთხრა, ჩემი ამალი იქ იყო, ვერა გააწყო რა და შენ რაი უნდა მიშოლოო. ემას ისაც დეემატა, რო მეფის ჯარის უფროსებმა სულ წიხლისკვრით გამააგდეს: ჩონ ვერა გავაწყოთ რა და თქონ, ვისლაც მშვიკრებს, ჩონი გაბიაბრუება გინდათო?

მწყემსიც გამააგდეს და იმასთან ერთად იმის კაცებიცა, წამოიდა შინა მწყემსი და გადასწყუიტა, რაიც არ უნდა დამიჯდეს, იმ ქალს დავიბრუნებო.

შაჯდა თავის ცხენზე. ჩაგლაგაზე, დედახთიშობელს შასთხოვა დაჯმარება და წავიდა. წავიდა და როგორ წავიდა: ერთი კურის სავალი ერთს დღეი გაიარა, ერთის თქსა — ერთს კურაჩი და ერთის წლისა — ერთს თრჩი. მიადგა ბროლის ციხესა. მზეჩია გახოული ციხის გუმბათი და ძირზე კუპრი მიუდის.

დაჯდა მწყემსი — ამირანი და ელის ბედისწერასა. არა და ესმის ქალის მოთქმა კოშკიგათა. ის ისრი ტირის, რო იმისი სადგომი სახლი ცრემლითაა სავსე. შასტირებს ქალი და სარკმელჩიგათ გადმაიღურება ცრემლი...

მწყემსი ემ დღეჩია და ერთბაშად დედახთიშობელი გემეეცხადა. უთხრა, ნუ ღონდები, პირველი მასკულევი რო ამოვა, მაში ციხის კარები გეელება და შიგ შადიო.

მართლაც, ეგრე მაიქცა. შავიდა და ქალი ნახა. ქალს გრძნეულნი უდგანან თავსა და დალულუნებენ.

ეს კაცი რო დაინახეს, უთხრეს — ეს ვინააო. ეს არის ჩემი სატრფო და თქონ ქაჯები ხართ, არა გესმით რა, თორო დოგოჯმარებოდით, აქათ გოგიყვანდით და თქონი მადლობელი დავრჩებოდითო.

მართლაც, დეექმარეს, ღამე გარეთ გამოუშრს და გზა დაულოცეს. ამ ქაჯების კოშკს კი ერთბაშად გაუჩნდა ცეცხლი და ლალატისთჳი ქაჯთა სამეფო დაიფერფლა.

ქალმა უთხრა მწყემს ამირანსა, შენ გამათავისუფლე, თორო ქაჯთა მეფე ჩემზე ჭორს დაიწერდაო. ეხლა ჩემი თავი შენ გეკუთნის და, ვინც არ უნდა იყო, ცოლად გაჯყვებო.

ამირანმა უთხრა, ჩონი მეფე მეფეთა მეფეაო. იმისი ყმა ვარ და იმისი ნება ავასრულე, მე რაი შენი ღირსი ვარო. ემ ლაპარაკი იყუნენ და კელმწიფეს მიადგენ. აბა, რაილა თქმა უნდა, კელმწიფემ გაიხარა. დანაპირებზე კი უარი უთხრა. შენ უბრალო მწყემსი ხარ, ჩონი ქალი მეფეთა ღირსიაო.

წამოიდა მწყემსი პირჩი ჩალაგამოელებული.

განა იჯავრა? არც კი გაიხსენა! წავიდა საყდარჩი და სულ თავის ბედისწერას აგინა. დედახთიშობლის ხატი ჩამოიდა და დაამტუქრია. ეგრე გაჯოდა ამირანი, რო ელარავინ დაიქირა. მამრე ჩამოიდა წმინდა გივარგის მაციქული, დაიქირა ურჩი ამირანი, სიკეთის აუგად გადამქდელი, და ერთს ქედზე ღამბა. ის ამირანი ეწლაც იქაა. გულაღმი წევს და ყორნები გულლუძლს უკორტნიან.

#### 84. ობლის ზღაპარი

იყო ერთი კელმწიფე. რომენსაც ხყვანდა სამი ბალლი. ეს მეფე ღიდს ქოყანას ღმართაჯდა და ბევრი ქოყნებიც დამორჩილებული ხყვანდა. მეფე როცა დაბერდა, შვილებს დაუძახა და უთხრა: მე დავებრდი. დღეს თუ ხვალ მოკჳედები და ჩემი ტახტი თქონ რომენსამე უნდა გერგასთ, რომენს კი არ ვციო. ღიდ ხანს იფიქრა მეფემა. და საბოლოოდ კი უთხრა: აიღეთ სამი თქს საგძა-

რი წაიყვანეთ თითომ თითო ცხენი და, ემ სამს თრჩი ვისაც იფრო საგმირო საქმე შეგხუდებათ და გაიმარჯვებთ, ტახტსაც იმას დაგიტომბთო.

სამმავე ძმამ დაკმაზეს ცხენები. ზედ მოასხდენ და თავთავის გზებს გაუდგენ.

უფროსმა ძმამ, ბევრი იარა თუ ცოტაი იარა, მიახწია ერთს ოქროს ციხე კოშკსა, რომენიც მეფისა იყო. უარა, უარა ირგულოვა, მაგრამ ვერცხრის დიდებით შიგ ვერ შაახწია. კოშკის ძირჩი დაჯდა და მწარედ დაღონდა. ფიქრობდა — თუ შიგ როგორმე შევალო, კოშკის პატრონს მოვხკლათ და ემ სიმდიდრეს რო ველჩი ჩავიგდებ, მეფობა მე არ ამცდებათ. ემ ფიქრებჩი იყო, როცა ერთმა ბებერმა დედაკაცმა გაუარა გორდითა და უთხრა: — შვილო, დედაშვილობასა, რაისთჳი ხარ დაღონებულო. მეფის შვილმა უამბა მამის დანაბრები და თავისი სურვილი.

დედაკაცმა უთხრა — ეგ როგორ გაღონებსო. ის კოშკი მზეთუნახავის ქალისაა, რომენიც ლამლამობით გარეთ გამოდის, წყაროს წყალჩი იბანება და მზის ამოსულისას ისრივ შინ ბრუნდება, რო არვინ ნახასო. დაუყარაულე, დაიჭირე და მეფობაც არ აგცდებათ. ქალი კიდავ ცოლად წაიყვანეო.

მართლაც, ესრე მაიქცა. შუალამე როგორც კი გადავიდა, გამოიდა ქალი. ტანზე გაიჯადა და წყაროს ჩხატს მკერდი შეუშურა. მეფის წული კი მივიდა და ტანსაცმელი მასტაცა.

ქალი ძრიალ დაღონდა ემის გამოთა. ბაღმა უთხრა: — შენ მზეთუნახავი ხარ, მეკი რაინდი და მეფისწულიო. შენ ცოლი, მე კი ქმარიო.

ქალმა ემის გამოთ ტირილი დაიწყა, შენი ღირსი არა ვარ, ტანისამოსი მამეც, შენ შენთჳი და მე ჩემთჳიო.

როცა აღარა და აღარ მეეშო მეფისწული, მაში კი წაუძლო ქალი კოშკჩი და თავის საძილე ოთახჩი შაიყვანა. ნიადაგ, ერთად დაწვენ იმ ლამესა და, მეორე დღეს, როგორც კი გათენდა, მეფისწულმა ქალს თოლებჩი ჩახედა. ქალი მახინჯი იყო, ბრიხი და ლოჯიანი. მეფისწულს, ნიადაგ, არ მეეწონა ისა. ქალს თავი დაანება. ოქრო-ვერცხლი დაიღლიავა და, სიმდიდრით დატჳირთული, მეფეს მიაღდა.

უამბა მეფესა თავის თავგადასავალი. მეორ-მესამეს დღეს საშუალაი ბაღლიც მოიდა. მეფეს უთხრა: უწყლო ქოყანაჩი ვიყავ; წყალს გოლაშაპი ხყარაულობდა და ხალხს არ აძლევდაო. გოლაშაპი მოვხკალ, იმის თავი შენ მაგართჳი და ხალხს წყალი მივეცო.

დაუცადეს სულ უმცროსსა.

ბევრი იცადეს თუ ცოტა, როგორც იყო, მეფეს ნაბარები მოუვიდა — მოვდივარ და შამხუდითო.

მეფემ იფიქრა, ალბათ დიდი სიმდიდრე მააქჳ და ცხენ-ურმები გაგზავნა შასაგებებლადა. მეგბინები როცა წავიდეს და მეფე მარტუა დარჩა, კოშკის

კარებს მაადგა მთხუარაი, რომენიც დაკონკილ-დაძენძილი იყო და გარღზე კიდავ იფრო დახეულ-დაქენცილი ქალი მზღედვა.

მეფეს მოწყალება სთხოვეს და მიიღეს ტანისამოსი. მეფემ თქო: — შვილს ველი და სუყელაი მზიარულად უნდა იყოსო. როცა კარგა ჩაიციტეს, მეფეს წარუდგა შვილი და უთხრა: მამავ! მე შენი უმცროსი შვილი ვარ და ეს კიდევ შენი რძალიო, ობოლია, უდემამოო. მეფე ჯერ გაშრა, ვერა უთხრა რა ბოლოს ხხკითხა:

რომენი მეფე-დედოფალი იყო მაგისი დედ-მამაო.

შვილმა უთხრა: ღარიბი გლეხის შვილია, დედინაცვალმა გარეთ გამაადგა. როცა მე საგმირო საქმეების საძებნელად ვიყავ წასული, ეს ქალი ფეკიშველაი, სიცივისაგა დაქერილი, თოვლი ვიპოვნე დამძრალი, დაკრუნჩხილიო. ტანისამოსი გავიჯადე და გავყიდე. უწამლე და ცოლად შევირთეო.

მეფემ თქო: უფროსმა შვილმა ჩემი დარბაზი სიმდიდრით გაავსა. საშუალომ საგმირო საქმე გააკეთა — ურჩხული მაკლავ და შენ კი ემოდონი ხანი იარე და ერთი ობოლი ვინდაც მათრიეო. ეხლავე წადით ორივენი და აქათ დაიკარგენითო.

ქალმა ტირილი დაიწყო. მეფეს ეხრწა, ფეკისძირები აულოკა, მე წავალო, ეუბნებოდა, ოღონდ შენი შვილი შაიბრალე, ნუ გასწირაო.

მეფე უარესად გაცეცხლდა და ორნივე გარეთ გამაყარა. დაღონდა მეფისწული და ქალს მაინც არ ეშობოდა, ეუბნებოდა: — წავიდეთ შორსა, ძრიალ შორსაო მოჯამგირედა და იქ ვიცხოვრაო. მართლაც, გაუდგენ გზასა. ცოტაი მანძილი კი გაიარეს და უკენით კვილი მეესმათ — დაიცადეთო.

მეფისშვილმა იფიქრა, აღბათ მამამ დანაშაული მაპატიავ და უკენ დოგობრუნებსო. მოიღენ ნაზირ-ვეზირნი და მეფის ნათქომი უთხრეს: ეხლავე უკენ უნდა დაბრუნდეო და ცოლს თავი გაანებაო. ქალმა რო ეს გაიგონა, ჩაუვარდა ფეკებზი სუყელასა და სთხოვდა: ნუ, ნუ დამაგდებთ მარტუასაო!

არვინ მოუსმინა. მეფისწული ძალად უკენ მააბრუნეს. ქალი კი ტრიალს მინდორჩი დააგდეს მარტუასა.

დაღონდა ქალი. აღარ იცის რაი ქნას. საითკე წავიდეს. არც გზა, არც კოლი. შავი ღრუბლები კი ტრიალებენ და ტრიალებენ ცაზე. ქალი კი ხოხავს მიწაზე და სძებნის ნაფეჯურებსა მეფის შვილისასა, რო დაკოცნას. ბოლოს ესაც დეეკარგა.

დაღონებული ქალი ღმერთს შეეხრწა: ერთხალ მზემ გამაანათას, ნაფეჯურები კიდავ მანახვასო. მართლაც, გამაანათა მზემა. ქალმა დაინახა ნაფეჯურები. გაიქცა, ზედ დეეკონა. კოცნა დაუწყო. მზე კი იდგა და იდგა ერთს ადგილზე. მამრე ამილა დანაი და გულჩი დაიკრა.

მზესაც მამრელა ღურბელი გედეფარა. მეფისწული ძრიალ დაღონდა სასახლეჩი. სულ იმ ობოლს ქალს მისტიროდა. ბოლოს როცა დიდი ხანი გავიდა, მეფემ გამოუშო სასახლეჩიგათა, — თქო: გულზედით გედეეყრებოდო.

მეფისწული წავიდა იმ ადგილზე, სადაც საბოლოოდ ერთმანერთს დააცი-  
ლეს ცოლ-ქმარი. მივიდა და რას ხედავს: სწორედ იმ ადგილზე ძლიერ მალალი  
და წუერილი ტყე ამაზდილიყო ერთი ცალი. მივიდა თუ არა, ტყემ ცახცახი  
დაიწყა და მეფისწულს მეესმა — „მოდო, შემემხეტიეო“. მართლაც, მივიდა.  
შემეხებუა და იმ ქალის სხეული კი იგრძნა. იქვე დაინახა დაჯანგებული დანაი.  
აილა და იმანაც გულჩი დაიკრა. შაწუხებულ ტყეს კი ფოთლები აუცახცახდა  
და ტირილი მოუვიდა.

მას აქათაა, რო ვერხტის ფოთლები სულ ცახცახებენ. მეფეს მეტად აღარ  
უძებნია შვილი. უფროსი შვილი შამააკუდა და დარდს გადახყვა.

ტახტი საშუალოს დარჩა და დღესაც მეფედ არის.

ჭირი იქა და იმის სამეფოჩი.

ლხინი კი აქა და ვერხტის სამყოფელჩი.

## 85. კაცი და ეშმაკი

იყო ერთი ღარიბი გლეხაკი, რომენსაც არც ცხორ-საქონელი ჰყვანდა და  
არც ცხო რაიმე ჭონება გააჩდა. ერთ დღეს ცოლმა უთხრა: კაცო, წადი ან  
მოჯამაგირედ სადმე დადე, ან სამუშაო იშოვნე და იმუშავე, რო ხედავ შიმ-  
შილი გჭკოცს, სადამდე უნდა ვიცხოვრათ ესრე ძალღუმადურად. ის იყო კაც-  
მა გულდაი და ჯოხი აილა და წასტლას აპირებდა, რომ ამ დროს შამოვიდა ეშმაკი  
(მოენე სული), უთხრა გამარჯუება და მგზავრობის მიზეზი ჰკითხა. კაცმაც  
აუხსნა თავისი გაჭირება. მაში ეშმაკმა უთხრა: — სადლა შორს უნდა იარა,  
წამოდი ჩემთან, დადეგ ცხორჩი მწყემსადა.

ცოლს და ქმარს გაუხარდა, რო ბედი ეწია. კაცმა ეშმაკს მარიგება სთხო-  
ვა. ეშმაკმა უთხრა: ცხტრებს არ მაგცემ, თუ გინდა ბატკნებს მაგცემ. მარი-  
გებით კი დოლობაჩი მოვრიგდეთო. კაცმა ბევრი იფიქრა, მაგრა ბოლოს მაინც  
დახყაბულდა, თუმცა ცოლი კი არ უშობდა: ეშმაკთან ეგეთი პირობით როგორ  
წახოლო. დადგა კაცი ეშმაკთან მეცხორედ, ბევრი ტანჯვა-წოლება გამაიარა.  
მაგრა დოლობამდე მაინც გახწლა. როცა დოლი დაიწყა, მოვიდა ეშმაკი და  
კაცს უთხრა — ეხლა კი მოვრიგდეთო. მხოლოდ ესეთი პირობითაო: — რო  
ვინც გაიმარჯუებს, ცხორიც იმისი იყოს და ბატკანიც.

დასთანხმდა კაცი. მაში ეშმაკმა თქო: ამ ცხტრებმა, რომენმაც მაიგას  
შავი ბატკანი, თეთრი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწონე და, ერთი სიტყვით,  
სუყელაი ფერი დათოლა, რომენს იქითაც აღარ იქნებოდა ბატკანი — ესეთი  
ფერისა სუყელაი ჩემია და მე გავრეგო, დანარჩენი შენაო.

კაცმა იფიქრა და უთხრა: კარგი, მაგრა ერთი პირობითაო. შენ ამ ბატკნე-  
ბის გასარეკად ნურც კუირეს მახოლ, ნურც ორშაბათს, ნურც სამშაბათს, ნურც  
ოთხშაბათსა, ნურც ხუთშაბათსა, ნურც პარასკევს და ნურც შაბათსაო. ნურც  
ჩამათლილი დღეების დილაზე, ნურც საღამოზე, ნურც ღამე. ეშმაკსაც რაკი

მეტის თქმა აღარ შეეძლო, დასთანხმდა და წავიდა. გავიდა რომთენიმე კვირე და მოღის ეშმაკი. ბატკნები ყუელა იმის ნათქომი ფერისა არის. უნდა გაირეკას, მაგრა კაცი დღეს იკითხავს, ეშმაკიც ღნახავს პირობას და წავა ისრიე ცარიალაი. სულ ესრე იარა ეშმაკმა, მაგრამ ვერც ერთ დღეს ვერ გაირეკა ცხორ-ბატკანი. კაცმა მაუგა და თავის სახლჩი გაირეკა მთელი ეშმაკის ცხორი.

### 86. ეშმაკის მოტყუება

კაცი სადმე მიმდინარა ქრჭვი, უნდა მანახას საითმე და ქალი ითხოვას. გაიარა ერთს ადგილზე და კაცი ვნავს. ამ მოვნავს უთხრა — გამარჯობა, — გამარჯოსო, იმანაც სალამი მისცა. — რას სთესავ? უთხრა: ქერს: — მინაწილე მეცაო, უთხრა. — რაისთჳო, რაი ჯაფა გაქუ შენ ჩემთანაო. — მინაწილეო, მეც გლეხი ვარო. კარგიო, გინაწილებო; მოვა, თავი მეო და ბოლო — შენ. იმან ვერ იცის, რო ეშმაკია ეს.

ახლა ერთს ადგილას მივიდა კიდავა. კაცი ბოლოკს სთესამს. ეშმაკმა დასძახა — მინაწილეო. იმ ეშმაკმა იცის, რომ იქ ესრე მასტყუვდა და უთხრა ამ კაცსა: — მინაწილე, თავი მე და ბოლო შენო. იმ კაცსაც გაუხარდა, იმ მოვნავსა. მოვიდა ბოლოკი. ნახა: ფოთოლი დარჩა იმასა (ეშმაკსა), ბოლო — კაცსა. — ეექ! მე რაი ეშმაკი ვყოფილვარო, ეშმაკები ესები ყოფილანო. შემდეგ დაიქჳინა მოვნე იმან, ეშმაკობა გადააგდა: თუ ვაჯნებ ვისმე, მოვნე ვიქნებო, ითომ მოქრისტიანდა.

### 87. მამის ანდერძი

იყო ერთი ჭკუიანი და ძრიალ მდიდარი კაცი. მარტო ერთი შვილი ხყვანდა. შვილი რო იზღებოდა, მამა ატყობდა, რომ უჭკო იყო და სახელს და სიმდიდრეს ვერ მაიკმარებდა. ამისთჳი ხშირად არიგებდა და ეხუტეწებოდა, რო გონჯ ხალხთან მეგობრობას არ ახყვალიყო, კარგ კაცთან ჩხუბი შჯობია გონჯასთან ქეიფობასაო.

სიკუდილისას მამამ შვილს უანდერძა: შვილო, აი, მთელი ჩემი ქონება, მთელი ავლადიდება წვითა და დავით ნაშოვნ-მონაგარი შენ გრჩება, ჭკუიანად მაიქეც და ტკბილად გაცხოვრებსო. თუ რო განგებამა საქმე იქამდე მიგიტანას, შაშქამა მთელი ქონება, გასტეხა მამის ანდერძი და მაგწყინდეს ცხოვრება, მაში ა იქ, ჭერში, თოკი ჩამოვამბი და როცა სიკუდილი იფიქრა, მიდი და თავი აქე ჩამაიხჩუეო.

მამა მაკუტდა. შვილმა როცა დამარხა და გაბრუნდა, მაშინვე გატეხა მამის ანდერძი: დაუძახა ნაცნობ-მეგობრებსა და სულ ქეიფობდა, შქამდა, სომდა.

რაკი ხედავდა ხალხი, რო დიდი ქონება ჰქონდა, ყუელალა იმას ეცდებოდა, რო ბეურს გამარჩომიყუნეს. ყუელა პირჩი აქებდა და პირს იქით კი ავიწებდა. ზღვა წებით დაილევაო — ნათქომია ძუელთაგანა. იმასაც გემეელია ქო-

ნება და დარჩა მშვიარი. რაკილა აღარა ჰქონდა რა, ნაცნობ-მეგობრებიც შემე-  
ვლია და სუყელას ეჭავრებოდა.

ერთხალა, როცა იფრო ძრიალ შივოდა, ერთს თავის მეგობართან შავიდა  
და უთხრა: მე მთელი ჩემი ქონება თქვენ შავაქმიეთ და ეხლა კი თქვენც მაქ-  
მიეთ, მშვიარი ვარ. მეგობარმა გამააგდა და უთხრა — მე მათხოვარას ჩემთან  
არ ვუშობო. რაკილა საქმე ძრიალ გაუჭირდა, მასპინძელმა ცემაც დაუწყა და  
გამააგდა.

შასწუხდა ძრიალა. ვისთანაც მივიდა, ყუელამ სცა, ავინა და ისრი გაუშო.  
შენ რო ჰქუიანი ხყოფილიყავ, მამის დელეევანს ქონებას ისრი ძალღუმადურად  
არ გადაავლევდიო. ეხლა შენ თავისთუი აღარ ვარგინხარ და ჩუენ რაჩილა  
ლოგვირდებიო.

ეს კაცი როცა ძრიალ შააწუხა თრევაბა და შიმშილმა, ბევრის ფიქრის  
შემდეგა გადასწყუიტა თავის მაკლეა.

წავიდა და მამის სახლჩი შავიდა. როცა ჰერჩი ჩამამბული საბელი დაინა-  
ხა, ეხლა კი მააგონდა მამის ანდერძი.

აღგა გაჯავრებული და თავი საბელჩი გაუყარა ჩამასახრჩობადა. როცა  
ჩემეეკიდა და ერთბაშად მასწყდა საბელი ჰერჩიგა და თან ჩამაპყვა ყუთი,  
საბელი ყუთზე თუ ყოფილიყო გამამბული. ამ კაცმა მაშინვე გახსნა ყუთი,  
დასცქირა და შიგ ოქროა. ესაც მამას იმისთუი დეეგდა, რო, როცა თავის  
მაკვლამდი მიულას ჩემ შვილს საქმე, ის ჰკოზე მაშილა მოვალისო. რაკი ღნა-  
ხავს სარჩოს, მამრე გონჯა აღარ მაიქცევა და კარგა იცხოვრებსო. იმიტომაც,  
რომა აქნობამდე ყუელა მტერ-მოკეთე გაცნობილიც ექნებაო.

ავდა მამის ნათქომი, აცხადდა. მამრე კი კაცი ძრიალ ჰქუიანადა ცხოვ-  
რობდა და თავის დამღუბველ მეგობრებს სათოფეზეც აღარ იყენებდა. აი,  
ესრე იქნება, ვინცა მამისა და უფროსის დარჩეებას, ჰქუას მიპყეება.

მთას ურემი ავიტანე,  
წამოვიდა გორებიოთა,  
აქ სიცოცხლით დამიბერდიოთ,  
საიქიოს — ცხონებოთა.

## 88. ლომი და მელა

ერთ დიდს ტყეჩი ცხოვრობდა ლომი და მელა. ერთხალ მელამ ლომსა  
უთხრა: — ლომო, შენ, მართალია, დიდი ხარ, მეფე ნადირთი, ძრიალი და გამ-  
ბედავი, მაგრა ჩემოდენაი ჰკო კი არა გაქუ. მე ბევრი ვიცი ცხოვრებისა, მაგ-  
რამ ლონე მაკლია. მოდი, მე და შენ დავძმობილდეთ და ერთად ვინადირათ.  
სამსხუერპლოს მე ვიშოენიკე და შენ კი ეომე, როგორც ძრიალი.

ლომი დახყაბულდა და წავიდეს სანადიროდ. მინდორზე მელამ კამეჩი  
დაინახა და უთხრა ლომსა. ლომი კამბეჩზე დასაცემლად რო მეემზადა, მელას

უთხრა: — მე ღონე მაში მამდის, თუ ბალანი ემებურძგნა, ტანი გამამიბრუნდა და თოლები სისხლი მამიტრიალდა. შენ ესეები დაიხსონე და, როგორც შეგეკითხები, მითხროდე. — კარგო, — უთხრა მელამა.

ლომი რო კამბეჩებისაკე გასაქანებლად მეემზადა, მელას ხკითხა: — ბეწუტი ემებურძგნაო? მელამ უთხრა, — ეგებურძგნაო. ტანი გამამიბრუნდაო? — გამაგიბრუნდაო. თოლები სისხლი ჩამიდგაო? — ჩაგიდგაო. მაშ, დრო არისო. გაქანდა ლომი და ეცა კამბეჩისა, წამაქცია და დაარხო. მოვიდა მელაიცა და ჰამა დაუწყეს. ლომი დიდ-დიდ ნაქერს კორცს ღვლეჯდა კამბეჩისა და შჰამდა. მელას ჯავრი მოუვიდა — რაი უსუინდისო ყოფილაო, მაგრამ ლომს პირი კი ვერ უთხრა, ამას გულჩი ფიქრობდა. რაიც მე ერთს კუირეს მეყოფა, ეს ერთ ლუკმად შჰამსო. ბოლოს ვეღარ მათბინა მელამ და ლომს უთხრა: — ამიერჩიგათ ჩუენი მეგობრობა შაწყურტილია, შენ შენთუი და მე ჩემთუი, მე შენთან არას გავიხარებო. — კარგო — უთხრა ლომმა, — შენ არც მოკეთედ ვარგიხარ და არც მოჭირედაო.

ადგა მელაი და ტურას დაუამხანავდა და დაარია: როცა ნადირზე დასაცემლად გევემზადებოკე, შენ მითხროდე, ბეწუტი როცა ემებურძგნება, ტანი გამამიბრუნდება და თოლები სისხლი ჩამიდგება. მე როცა ესეები მამივა, ღონეც მაში შექნება და დათუიკ კი ვერ გამიძლებს. კიდავ ბეური იტრაბახა მელამა, რო ტურას გაუკუირდა ეს: როგორ გულადად თურმე ომობსო ან სად უსწავლია ამ ენაზე გასულ გაიძუერას ესეთი კერკო.

გავიდეს ტურაი და მელაი მინდორზე. მელამ დაინახა ერთი ცხენი ბალას ზძოვდა და ტურას უთხრა: — შენ მიყურე, იმ ცხენს როგორ გამოვხაზავო. და მელაი აიბუზა, რაც ძალი და ღონე ხჰონდა, ისრი გაიბერა და ტურას უთხრა: — აბა ტანჩი შამხედე, გამამიბრუნდაო? ტურამ უთხრა — გამაგიბრუნდაო. — აბა ბეწუტი ემებურძგნაო? — ეგებურძგნაო, თოლები სისხლი ჩამიდგაო? — ჩაგიდგაო.

გაქანდა მელაი და ეცა ცხენსა. ცხენმა ორი უკენაი ფეცი ტყუპად გაიქნია და შიგ თავჩი დაჰკრა მელას, თავისბაკანი და თოვპირი კი ჩაალეწა. ტურამ ვეღარ მათბინა, დამტურეული მელაი რო ნახა და უთხრა: — ახია შენზეო, დედა გეტირა: წელა კი არ გჰონდა ტანი გამამბრუნებულო, ესლა კი ისრი გამაგიბრუნდა, რო აღარც შაგიბრუნდებო.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატი იქა, ფქუილი აქა.

## 89. კილიგი

ერთ კაცს ცხრა შვილი ხყვანდა. ყუელანი კარგი და გონიარი ბიჭები. მამა რო კუდებოდა. შვილებს უანდერძა. შვილებო, მე ვკუდები. ეს ხოყნის წესია, ისლა მახარებს, რომ თქუენ ყუელანი მშუტილობიანად რჩებოთ, ერთმანერთის ხათრი და გატანა გჰონდესთ, იცოდეთ უფროს-მუცროსობა, ჭირჩი დავმარება,



ლხინჩი — ლხინი. როცა ცოლების შერთვა დააპირათ, ისეთი კაცი მაძებნეთ, ვისაც ცხრა ქალი ექნას — სულ დები, როგორც თქვენა ხართ. უფროს — უფროსი მიეცით და მუცროს — მუცროსი.

ანდერძის თქმის შემდეგ მამა მოკვდა. ძმებმა სახლის უფროსად სულ უფროსი ძმა — კილიგი ამაირჩიეს. გავიდა დროება, მამაც გადაიგლოვეს. კილიგმა თქო, როგორც მამამ გუთითხრა, ისრი მოვიქცეთ, მოვნახათ საცოლეები, ოღონდ ცხრანი დანი იყუნენო. რადგან აქ, ჩვენს ახლო-მახლო, ესეთი არავინ არის, ჩავიდვით საგძარი და წავიდეთ ცხოგა, ვიდრე ვიპოვნით. იქამდე ვიარათ. ძმებიც დახყბულდეს და წავიდეს. იარეს, იარეს და ერთს სახლს მიადგეს ტიალს მინდორჩიგა. ძრიალ ცხელი იყო. ძმებს წყალი მასწყურდა და მასძინძელს შაუძრასეს და წყალი სთხოვეს. გამოვიდა ერთი ქალი და უთხრა: — წყალი კი დალიეთ და ჩქარ წადით, მამაჩემმა არ მაგასწრასთ საცნავეზითა, თორო სუყელას შაგჰმსთ, ჩუენ ცხრა დანი ვართ და მამაჩუენი ჩუენთან არვის უშობს — ახლოსაც კი. ძმებმა იფიქრეს — ჩუენც თქუენ გუინდლოდითო და აღარ წავიდეს. ძმებს ბუური სთხუეს დებმა, მაგრა არ მეეცალნეს. საღამოზე საცნავეზდით მადიოდა რქიანი დევი, თან კარებიც მახყვანდა. რო დაინახა ძმები, ჳერ დაჰკვილა: — აქ აღამიანს რაი უნდაო; მამრე კი თქო — არა უშავ რა სულ დავშუამ, აქ კარგა მასულანო. კილიგმა უთხრა: ჩუენ სამტროდ არ მოვსულვართ, სასიძობედ მოვედითო, გავიგეთ ცხრანი დანი გყვანია — ჩუენც ცხრა ძმანი ვართ. დევმა ძმები შინ შაიყვანა და ენა ლაქარდიანად დახუდა. გულჩი კი ცხოს ფიქრობდა: — დევიძინება და სულ დაეხარშე, საცნავეზე სადილი მექნებაო. ოხშამზე კი ჳორცი მოუხარშა და ძმებს ის აჰმია. დილაზე ყუელას გამაგატანთ ჩემს ქალებსაო. დევმა თავისი ქალები ერთს მჳარეზე დააწვინა და ძმები — მეორეს მჳარეზე. თითონაც სტუმრების თოლად დაწვა, ითამ და დავიძინეო. შუა ღამე რო მოვიდა, დევი აღდა და გარეთ გავიდა. იქით რო შამოვიდა, დაიკვილა — ვინ მძინარი და ვინ მლუიძარიო.

ამ დროს კილიგს არ ეძინა. როგორც უფროსი, მთხილობდა.

კილიგმა უთხრა — მე შენი სიძე კილიგიო.

— რამ არ დავაძინაო? — შენი კარების ყუირილმაო. დევი გაჯავრდა. ეგები რო არ იყუნენ, ემათ დევიძინებოდა და შავშუამდიო. გავიდა სულ დაცოცა თავისი კარები. მამრე შამოვიდა და ისრიც დაიძახა: — ვინ მძინარი და ვინ მლუიძარიო? კილიგმა უთხრა — მე, შენი სიძე კილიგიო. — რამ არ დავაძინაო. — შენმა თხა-ცხტრების ბლავილმაო. გავიდა გაჯავრებული დევი და ისებიც დაცოცა. შამოვიდა და დაიძახა: — ვინ მლუიძარი და ვინ მძინარიო. კილიგმა უთხრა — მე, შენი სიძე კილიგიო. — რამ არ დავაძინაო. — შენი ძროხების ყუირილმაო. დევმა ისებიც დაცოცა. ეხლა ქათმებილა დარჩა დევსა. ამისთუი კილიგმა თავისი ძმები გააღუიძა და დების აღგილას დააწვინა, დები კი თავის ძმების აღგილასა. დევი შამოვიდა და დაიძახა: — ვინ მძინარი და ვინ მლუიძარიო. კილიგმა უთხრა მე, შენი სიძე კილიგიო. — რამ არ დავაძინაო. — შენი

ქათმების უაყანძლო. დევმა ისებიც დაჯოცა. როცა შამოვიდა, დაიძახა: — ვინ მძინარო და ვინ მლჭიდარო. ვმა აღარ კასცა ჭილიგმა. დევს ეგონა ზძინაო და გაქანდა ძმებისაკე. ის კი არ იცოდა, რომ ძმების ალაგას იმისი ქალები იწვეს, დაშქრა სუყელას თავები. დილით, ვიდრე გათენდებოდა, დაუძახა ქალებს: ძმების ჯორცი მახარშეთ და საჯნავზე წამამიღეთ, მე ეხლა წავალი, კარებს ვიშოვნი და ჯნვას დავიწყებო. — კარგო, ჭილიგმა ქალური ჯმაზე უთხრა. როცა დევი წავიდა, ჭილიგმა ძმები გაალთიძა, სუყუელი უთხრა, რაიც ღამე მავდა. შაკრეს, რაიც მეეწონა დევისა, წამაიღეს და ბეწუის კიღზე რომ გამოვიდეს, მეეწია დევიცა. დევი ბეწუის კიღზე ვერ გამოვიდა, იცოდა, რომ ჩაუთხტებოდა და კუპრის ზღვაში ჩავარდებოდა. ამ კიღზე მარტო ადამიანს შეეძლა გავლა. გაღმით დაუკივლა. — ნეტარ, ჩემო დამლუპველო ჭილიგო, აღარცა მახოლიო.

ჭილიგმა გაუკივლა — ეგრე მოვალი, როგორც სიძე ცოლეურთასაო. ჭილიგმა დევის ქონება ჯემწიფის შვილს მიუტანა და თავისი ძმებით თითონაც იმასთან ცხოვრობდა. ერთხალ, ჯემწიფეს ჯარებისთუი დიდი ქობი დაშქირდა, რადგანაც მთელი ჯარების საქმელი უნდა მახარშულიყო. მთელი საქემწიფომ შამაიარა და ვერ იშოვნა. მაში ჭილიგმა უთხრა — მე გიშოვნიო. ჯემწიფემ დიდი საჩუქარი აღუთქო, თუ მართლა ესეთს ქობს უშოვნიდა.

ადგა ჭილიგი და წავიდა დევთან. დევის სახლის ბანზე ავიდა და ჩაიკქირა. დევი დიდი ქობით თავის ქალებისა და დაჯოცილი საქონლის ჯორცს ხარშავდა. ჭილიგმა ქობჩი ზაითით ქვის კოხები ჩაუყარა. ცხელი წუენი დევს შამაქარჩულ ტიტველ წუევებზე გედმეესხა და გაჯავრდა. ქობს უთხრა. — აცა, ქობო. ვარეთ კი არ ვაგიტანაო. ჭილიგმა კიღავ ჩაყარა ქობჩი კენკები. ეხლა იფრო ბევრი წუენი დეესხა დევსა, გაჯავრებულმა ქობი საკიდელზეით ჩამახსნა და ვარეთ დადგა: — ეხლაც დამწოვო. თითონ შინ დაჯდა. ჭილიგმა მავლა ქობს ჯელი, წუენი და ჯორცი დაღორა და ქობი კი აიკიდა გაიქცა. დევი ვარეთ გამოვიდა — ეხლა კი ვაცივდებოდაო. მაგრამ ქობი რომ აღარ ნახა, მიხუდა — ეს ჭილიგის საქმე არისო და ვამაუდგა. ჭილიგმა ბეწუის კიღზე გაასწრა, სიღამ დევი მოვიღოდა.

ვაქირებულმა დევმა დაუკივლა: ნეტარ, ჭილიგ, აღარცა მახოლიო. ჭილიგმა უთხრა: — ეგრე მოვალი, როგორც სიძე ცოლეურთასაო — და ქობი ჯემწიფეს მიუტანა.

ეხლა ჯემწიფეს დაშქირდა ისითი ხალიჩაი, რომენიც მთელს ჯარს გადასწულებოდა. ემის მოტანაც ჭილიგმა იკისრა. მივიდა დევთან იმ დროსა, როცა დევი იწვა, და ნარის ძირ შამძრო. ძირით სადგისი შამშუირა, დევს რწყილები ეგონა და თქო: — ჩუმად, რწყილებო, თორო ვარეთ ვახოლითო. მაინც არ ასუენებდა დევს ეს რალაც რწყილები. ადგა ვაჯავრებული და ხალიჩა ვარეთ ვაიტანა. ჭილიგიც ჩუმად ვავიდა. დევი რომ შამოვიდა, ჭილიგმა აიკიდა ხალიჩაი და ვაიქცა. დევმა თქო. — ეხლა კი ვასცუიოდა ხალიჩას რწყილებიო, უნდა შამოვიტანაო. ვავიდა და ხალიჩაი აღარ იყო. თქო: ეს ჩემი დამლუპველი იხამ-

დაო, გამოუდგა, მაგრა ჭილიგმა გაასწრო ბეწუთის კიდზე. დევმა დაუძახა: — ნეტარ, ჭილიგ, აღარ მახოლიო. ჭილიგმა უთხრა: — ეგრე მოვალი, როგორც სიძე ცოლეურთასაო და ხალიჩაი კემწიფეს მიუტანა.

ბოლოს დროს კემწიფემ გამააცხადა: — ვინც ცოცხალ დევს მამიყვანს, დიდ ჭილდოს მიესცემო. ჭილიგმა თქო — მე მოვიყვანო. კარგიო, უთხრა კემწიფემ. ძმები არ უშობდეს ჭილიგსა, მაგრა ჭილიგი მინც წავიდა. მაიპარსა წუერ-ულეაში, ცხონაირად ჩაიციო, რო დევმა არ მიცნასო და დევის მალა ტყერი ავიდა, დაიწყა ხეების ჭრა და ფიცრებად თლა. დევმა რო ეს ვინდაც კაცი დაინახა, გაუკუირდა — შენ აქ რაი გინდა, ვინ ხარო. ჭილიგმა უთხრა: — ბეწუთის კიდს იქით დიდი ოშია, დევებსა და ადამიანებს სულ ცეცხლი სწუენ, აქ ხის კილობანი უნდა გავაკეთა და შიგ დავიმალო. დევი შაშინდა და უთხრა — შენი ჭირიმე, მეც რაიმე მიშუელე, დამმალეო.

ჭილიგმა კილობანი შაკრა, შიგ დევი ჩაასტინა და უთხრა, — აბა, გაიბძოლეო. დევმა გაიბძოლა და კილობანს ერთი ფიცარი გააგდებინა. ისრიგ შაკრა ჭილიგმა და დევს უთხრა: კიდავ გაიბძოლეო. დევმა გაიბძოლა და ველარა დააკლა რა კილობანსა. მაში ჭილიგმა კილობანი აიკიდა და წამოვიდა. დევი ეუბნებოდა — სად მივდივართო. ჭილიგმა უთხრა: — შორ უნდა დავიმალო. როცა ბეწუთის კიდზე გაიყვანა, მაში კი დევმა ყუურილი ასტეხა, მაგრა ველარა ქნა რა და კემწიფეს მიღგორა ჭილიგმა ეს დამწყუღეული დევი. კემწიფემ ეს დევი რკინის სახლი შააგდა და იქ ხყვანდა ხალხის საჩრნებლად.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქუთილი აქა.

## 90. დალოცვა ქალისა

აი, ღმერთმა გიშუელას და გადმაგხედას.

აგრემც დაურჩები შენს დედასა,

აგრემც გაახარებ შენს ჭალაბთა.

გაიზარდე, ასის თავი გაჭდი.

დამირჩი, ჩემო ქალავ.

ნეტაი იმ დღეს მევესწრა, რო შენ გასალებული დავინახა.

## 91. ქალის ფიცო

აგრემც გამინათლდება ჩემის ქმარ-მაზლების სული,

ისრიმც გაესაღდები,

ბიჭაის გაზდამა.

ჩემის ძმის მზემა.

ჩემის დედ-მამის გახარებამა და გასალებამა.

ბიძაი არ მამიკუდეს.

გამაის მშუილობამა.

ბიძის მშობილობა.  
ჩემის მამა-ძმათ სულის მზემა.  
ღარყის წმინდის გივარგის მადლმა.

## 02. ხვეწნა

წადილა, ისიაი გამამიჩორკნე, აგრემც წავიღებ შენს ავს ღღესა.  
შენაი ჭირიმე, ნუ მეტყუი უარსა,  
იმ შენის ლამაზის და-ძმათ განათლებამა.  
გორობის მზესა, გაჩუმდი.  
შენის ლამაზის მამაის სულს გაფიცებ.  
აგორემც დაგირჩება ბიჭაი და გაგიკდება  
ასის თავი.  
აგრემც დამიტირებ.

## 03. წყევლა ქალისა

ვაი, ვერ ველირსას გაზაფხული!  
ვაი, წახყევ იმასა შენა, აგრე!  
ვაი, გაპქანდი სისხლის ლოგინზე!  
ჩაკუდი ძალღსავითა.  
უი, შე უკეთია, გამშრალებულო!  
აი, გაპქანდი შევადა აგრე!  
ვაი, ღეგელია ღღენი, აგრე!  
შე ვერსაქნელო!  
შე სუყველა გამშრალებულო!  
მაგიკუღეს, ვინც გულზე გახარებს!  
მაგიკუღეს ჩემი ნაცნობი აგრე!

## 04. საყვედური

ბეჩავ, ემაზე რომ გემეგევლა, განა კაცობა  
შაგირცხებოდა!  
შენგამეტი არცვინ იტყოდა.  
რაის პირითლა მახე, არ გრცუენიან!  
ღბარბაცებდი და არაო, თქუი, ვოყი არა ხარ!  
აბა, რას სჩადით?! განა ბალღების შაყრილობაა!  
რას რატრატებდით, განა თემი ჩალით იყო  
გადაფარებული!  
სუყელაის გულით გამასღიხარ, განა ეგრე შაიძლება?!  
გაყუჩდით, თქუენ არ მაიჭამთ ემ ქუეყანასა.

## 95. საქონლის დაწველა

ა, დარჩი მგლებსა აგრე!  
მაგიკუდა პატრონი!  
გაიარე, შე ვერსაქნელო!  
უ, შე პატრონგამშრალეზულო!  
გადი, დაღბრმი თუ დახკოჰლდი!  
ხი, დედო, შე ვერგასახარებო!

## 96. მუქარა

მაიცადას იმ ვერსაქმნელმა, მე ვასწავლი, ოგორ უნდა უმცროს-უფროსობის დავიწუება. მანამ ნურა უჭამია რა, სალამ ეგრე გავდებოდეს. მაიმუნაი, თავის „ლამაზობით“ სამზეოზე არ გემეესლტება და აქ გამამადგა ლამაზს ქალობასა.

დაიკარგას აქათითა, მაიმუნაი, არაის თავი და შნო აქუს და კუერცხდასადებ ქათამსავით აქა-იქ აწყდება.

მაიცადას, ისრი გაუჯდი საქმესა, რომ თითონვე მეხტეწებოდეს; მაშ არა, მაგას გავანარებ!

ა, მაიმუნაი, მაიმუნაი, ქალს მაინც ღგვანდეს, ყველით სავსე კასრივით გასიებულა და უმცროს-უფროსობა კი ლაქებში ამოუღვია!

## 97. გაკვირება

მართლა იძახი, როდის მამკდარა, ბეჩაე?!

ვაიმე, როგორ თოლადაია!

შენი ჭირიმე, ეგ კი არ მეგონა და ცის ჩამოვარდნა კი მეგონა!

აბა-ბა-ბა, რაი მუშაი ყოფილა. ქუეყნისა გათიბა, სალამ მზე მისწუერდებოდა!

ვაიმე, რაი ყოფილა, არ გიკუირსთ, ეგე მეცხოვრეც ეგეთი უნდა, ბატკანს ვმაზე სცნობს თურმე, რომლის დედისაა!

## 98. შებრალება

ვაი, ოგორ შემებრალა, ნეტაი არ მენახა მაინცა!

ვაიმე, ოგორ თოლად-ტანადი იყო ის ბეჩავის წერისა!

აბა, რაილა იქნება, სუყელას შეგტებრალა, ეხლა დამწყნარდით!

ძრიალ შემებრალა, ის შავს დღეზე გაჩენილი!

1

- ეს ცხენი ვისია?
- არ ვიცი, ახალციხურია, მგონი.
- სიმონა, ეს კოტიას მისცოდე (ყარკუჩა).
- წამაუსხმია ყისინაი. ჰოვლე გოჩიეთს ეთქო: მობზანდოდე კიდავაო.
- ეხლა რატო არ მემღერობთ?
- მემღერა რაია და — მომღერალი (გერგეტი).
- ცხელს დღეს მეთქი დაგაყენებნთ, თავრობაჩი ნუ მაჩივლებთ, თორო... (ყაზბეგი).
- ფილო, კოლაი რო არ არი მანდა? — საბჭოჩი უძახიან.
- რაისთუი სჩაგრაე, კაცო, მაგ ბალლსა, მიეც თავის ფიცარი!
- მე არ ვსჩაგრი, მაგრამ ეხლა არა მაქუტ კოშიას რო გეეგა, ნასყიდა მომღვესო, გეექცია და ნასყიდას ცხენი უქენ გეეწირა.
- შკემები არა გაქუ? გამაიტანე, დავჯღეთ.
- სიმილი რო მაგპარა, მამრე არავისთუი გითქმია? არ შაგიჩივლებია? სადამღე უნდა იფიქრა? (სნო).
- ის ყაზახები სულ სხენოსნები იყენეს. თუ იმას ბალლი ეყვალეზოდა, მაშინგე აძლევდეს საჩუქრადა ექუს ღესეტინა მიწას.
- ქოითაჩი სამყოფოც გაამართვინა და ლამაზი ბოხრებიც დააკეთებინა, ზაით კი ვერ დევმთავრა, ისრი დეეგდა.
- ნუ გასთხტები, კაცო, რო უუყოთ, ცხორი გექნება, ძროხა გექნება, რაიც გექნება, მისცემ და მაგეშუება (ყაზბეგი).
- მაზყებოდეს და უნდა სუ დეეღევინა, ისრი არ შაიძლებოდა (სიონი).
- მე შკოლაის თავჩი ვცხოვრობ. შიუკას, ბიძას ჩემს რო ადგილები გეენაწილა, მაში იქა გუერც მეზობლად არავინ ხყვანია. ძალიანი ყმა კი ყოფილა, ნასყიდას ქალზე ჯორი დაუწერია და შაურთია. ნასყიდაი გერგეტით იყო.
- სნოს გახა სუჯაშვილია, 106 წელჩია ეხლა ისა. იმან არა გიამბა რა? ცხო იქიველი კაცი არვინ ღნახე?

2

- ეს ზამთარი გონჯი იყო.
- ჰო, თოვლი სიცივემ დააძრა. მამრე თბილქარაი დაიკოთა და ცხორს უბალახოზე გაუქირდა.
- კაცო, საცა კი გალზო, იქაც რაი გამოიდა. ლუსკუმად იქცა. მამრე ლუსკუმზე თოვლივე წახპერანგდა და გაზაფხულამღე ეგრე იყო.

- ჰო, გაზაფხულზე, საკაკბიაი რო არ გენახა, სულ ნაჩხატი ყინული იყო. მამრე როგორც კი ლხობა დაიწყა, წყალღებად იქცა.
- ესეთი მძიმე ზამთარი არ ყოფილა.
- თუ გახსონ, კარგალინგოჩი (ადგილია კრასნოდარის მხარეში) რო ვი-  
დექით, მაშიც მძიმე ზამთარი იყო.
- მაში რო ცხრჭრებმა იზარალა, არა?
- არცარა ისრი, ცოტას გახვრა, ლოხი და ბებერი წამაარჩია.
- სათხეთი? ვერც ერთმა თიკანი ვერ გაზარდა. მელას რაილა მაზდიოდა?!
- მაშა, საჭურელი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა! გაივლიდა კაცი და ქუდიის  
ძირჩი მელაი შაგზღებოდა კბილებდაკრეკილი!
- სარჩო აღარა ხქონდა რა და იმიტომა.
- ფრინველი რა იყო!
- იმასაც რაილა შეეძლა. ზამთარმა გატეხა, სიჩქარე დააკარგვინა და ვე-  
ლარას იწერდა.
- არა, ეს ბოლო ხანები, თუ აკჭრდები, სულ გონჯი ზამთრები მოდის.
- ეფრემერთჩი სწერია: უარესი იქნებაო.
- ომზე არა სწერია რა?
- მაშა. თავისნაირი ახსნა კი უნდა და იქ სწერია, რო ომი უნდა იყოს  
სამოცლაშტღჩი. ისითი ომიც უნდა რქნას. რო გათაღდება, კაცი კაცს რო შახტ-  
დება, უნდა გაკჭრებულღებმა ხკითხან ერთმანერთასა: საით, როგორ, როგორ  
გადარჩიო! სულ თურმე ჩაილევა ქოყნიარება და რაიც დარჩება, იმათ სათა-  
ვენი კი თურმე ქალი ჩადგება.
- ეგეთი ცოლად მინც შახტდეს კაცსა!
- რას დღეჩი ჩავარდება!
- ამ ზამთარს რას აპირობ, ჰა?
- აბა, რაი ექნა, ვასილავ, ე ბალღებმა წელი მაიწყუტეს და ვერა თიბეს  
რა. ცხორჩი ვაპირობ წასულასა და ძროხებსაც თან მეთუჩი გავირეკ.
- დედაკაცი?
- დედაკაცი შინ დარჩება. რო გჭონდა სახლჩიგათ ბოლი გავიდეს.
- ეგაც რო ქალაქს გეგეგზაუნა, ისა შჯობდა.
- შჯობდა, შჯობდა, ვასილავ, მარა ვაი თუ ვავსაწყლდეთ და რაილა მამ-  
რე ჩონი წამალი?
- ამბობენ, ი შენი ბალღი კარგა სწავლობსო, მართალია?
- არ ვიცი, სულ წიგნებს კი ჩაშტერებია. რაი ვიცი. ერთი რამენაირად  
დამებინავა, აღარას ვიჯავრებდი.
- ჰო, პატრონი კი უნდა, უნდა...
- ახლა საითკე აპირობ?
- აი, ცხორათ გავხედავ, მამრე კი ერობაჩი ჩამოვიღლი.

- ჩონსას აღარ დაზღიხარ, დისწულო, რაჩია საქმე, ჰა?
- რაი ვიცი, დედიზმავ, შინ საქმეები გოქ და ველარ მოვაჯერკე აქ მოსულა.
- თივა მაითავეკელეთ?
- მაშა.
- კარტოხას მასთხრიდით, არა?
- ჰო, ერთი კჭრეა.
- კარგი ამაგივიდათ?
- ეგეთ ეგეთი ბუჭუაი ამახყვა, როგორც მთები.
- აბა, დედიზმათ არ გასწოლავთ?
- მაშა, შამაგიტანთ ერთ-ორ ტუმარასა.

## 4

არც არცად არ ვყოფილვარ, ხოლოთ ცოტაი გზები კი გამივლ-გამამივლია აქათ-იქით, ბორჯომჩი ვყოფილვარ, ქალაქჩი, ნიადაგა, კნიაზების სამუშაოზე ვიყვენით. ტყეჩი ვიმუშავეთ, შეშა იყო ნაჭერი, იმას ვზიდავდით ცხენებითა, ტყეჩიგათ ვზიდავდით ბორჯომჩი. ძალიან ცუდად გოვისწორდეს. აქ ჩუენებური იყო ყაზბეგი, იმან გოგრეკა სამუშაოდ, — კაი სამუშაო არისო, — მოგოტყუა. შეშა თოვლიჩი იყო დაფლული, კელებით ვიღებდით თოვლიჩიგათ და მარჯილზე ვაწყობდით. მამრე იქ ვიმუშავეთ, მამრე გომოგრეკეს ქოით — ახალდაბას ეძახიან, დღეჩი ორ გზას ვაკეთებდით. ვაგონები მაყენიან, ჩააწყუიან ვაგონებჩიგა და ქალაქჩი გაგზავნიან.

## 100. ანდაზები

- ერობაჩი გამატანილი საპერანგე სანიფხუედ გამაიჭრებაო.
- კარგი ჩუენც მოგუეწონება, გონჯი არცა თავის დედასაო.
- როცა არ არისო ხავიწიო, მკადი მარილზე დაიწიო.
- თეთრი თოვლიც არის, მაგრა ზედ ძალღები გორაობენო.
- ავთა მამათა ნაქნარი შვილიშვილს გარდაჯდებაო.
- საცა არ გაგიდიოდეს, დევს დედობა უთხარო.
- კარგს კაცთან ჩხუბი შჯობია გონჯასთან ქეიფობასაო.
- ყოვსა ფრენა გულსა ჰქონდა, კელის ახრა მეტი იყოო.
- საწყალის კაცის დღეთაო არ დაელევა კვენსაო,
- ცხენი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკა, ნუ გენანებაო.



## ლექსიკონისათვის

მოხეური ლექსიკის ნიმუშებს ვკრებდით 1948 წლიდან, როდესაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციამ მოგვიწყო პირველი მივლინება ყაზბეგის რაიონში სამუშაოდ. სალექსიკონო მასალების ძირითადი ნაწილი დამოწმებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან, ნაწილი გროვდებოდა დარგობრივად ადგილობრივ გამოკითხვის გზით და ინფორმატორების საშუალებით. ლექსიკონში გამოყენებულია აგრეთვე ნაწილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ 1966 წ. წამოწყებული ლაშქრობის („შეეკრიბოთ ჩვენი კუთხის სიტყვები“, 29/IV, 1966) შედეგად შემოსული მოხეური ლექსიკის ნიმუშებიდან (ფრჩხილებში მითითებულია ავტორები, რომელთაც ეკუთვნით განმარტება და კონტექსტი), ლექსიკონში შესულია ქ. კახალიკაშვილის, კ. ქუშაშვილის, შ. ყამარაულის, ი. ჩოფიკაშვილის, ლ. ფიცხელაურის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით ჩაწერილი მოხეური სიტყვები და თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დიალექტოლოგიური ფონდის მასალები. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციის (დირექტორი ვლ. წიკლაური) ნებართვით გავეცანით სტეფანე ალიბეგაშვილის მასალებს, საიდანაც აქ შემოვიდა სულ რამდენიმე (ერთ ათეულამდე) სიტყვა, რადგანაც ახალი ლექსიკური ერთეულების ნაცვლად, მასში მთავარი ადგილი უჭირავს ფონეტიკურ ცვლილებათა აღწერას. ამავე მუზეუმში 1949 წ. გავეცანით ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, რომლებიც თავის დროზე ჩაიწერეს ვ. შადურმა, ა. გომიაშვილმა და სხვებმა. ლექსიკონში შევიტანეთ მათში დადასტურებული ახალი სიტყვები სათანადო მითითებით (მუზ.).

მოხეური ლექსიკის მცირეოდენი ნიმუშები ამოწერილია აგრეთვე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივიდან (ფ ა), მოხეური ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალებიდან და გამოკვლევებიდან, რომლებიც ეხება ხევის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს (სია აქვე ერთვის). ამთგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვ. ითონიშვილის შრომები, რომლებშიც ხევის ეთნოგრაფიული ყოფისა და ისტორიის დამახასიათებელი მრავალი სიტყვა-გამოთქმა არის მოხმობილი.

შედარებით უფრო ვრცელი და ორიგინალური გამოდგა განსვენებული მასწავლებლის არჩილ კობახიძის (ა. კ.) მიერ ჩვენი მითითებებით შეგროვებული სალექსიკონო მასალა, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტს შესასყიდად გადასცა განსვენებულის ოჯახმა. ავტორისეული განმარტებები თითქმის უცვლელად დარჩა, დაემატა გრამატიკული დამუშავება და სტილისტური დახასიათება.

სალექსიკონო მასალები ამოწერილია აგრეთვე მოხეური ხალხური ლექსებიდან და ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებიდან, რომელთა უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია ს. მაკალათიას მიერ. ვ. ჭაფარიძის ნებართვით ლექსიკონში შევიტანეთ რამდენიმე სიტყვა შინამრეწველობის მასალებიდან, რომლებიც მოპოვებული იყო ივანე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციის შედეგად ხევში 1935 წელს ვახტანგ ჭაფარიძის მიერ (მითითებულია: შინამრეწვ. მესაქონლ. მონადირ. ტანსაცმ...).

მრავალფეროვანი, ახალი და სინონიმებით მდიდარი მასალა გამოვლინდა დარგობრივ ლექსიკაში ძველად ჩაწერილი სიტყვების შემოწმების დროს მოხვედებთან სოცლებში საუბრის პროცესში. საუბარში დადგინდა და გამოვლინდა უარტის, უარლაჯის, ნავარზღლობის და უმირტესობა სხვა სიტყვის სრული მნიშვნელობები; იქვე შეირჩა მთქმელის მიერ შესაფერისი კონტექსტები. თუ ასეთი სიტყვა ერთ სოფელშია ჩაწერილი და სხვა სოფლებიდან სინონიმები არა გვაქვს, ფრჩხილებში მითითებულია სოფელი, სადაც ეს მნიშვნელობა დასტურდება.

ხევში ძალიან ბევრი ბოტანიკური ტერმინია, განსაკუთრებით უმერქნო მცენარეების აღმნიშვნელი. აქ დაფტოვით მხოლოდ ის, რაც ა. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში არ არის ასახული.

ვრცელი და საინტერესო „მასალები მოხეური ლექსიკონისათვის“ დაბეჭდა ო. ქაჯიაშვილი 1967 წელს (სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XI, გვ. 375—451). სიტყვები და ტექსტები ავტორს ჩაწერილი აქვს 1949—1950 წწ. მოხეურ დიალექტზე მუშაობის პერიოდში. იმ ლექსიკონს და წინამდებარე ლექსიკონს აქვს საზიაროც და განსხვავებულიც როგორც რაოდენობრივად, ისე განმარტებებისა და საილუსტრაციო მაგალითების მხრივ. საზიარო სიტყვები აქ დაფტოვით იმის გამო, რომ ჩვენი მუშაობა მოხეურზე უფრო ადრე დაიწყო, ზოგ შემთხვევაში სანდო ინფორმაციების სარწმუნო ჩვენებით განმარტება და საილუსტრაციო მასალა განსხვავებულია ან დამატებითი გაგების მქონეა. ასეთი სიტყვები ანბანის რიგზე თავის ადგილას არის მითითებული (მაგალითისათვის შდრ. ყათლალი, შაგმარება, ყაირათი...), ზოგი სიტყვისა კი გრამატიკული ფორმა არის განსხვავებული (შდრ. გაჭლირება და გაჭლირვა, გაკიფხვა და იკიფხება, ჩანჩი და ჩაჩნი...).

მოხეური ლექსიკონის შედგენისას აუცილებელია ა. ყაზბეგის თხზულებათა ლექსიკის შესწავლა-გამოყენება. ა. ყაზბეგის ვრცელი ლექსიკონი, შედ-

გენილი შ. ძიძიგურის მიერ და დართული მწერლის თხზულებათა გამოცემას (1948—1960 წწ.), აქ სათანადოდ არის გათვალისწინებული. ჩვენს მასალაში არ შევიტანეთ ის სიტყვები, რომლებიც იდენტურია ა. ყაზბეგის ლექსიკონში, დავტოვეთ მნიშვნელობით და ფორმით განსხვავებული ერთეულები. მაგ., ა. ყაზბეგს უხმარია ბაყაყი — ცხენის ჩლიქის შუაგული, რომელსაც ნალი არ ედება (ტ. I, გვ. 497). როგორც იქვეც არის შენიშნული, ამჟამად ამ მნიშვნელობით იღმარება საბაყაყე, რაც ფიქსირებულია წინამდებარე ლექსიკონში. მეორე მხრივ, ახალი და უფრო ზუსტი მნიშვნელობები დაუდგინდა სიტყვებს გაწამდება, გაჯიდული, თავნი, ოჩხარი, ნალო, დალა (ა. ყაზბეგი, თხზ., III, 659, შდრ. III, 86,6). ციგლიგი, წკენტა, ჩეგნის (III, 661) და სხვა, რომლებიც მითითებულია აღნიშნული და სხვა სიტყვა სტატიების განმარტებაში.

მოხეური ლექსიკონის მთელი მასალა შედარებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატომეულთან (ქე გლ). ამ შედარების მიზანი იყო, არ გაგვეშეორებინა ცნობილი სიტყვები. ამით აიხსნება, რომ სიტყვა მხოლოდ იმ მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, რომელიც მას მოხეურში აქვს, სალიტერატურო ენაში ცნობილი მნიშვნელობა განმეორებული არაა (შდრ. კუდაბზიკაი, საკაცე, ურწანი, ქანდარაი და ა. შ.). ჩვენს მასალაში იყო, მაგრამ განმარტებითს ლექსიკონში უკვე ფიქსირებულია და, მაშასადამე, სამუდამოდ შემონახულია გუდუნა, დახავრა, რისვი, წიწკი... მაგრამ რამდენიმე მაინც დავტოვეთ იმის გამო, რომ აქტიური ხმარებისაა, ფონეტიკურად თავისებურია, სიტყვათა ისტორიისა და გავრცელებისათვის საინტერესოა (სილაქიქსილაგი, ქაშდონაი, ყორული, ყუმბილაი...) ან განსხვავებული ნიუანსი აქვს. მაგალითად: ფოხი კუთხ. (მოხ.) ცული, უვარგისი (ცხენი). ეს სიტყვა მოხეურში ნიშნავს აგრეთვე მხდალს, მშიშარას... და ანდენად დარჩა. დავტოვეთ ასევე ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც განმარტებით ლექსიკონში შეტანილია ერთი ან ორი მომიჯნავე დიალექტის მიხედვით (მაგალ., ქართლურის ან კახურის, ჭეგსურულის ან ფშაურის და სხვათა მიხედვით), მაგრამ ხშირი ხმარების სიტყვაა მოხეურშიც იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით. ანალოგიური სიტყვები ყველა დიალექტურ ლექსიკონში შედის, ვინაიდან ლექსიკონმა უნდა გვიჩვენოს გარკვეულ ენობრივ კოლექტივში სიტყვის გავრცელების ფარგლები, ამ მხრივ ქართული ლექსიკონის ბევრი ნიმუში ჭერ კიდევ შესასწავლია. მაგალითად. ლემაღე ცნობილი სიტყვაა ხევსურულადან. ეს სიტყვა გვხვდება მოხეურშიც ხალხურ ლექსებში, რომლებიც შეიძლება მოარული იყოს, თუმცა ადვილი შესაძლებელია თვით ხევშივე იყოს შექმნილი. ორსავე შემთხვევაში სიტყვა მოხეურად მიიჩნევა, ის ერთნაირად ესმით და კონტექსტში იყენებენ. ასეთივეა გობანი, დაღერება, დელამუწი, ყაირათი და მრავალი სხვა.

ყოველ დიალექტს თავისი ფონეტიკური თავისებურება ახასიათებს, საერთო ლიტერატურული ენის ბევრი სიტყვა განსხვავებული ფონეტიკური სტრუქტურით გვხვდება. თუ ეს ფონეტიკური ცვლილება ერთ კანონზომიერ-

ბას ემყარება და შინაარსობრივი ცვლილება არ ახლავს, ასეთ შემთხვევაში სიტყვის გამოტანა სალექსიკონო ერთეულად გამართლებული არაა, მსგავსი ცვლილებები ფონეტიკის ნაწილმა უნდა დაახასიათოს (მაგალითად, თვალი — თოლი, ცხარი — ცხორი...). იგივე ითქმის ზმნისწინებისა და თემატური ნიშნების დიალექტური ფორმების შესახებ (დიალექტ. მაკითხვა, შატყობა, წერამს, ხნამს...), რომლებიც დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად არ გაიგება. ამნაირად შეცვლილი სიტყვა ჩვენს ლექსიკონში არაა, მაგრამ არის იშვიათი და საინტერესო ფონეტიკური ცვლილებები, ზოგჯერ ორმაგი, ძველისა და ახლის ნაზავით მიღებული სიტყვები, რომელთა შეტანა ლექსიკონში აუცილებელი ხდება მით უმეტეს, რომ ხანდახან მთლიანი ფუძის მნიშვნელობა განსხვავებულა (მაგ. მაიბოხრებს, მოგორდება — „მოგვარდება“) ან ბუნდოვანია ცალკე, უკონტექსტოდ. ასეთებია მარგუი, ჯოკიდაი და მისთ.

პარალელურ ფორმათაგან დიალექტებში სწორის არჩევანი ძნელია, რადგან დიალექტში ესა თუ ის ფორმა ნორმით არაა დადგენილი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ორივე განიმარტება ან უფრო გავრცელებულზე და ლიტერატურულთან ახლო მდგომზე მიეთითება. მაგალითად, იხმარება მადროული და მოდროული, ამოსავალია მოდროული; საჩარულია და საჩალურაი — ამოსავალია საჩალურაი. თუმცა ერთი ასეთი ამოსავალი ფორმის გამოყოფა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ პარალელურად არის მოტანილი ბორბოქელაი || ბორბოჭყელაი || ბორბოხჭელაი. მთის კილოთგან ახლა მოხეურში და მთიულებში ყველაზე უფრო შესამჩნევია რყევა ჯ-ს და ხ-ს ხმარებაში, განსაკუთრებით სკოლაგავლილი და ახალი თაობის მეტყველებაში. დასტურდება როგორც ხელს სდებს ისე ველს სდებს, როგორც მათავხელბებს, ისე მათავველებს. ამოსავალი თითქოს უკანასკნელი ჩანს, მაგრამ თანაბარი გავრცელების გამო ზოგი ამგვარი ფორმა ცალ-ცალკე შევიტანეთ, თუმცა, ვიმეორებთ, უპირატესობა ჯ ბგერის შემცველ ერთეულებს ენიჭება.

ბევრ სიტყვას დიალექტში დაუთავს პირველადი (არქაული) მნიშვნელობა, შეუძენია გადატანითი და მეორეული მნიშვნელობაც. ცხადია, დიალექტურ ლექსიკონში ეს, ლიტერატურულისაგან განსხვავებული, მნიშვნელობა აისახება. ამის გამო არის გამოტანილი სალექსიკონო ფორმებად მურდალი, პეპელა, ჭალი..., რომელთა ცნობილი (საერთოლიტერატურული) მნიშვნელობების გამოყოფა აქ ამჯერად საჭიროდ არაა მიჩნეული. ლექსიკონში აისახა ზოგი საინტერესო არქაული ფონეტიკური სახით შემორჩენილი სიტყვა, რომელიც ადვილად გასაგები მნიშვნელობის გამო ვარჩიეთ უკონტექსტოდ წარმოგვედგინა (ფირტიი...).

ლექსიკონში სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნებისათვის კი აწმყო-მყოფადის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ფუძეა გამოყენებული უპირატესად იმ შემთხვევაში, როცა სხვა ფორმები არ

იწარმოება და არაა დადასტურებული; ზმნის ფორმაში, როგორც ეს დადგენილი და მიღებულია, უფრო სრულად ჩანს ლექსიკური მნიშვნელობა. ამას გარდა, ასეთი ფორმები უდავო და ნამდვილია, ხმარებაში დასტურდება, აღდგენილ და საექვო ფორმებთან უპირატესია. მაგალითად, იხმარება ჩაათქრობს, ააგდებს, ჩაადენს, ხოლო ჩათქრობა, ჩადენა, აგდება ან არ გვხვდება, ან ეს მნიშვნელობა მათში არა ჩანს. მაშასადამე, ამით არის გამართლებული, რომ ლექსიკონში შეტანილია აარეულებს (და არა აარსებული „არეულება!“); მაგრამ, მეორე მხრივ, ეკონომიის მიზნით გვაქვს მისდარი და ფრჩხილებში ზმნის გვარის პირიანი ფორმები და მიმღობა, როცა შესაბამისი კონტექსტი რომელიმე მათგანისათვის გვაქვს და მნიშვნელობები ამ ფორმებს განსხვავებული არა აქვთ: გაბეჭვნა (გაბეჭნავს, გაიბეჭნება, გაბეჭნილი). ეს წესი არაა გატარებული განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთი ფუძისაგან წარმოებულ სიტყვებში (შაირევა, შარეული — ცალ-ცალკეა).

სალექსიკონო ერთეულად, როგორც წესი, ანბანის რიგზე ერთი სიტყვა გამოაქვთ. ამ ერთი სიტყვის ბუდეში იყრის თავს მასთან დაკავშირებული იდიომური გამოთქმები და ფრაზეოლოგიზმები. რომლებიც ერთ სიტყვაზე მეტია, შესიტყვებაა. გვაქვს ერთეული შემთხვევები, როცა ასეთივე შესიტყვებები აუცილებლობის გამო გამოტანილია სალექსიკონო ერთეულად. მაგალითად, ცალ-ცალკე ცნობილია, რასაც ნიშნავს ტაბაკი, ქადა, სისხლი, ალგომა და ესენი დიალექტურ ლექსიკონში არ შევა. მაგრამ სულ სხვაა მოხეურში სისხლი აუდგება, ტაბაკის ქადა და მისთ., რომლებიც ამ სახით არის შეტანილი და განმარტებული.

მოხეურ დიალექტში ფართოდ არის გავრცელებული ნასახელარ ზმნათა წარმოება. რამდენადაც ამოსავალ ფუძესთან კავშირი ნათელია, ამდენად ყველა მათი შეტანა ლექსიკონში საჭიროდ არ ვცანით (იგონჯა, ინერბა, იცისკრა, გამაიწუისქილეებს...). ეკონომიის მიზნით ზოგიერთ ასეთ სახელთან პარალელურად არის მოყვანილი მისგან ნაწარმოები ზმნა (ბოტობა, ბოტობს, ბოტებს; ყაშყაში, ყაშყაშებს...). დიალექტებში ასევე შეუზღუდავად წარმოიქმნება ახალი სიტყვები, რომლებიც წარმოების პრინციპითაც საინტერესოა და შინაარსობრივადაც. მართალია, ზოგ შემთხვევაში ასეთი ახალწარმონაქმნები ფართოდ გავრცელებული არაა, მაგრამ სოფლის ან ინდივიდის მითითებით რამდენიმე მათგანი შეტანილი გვაქვს (ღუგღუგა, თუხთუხა, საწრინტობელაი...).

მეორე მხრივ, დიალექტურ ლექსიკაში ძალიან საინტერესოა არქაული ფენა. მართალია, სიტყვათა მნიშვნელობები უფრო ადვილად და სწრაფად იცვლება, ვიდრე გრამატიკული ფორმები, მაგრამ გარკვეული ჯგუფის სიტყვები ათასი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ თავის ძირითად მნიშვნელობას. ამის დასტურია მთიულური მოსელი, მოხეური გალი|გალი|გალო (შდრ. „ვით გალსა ხესა განმიხმო ძირი. დ. გურამ. 266,2), გაზიდვა — დაკეტვა, დახურ-

ვა (შდრ. განსაზიდი „კარი“ ი. პეტრიწთან), სახელის ზადება (შდრ. სახელს სდებს). გაწოლავს — გაყოფს, გატიხრავს (შდრ. განწუალვა, მწუალებელი) და ა. შ.

ლექსიკონში აისახება ენის ისტორია, ხალხის ცხოვრებისა და სამეურნეო ყოფის წარსული, რწმენა და ჩვეულება. მაუხედავად იმისა, რომ ხევის მეურნეობა არაა ისე მრავალდარგოვანი, როგორც, მაგალითად, კახეთისა, მოხეური ლექსიკა ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია. ბევრი რამის მთქმელია ხევის ყოფაცხოვრებისა და ისტორიის შესასწავლად ხმლის ქარქაშობა, ძნის კული, ჭორობა (ჭვარობა) ამპარიობა და მრავალი სხვა, რომელთა განმარტება და კონტექსტები, უდავოდ, ბევრ საინტერესო საკითხს აღძრავს. ლექსიკონში წარმოდგენილია მოხეური საკმელ-სასმელების, ჩასაცმელ-დასაქურაის, ხელსაქმის, შინამრეწველობის, სამეურნეო ინვენტარის, მესაქონლეობის, მემინდვრობის, ხელოსნობის და სხვა დარგების ამსახველი ლექსიკა, რომელთა უმეტესობა საერთო ქართულია წარმოშობითაც და წარმოებითაც, მცირე ნაწილი კი რუსული, ოსური და ვეინახური ენების საზიარო მასალა ჩანს. ამ ლექსიკური ფენების კვლევა მომავლის საქმეა.

მოხეური დიალექტის ეს ლექსიკონი სისრულის პრეტენზიას ვერ დაიჩემებს: დიალექტის, საერთოდ ცოცხალი მეტყველების. ლექსიკონის სისრულით შესწავლა ძნელია. ეს მაინც მასალებია ძნელად მისაღწევი სრული მოხეური ლექსიკონისა. მისი შევსება ამიერიდან უფრო ადვილია, რამდენადაც უკვე ვიცით ის, თუ რა გვაქვს. ამ მიმართულებით დაინტერესებული, საქმის მოყვარული და მცოდნე პირები მუშაობას არ დაიზარებენ.

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში სასარგებლო რჩევისათვის მადლობას მოვახსენებთ მასწავლებლებს ვ. ტუჩაშვილს, თ. დავითაშვილს, ი. ჩქარეულს. ვ. ჩქარეულს, შ. გელაშვილს, დ. ლუღუშაურს, ექიმ ი. ფიცხელაურს, კ. ქუშაშვილს, ქ. კახალიკაშვილს, ა. ქუშაშვილს, ე. ელოშვილ-ჩქარეულს, მუზეუმის დირექტორს ვლ. წიკლაურს, ა. ს. ბექაურს, ა. ი. შადურს, ვარ. შადურს, განსაკუთრებით — პროფ. ვ. შადურს და პროფ. ვალ. ითონიშვილს.

## მოსეური ლექსიკონი

ააგდებ-ს ატებს, გაალიზიანებს. „ბალლი თავისთჳი ჭკუიანად თამაშობდა და მაგან ააგდა ძალად; ეგ არ ჩხუბობდა და ამან ააგდა“.

აარეულეებ-ს დახენა-დათესვამდე წინასწარ გატებს, აყრის, აჩეჩავს საყანე მიწას გაფხვიეობის მიზნით. „ნაყამირალი ავარეულე“.

აატოტებ-ს ორ ფეხზე შეაყენებს. „მკედლარი ცხენს წინა ფეკებით აატოტებს“.

აატუტებ-ს ამტუტებს, ააფორიაქებს, მოსვენებას დაუყარგავს, არ მოეშვება. „თავზე დამადგა, სულ მთლად ამტუტა — გინდა თუ არა ფული მამეცო“.

ააცივცივებ-ს ციმციმ ასწევს, ერთბაშად, რაიმეზე დაუყრდნობლად აიღებს. „თივიანი ურმის თოლი სულ მთლად აცივცივია“.

აბაბაბა შორისდ. გამოხატავს უარყოფას, გაკვირვებას. „აბაბა, ვერც როგორ ვერ დაეღვე არაყსა“: „აბაბა, რამდღენი ხალხია“!

აბაზა-ი ადგილი, სადაც ზამთრობით თივის ზვინი დგას, ზაფხულობით კი მწვანე ბალახია და სუსტ ცხვარს ან ხბოს აძოვებენ.

აბარბარე, ბარბარე I. საფერხულო სიმღერის მისამღერი. „ხატობაჩი მღერობდიანკე, ფეკისა გაამბიან, ერთუცს მჯრებზე შაადგებოდიან, ქოითით ამასძახიან: აბარბარე, ბარბარე, ჩამაყარე მალ-მალე; ზაითით ჩამაზძახიან; აბარბარე, ბარბარე, ნუ ჩამოგტყარი მალ-მალე“! (ყ ა ზ ბ ე გ ი). სხვა სოფლებში სხვა ვარიანტებითაა: ექესი ვაჟი მხრებზე შეადგება ექვს ვაჟს, მეცამეტე წრეში დგას და ლუდით უმასპინძლდება. ზემონი ჩამოსძახებენ: „აბარბარე, ბარბარე, ნუ გოდმოგყარი მალ-მალე; ქვემონი შესძახებენ: თუ გადმაყრა არ გინდაო, ლუდი გოსონ მალ-მალე“. 2. ფ ი გ უ რ. მაღალი და ფარღალალა შენობა (შდრ. ქ ა რ ა ნ ქ ო ხ ი). „აბარბარესავით სახლი აუგია“. 3. მაღალი, აყლაყულა. „აბარბარესავით შეხედულება აქტ“ (შ. გ ე ლ.).

აბაძებ-ა (აბაძებს, აებაძება). გაყოლა, გატირება, აღვენება. „რანისაითჳი აბაძებ, ბალლო, დედას, გაუშუი, ჩქარ დაბრუნდება“; „ისრი წადი, რომ ხიზანმა არ დაგინახას, თორო აგებაძება“.

აბელა-ი ოჩოფება, კაგები, კაუქებიანი ჯოხი სასიარულოდ. „აბელაი გუქონდა, წყალჩი გავდიოდითკე“.

აბეშიკ-ი ტყის მცველი (იხევედчик). „ერთი კუჩირის ვადა გოგითავდა და აბეშიკი მოიდა“.

აბზიკებ-ს ბზიკის ნაკბენივით იქცევა, ცხარობს, ბრაზობს. „რაი გაბზიკებს, ბზიკები რო არ შაგისხდეს?“ (შდრ. ბ ზ ი კ ო ბ ს, დ ა ბ ზ ი კ ე ბ ა).

აბირებულ-ი ატირებულნი, ერთად აბღაღებულნი (იტყვიან უპირატესად ცხვრის ფარაზე, მარილი ან წყალი რომ მოუნდება და ბღავის). „მთელი ერთი კჭირა გზაჩი უწყლოდ ვიარეთ, ცხორი აბირებული დოგიდიოდა“.

აბლატუნებ-ს თოლთა თვალებს უაზროდ, არეულად აშტერებს. „გონჯა აბლატუნებდა თოლთა“.

აბოლება (ააბოლებს, აბოლდება, აბოლებული) ურმის ზელნების მალა აწევა, აყირავება. „ურემი ააბოლე, რო ცხენი შავამბა“; „ბალლები ურემს აბოლებენ“ (ა. კ.).

აბოროლებ-ს აბრკოლებს, ჩქარა და დროზე ვერ აკეთებს, თავს ვერ აბამს (შდრ. ბ ო რ ო ლ ო ბ ს). „აბოროლებს საქმეს“.

აბოქებ-ს აგულიანებს, აქეზებს (შდრ. ბ ო ქ ა). „გიგლაი თავის ბალს საჩხუბნელად აბოქებს“.

აბრა-ი ძვირფასი თვლებით მორთული სამკაული, ძღვნად მისართმევი. „ჯორწილჩი აბრაი წავიღეთ საჩუქრად“.

აბ რაი ვიცი აბა, რა ვიცი.

აბრამისწურა-ი მცენარეა — ვაციწვერა.

აბრეზილ-ი ამრეზილი, გაბრაზებული. „სულ აბრეზილი დადის, თუ შაგხტდა, იმ წუთს ჩხუბს დაგიწყებს“.

აბუნგალება, აბუნგლება (ააბუნგალებს, აბუნგაღდება, აბუნგალებული) აკვამლება, ამტვერება, ბულის დაყენება. „მანქანებმა გზა ააბუნგალა“. „ნუ აბუნგლებ სახლსა, ისრი გამახტეტე“!

აბღერ-ს თოლებს თვალებს აბრიალებს; შეშინებული სამოწყალოდ იტკირება. „ის ბალლი გონჯა აბღერდა თოლსა“.

აბღეტება აბლოტება, აფოფხება. „კლღზე აბღეტება“.

აგა მითითებითი ნაწილაკი აი. „ცხორს აძოებს აგა იქა, გაღმა მთაზე“; „დაწეგ ახლა, აგა ემანდაო“.

აგანებ-ს ახერხებს, (გა)ხდება, (გას)წვდება. „მთელი დღე ვფათურობ და ბევრს კი ვერას ვაგანებ“.

აგება (ააგებინებს, აუგებს) წისქვილში საფქვეავის დარიგება, ხვიმრაში ჩაყრა. „წისქვილს სიმინდი ავუგე წუხელა და ჭერთ კიდავ არ ჩამოსულა“; „პაპამა წისქვილს ამაგებინეო. — ჩტენთათ საფქოვი უგია და ვერ აგაგებინებო (ა. კ.).

აგელებ-ს აგელვებს, აჭირითებს. „მინდორჩი აგელებდა ტიტველა (უბელო) ცხენს“.

აგრა, აგრაი მითითებითი ნაწილაკია — აი (შდრ. ა გ ა, ა გ ა ი). „სადაა ცხორი? — აგრა იქა“; „აგრა ის ქალი მამწონს“.



აგრე იხმარება დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით — ჰო, კი, დიახ.  
„ძაუგჩი რო ჩამოხოლი, ჩუენს მოხტიდოდე — აგრე, აგრე, მოვალი“!

ადაი-დადაი მწუხარების გამომხატველი შორისდებული: მოტირალნი მი-  
ცვალეხელს ირგელივ უელიან ხმამალაი შეძახილით და გარკვეული მოქმე-  
დებით: ა დ ა ი ს იტყვიან და ხელებს თავზე შემოირტყამენ, და დ ა ი ს  
დროს — მუხლის თავებზე ჩამოიწყობენ.

ადაშურას ზ.ს. საჩქაროდ, სახელდახელოდ. „ადაშურას ნაკეთებია და  
იმიტომაა ეგეთი სუსტი; ადაშურას გაცუივდეს და რაიც წასალები იყო, სულ  
აქ დარჩათ (ა. კ.).

ადგილ-დედულ-ი დედისეული ადგილი, ქონება. „ადგილ-დედული მიყიდ-  
მაყიდეს და გადაიწაფრეს აქათითა“.

ადგილის წილით გამასულა უწილოდ წასვლა; სახლ-კარსა და უძრავ ქო-  
ნებაზე ხელის აღება. „ნადირავ კობახისძეო, მთის პირზე დახქენ ბილიკი, ად-  
გილის წილით გამახტე, გამაილოცე ჩირიკი“ (ხ ა ლ ბ. ა. კ.).

ადეგილ-ი ცუდ ან კარგ გზაზე დამდგარი. „ვაი, ცოდვილი აგრე გონჯ საქ-  
მეზეა ადეგილი და აბა რაილა ეშუტელება“; „რა კარგია კარგი კაცი, კარგ საქმეზე  
ადეგილი“ (ხ ა ლ ბ.).

ადელ-დუდელ თამაშში გამოყენებული სიტყვებია. ბავშვები დამწყკრივ-  
დებიან. ერთი მათგანი ჩამოუვლის და ყველას ხელს მკერდზე დაჰკრავს, თან  
ამბობს: „ადელ-დუდელ, თამარ და გელ, ფიცერ-ფაცერ, ნაორლალი, ასხამეტი,  
თხათა მტერი, მოუდი და მოქალაქე, ღმერთო, გაუმარჯვე, ოცი!“ უკანასკნელი  
სიტყვა ვისაც მოუწევს, ის გასულია, დანარჩენები აგრძელებენ თამაშს ერთი  
მოთამაშის დარჩენამდე.

ადი-ს ე ვ ფ. პირუტყვის სქესობრივ აქტზე იტყვიან. „ლამაზ ნაკტები მა-  
ზუერია, ძროხაზე კარგა აღის“.

ადიტკოვება (ადიტიკოვებს, ადიტიკოვდება, ადიტიკოვებული) ალღეცა,  
ატყავება; ჭინჭრის დასუსხულის ან კოლოს ნაკბენის მსგავსად კანის შეშუპება.  
„მხრიშე ახალუნმა კისერი ამიდიტიკოვა“. || შესივება; დასუსხვა, დაქანთელავება.  
„ჭინჭარმა კელი ამიდიტიკოვა“.

ადლა-დადლა იგივეა, რაც ადელ-დუდელ. გათვლა აქ სხვაგვარია: „ადლა-  
დადლა, ზემლა-მამლა, კაპტი-კუპტი, ჩაზდა-მაზდა, აზდი კაკოი, მაზდი კაკოი,  
კაპ“!

აეწონებ-ა შეედრება, შეეთანასწორება. „ყმაწვილო, ტურფად გაზრდილო,  
დიდ გორას აეწონები“ (ხ ა ლ ბ.).

ავაიმე შორისდებ. ვაიმე. „ავაიმე, ჩემო დედაო, ფეკნი დავიწუი კი-  
რითა, სადამდე უნდა ვიწვალა მე ესრე ცოდვა-ჭირითა (ხ ა ლ ბ.).

ავარდნა (ავარდება, ავარდნილი) 1. საქონლის ახურება, ატეხა. „ძროხა  
ავარდა“. გ ა დ ა ტ. ზ ი ზ ლ. უწესოდ ქცევა, ურცხვობა, იტყვიან ქალზე: „ავარ-  
დნილი დედაკაცია“. 2. წერას აყოლა, წერისაგან ატანა, ახირება. „ისრი ავარ-

და, რომ ან შამაიკლავს ვისმე, ან თითონ შამააკუდება ვისმე“; „ეგ კაცი თავის სამწერლოდაა ავარდნილი“ (ა. კ.).

ავ დადა დაი, ავ დადა დადაი ზიზლის, შიშის და გულისწყრომის გამომხატველი შორისდებული. „ავ დადა დაი, როგორი გონჯი სუნი დიოდა“! „ავ დადა დადაი, როგორ შემაშინე“!

ავეს ასვლისას, ასვლის დროს. „ბიჭო, არშისა ციხესა, გან შენისთანა ყმა უნდა, ავეს ამტანი აბჯართა და ჩამომტანი სხვა უნდა“ (ხ ა ლ ხ.).

ავ-შავ-ი ავი, თავხედი, ურცხვი, შეუპოვარი. „ჭირისუფალთან ჩხუბს ის ღებდავდა, ვინც ავ-შავი და შაუპოვარი იყო“.

ავშან-ი მლაშე ბალახია, ყიზლარში მოდის.

აზამთრიანებ-ს ზამთარს გამოარონინებს, გამოატარებს. „ცხორი ყიზლარ-ჩი გარეკიანკე, აზამთრიანკე იქა“.

აზაფხულიანებ-ს ზაფხულს გაატარებინებს საძოვრებზე. „თუ მაგარს, კარგს ბალახიან მთაჩი აზაფხულიანე ცხორ-ბატკანი, ის ზამთრისთჳი საიმედოა“.

აზირ ბარემ, ნეტამც. „აზირ, მე მამკლანო“, 304.

აზრი იგივეა. რაც აზირ, ბარემ. „აზრი ცხენზე შასჯდე და ისრი წახუიდე?“

აზლოტებ-ი ჩოხის ან ახალუხის კალთებში ჩამატებული, შესაყენებელი ნაჭერი (ა. კ.).

ათლათუხა, ათლაფუხ-ი ნაჩქარევად და უხარისხოდ შემზადებული წვნიანი საკმელი. „ათლაფუხი მეეთლუხთლუხა დედაკაცსა და იმ ათლაფუხით გოგამასპინძლდეს“; „ათხლაფუხი წყალჩი მოხარშული სიმინდის ფქუილია“ (ს ნ ო).

ათრა (ათრის, ათარა) აათრევს, თრევით აიტანს. „უყურედა, ქალაჲ, როგორ ჩურჩის პარკასავით ათარა“.

ათათხებ-ა უშნოდ წამოდგება; მალა ავა. „მაიმუნად აითათხა კიბეზე“.

ათთვისებ-ს შეითვისებს, შეიგუებს, შეიჩვევს. „დედაცხორი რო ბატკანს არ აითვისებს, არ შაიყორებს, მაშინის მწყემსმა ერთი ღლე-ღამე უნდა დატოვას ღლე ბატკანთან ქობულაჩი“.

აიონცებ-ს ააიანცებს, არევ-დარევს, აიკლებს. „ხიზანმა აიონცა სახლი“.

აიტკრიცებ-ა გაიტკრიცება, დაკუტდება, დაჯდება, არ აიწევს (ცომი, ნამცხვარი, შდრ. ქ ე გ ლ).

აილრანტებ-ა ტანს აიყრის, წამოიზრდება. „მასცქირე ამასალა, როგორი აილარანტა!“ (ა. კ.).

აიშე (—აი შენ?) შორისდ. იხმარება მოულოდნელი გაცეხის შემთხვევაში: ერთი ნახე, ამას უყურე, ამას დამიხედეთ. „აიშე, ამასალა, როგორი გაზრდილა“! „აიშე, მე რაილა დაგიშავე“?!

აიძაბებ-ა უპატრივც. უშნოდ ავა, აიწევს, აეთრევა. „ეხლანის აქ იყო და აიძაბა ალბათ ზემოთკე“.

აიძრახავ-ს ალაპარაკდება, ხმას ამოიღებს. „ეგრე იყო ენაჩავარდნილივით, აღარ აიძრახაო“.

აიპიტებ-ს გამოიღარებს, იპიატებს. „განიეებული წყიმდა და ეხლალა აიპიტა“.

აკაკალ-ი სიმღერის დასაწყისი სიტყვაა. ახალწლის წინა საღამოთი ბავშვები ჩამოუვლიდნენ ოჯახებს და სთხოვდნენ: „აკაკალი, ბაკაკალი, გადმოგვიყარე კაკალი“... ოჯახიდან გადაუყრიდნენ რაიმე საჩუქარს.

აკანება (აკანებს, აკანდება, აკანებული) შეწვა, კანის დაბრაწვა. კარტოფილის თხლად, ფენა-ფენა შეწვა, პურის ლავაშებად, შოთებად გამოცხობა. „აკანება ვიცითკე, კარტოხას ლომელზე დავდებთკე“; „აკანებული პურები“.

აკეურებ-ს კეურს (კოურის) აჩენს. გადატ. ამაგრებს, ტკეპნის, „ცხორი თუ ერთ ადგილზე დიდ ხანს დარჩა, მიწას აკეურებს“.

აკმარისებ-ს აკმარებს, აყოფინებს. „კარგია, კულა, მაკმარისე ამღუენი გინება!“

აკო 1. მოჩუქურთმებული სკივრი, პატარა ხარო ხორბლის, ქერის ჩასაყრელად, 2. კედლის თარო, თახჩა. „აკო ხაროზე ბატარაია, მოჩუქურთმებულია, ზაითით იკდება. ქერს ვინახავდითკე“ (კარკუჩა): „ლეწვის შემდეგ პურს გოდრებჩი, აკოჩი ინახავდიანკე“.

აკოშკორავებ-ს ააკოკოლავებს, აახუხულავებს (თივას, ქვებს...). „თივას აკოშკორავებს“. გადატ. უშნოდ, ნაჩქარევად აგებს, აშენებს. „ვალერაი სახლს როგორ აკოშკორავებს, ერთი შახედელა!“

ალაბალა ბეწვის, მტერის, ქატოს... ნარევი სითხე. „წონი დოგისხეს და მთელი ალაბალაი შიგ იყო მაქცეული“; „ალაბალა ჩალაო, ყველა მუცლის ღალაო“ (ხალხ. ა. კ.).

ალაი (ალაპი?) რალაც შესაწირავის თუ ღვთაების სახელია. მონადირეები ჩიხეს რომ გაატყავებენ, ფაშვ-წაწლავებს და თავს გადაყრიან და თან დააყოლებენ: — ეს ალასაო.

ალალი გუელი იგივეა, რაც ფუძის გუელი.

ალალალაი განცუიფრების გამომხატველი შორისდებული. „ალალალაი გივარგიაო, რას ალავას მიღვარდიაო“ (ხალხ.). „ალალალაი, როგორი ცოდო-ბრალი დაატრიალე მაგ სისხლადლმა“ (ა. კ.).

ალაყა-ი აყალო, თიხა მიწა. „კედელი ალაყაით გალესა“.

ალაყულაი-ი აყლაყულა, უშნოდ მაღალი, ზევით აშვერილი. „ბაჭყამ ალაყულაი დადგა, თივის აგება არ სცოდნია“!

ალაჭყებულ-ი იგივეა, რაც ალიჭყებული.

ალახ, ალახ სიტყვა-სიტყვით „ღმერთო, ღმერთო“. გამოთქმაში იხმარება

გაოცების, დანაშაულის ან ალტაცების გამოსახატავად. „ალახ, ალახ, სიკუდილს გადარჩა, ალახ, ალახ, რა ცუდუბრალოდ დასაჯა!“

**ალაჯი**-ი თასმა, წერილი ღვედი. „ძირახლები ვერ ჩავეცუ, ალაჯი გაწყობ-ტოდა“; „ალაჯი მაგრა შამაიჭიროდე, თოვლი არ ჩაგვივა“.

**ალიერა**-ი ბოტ. გაზაფხულის თავყვითელა.

**ალივანი**-ი ალიონი. „ალივანმა მათა და გიგიაი კი არცად ჩანს“.

**ალიჭყებულ**-ი ლიჭყიანი, თოვლ-ჭყაპიანი; ატალახებული. „ალიჭყებულნი გზაია; ცხტრის სადგომი ბაქები ატალახებული რო იქნება, იმაზე იტყუიანკე“; „ალიჭყებულნი ძიოსადგომია, ცხორი არ შაიყრებაო“.

**ალმათ**-ი, **ამლათ**-ი სწრაფი, მოულოდნელი თავდამსხმელი, ამბობენ ხოლმე მგელზე. „ალმათია ეგ ოჯერი“!

**ალმანი**-ი, **ალმანობა** 1. ბარობა, ანაბარა. „ცოლის მეტი იმის ალმანზე არც ვინ იყო“; „საცოდავი ბაღის ალმანობაზე დარჩა ავადმყოფი ბებერი“. 2. თაობაზე, შესახებ, დაკავშირებით. „მაგის ალმანობაზე დღეის ამას იქით ემა არვინ ამილას, თუ სიცოცხლე არ შალბეზრებიაო“.

**ალმასებ**-ი ძაღლის ყელსაბამი ჩანგლები, ლურსმნისებური წვეტები აქვს გამოშვერილი, რათა მგელმა ვერ დაიმორჩილოს და კისერში ვერ სწვდეს.

**ალმაცერა**-ი ალპური ზონის ბალახია, კონინდარს წააგავს. „ალმაცერაი შუა ზაფხულში გაჩნდებაკე“.

**ალღეშ**-ი უჭკუო, ჭკუათხელი; ტუტუცი, მოსულელო. ზ მ ნ ს. „ალღეშ ლაპარაკობს“. გ ა დ ა ტ ა ნ. ს ა უ ბ. ცელქი, გაუგონარი. „ალღეში ბაღია“.

**ალხ**-ი გამხდარი, ხმელ-ხმელი კაცი, იტყვიან ცხენზეც. „ალხი ცხენია, ჯორცს არ იყენებს“.

**ალხინწა**-ი ოქრომკედის ან სირმის დახლართული, თავისებურად გამოყვანილი კილოებისებური ნასკვი ტანსაცმელზე (ჩოხა-ახალუხის, კაბის, ყაბალახის კიდებზე) შესაკრავად (შდრ. ღ ი ლ-შ ა ტ ი). „გულისპირი, კალთები ალხინწაით და ხარდებით იყო გამართული“, 246. „ნაქსოვზე ალხინწაი დოგრა შამასაველები“.

**ალხო-მალხო** თამაშში გამოყენებული გასათვლელი სიტყვებია. თამაშის დაწყებამდე ბავშვები ჩაცუტვლებიან ერთად, მუშტებს აწყობენ რომელიმე მონაწილის კალთაში, ერთი იწყებს მუშტებზე თითის დადებით თვლას: „ალხო-მალხო, ჩიტმა გლახო, შენი ფესუი, ფესუ-კოკორი, აისუტი-დაისუტი, შიგაც ნემსი ჩაისუტი“. ვისზედაც თვლა მოთავდება, ის გასულად ითვლება, ხოლო თვლა გრძელდება უკანასკნელი მოთამაშის გასვლამდე.

**ამავეღვეს** ამოარონინებს, ამოატარებს. „ალათანი გი ელშაკრული არ ამაველიათო“, 141.

**ამაასნაკებ**-ს ამოასლოკინებს. „რო ამაასნაკებს, საზღული აქუო, ხიზანზე იტყუიან“.

ამატოტდებ-ა ფეხებს მიადგამს, მოფერების მიზნით წინა ორ ფეხს პატრონის კალთებზე მიაბჯენს. „ჩემი ძალი ამამატოტდა“ (ვლ. წიკლ.).

ამაბარწყვლა (ამაიბარწყლავს, ამაბარწყლული) შემოკალთვა, ამოკაპიწება შარვლის ტოტების ან კაბის კალთებისა. „ამაიბარწყლა კაბანი და წყალჩი ისრი გაურია; ბატარისავეთ ამაბარწყლული დეეყუღება“ (ა. კ.).

ამაგება ენისა ენის ამოდგმა, ხმის ამოღება. „ჩუენმა ბალღმა ორის წლისამღა ამაგა ენა“; „რას გასჩუმდი, ენა ამაგე“!

ამაიჭუჭკავ-ს ამოიხვევს, შემოიკრავს, თბილად შემოიფარებს. „ნაბადი კარგა ამაიჭუჭკე“ (ა. კ.).

ამაიჯინდრებ-ა გადიდგულდება, აიფხორება, გაიბღინძება.

ამაკაკაურება, ამაკუუყვება ამოპანღურება, კუკუს კვრით გაგდება. „ლოთს ამაუკაკაურე (ამაუყუყუევეს) კორჩიღიგათ“.

ამაკაჩვა შარვლის ტოტების ან კაბის ამოწევა მუხლამღე, კაჩების (კანჭების) გამოჩენა. „ამაიკაჩე და ისრი გაიარე წყალჩი“.

ამალა, მრ. ამალანი კოლექტიურად დამხმარე მუშახელი მშენებლობაში, ნადი. „რომ დეეხმარებიან ერთი მეორესა, ხარჯს არ გასწევენ, მარტო პურს აჭმევენ, იტყუიან — ამალანი შახყარაო“; „ამალანი ხო არ გინდაო“? „მთელი ამალაი იყო და რაი გააკეთეს“?

ამალობა 1. ამალის შეყრა, ამალაში ყოფნა. „ამალობაჩი ვიყავით“. 2. ერთად, ჯგუფურად სიარული, ყაჩაღობა. „ვერ მიიშალეს ამალობა“, 134.

ამანათ-ი შემოხიზნული, გადმოხვეწილი, თავშეფარებული. „თუ კაცი საღმე შამააკუღა და იქითით ჩუენს მოვიდა, შოგობუეწა — შამიფარეთო, იმას ამანათი ექუინა, უნდა შოგეწყალა“; „ამანათებს ცხო სოფლით მასულებს გუეძაჩღეს“, 253.

ამანათობა ამანათად (ნ.) მისვლა — შეხიზვნა, შეკედლება, შეფარება თავდაცვის ან დანათესაება-დამოყვრების მიზნით. „ამანათობა იცოლიანკე, ერთურთის გატანა, შაფარება“.

ამანიყება იხ. ამონიყება.

ამანოსკვა იხ. ამონოსკვა.

ამასკერავ-ი საკერველი, დასაკერებელი, საძირე, ლანჩა. „ძროხის ან ღორის მთლიან ტყავს ფეჯის ზომაზე გამასკერიან და სახლჩი შეკერილ ფეჯსაცემელს ძირს ამასკერებენ. ემას ამასკერავი ჰქვია“; „ამასკერავი დავალბე, ქალაბნები უნდა ამოვაკერა“.

ამატაკულ-ი უზრდელი, უსაქციელო, უტიფარი. „განალა ბალღია, რო ხიზანჩი დაღის!.. ის კი არა, ამატაკულია, უმცროს-უფროსობა არ იცის“.

ამატარტლულ-ი||ამოტურტლულ-ი ნავაეში ან ტალახში ამოგანგლული, ამოთხუპნული. „კაბის ბოლონი ამატარტლული ჰქონდა“ (ა. კ.).

ამატება (ამატებს, ამატებული) კამის დამთავრება, სუფრის ალაგება.

„როგორ ჩქარ აიმატე!“ „შენ რო კამა დაიწყე, მე მაში ამატებული მქონდა.“ „სუფრა აიმატეთ“!

ამატოტავ-ს მოიპარავს, ამოიღებს. „კინტულამ ქობჩიგათ კორცი ამატოტა“.

ამაუტყლაპებ-ს მესტების ან წაღების ძირებს გამოუკერებს. „დედამ ქალბნები ამამიტყლააა“: „არ მცალიან, ქალას სილამ წულებს არ ამაუტყლაპებ, ვერ მაგხედავ“!

ამაფხანთვა უშნოდ და ნაჩქარევად ამოქსოვა. „წინდები სიჩქარით ამაფხანთა“ (ყ ა ზ ბ.).

ამალაბრება (ამაულაბრებს, ამაულაბრდება, ამალაბრებული) 1. დამშვევა, შიმშილით მუცლის ჩავარდნა. „შიმშილით ამალაბრებული მძლივ დავდივარ“ (ა. კ.). 2. ლოდინით დაღლა, თვალების ამოღამება. „თოლები ამაულაბრდა დედას შვილის ლოდინით“ (შ. გ ე ლ.).

ამალღლვა ნართის ერთი პირის ანუ ერთი წვერის მეორე წვერთან ამოხვევა დაძახვის მიზნით. ერთი წვერი სუსტია, ორი კი მაგარი. ნაქსოვში ზოგჯერ ერთი წვერიც იხმარება. ამიტომ კითხულობენ: — „ერთი პირია თუ ამალღლილია ნართი?“ (ყ ა ზ ბ.).

ამაჩურთვა (ამაჩურთავს, ამაჩურთილი) 1. უშნოდ ამოჩრა, ამოშვერა. „პერანგის ბოლონი ამაჩურთვია“. 2. ამოდება, ხელში უშნოდ დაჭერა. „იღლიაჩი პური ემეჩურთა და ისრი მიხქონდა“; „როგო ამაჩურთული მიხყავს ბალღი, არ ეშინია, რო რაიმე ატყვიანას“?

ამაჩურჩილ-ი ამოჩაჩული, უშნოდ ჩაცმულ-დახურული. „რას შნოზე აქჟ ხალათი ამაჩურჩილი“!

ამაცხუირავა (ამაცხუირავს, ამაცხუირული) ხეების თავში ნახვრეტის გაკეთება საბელის გამოსაბმელად და წასათრევად. „ხეები ამაცხუირავ“.

ამახუიღებ-ს ძვ. ც რ უ რ წ მ. თავს დაიცავს მახვილიანი ეკლით კუდიანებისა და მხიბლავებისაგან გათვალვის წინააღმდეგ. „კუმეტობა ღამეს ეკლიან ნარს შამაიტანდეს სახლჩი და ამახუიღებდეს“.

ამაკატრება (ამაკატრებს, ამაკატრდება, ამაკატრებული) ამოშრობა წვნიანი საქმლისა ზედმეტი დუღილით. „ქაშდონაი ამაკატრებულა“; ტირილით ცრემლის გაშრობა. „ამაკატრული თოლები“. გა დ ა ტ. შიმშილით კუჭის გახმობა. „შიმშილით მუცელი ამამიკატრდა“.

ამაკოფილ-ი, ამაკუფუფულ-ი ამოღრმავებული, გულამოღებული, ღრმულიანი. „ახლაცაა იქ დიდი ქვა ამაკუფული“, 286.

ამაჩინდრულ-ი დაბალი, გულმკერდამოწეული ადამიანი; გა დ ა ტ. და ც ი ნ ვ. დიდგულა, გაბერილი, გაბღენძილი (შღრ. ჟ ი ნ დ ო რ ა ი). „რა ამაჩინდრული დადის მამალ ინდაურივითა!“ || იტყვიან ბავშვზე, რომელიც სულ ტირილის ხასიათზეა (ყ ა ზ ბ.).

ამე ნაცვალსახელი 1. ამ; ამისთანა; ასეთი; 2. მავანი (იმერ. ი მ ა ნ ო), ხმა-

რობენ, ზოცა ვისიმე ან რისიმე სახელს ვერ მოიგონებენ. „ამეს უთხროდელა, ეგარ, რაი ჰქტიან. დამავიწყდა...“ „ამევ, ბიჭავ, თქვენებს შაუძრანე. გარეთ გამავიდენ“. „ამე ამამიტანელა“. „ამე და ამე ჩხუბობდენ, ამე და ამე კარზელა, ამე რომ არ მოსულიყო, ამე მაჰკლავდა ამესა“ (გ ა მ ო ც ა ნ ა: წ ი ს ქ ე ი ლ ი).

ამენ-ამენაის-ი სიმღერის დასაწყისი სიტყვებია. ყველიერში სოფ. გარბანის ბავშვები იკრიბებოდნენ რომელიმე ოჯახში და მთელ სოფელს კომლდაკომლ ჩამოუვლიდნენ. ხელში ეჭირათ მორთული ხატები, რომლებზედაც ასხმული იყო ფერადი ღილები, მძივები, ჩერები, წვრილი ზანზალაკები და სხვ. ოჯახს სთხოვდნენ რაიმე სანოვაგეს და თან ლოცავდნენ ამ სიტყვებით: „ამენ-ამენაისაო, ჯორელ-კჭირელაისაო, ბოროლეთისაო, ჯმელეთისაო, კჭირეო-კჭირეო, შენ გაღმარაჰტე ამათ ჯარსა, ამათ გუთანსა, მოლაშქრე-მონადირესა, შინ მშუიღობა მიე, კაის გამარჯობა, უმყოფე ჯალაბნი უსნეულოდა, გაატანიე მშუიღობიანი გუთანნი!“ მოგროვილ სანოვაგეს მიიტანდნენ იმ ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ და იქ მზიარულობდნენ რამდენიმე დღეს.

ამირულა საბავშვო თამაშობა: ერთი იქნება ხიდი, მეორე თავს გულთან მიადებს და წაიკუზება, ასე მესამე, მეოთხე... ხოლო სხვები გამოქცევით წაკუზულებს ზურგზე შეაჯდებიან. შდრ. ა ტ მ ი რ უ ლ ო ბ ა.

ამიცანდარა-ი, ამიცანდრა-ი გამოცანა. საერთოდ, მოგონილი ამბავი, ზღაპარი. „ამიცანდარას დაგიდგამ, რაიც შენი მტერიაო“ (ხ ა ლ ხ.); „ამიცანდრები დამიდგა“.

ამოაღრანტებ-ს ხმას, სიტყვას ამოიღებს, იტყვის. „ერთი სიტყვაც არ ამოულრანტებია, კრებზე ისრი იჯდა“ (ლ. წ ი კ ლ.).

ამონიუება ამოჩემება, დაუინება. „ნეტარ რაი დეგემართა ბეჩაჲ, როგორი ამონიუება გცოდნია“!

ამონოსკვა ამონასკვა — მოსაქსოვად გამზადებულ ძაფებზე (შე-სავარცხელში გაყრამდე) მარყუქების გაკეთება ძაფების დანაწევრებისა და დამოკლებისათვის, ქსოვის გაადვილების მიზნით.

ამოჰოჰყავ-ს ჰოჰყით — წვრილი ქვებით ამოავსებს. „საძირკველზე მოაყოლებენ ბასრის ქვებს, საძირიდან სათავემდის ამ ქვებს ამოჰოჰყავენ, გაავსებენ წყრილი ქვით, თან მიწასაც ჩააყვალებენ“.

ამოჯირებ-ს მოხვევს, ხელს მოავლებს. „იქით მთასა და აქეთსა, ეკლს ამოვეკირებ, რახტს ვუზამ (ხ ა ლ ხ.).

ამპარია ჰიაკოკონა. გ ა დ ა ტ. ეძახიან ცეცხლისფერთმიან ადამიანს. იხ. ა მ პ ა რ ი ო ბ ა.

ამპარიობა ძ ვ. ც რ უ რ წ მ. ჰიაკოკონობა. ზოგან ეძახიან წყალკურთხევას, „მკჷდრების გათბობას“ და ზამთრის კუდიის მოწვას. „ამპარიობა იმართებოდისკე თებერვლის ბოლოსა. მთელი სოფელი ან უბანი ჩალას მთავროვებდა, ყისმათიანი მამაკაცი ან გორის უფროსი ცეცხლს წაუეიდებდა, ბალსს ანთებული სანთელი ეჭირა და ხალხი ღმერთს ევედრე-

ბოდა, სიმშტიდე ყოფილიყო, ბარაქიანობა, სიკეთე. ცეცხლი საიქიოს მკურდრებს ათბობდა. ამ ცეცხლზე, ვისაც შეეძლო, ფრინავდა. მემრის კიდავ იფრო დიდ კო-  
ცონს დახპირღებოღეს“.

ამრეშიღ-ი 1. ამღვრეული. „ამრეშიღია ჩჷენი წყალი და იმისთჷი არ დღი-  
ღევა“; 2. ამრეზიღი, გაჯავრებული. „ამრეშიღი დღდის“.

ამფუარ-ი 1. მოყინული და თოღლნარევი, აფუებულ-მომატებული წყალი,  
რომელიც ნაპირებიღან გღდმოღდის. 2. აღღღებული წყალი.

ამქრევე-ს (ანქრევე-ს) აზნევეს, ფანტავს. „მარცოღს ტყუიღაღა ამქრევეს“.

ამქრევიღ (იყენ. ემქრღიღ) აზნევიღ, მიმოფანტულიღ.

ამყუღღაზანს ზ მ ნ ს. ს ა უ ზ. ამღენ ხანს, დღდი ხნის განმავღობღში. „ამ-  
ყუღღაზანს რღისთჷი დღიგჷღიანე?“.

ამხანაგღნი ა ნ ა ტ. მომყოღი, ბუღე, მშობიარობის შემღეგ რაც მოჷყეღბღ  
ნყოფს (სინ. ნ ა დ ე ვ ა რ ი). „ვბო კი მიღგღ და ამხანაგღნი ჷერთ არ დღუყრღიღა“.

ამზღღვენებ-ს უყევებს, ამშვიღებს. გ ა დ ა ტ. აფუჩეჩეღბს, სიყალბეს სჩღ-  
ღდის, თავის სღსარგებღღღღ აკეთებს. „განღ პირვეღღღღ ამზღღვენებს ეგრე სჷქმესღ.  
სულ ეგრე იყვისკე“!

ანგეღღოზიღნი ძ ვ. ც რ უ რ წ მ. კეთიღი თვისების მქონე, სარგებღობის  
მომტანი არსებღ. „ანგეღღოზიღნი მეჩრეზენებღღღ და ქრებღღღ. ის სღხღს იცავღღ,  
სღხღი ბედრიღნი იყო“.||იტყვიღ წყნარ, მშვიღღ ადღმიღანზე დღ ცზღვეღზე. „ანგე-  
ღღოზიღნი კაციღა“; „ანგეღღოზიღნი ძროხღა“.

ანღეს, ანღეზე მღსვღღ 1. აზრზე მოსვღღ, სჷქმის კურსში შესვღღ. „იმათ რო  
ღღპარაკი დღიწყეს, მე მღშიღღ მოვე ანღესღა“.

ანძღღ-ი 1. ანძღ, ამართული ძელი, მღღღღი სარი (შღღრ. მ ე ა ნ ძ ე). „გღიყეღ-  
ნეთ ეზღღ ეგღ დღ ჩღმღკიღღღთ ანძღღზე“.

აპღღღ-ი 1. ანძღ, ამართული ძელი, მღღღღი სარი (შღღრ. მ ე ა ნ ძ ე). „გღიყეღ-  
ნეთ ეზღღ ეგღ დღ ჩღმღკიღღღთ ანძღღზე“.

აპღღღ-ი 1. ანძღ, ამართული ძელი, მღღღღი სარი (შღღრ. მ ე ა ნ ძ ე). „გღიყეღ-  
ნეთ ეზღღ ეგღ დღ ჩღმღკიღღღთ ანძღღზე“.

არღბეღენღ-ი რღ ბეღენღღ, გღსუსხვღეღბელი, უმნიშვნეღღ, გღსხვღეღბის არ-  
მქონე. „არღბეღენღ იყო, თამღღღღ იმღს ამღირჩევეღღღ, ვისღც კარგი სიტყო-პღ-  
სუხი ექნებღღღა“, 145.

არღღღღღღღღღ, არღღღღღღღღღ მეტი გზღ, მეტი ღღონე რომ არღღ, სხვღ გღმოსღ-  
ვღღი დღ სღშვეღღი რომ აღღრ ჩღს. „ეგ რღიღღ თოკიღ, ეგ არღღღღღღღღღღღ“ (ა. კ.).

არბიკჷყ-ი არბიტრი. „რუსის ბღღღი გჷყონღდის იქღ, არბიკჷყღღ გავგზღვენეთ  
ეს ბღღღი“, 272.

არ დღუყრღიღ ბეწჷღნი არღფერი დღუკღღიღ, სულ ერთიღნღღღ დღმსგავსებღი.  
„ეს ქღღღი სულ თავის დეღღღ, არ დღუყრღიღ ბეწჷღნი“ (ა. კ.).



არე-არე, არი-არეს გარეთ; აქეთ-იქით; სხვა მხარეს. „ბესო ვარ ყამარაუ-ლი, სულ არე-არედ გაზრდილი“ (ხ ა ლ ხ.), 197.

ართხამ-ს ალებს, შლის. „ლაშთ ართხამს“ ამთქნარებს. „ეძინებოდა და უშნოდ ლაშთ ართხამდა“.

ართხევ-ს არწყევს, პირს ასაქმებს. „მთურალია და ართხევს“. გა დ ა ტ. იტყვიან, როცა საარაყე ქვაბიდან დუღილის დროს მილში გადმოიღვრება სი-თხე. „ართხევს, ცეცხლი თუ მოუვიდა ზედმეტი“.

არილად ძლივს, ბუნდოვნად, სიზმარივით. „ალარ მავსონ კარგა, ეგრე არი-ლადლა მავსონ“.

არისხებ-ს შეაჩვენებს, წყევლის, რისხავს. „(მოლაღატეს) მუდამ წელი-წადს ხევი არისხებდეს“, 249.

არკამელ-ი ერკემალი. „თავის სწორი კელაპტარი, თავის სწორი არკამე-ლი, ბერად იყვის სამი წელი ჩემს აღმანზე“... (ხ ა ტ შ ი შ ე ხ ვ ე წ ნ ა დ ა ლ ო ც ვ ა).

არს, არს შეძახილი ცეკვის დროს მოთამაშის გასამხნეებლად.

არტ-ი ხის ოვალური რგოლი საბლის თავის გამოსაბმელად ტვირთის შე-კვრის დროს. „საბელს რო შამოუჭერთ თავას, ერთი თავი არტჩი ემაგრება“. „ზვინი ამისხლტა, არტზე კელი რო არ მქონიყო, დაიშლებოდა“.

არყავ-ი სამფეხზე დამაგრებული გრძელი ფიცარი ჰურის ცომის გასა-ბრტყელებლად, იყენებენ აგრეთვე როგორც სუფრას, ეძახიან ხ ო ნ ჩ ა ს ა ც (ა. კ.).

არყან-ი (аркан) ქამანდი, საგდებელი, გრძელი კვანძიანი თოკი გაშვებუ-ლი ცხენის თავზე ჩამოსაცმელად და დასაქერად (შდრ. ი ნ ჩ უ ლ ი). „როსტომს დიდი თავი ჰქონდა და იმისი არყანი ვერ ჩამაზდიოდა თავზე“ (თოთი. „ბ ე უ ა ნ ი ს ზ ლ ა პ ა რ ი“).

არყიზა-ი მაღალი, უშნო აგებულების ადამიანი.

არჩევა-ი საყანე ნიდაგის გასუფთავება ქვებისაგან. „საჯნაე-სათესი ად-გილის გაწმენდას ქვა-ლორღისაგან ჩუენ არჩევას ვეტყუთ“.

არძევანა-ი რძიანა, — წვრილი გრძელი ბალახია, იყენებენ ყვითელ ყვა-ვილს, მოწყვეტისას რძე გამოდის, იქმება.

არწან-ი მცენარეა ლერწმისმაგვარი (ნ. ს ა ს ა თ რ ე).

არხენ-ს, არხინებ-ს ალხენს (შდრ. რ ხ ი ნ ი).

არხილ-ი მოყინული, გამაგრებული თოვლი. „თოვლს არხილი გეეკეთა, გაღმა ისრი გავედით, რო ფეციც არ დოგისტელდა“; „მოწყდა არხილი და მო-ნადირე კლდეზე გადავარდა“

ასაზიდ-ი, ასაზიდავა-ი იგივეა, რაც ა ს ა წ ე ვ ე ლ ა, ა ს ა წ ე ვ ა ი. „წის-ქტილჩი აქუ თავისი ასაზიდი, გინდა აუშობ, გინდა — დაუშობ“, 154.

ასაწევა-ი ასაწეველა, ასაზეველა (წისქვილის იარაღი). „დოლაბებს ქუემო-დან უყენებენ იარაღს, მამრე საბრუნავ ღერძს ასაწევით ასწევენ“.

ასერავ-ს სერს — გამოსაცნობ ნიშანს დაადებს საქონელს (უპირატესად — ცხვარს) ყურზე. „მიბარებულს ცხორს მწყემსი ასერავდა და ოთხის წლის ბოლოს ჩააბარებდა პატრონს“.

ასიურ-ი ასეული, ასობით. „ჩაუყარა ეკის კალონი, შარეკნა ასიურნი კარნი“ (წითელი ქარის ლოცვა).

ასკარმავლილ-ი 1. ბევრ ადგილას ნამყოფი. გ ა დ ა ტ. გამოცდილი, ბევრის მნახველი. 2. საქმეს მოწყვეტილი, უსაქმოდ მოხეტიალე.

ასლ-ი 1. აზირ, ბარემ. „ასლი ეს ესრე გეგვეთა“! „ასლი ჩტენთან წამახტიდე“! 2. ზუსტად, ზედგამოჭრით, ნამდვილად. „ეს ასლი მაგაზეა ნათქომი“; „ასლი საჩემო წულებია“ (ა. კ.).

ასნადელა საბავშვო თამაშობაა: ჭგუფ-ჭგუფად დგებიან, ერთმანეთს ხელებს ჩააელებენ და გაწევენ. ვინც წაიქცევა, დამარცხებულია.

ასნაკებ-ს, ასნაკებ-ს ასლოკინებს.

ასტრი-ს ესერის. „ჩტენ გტეგონა, გიგლაი აქათით ასტრის თოფსა“, 338.

ასხლეთა (ასხლეტს, ასხლეთილი) 1. მოშორება, მოწყვეტა, ცხვარ-ბატკნის დაცალცალკეება. „ქამას რო ისწავლის, ცხორ-ბატკანს ავსხლეთთ, დედას ცალკე მწყემსს დაუყენებთკე, ცალკე ვაძუებთ“. 2. წისქვილის ღერძის ლითონიდან ამოვარდნა. „ღერძი ლითონჩიგათ ასხლეთილა“.

ატამატა, ატაუტა ნაჩქარევი და ზერელე; დაუფიქრებელი. ზ მ ნ ს. ატაუტას ნაჩქარევად. „ატაუტას წამოშედი და ყველაფერი დამავიწყდა“; „ატაუტას იქორწილა და ვერ გამაადგა კარგი ქმარი“; „ატამატას ნაკეთებია“; „ატაუტას ლაპარაკობდა“.

ატან-ს ეტანება, ესევა. „კარგი ოჯახი გაქჲ და სტუმრებიც იმიტომ გატანსთ“; „ძალღები გოტანდეს, მძლივ მოვიშორეთ“.

ატაცება (აიტაცებს, ატაცებული) 1. ატკრეცა, ძლიერი ცეცხლით პურის ზედაპირის დაწვა, შესწრაფება. „გაჭურებული კეცი იყო და პურები ერთბაშად აიტაცა“. 2. გ ა დ ა ტ. მსუბუქი ქცევა, თავქარიანობა. „არ დაუჭერა მაგას, ატაცებულია“. შღრ. ა ტ ა ც ე ბ უ ლ ა ი.

ატაცებულა-ი თავქარიანი. „ატაცებულაი კაცაია“.

ატეხავ-ს აღძრავს; ახსენებს, მოიგონებს. „ძრიალ მეწყინა გუგუაის სიკუდილი, ძლივს დავივიწყე, ნუ ატეხავთლა ახლა კიდავ იმას ჩემთანა“.

ატკაპუნებ-ს პირს აწყლაპუნებს პირს. „მშიერი ვიყავ და პირსლა ვატკაპუნებდი“.

ატმირულობა თამაშობაა. ბიჭები ორ გუნდად იყოფიან. ერთი გუნდი წრეში დგება, გარეთ მყოფნი ცდილობენ წრეში „მოვადეებს“ ზურგზე შეახტენ იმდენი ხნით, ვიდრე რომელიმე მათგანი არ ჩამოვარდება და არ ჩაიჭრება. შემდეგ როლები იცვლება...

ატოტოფინება (ატოტოფინებს, ატოტოფინდება, ატოტოფინებული) გა-

ცხარება, აღლევება, ანთება; აღშფოთება. „ჩქარ იცის ატოტოფინება, განა ბავშვია“!

**ატრია**-ი მოხარშული ცომი, რძითა და ერბოთი შეზავებული. „დღემ, ცომი რო მაზილა, მამრე სიბრტყეზე გაქნა, დანაით ნაწილ-ნაწილ დაშქრა და მზეზე გახდინა. როგორც კი კანი შავმა, ატრიაი მახარშა“; „ამადულდი, ატრიაო, თუ დუდილი გაკლიაო“ (ხ ა ლ ხ.).

**ატყაშებ-ს**, **ატყეშებ-ს** ატკაცუნებს. „თითები ვატყაშე“.

**აუზანდარ-ი** ბევრი, აუარებელი, უამრავი. „აუზანდარი საქმე მაქვთ, ნეტარ როდისლა მოვასწრობ“!

**აულ-ბაულ-ი** პურეულის ძნების ზიდვა. „სექტემბერჩი ვიცოდით პურის ძნების ზიდვა — აულ-ბაული“.

**აურ-გაურ-ი** აურზაური, რია-რია. „ლალიტეთ ისეთი აურ-გაური ედგათ, რომ აღარა გაიგებოდა რა“.

**აუსლუთელ-ი** შეუგნებელი, თვითრჯული, თავდაჯერებული, სხვას რომ ანგარიშს არ უწევს; თავშეუქავებელი.

**აულერ-ს** აუშევრს. აუწევს. „მანქანას კელი აულირე და გაგჩერებს“; „მოწაფემ მასწავლებელს კელი აულირა“.

**აუცუივდებ-ა** აუტყდება, გაუჭირვეულდება, აეკიდება. „ხიზანი ამიუცივდა — საწუტელჩი წოგიყვანეო“.

**აუჭერ-ს** აუშევრს, გაუწვდის. „დამ დას საცერი აუჭირა: როგორც შენ მხედაე, ისრი მე გხედავო“ (ხ ა ლ ხ.); „ირემმა ირემს ბალახი აუჭირა...“ (ა. კ.).

**აუხოხდებ-ა**, **გული აუხოხდებ-ა** გული არ მოუთამენს, მოესურვება, შეგულიანდება. „ამხანაგს გული აუხოხდა და ესროლა თოფი“, 340; „გული ისრა აუხოხდა, რო უნდოდა იმ დღესვე ეეშენა სახლი“.

**აფატვრინებ-ს** ართობს, დარდს უქარავებს, ავიწყებს. „ეს ხიზანი მათატვრინებს, თორო ძრიალ დარდიანი ვიქნებოდი“.

**აფერებ-ს** 1. ამსგავსებს, აღარებს, უტოლებს. „აეხლა გამიცხორიგდი, მსახურს გაფერებ ცხოსაო“ (ხ ა ლ ხ.); 2. ე ე ფ. ანაყოფიერებს, აგრილებს. „ძუ ძალი ხუადმა აფერა“ (ა. კ.). 3. ამოკლებს, შესაკრავ სამოსს ოღნავ აჭრის, კვეცავს. „საჯლები (სახელოები) ააფერე“! (ა. კ.).

**აფუნდრუკებ-ს** ხელში ათამაშებს, აფერენს, ახტომებს. „ბავშვს მთელი დღე აფუნდრუკებდა“.

**აფშუვებ-ს** აფხვიერებს. „მაგრა დატკეპნილ მიწასა ბარით აფშუვებენ“.

**აქავრება** (ააქავრებს, აქავრდება, აქავრებული) 1. გულიდან დარდის მოშორება. „ხიზანმა დარდი ამიქავრა“. 2. ანიაეება, გაგრილება, მაგალ., არყის გამოსახდელ გეჯაში გამავალი მილის წყლით გაგრილება, რათა ორთქლი იქცეს არაყად. „აუქავრე (||აუქარვე), თორო ორთქლი გამადის“.

**აქი** ბავშვის ენით ნიშნავს სხვაგან წაყვანას. „ნუ იტირებ, ბიაო, და აქი წაგიყვან“!

აქსა შეძახილი კატის გასაგდებად. „აქსა, ციცავ!“

აქჩერებ-ს აქშერებს, უშურველად აძლევს, არ ზოგავს, იმეტებს. „საჭმელს არ აქჩერებს“.

აღალბაშ-ი 1. ძ ვ. ც რ უ რ წ მ. კუდიანების, ავი სულების მეთაური, მხიბლავების მეთაური, უფროსი. „კუმეტობა ღამეს მხიბლავები შაიყრებიან, აღალბაში შაუმზრახავს — რით შამეწევიითო...“ 2. აღალის, ქარავნის უფროსი, ძველად საქართველოს სამხედრო გზით ტვირთის გადამტანი მეურმეების უფროსი. „აღალბაში გამოცდილი, სიტყო-პასუხიანი და სანდო კაცი უნდა ყოფილიყო“.

აღარც როდის არასდროს, არასოდეს.

აღურევიანებ-ს ასაქმებს, არწყევს. „არაყი დეელია და აღურევიან“.

აღუს ნ. ღ უ ს.

აყარ-ი გრძელი ლარტყა სახლის რომელიმე ნაწილში კედლის გასწვრივ. „აყარი ხის სოლებით არის ჩასკობილი. აყარზე გუოქქე კორცი ზამთრის ბოლჩი გამასაყვანად, აყარზე შაიძლება იარაღები, კელსაწყობები დაალაგა“.

აყიმიციმებ-ს ადიდგულებს, ამაყებს, აყვიზინებს. „ნეტავ რაი აყიმიციმებს ბეჩავსა, რაი იპოვნა ისითი“?!

აყინჩავ-ს ნოყიერი საქმლით მოისუყება (სინ. დ ა თ ლ ა მ ვ ა). „მსუქანი კორცი შავჭამე და ამყინჩა“ (ა. კ.).

აყოვებს-ს აელმებს. „თოლებს აყოვებს“ (ა. კ.).

აჩი ბავშვის ენაზე სადმე წაყვანა (ნ. ა ქ ი). „წავიდეთ აჩი, აჩი წამიყვანე!“

აჩონჩხლილ-ი ზედმეტად დატვირთული ტანსაცმელი სამკაულებით. „ტანზე აჩონჩხლილია საათის ჯაჭუთი, ლევურელის ბოსი, მედლები და რაი არა“.

აჩუა-ი გ ა დ ა ტ. საქმეზე მითითება, ჩიჩინი რომ სჭირდება, თვითონ რომ ვერ საზრობს და ეზარება საქმიანობა. „აჩუაი კაცია“ (კ. ქ უ შ ა შ.).

აცდი-ს 1. დააცდის, ადროვებს. „ერთა თუე ვაცადათ და თუ არ მოგუიტანა ვალი, უჩივლათ“; 2. ცდის, გამოცდის, სინჯავს. „ერთხალ კიდავ ვცადათ“; „ცხენი ვაცადე, მაგრამ ვერ აიტანა ურემი“.

აცუივი-ს ატყდება, ავარდება, გაანჩხლდება, გაჭირვეულდება. „ტყუბები ერთად აცუივიანკე სატირლადა“.

აცხობ-ს აცხელებს. „საარაყეს ვაცხობდი (ტ ე ქ ს ტ. № 31).

აცხროვებ-ს||აცხროლებ-ს აციებს, ციებ-ცხელება სჭირს, ამტკრევს. „გიგუას აცხროვებდა, სულ ერთთავად ბინაჩი იყო, ცხორს ველარც ხედავდა“.

აცხუირებ-ს ცხვირს აცემინებს.

აძახებ-ს მ ო ძ ვ. ქადაგად დაცემული უგონოდ ბოდავს. რელიგიურ ღღესასწაულზე ქადაგები ხატის წინაშე დაეცემოდნენ, თავს მოიგიჟიანებდნენ და იწყებდნენ უაზროდ ლაპარაკს, რაზეც იტყოდნენ — ხატი აძახებსო. გ ა დ ა ტ. იტყვიან, როცა აღამიანი დაულაგებლად, აბდაუბდას ლაპარაკობს ან სიცხიანს აბოდებს. „როგორაა შენს თავსა, რო არ გაძახებს“? „სიცხიანი იყო და მთელი ღამე გონუგონთ აძახებდა“ (ა. კ.).

**აძრახდომა** ალაპარაკება, ხმის ამოღება, საუბარი. „აძრახდომა აღარ შამიძლია, ყურთ არ მამდის, რაისთჳილა ვეგდა!..“

**აძრახის-ი** საუბარი, ხმის გაცემა, ლაპარაკი. „როცა ერთი გორის კაცს მეორე გორისა შამააკჳილება, მაში ეს ორი გორი ერთურც სამუდამოდ გვეყრება, აღარ არის იმათი აძრახისი“ (გერგ.).

**აწიბაწა-ი** არათანაბრად, ზოგან წვრილად, ზოგან მსხვილად ნართავი ძაფი. „ეგ რაილა ნასთია, აწიბაწად დასთული!“ (ა. კ.).

**აწილებულ-ი** აჭრილი, გამოჩენილი, დანაწილებული. „კარაქის დლობის დროს რძეს რომ გამოეყოფა ნიშნები, იტყჳიან — აწილებულია, ჩქარ შაიდლობება“.

**აწიპწიპებ-ს** უჩვეულოდ აფახურებს, ახამხამებს. „ნუ აწიპწიპებ თოლლებსა!“

**აწკრინებ-ს** ამწკრივებს, მწკრივად ალაგებს. „კედლის სათავეზე ჳერ სართულის ხეები უნდა დაირთას, მამრე მსხვილის ქვის საყოვეებს აწკრინებენ“.

**აწონი-ს** გასინჯავს, შეამოწმებს. „მუშებს ეეწონა გერგეტის წყალი და მსუბუქი გამასულიყო, კალათაის წყაროს ვეძახით ახლანის“.

**აჭრილა-ი** აჭრილი, ამჳეაებული რძის შეჳამანდია ერთგვარი.

**აჳუერ-ს** აჳყეტს. „რას აჳყერ თოლებსა“?

**ახალწამადეგა** ახალგაზრდობა, ახალი თაობა. „ახლანის ახალწამადეგა მოვიდა, ჩუენ ძჳელს დღესასწაულებსა არც როდის სწამობს“.

**ახანებ-ს** 1. ასწრებს, აუღის. „წისქვილს რომ კარგად, ბლომად მოუღის ნაფჳეავი, იმაზე ამბობენ — კარგად ახანებსო“ (ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეერახანებსო). „თავდაუზოგავად მუშაობს, მაგრამ ვერას ახანებს“; „კარგა სთიბს და კარგადაც ახანებს“ (შდრ. უხანდება).

**ახლეწილ-ი** ამართული, აწვილი. „გვხედავ სნოს ციხეს ახლეწილსა ფრილო კლდეზე“ (ხალხ.).

**ახლუებ-ი** მახლობლები, მოკეთენი. „ახლუებს გააყვალებდეს სასიძოსა, გაატანდეს ორს ვედრა არაყს“, 54.

**ახონკამალა** ყეენობის მონაწილე პირი, ყეენის ამალის — ჳარის მონაწილე. „ახონკამალა ქალურად იყო ჩაცმული, ჳელჩი თუნგი და ჳამი ეჳირა და ფეკთან უჳდა დედოფალს, ვითომ პირს აბანინებდა, ყეენს კი ხონჯარს უხსნიდა და უკრავდა“.

**ახონხლილ-ი** აჩონჩილ-დაჩონჩილი, აკონწიალებული, უშნოდ მორგებული ზედმეტი და ულამაზო სამკაულები ტანსაცმელზე; ცუდად მორგებული ტანსაცმელი.

**ახორმება** (აახორმებს, ახორმდება, ახორმებული) თივის დადგმა ხორმად — ჳეინად. „მათიბულს ჳერ მაკრეფა უნდა, მამრე მაგროვება და ახორმება“; „თივას ახორმებენ ერთად და მამრე გადააქჳთ ეზოჩი“.

**ახორხლავ-ს** ცუდად, ნაჩქარევად და სახელდახელოდ ააგებს, უხეიროდ და-

აწყობს. „ლამაზ დააწყე, ნუ ახორხლე!“ „ქვის კედლებს ავნორხლავთ საკარტოხის ნაპირებზე, ცხორ-ძროხა რო ვერ გადავიდეს“.

ახოხორღებ-ა ახმაურდება, აგუგუნდება. „ახოხორღით, მოხევეებო, ბევრი ვისმე ეგონებით!“ (შ დ რ. ხ ო ხ ო რ ი).

ახრეშ-ს უსვამს, უხახუნებს, ეხება. „მარკილზე ვისხედით და ფეკებს მიწაზე ვახრეშდით“ (ა. კ.).

აკაბუჯა-ი ოღროოღრო, ორმოებიანი, უსწორმასწორო გზა, ადგილი. „ფხელშეს და ტყარშეტს წინაე იყო აკაბუჯაი გზა, ნელად გაასწორეს“; „აკაბუჯაი სათიბეა, ცელი მძლივ სწუტდება“.

აკარებ-ს ხარი (მოზვერი) აგრილებს. „მზუტერმა ძროხა აჯარა; ძროხამ იჯარა; დეკეულს ჭერ არ უჯარებია“.

აკდებ-ა ავა, აივლის. საკედზე (ნ.) აკდება; კიბეზე აკდება.

აკსონ ახსოვს.

აკირება (აპკირებს, აეკირება, აკირებული) გამოდება, გამოხლართვა. „ემე-კირა ფეკებჩი და კიდალარ წამაქცია“.

აკრასტუნებს-ს შეცვლილი ხმით, ხმაჩახლეჩილად ლაპარაკობს, მსუბუქად ახველებს ხმის ამოწმენდის მიზნით. „ნეტარ რას აკრასტუნებ ერთი!“

აჯა 1. შვება, დასვენება, ჯანზე მოსვლა. „რაც ქალაი წამამესწრა, ბატარა აჯა მამეცა საქმეჩი“; „რაც იმ წამლებს ვსომ, ბატარად აჯაზე მოვე“; 2. მიშველება, მოხმარება: ს ო ლ ი ს ა ჯ ა ვ ი ც ო დ ი თ კ ე, ქ ვ ა ს მ ო ვ ტ ე ხ ა ვ თ ს ო ლ ი თ ა და უ რ ო თ ი.

აჯაჯანებ-ს თავაულებლად ამუშავენს, აშრომებს. „ემ ბაღლსა მთელი დღე ვირივით აჯაჯანებენ“.

აჯიჯიქა-ი საკმელია: ახალი ყველი, ერბო და სიმინდის ფქვილი ერთად ახელილი და ტაფაზე შემწვარი ან ქვაბში მოღულებული. „აჯიჯიქაი უწვნოა, გემრიელი საკმელია, ჩქარ კეთდებაკე“.

## ბ

ბაბლაყუა-ი ბ ო ტ. ქაობის მცენარეა, მაღალი იზრდება, ძირიდანვე ამოზრდილი აქვს თხელი ფოთლები, წყლის ზედაპირზე ქოლგისნაირად აქვს გადაშლილი ყვავილოვანი თავი.

ბაგაზე გაზდილა-ი გ ა დ ა ტ. კარჩაკეტილი, გამოუსვლელი, ქვეყნის გაუცნობი, ვიწრო გაგების კაცი (კ. ქ უ შ.).

ბადაგ-ი სიტკბო, სიამოვნება. „თუ მეზობელი არაყს კდის და მე შევესწარ — ბადაგიო, უნდა ვუთხრა; თუ ძროხასა სწუტელს — ბარაქაო. — დამირჩა შენი თავი სიკეთით საქსენებელიო — ახლა ის შამამიძრახავს“.

ბადიმ-ი სიპი ქვებით შემოვლებული ერდოს (=სარკმლის) პირი, ჩარჩო. „სინათის შემოსასვლელ ერდოს სიპს ვატანდითკე ბადიმებად“.

ბათქან-ი ბათქუნი, ზღართან. „ბანზედით გამოვარდა და ბათქანი გა-  
ჰყარა“.

ბათხ-ი პატარა, ლაწირაკი (და ც ი ნ ვ ი თ); უსუსური, გამოუცდელი ბავ-  
შე: „ქალებს ეთქო — ბათხს რასლა დაუმტკიცებ“? 282; „რა დროს შენი ცხორ-  
ჩი წასვლაა, ჯერ ბათხი ხარ“.

ბათხ-ბუთხებ-ი ბათხები (ნ.) ლლაპები, ლაწირაკები. „ბათხ-ბუთხები შაყ-  
რილან და რასლაც ლაულანდარობენ“.

ბაიბუვ-ი ბაიბური, ჩამიჩუმი, ხმაური. „ბაიბუვი არ ისმის“; „არას ბაიბუე-  
ჩი არიან“.

ბაკაქალ-ი იხ. აკაკალი.

ბაკაკებ-ი ბავშვის ენაზე: ყელმაღალი ფეხსაცმელები. „ნახე, მამამ რა ლა-  
მაზი ბაკაკები გიყიდა“!

ბაკაკებ-ი, ბაკიკია-ი ცხვარი (ცხვრები) ბავშვის ენაზე.

ბაკან-ი: თავის ბაკანი თავის ქალა. „ამტკივდა თავის ბაკანი, გულმა და-  
მიწყა კუნესაო“ (ხ ა ლ ხ.); „ცხენმა გაიქნია უკენი ფევი ტყუქად, თავჩი დახკრა  
მელას, თავის ბაკანი და თავ-პირი ჩაულეწა“.

ბალაგანა-ი სახელდახელო თავშესაფარი მთაში მწყემსებისათვის და მთი-  
ბაგებისათვის. „ბალაგანაია წნელის ქოხი, თივით დახურული“.

ბალახუურა-ი მხალია, ჩრდილში ხარობს, ხორკლიანი, დაკიმული ფოთ-  
ლები აქვს.

ბალბაწუა-ი ძალიან თხელი მატერია, მარლასავით წმინდა ნაქსოვი. „ბალ-  
ბაწუაი კაბაა, ეგ რასლა დავათბობს“.

ბალითიან-ი ალერსიანი, წყნარი, მშვიდი, მიშხიდველი, ტკბილი. „ბალი-  
თიანი ლაპარაკი: „როგორი ბალითიანი რძალი გყავ“!

ბალინჯ-ი ვ უ ლ გ. უშნო, უმარცხათო აღამიანი; პატარა, გაჭაჭლული. „რაი  
აღამიანია, ნამღთილი ბალინჯი არაა“?!

ბალღ-ი ბიჭი, ვაჟიშვილი. „იმათ ხევალიყო სამი ბალღი და ერთი ქალი“;  
„თუ ქალი გეყვალას, აკვანი დადგი ბანზე, თუ ბალღი — ჩოჯა“.

ბალღაჩუნა-ი (ბალღაჩუნობს) ქალაბიჭა, ქალი, რომელსაც მეტი ურთი-  
ერთობა აქვს ბიჭებთან და ეხერხება საკაცო საქმე, ვიდრე საქალო. „რას ბალ-  
ღაჩუნობ გასათხოვარი ქალი“! „ბალღაჩუნაი ქალია“.

ბალყამ-ი იგივეა, რაც ბ ა ლ ლ ა მ ი, ჩ ი რ ქ ი.

ბალყუმ-ი 1. შავი, ნაყოფიერი, ფხვიერი და უქვიშო მიწა; კარგი მოსავ-  
ლიანი საყანე ადგილი; თიხნარი ნიადაგი ზომიერი მოსავლის მომცემი. „მიწა  
ბალყუმი, შუადღემდე გადავებრუნებთო“; „ბალყუმ მიწას ხმარობდიანკე ბანის  
სატკეპნადაც, სახლჩი ძირს დასაყრელადაც“. 2. უწოდებენ მოუხნავად და-  
ტოვებულ, ნასვენ მიწასაც: „ბალყუმად დაგდებული მიწა“.

ბანდ-ი ნახველი, ხველების შემდეგ უსუფთაო ამონალები. „ბანდს იღებ-  
და პირიდან“ (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

ბანთ აყრა-ი ფიგურა. ბანის აყრა, სახურავის ახდა, ძლიერი ხმაურით ჰერის ახმინება. „ეს რო ათეთბამ გაიგა, ბანი ყურილით აპყარა“ (ხ ა ლ ხ.). „ეგეთი დაივილა, რო კიდალარ ბანი აპყარა“.

ბანთუკენა-ი ძველებური მოხეური ბანიანი სახლის უკან მდებარე ადგილი. „წინაე ბანთუკენაი საქანავად, საკარტოხედ გუქონდა“.

ბარბალუკობა თამაშია: ქალები და ვაჟები ცალ-ცალკე დგებიან ერთმანეთის პირისპირ. იწყება შეჯიბრი ლექსების თქმაში. რომელი მხარეც რამდენჯერ გამარჯვებს, იმდენ წევრს გადაიყვანს თავის ჯგუფში დამარცხებული გუნდიდან. საბოლოოდ დამარცხებული გუნდის უფროსმა თავი უნდა მოიგლახოს წრეში ჩადგომით. თუ ის ქალია, მამაკაცურად უნდა იცეკვოს, თუ კაცი — ქალურად.

ბარბარე იხ. ა ბ ა რ ბ ა რ ე, ბ ა რ ბ ა რ ე. „ბარბარე იცოდიანკე სიმღერის დროს“, 34; „ბარბარეს ეძახოდეს, მღერობდეს, ერთი ოცი კაცი შეადგებოდეს ერთმანეთზე“, 162.

ბარბუჯა-ი (ბარბუჯობს) ცოტათი კოკლი. „მაგ ბარბუჯას როგორღა მიე ქალი“!

ბარდლიანი-ი ბალნიანი, ბანჯგელიანი, ერთმანეთში გადახლართული თმაწვერის მქონე. „სამი ქიშტი ამავიდა იქა, ერთი ეგეთია, როგორც დევი, ბარდლიანი, ზორბა“, 204.

ბარვა კარტოფილის მეორედ შემოთოხნა. პირველ შემოთოხნას ეძახიან ქარჩვას, როცა ასუფთავებენ სარეველასაგან, ბარვის (შემობარვის, დაბარვის) დროს კი ნიადაგს აფხვიერებენ, მიწას შემოაყრიან და კვლებს აკეთებენ. „კარტოხანის ბარვა დაიწყა“.

ბართობად! წასვლა ბართის — ნაკელის მოსაგროვებლად წასვლა საზაფხულო საძოვრებზე. ბართს ახმობდნენ და საწვავად ხმარობდნენ.

ბართოჯა-ი ფართო და სწორკუთხა თოხი, ფართლებიანი, უნისკარტო. „ამ ჩუენს მქარესა ვიყენებდით იფრო მეტად ქარჩსა, ბართოჯასა, ბარსაც ვხმარობდითკე კარტოხანის შესაბარავად“.

ბარის თივა იხ. თ ი ვ ა.

ბარნელა-ი რძის სადღეები ჯოხი, ბოლოზე დამაგრებული აქვს ჯვარედინად ორი ცალი პატარა ფირფიტა (ს ო ფ. ჯ უ თ ა).

ბარძიმი-ი სამღვთოდ გამომცხვარი კარგი ზორბლის დიდი პური. „ზორბლის პურს, კარვად გამომცხვარს, ბარძიმი ჰქვია“, 217; „პირმა დაგლოცასთ ღთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა“, 207.

ბარჭო მატყლის პატარა ნარჩენები, პარსვისა და ჩეჩვის დროს ნარჩენი გუნდები. „ერთი ბარჭო დარჩა, ვერ იჩეჩება“.

ბარხანა გორა, მთა, რაიმეს დიდი გროვა. გ ა დ ა ტ. ფ ი გ უ რ. „ამოდენა თოვლის ბარხანები იდგა“.

ბასრ-ი მაგარი ქვის ჯიში, ამზადებენ სალესავებს, იყენებენ მშენებლო-



ბაში. „წინავე ბასრის ქვეა ძაუგჩი ურმებით ღოგუქონდაკე. კველურმას არის ლურჯი ბასრი, ჯიბაჩი გუქონდისკე, ცელს ვლესლით“.

ბატარად ცოტად, პატარა ხანს. „ბატარად დამიცადე“!

ბატარძლის, დედუფლის გამასასყიდი იგივეა, რაც ბატარძლის და-  
ქსნა (5).

ბატარძლის დაქსნა ძვ. გასამრჯელო პატარძლის სადედოფლოდ მომრთვე-  
ლი ქალებისათვის, იხდიდა ეჯიფე.

ბატაწუწუკუნია-ი სულ მცირე, პაწაწკინტელა (კ. ქ უ შ.).

ბატბატ-ი რეტრეტი, ჩმახვა. „ყურს ნუ უგდებ მაგის ბატბატსა“!

ბატენის პეპელა-ი ხავერდოვანფრთებიანი პეპელა.

ბატისფეკა-ი მხალია. „ერბოანას, თათამას, ბატისფეკას ერთმანეთჩი ავე-  
რევთ და მხლოვანს ვაკეთებთ“, 219.

ბატონობა თამაშია: ამოთხრილ ორმოში უნდა ისროლონ და ჩაყარონ კენ-  
კები, ვინც ყველას ჩაყრის, შეაჯღება ზურგზე დამარცხებულს.

ბაქაქა-ი ძუნწი, უბარაქო. „მაგის პური არ იქმევა, ბაქაქაია“.

ბაღდავანი-ი ბაღდავანობის (ნ.) წესით ვალდებული პირი, პირობის შემსრუ-  
ლებელი — მობაღდაენე. „ბაღდაენით ჩაბარება ცხტარ-ძროხისა“, 185; „თუ  
ბაღდაენი იყავი, არ შიძლებოდა პირობას გადასულიყავ, საქონელი დათქმუ-  
ლად უნდა ჩეგებარა“; „შენ ცხორს ბაღდაენით ვიბარებ, რაისლა გეშინია“!

ბაღდავანობა ძვ. ცხვარ-ძროხის გაზიარების წესი: ვინც ჩაიბარებდა, იღებ-  
და მოვლის ქირას და რჩებოდა მიღების პერიოდში მოგებული ხბო-ბატკანი,  
მატყლი და ნაწველი საზიარო იყო, თავნი საბოლოოდ გამზიარებელს უბრუნ-  
დებოდა უკლებლივ. „ბაღდავანობა ასრე იყვისკე, რომ ჩქენ ბაღდაენით უნდა  
გუყვანიყო ცხორი, თუნდა დაჯოცილიყო, უნდა ჩამებარა. ბაღდავანობით ვი-  
ღებდი ოთხის წლით, ნაშენი ბატკანი ჩემი იყო, მატყლი, წაქელა კი ნახევარი  
იმისი იყო, ნახევარი ჩემი“, 193.

ბაშკია-ი ძაღლის ლეკვი; გა და ბ. ზ ი ზ ლ. პატარა, უშნო ადამიანი. „ბაშ-  
კიას არ ღვაგე?! დაიკარგე, შე ბაშკიაუ“!

ბაშო გარეული ნიორი, წნილად დებენ და ქამენ; გა და ბ. ეძახიან ახალი  
ხახვის ამონაყარსაც.

ბაცაცა-ი 1. ცხოველის, ჩვეულებრივ, ძაღლის თათი ბავშვის ენაზე. გაზილ  
(ძაღლის სახელია), „მარტუნე ბაცაცაი“. 2. იგივეა, რაც ბაქაქაი.

ბაცეკა-ი ცომისაგან გამოძერწილი თხის ან რომელიმე ცხოველის ფიგურ-  
ა, რომელსაც აცხოებენ კეცში; გა და ბ. კ ნ ი ნ. იტყვიან გრძელწვერა კაცზე.  
„ბაცეკასავით კაციოა“ (ა. კ.).

ბაწაწკინტა-ი, ბაწაწკინტელა-ი, ბაწაწკუნა-ი პაწაწკინა. „ბაწაწკინტაი ყვე-  
ლაი მამე“! „ბაწაწკინტა თითანი აქუ“.

ბაწკინტა-ი 1. გასაღები, ხის მოკლე ბერკეტი, რომელიც ამოძრავებდა  
ქეკის (ნ.) კბილანებს (ს. ა ლ ი ბ ე გ.) „სუყელაი მიწვა-მოწვა და ბაწკინტაი კი

კარს მიაწვავო“. 2. ერთი ლურსმნით დამაგრებული ხის პატარა ნაჭერი, რომელიც შეიძლება შემოტრიალდეს ლურსმანზევე (შ. გ ე ლ.).

ბაჰკო 1. მწყემსის ნაბადი. „ბიჰავ, შენს გაზრდასა, აუტანელა მამას მთაჩი ბაჰკო“; 2. ტანსაცმლის კომპლექტი — ტყავი, ნაბადი, ფეხსაცმელი. „მწყემსი დაევიტირე ერთის წლითა, ხარჯიც ჩემია და ბაჰკოც მე უნდა მივსცა“.

ბაჰყია-ი ბაჰია, კურდღლის ნაშიერი.

ბახბახებ-ს უაზროდ ლაპარაკობს. ვ უ ლ გ. აბრახუნებს. „ნეტარ რას ბახბახებ, გონთ მადი“!

ბახტრით ბუხტრამდი ნავალი გადატ. ბევრის მნახველი, გამოცდილი. ბუხტარი თურქეთის ჩრდილოეთის მთაა, ბახტარი ძველი სახელწოდება დარიალის ქვემო წელისა. „ბახტრის წმინდა გივარგის ვეძახოდით, დარიალის ბოლოზეა. კელმარცხნი“, 280; „ბახტრის ციხე“.

ბაჯა-ი საცხოვრებლად უვარგისი, ბოლიანი სახლი. „წინავ სად იყო აგეთი სახლი, ბაჯაჩი ვეყარენით“ (მრ. ბ ა ჯ ე ბ ი).

ბაქალა-ი გადატ. კარგი შვილი, კაი ყმა. „შუიდი ბაქალა გავზარდე არწივის ნაბუდარზედა“ (ხ ა ლ ხ. ა. კ.).

ბაჯბაჯ-ი (ბავბაჯებს) წარამარა ლაპარაკი; რატრატი. „მაგის ბაჯბაჯს რასლა ყურს უგდებ, მთროლია!“ (შდრ. ქ ა ჯ.).

ბაქებ-ი ქობმახები, ძველი, მინგრეულ-მონგრეული სახლები. „არვინ შეეცილება მაგათ ბაქებსა“ (ს ნ ო).

ბაჯირ-ი მოუხერხებელი ადამიანი (კ. ქ უ შ.).

ბაჯა-ი ბაჩა, კოკმოკლე, დაბალი და გრძელბეწვიანი ძროხა. „ბაჯაი ძროხაა, კარგი მეწუელი იქნება“ (ა. კ.).

ბაჯუჯებ-ი ტანსაცმლის ნათხრეწები, ნაძენძები. „მაგ უბედურსა სიმგჷირგლივ სულ ბაჯუჯები ჩამაჰკიდავს“.

ბებერა-ი<sup>1</sup> ობობა. „ბებერას ბუზუნაი დეეჰირა“. ბებერაის ტოლი ობობას ქსელი. „დაჰრილს, თუ სისხლს ვერ აჩერებდეს, ბებერაის ტოლს დაადებდეს“, 77.

ბებერა-ი<sup>2</sup> შეშის ღერი. „ახალის წლის ღამეს ოჯახჩი ცეცხლს ანთებენ, შამაქუთ ბებერაი. — ბებერაი მობზანდებაო, — რასა ბზანებსო? — თქუენს გაშენებასაო“.

ბებერ დედა დიდედა, ბებია. „კიდავ რაიმე ძუელი ამბოვი დაგჷითოლე, ბებერ დედავ“!

ბებეჰყუთერა-ი, ბებეჰყუთირა-ი ბუს წიწილა (ტყარშეტე); ბარტყი (ს ნ ო).

ბებოთ-ი იხ. ბ ი ბ ო თ ი.

ბედგაშავებულ-ი დაქვრივებული. „შე ბედგაშავებულო, შენა“! იხ. გ ა უ შ ა ვ დ ე ბ ა.

ბედენ-ბედენა სხვადასხვა, განსხვავებული. „ახლა, ბედენ-ბედენაა მატყლი — არის შავი, თეთრი, იფრო სიღბო წითელ მატყლს აქვ“.

ბედრიან-ი<sup>1</sup>, ბედრიანა-ი 1. ბედნიერი. „დაბეჩავებული კაცი ვარ, ბედრიანი დღე არ მქონია, 171; ბედრიანაი ქალია, ძრიალ კარგი ხიზანი ჰყავ“. 2. ს ა უ ბ. გ ა დ ა ტ. ბეჩავ, შენს გახარებას. „ვაი, ბედრიანავ, ძმა მაგსჭლია ომჩივათ“!

ბედრიან-ი<sup>2</sup> ავადმყოფობაა — მუწუქებს აყრის (იხ. ქ ე გ ლ ბ ე დ ნ ი ე რ ი). „ბედრიანის წამალა თეთრი შაქარი, პირიმზის ბალახი, გოგრის ყელი, ქათმის ჩიგი, შაულოცავენ კიდავაცა“.

ბედძნელობა უბედობა, გაჭირვება, ძნელი საქმე. „რაი ბედძნელობა მაგას დეემართა, რო საქმე მისდღეჩი წინ არ წაუვიდა, მაგ უბედურსა“<sup>9</sup>

ბეთქვა ცემა, ტყევა.

ბეინ-ი ქისტები ეძახდნენ ამ სახელს ძველად ქართველებს (მოხევეებს). „აი, ბეინის თოფი გავარდაო“; „ჩუენ ბეინს გუეძახოდეს (ქიშტები)“, 278.

ბეუმანდებ-ი ბუზმენტები. „ახალუხზე ლამაზი ბეუმანდები ეკეთა“.

ბერტყან-ი ბარტყანი, მიწაზე დაცემის ხმა. „ბალღმა ისითი ბერტყანი გაჰყარა, რომ სული ძლივსლა ამაიქცია“.

ბზიკობ-ს ბზიკისაგან ნაკბენი (ჩვეულებრივ, ძროხები) უგზო-უკვლოდ დარბის. „ზაფხულს ზოგჯერ ძროხები ბზიკობენ. გ ა დ ა ტ. სიფიცხეს იჩენს, ჩქარა ლელდება, ნერვიულობს. „რას ღბზიკობ“!

ბია-ი ბაია. მიმართვაში: ლამაზი, კარგი, საყვარელი. „დამქუხე თოლებო, ჩემო ბიავ, და დეგეძინება“. თოლის ბაია — თვალის გუფა.

ბიბოთ-ი დანაა, ქარქაშში თავსდება. „ერთი ესროლა ბიბოთი, ურჯულო დასცა ძირსაო“, 202. „წელზე ჰკიდია ბიბოთი, შემშინებელი მტრისაო“.

ბიდა-ი ქალის კაბის გულისპირზე ჩამოვლებული ოქრომკედი. „ახალუხის გულისპირზე შემოვლებული ჰქონდათ ოქრომკედის ზოლი, ანუ ბიდაი; წინათ ეცვათ წითელაი წკებლაი ახალუხი, ბიდაით მართული“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

ბითაო 1. ლამაზის ეპითეტია — თეთრი, თეთრად გადაპენტლი. „ეგეთია, ბეჩავ, როგორც ბითაო“; „ბითაოსავით ქალია“ (შღრ. ო. ქ ა ჯ.). 2. ქვევით გრძლად დამეგებული მკერდის ძვალი, კუქს თითქმის რომ უფარავს. „ბითაო კაცია, ჩხუბჩი ვერც რას გამარჩებთან“ (შ. გ ე ლ.).

ბილილა-ი ყვავილი. მთაჩი ყველა ყუავილს, იის გარდა. ბილილას ეძახიან (მ თ ქ მ ე ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა).

ბიუინა თივის პატარა ზვინი, მთაში მსუბუქად აგებული, რომ ადვილად გამოშრეს. „შენს აგებულ ბიუინასა ხალხი უკრავს ყიუინასა“ (ხ ა ლ ხ.); „ბიუინები ქარს დეეშალა“.

ბიძაისი, ბიძაისაო უფროსის მიმართვა უმცროსისადმი ალერსით. „აილე კამფეტო, ბიძაისაო“.

ბიძაის კაცი იხ. ბიძაისი. „ერთი წყალი გამამიტანოდე, ბიძაის კაცო, გაღმითა“.

ბიწკინტა-ი იგივეა, რაც ბაწკინტაი.

ბიჭა-ი კნ. საალერსო ბიჭი. „ბიჭავ, წყალი მამიტანოდე, შენს გაზდასა“! ბიჭა ბატყანი იგივეა, რაც ნაპარევი.

ბიჭშავა-ი უბედური, საცოდავი ბიჭი. „ჩემს ბიჭშავასა ფულზე ვერ შევფასებო“ (გერგეტი).

ბლიკტი-ი საუბ. ლაწირაკი. „რაი ღროს შენი ჩხუბია, შე ბლიკტო, შენა! კაი ბლიკტი ეზდები შენს ღედასა“!

ბლორქუ-ი შავი ფერის ქვაა ერთგვარი, რბილია, გამოიყენება მშენებლობაში, იბოვება სნოსწყლის ხეობაში.

ბნელ-ნათელ-ი ალიონი, მტრედისფრად ნანათლი. „ბნელ-ნათელთ გაუდევით გზასა“.

ბოდო საფორე ხორბლეულის ნაცენი. ფორი შეხურების შემდეგ ღივდება და ჭეჭილდება. გახმობის შემდეგ ჭეჭილი (ღივი), რომელიც წააგავს ზღვის ბალახს, სცივია. ხმარობენ წამლად (ა. კ.). იხ. ფორის ბოდო.

ბოინ-ი გუნდი, გროვა. „იქა ფრინველთა ბოინი მოიდა სისხლის ღვარზედა“ (ხალხ.): „როგორც ბოინი ჭკისაო“; „მარტჩი ბოინის აშლა იწყება ცაჩი“.

ბოკოკა-ი ბოკოლა — მოკლე და მსხვილრქიანი საქონელი; კოტიტა — მოკლე და მსხვილთითა ადამიანი. „ბოკოკაი თითები აქტ“ (ე. ქუშ.).

ბოლაობა თამაშია — აიწონა-დაიწონა. ფიცრის ან მორის ბოლოებში ჯდება თითო ბავშვი და აქანავენენ.

ბოლოთფიცარი-ი მარხილის ფეხების შემაერთებელი ხე ბოლოში (ჭუთა).

ბოლტი-ი 1. ბელტი. „დიდი ბოლტები ჯენის ღროს დავკუწითკე“; „ბოლტითა და ქვით ამაგართომს სულსა“, 345. 2. გამინდვრებული ნიადაგი.

ბორაყ-ი, ბოროყ-ი დასამწყალობელი ვერცხლით შექედილი ჯვარ-ხატი გრძელტარიანი. ამა თუ იმ ხატის ყმათ უხმარიათ გამოსაბრძანებლად და ბრძოლებში ღროშად (ა. კ.).

ბორა-ი დიდი, მსხვილი. „ბორა ბატყანი; ბორა კარტონაი“.

ბორბოლ-ი ბორბალი, თვალი. „ურემს ორი ბორბოლი აქტ“.

ბორბოლბ-ს ბორიალობს, დროზე ვეღარ გამოდის, ბრკოლდება, ფერხდება. „ძაუგს ბორბოლბდა, იქნება სალონლისთუი თივა ვიყიდაო“; „ნუღარ ჰბორბოლბ, დროზე წადი“!

ბორბოჭელა-ი, ბორბოჭყელა-ი, ბორბოხჭელა-ი ბროლისებრი ქვა, მოთეთრო ტალი, კაჟი. „ბორბოჭყელას ყაზბეგჩი ტურისტები ყიდულობენკე“.

ბორბოტი ზმნს. ნაძალით, მტკივნეული ადგილის რადიაციით მეორე ადგილას ატკივება. „კბილის ტკივილის ბორბოტით ყურიც ამტკივდა“.

ბოს-ი დაწნული მოკლე თასმა ქამარზე დანის ჩამოსაკიდებლად. „ბოსები, რეველვერები, ხანჯლები — სუყველა ეკიდა ტანსამოსზე“.

**ბოსლობა** ძვ. რელიგი. დღესასწაული სოფელ ყანობში ბაეშვის დაბადების აღსანიშნავად და სალოცავად.

**ბოტება** (იბოტებს), **ბოტობა** ჯიხვების მძუნობა, ხურაობა. „ზაფხულის დედალი და მამალი (ჯიხვი) ერთად აღარ დადიან, შამოდგომაზე დაიწყებენ ბოტობასა“, 41; თხების ნერბვა, დაგრილება. „ეს თხა ბოტობს, ამას არ უბოტნია“; „თხამ თხის შურით იბოტაო“ (ხ ა ლ ხ.).

**ბოქა-ი** ფალავანი; მოქიდავე, მოჩხუბარი. „გაიმართა კიდაობა, ყველამ თავისი ბოქა გამაიყვანა“; „ბოქა ყოჩი“.

**ბოღლამა** ბოტ. ალპური ზონის შხამიანი მცენარეა, ფესვების ნახარშით ამზადებენ წამალს. „ყურჩი ბოღლამა ჩააწუთა“.

**ბოლოჭო**, **ბოლოქელა-ი** მოჩვენებითი, არაარსებული სული. ხმარობენ ბაეშვების დასაშინებლად (მდრ. ბულულაი). „დაჩუმდი, თორო მოვა ბოლოქელა (ბოლოჭო) და წაგორის!“ გადატ. შესაშინებელი შეხედულებების ადამიანი. „ბოლოქელასავით სახე აქტ“; „წადი, დაიბანე, ბოლოქელას ღვეცხარ“.

**ბოყო** მსუქანი და ნელა მოსიარულე კაცი (კ. ქუ შ.).

**ბოში მთა 1.** მწირი მთა, რომლის ბალახი ყუათიანობას მოკლებულია. „ცხორმა ვერ იმატა ბოშ მთაჩი“. 2. უგულო, მშიშარა, სუსტი. „ბოში-კაცია“.

**ბოშდებ-ა** ბოში — მოშვებული, ფომფლე, ფონე ხდება. „უსულადო საქონლის ტყავი არ ვარგა, სისხლი ტყავჩი გაუდგება, ტყავი ბოშდება, სიმაგრეს კარგავს“.

**ბოწკინტი-ი** ბოძი რაიმეს შესადგმელად. „ქერის ხე გათხტა და ბოწკინტი-ლა შაუყენე“ (ა. კ.).

**ბოწოწ-ი**, **ბოწოწო**, **მრ. ბოწოწონი**, **ბოწოწნი 1.** გოგონას ნაწნავები, განზე გაპრეხილი. „ქალას ბოწოწონი აუგრეხია“. 2. დაუვარცხნელი, გაწეწილი თმები. 3. თხელი თმა (სოფ. სნო).

**ბოხიკ-ი** გამხდარი, გაძვალტყავებული. „ბოხიკი ებო“.

**ბოყომბერა-ი//ბოჰომბერა-ი** დაცინვით ეძახიან ელამ ადამიანს (ა. კ.).

**ბოხჩა** ფქვილის ან მარცვლეულის პატარა კასრისნაირი ქურჭელი, ეძახიან საფულესაც.

**ბოჯლოგინ-ი**, **ბოჯლოგინა-ი** სეფისკვერი, ქოთქიდალეს (ნ.) დღეობაზე გამომცხვარი დიდი პური. „იმ ზოვის (—ზევის) გამო ბოჯლოგინი იციან ემ დღის აღსანიშნავად“, 196; „სახელს ვეძახით ბოჯლოგინას — პურს გამოაცხობდეს... დაეშკრიდით და ვკამდით ამ ბოჯლოგინასა“, 65 (კარკუჩა).

**ბოჯლოგინობა** ძველი დღესასწაული სოფელ კარკუჩაში, მოდიოდა 28 ივლისს. „ბოჯლოგინობა იცოდინაქე, ქადა-პურს მაიტანდეს, სასმელს, ქოთქი-დალეს ახსენებდინაქე“.

**ბუუალი**, **ბუუვილი-ი** ტრიალი, ბზრიალი, ზუზუნი, ხმაური (მდრ. დაბეუალე ბა). „თითისტარის ბუუალი“; „დედამ ბზრიალა მამიტანა, ხელს რომ დავაქირებდი, რარიგი ბუუალი დაიწყისკე“!.. „ყურების ბუუვილი“.

ბეუვილა-ი ბზრიალა. გაღატ. სწრაფად მოქმედი. „ბეუვილასავით გაი-  
არა კარი“.

ბრეი, ბრიე ცხვრის გასადენი შედახილი.

ბრიჩკა, ბრიკა (БРИЧКА) ოთხთვალა. „ბრიჩკაჩი შამბული ცხენი კი მაუ-  
კლა“. 341; „მაახლოვდა ორი ბრიკაი, მოვიყვანე გზაზედა“, 275.

ბრიხი-ი ელამი. „უფლისწულმა ქალს თოლებში ჩახედა. ქალი მახინჯი იყო,  
ბრიხი და ლოჯიანი“. ბრიხი სარკე — სარკე, რომელიც კარგად არ აჩვენებს  
გამოსახულებას.

ბრო კირვეული, ანხლი, ხუშტური. „ი ყაზბეგაი მარკე და ბრო კაცი  
იყო“. 106; „ბრო აქუ; ბრო მაუვლის“.

ბროიანი-ი ნერვიული, ხუშტურიანი, ცვალებადი, მძიმე ხასიათის მქონე.  
„ბროიანი კაცი“.

ბროლწურა-ი მთა კარკუჩაში; თოვლით შელესილი მთის წვერის ეპითე-  
ტია. „აგრა ყირვანი, ბროლწურად“.

ბრუნავ-ს დასტრიალებს, უტრიალებს, მზრუნველობს. „თუ პატრონის  
თოლი არ ბრუნავს, რაი საქონელი იხეირებს“.

ბუბლ-ი ნაზამთრი ბალანი; სქელი ბეწვები. „თუ ღარიბად გახკუებე, ძრო-  
ხას გაზატნულზე ბუბლი გახყუება“.

ბუბუნებ-ს 1. ყვირის, ხმიანობს (მოზვერი, ხარირემი...). გაღატ. ფი-  
გურ. „კევს ვილაც ივასებაი ბულა ბუბუნებს მთაჩია“ (ხალხ.); 2. წყნარად  
და კარგად საქმიანობს. „ბედრიანაი კაცია, სულ ეზო-კარჩი ბუბუნებს“.

ბუზუნა-ი ბუზი. „ყველა ბუზუნა დაფრინავს, თავს აწყვეტს, ძალზე ბუზი-  
სო, მაგრამ რაც უნდა ეცადოს, შეთაფლიასთან სტყუისო“ (ხალხ.).

ბუთუნა-ი პატარა, მსუქანი ბავშვი. „დედავ, დედავ, როგორი ბუთუნაი  
ხყვანია, ნახე“?

ბუთქ-ი, ბუთქვი-ი 1. ბუჩქი. „ბუთქის ძირჩი ია ამასულიყო“. გაღატ. ფო-  
ჩები, ხშირი და გრძელი ბეწვი ან ტოტები. „ბუთქი კული“; „ბუთქი წურეჩი აქუ  
ამ კაცსა“; „ბუთქი ცოცხი“. 2. პატარა, ბუჩქისოდენა ადგილი, თოვლით დაფა-  
რული. „ეს ბატარაი ბუთქილა დარჩა, მაგასაც ჩქარ ააშრობს მზე“.

ბულულა-ი მოჩვენება, მოგონილი საფრთხობელა ბავშვების დასაშინებ-  
ლად (სინ. ბოლოკო). „ბალლი აუტირდა, ველარ გეჩუმა და სარკმელთან  
მეეყვანა — ეგე ბულულაი წაგიყონსო“, 126.

ბუმბლა-ი ბალახია. „ბუმბლაი მაშინის ამაიყრის, როცა ავდრის მამრე  
კარგ დარს დაიქერს, მალედვე ხმება“.

ბუნაგ-ი სურსათ-სანოვავის, სასმელის შესანახი ქურკლეული. „არაყი  
მაქუ გამასაშობი და ბუნაგი არა მაქუ რა“.

ბუნგალ-ი მტვერი, კორიანტელი; კვამლი. „ცხენს მაუკრიფა ტოტები,  
გზას გაადინა ბუნგალი“, 179.

ბუნგლა-ი, ბუნგლია-ი საზრიანი, ყოჩალი, მარჯვედ მოქმედი. „მაგისი კი იმედია, ბუნგლიაია! აი, შე ბუნგლაო“!

ბურაო (бурильный) საბურლი, სატეხი. „რკინის ბურაოები იყო, ფოლოდისა, დაპირული; სცემდეს ნება-ნება კჭერთა და ამაიღებდეს ღრმულსა“, 131.

ბურბუხველა-ი იგივეა, რაც ბორბოხველაი.

ბურვა ბურღვა, გახვრეტა გახურებული რკინით, ბურღით. „ბურვა შაიძლება როგორც ხისა, ისრი კლდისა“.

ბურნა (ჩ. ვ. მ. რ. ბურნები) თხრილი, რომო მინდორში აღვილ-აღვილ. „ყიზლარჩი საძოვრებზე მინდორჩი ბურნებია“.

ბურნაჟ-ი ლითონის ბრჭყვიალა ფირფიტა უნაგირის ტახტას სამკაულად.

ბურნუჟ-ი იგივეა, რაც ბუნიკი, სათიხარი. „ხანჯლის ბურნუჟი მიწაზე მასტრევედა“.

ბურძგლა-ი ჩია ტანისა და გაჩეჩილი ადამიანი. „ეგ რაის ვაჟკაცია, ნამდღილი ბურძგლაი არის“.

ბულაორა-ი სერის სახეობაა — ნიშანი ცხვრის ყურზე. „შენს ვაცსა ბულაორაი არა ჰქონდა მარცხენას ყურზე“?

ბუშლაჟ-ი ბუშლატი, მწყემსების ქუდიანი ზედატანსაცმელი. „ბუშლაჟი გტქონდისკე, სანთლით ეპოხავდით, წუიძას არ უშობდა“.

ბუშტი-ი კობი, ამობურცული ადგილი სხეულზე. „შუბლი კედელს მივაგაღე და ბუშტი ამამივიდა“ (ა. კ.).

ბუჩი-ი პარკოსანი მარცვლეულის ცარიელი ბუდე, ჩენჩო; წვრალად დაპკრილი ჩალა. „მარცოლი ზოგი სულ ბუჩქი იქნება, ფუტურო და უვარგისი“; „ეზოჩი ბუჩები ეყარა“.

ბუჩა თოფია ერთგვარი. „ემ მეთოფეს უთქმია, ბუჩა რომენსაც ექირა“, 212.

ბუჩუჟ-ი მრგვალ რიცხვზე მეტი ერთეული, ზედმეტი ნაშთი. „ოცის თავს რომ ასცდება, იტყუიან: ბუჩუჟი რამდენი დარჩაო. ასორმოცდაშუიღჩი შუიღი ბუჩუჟია“.

ბუჩყველა-ი ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მინდორში ამოსული სოკოსებრი მცენარეა. „მთელი ზაფხული იწუიმა და მინდორჩი ბუჩყველაი გაჩნდა“.

ბუცუც-ი, ბუცუცა-ი მუცელი ბავშვის ენაზე. „ბუცუცაი მტკივა“. ვულგლორმუცელა, მუცელს გადაყოლილი. „ის დაღუპილი ისითი ბუცუცია, რო თავის ფაშაის მეტი არცრაი აკსონ“.

ბუწა-ი უზვი ცხენი, კვიცი რომ არ უჩნდება. „ბუწუკი იყო, ეტყობოდა, მუცელი წელზე აკრული ჰქონდა, კუიეს არ აჩენდა“.

ბუწუჟა-ი მუწუკი. „როგორი ბუწუჟაი გამასვლია ხიზანსა, მოუვლელობისაგა თუა ან ნაწყენობით“.

ბუჯ-ი ნელი, მძიმე, ხანგრძლივი სიარულისათვის გამოუსადეგარი ცხენი. „ჩემი ცხენი ბუჯია და ავადობს“.

**ბუკუა**-ი დიდი, ზორბა; ჩასკვნილი, ღონიერი. „ბუკუა კარტოხაი; ბუკუა ბალღი“.

**ბლალა**-ი ნეხვი. „სათესლე გოდორი გაღესილი იყო ბლალათ“.

**ბლანჯ**-ი ბრქვალღი; დათვის ტორღი; გაღატ. ირონ. დიდი ხელი. „ეგეთს კუნჭულში მიმჭუჭკის, თავღი ვერ მობრუნდებოდა, რასაც კი ბლანჯი მოუსვის, ექღმი დასქირდებოდა“ (ხალხ.); „გუელეშაჰმა დასცა ბლანჯი და ცაში წაღლა“ (გერგ.).

**ბლარა**-ი პირდაუბანელი, თავმოუვლელი ადამღანი.

**ბლარჯ**-ი მიხრილ-მოხრილად, ირიბულად, გვერდულად მავალი.

**ბლანძღ**-ი ძველმანი, ძონძღი (შღრ. ბღღეძღ). „სახლშიც ბევრი მიყრღი ბღღანძღები“.

**ბღღენღა**-ი ღორღს ეპღთეღღა (ა. კ.).

**ბღღეთუფროს**-ი ძღ. თემღს მიერ ამორჩეული მრჩეველ-მომრღგებელთა უფროსი. „ძღელღობრღვ ბღღეთუფროსი და რჯულღსთავღი ყვეღაფერღს წყუღტღა“.

### გ

**გააბღზბღზებ**-ს გააგღებს, გააძღვებს, გააჰანღურებს. „გააბღზბღზეს ღს ალღღში გარეთ“.

**გააღღღეშებულღ**-ი ალღღში, — გატუტუცებულღი, გასულღღებულღი.

**გაარხღღებულღ**-ი არხღღად ქეღუღღი, ყინულღთ გამაგრღებულღი, პღრმოყღღ-ნულღ თოვღღი. ძღღელი თოვღღი გაარხღღებულღი იქნებაღ, ფეკღ არ ჩავა და არც ზოღღსგა იქნება საშიშიღა“.

**გააფატკრღინებ**-ს გაართობს, დარღს გაუქარღებს. „ღსრი ვღყავღ, ღამღს გუღღი გამსკღღომღყო, მაგრამ ხღზანმა გამაფატკრღინა“.

**გააფრახებღ** (გააფრახებს, გააფრახღღება, გააფრახებულღი) გაავებღ, გაკაჰასებღ, გაანჩღღება, გააფთრებღ, გაგღეებღ. „ნეტარ რამ გააფრახა ეგრენა“?! „გააფრახებულღი ცხენღ“.

**გაახაღღსებ**-ს გაამხნევებს, შეაგულღღანებს, წაჰქეზებს. „ღმ ქაღღმა გაახაღღღსთა თავღსღ ძმებღ — შაღღებღ გხურავეთ თავზე, მაშ რაღღა, მტერი თავზე მაგაღღ-გათო“ (ქარკ.).

**გაბაზარღღებულღ**-ი გარყენღღი, გავარღღნღღი, თავაშევებულღი (უფრო ქაღღ-ზე იტყვიან).

**გაბებღღღ**-ი გაბღღენძღღი, გასღებულღი, გაფუებულღი, ფაშფაშა. „გაბებღღღღღა შუაყანაზე, ვერც ვღს გაუღღღა გუღღრღზე“!

**გაბებქავ**-ს გატყეჰავს, სცემს, გაღახავს.

**გაბებქნვა** (გაბებქნავს, გაღბექნება, გაბებქნღღი) შაღღს მტკღციღღ მოქსოვა, მოქსოვღღ ნაწღღზე სავარცხღღს ცემა. „ნაქსოვს მაგრად გავებქნავთ“; „ქარგა გაბებქნღღი ტოღღა“.



გაბიკულ-ი, გაბიკებულ-ი მოუქნელი ადამიანი: მოუხრელი, სარგადაყლა-პულივით სწორად მოსიარულე. „შენა, როგორ გაბიკული დასდინხარ“? (ს ი ნ ი).

გაბოტებულ-ი დიდი ხნის ნასვენი მიწა. „მიწა თუ ქვიშრობი და ნაბეჩხა-რი იყო, სამს-ოთხს წელს აღარ ვწავდით, გაბოტებული გაუშუიოკე“.

გაბოტიტნება ფეხების გვერდზე გადგმა, განზე გაწევა, გაბარკლეა.

გაბოხიკებულ-ი გამხდარი, გაძვალტყავებული საქონელი, იტყვიან ადა-მიანხეც. „ძრიალ გაბოხიკებულია ძროხები, რასლა მაიწუტლება ან ზამთარს როგორლა გამაივლის“.

გაბრიყუება (გააბრიყუებს, გაბრიყუდება, გაბრიყუებული) გაველურება, თავის ნებაზე წასვლა, მოუვლელად დარჩენა. „ტყე გაშქრეს და ადგილიც გაბრიყუდა, ახლა აღარც საძოვრად ვარგა“. „ბოშე ფენსაცემლა ფეკები გა-მიბრიყუა“. „გაბრიყუებული ცხენი“.

გაბრუნჩვა ბუტიაობა, უმძრახობა.

გაბწკალვა (გაბწკალავს, გაიბწკალება, გაბწკალული) გაკაწერა, გაფხაპნა, გაბზარვა. „რაისთჟი გაგებწკალავს ეს ჭურჭელი“!

გაგან-ი (გაგანებს) განუწყვეტელი ლაპარაკი ერთსა და იმავეზე; შფოთი, ბუზღუნა, ქაქანი, „გაგანი ისმის; გეყოფა, სულ ნუ ჰგაგანებ“!

გაგლა (გაგლის, გაიგლება, გაგლილი) 1. დაჩეჩქვა, დამხხვრევა, დანაყვა; გაცვეთა. „წულეები ერთ კუირაჩი გაგლა“; გაღატ. გაღევა, შექმა, გაწვრი-ლება. „შენმა უბედურმა საქციელმა გული გამიგალა“. 2. მუშტების ერთმანეთ-ზე დარტყმით ბავშვების დამუქრება. „აბა, ბიჭავ. გაგალე ბიძაი“!

გაგუვება (გააგუვებს, გაგუვდება, გაგუვებული) 1. გაცხარება, გააგება, გა-ლიზიანება, გართულება. „ბედრიანას შელოცვით მკურნალობენ, წამლები გააგუ-ვებს“; „ქელზე წყლული გაგუვდა“. 2. გაჩუმება: დახუკვა; ნეიტრალურად ყოფ-ნა: თამაშის დაწყებამდე ბავშვები ერთ მოთამაშეს ეტყვიან: შენ გაგუვდიო, ესე იგი გავიდეს ან არ დაინახოს დანიშნული საგნები წილის ყრის დროს, შემ-დეგ შემობრუნდეს და მოთამაშეებს წილები ამოაღებინოს ქულიდან. 3. გა-ბუტვა. „წამიყვანე ქალაქჩი, თორო გაგიგუვდები“!

გაგუზგუზებულ-ი გიზგიზი რომ გაუღის, გახურებული, გავარვარებული. „ღომელი გაგუზგუზებული იყო“.

გადაავლეც-ს გადაარონინებს. „ისრი გადავავლიე მთა, რო უკენ არ მაუ-ქცერია“.

გადაამკობ-ს გადაცლის, გადაყრის, გადაიღებს. „ემ ტუმარაჩიგათ მეორე-ჩი გადაამკუტე ფქუილი“; „ქობჩიგათ წყალი გადავამკუტე“.

გადაასხოვებ-ს დაღუპავს, გადაამენებს, შეიკლავს. „იმღუნეი სწყია, რო გადაასხოვა“; „გადამასხოვა მეზობელმა ცუდი ქცევითა“ (ვ. შ ა დ.).

გადააწრინტებ-ს გადააპურკუყებს, ბაგეების მოკუმვა-მოვიწროებით და

„ქილებში გამოცრით“ გადანერწყევას“. „პეპიროხსა სწევს და გადააწრინტებსკე“.

**გადაბეხებულ-ი** ძალიან დაბერებული. „ერთი გადაბეხებული რაიმე კი იყო და მინც გათხოვდა“.

**გადაგლი-ს ფ ი გ უ რ.** გაატარებს, გაივლის. „სულ სოფელჩი გადაგალა გაზაფხული და სთქელიო (ხ ა ლ ხ.).“

**ვადაგონთებულ-ი** მეხსიერებადაქვეითებული. „ახლა რაილა ამბოვი გითხრა. ვადაგონთებული ვარ“, 83.

**ვადამცხევ-ა** გადაიჩეხება, გადავარდება. წყევლა: „კლღეზედამც გედემცხევი“!

**გადაილაკებ-ა** ზიანი მოუვა საქონელს, წველას მოუკლებს, გახდება, დაავადდება ან დაკოჭლდება. „გადაილაკა საქონელი, დამიზეზებული თუა“.

**გადაისტენ-ს** გადაისევამს, შემოისევამს. „გადაისტინა ცხენზე და ისრი წაიყვანა“.

**გადაიღებ-ს** წყველითა ძვ. ც რ უ რ წ მ. ნამეტანი წყველით მოსპობს, თან გადაიტანს, გადაიყოლებს. „ბეჩავი იმ ქუჩივმა გადაიღა წყველითა“.

**გადაკამარება** (გადააკამარებს, გადაკამარებული) აკვანზე საბნის ან სხვა საფენის (ნ. კ ა მ ა რ ა) გადაფარება. „აკვანი გადააკამარე“?

**გადალაკვა** (გადალაკავს, გადაილაკება, გადალაკული) 1. სწორ გზას აცდენა, გაოგნება. „გადალაკულია ბეჩავი, ნეტარ რაი ეშუტელება; რაც ცოლი მოუჟუტა, სულ გადალაკულია საცოდავი“. 2. წველადობის მოკლება ავადმყოფობის გამო. „ძროხა გედემელაჯა, რაც ავად იყო, იმის უკენა“.

**გადალიციციებულ-ი** მეტისმეტად სავსე, პირთამდე ავსებული, გალიციციებული. „წუენით გადალიციციებული ბაკენბი დოგიდგეს წინა“ (ა. კ.).

**გადამხრჩუალ-ი** ძალიან გამხდარი და დასუსტებული ადამიანი, პირუტყვი. „რალა ხარ ეგრე გადამხრჩუალი, ჯავრი რო არა გაქჟ რაი“?

**გადანაყარ-ი** თავს გადახდილი, განცილილი, გადატანილი. „ბევრ საცრის პური მიქამავ, ბევრსაც ვარ გადანაყარი, ეს კი არ გამიგონია — დედოფალს ჰკოცნის მაყარი“ (ხ ა ლ ხ.).

**გადანოსკვა** (გადანოსკავს, გადაინოსკება, გადანოსკილი) გადანასკვა, გადაკვანძვა; გა და ტ. აკვიატება, გადაკიდება. „რას გედემენოსკე, აღარ მამეშუები“?

**გადაოგნება, გადაორგნება** (გადააოგნებს, გადაოგნდება, გადაოგნებული) 1. სიბერით გამოყრუება, გამოფიტვა. „გადაოგნებული ბებერილაა, აღარა ეყურება რა“; 2. სქესობრივი უნარის დაკარგვა. „გადაოგნებული მაზტერია, ველარ აღის (საქმობს) ძროხაზე“; 3. დაბლაგვება. „პირი ველარ ვუპოვნე ცელსა, ისრი გედეოგნა იმ ბალღშავასა“; „გადაოგნებული ხანჯალია, ჯორცსაც ველარ შჰრის“ (ა. კ.).

**გადარეხვა** (გადარეხუავს, გადაირეხუება, გადარეხუილი) გადაჩეხვა, გადა-

ვარდნა. „ხეს ძირი შამაუხერხე და მაშინვე გადირებო“; „მთროლი იყო, ჟეკზე მძლივ იდგა და გადირებო კლდეზე“. წყევლა: „კლდეზედამც გადაირებოები“!

გადასაკრავებ-ი აკვნის არტახები. „ფსტენო, ფსტენო, გამაძტერ, დედა-შენსა ვაჟი ჰყავს, მიუტანე აკვანი, ოქროს გადასაკრავი (ხ ა ლ ხ. ა. კ.).

გადასასხოვებ-ი გადასაჩენი, გადასავარდნი. წყევლა: „შე კლდეზე გადასასხოვებო“! (ა. კ.).

გადასაკედ-ი გადასასვლელი; თავს გადასავალი, რაც უნდა გადახდეს ადამიანს. „რაც გადასაკედია, იმას ვერავინ შაუშტერს ველსა“.

გადასულუქებულ-ი მისუსტებული, მიბერებული (საქონელი, იტყვიან ადამიანზეც). „გადასულუქებული კია, მაგრამ უფროსია, სიტყო ეკუთუნის“.

გადასხოვდებ-ა გადაიჩენება, გადაენარცხება. წყევლა: „ეგრემც გადასხოვდები, როგორც თომასი დედა“ (ა. კ.).

გადატოპავ-ს დიდი ნაბიჯებით გადავა, გადალაჭებს, გადაახტება. „გადაატოპა ჩემს ყოჩსა“.

ვადაფერკნილ-ი კალაპოტიდან ამოვარდნილი, არაწესიერი ცხოვრების მიმდევარი, არეული, შერეკილი. „ე მაგ ვადაფერკნილს როგორ გაჰყვეიო, ეგრე გამილანძღა ქმარი“.

გადაფრინდებ-ა გადაახტება; სწრაფად, მოხდენილად გადავა, გადავარდება. „გადაფრინილიყო სათამაშოდ“.

გადაქნა (გადაქნის, გადაიქნება, გადაქნილი) 1. დაბლაგვება. „გადაქნილი ცივი იარაღები“. 2. ხშირ-ხშირად სიარული.

გადაქოჩირებულ-ი ქუსლთან გამრუდებული, მოქცეული ფეხსაცმელი.

გადადილულ-ი გაღელილი, გახსნილი. „საყელო გადადილული იჯდა სუფრახე“ (ა. კ.).

გადაღნულ-ი (ნ. გ ა დ ა ღ ნ ა ვ ე ბ ა) ძალიან გამხდარი.

გადაღნავება (გადააღნავებს, გადაღნავედება, გადაღნავებული) დასუსტება, დაუძლურება, შიმშილის ან ავადმყოფობისაგან გახდომა. „უბალახოდ საქონელი გოდოგიღნავედა“.

გადაშორებულ-ი ჩამოშორებული, მოცილებული, მოკვეთილი. „ჩქენ მათთან გადაშორებულები ვართ. არც ქირაი, არც რხინჩი ერთურთთან არ მივიღივართ“ (ა. კ.).

გადაჩალავ-ს 1. გაღწეულ ჩალას, ბზეს კალოდან გადაარჩევს, მოყრის და აბერტყავს. „მამრე გადაჩალავდით კალოზე ნალეწს. ორთითები იყო, იმით ვჩენდით“, 178. 2. გ ა დ ა ტ. არად ჩაავდებს, დაჩაგრავს. „ხათრიანი და იმისთჳი გადაჩალა სუყველამა“. 3. გ ა დ ა ტ. ჩაწიხლავს, უღალატებს, გააუფასურებს. „ის ქალი გადაჩალა და ცხო შაირთა“.

გადა-ს-ძრახავ-ს გადაულაპარაკებს, ეტყვის. „ლევანეთ გორის უფროსს გადავსძრახე — იმ ბაღლისაკე თოღნი გეჭირას-მეთქი“.

გადა-ს-წყლტ-ს გადაწურავს. „ერბოს გადმოვადღებთ, გადავსწყლტო  
ქურქელჩი“, 218; „სტელი გადასწყლიტა“.

გადაწურავ-ს გაასუფთაებს, ტაბაკით ხორბლის დაკეთების დროს სარე-  
ველას მოაცლის. „ცოტაი ქერი მქონდა და ისაი გადავწურე“.

გადაქამ-ს ჩამოაქევეს, ჩამოშლის, მოარღვევს. „წყალმა ნაპირები გადა-  
ქამა“ (ს ი ო ნ ი).

გადაქერა (გადაიქერს, გადაუქერს) 1. ბავშვის გადაყენება კუჭში გასასე-  
ლელად. „ბალი გარეთ გაიყვანე და გადაიქირე“; 2. გადაშვერა, დამიზნება,  
მოღერება. „გადაუქირა თუ არა თოფი, მაშინვე დასხლიტა“.

გადაჯელავ-ს პურის ცომს ამოაგუნდავებს. „პურანი გადავკვლე“ (ა. კ.).

გადაჯელთილ-ი გამოსულელებული, გამოყეყეჩებული. „დადელა, ჩე, გადა-  
ჯელთილის გონს აპყევ“?! „სულ გადაჯელთილი დადის, ცოლის ბრალია“!

გადებულ-ი ვეებერთელა, დიდი, უზომო. „გადებულ-გადებული ხენი მიჰ-  
ქონდა წყალსა; „უცქირე, ბეჩავ, გადებულნი ყველის ნაჩენნი არ დაუქერია“!  
(ა. კ.).

გადეგობა არემარე, მიდამო, ახლომახლო. „ამ გადეგობაზე მაგასავით ნა-  
მუსიანი კაცი არაა“.

გადი-ს ე ვ ფ. საქმობს, ანაყოფიერებს. „ქანი მაზტერია, ვერ გადის ძრო-  
ხაზე“.

გადმააგლი-ს ფ ი გ უ რ. გადმონარცხებს. „ვეფხნი კლდეთ გადმააგალა,  
ჩამააწითნა ქვიშანი“ (ხ ა ლ ხ.).

გადმაერევ-ა 1. გადმოვარდება, გადმოიჩხება. „ცხორი კლდეზედით გედ-  
მეერია“; „ქალი ბანზედით გადმარეულიყო და თავი აქტ გატეხილი“. 2. დარე-  
ვა, დასევა. „ბაღლები ძაღლებს ჯობებით გადმეერივნეს და შინატკე დაიწოკეს“  
(ა. კ.).

გადმაეწაწებ-ა გადმოიხრება, გადმოიწევა რაიმეს მიწვედომის მიზნით.  
„ალათანი გადმაეწაწა, ცეცხლს ყური არ უგდა, უნდოდა კაცი აეტაცა“.

გადმათრი-ს გადმოათრევს, თრევით გადმოიტანს. „გადმათარეს თივა“.

გადმაიმცხევა-ა, გადმაინცხევა-ა გადმოვარდება, გადმოიჩხება. „კეკერაი  
ბატკანი კლდეზედით გადმანცხეულიყო“.

გადმაკვრა (გადმაკრავს, გადმაიკვრის, გადმაკრული) გადმოკეტავს. „კარი  
ლია არ დაგრჩეს, გადმაკკროდე“; „ხიზანი კარგადმაკრული დავეყარე“.

გადმასავლებ-ი, გადმასავლება-ი ღუმელში ან შუაცეცხლზე მოსახმარი სა-  
წვავი — ფიჩხი, ხმელი ღეროები, რომელიც შემოუვლის (გადმოეგლება), მოე-  
დება თავზე მთლიანად შეშას (ს ი ნ. ს ა წ ო ვ ი, გ ა ს კ ი დ ა ი).

გადმასანარცხე, გადმასანერცხე გადმოსანარცხებელი, გადმოსავლები..  
წყევლა: „შე კლდეზე გადმასანარცხეო“.

გადმატყუემ-ს გამოაყრის. „სირსოლაი ძრიალ გონჯი ავადობაა, რაზეც  
კი გადმატყუემს, კელად ცხოზე გადავა“.

გადმაყუდებულ-ი 1. წინ წამოხრილი. „ყუროს მეორე მხარეს რო მთაა, ის გადმაყუდებულია“. 2. რამეზე დაყრდნობილი. „ურემზე, ქვაზე ან კედელზე დაყრდნობილს ჩუენჩი გადმაყუდებულს ეძახიან“. 3. დაუპატიჟებელს სტუმარს გადმაყუდებულს ვეცყვით. 4. უსაქმურად, უთავებლოდ მოსიარულეს გადმაყუდებულს ვეძახით (ყ ა ზ ბ.).

გადმაწევა (გადმოუწევს, გადმოწეული) გადმოგდება, გადმოვარდნა. „ცხენმა გადმამიწია და მჯარი დაეჭკარა“; 2. გადმოხტომა. „ბალებმა ბანზედით გადმაუწიეს“ (ა. კ.).

გადლლამფვა (გადლლამფავს, გაიდლლამფება, გადლლამფული) გაჭიმვა, გაგანივრება, გაფართოება, გაწევა. „ლორის ტყავის ფეკსაცმელი რო დასველება, გაიდლლამფება“.

გადლუყებულ-ი ზორბა, სრული ადამიანი, იტყვიან აგრეთვე უშნო შესახედაობის, უზომოდ მსუქანი, უქნარა ადამიანის შესახებ; გაამპარტავებული. „გადლუყებული ადამიანი“.

გაელდებულ-ი ელდანაცემი, შეშინებული, გაოცებული. „ეშმაკებისაგა წამოვე გაელდებული“.

გაემწქნევა-ა ჩაებლაუქება, ჩაეკიდება. „როგორ გამწქნევა დედის კალთასა ამოდენა ბალლი“!

გაენჩება (გაენჩდება, გაენჩებული) გაოგნება, გაოცება; გაბრუდება. გარინდება. „ეგ რო მითხრა, სულ გავენჩიდა“; „ბალლი უძილობით გაენჩებულა“.

გაეხურგლებ-ა ამოუწყდება, დაეხოცება. წყევლა: „გეხურგლას ცოლ-შვილი“.

გავარდებ-ა გავა, მეორე მხარეს გაუწევს, გაატანს. „ნაბადს წყიმა გაღვარდა“; „კედელს ტყუთა გაღვარდა“.

გავედა გასავალი, გავლენა, ავტორიტეტი, სახელი; ნდობა. „ამ ამბის მამრე არც ვისთან არა აქუს გავედა. მაგათ ადათს ჩუენჩი გავედა არა აქუ“. „გავედიანი კაცია“.

გაზა-ი ბორკილი, ცხენის და სხვა ცხოველის წინა და უკანა ფეხების გასაბმელი. „თხას გაზაი გაუყარე, რო ლობეზე არ გადაფრინდეს“.

გაზერქნილ-ი გაუფუებელი, ნახევრად ცომი. „საპოვნესავით გაზერქნილი პურია“ (ა. კ.).

გაზი — გაწუჭუტა-ი თამაშია: ახალგაზრდები ორ ჭგუფად გაიყოფიან, გააელებენ სწორ ხაზს, ამ ხაზის მოპირდაპირედ დგებიან და გრძელ საბელს ეზიდებიან თავ-თავიანთ მხარეს, ვინც დაძლევს, ის არის გამარჯვებული. გაღატ. ჩხუბი, გაწამაწია. „ისით დღეჩი არიან, სულ გაზი-გაწუჭუტაი აქუ ოჯახჩი“.

გაზიდვა (გაზიდავს, გაზიდული) 1. გაწევა, საჩხუბრად შეტევა. „დასაკრავად გაიზიდა და ამხანაგებმა არ გაუშტეს“. 2. გადაწევა, გადაშლა. „ფარდაი გაზიდე“; „ტუმარაის პირი გაზიდე, ფუჭილი უნდა ჩავეყარა“; 3. დახურვა, მიკეტვა. „გარეთ რო გახოლი, ეზოს კარი გაიზიდე“ (ა. კ.).

გაზივილი-ი ქორაობა, ზურგს უკან აუგის თქმა, გაკილვა. „ისითი გაზივილი იცის, რო ქვას განეთქავს; ისითი გაზივილი იცის — ვარს დააწვენს და კბოს მოაგებინებს“; „გაზივილს კაცი არ მაუკლიაო“ (ხ ა ლ ხ.).

გაზმანა გაზომეა.

გათავებულ-ი ს ა უ ბ. შებრალებით მიმართვაში — დაღეული, მომსპარი. „რამ დეგემართა, შე დედაგათავებულო“? (ა. კ.).

გათავთავდებ-ა (გათათავთავადებს, გათავთავდდება, გათავთავადებულნი) გა-ცალკეება, გაყოფა, დაშორიშორება, თავ-თავისთვის წასვლა. „ყდელი გაწყდა და კარ-გუთანი გათავთავადლა“; „ჩამოვიდიან დეკანოზები, დაამწყალობიან გა-საშუქლებლად. გაშუქლდიან, გათავთავადდიან მაჩხუბრები“, 73.

გათათხვა (გათათხავს, გაითათხება, გაათათხული) გაჩაჩხვა, ფართოდ გა-ჩაჩხვა, ფართოდ გაშლა (ფეხებისა). „გათათხა ფეხები“, „გათათხული დადის“.

გათენთილი-ი მოთენთილი, მოღუნებული. „მზეზე მეძინა და გათენთილი ავდე“.

გათხრაზვა (გათხრაზავს, გაითხრაზება, გათხრაზული) გაჩაჩხვა, გაფარჩხვა, გაშლა, გაცალკეება. „ქალამი გემთხრაზა და ველარ სწერს“; „ეგ ბალლი ბარკ-ლებჩი გათხრაზული ეტყობა, გონჯა დადის“.

გათურქავს- გამოლანძღავს, დატუქსავს. „ის შენი მეზობელი გაზივილის-თუი კარგა გავთურქე“ (ა. კ.).

გათხტებ-ა გატყდება. „გათხტა თიხის მილი“.

გაიარე მაგის ბარკალთ შუა შესარცხვენი გამოთქმაა: მოზრდილი რომ ბავშვს სცემს, შემსწრე ასე შეარცხვენს: „მაგას რასლა უსწორდები, გაიარე მა-გის ბარკალთ შუა“! (ა. კ.).

გაიღლამფებ-ა გაითხლამფებ-ა 1. დასველებით სიგანეში გაიწევეს, მო-ფონდება (ფეხსაცმელი). „ნაწუთიმარზე ვიარე ბალახებჩი და ქალბნები ისრი გაითხლამფა, რო ერთ ქალბანჩი ორივე ფეჯი ჩემეტევა“. 2. გ ა დ ა ტ. გამო-იჭიმება; მოშვებულად დაჭდება (სკამზე). „რას გასთხლამფულხარ (გასდლამ-ფულხარ) შუაყანაზე“?

გაიზღუხებ-ა ვ უ ლ გ. წაეთრევა, მოშორდება იქაურობას, გადაიყარება. „გაიზღუხე აქათითა, აღარ გნახას ჩემმა თოლებმა“!

გაიზიპებ-ა გასკდება, გაირღვევა (ნ. ზ ი პ ი-ზ ი პ ი). „იქამდე ვსცემ ციხეს კედლსა, მილამ არ გაიზიპება კარი“; „ზიპი-ზიპი, გაიზიპე, წყაროს თოლი გამო-უშუი, ზიპი ზიპი, გაიყარე“ (ხ ა ლ ხ.).

გაიკვლევს- 1. გაიკითხავს, მისცემს, ხელს გაუმართავს. „ღისაც მაგიდგე-ბათ მთხოვარა, არავინ არ გაიკვლიათო“; 2. გაიწევეს, გაიხმობს, გამოითხრავს. „ჩარჩი გაიკვლიეს“; „კაცი სუფრაზედით ააყენა და გარეთ გაიკუთლია; სათამა-შოდ გაიკუთლია“.

გაიკრებ-ა აურევეს, ჰკუთაზე გადავა (შდრ. გ ა კ რ უ ლ ა ი).

**გაილოცებ-ა წყევლა:** „გაილოცე მამის კერაითაო“ — ამოწყდი მამის ჩამომავლობით, კერა დაგექცეს, მოგეშლოსო.

**გაიუჟებ-ა** 1. სიცივისაგან მოიბუზება, აცახცახდება. „სიცივისაგა გავიუჟენით, მძლივლა გავთბით“; 2. გაწყდება.

**გაისაურებ-ს** მიხვდება, გამოიცნობს, შეისმენს, გაიგებს. „ვერ გაისაურა, რაი მიელოდა“.

**გაიტკრიცებ-ა** ცუდად გამოცხვება პური, არ აიწვეს, დაკუტდება. „როცა შესცივდება და არ აიწვეს პური, გაიტკრიცაო, ვიტყუითკე“; „პური თუ აიწია, ის კარგია, თუ გაიტკრიცა, ის არ ვარგა, გაკვერდაო, ვიტყუით“.

**გაიფუნებ-ა** (გაფუნილი) ფართოდ, განივრად დადგება ან დაჭდება გაფუებულივით. „შუაყანაზე გაიფუნა და გასაველი აღარცაიტკე დარჩა“; „რას გაჰფუნებხარ კარებჩი“? (ა. კ.).

**გაიქჩერებ-ს** გაიმეტებს, შეელევა, არ დაზოგავს. „ერთ კაპიკს არ გაიქჩერებს“; „ქერბელელამ ვერ გაიქჩერა ცოლისძმა მოსაკლავად“; „ცხტრები მამციან, წელიწადჩი ათი, თორმეტი, რასაც ხაზეინი გაიქჩერებდა“, 67.

**გაიჩხლაფუნებ-ს** თქაფუნით გავა წყალში; თქაფანს მოადენს. „ის როგორ გაიჩხლაფუნებს, თუ სადმე გუბჩი ჩაეარდა“.

**გაიღებ-ს** გზას გაიგნებს, გაიკვლევს გზას. „დიდი თოვლი იყო და გზა ველარ გავიღეთ“.

**გაიცდი-ს** გაიტყუებს, მოიშორებს, მოიცილებს. „მე კი გამიცადეს, შინ წავე, თითონ კი ქეიფი დეეწყა“; „ბალები გაიცადე სადმე, რო არ გამამეტირან! არ გაიცდის — დასანახავად ეჭავრება“. „თოლით არ გაიცდის თავის გერსა“, (ა. კ.).

**გაიწერებ-ა** გაიბზარება, გაიპობა, გაიხაზება, ნაპრალი გაჩნდება. „ყინულს კიკინი გაუდის, მალე გაიწერება“.

**გაიწოწინებ-ს** ფრთხილად, მომკირნეობითა და გამოზოგვით იხმარს, იკმარებს. „ერთი ბოთლი ნავთი ერთ კუბირეს გავიწოწინე“; „გაზაფხულამდე გავიწოწინათ უჯდურიო“.

**გაიწუდენ-ს** იკმარებს, დაიკმაყოფილებს. „ის ხინკალი სამს დღეს გავიწუდინეთ“.

**გაიჭიფებ-ა** ძალ-ღონეს დაძაბავს, მეტისმეტად ეცდება, გაიჭაჭება. „ნურვინ ნუ გაიჭიფებით, ჩემთან ვერ მოხვალთ ტოლად“ (ა. ყ ა ზ ბ.).

**გაიხოლიებ-ს** შეიწყნარებს, დაზოგავს, დაინდობს, შეიბრალებს. „კაცს არ გაიხოლიებს, ისითია“.

**გაიჯატრებ-ა** გამოიფიტება, გამოშრება. „მიწა გაიჯატრა“.

**გაკალიჩებულ-ი** გამხდარი, გამხმარი, გაძვალტყავებული პირუტყვი. „გაკალიჩებული ცხეხი ჰყავ“.

**გაკეთება** (გააკეთებს, გაკეთდება; გააკეთებინებს, გაკეთებული) 1. გარჩევა, კალოზე პურეულის გასუფთავება; 2. ეკფ. დაკოდვა (ნ. გაუკეთებელი). „მაზტერი გავაკეთებინე“.

**გაკეურება** (გაკეურება, გაკეურდება, გაკეურებული||გაკეურილი) გამაგრება, გახმობა. „ისრი გაკეურდა პური, კედელს რომ ჰკრა, ნათხუენი არ შალვარდება“; „გაკეურებული შჰადი; გაკეურილი პური“.

**გაკეწრდება-ა** (გაკეწრებული) 1. დოლი, დაირა გახურდება, გაუიცხდება. „მოცეკვავე ქალ-ვაჟს შასძახებდეს და აქებდეს „გაჯმა-გაკეწრდაო“. 2. გახმება, გაქრქემდება. „ლომელი პურები დამრჩა და სულ გაკეწრდა“; „გაკეწრებული დიუ ილარ შაიქმება“. **გ ა დ ა ტ.** გამხდარი ადამიანი. „რაი მათევიდა მაგ ქალსა, წიწკივით გაკეწრებულია“!

**გაკიცხლვა** სხვისი ნათქვამის ან ნამოქმედარის მიბაძვა, გაჯავრება. „კაცს ეშმაკი ეეტორლილა, გაკიცხლვა დაუწყა, რაც კაცმა მაიმოქმედისკე, ეშმაკ-მაც ის გააკეთისკე“.

**გაკ[ვ]რა-გაქცევა-ი** თამაშია. სხვადასხვანაირად თამაშობენ. ზოგან ლელო-ბურთისებურად, ზოგან — ჰოკეისებურად: გაქცეულს ესვრიან ბურთს, ვინც მოახვედრებს, გამარჯვებულია (ყ ა ზ ბ ე გ ი). „გაკრა-გაქცევაჩი ორ ჯგუფად იყოფოდეს: მოვადეები და გამკვრელები. გამკვრელს ბურთს შეუგდებენ, რო გაჰკრას. გაკრულ ბურთს იმდენჯერ მიიტანენ მოვადეები, რამდენჯერაც ბურთი დათქმულ მიჯნას გადასცდება, მიჯნას თუ ვერ გადააშორა, გამკვრელები და მოვადეები როლებს იცვლიან“ (კ ა რ კ უ ჩ ა); **გ ა დ ა ტ.** საჩქაროდ, უგულოდ და უხარისხოდ კეთება. „გაკვრა-გაქცევით ნაკეთები საქმე არ ვარგა“. || საჩქარებული, დაუდგარი. „გაკვრა-გაქცევაი კაცი რო არა ხარ, ცოტა მაიმინეო“.

**გაკრაწვა** (გაკრაწვას, გაიკრაწება, გაკრაწული) 1. გაბრაზება, გაჯიუტება; განერვიულება. „გაიკრაწა და წავიდა, საქმე ვერ გავაკეთებინე“; 2. გახეთქვა, გაპობა, დახვერტა. „სულ მიწანი გაკრაწა და თავისი კი მაინც გაიტანა“.

**გაკრული-ი, გაკრულა-ი** სულელი, შერეული, შექანებული, ტუტუცი. „მაგას არ დაუჯერა, გაკრულია“; **ზ მ ნ ს.** გაკრულ ლაპარაკობს; „გაკრულივით სულ იღრიჰები!“

**გაკუირტნილ-ი, გაკუირტნულ-ი** კვირტებიანი, კვანძებიანი, პატარ-პატარა გუნდებად შეკრული და გამაგრებული მატყლი, თმა. „გაკუირტნილი მატყლი ძნელი დასაჩეჩია“; „დაუვარცხნელობის გამო თმა და წუერი გაკუირტნული ჰქონდა“.

**გაკუპრა** (გაკუპრავს, გაიკუპრება, გაკუპრული) ურმისთვის საპობის წასმა კრიალის წინააღმდეგ. „ურემი გაკუპრა“.

**გაკურენცილ-ი** გაკრეპილი, შეკრილი (თმა, ტოტები). „ტყეს ტოტები აქუ გაკურენცილი“; „გაკურენცილო თხაო, წიხლი არა მკრაო“ (ხ ა ლ ხ.).

**გალ-ი** 1. უტოტო ხე, ნაპობი; სწორი საშუალო ზომის ჯოხი, სარი. „შეშის გალი; როცა თივა ეეგება სათარზედა, სამს გალს გავაკეთებთ, ჭიჭიტაჩი შემეექირება ვალდახი“, 66,215; 2. ძაფის ერთი წვერი. „თითო მარცხლად ვთული ოთხ-ოთხ გალს“.



გალიგებულ-ი, გალინგებულ-ი გალუგებული. გაცივებული. „გალინგებულ-ი წუენი გოხჭრეტინეს“.

გალო 1. ადამიანის ან ცხოველის კიდურების დიდი ძვლები (ბარკალი, წვივი). „ქარი მოგიკლავ ირემი, გალო მაგიგდავ მყარზედა“, 58. 2. იგივეა, რაც გალი.

გალოცვილ-ი გაპარტახებული, ამოწყვეტილი (შდრ. გალიოცება). „გალოცვილი დედაკაცია, მის აღმანობაზე არც ვინ აღარაა“.

გალოკვა, გალოკვიანება გასვრა, გაფუჭება. „ცხორი შარეკა ოთახჩი, გაალოკიანა ოთახი“, 8.

გალუსკუმება (გაალუსკუმებს, გალუსკუმდება, გალუსკუმებული) გაყინვა, გასიპვა. „გოგილუსკუმდა საჯიჯუე, ჭიჯუს ველარ დავეკარეთა“ (ხალხ.).

გალუშკა-ი (галушка) პურის ფქვილისაგან გაკეთებული საკმელი.

გამაადგამ-ს გამოაქსოვს. „წინდას თათები გამაადგი“; „ველის ჭაგებს თითები გამაადგა“.

გამანაკრავ-ს ნამცხვრის გულს (ყველს, კარტოფილს) ქერქს, კანს შემოაკრავს. „დედავ, ჩქარე გამაპკარლა კარტონა“!

გამაბართებულ-ი ვულგ. გამოშტერებული, გამოყრუებული. „არც წინავ ვარგიყო და ახლანის მთლად გამაბართებულია, გზა-კოლი ვრევა“.

გამაბნელებ-ა წყრომით მიმართვა: გამოშავდება, გამოვა. „გამაბნელი გარეთ, შე ჩემის ცოდვით სავსეო“! (ა. კ.).

გამადეგილ-ი გამომდგარი, გამოცდილი. „იასე ომჩი გამადეგილი კაცი იყო“, 28.

გამაგრაზავ-ს გამოკაწრავს, გამოფხაჟნის. „კატამ ველზე გამამგრაზა“.

გამაეჭრებ-ა ჩაეზიარება. „ერთაი ბოთლაი არაყი ჰქონდა სამთა და აბა იმაჩი რო არ გამაეეჭრებოდი“.

გამაიბერტყებ-ა (გამაბერტყილი), გადატ. შიმშილით მუცელი გამოუცარიელდება. „ბალახი არ იყო და ცხორი სიმშილისაგა სულ გამაიბერტყა; უბალახობაა და ძროხა სალამოთი გამაბერტყილი მოდის“.

გამაიზღუხებ-ა უპატივეც. გამოეთრევა, გაეგდება. „გამაიზღუხე, ქალაუ, ჩქარ მოდი“!

გამაილოცავ-ს მამაპაპისეულ სახლ-კარს დატოვებს და სხვაგან გადაიხვეწება. „ადგილის წილით გამახტე, გამაილოცე ჩირიკი“ (ხალხ.).

გამაილომლებ-ს 1. პურის ცხობას მოათავებს. „მე კი გამავილომლე და ეხლა ძიძიამ შაასნდინა პურები“; „დედამა, რო გამაილომლებ, შენს უკენ შამასტენინეო“ (ა. კ.). 2. საქმეზე ხელს აიღებს, თავს დაანებებს.

გამაიწუთისქუთილებ-ს დაფქვას მოითავებს. „მე კი გამავიწუთისქუთილე და ეხლა პეტრემ აუგა“.

გამაკანკლულ-ი შილიფად, ხალვათად ჩაცმული. „ზამთარ-ზაფხულ სულ გამაკანკლული დადის ერთ კაბაჩი“.

გამამავალი-ი 1. ოჯახზე გულაყრილი უშვილო და ქერივი ქალი, წასვლა რომ უნდა და გათხოვება. „როგორ ეტყობა გამამავალი როა, საქმეზე გული აიყარა: მთელი დღე გულ-კელდაკრეფილი დადის გამამავალი ქრუვივითა“.

2. დუღკო ან სიმსივნე. „ქელზე გამამავალი გამაუვიდა ბალღსა“.

გამამბლრევა (გამამბლრევა, გამამბლრეული) მობლაუჭება, ჩაჭიდება ხელისა, გამობმა. „ქუჩზე კელი რო არ გემემემბლრია, იმ კოტზე გადმოვირეხებთ-ბოდი“; „კალთაზე გამამბლრეული ჰყავ ბალღი“ (ა. კ.).

გამანედღება (გამანედღებს, გამანედღდება, გამანედღებული) წველა-შეწყვეტილი ძროხისაგან კვლავ რძის მიღება. „ცოტას რასმე იწულებოდა ეს ძროხაი და ახლა ისრიე გამანედღდა“ (ა. კ.).

გამაურიალებ-ს ცხვარს შესძახებს, რარ...ს დაუძახებს. „გამაურიალე ცხორს აქათყე, კაცო, მარილი ვაჭმიათ!“

გამაუწურავ-ი სადოღედ მოუმზადებელი ცხენი (ზღრ. გამაწურვა).

გამათათვრა (გამათათრავს, გამათათრება, გამოთათრული) გამოგლეჯა. „ძალღს ბარკალი გამაუთათრია ბალღისთჳი“ გადატ. დაგლეჯილი, დაფლეთილი, დაკონკილი. „გამათათრული შარვალი ეცო“.

გამათერდნილ-ი შიმშილით ფერღებჩაცვენილი საქონელი. „ბალახი აღარაა და გამათერდნილი საქონელი მიდის საძოვარზედითა“ (ა. კ.).

გამაყუერვა (გამაყუერავს, გამაყუერება, გამაყუერილი) ცხვრის ცურის ავადმყოფობაა. ცური უჩირქდება და წველის უნარს კარგავს. „გამაყუერილი ცხტრებია, ვერ დაზღიან ეგენი ბატკნებსა“ (ა. კ.).

გამაშავდება-ა ვულგ. ზიზღ. გამოეთრევა. „გამაშავდი, შე მიწაჩი ჩასასულელო!“ (სინ. გამობნეღება).

გამაშორება (გამოშორდება, გამოშორებული) ჩამოშორება, ჩამოცილება, გამოთიშვა. ფიცია: „სწორთ გამოვშორდე, თუ გიღალატა“.

გამაჩუჩავს-ს გამოქეჳავს, გამოჩხრეკს, გამოძებნის, გამოააშკარავენს. „ძუელი საქმე გამაჩუჩა, ატეხა ოჯახები“.

გამაცხტირვა იგივეა, რაც ამაცხტირვა.

გამაწანწლულ-ი შიმშილისაგან ფერღებჩავარდნილი. „მშიარაია საქონელი და გამაწანწლული დადის“.

გამაწიებულ-ი გამოქჳალი, გამოწელებული. „ღომელი გამაწიებული, პური აღარ გამაცხტება“.

გამაწკერება (გამაწკერებს, გამაწკერდება, გამაწკერებული) დიდ ხანს ყოფნა, სადმე ხანგრძლივად დარჩენა (სტუმრად, ქეიფში), დაგვიანება. „მთელი ღამე გამაწკერდეს ბალღები და სახლებში წასულა ვეღარ გაიგეს“; „წადით ეხლა, საქმეს მიხედეთ, რას გამასწკერებულხართ“. გადატ. შინაბერად ყოფნა. „მამისახლს გამაწკერდა“.

გამაწჭდა ზვინიდან ჩალის ან თივის გამოღება. „ჩალა გამასწოდე და ძროხას მიუყარე“.

გამაწურვა ცხენის მომზადება სადოლედ. დოლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცხენებს არ უშვებენ ბალახზე, კვებავენ განსაზღვრული რაოდენობის შერით და მშრალი ქერით, აეარჩიშებენ სირობილში, რასაც უწოდებენ ცხენის გაწურვას ან დაწურვას. „ცხენი გამაწურე (დავწურე) სადოლედა“ (ა. კ.).

გამაჭერა (გამაიჭერს, გამაუჭერს) გამოშვერა. „თოფი ჩემკე გამაიჭირა“; „პელი გამამიჭირა, ფულს მოხოვდა“; „ქოთანაი გამამიჭირე, ერბოს ჩავასხამ“ (ა. კ.)

გამაპყერა (გამააპყერს, გამაიპყერს) გამოპყეტა. „კარებჩიგათ გამააპყერა თოლები“.

გამახისფეკდებ-ა ვ უ ლ გ. გამოეთრევა. წყველაში: „გამახისფეკდეს“; საკუთარი დაკარგოს და ხის ფეხები იხმაროს.

გამაკდი-ს გამოჩეკს, გამოიყვანს. „კრუტმა წიწილები გამაპკადა“.

გამაკოფილ-ი გამოლრმავებული.

გამბვა (გამამბავს||გაბამს) გაბარება. ზამთარში გამოსაკვებად პირუტყვის სხვისთვის გადაცემა. საქონლის პატრონი ფულს ან ნამატს აძლევდა, ამყვანი უვლიდა და კვებავდა. „ერთაი ძროხიაილა მყვანდა და ისიაიცი გავამბი“.

გამგლეღ-ი დამგლეჯი, გამლევი, გამწყალებელი. „შე ჩემის გულის გამგლეღო, ეხლა მაინც დაისტენე“! (ა. კ.).

გამგონთ ხსნილობა მოსაბოდიშებელი გამოთქმა — უკაცრავად პასუხია, ბოდიში მომიხდია. როცა უნდა ახსენონ ძალი, ღორი და სხვა ცხოველი, წინასწარ მოიბოდიშებენ: „გამგონთ ხსნილობა (კურთხევა და განათლება). ოთხფეკი შასულიყო ქოხჩი და სულ ამეეთქველიფა რძეები“ (ა. კ.).

გამზივარ-ი მპორავი, გამკილავი, აუგად მახსენებელი. „ჩემს გამზივარს ჩემოდენა კოხი მახჭედესო“.

გამოაბალახებ-ს 1. ბანდულეებში ჩაფენილ ბალახს გამოყრის. „მონადირე დამჭდარა, დაუსტენია, ბანდულეები გამაუბერტყია, გამოუბალახებია“. 2. საქონელს ბალახით გააძლებს. „გაგამ ძროხები კარგა გამოაბალახა“.

გამონაბეჩხრებულ-ი ნაბეჩხარი, გამოფიტული, ძალაგამოლეული ნიადაგი. „გამონაბეჩხრებული ყანა უნდა ღოგოსტენა ან გოგეპატივა“.

გამორეშტებულ-ი გამოშტერებული. „ის რასლა დაგიოჟლის, გამორეშტებულია“.

გამორუდვა რულების (||რუნდების) გაკეთება, მატყლის რუდებად გამოყვანა. „მატყლს გავლრეცხთ, დავშჩერთ, გამავერუდავთ“.

გამოქენცვა ყველაფრის გამოზიდვა, გამოცალიერება. „ლამით ქურდებმა სულ გამოქენცეს მალაზია“ (ყ ა ზ ბ.).

გამოქნა 1. ჩამოქნა, სანთლისათვის სასურველი ფორმის მიცემა. 2. ცივი იარაღის პირის გამოყვანა.

გამოქსაქსავ-ს 1. გამოჩხრეკს. „ნაცარს გამოქსაქსავს“. 2. მოშლის, მოარღვევს. „ციხეს ძირი გამოუქსაქსა“.

**გამოყვლა** (გამოყვლავს, გამოყვლებს) დაავადება, — ფეხის თითებში და ილოებში წყლიანი ბუშტუკების გაჩენა. „ცხორის ბინძურ ადგილებში დგომით ფეკებში წყალი უჩნდება, გამეყვლება და კოჭლდება“.

**გამოძენძილი**-ი გ ა დ ა ტ. გამოცდილი, ძველი, გამოქვეყნილი. „ძრიალ გამოძენძილი ვინმეა და კარგა იმისთვის აცხოვრებს ჭალაბსა“.

**გამსარავი** გაბედული, პირდაპირი, ძლიერი ნებისყოფის, გამჭკრიახი. „ძლიარ გამსარავი კაცია, ყველაფერ საქმეს კეთილად აბოლავენს, წინ რაი დაუდგება“. || მარიფათიანი, შანსიანი.

**გამუწყლე** პატრონი, მზრუნველი. „ალარა ჰყავ გამოწყლე და იმიტომ დიდის თავაშობილი“; „სად დაზღიხარ, შე გამოწყლე გასაწყუტეო, შენა!“.

**გამჩუნეობა** თავმომწონება, თავის მოჩვენება. ამბობენ ისეთ ადამიანზე, რომელიც ცდილობს სხვას თავი მოაჩვენოს, მოაწონოს, ასიამოვნოს. „ე ეს ბაღლი გამჩუნეობაზე დგას“ (ა. კ.).

**გამწაული**-ი 1. წვრილი და მოქნილი. „დედოფალას პატარა კუდი აქუ, გამწაული და მოგრძო“. 2. გასუქებული, ბევრდაწყობილი და ფერგადაწმენდილი საქონელი. 3. გ ა დ ა ტ. ფ ი გ უ რ. გაღესილი, ლაპლაპა.

**გამწკულეული**-ი გამხდარი, გაღეული. „ამასალა, კატასავით გამწკულეული არაა!“

**გამხრვკალი**-ი გაღეული ჩია. „პატარა, ტანად გამხრვკალი, ქუდად თავს ჩაჩი ხურია“ (ა. ყ ა ზ ბ.).

**განა** 1. ნუთუ, განა. „არ მოვიდა, განა არ იცოდა“? 2. ხომ, აკი. „გადმახლო განა“? 3. რასაკვირველია, რა თქმა უნდა. „როცა ვინმე მოკულებოდა განა, საცა ესტენა, იმ ბანს მანახედეს“, 321.

**განაბაგრება, განიაბაგრება** (განაბაგრებს, განაბაგრდება) განადგურება, დაცემა; ქონების გაფლანგვა, განიაგება. „განაბაგრა ოჯახი“. 2. დახვევა, დაგლეჯა. „გაუნაბაგრა ჯღანია“.

**განაბაგრებულ-ი** დაუძღურებული, განადგურებული, მომსპარი; გამხდარი, დაპატარავებული.

**განაბღვა** (განაბღავს, გაინაბღება, განაბღული) ნაბადივით გაშლა. „დაღვარცხნელობით თმა და წუწერი გაღნაბღვია“; „მატყლი განაბღულია, აღარ დაისტება“ (ა. კ.).

**განასაჯობა** გარჯილობა, დამსახურება. „ჩემი განასაჯობაო ხალხს ულაპარაკონაო“, 29; „განასაჯობა დაუფასეს“.

**განაყრობა**-ი ერთი ოჯახისაგან გამონაყოფი, განაყოფები. „ძმები რო გაიყრებიან და ცალკე დასახლდებიან, განაყრობას ვეტყუით; ამ სოფელში სულ ჩუენი განაყრობაია“.

**განელადება** (განელადებს, განელადდება, განელადებული) დაგვიანება, დახანება, დაყოვნება. „საჯნავი (|| სათიბი, სამკალი) გამინელადდა“.

განერბავ-ს დააგრილებს, გაანაყოფიერებს. „იყვისკე, გზაჩი რო მიგუტიდიო-  
და ცხორი, მაშინის განერბაედა ყოჩი“.

განიუება დაჟინება, მიყოლება, გამუდმება. „განიუებით წუჟიმს“.

გაპალიჩება (გააპალიჩებს, გაპალიჩდება, გაპალიჩებული) გამასხარაეება,  
დაცინვა, აბუჩად აგდება. „რასითჟი გოგოპალიჩა იმ უსინდისომ?“

გაპიპინებულ-ი გავარვარებული; მძლავრად მოდებული ცეცხლი. „სულ  
გაპიპინებული იყო ცეცხლი, რასლა ჩააქრობდი“.

გაპრეხილ-ი განზე გაშლილი (თმა, რქები). „თხას რქანი გაპრეხილი  
ხქონდა“.

გაპტკვნი-ს გაპუტავს, ბუმბულს გააცლის. „რო დავკლავ (ქათამს), გავყვ-  
ლეფ, გავპტკვნი, გამაეწელავ“, 219.

გაუუუუნდება გაფხვიერდება, დაღება. ფ ი გ უ რ. გაიღვიძებს. „გაზაფ-  
ხულზე, როგორც მიწა გაუუუუნდება, სუილი იმ წუთში ტანს აიყრის“.

გაუუუუნებულ-ი 1. გალვიძებული, გალვივებული. „გაზაფხულზე ბალახი  
ახლად გაუუუუნებული იყო“. 2. გაუღენთილი. „ხაბიზგინაი სულ ერბოთია გა-  
უუუუნებული“ (ყ ა ზ.).

გარა-ი სხვადასხვა სიგრძის სწორი და მრგვალი ჯოხი ურდულისნაირი.  
„გარაით გაკრავდეს ბურთსა გაკერა-გაქცევაჩი“, 233.

გარალეჯა-ი დამცირებით ეძახიან ლოჯებიან, ღიღირიან და უშნოკბილე-  
ბიან ადამიანს. დიკარგე, შე გარალეჯავ! (სნო).

გარევა (გარევის, გაერევა) 1. დედალ-მამალი პირუტყვის ერთად ყოფნა,  
მაკინტლობა. „ჩიკუები შამადგომაზე დაიწყებენ ბოტობასა. თუ კარგი ამინდე-  
ბია, მალე გეერევა ერთმანერთსა“, 41. 2. გავარდნა, გაქცევა. „ერთი სიტყო  
დავძახე და ეგეთი გეერია გარეთა, რო სადგისი თუ ჰკრესო“. 3. (გარევის, გაუ-  
რევის) წყალში (მდინარეში) ფეხით გასვლა. „ამ აოკრებულ წყალჩი გაურია და  
გამაურია კიდეცა“. 4. ცხვრის მიბარება სამწყემსოდ, შერევა, ერთად თავმოყ-  
რა. „წყემსი ვერ ვიშოვნე და ჩემს ზიძაშვილსლა გავურიე ცხორი“; „ცხორა  
გავრიათ და ერთად წავიდეთ ყიზლარჩი“.

გარეთა გარდა, გამოკლებით: „ჩემს გარეთა“ ჩემს გარდა, ჩემი გამო-  
კლებით.

გარეთ გასულ-ი გა და ტ. ქვეყნის მნახველი, გამოსული (შდრ. ა ს კ ა რ-  
მ ა ვ ლ ი ლ ი). „გარეთ გასული კაცია და სუყველაი კარგა გაეგება“.

გართავ-ს ვადებს, გააწყობს, გაშლის. „ჯოხი გართა ისრენა, როგორც კი-  
დი“, 272; „სიფროდ გრძელ ფიცარს გართავდეს“.

გართხმა (გაართხამს, გაართხმის, გართხმული) 1. გაშლა, გაღება (ნ. დ ა რ-  
თ ხ მ ა). 2. გაჩახჩევა, გაქიშვა, გაშხლართვა. „ურცხუინლად ფეკები განზე გეერ-  
თხა“; „ძროხის ტყავი მიწაზე გავართხი“; „ეგეთი დავჰკარ, რო მიწაზე გეერ-  
თხა“. 3. გა და ტ. გადმობრუნებული. „ბევრი ღუინის სმით მუცელი აქჟ გარ-  
თხმული“; „ფაშაი გაართხა“.

გარიალ-ი კნ (შდრ. გარაი) ფიგურ. ურდული, კეტი. „ფეკნი მიგავს დოლაბსა, ბოლონი — გარიალსაო“ („ამირანის ლექსი“, სნო).

გარიგებულნი-ი ჩამორიგებულნი, დამწკრივებულად, სუფრაზე ორპირად მსხდომნი. „სიფროზე ხალხი გარიგებულნი იყო, უფროსი უფროსის ადგილასა და მუცროსი — მუცროსისა“.

გარნა-ი ნავთის ჭრაქი ან საპოხში დასველებული სახვევიანი ჭოხი, რომელიც ანათებს და ღამით შეიძლება თევზის დაქერა. „კალმახსა ბალითაც ვიქერლითკე და ღამე გარნაის შუქით, სინათლე დიდი აქუ“ (ჯარკუჩა).

გაროკილ-ი გარა-ი შტოებგაცლილი, წვრილი ჭოხი. ფიგურ. „დახედე-ლა ბალოსა, გაროკილ გარასა არა ღვავს“!

გარჩევა (გაარჩევს, გაირჩევა, გარჩეული) სახნავ-სათესი, საბოსტნე-საკარტოფილე თუ სათიბი ადგილის გასუფთავება ქვებისაგან. „ყოველ გაზაფხულზე გავარჩევთკე ყანასა და საითლა მოდის კიდავა ეს ღორღი“!

გარჯულვა მიუყერძებლად და გამოწვლილვით საქმის გარჩევა. „თემის ბჭეებს მშუილობიანად უნდა შეეძლოთ მოსისხლეთა საქმის გარჯულვა“.

გასაგდებთა აქუ დასადებად მზად აქვს ქათამს კვერცხი. „ქათამს კუერცხი გასაგდებთა აქუ და იქით-აქათ აწყდება“; „ქათამი საბუღარჩი ჩაასტინე, კუერცხი გასაგდებთა აქუ, არცა დაჰკარგავს!“ (ა. კ.).

გასაზღლის ქადა, გასაზღლო ძვ. ნათლობის შემდეგ ხატში შესაწირი ქადა ბეშვის სალოცავად. „გასაზღელი ქადა“; „გასაზღლის ქადას აკეთებდეს ნახევარი ფუთი ერბოსაგა, ერთიანს, ლასტზე დაზღებდეს და ვაჟის დაბადების დღესასწაულზე მოჰქონდათ ხატჩი, იქ ღეკანოზი დაშპრიდა და მლოცველთ ურიგებდა“ (სიონი).

გასაზივლებ-ი გასაჰორავი, გასაკილავი. „გასაზივლები თავი არა მაქუ“; „გასაზივლები არ გამეკადა“!

გასამზღლო ძვ. სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს ოჯახში ქორწილამდე მიტანილი ვადასახადი, ქალის აღზრდის საზღაური (შდრ. გასაზღელო). „წინავ გასამზღლო იცოდეს, ერთი ძროხა იყო ან მისი საფასური. გასამზღლოს მაშინ აძლევდეს, თუ ქალს დედა მათუჰდა და ცხო ზრდიდა“.

გასარათება (გასარათებს, გასარათებულნი) ადგილის გამიჯვნა, საზღვრის დადება, დაყოფა. გასარათებას ახდენენ ძირითადად ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, მიჯნებზე არჰობენ მალალ სარებს, რომელთაც წვეროზე მობმული აქვთ ბალახი (ა. კ.).

გასაშლა (გადის, გავიდა, გასულა) ეფ. პირუტყვის სქესობრივი კავშირი. გასაფრენა-ი გასახტომი, პატარა მდინარეზე ქვებისაგან გაკეთებული სახტომი. „გასაფრენაი არაა და ვერ გავალით წყალჩი“.

გასაქეჩავ-ი ცხვრის გასაეღელი ვიწრო, საცალფეხო ბილიკი მთაში. „გასაქეჩავი ადგილები იცის მწყემსმა, სად უნდა გაქეჩას“.

გასაჩენთაა მშობიარობის პირზეა, საცაა იმშობიარებს (იტყვიან როგორც

ქალზე, ისე ცხოველზეც). „ძროხა გასაჩენთაა, დღეს თუ ხვალ მაიგებს კბოსა“ (ა. კ.). შდრ. მ ჩ ნ ე ვ ი ა რ ე.

გასაჭულობა იგივეა, რაც განასაჯობა-გარჯილობა, ნაშრომ-ნაღვაწობა, დამსახურება. „უფროსებს აღდგერძელებდეს, მათ გასაჭულობას მაივსენებდეს“.

გასკიდა-ი, გასკიდელა-ი ცეცხლის წინასწარ მოსაკიდებელი, გასაჩაღებელი ხმელი ფიჩხი (სინ. იმერ. მ ო ს ა ნ თ ე ბ ი). „თუ ნედლი იქნება ტყე (=ხე), იმას ჯერ გასკიდელაი უნდა, რო ცეცხლი მომძკავლდეს“.

გასტეხელ-ი ქადა, ხატისთვის შესაწირად გამომცხვარი რაიმე დღეობის აღნიშვნის ან სამუშაოს (თიბვა, მკა...) დაწყების დროს. „გასტეხელი გატეხილია, ვჰამათ ახლა“; „გამაიტანდეს სანთელს, გასტეხელს — ქადას ვეძახით — დეკანოზი დაშპრიდა და ვჰამლით“, 281; „ღმერთო ძრიელო, ეს ბალუი გადა-მირჩინე და. შენმა მადლმა, გასტეხელ-ზედაშითა და საწირავითა მოვალ შენს კარზე მუკლისკუთერასა“ (ლ ო ც ვ ა).

გასულფონება (გასულფონდება) გათავისუფლდება; სულის მოთქმა; გაფართოება. „ძლივს არ გავსულფონდი!“ „ადგილი გასულფონდა“.

გასუმფონება იხ. გასულფონება.

გასხვერ-ს გასხეპს. „გივმა ერთი ხე მაგლიჯა, გასხვერტა“ („ბ ე უ ა ნ.“, თ ო თ ი).

გატანებაზე გაყოლებაზე, გაგრძელებაზე. „ამ გატანებაზე მაგასავით დაუ-სტენარი დედაკაცი არ დაიარება“; „ლობის გატანებაზე ნახე სადმე!“ (ა. კ.).

გა-ს-ტაცებ-ს: სულმა გამტაცა სასულეში გადამივარდა. „წყალს ვსტამდი, ერთი სულმა გამტაცა და ჯრასტუნი დამაწყებინა“.

გატკრეცილი-ი პურ-ი დავარდნილი, აუწყევარი პური, სიღბოსმოკლებული, გამამარებული.

გატოპავ-ს დიდი ნაბიჯებით გაივლის; გადააბიჯებს. „გატოპა წყალჩი“.

გატუღებ-ა: ჯმა გატუღება ხმა გავარდება; ხმა გაისმის. „სადაც ვინ მოკვ-დეს, ჯმა გატუღდეს, ჩტენ წავალთ ჩტენის საგძლითა“ (ხ ა ლ ხ.).

გატუღებ-ს გაჰეჰყავს, გასრეხს. „ცხენები დეეტუქსა, რო მივარდნიყო იმ კაცზე და გეეტყლიჰა“.

გატუჟეშა (გატყუეშს, გაიტყუეშება, გატყუეშილი) ცემა-ტყეპა, გაწყეპვ-ლა. „ჰქოზე იყავ, ბალლო, თორო ლამაზ გაგტყუეშე!“

გაუგლი-ს გაუნადგურებს, გაუღეეს, გაუწყალებს (გულს). „ბალლობითვე ამან გამიგალა გული, ამ ჩემის ცოდვით დამწორმა!“

გაუზივი-ს, გაუზივღებ-ს გაკორავს, გაკილაეს, აუგს იტყვის ვინმეზე. ც რ უ წ მ. „ყური გამიწითდა, ალბათ გამიზივის ვილაცა“; „სარიდალს (ე ვ ფ. გველს) აქსენებდი, ალბათ გოგიზივის (=გვეკორავს) ვინმე“.

გაუკეთებელ-ი ე ვ ფ. დაუკოდაგი. „გაუკეთებელი ბოტი სულიანია, ყროლი“.

გაუკულევ-ი სხვისი შველა რომ არ სჩევია, უთანაგრძნობო, ვინც არა-

ვის არ გაიკითხავს, ძუნწი, ღრჭუ (შდრ. გაიკუთლებს). „მაგის კარზე არ მიისწლება, გაუკულები დედაკაცია“.

გაუმედღგრდება-ა გაუუარესდება, გაუავდება, გაურთულდება (წყლული, სიმსივნე). „ბუწუკაი მქონდა მუკლზე, ავიძუერ და ეხლა უარესად გამიმედგრდა“; „ველი არ ახლა მაგ სიმსივნეს, თორო გაგუვდება და გაგიმედგრდება“.

გაუშავდება-ა წყველა: „გაუშავდეს ბედი, გუირგუინი“ ბედშავი შეიქნეს, გაუბედურდეს (მოუკვდეს მეულლე). „შენა, შენა, შეგეყარა ქშენა. ასი კოზი პირპილი, გაგიშავდა გუირგუინი, მაგივიდეს ბიძაი, წაგაყაროს მიწაი!“ (ხ ა ლ ხ. ა. კ.).

გაუციგლიგებ-ს მოულიტინებს; მოუალერსებს, გაულიმებს. „გაუციგლიგელა, რო ხედავ გონჯ ხასიათზეა“.

გაუნევ-ს გადავა, გააღწევს, გადახტება. „ადიდებული წყალი იყო და ვერ გაუწვიე“. 2. ესერის, მიაყოლებს, მიატანს. „ძალს ქვა გაუწვიე“.

გაუჯდება-ა მოუხდება, მოუვა, შეექნება. „კარკუჩელებსა და გერგეტლებსა იმ ხატზე გაუჯდა ჩხუბი“; „მე და ქინკველას გოგიჯდა [ჩხუბი], ერთურთს ვაგინეთ ცოლ-დედა“ (ხ ა ლ ხ.).

გაფარლიათებულ-ი ფარლიათი: — გამონგრეული, გამოშლილი. „ჩუნენაც გუოქ ცალპირად ნაგები ღობეები, მაგრამ ვერც სად ღნახავთ გაფარლიათებულს“.

გაფაშავ-ს ფაშეს, მუცელს გამოუფატრავს. „დარევიყო ღამე მგელი ცხორს და ხუთი გეფაშა“.

გაფირქება (გააფირქებს, გაფირქდება, გაფირქებული) გაუხეშდება, მოუქნელი, მოუდრეკელი განდომა. „სველი ყისინა ყინვაჩი სულ მთლად გაფირქდა და ვეღარ წამაეიხურე“; „გაფირქებული ტარავალი ეცო და ვეღარ იხრებოდა“.

გაფოლიება (გააფოლიებს) აბუჩად ავდება, გაბახება. „სიტყო გამიფოლია“; „იმის ნათქომი სულ გააფოლია“ (ა. კ.).

გაფრენა (გაფრინდება) გახტომა, გადახტომა. „წყალზე გაფრენა ვერ გავბედე, დიდი იყო“.

გაფსტლეკილ-ი გაყვითლებული და გამხდარი. „ფსტენივით გაფსტლეკილია“.

გაფუშვა (გაფუშავს, გაიფუშება, გაფუშოილი) 1. დაბუთება. „გონჯა ვიწვევ და ქელ-ფეკი გამფუშებიყო“; 2. დაშლა, დაფუშვა, გარღვევა. „კედელი გაიფუშა“; „გაფუშოილი ქალბნები ეცო“ (ა. კ.).

გაქასურება ქასურით — სალესავით იარაღის პირის გალესვა. „წყტილი სასრევი გუქონდა: ერთი — იარაღის პირის გაქასურება თუ გუინდოდა, მეორე — გასაწყობად“. გ ა დ ა ტ. მლიქენლობა.

გაქარქლულ-ი შილიფად, საგრილოდ, მსუბუქად ჩაცმული (შდრ. ქარქლაი). „ნუ დაზღიხარ გაქარქლული“!



გაქაქავ-ს გაქექავს. „ნაგევს რაც იფრო გაქაქავ, მით უფრო ყროლის სული ავაო“ (ან დ.).

გაქენცვა (გაქენცავს, გაიქენცება, გაქენცილი) 1. გახევა, დანაკუწება, დადღლეზა. „ქალალდი გაქენცა“. 2. გაზიდვა, ქურდულად გატანა, განიავება. „მაღაზიის ქონება სულ მაგან გაქენცა“.

გაქეჩავ-ს ფარას წინ გაუძღვება, წაიყვანს. „გავექეჩავთ, როცა ვაცი მიუძღუის და მიზღვეს ცხორი“.

გაქუსვა (გაქუსავს, გაიქუსება, გაქუსული) გასვრა. გათხუპვნა. „ხიზანმა ხალათი ისრი გაქუსა, არც კი ივარგებს ჩასაცმელად“.

გაღლაგ-ს გამარცვავს, გასცლის, ტყავს გააძრობს, გამოსტყუებს. „დამხტედეს გზანი, გამღალეს, ცხორიც წანიღეს“: „გაღალა მთელი ოჯახი“.

გაღარავ-ს ფ ი გ უ რ. გარემოცვას გაარღვევს, შუაზე გაყოფს. „თათრები ირგულივ შემეერტყეს, სისაურმა გაღარა მტრის ჯარი, რო მტერს თავი დააღწიას“.

გაღერება გაშვერა. „გაუღირა კელი და უთხრა — ავა იქა შენი სახლიო“.

გაღმი გაღმა, იქით მხარეს.

გაღორძინებულ-ი აღორძინებული, მოღონიერებული, მოშენებული. „ქარგი გაღორძინებული ოჯახია“.

გაღრამებულ-ი გაღრამებული.

გაღუქიანება (გააღუქიანებს, გაღუქიანდება, გაღუქიანებული) გამქვარტლვა. გა დ ა ტ. გაფუქება, ჩაობრება. „საქმე გაღუქიანებია და დაუგდია“.

გაყაყაშებულ-ი 1. გაცინებული, გახარებული. „ხიზანი გაყაყაშებული დამხტდა“. 2. იგივეა, რაც გაკაშკაშებულ-ი. „გაყაყაშებული მზე იღგა“.

გაშანთულ-ი გავარვარებული, გაწითლებული. სა უ ბ. „გაშანთული რკინით უნდა დაღალა ეგ კუდიანი“! გა დ ა ტ. სიცხიანი. „გაშანთული წევს ეს მეორე დღეა“.

გაშატყებულ-ი დნობით შემცირებული, გათხელებული. „თოვლი რუვებჩი ალაგ-ალაგ გაშატყებული იყო“ (გ ე რ გ ე ტ ი).

გაშლანდვა გარანდვა, ხის მასალის გაკოპიტება, გასწორება. „ეხლა მასალის გაშლანდვა უნდა დავიწყა“.

გაშლიკ-ი ბანის წყალსადინარზე ჩამოკიდებული ნახერტებიანი ქურქელი, რომელშიც წვიმის წყალი სუფთავდება და ჩადის კასრში. „შანაჩხატეს (=სანაჩხატეს) გაშლიკი ხქონდა ჩამაკიდებული“.

გაშტერება (გააშტერებს, გაშტერდება, გაშტერებული), გაბრაზება. „ისრი გაშტერდა, რო სულ ფრჩხილებს იგლეჯდა“; „შებედე ამ ქალასა, როგორი გაშტერება სცოდნია“!

გაშტლიმავ-ს შესანსლავს, ჩქარა შეკვამს. „მშობარი კაცი რომ იქნება განა, — კელად გაშტლიმა მთელი საქმელიო — ვიტყუით“ (ყ ა ზ ბ ე გ ი).

გაჩარქულ-ი გაქერქილი, ქერქგაცილილი ხე. „გაჩარქული ხეებია“.

გაჩემება (გააჩემებს, გაჩემდება, გაჩემებული) გაშტერება, გაოცება, დაბნევა, გაოგნება, შეშინება. „გამაჩემა მაგისმა საქციელმა“; „ისრითი რაილაჲ მითხრა. გავჩემდი“; „გაჩემებული შავსცქეროდი პირი“.

გაჩიჩირახება, გაჩიჩირახება გაფალარათება, მუცლის აშლა. „თუ კორცს მოხარშვა აკლია ან რაიმე ჩახყვა ბინძური და შუამე, გაჩიჩირახება იცის“.

გაჩუჩავ-ს გაჩხრეკს, გაქეპავს; გაამუღავენებს, გაამხელს. „ქათამმა ბართი გაჩუჩა“; „არც სად გასჩუჩა ეს ამბოვი“. || აყრის, თავს გაუხსნის. „ბუწუკაი ნემსით გავჩუჩე“.

გაჩქუთფ-ს ფეხით გავა წყალში. „მდინარე სუნჯა გასჩქუთფეს, სხვაგნით არ ჰქონდა გზანია“ (ხ ა ლ ხ. „ზ ე ლ ი მ ხ ა ნ ი“).

გაჩხმეკ-ს გაჩხრეკს, ანთებული ჩირალის ჩხირებს ერთმანეთზე წასმით გაწმენდს. „გაჩხმიკე ჩირალი, თორო გონჯა ენთება“ (ა. კ.).

გაჩხონთავ-ს ცუდად, სახელდახელოდ გაკერავს. „დაკერა კი არა! გაჩხონთა ხალათი და ისრი მამიგდა“.

გაცალჭერება ცხვრის ერთჯერადად მოწველა. ცხვარს, ჩვეულებრივ, დილა-სალამოს წველიან, გაშრობის დრო რომ მოახლოვდება, დღეგამოშვებით თითოჯერ წველიან, რათა რძე არ შერჩეს და ცური არ გაუმაგრდეს (ა. კ.).

გაცემული თოლი აქუ ძვ. ც რ უ რ წ მ. თვალის ცემის (გათვალვის) ძალა დაკარგული აქვს, იცნობენ, აღარ ეშინიათ. „თუ ავი თოლი აქუ, თოლს მახაჭედრებს ადამიანს ან პირუტყვს, ასეთი თოლის პატრონი მალავს თავის საიდუმლოს, ზოგი კი ამბობს, რომ ასეთი თოლი აქუ და ამიტომ მასზე ამბობენ — გაცემული თოლი აქუ, მისი თოლი აღარ სჭრის“ (ა. კ.).

გაცხადდება-ა ცხადი გახდება, შესრულდება. „გაცხადდა იმ ჭკუიანი კაცის ნათქვამი“.

გაცრიატება 1. გაცივება. 2. გაუბედურება, დაღუპვა, მოსპობა.

გაცრიატებულ-ი სიცივისგან შეწუხებული, გაცივებული. „თოვლი სიარულით გაცრიატებულია ბალდი“. 2. ფერდაკარგული, გაფერმკრთალებული. დადლილობით და შიმშილით გაცრიატებულია ლამაზი ქალაი 3. გამოცარიელებულ. აყრილი. „ცხორი წავიდა და გაცრიატებული მთა-ბარილა დარჩა“: „გაცრიატებული სოფელი“.

გაძანძლებულ-ი 1. ძარღვიანი, უხარშავი ხორცი. 2. გაძატი. გაჭირვეულებული, განერვიულებული. „გაძანძლებული ბებერია“ (მდრ. ძ ა ნ ძ ლ ი).

გაძეგუჱ-ს გაანადგურებს, მოსპობს. „ფარამ გადაიარა და ახალი ბალახი გაძეგუჱ“.

გა-ს-ძეგდება-ა დაიღუპება, მოიკვეთება (წყევლა). „ვაი, გასძეგდი“!

გაძეკვა, გაძეძკვა დანაყვა, გაწეწკვა. „კუჭრით თითი გაიძეკვა (|| გაიძეძკვა“).

გაძელ ზელითა! ცომს რომ მოზელენ. გასაფუფებლად ეტყვიან: „გაძელ ზელითა!“

**გაწამდება**-ა გადაბუირობა, სულს ველარ მოითქვამს. „არქა, ბალლი გაწამდა ტირილით“!

**გაწამებული**-ი 1. დაფიქრებული, გაჩუმებული, სულგანაბლო, გატვრენილი. „იქდა თავისთუი და გაწამებული გუისმენდა, ჯმას არ იღებდა“. 2. გაბმით, სულმოუთქმელად მტირალი. „გრძნობადაკარგული ბავშვი გაწამებული ტიროდა“.

**გაწევა** ქვისა გადატ. ქვის გადაგდება, კენჭების მიყრა, ცუდად დაცდილ ადგილზე წასვლის ან საქმის გაგრძელებაზე უარის თქმა. „ქვა გაწეი, მშიერი რო მოვკვდე, იქ აღარ წავალ“. „არ წახვიდე იქა, თორე ქვის გაწევა მაგინდება“ (ყ ა ზ.).

**გაწერა** (გაწერს, გაიწერება, გაწერილი) გაბზარვა, გასკდომა, ხაზის, კვალის გავლება. „კოკა გაწერილი იყო და კოწეწი ვახმარე“; „ჯაკე გაიწერა, ქოთანი გაწერილია“.

**გაწიებული**-ი გამქრალი, ჩანავლებული, გაციებული. „ლომელი გაწიებული იყო“; წყველა: „შე კერაგაწიებულო“. გადატ. გაფითრებული, გალურჯებული. „ბალლისთუი ეცა და მას აქათ სულ გაწიებული დადის“.

**გაწირავს**-ს დატოვებს; გაასწრებს. „სულ მოგჭირეკენ ცხორ-ბროხას, არ გაგვიწირვენ ერთსაო“, 59; „ნასყიდას ცხენი უკან გეწირა“, 10.

**გაწკრინება** (გააწკრინებს, გააწკრინდება, გააწკრინებული) გამწკრივება, რიგზე დაწყობა. „კედლის სათავეზე მსხვილი ქვის საყოვეებს გააწკრინებენ“.

**გაწლიკუღი**-ი გამხდარი, სუსტი. „გაწლიკუღია, ერთი ბეწო კორცის მანავალი არა აქუ“ (ა. კ.).

**გაწოლვა** (გაწოლავს, გაიწოლება, გაწოლილი) გატიხვრა, გამოყოფა, გამოცალკეება (ბე. ქართ. გაწოლა...). „ბოსელი გაწოლუ ლასტებიოა“; „სახლი გაწოლილი გექონდა: ერთი იყო სამყოფო, მეორე — საძინებელი“; 2. გადატ. გამოყოფა, დატოვება, უნაწილოდ დაგდება. „ვაშლები სუყველას დაურიგა და მე კი გამწოლა“.

**გა-ს-წონს**-ს გაუბედავს, ჰკადრებს, სათაქილოს ეტყვის. „ისები გალექსე და მეც როგორ გამწონეო“.

**გაწორთვა** (გასწორთავს, გაიწორთება, გაწორთილი) გაზმორება, გაქიმვა; გაშხლართვა. „პურის ქამაჩი გაწორთვა უზრდელობაა!“ „ბალლი გაიწორთა, უძილო თუა“; „მკუდარივით გაწორთილი იდვა შუაყანაზე“.

**გაწრევა** (გაწრეკს, გაიწრეკება, გაწრეკილი) 1. მტკიცედ, მეტისმეტად დაგრება (შდრ. წრინკე). უღვაშები გეწრეკა და თავს აწონებდა ქალებსა. „გაწრეკილი თოკია“. 2. გადატ. გამხდარი, გალუელი. „გალაშკელ ქიშტივით გაწრეკილია“.

**გაპკარება** (გაუპკარდება) ძილის გაფრთხობა, უძილობა; ძილფხიზლობა. „ძილის გაპკარება დამეწყა; მთელ ღამეს ძილი გამიპკარდა“.

**გაპრეხილ-**ი მოტყუებული, გაწბილებული, გაცრუებული. „სტუმარს ველოდი და არ მოვიდა, გაპრეხილი დამაგდა“.

**გაპუორავ-**ს (გაიპუორება, გაპუორილი) ამოავსებს, გაბერავს საქმელ-სასმლით. „უპ, უპ, როგორ გემეპუორა მუცელი“.

**გაპუურილ-**ი იხ: გაპუორავს.

**გახაიბრება** (გაახაიბრებს, გახაიბრებული) განადგურება, განიავება. „თაგტებს ქერი სულ გაუხაიბრებია“; „სავსე დავაგდე, რო წავე, ოჯახი და გახაიბრებული დამხტდა“ (ა. კ.).

**გახასება** (გაახასებს, გახასდება, გახასებული) გათამამება, გაყოყოჩება. „ეს ბალლი სულ შენ გაახასე“ (აჩხოტი).

**გახახავ-**ს გახახავს, გასერავს.

**გახერება** (გაახერებს, გახერდება, გახერებული) 1. გამტერება, გაოგნება. „თოლები გაუხერდა“; „რას გახერდი?“ 2. გაჭიუტება, დადგომა, დაუმორჩილებლობა. „ცხენი შუას წყალჩი გაუხერდა და წყალს ვერ გასცდა“. 3. შეკრთომა, შეშინება. „დათუი რომ დავინახე, გავეხერდი“.

**გახისქერქებული-**ი ხის ქერქის მსგავსი, გამხმარი (მჭადი, ნამცხვარი). „როგორ გახისქერქებული პური გამაიტანა!“.

**გახოდებულ-**ი (←გა-ხვად-ებული) მუსუსი, ქალების მოყვარული. „გახოდებული დადის, შინაზე გული აქტ აყრილი“ (ა. კ.).

**გახოკილ-**ი მწირი, ღარიბი, უნაყოფო. „გახოკილი ადგილია — არც კარტონი მადის, არც ქერი“.

**გახოყნება** (გაახოყნებს, გახოყნდება, გახოყნებული) გამოქვეყნება, ამბის გახმაურება, გავრცელება. „კი არ გაახოყნა, რაიცი გითხარა“.

**გახტეწილ-**ი უმემკვიდროდ დარჩენილი ოჯახი. „გერისაის ოჯახი გახტეწილია. კაცი ომჩი დაიკარგა, ქალი უშვილო გამადგა“.

**გახრევა** (გახრეკს, გაიხრიკება, გახრეკილი) ტოტების მთლიანად შეცლა, გადაკაფვა. „ხე გახრიკეს“. გა და ტ. ხრიოკი, უმცენარო (მთა). „გახრეკილი მთა“ (ა. კ.).

**გახუინიკებულ-**ი განებივრებული, გათამამებული, გაყოყოჩებული, გათავხედებული. „არ ვარგა ვარდამეტად გახუინიკებული ხიზანი, მარიდება არა აქტ“.

**გაჯატრებულ-**ი გამომშრალი, გამოფიტული; ხმელი. „გაჯატრებულს პურს და მჭადს არ გაჭმევს“!

**გაჯერება** იხმარება გახერებაც (ნ.).

**გაჯიღვა** (გაჯიღავს, გაიჯიღება, გაჯიღული) გაჩხერა, გაბიღვნა, გაჭედვა. „ყელი ლუკმა გამეჯიღა“; „ჯოხი ხეზე გაიჯიღა“; „ღარჩი ქვა გაიჯიღა“; გა და ტ ან. გაჭიუტება, გაკერპება. „შენ როგორღა გაიჯიღებიკე და აღარცვისი გესმის!“ „არც ვისი არ ესმის, ვირივით გაჯიღულია“.

**გაჯმა, გაჯმა** ამ მოწონების სიტყვებით შესძახებენ მოცეკვავე ქალ-ვაჟს, რომლებიც საწყვილოდ შეეფერებიან ერთმანეთს.

გაჯანდრვა (გაჯანდრავს, გაიჯანდრება, გაჯანდრული) გაჰედვამ, გაჩხირვა, მაგრად გატენა. „ლულაჩი ტყუთია გაიჯანდრა“; „გაჯანდრული ვარ სურდოსა-გა“; „ნულარ სჯანდრავ ბალსა საქმლითა“ (ა. კ.).

გაჯენჯილ-ი გაწეწილი, გაბურძგნული. „რაისთუი ეგრე გაჯენჯილი დადი-ხარ, ველარ დაივარცხნე თმები?“

გაჯილა თოხლი (შდრ. კ ა ჯ ი ლ ა). ფ ი გ უ რ. თეთრი ბატკანი. „ა იმ ხევეში რო ზოვი დევს, გაჯილებების ბოინი“ (ხ ა ლ ხ. ს ნ ო).

გაჯინდრულ-ი გაბღენძილი, გაფხორილი, გაყვინიზებული. „გაჯინდრული დადის“.

გაჯიჯღულ-ი დაბალი და სქელი ადამიანი ან ცხოველი. „გაჯიჯღული გბო“: „გაჯიჯღული კაცი“.

გაჯუნჯღლილ-ი ხელში ნასრესი. „გაჯუნჯღლილი კორცია და აღარც შაიქ-მება“.

გაჯღირვა (გაჯღირავს, გაიჯღირება, გაჯღერილი) 1. გაჩხერა, გაჩაჩხვა. „ძროხამ ფეკები გაჯღირა და ვერ გამაავლიეს“; 2. გაჯიუტება, ფენების მისო-ბა. „ბევრი ვეხუეწე, მაგრამ გაჯღირა ფეკები და არ მომყიდა“ (ა. კ.).

გაჯღრიალება (გააჯღრიალებს, გაჯღრიალდება) გაუღარუნება. „ჩამაილა ფარკმალი, გაჯღრიალდა და ვაიგა იმ კაცმა“, 97.

გაჯღრინებული-ი 1. აღრენილი, გამოღვიძების შემდეგ ცუდ გუნებაზე მყოფი ბავშვი. 2. ჭირვეული, ანჩხლი ადამიანი. „ეგ ისრი გაჯღრინებულია, რო არაყი შეეკიდა, ეტყობა“ (ყ ა ზ ბ.).

გაჯღრულა-ი ძველებური მოხეური სიმღერა (ტექსტი აღარ ახსოვთ).

გაჯ-ი როფი, ხის მოგრძო ყუთი (არაყის გამოსახდელი ხელსაწყო).

გაჯა-ი როფი. გა და ბ ტ. უსუფთაო, ფეთხუმი ადამიანი. „ეგ რაილა ქა-ლაია, ნამღული გეჯაია“.

გველეფურა კოჭაობის სახეობა (აღბათ, სოფ. გველეთის მიხედვით). „კო-ჭაობა იყო ერთი, გველეთურას ეძახოდეს, დააყენებდეს კოჭსა და შორით და-ხკრავდეს თხუსს ან ტანას, კოჭს თუ მახვდებოდა და გადმოვარდებოდა, მა-მხუდრს დარჩებოდა“, 232 (შდრ. კ ო ტ ა ლ ი).

გველიზუზუნა-ი 1. გველის წიწილი. 2. ლოკოკინა. „გველიზუზუნაი ნა-წუიმარზე იცის“.

გველის ენაფოთოლა-ი ბ ო ტ. შვიტურა, — ბალახია ერთგვარი. „გველის ენაფოთოლაი ჭრილობის წამალია“.

გველქათამა-ი გესლიანი ადამიანი. „გველქათამაი ეგეთია: საქმით და ძალ-ღონით უსუსურია ქათამივით, ენით კი ყველას გველივით გესლავს“ (ყ ა ზ ბ.).

გჯათ გახსნა-ი 1. ძნის ზიდვა. „ძნის ზიდვას ყანებიდან ჩუენ გზის გახსნას ვეტყოდით“. (ყ ა ნ ო ბ ი). 2. გზის გაგნება, გზასავლის პოვნა, ჩქარა წასვლა. იტყვიან, როცა ერთნი ელოდებიან და მეორენი იგვიანებენ. „რაი მათვიდათ ველარ გახსნეს გზაი! გჯათ გახსნა ვერ მახერხეს“?

გზის გატეხვა კვალის გავლება ხენა-თესვის დაწყების წინ. „საკუთელი პურის ქამა ვიცოდით და გზის გატეხვა, მამრე სრული ხენა დაიწყებოდა“.

გირგილიან-ი გერგილიანი, მარჯვე, ფხიანი; ილბლიანი, ფეხბედნიერი. „მე-კუთლედ იფრო ის ჯობდა, ვინც გირგილიანი იყო“.

გირგოლ-ი ლითონის რგოლი, წნელის გვერგვი. „ტყის წნელით გავაკეთეთ-ქე გირგოლი“, 216.

გიშელ-ი გრანიტი. „გიშელი შავი და ლემანი (რუხი) ფერისა არისკე, თერ-გის ქალაჩია“.

გლოთნა (გლოთნის) ფერება, ალერსი. „სულ მაგას რო არ ვგლოთნი, მა-მწყინდა მაგის გლოთნა-ფერება“.

გლორძ-ი მავთულის დიდი რგოლი ან წნელის დიდი დვლერქით შეკრული ფიჩხების კონა — ურკელა. „მთიდან გლორძი მაგორავდა, მათითებდა ქეიშა-სა“ (ხ ა ლ ხ.).

ღ-გმარავ-ს სკოდავს. „ქუეთ მაიქე, ღმერთს ნუ ღგმარავ!“ (შდრ. შ ა გ-მ ა რ ე ბ ა).

გნედ-ი ხის განაქერი სიგანეზე. „გნედი სისწურივ ჩახებრხე“.

გობანა იგივეა, რაც გობახი. „ფარჩა რო გამოვიდა, გაკეთებდით გო-ბანასა“, 85.

გოგნავ, რას სტირი? თამაშია ერთგვარი.

გოზა „მშვილდის მწვერვალი“ (ს ა ბ ა), „შეინდს (მშვილდს) მასწევს, გოზა ქიკინებს, ვაჰ დედას მთრეხელისასა“ (ხ ა ლ ხ.); „ბეჟანმა რო შვილდს მასწია, გოზა გოზაზე დგებო, ცხრა ადლი მიწა გახეთქა, ნამტვრევი კელთა რჩებო“ („ბ ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი“, ფ ხ ე ლ შ ე); „გოზა გოზას მისდევდა“.

გომ-ი გვამი, სტომაქი, მუცლის ღრუ. „არაყმა გომი გამითბა“; „გომჩი შა-კრული (||გახსნილია) მოხუცი“; „გომის ქარები აწამებს“.

გონამკდარ-ი გონმიხდილი, გონწასული, გულშეწუხებულნი. „გონამკდარი კაცი ეგლო გზაზე“.

გონთა, გონთა! გონზე მოდი!

გონთ გამახტლა გონებაზე გადასვლა, ჰქუაზე შეშლა. „გონთ გამახტე, თუ როგორაა შენს თავსა, გონთ გამასულივით რო ლაპარაკობ?“ (ა. კ.).

გონის აკდომა გულის წასვლა, გრძნობის დაკარგვა. „ურემზედით გადმო-ვარდნილიყო და მაშინვე გონი აჰკდომიყო; მაგას ხშირად ემართება გონის აკდომა“ (ა. კ.).

გონუგონთ უგუნურად, უაზროდ; წარამარა. „მაგას რასლა ყურს უგდებ, სულ ეგრე გონუგონთ ლაპარაკი იცის; გონუგონთ დადის“ (ა. კ.).

გონჯალა-ი კნ. სიტყვისა გონჯი — ცუდი.

გორგოლა-ი გაჩეჩილი მატყლი. რთვის ღროს იკეთებენ თითზე და ისე ართავენ (ა. კ. შდრ. ქ ა ჯ.).

გორდანა-ი პურის ფქვილის კოკორი, იხარშება ხინკალივით, ოღონდ გული ცარიელი აქვს.

გორილა-ი გორგოლაჭი, აკეთებენ ბავშვები ხის, კრამიტის ან ქვისაგან საგორავად და სათამაშოდ.

გოსი, გოსი... საქონლის მოსახმობი, მოსათერებელი გამოთქმა. „გოსი, ღუინავ, გოსი“... (ა. კ.).

გოსინია-ი ძროხა ან ხბო ბავშვის ენაზე (ა. კ.).

გოჩი-ი ძროხის და ხბოს გასაგდები შეძახილი. „გოჩი, შე პატრონმკუტლარო!“ (ა. კ.).

გოჩინია-ი გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი ადამიანი, მალე მრწმენი. „გოჩინიაი კაცია, საიტკეც გინდა, იქიტკეც მიაბრუნ-მააბრუნებ“ (ა. კ. შდრ. ქ ა ჯ.).

გოხი-ი გოხიან-ი ქუქყი, ქუქყიანი. „გოხიანი კაპა ეცო“.

გოჯი-გოჯი-ი კოჭით თამაშია: ოთხ ცალს ერთად ავლებენ, ვინც მეტჯერ დასმავს ერთი მხარით ოთხივეს, გამარჯვებულად ითვლება.

გოჯა იხ. გ ო ზ ა. „მასწია შეინდსა, ისარსა, გოჯა გოჯაზე დგებოდა“ („როსტომიანი“, ყ ა ნ ბ ი, გ. კ ო ბ ი ა შ ე.).

გრაჯალებ-ი ბრჭყალები, გაზები.

გრეხილ-ი ყაითანი. მზადდებოდა ოქროს, ვერცხლის და შავი აბრეშუმის ძაფებისაგან შერეულად (შეგრეხით). გრეხილით მორთავდნენ ტანსაცმელს. ყაბალახს (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

გრილობ-ს იტყვიან ცხენების კოიტუსზე. „კუთიცი გრილობს“; „ჩუენმა ცხენმა იგრილა“.

გრუინ-ი ფიქრში წასვლა. „გრუინჩი ჩავარდა, აღარა ესმის რა“ (ა. კ.).

გუგუშ-ი მცენარეა, — ნემსიწვერა (ა. კ.).

გუგუშ-ი, გუგუშა-ი გუგული. „გუგუშის ხმა მამღლას“. გუგუტის მძივი ძ ვ. ც რ უ რ წ მ. გუგულის მძივი, სხვა მძივებთან ერთად ჰკიდებდნენ აკვანზე გათვალვის წინააღმდეგ, ძილის მოსაგვრელად და სიმშვიდისათვის.

გუდაის ყველი-ი გუდაში შეწურული ყველი, ახალ მოწველილ რძეს ასხამენ კვეთს და შედედებისთანავე წურავენ გუდაში.

გუდანურ-ი, გუდანურა-ი ცხერის ტყავის ბეწვიანი საბანი. „გუდანურაი იკერება ექუტი ყოჩის ტყავისაგა“; „ყისინაც გუქონდა, ზამთრის კი გუდანურებს ვიხურავდითკე, უწინდელი ხალხი გუდანურებში იწვა“.

გუდილა-ი მაუდის ყოჩი, მერინოსი (ა. კ.).

გუდურა-ი პატარა გუდა. საუბ. ტიკი-ტომარა. „შენ ვისი გუდურაი ხარ“?

გუდურ-გუდურა-ი ჭგუფური თამაში-შეჭიბრი (ა. ყ ა ზ ბ. II, 420, 35, შდრ. გვ. 540).

გუელეშმაკა-ი გაიძვერა, დაუნდობელი ადამიანი.

გულის თოლ-ი ძვ. ც რ უ რ წ მ. გველის ნატვრის თვალი, რომელიც მზი-  
ნავია და გველები ათამაშებენ მზიან დღეში. ვინც მას მოიტაცებს, ყოველგვარ  
ნატვრას შეისრულებს.

გუვის-ი იბუტება, უბრადაა. „გუვის, არ მძრახავს“.

გუვილ-ი ბუტიაობა. „ქალავ, ძრიალ ცუდია, გუვილი რო იცი!“ (შდრ.  
გ უ ვ ი ს, გ ა გ უ ვ ე ბ ა).

გუირგუთა-ი მრგვალი. „გააკეთეს სიფრო (=სუფრა) გუირგუთალი“.

გუირგუინის მაკდა ძვ. ე თ ნ. ქორწილის მესამე დღეს ვაჟის დედის ძმის  
ან მოხუცის დალოცვის შემდეგ ნეფე-დედოფლისათვის გვირგვინის მოხდა.

გულამუჟა სასმელია, კაპარზე აყრიან ხალს და ურევენ. დიდმარხვაში ხმა-  
რობდნენ.

გულგულა-ი ვაკე ადგილის ნოყიერი მიწა (შდრ. დ ვ ი ბ ე, დ ი დ ვ ა მ ი).  
„გულგულაის ყანამ ღორღი და გორახები არ იცის, წმინდა მიწაა“.

გულდათანადარობილ-ი გულნაკლული, დაღონებული, მოწყენილი.

გულთა კალოს შუაგული, ცენტრი. „გულთაჩი პალო დეესობოდა, იმაზე  
გამეებებოდა ცხენი და ატრიალებდა“, 45; „გულთაჩი რო ტრიალებს კარი,  
ისაა ჩემიო“, 189||კალოს ცენტრში დარკობილი ბოძი. როდესაც სურთ ცენ-  
ტრისაკენ დატრიალდნენ, მღეწავებს შეუძახებენ: „გულთა, გულთა!“

გულთ გაცუივნა წისქვილის ღერძის არასწორი (არავერტიკალური) დგო-  
მის შედეგად ქვედა წისქვილის ქვაში ხის ნაწილების — „გულნის“ მოქცევა და  
საღვარეში მარცვლეულის „ჩაუტინა“ — ჩაბნევა. „წისქვილს გულნი გასტუი-  
ვნია და სულ დაუღუპია საფქოვი“ (ა. კ.).

გულთ მავსება წისქვილში ზედმეტი მარცვლის მიცემით ნაველას ამოვსე-  
ბა და მარცვლის ფანტვა-ბნევა. „წისქვილს გულნი მეევსა და სულ ემქრია მარ-  
ცოლი“ (ა. კ.).

გულის ადგომა გულის ფანქალი მოქანცულობისაგან. „რბოლით ამოვი-  
არე და გული ამიდგა“ (ა. კ.).

გულის ამასტენა (გულს ამაისტენს, გულამასტენილი) გულამოსკენით ტი-  
რილი. „გული ამაისტინა და ვედარავინ გააყუჩა; გულამასტენილი ტიროდა“  
(ა. კ.).

გულისბნედა გულისწუხილი, უგრძნობელ მდგომარეობაში ჩავარდნა. „დე-  
დას, რომ გაიგა ის ამბოვი, გულისბნედა დასჩემდა ბეჩავსა“.

გულის გაყვალება (გულს გააყვალებს, გული გაუყვება) გაყიდულ პი-  
რუტყვზე გულის დაწყვეტა. ძვ. ც რ უ რ წ მ. თუ გამყიდველმა ცხენს „გული  
გააყვალა“, მყიდველს ცხენი არ შერჩება. ეს რომ არ მომხდარიყო, გამყიდველს  
უნდა გაეყოლებინა აღვირი და ძროხის საბელი, რითაც მოიყვანეს ისინი. „კარ-  
გი ცხენი იყო და გული გამიყვა“; „კარგი ძროხა იყო, პატრონმა გული გამააყვა-  
ლა და არ შამრჩა“ (ა. კ.).



გულის დაკვლა დაკლული ცხოველის გულის გაჭრა ჯვარედინად და სისხლის გამოშვება.

გულის შადება (გულს მასდებს) ნიშნის მოგება, სამაგიეროს შემთხვევით განხარება. „გუგუას ცხენი გადმოუვარდა და ივანემ გული მასდვა“. გულის მოსადები გამოთქმებია: „ახია მაგაზე, ჩემის გულისა დეეცა! ჩემის გულისა მოუვიდა; სულამც ჩემი გულისა მოუვა“.

გულისლაძე შუალაძე. „სწორედ გულისლაძე იყო, კივილი რო მაისმა“.

გულის ყუელავ საალერსო სიტყვაა — გულის საყვარელო, ძვირფასო. „რაი გინდა (როგორ ხარ), ჩემო გულის ყუელავ?“

გულის ყური-ი ორი პატარა ყურისებური ნაწილაკი ცხოველის გულზე. გულის ჭამა მიუღებლად მიაჩნიათ, თუ არ დაკლეს გული (ნ. გულის დაკვლა) და არ ააჭრეს „ყურები“ (ა. კ.).

გულის შაჯომვა შეშინებულის შელოცვა. „წინაპართა რწმენით, შეშინების შედეგად გული გადაიწეეს, გადაქანდება გულის ადგილზედითა. ამიტომ საჭიროა მისი ადგილზე დაბრუნება შელოცვით. შემლოცველი აიღებს ნახშირს, გაღსტეკს შევტარა დანით და ჩუმად ლოცულობს. ნაფხეკ ნახშირს შუბლზე უსვამს შეშინებულს. ასე გრძელდება რამდენიმე დღეს, ვიდრე გული თავის ადგილას არ დაბრუნდება“ (ა. კ.).

გულკუმეტი-ი გულჩახვეული; გულჩაახრობილი; დაბნეული. „გულკუმეტაი ისინი. შენ რო ეტყუი და თავისას აკეთებს, გულისყური ცხოვან აქუ (მთქმელის განმარტება, ყაზბეგი); „გულკუმეტაია, მაგას რაილა გააცინებს“.

გულმომავალი-ი 1. მიმზიდველი, სიმპათიური. „გულმომავალი ქალია“. 2. გულთა, გულითადი, ადვილად დასაახლოებელი (ადამიანი).

გულნი-ი წისქვილის ქვედა ქვის ხის გული, რომელშიც მჭიდროდ ტრიალებს ლერძი (ა. კ.).

გულრბილი-ი გულჩველი. „ძრიალ გულრბილია ეგ ბეჩავი, შაწუხებული რო ვინმე ნახას, მაშინვე გულს ამაუჯდება“.

გულფშუტა-ი, გულფშუტა-ი გულფშუტი, ცარიელი მარცვალი.

გულღრუტუნა-ი 1. განმარტოებული, უამხანაგო; თავკერძა; 2. შურიანი, გაუწმენდელი გულისა. „გულღრუტუნაი კაცია, მაგას კარგი არავისთუი უნდა“. 3. უმადური, უკმაყოფილო.

გულშამტკივნი-ი გულშემატკივარი.

გულჩავარდნა გულგატეხილობა, დაღონება, უხასიათობა. „ბევრი ქირი და სიღარიბე შოგტხდისკე და გულჩავარდნა არ ვიცოდით, ერთუცს ვუდექით მჯარჩი“.

გულწუხი-ი მუყაითი, ფიცხი მუშაკი. „გულწუხი მუშაობა იცის“; „გულწუხია, თითონაც და ცხტებსაც არ ასტენებსკე“ (ა. კ.).

გუმბარა-ი გუბურა, გუბელა. „გუმბარაი დავაგუბათ; წყიმდიანობის დროს გუმბარაი დადგისკე ადგილ-ადგილ“.

გუნებაუხუ-ი მრავალი სიკეთით შემკული ადამიანი. „გუნებაუხუი კაცია“.

გურგუალი ქერ-ი სუფთა ქერი, შეურეველი (მაგალ. სვილი, სიმინდი რომ არ ურევია). „გურგუალ ქერს, იმის ფქუილს ვინახავდითკე სტუმრისთუი სახინკლედ“, 132.

გურკა-ი კურკა. „დეკას გურკაი სასთულოდ დაუბურდებაკე, რო ჩასთესა ისა, ამოა“.

## ღ

დამლულ-ი დამბლადაცემული, ავადმყოფი. „გაგაი რამდენი ხანია დამლულია, არც ლაპარაკობს, არც გარეთ გამოდის“.

დაამსნილი დამდგარი, ჩამოყალიბებული ადამიანი. „დაამსნილი დედაკაცია. სუყელი ეკერკება“. „დაამსნილივით ახალგაზდაია“ (ა. კ.) (ინმარება დამსნილიც).

დაასინინებ-ს დაუსევს, მიუსევს, წააქეზებს, აავლიანებს. [მეზობელი მეხუბებმა] „ეხლა მე შეილები რო დავასინინა, რაილა იქნება?“ 57.

დაასტინებ-ს დადებს, დასვამს, დააბრძანებს. „პური დაასტინიან კეცხე-და“; „ხატი დაასტინეს იმ წმინდა ადგილზე“.

დაატყრობ-ს ესერის (თოფს), გაავდებს; გახეთქს. „დაატყრო თოფი ქისტმა ი ნაბადსა“, 198.

დააჩუნებ-ს აჩვენებს, დაასწავლის, გამოაცდევინებს. „გიგოლის კარგად დააჩუნენე მთიულის ცხენი“, 340; „დააჩუნენე ჩუნენი ადგილი“.

დააცრინტებ-ს ცხვირს დააცემინებს. „რაისთუი დააცრინტე, რო არ გასცივდი?“

დააწკრიტიალე-ს ააწიოკებს. „ძერამ ქათმები დააწკრიტიალა“.

დაახუშებ-ს დაათურთხებს; ნერწყვით დაასველებს. „ჭაჭი ერთკენ უნდა იყოს მშრალი. მეორეთკე — სველი, დაახუშებდეს ჭაჭსა და შაავდებდეს“, 233.

დააქალებ-ს დახალავს, მოწვავს, მოთუთქავს. „დააქალებენ ქერს, სიმინდს“.

დაბალითება 1. დაყოლიება, დათანხმება. „დაიბალითეს ბერაი და წაიყვანეს იმ თათართან საჭიდაოდ; იმ მწყემსმა ქიშტი დაიბალითა და ორმავ გაცორცეს ბეჩავი ნიკალაი“. 2. მოალერსება; დაშოშმინება, დამშვიდება. „მაგამ ისითი დაბალითება იცის, გააფრახებულ ცხენსაც მააჭკუიანებს“.

დაბეთქება (დააბეთქებს) მიწაზე დანარცხება, დახეთქება. „ბალი წყნარად უნდა დაასტინა, ეგრე დაბეთქება რაილაა, გინდა ატკინა რაიმე?“ „მაიქნია ქოთანი და მიწაზე დააბეთქა“; ტყუილებს დააბეთქებს ტყუილს იტყვის. „ეგეთი ტყუილები დააბეთქა, ბალიც არ დაიჭერებს“.

**დაბენჩილ-**ი ძალზე გამაძლარი. „კბებს კარგა მივზღევართ და კარგაც დაბენჩილებს მოვლრევთვე“ (კ ა რ ა კ უ ჩ ა).

**დაბეკებულ-**ი დაბერებული; შინაბერა. „ოცს წელს გადასული ქალი თუ არ გათხოვდებოდა, დაბეკებული იყო, მაშ რაი!“

**დაბზიკება** (დაბზიკავს, დაბზიკებული) ბზიკის — მკბენარი ბუზისაგან საქონლის დაკბენა; აბუზარას შეჭდომა. „დაბზიკებული საქონელი ფრთხება და გარბის“.

**დაბირკლავ-**ს ძვ. ც რ უ რ წ მ. დააზიანებს, დააშავებს (დააკოკლებს, თვალს აატკივებს და სხვ.). „ვინც ფუძის ანგელოზს აწყენდა, ანგელოზი დაამიზებებდა და დაბირკლავდა“.

**დაბკავება** (დაბკავდება, დაბკაული) ბრკე მოეკიდება; დამკავდება, დამძალდება (საჭმელი). „რძე სიცხეჩი თუ დადგი დიდხანს, დაბკავდება“.

**დაბოლება** (დააბოლებს, დაბოლდება, დაბოლებული) ურმის დაყირაება, ბოლოების მიწაზე დახრა. „დააბოლე ურემი!“ „დაბოლებული ურემი“.

**დაბოროლება** (დააბოროლებს) დაყოვნება, შეფერხება, დაბრკოლება. „წასასტლელად გამზადებული ვიყავ და შენ დამაბოროლე!“

**დაბუჟალება**||**დაბუჟვლება** (დააბუჟალებს, დაბუჟალებს, დაბუჟალებული) დაბრუნება, დატრიალება. „დოლაბი რო დაბუჟალებს, სარეკელიც ფრენას დაიწყებს და კუიმიჩაის ღარს გაანძრევს“; „ცეგუაი დავაბუჟვლე“.

**დაბრიხება** (დააბრიხებს, დაბრიხებული) დაელმება (შდრ. ბ რ ი ხ ი). გადატ. შურით თვალების გადმოკარკვლა. „მაიცა, ერთი მივიტანა კარგი ავეჯი, ნახე როგორ დავაბრიხებინე მეზობელს თოლები!“

**დაბრმება**-ა დაბრმავდება. „დაუბრმა თოლი“.

**დაბუგილ-**ი დაბუგული, დამწვარი; გადატ. ძუნწი, გაუმეტარი ადამიანი. „ჩჷენი რძალი ისითი დაბუგილია, გული რო მიგდიოდეს, წყალს არ მაგაწჷდის“.

**დაბულება** (დააბულებს, დაიბულებს, დაბულებული) კრუხ-წიწილის დაბინაება. „წიწილ-კრუტთ დაიბულეს“ (ა. კ.).

**დაბუნგლავ-**ს გაამტვერიანებს; ააკვამლებს. „ნაცარი გედმეექქვა და დეებუნგლა სამყოფი“; „ნიგზურაი ვადმავარდნილიყო ღომელჩიგიითა და სულ დეებუნგლა იქაურობა“. გადატ. იხმარება წაქეზების. შექების გამოსახატავად. „დაბუნგლე, ბიჭო!“

**დაბუშკილ-**ი კუშტად მყოფი, წარბშეკრული, გაბლვერილი; სიტყვაძუნწი. „რას დაბუშკილი ზიხარ, სტუმრებისა სირცხუილია, აიძრახე რაიმე!“

**დაბუშტება** (დაუბუშტებს, დაუბუშტდება, დაბუშტებული) ამობურცვაკოპების ვაჩენა სხეულზე (დარტყმის შედეგად). „ქოითაჩი თავი კულას მივაგალე და დამიბუშტდა“.

**დაბუცება** (დაებუცება) შეჯახება, დატაკება; დაჭიდება. „თავქჷე გაქცე-

ულმა თავი ვერ დაიჭირა და ხეს დევბუცა“; „დავებუცე თუ არა, მაშინვე ძირს გადავიგე“.

**დაბუჯილ-ი** დაბუთული, ფეხებმტკივანი. „მთელი ზამთარია, დაბუჯილი დავდივარ“.

**დაბლაჭავ-ს** დატორავს (შდრ. ბ ლ ა ჯ ი); დაკაწრავს; დაამახინჯებს. „ემშ-მაკმა დაბლაჭა ბაღლი, გააცოდვილა“.

**და-გ-ადნებ-ი** გენაცვლები, შემოგველები. „სუყველაი კარგა უამბოდე: ეგრემც დაგადნებ“ „ვაი, დაგადნი, როგორ კარგი ამბავი მამიტანე!“ (ა. კ.).

**დაგა-დაგა** ყოჩების ჩხუბი.

**და-გ-აჰკნებ-ი** მოსაფერებელი გამოთქმა: დაგენაცვლები. „საწინდე და-მისთე. ეგრემც დაგაჰკნები!“ „ვაი, დაგაჰკნი, როგორი გაზრდილა ეს ბიჭი!“ (ა. კ.).

**დაგდება** (დააგდებს, დაგდებული) მოგდება, მკვდარი ნაშვიერის შობა. „ძროხამ ებო დააგდა“, „ცხენმა მკუდარი კჭიცი დააგდა“.

**დაგვრეზილ-ი** დაგრუზული, დახუჭუქებული, გრუზა თმა. „ვაი, ბედრია-ნაო. როგორი დაგვრეზილი თმა გაქუ!“

**დაგლა** (დააგლის, დაეგლება, დაგლილი) დაბერტყება, დანარცხება, და-ხეთქება. „ქუდი მიწაზე დააგალა“.

**დაგლა-ი** თამაში-შეჯიბრება ბურთით, ვინც მეტჯერ დააგლის ბურთს მიწაზე. დაგლილი ბურთი ისევ მაღლა ამოვარდება, ხელმეორედ დაარტყამენ და ხელახლა დაიწყებენ (ს ი ო ნ ი).

**დაგლოთნვა** დაყვავება, მოფერება, დამამშვიდებელი, დამაწყნარებელი სიტყვებით მიმართვა. „გაშმაგებულს ცხენს განა ცემა უნდა, და გ ლ ო თ ნ ვ ა უნდა“; „შამინებულს და გ ლ ო თ ნ ვ ა უჯდება“ (ყ ა ზ ბ.).

**დაგოხილ-ი** გაჰუქუქიანებული (ნ. გ ო ხ ი). „დაგოხილი ახალუხის საყელო ჰქონდა“.

**დაგრაზავ-ს** (დაიგრაზება, დაგრაზული) დაკაწრავს. „ეკლებმა ქელები და-მგრაზა“; „კატამ მწყალით დამგრაზა“; „დედაკაცმა ლოყები დაიგრაზა“.

**დაგრკოვილ-ი** ბუნებრივად ზვეული თმა. „შავი და დაგრკოვილი თმა აქუ“. **დაგულღვა** მისადგომ და საიმედო ადგილას თივის მიტანა, დაწყობა. „თი-ვის საგულებელჩი დაგულღვა ვიცით, მამრე ჩამავთარითკე“.

**დაგულღვა?** (დაგულავს, დაიგულება, დაგულული) 1. დაქოლვა, დაფარება, შეფუთვა, დათფუნება. „კარტხაი კარგა დაგულე ჩალითა, თორო ყინვაა და დაძრება“; „საარაყე ვერ დაგულე კარგა და ჭერთაც არ გაფუფებულა“. 2. წყეე-ლა: დაიგულღოს — დაეყაროს მიწა. „ვაი, დაიგულე შავის მიწის ძირა!“ (ა. კ.).

**დაგულისტყუება** (დაუგულისტყუებს) დამიზნება, მომარჯვება, მოულოდ-ნელად და დაუნდობლად დარტყმა. „დაუგულისტყუე და ისრი გავსცხე სახეჩი“. „დაგულისტყუებით დაჰკრა ჯოხი“ (შდრ. და გ უ ლ ი ს ყ უ რ ე ბ ი თ).

**დაგულისტყურებით** დაკვირვებით, მომზადებულად, წინასწარ სხვისთვის მოულოდნელად. „დაგულისტყურებით დაარტყა“.

დაცას მოგივიდეს, დაგემართოს, დაგეცეს. „ნეტაი შენი გულისა დამცას!“  
„ერთურთის გულისა დაცასთ მამა ზეციერმა“ (ა. კ.).

და-და-და ბავშვს რომ ფეხზე დგომას აჩვენენ, შორიანლო ხელებს აშვე-  
ლებენ და გასამხნეველად ეუბნებიან „და-და-და“ (ე. ი. დადექიო. ა. კ.).

დადაი მწუხარების, დანანების გამომხატველი წამოძახილი — ვაჰ, დედა-  
სა, ვაი დედასა. „დადაი, როგორ მოუსუნარი ბაღლია!“ (ნ. ა დ ა ი).

დადედამამისულება (დაადდედამამისულებს) შეგინება (დედ-მამის სულისა,  
მათი სახსენებლისა). „რალას უზამდა, მაპარულს უკენ ვერ დაიბრუნებდა და  
ერთილა დაადდედამამისულა ქურდი“.

დადედა, ჩე ს ა უ ბ. მიმართვაში: კარგი ერთი, გაჩერდი; გამანებე თავი,  
„დადედა, ჩე, აბა, რას ლაპარაკობ“.

დადღანავ-ს ვ უ ლ გ. გამოსცინცლავს, გამოსტყუებს. „ბაღლებს სათამა-  
შო კოკები დავსდღანე (ნ. წ ა ს დ ღ ა ნ ა ვ ს).

დადღურადება (დაადღურადებს, დადღურადება, დადღურადებული) შეწუხება,  
დაღონება, დაჩაგვრა. „ბაღლები დამიდღურადდეს“. „რას ერჩი, ეგრეც დადღურა-  
დებული ბაღლია“ (ა. კ.).

დადღლამფვა (დადღლამფავს, დაიდღლამფება, დადღლამფული) სისველი-  
საგან ფესსაცმლის სიგანეში გაწევა, მოფონება-მოშვება (სინ. დ ა ლ ა ყ ვ ე-  
ბ ა). „ავდარჩი ქალბნები სულ დაიდღლამფა“.

დაებღირება-ა მსუნავურად, შურის თვალით დახედავს. „კურაპატკინი ლუ-  
კა დებღირა პურსა, დიდი ლუკმა პირჩი უდევს, ველარ იქცევს სულსა“ (ხალხ.).

დაემსნება-ა დაეკვებება, დაებედება. „პატარძალს მამის ოჯახჩიგათ ცალი-  
ერ ქურქელს არ გაატანდეს, რომ სიღარიბე არ დამსნეოდა“; „ახალ წელს ვიჩხუ-  
ბე და მთელი წელი ჩხუბი დამემსნა“.

დაენაბრება-ა დაეყრდნობა, დაებჭინება. „ჯოხს დავენაბრე“ (ა. კ.).

დაეფერება-ა დაემსგავსება. „შეილი მამისა გამოვა, დედულებს დეეფერე-  
ბა“ (ხ ა ლ ხ.).

დაეფხრუწება-ა დაემანჭება, დაუნაოკდება, დაეღარება. „ხოჯას დაღმენ-  
ქილი სახე კიდევ უფრო დაეფხრუწა“.

დაეცინება-ა შეეხარბება, შეშურდება. არ დაეცინება სიკეთე არ დაე-  
კარგება. „მეზობლის გული არ დემეცინება იმაზე“.

დაეწესება-ა 1. მიეკარება, შეეხება, პირს შეახებს. „რასაც რა საქმელს მა-  
გიტანენ, არც რაზე არ დეეწესაო“, 119. 2. დაეპატოყება, დაეზიარება, დაეწვე-  
ვა პურ-მარილში. „ბატარად მაინც დეეწესე პურსა“; „სუფრაზედიო აგრე ადგა.  
რომ პურსაც არ დაწესებია“.

დაეწონება-ა გაებედება, შეეფერება, ეკადრება. „ჩემგა არ დაეწონება გა-  
ლექსებია“.

დავლევ შენ ავ დღეთა გენაცვალე, გენაცვალე. „ერთაი გალაი შეშა მა-

სესხე. ეგრემც დავლევ შენ ავ დღეთა!“ „როგორ გამახარე, ვაი, დავლიე შენი ავი დღენი!“ (ა. კ.).

დაზაუზაუება (დაზაუზაუებს) დანძრევა, მორყევა. „დაზაუზაუე პალო და ადტილას ამასძტრება“.

დაზიდვა (დაზიდავს, დაიზიდება, დაზიდული) დაკეტვა. „კარს დაზიდა“ (ნ. კარ და ზ ი დ უ ლ ი).

დაზუჯუჯება-ს კუსკუსებს, დაცუნცულებს.

დაზურება (დაიზურებს, დაეზურება, დაზურებული) დაზარება, სიზარმაცის, უხალისობის გამოჩენა. „ეგრემც გენაცულები, ნუ დაიზურებ, გადადი კარტოხანი, ცოტა დაქარჩე“; „არ არის დაზურებულს, და არც ცხორი ჰყავ ცხეისაო“ (ხ ა ლ ხ.); „დაზურებულ წყემსს ახლოთ მამბრუნებას შორით მამბრუნება ურჩენიაო“ (ა ნ დ.).

დათავსწორება გათანაბრება, ბარი-ბარ განდომა. „სისხლის აღებაჩი იყვის-კე დათავსწორება ძქელად, როცა მაკლულის მხარე მამკლავის მსხტერპლს გაათანაბრებდა“.

დათაფლავ-ს ს ა უ ბ. დასტყუებს, დასცინცლავს. „გაგამ გელას დასთაფლა სათამაშო კოჭები“.

დათლამბზვა (დათლამბზავს, დაითლამბზება, დათლამბზული) 1. ქონიანი საჭმლით მადის დაკარგვა, მოსუყება: „ეგრე იქნება, რო ქონნასობი“ (მ თ ქ მ ე ლ ის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა). „დუმამ და ერბომ ძრიალ დამთლამა“. 2. მოდუნება. „სიცხემ დამთლამა“.

დათრა (დათრის) წათრევა, წაღება, დაზიდვა. „რაიც კი უნდა იპოვნას ამ ბაღლმა, სუყველას შინათყე დასთრისკე“; „ყურებჩი კელი წააელა, საბზელაის-კე დათარა“ (ხ ა ლ ხ.).

დათუბ-ი ურმის დათვები, საბრუნავები.

დათუია მამაკაცებისა და ქალების ცეკვა-სიმღერა, ფერხულის სახე სიმღერით: მამაკაცურად გამოწყობილი ქალი — დათვია — წრეში იდგა და ხუმრობდა, „საცოლედ“ ირჩევდა ლამაზ ქალებს. მოცეკვავენი შეკვეთებს აძლევდნენ და შესძახებდნენ: „არალო, ჩუენო დათუია... დათუო, მხალა მოგიტანე, თავს ნაგავი გადიყარე, ეგ გაუშუი, ცხო შაირთე!“ თამაშის შესრულება და ტექსტი სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ვარიანტით სრულდებოდა, 238; შდრ. ი თ ო ნ. 262; მ ა კ ა ლ. 245.

დათუის ესკალა-ი შავი ასკილი.

დათუის ქაჩქაჩა-ი უტყეო მთის მრგვალი, უქულო სოკო, შავნით ყვითელი მტვერი ან სითხე აქვს (კ. ქუ შ.).

დათული-ს მოპყეება, ჩამოთვლის (ამბავს, ზღაპარს, ლექსს). „ბიძავ, აბა დაგუითოლე რაიმე ძქელი ამბოვი“.

და-ი მოხვეე ამ სიტყვით მიმართავს თავისზე უფროს ქალს; იხმარება

დეიდის, ბიცოლას მნიშვნელობითაც. „დავ. მითხარდა, ქადის გულს როგორ აკეთებ?“

**დაიდგნობ-ს** დაიძვარებს, სიმძიმეს გაუძღვებს, დაიჭერს. „შენს მკრებზე შევდგები და ვერ დამიდგნობ?“ „დედაბოძი დალაპა, ჭერმა ველარ დაიდგნო და მთელი ბანი ძირს დეცა“ (ა. კ.).

**დაიდებ-ს** 1. დამაკდება. „ძროხამ ერთი თქუა იჯარა და ისრიე ავარდა საკარებლადა, ალბათ არ დაიდება“; „ძროხა აღარ ჯარობს და ალბათ დაიდება“. 2. უპატოვც. დაიდება, დაწვება, დაეგდება. „საშენი ლოგინი არაა, ემანდ დაიდევ სადმე! შენ შენთჳი დაიდევ, არცინ გკითხავს, როგორც სჳეხარ, ისრი დაიდევ“ (ა. კ.).

**დაიდუგდუგებ-ს** დაიგრიალებს, დაიგრუხუნებს. „დაიდუგდუკა თოფმა“.

**დაიზღუხებ-ა** ეუღგ. დაიჯარგება, მოშორდება. „დაიზღუხე აქათითა!“

**დაითათებ-ა** საუბრ. ირონ. ფეხებგაფარჩხული დადის.

**დაიძყოინებ-ს** 1. დაიყოლიებს, დაითანხმებს, 2. დაამშვილებს. „მემრე დეემყოინა ეკაცი“, 109.

**დაიმჯღარებ-ა** დასკდება, დაიბზარება, დანაოქდება (სახის კანი და სხვა). „მჳადი რო გამოცხობის დროს სწორად არ დადგება, დასკდება, დაიმჯღარაო. ვიტყჳით“.

**დაინებებ-ს** დაეპატრონება, დაისაკუთრებს, დაიმორჩილებს. „ავილეო ტრაპიზონი და ამე სოფლები, დაინებეთ ისა და მივბრუნდით იქითა“, 84.

**დაიპაპანებ-ს** დაისიცხება, დასიცხავს. „სიცხით რომ კულებიან ადამიანიც და ცხოველიც, ასე იტყჳიან ხოლმე — დაიპაპანაო“ (ქ. კაზალ.).

**დაიფოროქებ-ს** 1. დააფორიაქებს, აიკლებს, დაარბევს, ააწიოკებს, არევ-დარევს. „გულს ქორებულად დაჳქროლეს, დაიფოროქეს სრულადა, წაართვეს ბეჩავს მშვიდობა, გადაეკიდნენ მტრულადა“ (ა. ყაზბ.); 2. დაიტაცებს. „დაიფოროქეს საძოვრები“.

**დაიქსავ-ს** დაქსელავს, ქსელს გააბამს; მოქსოვს. „დავიქსავ საქსოლსა“, 218; „ზოგჯერ ათი მკლავი ტოლი დავიქსითყე“.

**დაიძაბებ-ა** დაცინვ. დაეხეტება; დაყუდებულია. „მთელი დღე ფოლორცებში დაიძაბება“ (ა. კ.).

**დაიწრიხებ-ა** უსწორ-მასწორო გახდება, დანაოქდება (ქსოვილი). „თუ მაგრა მაუვიდა შაგრეხა (ძაფს), ნაქერი დაიწრიხება და გონჯა დაიჭერს ტანსა“, 34.

**დაიპოქებ-ა** სახეზე გამოაყრის ფერად წინწყლებს, დაფორეჯდება. „როგორც რო ლურჯი ბეკდის თჳალი, აი, ისრი დაიპოქა“, 246.

**დაიხატებ-ა** 1. ხატში მივა და ლოცვა-ვედრების წესს შეასრულებს. „ქალი და რძალი დილითვე დაიხატა, ხატში ილოცეს“. 2. დროულად გამოცხადდება.

დაიკრასტუნებ-ს ხმაჩახლეჩილად, ჩახრინწული, შეცვლილი ხმით, ყელ-გამშრალი დაილაპარაკებს. „რაიდაც დაიკრასტუნა, ვერ კი გავიგე“.

დაკამურება (დააკამურებს) დახამხამება. „თოლები დაკამურება“ (ა. კ.).

დაკანება (დააკანებს, დაკანდება, დაკანებული) 1. სახის კანის აქერცვლა. „სახე დამიკანდა; დაკანებული მაქვს სახე“. 1. კარტოფილის თხელი ფენის შეწვა ან შოთის გამოცხობა ღუმლის ზედაპირზე. „კარტოხაის დაკანება ზამთარჩი ვაციო“; „პური აღარ მქონდა და პეპლებილა დავაკანე საჭელდაჯელოდა.“ გადატ. ვერ დაკანდა ცხოვრებას ვერ მოეკიდა, ვერ ივარგა, ვერ გამოდგა.

დაკბილვა (დაკბილავს, დაიკბილება, დაკბილული) 1. ჩალის ან თივის ზვინების გადაკვრა მისივე დაგრეხილი თოკით — ვალდახით, რომ ქარმა არ დაშალოს. „ჩალა დაკბილე“; 2. ცივი იარაღის პირის ამომტკრევა, ამოცვენა. „ლევის ქმალი დაკბილა ქიშტის ქმალმა“; „დაკბილულია სატევარი“ (ა. კ.).

დაკეთება 1. ქალამნის შეკერვა. „ქალამნების დაკეთება დაიწყა დილითვე“. 2. გარჩევა, დარკვევა. „ძნას რო გავლენთ კალოზე, მამრე მარცჷლის დაკეთება დავიწყითყე, ცხავი და ტაბაქი დავიშუელითყე“.

დაკერტილ-ი დახეული, ნაქერ-ნაქერ ქცეული. „დაკერტილი კაბა ეცო“.

დაკეპნა წვრილ-წვრილ ნაქრებად დაქრა, დაკუწვა. „მეში სულ მთლად დაუეკეპნია ბალსა“ (ა. კ.).

და-ჰ-კიდებ-ს დაავალდებულებს, სანაძლეოთი დაავალებს. ბავშვები ნეკათითების შეერთებით (გამონასკევით) დანაძლევდებიან და ერთმანეთს დაჰკიდებენ სანაძლეოს ფიცით: „გაუწყდეს ნაწლევი, ვინც დაჰკიდას და არ მისცას“. დანაძლევებულები ცდილობენ ერთმანეთისათვის რისამე შეტყობას, თუ ერთ მათგანს დაავიწყდა და მიიღო, მეორე მოაგონებს: „მე შენ ორი კუერები დაგკიდე; გიგას ერთი კუერცხი დაგჰკიდე და არ მამცა“.

დაკმობა (დაკმობს, დაკმება, დამკმარი) თოვლისა და მზის გავლენით მხედველობის დროებით ნაწილობრივ დაკარგვა. „მთაზე გადმოვე, მზიანი დღე იყო და თოლები დამკმა“; „დამკმარი თოლები ჰქონდა ბალსა“ (ა. კ.).

დაკმუვლება დაკეპალება. დასაფლავების დამეს საფლავებზე აფეთქებენ დენტს, რომ მის სუნზე ნადირი დაფრთხეს და სამარხი არ გათხაროს (ა. კ.).

დაკონვა (დაკონავს, დაიკონება, დაკონილი) შეხვევა, შეკვრა, შესუღრვა. მიცვალებული როცა შორიდან მოჰქონდათ, ახვევდნენ ნაბადში და კრავდნენ თოკებით. ამას ეძახოდნენ დაკონვას. შემორჩენილია წყევლა: „ვაი, დაგკონე! დაკონილსამც მაგიტანენ!“ (ა. კ.).

დაკრაწვა (დაკრაწავს, დაიკრაწება, დაკრაწული) დაკაწვრა. „ლაუუები დაიკრაწა“; „ფხანით დაიკრაწავს ტანსა“ (ა. კ.).

დაკრთებ-ა შეშინდება, დაფრთხება. „ჩივს ესროლეს და დაკრთო“ (ყ ა ზ ბ.).

დაკუთთა (დაკუთთავს, დაეკუთება, დაკუთთილი) 1. აკრძალვა, აღკვეთა. „ერთი წელია სასმელი დევკუთეთე“; „ღორის კორცს არა ვსჭამ, დაკუთთილი



მაქტ“. 2. შემოღება, შემოკლება. „რაც ცხორი მთაჲ წავიდა, კორცი დეგუე-  
კუთა“. ფიცილის ფორმა: „ადარ მაქტ, ისრიმც არ დამეკუთება პურის მკა-  
მელი“ (ა. კ.); 3. მონატრება, მოკლება, არ ყოფნა. „ახალციხე და კარკუჩა  
ხთის პირით დაწყევლილია, ზაფხულჩი მთორე არ მოდის, ზამთარს მზე და-  
კუთილია“ (ხ ა ლ ხ.).

**დაკუერცხილ-**ი კვერცხსავსე, კვერცხმდებელი ქათამი. „რო დაკვლავ (ქა-  
თამს), თუ ბევრი კუერცხი აქტ, დაკუერცხილიაო, ვიტყუით“, 219.

**დაკუღვევა** (დაკუღვეს, დაკუღვეული) დაკვირვება, გამოცდა. ნახვა. „დამი-  
კუღვევა, აღდგომა სულ ყოველ მზიან დღეს არისკე“.

**დაკუტრინჩავ-**ს იგივეა, რაც დაკუტრინცავს.

**დაკუტრინცავ-**ს დაჭრის, შეკრეკს. „თმები დაკუტრინცა ეშმას, ფრჩხილები  
დაშკრა“.

**დაკლარძვა** საქონლის შიგნეულის მოთუთქვა.

**დაკოწეწება** გაბზარული, გატეხილი ქურჭლის კოწეწით დაკავშირება,  
გადბმა, გამრთლება. „დაკოწეწება ვიცოდითკე გაწერილი ქურჭლისა, კოწეწი  
მაკამზადით“.

**დაკრკოვილ-**ი დაგრუხული, დახუტუქებული. „დაკრკოვილი თმანი აქტ ამ  
ქალასა“; „დაკრკოვილი ბატენის ტყავია“.

**დაკუღვა** მთაში თივის ზვინის შეკვრა, საბლის ბოლოების გამონასკვა,  
რათა ჩამოთრევის დროს არ დაიშალოს.

**დაკუმპვა** (დაკუმპავს. შდრ. ს კ უ მ პ ა ი, ს ა კ უ მ პ ი ა) ხარის დასკორვა,  
გარეთ გასვლა. „კალოზე ვარს, საკუმპია გუეჰირისკე, იმით მივზღვედით, რო-  
ცა დაპკუმპავდა, შევაშტელით, რომ არ დეესტარა“ 216.

**დალ-**ი რეზინის საწოვარა. „ქალაშავასათუი დალი ვერცად ვიშოვე“. „და-  
ლით ნაზარდიო“, — იტყვიან რძითა და საწოვარათი გაზრდილ ბავშვზე.

**დალასტულ-**ი დონდლო, მოუქნელი ადამიანისათვის შერქმეული სახელი.

**დალაყუება** (დალაყუებს, დალაყუდება, დალაყუებული) დასველებით  
სიმკვრივის დაკარგვა, დაღობა და მოშვება, ფომფლედ გახდომა. „ძირახლები  
წტიმაჩი დალაყუდა“; „ტყავი მეცო წტიმაჩი, დალაყუდა და კოკებამდე ჩამაი-  
ძაბა“; „დალაყუებული მოსართავები უნაგირს ველარ აკავებდა ცხენის ზურგზე“.

**დალაკავ-**ს ფეხით გადავა, გადავიღის, გადათელავს. დალაკავინებს გადა-  
არონინებს. „(ცხორს) ხამს გზასაც დალაკავინებთ, პირიმზე მადლიანია“  
(ხ ა ლ ხ.). გ ა დ ა ტ. შეაწუხებს. „ბევრი სტუმრები მოვალისო და დაგულაკვე-  
ნო“, 72.

**დაღგუდალა-**ი პატარა გარმონი, ბავშვის სათამაშო საკრავი. „დედისძმამ  
დაღგუდალაი მამიტანა“. დაცინვითაც იტყვიან მოქეიფე, უსაქმურ ხალხზე:  
„დაღგუდალას უკრავენ; დაღგუდალაის ხალხია“.

**დაღეხულ-**ი დაცვნილი. „ბევრი ცხენი იყო დაღეხული“, 335.

**დამალულა-**ი დამალობანა, საბავშვო თამაშობა.

**დამანდოვება** (დაიმანდოვებს) დამონდავება, შეზიარება გამწევი ძალისა ხენის დროს და მორიგეობით ხენა. „ვისაც თითო კარი ექნებოდა, დამანდოვებს იცოდეს, დაიმანდოვებდეს იმ კარსა“.

**დამარჯღღებ-ა** მოიმხრობს, მიუღდება, მოსახერხებლად ჩაუსაფრდება. -დამარჯღღეს იმ ადგილსა, ნიუდეგა, საცა ნადირი გამადის და მაშინ გახამ დაუღირა თოფი“.

**დამატვლა** (დამატლავს, დაიმატლება, დამატლული) ცხვრის, თხის ავად-მყოფობაა — მატლების გაჩენა ტყავსა და ხორცს შუა. „თუ დაიმატლა, ააჩნდა ჭირი, ძრიალ საშიშია“.

**დამახტილება** ძვ. ც რ უ რ წ მ. შინაური პირუტყვის დაცვა გათვალვისაგან, მავნე ძალის დაზიანებისაგან. ახალწლის წინა ღამით ბოსელში და სახლის კუთხეებში აწყობდნენ ეკლებს, დგამდნენ საჩეჩელს, ხენცელს და ცულს, რომელთა შიშით მავნე (კუდიანი, მხიბლავი) ვერ ეკარებოდა სახლს. „ძველად ახალწლის წინა ღამეს, საქონლის დამახტილება იცოდეს“.

**დამდგუღევა** (დამდგუღევს, დაიმდგუღევა, დამდგუღეული) ცემა-ტყეპა, ბათქუნი, დამტვრევა, დაქცევა, დანგრევა. „ბაღლებმა სახლი დაიმდგუღიეს“. წყევლა: „დავემდგუღიას შენი ბიჭები!“

**დამდო დამნდობი**, მინდობილი. „ცხენ-დედაკაცის დამდოსა სამარემც დე-ეკუთება“... (ს ა ლ ხ.).

**დამდოვლებული-ი** არეულ-დარეული, მიყრილ-მოყრილი. „რასი ქალია, დამდოვლებული აქუ სახლი!“

**დამთებ-ი** გამთავებელი, მომსპობი, ბოლოს მომღები. წყევლა: „ვაი შენ და — დამთები!“ (ყ ა ზ ბ.).

**დამთხებ-ა** დაფრთხება, შეშინდება. „ჯიკვი თოფის ხმაზე დამთხო“ (ყ ა ზ ბ.).

**დამიყურე** ყური მიგდე, დამაცადე, უყურე შენ, დახედე. „დამიყურე, რას გეტყუი! დამიყურე, რაი დღე დავაწია მაგასა! დამიყურე მაგასა, რაი ჩაუდენია!“ (ა. კ.).

**დამიხუღით მშუტილობითა** მისალმების ფორმაა, საპასუხოდ ეტყვიან: „მახუე (||მაგუიხუე) მშუტილობითა“.

**დამსნილი** 1. ცუდად დაცდილი, ავის მომასწავებელი. „ორშაბათს ქალი თავს არ დაიბანდა, დამსნილიაო“. 2. გამოცდილი, ჭკვიანი, დამზნილი. „ბავშვი დამსნილი ადამიანით მსჯელობს“.

**დამსუნვა** (დამსუნავს, დამსუნული) დასუნვა, დასუნთქვა; მცენარის, ცხოველის ან მწერის კბენით დასიება. „ეგ დიყი არ შაშქამა, დამსუნულია!“

**დამურავება** იხ. დამურება. „აქამდე სძოვდა ცხორი, ეხლაღა დამურავდეს“.

**დამურება** (დაამურებს, დამურდება, დამურებული) ცხვრის დასვენება; სიცხის მოსარიდებლად ცხვრებს ამ დროს ერთმანეთის მუცელქვეშ აქვთ შე-

ყოფილი თავები: „დამპურებული ცხორი თავის დროზე თუ არ გაიშალა, ჭიგარი უფუჭდება“.

**დამძაყება** (დაამძაყებს, დამძაყდება, დამძაყებული) დამძალება. „ერბო ისრი დამძაყდა, ძალიც არ შკამს“.

**დამწაკებული-ი** დამწარებული, გაფუჭებული თხევადი პროდუქტი. „დამწაკებული ხარჩი“ (ყაზბ.).

**დამქუხავ-ს** დახუტავს. „დამქუხე თოლები, ჩემო ბიავ, და დაიძინე“.

**დამჯღარვა** (დამჯღარავს, დაიმჯღარება, დამჯღარებული) დანაოჭება, დაღმეკა. „პაპას სახე დემჯღარა“; გ ა დ ა ტ. დახეთქვა, დასკდომა. „ცივ ღომელჩი შაასხდინა მკადები და სულ დაიმჯღარა“; „დამჯღარული პურები სტუმართან არ მიიტანება“.

**დანაკიანება** (დაანაკიანებს, დანაკიანდება, დანაკიანებული) ნაკიანი, ზადიანად გახდომა, დამახინჩება. „თვისთან სისხლის შაგმარება ჩამამავლობას დაანაკიანებს“.

**დანაკლისი** დაკლებული, შეუსრულებელი. იხმარება შესანდობრის თქმას დროს. „ღმერთმა ის შაიწყალას და იმის დანაკლისი დღენი დამრჩოთ შეგმატასთ“ (ა. კ.).

**დანამგლვა** ცელის ან ნამგლის პირების დაბრეცა, რაც ცუდი გამოწვევის გამო ხდება. „გონჯა გამაწყიპა ცელი და დამინამგლა“ (ა. კ.).

**დანატრება** დანარცხება, დახეთქება მიწაზე. „დაფახდი, ბალოო, თორო აგიყვან და დედამიწას დაგანატრებ!“ „კოკას წამაველა ჯელი და მიწას დაანატრა“ (ა. კ.).

**დანაღუღილი-ი** ზამთარში შეცივებულსა და დამზრალ პირუტყვს ზაფხულში გამოაჩნდება ხოლმე ნაღვლის სიმსივნე, რის შედეგადაც კვდება. ამაზე იტყვიან: „დანაღუღილი ძროხა იყო“ (ა. კ.).

**დანაყუებება** შეშის დაჩიჩილაკება, წვრილ-წვრილად დაჭრა, დანათოტება (სინ. დ ა წ ი წ კ ო რ ე ბ ა). „ნუ დაანაყუებ შეშასა, ღომელჩი მსხუილი შეშალა გუინდა“.

**დანისფხა** სერის — ცხვრის გამოსაცნობი ნიშნის — სახე, ყურზე განივი ჭრილი. „ცხორს ყურს გავუჭრითქე სისწურივ, დანისფხას ვეტყუთ“

**დანოსკილი-ი** გ ა დ ა ტ. დაუნდობელი, ცბიერი, საეჭვო ქცევისა და ხასიათისა. „ეგ ისეთი დანოსკილია, რო სუყველას შააცდენს“ (ყ ა ზ ბ.).

**დაორბაღდება** დამხმარე ცხენის შებმა ურემში. „დაორბაღდეს მეზობლის ცხენი“.

**დაპირქოვდება-ა** დაპირქევდება. გ ა დ ა ტ. დაიღუპება. „ზოვი გამოვიდა და მთელი გორი დაპირქოვდა“; წყევლაა: „ეგრემც დაპირქოვდები!“

**დაპკაული-ი** დაობებული, რასაც პკა (ნ.) აქვს მოღებული, გაფუჭებული. „დაპკაული შრათი“ (ყ ა ზ ბ.).

**დარალა-ი** დალალი, კავი, კულული. „გაერდზე უსხედან სამნი მულნი,

დაკაული დარალებით“ („ე თ ე რ ი ა ნ ი“, თ ო თ ი); „ქალმა თმები მაიჭრა, დარალი ჰქონდა დიდი“, 201.

დარამად მთლად, სავსებით. „ცხორი დავკალ და დარამად თეთრად (ე. ი. ქონად) გადაიშალა“ (ა. კ.).

დარან-ი ხვრელი; დახურული (მიწისქვეშა) მილი, წყალსადენი; საწრეტი. „არშის ციხეჩი დარნები ყოფილა თიხისა, წყალს მით უდენია“; „ქოითაჩი დარანს ვაკეთებდით ჰაქის ქვიზგა“.

დარბაზ-ი 1. ძველებური მოხეური სახლი; 2. ძვ. ხატის საბრძანისი, შენობა ან შენობის ნაწილი, სადაც ხატის განძი და ჰურჭელი ინახებოდა.

დარბაზობა ძვ. სახალხო დღესასწაული ჯუთასა და კარკუჩას შორის მდებარე ნადარბაზევ ადგილებში, იმართებოდა ლეკიანობის მოსპობის აღსანიშნავად.

დართვა (დართავს, დერთვის, დართული) გაწყობა, დადება, დამატება, გამართვა, დახურვა. „სახლის კედლებზე ხეებს დართავენ“, 126; „ხე-ჭერი დართულია ეკლით და ფიჭუთ. სახლი დართულია მიწით“.

დართხმა დალება, გაშლა, დაფჩენა. „პირი დაართხა და კიდალარ ჩოგულამბა!“

დარიალება (დაურიალებს, დარიალდება, დარიალებული) ცხვრის ფარის ნეკრივად წასვლა. „ცხორი რო დარიალდა, მწყემსებმა მაშინ დათოლეს“.

დარიუავ-ს გააჭენებს. „დარიუავს ცხენს“.

დარიფან-ი, დარიფანა-ი დერეფანი, ბანი; ბანიანი სახლის აივანი, რომელიც ჩვეულებრივ, ბოსლის ან, საერთოდ, ქვემო სართულის სახურავს წარმოადგენს; ქვემო სართულის ოთახი. „პაპი დარიფანზე იჭდა და ყალივანს აბოლებდა“.

დარყეობა ძვ. დღესასწაული სოფ. სნოში, იხდიდნენ ღუღუშურები წინაპართა სალოცავის მოსახსენებლად. „დარყეობა ორშაბათს იყვის“, 211.

დასამურებელ-ი გრილი ადგილი, სადაც ცხვარი შეეფარება და დაისვენებს ძლიერი სიცხის დროს.

დასამცირო დასამცირებელი, შეურაცხმყოფელი. „ცხოთა დასამცირი სიტყო არცროდის უნდა თქო“.

დასარათება (დაუსარათებს, დასარათებული) მწყემსების მიერ მინდვრად ან მთებში შორ მანძილზე სარათით (ნ.) შეტყობინება, როცა ხმა არ სწვდება. „ამხანაგმა დამისარათა“.

დასარვა დაკლული პირუტყვის ტყავის გაჭრა (გასერვა) დანის წვერით კისრიდან კუდამდე (მუცლის მხრიდან).

დასაქცევი ძალებ-ი ჩანგურის სიმებია.

დასაქულელ-ი ჩასაქოლავი, დასასამარებელი. წყეელაა: „შე დასაქულელო, რატომ არ გაიგონებკე, რასაც უფროსები დაგარიგებენკე“ (ა. კ.).

დასაყნება (დაასაყნებს, დასაყნდება, დასაყნებული) თვალის შეშინებით

ერთ ადგილზე გაჩხერა, გაუნძრევლად გაჩერება, ფეხის მისობა, გაშეშება. „ხუთი-ექუსი ცხორი დამისაყნდა იქა“; „ბაღლს თოლი შაშინებიყო და კლდეჩი დასაყნებულიყო“.

**დასინვა** (დასინავს, დასინება, დასინული) სპილენძის ქურჭლის რეაქციით თავისებური გემოს მიღება. „ლუდი დაუსინია ქობსა“; „ვეღრაჩი დასინული წყალია“.

**დასკერავ-ი, დასკერავა-ი** საკერველი, ძველზე ახლის გამოსაკერებელი ნაჭერი. „დასკერავა არ მასკლია ჩემი შარვლის მუჯლებსა“; „ხალათი რომ გამახიხევა, იმას დასკერავი გამავაკერითკე“; „გ ა დ ა ტ. იტყვიან ადამიანებზე, ერთმანეთს რომ არ შორდებიან, სულ თან სდევნ. „ეგ მაგის დასკერავაია“: „ჩემო დასკერავაი რო არა ხარ, რას დამდევე?!“

**დასკირტავ-ს** (რუს. скирда) დაზინვა. „მამრე თივას დავსკირტავთ და საქონელს ვაქმევთკე ზამთარჩი“.

**დასტუნა-ი** საბავშვო თამაშია — დამალობანა. იყოფიან ორ ნაწილად. კენჭი ვისაც შეხვდება, ის ჭგუფი იმალება. დამალულებს როცა აღმოაჩენენ, დაუსტევენ და თავის ჭგუფს შეატყობინებენ.

**დასულდგმულება** (დაასულდგმულებს, დასულდგმულებული) ხატისათვის ზეარაკის შეწირვა, წინასწარ შეპირება, ხბოს, ცხვრის სუქება ხატის სახელზე. „ქარები დაასულდგმულიან (დაღნიშნიან) და დახკლავდეს მესამეს წელიწადს“, 7; „ჰედილა თუ დასულდგმულებულია, გაყიდვა არ შაიძლება“.

**დასულება** აყროლება, სუნის დადგომა. „დასულება დაიწყა, მამრე გავიგეთ, რო კლდეზე გადავარდნილა და მამკუდარა კბო“.

**დასულებულ-ი** აყროლებული. „დასულებული ჯორცია“.

**დასულვა** პურის ცომის დაჩხვლეტა, რომ გამოცხობის დროს არ ამოიბეროს. „პური წიწკებით დავსულე“ (ა. კ.).

**დასუყვა** (დასუყავს, დაისუყება, დასუყებული) ზედმეტი ცხიმისანი საკმლით მადის დაკარგვა, გულზე დაწოლა (სინ. დ ა თ ლ ა მ ვ ა).

**დატიტავ-ს** გაუსწრებს (შდრ. დ ა-ს-წ ი ნ ა უ რ დ ე ბ ა), წინ გაიქცევა. „ერთად წავედით მე და იავორაი, მაგრამ ემან დამტიტა“.

**დატოლებულ-ი** შეწყობილი, დამეგობრებული, ერთმანეთის გამოსაქომაგებლად მზად მყოფი (იტყვიან ძაღლებზე). „ეს ძაღლები დატოლებულები არიან და ცხო ძაღლებს სულს უწვენ“.

**დატოტღებ-ა** ოთხამონაღებ სიარბილით წავა ან რიტმულად ათამაშდება (ცხენი). „გადავხკარ მათრაკი ჩემ თამაშასა (ცხენის სახელია) და დატოტღა გარმუნის კმაზე“.

**დატყეპება** (დაატყეპებს, დაეტყეპება, დატყეპებული) 1. უშნოდ დაწებება, დაზელა, დაკვრა. „ცომი დაატყეპა კეცზე“; 2. უ პ ა ტ ი ვ ც. დაგდება. „შენ არაეინ კვითხავს, დეეტყეპე, სადაც ჰგდინხარ!“

**დატყლეპა** (დატყლექს, დატყლექილი) დასრესა, დატყლეტო. ბეჩავ, სულ დატყლექია ერთი დუნია კარტოხაი!“

**დატყრომა** (დაატყრობს, დატყტრება, დამტყტროლი) დახეთქვა, დასკდომა. „სიცივეი კელ-ფევის დატყრომა ვიციკე; ყინვამ კელები დამიტყრო, კელები დამტყროლი მაქტ“.

**დატყტეშა** (დატყტეშს, დატყტეშილი) 1. დასუსხვა. „ჭინჭარმა დამტყტეშა“; 2. გაწკებლა, ცემა. „ქამრით დატყტეშე!“

**დაუბადლებ-ს** საფასურში გაუთანასწორებს. „დაუბადლებდეს საქონელს ერთი მეორესა, წილებს ჩახყრიდეს“, 130.

**დაუბადდავნებ-ს** ბალდავნად (ნ.) მისცემს. „თემმა მკჭდარი ოჯახის ცხორი მეზობელს დაუბადდავნა“.

**დაუგერგურებ-ს** გრიალით, თქაფუნით წაიღებს წყალი. „ადიდებულა იორი, წყალორღმა მამატანაო, დამიგერგურა, წამილა, შუა ზღვას გამატანაო“ (ხ ა ლ ხ. გ ა რ ბ ა ნ ი).

**დაუდარილებ-ს** უდროებს, დროს შეურჩევს, დაუდარაჯებს; მიზანში ამოიღებს. „ერთს კიდავ დაუდარილებ ნადირს“.

**დაუსართებ-ს** სართად მისცემს, დაუმატებს, შეუესებს. „ოცდახუთს თუმანს ფულს მოგცემ, ზედ დაგისართებ ცხენსაო“ (ხ ა ლ ხ.).

**დაუტევე-ს** შეუტევეს.

**დაუფახარ-ი** მოუსვენარი, ანცი, გაუგონარი, დაუდეგარი. „დაუფახარი ბაღია, ნებას რო მიუშუტა, ზამთარჩიც თერგჩი ჩავა“.

**დაუფერებელი-ი** მოურიდებელი, დაუხატრებელი. „მაგან სუყველასთან დაუფერებელი ლაპარაკი იცის“.

**დაუფსტრიალებ-ს** ცხვრებს „ფსრუ-ფსრუ“-ს ძახილით მოუხმობს მარლის სალოკად.

**დაუყმუყუნებ-ს** დაუბდავლებს, ალერსით, სიყვარულით დაუტრუსუნებს. „ცხორი როგორც კი ბატკანს დაუყმუყუნებს, მაშინის ქობულაჩიგათ ამავლრეკა და ცალკე ვუშებთკე“.

**დაფათლული ნაკერ-ი** დაფოთლილი, სახეებიანი ნაკერი, როცა სახეები არა ცალკე, არამედ პირდაპირ ეკერება ტანსაცმელზე (გულისპირზე, კაბის კალთებზე, სახელოებზე) და ნახევრად ამობურცული გამოიყურება (ს. ა ლ ი ბ ე გ.)

**დაფამფრვა** (დაფამფრავს, დაიფამფრება, დაფამფრული) ფაფარის აშლა. „ცხენები დაფამფრულები დარბოდეს“; გ ა დ ა ტ. გაანჩხლება, გაფიცხება (ქალისა). „ეხლა კი დაიფამფრა და ვაი დადადაი, ვისაც ეგ მახტდება!“ (ა. კ.).

**დაფარავ-ს** დაფარცხავს. „ბედრიანმა ყანა მაჯნა, დაფარა და დაჭკრა ნამმა“... (ხ ა ლ ხ.).

**დაფავა** (დაფასავს, დაიფასება, დაფასული) მოხსენება, შენდობა; ხსონის უკედევყოფა. „ამ ლოდით (საფლავის ქვით) დამფასა ბიძამ“.

**დაფახება** (დააფახებს, დაფახდება, დაფახებული) დამშვიდება, თავშეკა-

ვება, დაწყნარება, დაკმაყოფილება. „დაფანდით, ხიზანო, ნუ ჰკმაურობთ!“  
„ემ ბალღმა რაც ცოლი შაირთა, ბატარად დაფანდა“; „დააფანე ეს ქალაი რო-  
გორმე“.

**დაფერვა** (დაფერავს, დაიფერება, დაფერილი) 1. შეღებვა. „კუერცხები  
დაფერე სალდგომოდა“. 2. დამსგავსება. „ლეკვები ხვადმა დაიფერა“.

**დაფოლჩოტება** იგივეა, რაც **დაჩოლფოტება**.

**დაფხრაჭავ-ს** დაკაწრავს, დაფხაქნის. „კინტული შამამაფრინდა და სახე  
დამფხრაქა“.

**დაქანთელავება** (დაქანთელავენს, დაქანთელავდება, დაქანთელავებული)  
ქანთელების, ქინთლეშების — წვრილი წყლულოვანი ბუშტუკების გაჩენა. „მიწ-  
რო ქალბნები მეცო და ფეკები სულ დამიქანთელავდა“.

**დაქარჩავ-ს** ქარჩით დაამუშავებს, დათოხნის. „ქარტოხაი დაქარჩა“.

**დაქემეტება** ნ. დაქიმიატება.

**დაქენქილ-ი** იგივეა, რაც **დაქენცილი** (ნ.). დაცინვა გონჯ დედაკაცზე.  
„მთლად დაქენქილი დასუნემის შავს ცომის საზელელაჩი“ (ყ ა ხ ბ., ი ვ. ფ ი-  
ც ხ ე ლ ა უ რ ი).

**დაქენცილ-ი** დახეული, დაფლეთილი ტანსაცმელი. „გუერღზე კიდავ და-  
ხეულ-დაქენცილი ბალღი მაზღედვა“.

**დაქიმიატება** (დაქიმიატდება, დაქიმიატებული) იგივეა, რაც **დაქიმი-  
თება** — დამშვევა. „დაქიმიატდა ოჯახი სუსუმატობით“ (ნ.); „დაქიმიატებული  
ხიზანი“.

**დაქლეთა** (დაქლეთს, დაიქლითება, დაქლეთილი) დაგლეჯა, დაკაწრა. „ის-  
რი მაგრა იხხუბეს, რო სულ ერთურთი დაქლითეს და დახიეს“: „კლდეჩი მოვ-  
ქანდი და ტანი სულ დაქლეთილი მაქუ“ (ა. კ.).

**დაქოთება** (დააქოთებს) ხმის დარხვევა, გავრცელება, განმიანება. საქვეყ-  
ნოდ მოყიენება. „ამ ზამთარ მაგისი სიკუტდილი დააქოთეს და ეგ კი ცოცხალი  
ყოფილა“ (ა. კ.).

**და-ჰ-ჭჭინებ-ს** დაარქმევს, სახელს უწოდებს. „მოვნე დახჭუინა იმ ეშმაკს“.

**დაქულავ-ს** დაქოლავს, დახურავს. „ლომელს მაგრა დაეხჭულითე, რო ცე-  
ცხლი არ ჩამქრალიყო“.

**დაქუსვა** (დაქუსავს, დაიქუსება, დაქუსული) დათხვრა, დათხუპნა. „კელე-  
ბი ლუქით დავიქუსე“.

**დაქშენ-ს** რჩოლით შეუტევს. „ქარმა ქარს დაქშინა და იალაღი მიაგ-  
დაო“ (ან დ.); „ძროხამ დაქშინა ძალღსა და გააქცია“.

**დაღადვა** გამოძალვა, ფულის, საქონლის გამოტყუება, დაცანცვლა. „რო  
დაუწყა დაღადვა, სუ ჯელზე გასცალა“.

**დაღერება** დამუქრება, დარტყმის დაპირება. „ბევრს არა ხარ დაჩუეული,  
ცოტას გინდა დაღერება“ (ხ ა ლ ხ.).

**დაღუერვა** (დაღუერავს, დაიღუერება, დაღუერილი) 1. ცხვრების ბალნის

გაცენა; 2. გადატ. გაღვება, გამოტყუება, გაყვლეფა. „ბაღებს კოჭები დავღვებ და ისრი გაუშეი“.

დაყაყაყ-ს ყაყს დასღებს, ოღნავ მოფიფქავს.

დაყაქული-ს აუბ. ეშმაკი, ყველაფრის მკოდნე და მიმხვედრი. „დაყა-  
ქული ქალია, მაგასთან რაი გავივა“.

დაყაქული დედოფალა-ი სახელდახლოდ, უბრალოდ გაკეთებული საბავ-  
შვო დედოფალა, ლამაზად მორთული. „დაყაქული თოჯინა“.

დაყდაყა-ი ორივე ფეხით კოჭლი. „ბეჩაი, დაყდაყაია, ძლივდა დაღის“.

დაყუ-ი იდაყვი. „ხალათი პირველად დაყუებჩი გამაიხევაკე“.

და-ჰ-ყუთირებ-ს ერბოიანი ქოთანი (ჭურჭელი) ნაკლულად რომ რჩება, მას  
მძალე სუნი ეძლევა. ამაზე ამბობენ: „დაჰყუთირა ქოთანმაო“ (ა. კ.).

დაშალტვა დაშარტვა. ნ. დაშატავს.

დაშატავ-ს იგივეა, რაც დაშარტავს, — მაგრად შეკრავს. „მეცხორემ ნაბა-  
ღი დაშატა“ (შდრ. შატა).

დაშაშვლა (დაშაშლაღს, დაიშაშლება, დაშაშლული) იგივეა, რაც და-  
შაშვრა.

დაშუღლება (დააშუღლებს, დაშუღლებდა) გაშველება, მორიგება, დაზავე-  
ბა, შეთანხმება. „ეს შუიდი ნეფე ვერ დაშუღლდეს ერთმანერთი“.

დაშუპიღ-ი დაღურსული. „დაშუპიღი დაღის“.

დაჩინჩრა (დაჩინჩრავს) დასკორვა ცხენის, ვირის, ჯორის მიერ.

დაჩინხავება-ა (დააჩინხავებს, დაჩინხავდება, დაჩინხავებული) დაუშნოება.  
ნაკლის, ზადის, მიღება. „ლამაზი ქალი იყო და ეხლა კი დაჩინხავდა“.

დაჩოღქოთება იგივეა, რაც დაჩოღოტება (შდრ. დაფოღოტება) —  
დამორჩილება, დაბრიყვება. „დაჩოღქოთა“.

დაჩხლართავ-ს უშნოდ შეკერავს, უგვანოდ მოქსოვს. „სიჩქარეში კაბა და-  
მიჩხლართა“.

დაჩხუერ-ს ურქენს, რქით დაჩხვლეტს. „ქალაი ძროხამ დაშჩხუთირა“.

დაცალჭერება (დააცალჭერებს, დაცალჭერებული) ცხერის ერთჯერად  
წველა.

და-ს-ცემ-ს დაჰმართებს, შეჰყრის, მოუვლენს. ჩემის გულისა დაგცას.  
ჩემი გუნების საქმე დაგემართოს; შენის გულისა დეგეცა შენი გუნების საქ-  
მე შეგეყაროს (წყევლაცაა და ლოცვაც).

დაცრუვება (დაცბრომა, გამორწყვა, იარიდან ჩირქის გამოსვლა. „ძრიღ  
გასიებული იყო და ეხლა კი დამიცრუვდა“ (ა. კ.). იტყვიან იარის (ჭრილობის)  
გაღიზიანებაზე. „ჭრილობა დამიცრუვდა სიცივისაგანა“.

დაცრუებულ-ი ტყავგადაძრობილი, კანგაცლილი, ჯერ კიდევ მოუშუშებე-  
ლი ადგილი ორგანიზმზე.

დაცხუირება ცხვირის დაცემინება, დაცხიკება. „დაეაცხუირე და აღარ მი-  
ღიტინებს“. „დამაცხუირა და — შენი ავი დღე წაიღასო — მიძრახა“.



ლაძეწკავ-ს დაბეგვავს, დაქეჟყავს, დანაყავს. „სახინკლე კორცი დაძეწკა; ნივარი გაძეწკა“.

და-ს-ძრახავ-ს 1. გამოესაუბრება, დაელაპარაკება, ეტყვის. „მეზობელმა დამძრახა და მივიცქირე“. 2. დასცინებს, გაიცხავს.

დაწარბვა (დაწარბავს, დაიწარბება, დაწარბული) მრგვლად და მტკიცედ შეხევევა, თოკით შეკვრა, შეფუთვა. „ჭიკჭის კორცი თავისავე ტყავი შაახტიეს, დაწარბეს და ისრი მიიტანეს სახლიჩი“; „ლამაზ დაწარბული თივები იყო, არც ერთი არ დაიშალა ჩამატანისასა“.

და-ს-წევ-ს დაეწევა, გაუსწორდება. „ბიძი წვიდა და წერილი კი აქ დარჩომია, არიქა, სალამ შორს არაა, დასწიე და გადაეც“! (ა. კ.).

დაწერა (დაწერს, დაიწერება, დაწერილი) დაბზარვა, დახეთქვა. „მიწის ძვრის დროს სახლის კედლები დაიწერა“.

დაწერაქვება ქვის მოპირკეთება, გაკოპიტება, გამოყვანა წერაქვით. „მოტხის მამრე ქვას დაწერაქვება უნდა“.

და-ს-წინაურდება გაუსწრებს, აჯობებს, გადაამეტებს. „ის კარგად დამწინაურდა მე“.

დაწინდება 1. დაწინდება, დაგირავება. „ყანების დაწინდება“; 2. დანიშნვა. „აკეანჩი დაწინდება იცოლიანკე წინათ“.

დაწინწკორება (დააწინწკორებს, დაწინწკორებული) წვრილად დაჭრა, დანაფოტება. „ბაღლებმა შეშა დააწინწკორეს“.

დაწკირება ნ. დაწკირნება. „რო დაწკირდებიან, იმაზე ვიტყუით — დაწკირნდესო“; „თითოეული სახლის კარი დაწკირებით ყველა ციხეჩი მიდიოდა“, 267.

დაწკლეთა (დაწკლტება) 1. დაწრეთა, დაშრობა. „გავღრცხთ მხალს, დაედებთ ცხრილზე, ცოტა დაწკლტება“, 219. 2. დაწმენდა. „მღვრიე წყალი დაწკლტება“. 3. დაღეჟვა. „ნადუღალი ქვაბის ძირი დაწკლტება“ (ყ ა ზ ბ.).

დაწკნობა დაწმენდა, დაღეჟვა. „ერბო დუღილს რო მორჩება, დაწკნობის შემდეგ ცოტა ფქტილი უნდა ჩაყარა“.

დაწკრინება (დააწკრინებს, დაწკრინდება, დაწკრინებული) დამწკრივება. „სტუმრები ეზოჩი დეწკრინა და ურემს ელოდა“; „ბატები დაწკრინებული მიდიოდეს წყლისკე“ (ა. კ.).

დაწოლაჲ-ს გატიხრავს, გამოყოფს. „ბინას ლასტებით დაწოლაჲვენ“.

და-ს-წონ-ს 1. გასინჯავს; გაბედავს, შეჰკადრებს. „წინ მიდგას ოქროს ტაბლები, ზედ მიყრია კვიცის ხორცი, ჰამა არ დამიწონია“ (ხ ა ლ ხ.); „მეც გამლექსეთო — უთქმია. აბა, როგორ დაწონენ იმას!“ 200; „ძაღლები ეელრინეს ერთმანერთსა და მამრე კი ვერც ერთმა ვერ დაწონა, რო მახტედრილიყენეს“

დაწუერვა გამოპირვა, წვერის ან პირის გამოქნა. „მკედელს საკოდელაი დავაწუერინე“ (ა. კ.).

**დაწუკვა** (დაწუკავს, დაწუკება, დაწუკილი) დაწვეთება, დაღვენთება. „ხალათი მაზუთით დამეწუკა“; „ერბოჩი დაწუკილი კაბა“ (ა. კ.).

**დაწურავ-ს** ცხენს. „ცხენს სადოღედ მოამზადებს“ (ნ. გამაწურვა).

**დაწუხება** (დაწუხდება, დაწუხებული) მონატრება, ძლიერ მოსურვება. „დავსწუხდი ჩემი ქმრისაკე, როგორც მუშაი წყლისაკე, დილაზე გამოვალაკე, ვიციკირებიკე გზისაკე“ (ხალხ.).

**დაკჷმენტ-ს** დაჩქმეტს, დაბწკენს. „დაყუები დამკჷმენტა“.

**დაკლგვილ-ი** ფეხებით ნასიარულები და ატალახებული სველი ადგილი. „ტალახით დაკლგვილი კარ-მიდამოა“.

**დაკოჷყილ-ი** კოჷყით — ქვის ნამტკრევეებით ამოვსილი ცარიელი ადგილები ულამკიროდ ნაშენ კედელში. „ქვით დაკოჷყილი კედლის გულს შჯობს ნეხტ-მიწით გაგოზვა“.

**დაკრეხილ-ი** დაკიკნილი, პატარ-პატარა ღრუებიანი, ჩუქურთმებგამოყვანილი. „ხეს გათლიდიან, ოთხკუთხი როგორიდაც იყო, ძირზე დაკრეხილი“, 65; „დაკრეხილი მარტოშკამაი აქუთ“; გადატ. დაღარული, დანაოკჷებული სახის ადაიინი. „ჯახოთაი დაკრეხილი იყო, გრძელი ცხტირი, ჩაცტინული თოლები ზქონდა“.

**დაკროღვა** (დაკროღავს, დაიკროღება, დაკროღილი) 1. დაკრეღება, მოჩუქურთმება. „წითელი კუერცხი დანაით დავკროღე“; „დაკროღილი ჯოხია“; 2. დაწინწკელა, დაფორეჷება, დაკორფლვა. „მწყარის კუერცხივით დაკროღილი სახე ჰქონდა“ (ა. კ.).

**დაკუჷკვა** (დაკუჷკავს, დაიკუჷკება, დაკუჷკილი) 1. თბილად დახურვა, შეხვევა, დაფარვა. „კარტოხაი ჩალით კარგა დაკუჷკე, თორო დამკრება“. 2. დასრესა, დაჷყლეთა. „დეეცა თავეს ის წნელიცა, ის ლასტიცა და ქეებიცა, დაკუჷკა ხალხი“, 134. დაკუჷკილი გადატ. ხელმოჷქერილი, ძუნწი.

**დახავრვა** (დახავრავს, დახავრდება, დახავრული) დასივება, გართულება, გაუარესება (კრილობისა, იარისა). „თუ ჯელჩი ან ფეჷჩი დაკრილი იქნებოდა და დახავრავდა, დაადებდეს ნეხტის ქიასა, რო არ დეეხავრა“, 78.

**დახანჯლავ-ს** ხანჯლით დაკოდავს, დაკრის. „ჩონებურები, ძაუგს მიმავლები ურმითა, სულ დახანჯლეს ჯარიახის პირდაპირ“ (ყაზბ.).

**დახოზანა** თამაშია — დამალოზანა. „დამალოლს რომ დაინახავს, ასე დაუკივლებს: „დიახ! ვინც დარჩება შეუმჩნეველი, ისაა გამარჯებული“, 240.

**დახრეშა**, **დახრეშა** (დახრეშს, დაინრიშება, დახრეშილი) დახედვა, მაგრად დაზანა. „ტანი კარგა დაიხრიშოდე“ (ა. კ.).

**დაკამრულ-ი**, **დაკამურებულ-ი** დახუთული, დაკოკლებული, დადამბლავებული. „ცხენი დაკამურებულია, ფეჷტ ვერა სძრავს“; „დაკამრული იყო, მძლივ დადიოდა, მუკლები სტკიოდა“.

**დაკაფრვა** (დაკაფრავს, დაიკაფრება, დაკაფრული) დაკარგვა, ჩამოშორე-

ბა; დამდურება. „მე და შენ დავიკაფრებით ერთურცხიგაო, თუ გერგეტლები არ გაგითავისუფლებია შეშის ყალანისაგაო“, 35; „მახათი დამაჟაფრა ხიზანმა“.

დაველითი-ი 1. ჰკუაზე შემცდარი, შეშლილი. „ეგ ჰკოზე არ უნდა იყოს, დაველითილივით დადის“. 2. დადამბლავებული, უუნარო.

დავერა ჯიბრიანი, მოქიშვე, ღვარძლიანი. დავერას||დავერასი უდგება ექიშვება, ეცილება, კრიჟაში უდგას. „დავერასი უდგას, გასაქანს არცაით აძლევს“.

დავერება (დავერებს, დავერდება, დავერებული) დაშტერებით ცქერა. „ძრიალ დამავერდა და მაშიდა მიცნა“; „დავერებული შავსცქერი თოლებჩი“ (ა. კ.).

დავეკვა (დავეკავს, დავეკილი) დაკორტნა, დაკენკვა. „ქათმებს კარტოხაი დაუვეკია“. 2. გ ა დ ა ტ. დაჩხვლეტა, დაჩეკვა, წერტილების დაჩხვლეტა. „დავეკილი სახე აქტ“ (ა. კ.).

დავერება (დავერებს, დავერება) 1. წამოდება, გამოდება. „ფეკი დამივირა და კულას მიმაგალა“: „კედაი დავევირე და ქვანი ამავაგორე მაწაჩიგათა“; 2. დარჰობა; დასარტყმელად მომზადება. „რკინის კედი თურმე დავევირა კლდეჩიგა და როგორც არყი, ეგრე თუ დადრიკის“, 222; 3. შეხება. „გუთნისდედას მოუნდა ცოლის დავერება“. 4. უ პ ა ტ ი ვ ც. თრევა, ხეტიალი. „სად დევეკირები ამდტენ ხანს?“

და-ს-ჯე მუშტარი, მუშტარადა წყეელაა: დაბრმავდი!

და-ს-ჯე ცის ქვაზე წყეელაა: დარჩი მარტოდმარტო, ღია ცის ქვეშ, ცის ამარა.

დაჯუმრილი-ი მოლუმული, პირქუში. „ერთს არ გაილიმება, სულ დაჯუმრილი ზის“ (ა. კ.).

დაჯღმენთილი-ი დანაოკებული, დაღარული (სახე). „ბეჩავი ქალაი, როგორ დაჯღმენთილი სახე აქტ“.

დაჯღმუი-ს 1. დასტრიალებს, თავს ევლება. „ცხორს დაჯღმუი“; 2. უმნიშვნელო საქმეზე დროს კარგავს; ჰოჭნიკობს.

დედაის თოლი მოსაალერსებელი გამოთქმაა: „რაი გინდა, დედაის თოლო?“

დედალი ღვია ბოტ. წიწვიანი ჯიშის ღვიის სახეობაა, ფაფუკი შტოები აქვს, მიწაზე წაწვენილი იზრდება კლდეებში.

დედაქუა-ი (დედაქუაობს) ქალაჩუნა. „შე დედაქუა, ტურამ როგორ შეგაშინა!“ „ბაღლი კი არა, ნამდუილი დედაქუაია“; „რას სდედაქუაობ, განა ქალაი ხარ?!“

დედილა-ი დედის დედა, ბებია.

დედის ნაწოვ ხსენს დააღტრევინებ-ს გ ა დ ა ტ. დედის რძეს არ შეარჩენს მუცელში, მაგრად სცემს. „ჰკუიანად იყავ, გირჩევ, თორო დედის ნაწოვ ხსენს დააღტრევინებ“.

დედლობა ჰეპლობა. „დედლობა რო გაუთავდება ჩიტებსა, მამრე კუჭერ-ცხებსა სღებენ. მამრე კრუტლებიან“.

დედო ძროხის დასაყვავებელი მიმართვა. „დედო, დედო, გოსინიაჲ!“ (ა. კ.).

დედობის თქმა დათმობა, საქმის მშვიდობიანად მოგვარება; ქედის მოხრა. „როცა გიქირს, დათჷს დედობა უთხარიო“ (ან დ.).

დევარგანა-ი ჯანღონიანი, დაუზარელი, ყოჩალი, შრომისმოყვარე და საქმიანი ადამიანი. „ერთი ლამაზი და დე ვ ა რ გ ა ნ ა ი ბაღლი იყო, ქალაც კარგი შაირთა“ (ყ ა ზ ბ.).

დევნობ-ს იტყვიან ძროხაზე, როცა დასამაკებლად არის ავარდნილი. „როცა ახურებულა ძროხა, მაზუერს დევნობს“.

დევქარა-ი სამხრეთის თბილი ქარი. „გადასახლებაჩი რომ ვიყავ, დაღბერის დევექარამა და მამაგონდის ჩემი ხოყანაი“.

დეღანუწ-ი დელამა, საყველედ შედედებული რძე. „როგორც კი შათბება და შადგება რძე, დელამუწია ისა, შავშქყლეტო, ჩავასხამთ და გავსწურავთ პარკი“.

დეღევან-ი 1. ქონება. „შენ რომ ჭკუიანი ყოფილიყავი, მამის დეღევანს ისრი ძალღუმადურად არ გადაავლედიო“, 98; 2. დიდი ფართობი, დიდი ნაკვეთი. „დეღევანი ეზო“.

დემრა იგივეა, რაც დრემლა — ცხვრის ნაკელი. „საბატკნე დახურულია ფიჩხით, ზედ ნაგევი აყრია ცხურისა, დემრას ვეტყუით“.

ღია დიდად, ძალიან. „წინ დახვდა ფადიაური, ღია განთქმული ჯარზედა“ (ხ ა ლ ხ.).

ღიასახლის-ი ძველად ოჯახის უფროსი, ხნიერი დედაკაცი.

ღიგაი ყოჩების და ვაცების ჩხუბი, შეტევა. „ყოჩებმა ღიგაი დაჰკრეს ერთურთსა“; „ვაცი ძალღს ღიგაით დეექანა“ (ა. კ.).

ღიდება-ი ძველებური მოხეური სიმღერა, სრულდებოდა ქორწილში, ხატობაზე: „ოოო...ღიდება და დიდება ღმერთსა და ქოყნის გამჩენსა“ (სოფლების მიხედვით ტექსტში განსხვავებებია, შღრ. ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, V, გვ. 46).

ღიდუჭერი-ი ურო.

ღიდქაღობა ძვ. დიდი ქაღების გამოცხობა. სამების დეკანოზების ვალდებულებას შეადგენდა აღღგომის მესამე დღეს სოფელს გამასპინძლებოდნენ. „ღიდქაღობა ვიცოდითკე აღღგომასა, ოთხი-ხუთი ლიტრა ორი ქაღა გააკეთიან“, 238.

ღიდჯაღაზნ-ი მრავალწევრიანი, გაუყრელი ოჯახი.

ღიდჯორობა ძვ. დიდი ჯვარობა, ხვნა-თესვის წინ გამართული ნაღმი სოფელში, ხარჯებს ხატის ყანების შემოსავალი ანაზღაურებდა.

ღიღბანდ-ი რიყრაყი, ალიონი. „ღიღბანდზე უნდა ავღგე, ცხორჩი წავიღე“.

დივილიჰუკრუმე, დილივიჰუკრუმე უეცარი სიხარულის, აღტაცების გამო-  
მხატველი სიტყვა — დილილმე.

დივილიჰუკრუმელასა, დილივიჰუკრუმელასა იხ. დ ი ვ ლ ი ჰ უ კ რ უ მ ე .

დილისჰუკრუმე იგივეა, რაც დ ი ვ ლ ი ჰ უ კ რ უ მ ე .

დოთჰუნდა-ი, დოთჰუნთა-ი სადღვებლის ქვეშ საგები მატყლის ბალიში:  
ხისაგან გაკეთებული დასადგამი საქანელა, მასზე აწვენენ სადღვებელს და არ-  
წევენ. გ ა დ ა ტ. ეძახიან დაბალ და ჩასუქებულ ადამიანს.

დოლ-ი 1. ცხერის მოკების პერიოდი; 2. ბუნაგი. „აგერ, ბეჟან, ღორის დო-  
ლი, ღორი შავიდა დოლჩიგა“ (ხ ა ლ ხ. „ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი“); ღორებმა დოლი აიღეს  
ღორებმა ბუნაგი გააკეთეს. || ი გ ი ვ ე ა , რ ა ც დ ო ლ ა ფ ა რ ა , ს ა დ ო ლ ე .

დოლოზ-ი დოლაზი. გ ა დ ა ტ. დიდი ტუჩები. „შეხედელა, დოლოზივით  
ტუჩები არა აქჷ!“

დოლოზა დოლის — ბატკნების დაბადების პერიოდი.

დონდორ დედა-ი დაცინვით უწოდებენ უწოდებულ ადამიანს.

დოჟია საყვედური; დამადლება. „დოჟია ის არის, კაცი რო „საქმეს აკე-  
თებს, მაგრამ მადლს არ აყოლებს, რას დოჟიას მაყრიო, ეტყჷიან“.

დოხტი-ი გაუწმენდავი ნავთი, საპოხი, ცხიმი. „მამრე იმ ტყავსა, რომენიც  
არის აპრილი ზომაზე, წაუსტეიანკე დოხტი გინა ღორის ქონი“, 131.

დრამბა-ი ლითონის ფული (20—25 კაპ. ვერცხლის ფული); იხმარება სპი-  
ლენძის მნიშვნელობით. „ვემსურებმა იმ კაცის საფასურჩი დრამბაი მიათხო-  
ვეს. იმ დრამბაის სპილენძს ეძახიან“ (კ ა რ ა კ უ ჩ ა).

დრეი, დრეიე ცხერის გასადენი შეძახილი.

დუგდუგა-ი ა ხ. ეძახიან მოტოციკლს. „დუგდუგაი ელასიპედის სწორია,  
იფრო კი მახჭრის“.

დუზ-ი სწორი და ვრცელი მინდორი, დიდი უბორცვო და უტყეო ვაკე.  
„დუზი მინდვრები ნოღაეთჩია“ (კ. ქ უ შ.).

დუმეულ-ი, დუმეურ-ი დიდდუმინი ცხვარი. „აი ის დუმეური ყოჩი და-  
სულდგმულეებულია“.

დუქნის კაცი, ოჯახი, ხალხი ირონიით იტყვიან ისეთ კაცზე, ოჯახზე ან  
ხალხზე, რომელთაც ოჯახში სურსათ-სანოვავის მარაგი არ აბადიათ და ყოველ-  
დღე დუქანში ან ბაზარში გარბიან. „ეგ რაილა კაცია (|| ოჯახია || ხალხია), დუქ-  
ნის კაცია“ (ა. კ.).

დუღურა-ი ძაფის კოჭა.

დუშმან-ი მაგრად მოხარშული კვერცხის ჩაღრმავებული ნაწილი (პაერთ  
დაკავებული სივრცე). „ძირზე აქჷ კჷერცხს დუშმანი“ (ა. კ.).

დუც-დიკლა-ი პატარა ზომის ჩასაბერი საყვირი, ბავშვების სათამაშო.  
„ძაუგჩი ხიზანს დუც-დიკლაი ვუყიდე“.

დღესინდელ-ი დღევანდელი. „დღესინდელ დღეთ არა გამიკეთებია რა“.  
ლოცვა: „დღესინდელო დღეო, შენ დეეკმარე და მშუტიდობით მოგუგორე ჩუე-“

ნი გარეთ გასულები!“ წყევლა: „დღესინდღელო დღეო, შენ მაჰკითხე ჩტენი ავის მათჰომსა!“

დღესინდღამდე დღევანდღამდე. დღესინდღამდე არ ვიცი ვეგ ამბოვი.

დღიასწელი-ი მიცვალებულის ერთწლიანი გლოვა და პანაშვილის ხარჯები. პანაშვილის სუფრა წელიწადში ხუთჯერ იმართებოდა: შობას, დაურწყების შაბათს, აღდგომის ორშაბათს, ამალღებას და მარიამობას. „ორმოცის შემდეგაა დღიასწელი, ამ დროს დაიკვლებოდა საკლავები“, 150.

დღრიალ-ი ბრიყველი ტირილი. „ისრი უშნო დღრიალი იცის, შაგზიზღდება და არ შაგეცოდება“.

დღრუზაგ-ს 1. მიახლის; ფიგურ. „სიტყუა ზღრუზა“. 2. გადაჰკრავს. „არაყი ზღრუზა“.

დღუნდღურა-ი (დღუნდღურებს) ცხვირში მოლაპარაკე. დაცინ. „რას სდღუნდღურებს?“ (ა. კ.).

## ბ

ებუცება-ა ებუჩავება, ეჭიდება, ეტაკება, ეცემა. „ბოძო მეცხორეს ებუცა, ჯოხი ეჭირა ხისაო“ (ხ ა ლ ხ.); „... დათუ იქ დახტა და გზასაო, იმან(!) მაშინვე ებუცა, აღარ დაიწყებს ცდასაო“ (ყ ა ზ ბ ე გ ი).

ეგაი, ეგეი 1. იხმარება გაკვირვების შორისდებულის მნიშვნელობით — აბა. ერთი... „ეგაი კიდავა, ეგ ვინლა მაიგონა?“ „ეგეი კიდავა ახალი ამბოვი!“ 2. სიტყვის მასალაა, იხმარება დავიწყებული სიტყვის სანაცვლოდ — ისა, რა ჰქვია, ისამე. „ეგაი, იმათ შაქრომა მცა: ეგეი, ის მამცა“ (ა. კ.).

ეგლებ-ა ეხეთქება, ერთყმის, ეცემა, ეხლება. „ზარის ენა ხან ერთკე ეგლება, ხან მეორე მქარესა“. გ ა ღ ა ტ. მიედ-მოედება. „მთა-კლდეს ეგლება, განა რასმე აკეთებს, ეგრე ტყუილად ეშმაკთ ეგლება“.

ედაგა-ი გამძლე, ამტანი (შღრ. მე დ ე გ ი). „ედაგაი მარჯილია: ედაგაი მწყემსია“.

ეელოლო ნიშნის მოგების და შერცხვენის გამომხატველი შორისდებულის, ხმარობენ უმეტესად ბავშვები. „ეელოლო, ტიტველაი!“ (ა. კ.).

ეზურება-ა ეზარება, ხასიათზე არაა, არ სურს. „ვერ წაოლ, მეზურება“.

ეთვაყ-ი მაგარი ხე, ძნელად დასამუშავებელი. „ეთვაყი ხე რო მამიგდე. განა ეგრე ადვილი იყო მაგისგა ცელის ტრის გამათლა?!“

ეილა, ეიტა დაცინვის შორისდებულის, ჰაიდა. „ეილა, ტიტველას არ გამა-სულა გარეთა!“ „ეიტა, ამასალა რაი ჩაუცმია!“

ეკალდამა-ი, ეკალდომა-ი აკლდამა (შღრ. კ ა ლ დ ა მ ა).

ეკანწულღება-ა ებლარძუნება, ხელებს უფოთიალებს.

ეკმანინება-ა ეყოფა, აუვა, იკმარებს მისთვის. „სულ რო გიამბა, ქალალდი არ გეკმანინება“.

მაჭეთებ-ა აკლია, დანატრებულია. „მაგ საცოდავთ ყველიც კიღავ ეაჭეთებათ“ (ა. კ.).

ელღუმა-ი ბალახია, ყიზლარის ველებში მოდის. სინ. ქ ჭ ი დ ი.

ემაგღუენ-ი. ემაქთუენ-ი იმღენი. „ემაგღუენი ქერი მოგუივიდა, რო შერ-მისსაც გუეყოფა“; „ემაქთუენი ჯარი მადგა, რო გზა ველარ იტევედა“.

ემბაშადა ახლა, ამჟამად, ამ თავით. „ემბაშად კი ვერ მაგემ ფულსა. ჯი-ზაზე არა მაქუ“.

ემღუენ-ი ამოღენი. „ემღუენი ხალხი მოვიდა, რას იზამ, უნდა გაუძღუე“.

ემოქთუენ-ი აი მაგღენი. „ემოქთუენი გერგება, მეტი რაილა გინდა!“

ემქრია ებნია, მიმოფანტული იყო.

ემჩიკ-ი (რუს. ЯМЩИК) მეეტლე. „უწინ მე ემჩიკად ვიყავი, ყაზბეგით კობამდის მიგუიდიოდის ცხენები“, 140.

ემხლოვნებ-ა ეკედლება, ემხრობა, ეთვისება, მასთან ამხანაგობას ცდილობს. „ეს ქალაი ძრიალ როგორმე მემხლოვნება“, „ჩუენი და თქუენი ხიზანი ერთურთს ძრიალ ემხლოვნებრან“.

ენა ქამრის ბოლოში მობმული ლითონი (ა. კ.).

ენაზე გასულ-ი ენაგრძელი, ბეერი, უთავბოლო ლაპარაკის მოყვარული. „ენაზე გასული ხარ, ქალავ, რაი დეგეჯერება!“

ენალაკაიტი-ი მკვერმეტყველი, ენამახვილი, სიტყვამოსწრებული. შასარი-გებლად მასული კაცი დიდი ენალაკაიტი იყო: ლაქლაქა; ენაგაქნილი, ყბედი. „ენალაკაიტი კაცია, არ იცის, მაუჯდება საქმეს, თუ წაჯდება“.

ენალაქარდიან-ი ენამოქარგული, მოალერსე. იტყვიან ფარისეველ ადამიანზეც. „ენალაქარდიანია და იმისთუი ევლება სუყველა თავზე“.

ენაპირიან-ი კარგი სიტყვა-პასუხის მქონე, დალაგებულად მოლაპარაკე. „შუაკაცად ენაპირიან ხალხს ამარჩევდეს“.

ენაუნა-ი ენაობის მოყვარული, ყბედი, ჭორიკანა, ავენა, მბებზლარი. „არ მიყორს ეგ გორი, სუყველა ენაუნაია მაგათ ოჯახებჩი“.

ენაუნობ-ს ენაქარტალაობს, მამებლურად ლაყობს, ფარისეველობს. „ქუ-ლია კაცია, ენაუნობს, ოლონდ კი უფროსთაგან რამე მიილას“ (ყ ა ზ ბ.).

ენა-ყავლ-ი ენა-პირი. გა დ ა ტ. უცენზურო სიტყვათა მოყვარული. „გონჯი ენა-ყავლის კაცია“ (ა. კ.).

ენძალა-ი ბ ო ტ. ენძელა.

ერბაშაზე ერთბაშად, უცბად. „რაია, რას გახერდი, ერბაშაზე რატო არ მიპასუხე?“

ერბოანა, ერბოვანა-ი საკმელი მხალია, 219.

ერბო-ნადუღალ-ი ცივად აზელილი ერბო და ნადუღლი.

ერბოჯალ-ი დახალული სიმინდის ფქვილი გამდნარ ერბოში მოზედილი (ა. კ.).

ერდო 1. ძველებური მოხეური სახლის სართულიდან სართულში ჩასასვ-

ლელი, ჩადიდონენ მისადგმელი კიბით (საჯედით); 2. კერის თავზე ბანში ამო-  
კრილი ხერელი კვამლის, სინათლის, ჰაერის სამოძრაოდ.

ერთაზე 1. საერთოდ, ერთად. „გათხარეს ერთაზე დიდი სასაფლაო და ჩა-  
ყარეს შიგა“, 134; „იმ თესლსა ავურევთ ნაცარჩი და ერთაზე მავაყრით“, 130.

2. ერთზე. ცალზე, კენტად, ერთის ამარად. „ერთაზე დარჩა“.

ერთაი მარცოლა-ი ერთი ციკქნა, მარცვლისოდენა. „ერთაი მარცოლაი  
ბაღლია და როგორი ცეცხლივითა!“

ერთობის ოჯახ-ი დიდი ოჯახი, გაუყრელ-გაუყოფელი.

ერთობის სახლ-ი ძე. დიდი (გაუყოფელი) ოჯახის მამა-პაპეული სახლი,  
სადაც რამდენიმე თაობა ცხოვრობს.

ერთობის ქობ-საკიდელ-ი გაუყრელი, გაუყოფელი, დიდი ოჯახის საერთო  
ქვაბი და საკიდელი.

ერთ ცეცხლზე განაყარ-ი ერთი კერიდან გაცალკეებულნი, განაყარი ოჯა-  
ხი, მახლობლები.

ერსაწირ-ი სამღვთოში დასაკლავი ხარი, ერის შესაწირად და სადიდებ-  
ლად. „ერსაწირის სახელზე დათქმული საკლავი არ გაიყიდება, ხატს უნდა  
შეეწიროს“.

ერქონა გუთნის სახელური.

ესართვის-ს ემატება. „რა დააყურებს უბედურს, ჰირი ესართვის ჰირსაო“  
(„შ ი ო ლ ა ს ლ ე ქ ს ი“, ყ ა ზ.).

ესეთურა-ი ამისთანა, ამნაირი, ამდაგვარი. „ესეთურაი ჯერ არა გაგონი-  
ლა რა!“ „ესეთურაჩი მე არ გვეერევი!“

ესკალ-ი, ესკალა-ი ასკილი. „ზედ ნარნი მოვლენ, ესკალნი...“ („ე თ ე რ ი ა-  
ნ ი“, ს ნ ო).

ესტიბარ-ი იხტიბარი.

ეტამსებ-ა იგივეა რაც ეწამსება.

ეტამსნებ-ა ეტმასნება.

ექორცოლიებ-ა, ექორცორიებ-ა ეფერება; ელაციცება, ელაქუცება; ემლი-  
ქენელება.

ექუინა ერქვა. „ყასფოლაი ექუინა მუცროს ძმასა“.

ექჩერებ-ა ემეტება, არ ენანება, არ ეზოგება. „მამრე ჩუენ ვეტყოლით, თუ  
გუქჩერებოდა, ერთი-ორი დალიეო“, 72.

ელოლებ-ა ეწინააღმდეგება, ეურჩება, ხელს უშლის. „მარი, გემეცა, ნუ  
მელოლები!“

ეშმაკის ნაშენ-ი ეშმაკის შთამომავალი. წყევლა-გინებაა: „შე ეშმაკის ნა-  
შენო!“

ეშმაკის ცხენ-ი მწერია ერთგვარი, მაღალი ფეხები აქვს, ნემსიყლაპია.

ეჩკალიტ-ი რკინის ხერხი, ძლიერ წვრილკბილებიანი. „ხეს ხერხით ვხერ-  
ხავთკე, რკინას — ეჩკალიტითა“.



ეციგლიგებ-ა ეხიცილება, ელიტინება. „ფეკებზე გამაჰფხანე, ძრიალ ეცი-გლიგებაჲე“.

ეწამსებ-ა ახლად ამოსდის. „ულვაშები ეწამსება“.

ეწერ-ბეწერ წალმა-უკულმა, მრუდედ. „ეწერ-ბეწერ მაუცნია; ეწერ-ბეწერ უქსოვია“.

ეკმუჭნება გული გული ეთანადრება; უნადელიანდება, უწუნს. „გული ეკ-მუჭნებოდა, კიდავ მეტი კალმახი უნდოდა დეეჭირა“.

ეხედებ-ა ძვ. ც რ უ რ წ მ. ბედად აქვს, აწერია, სჩვევია. „კაცს რაც ეხე-დება, ის არ ასცდება“; „ეხედებოდა კაცის კვლა და შამააკუდა კიდეცა“ (ა. კ.).

ეხრიშებ-ა ეხება, ეხახუნება, ესმის. „კატი ფეკებზე მეხრიშება“ (ა. კ.).

ეხულებ-ა საყბენად ეტანება. „ცხენი ვერ დაევიტირე, სულ კბილებით მე-ხულება“ (ა. კ.).

ეჯირებ-ა 1. ედება. „ფეკებჩი ეჯირება“; 2. უ პ ა ტ ი ვ ც. ეთრევა, ევდება. „სად ეჯირება თუ იცი, ახლა აქ უნდა იყოს!“

ეჯალუნებ-ა ეჯუჯლუნება, ებუზლუნება.

ეჯიგრებ-ა უყვარდება, გულში უჯარდება მისი სიყვარული. „შარლომს ეჯიგრებოდა ეთერაი“.

ეჯიფე იგივეა, რაც ეჯიბი — მეჯვარე. „მეფე ეჯიფეს გჳერლზე იჯლა“; 145.

### 3

ვაი, დაიშალე ეგრე საუბ. ფ ა მ ი ლ. ვაი, გაჭრი, ისემც შენ გაგიძლია. „ვაი, დაიშალე ეგრე, რაი ქალი ხარ!“

ვაი, ჩემს მასხლეტასა საუბ. დანანების გამომხატველი გამოთქმა: „ვაი, ჩემს დღეს. ვაი, ჩემს მასხლეტასა, რაი მაგივიდა, კაცო!“

ვალდახ-ი გრძელღეროიანი ბალახისაგან დაწნული საბელი სათარზე თი-ვის გადასაკრავ შესაკონაეად. „თივას ვალდახს დაფუგებთ და გადაეკრავთ“, 66; „ვალდახი გეეკეთა იმ კაცსა და იმით გეეკონა ფეკები“, 117. „ვალდახსა ჩუენ დაგრეხილი ბალახის ბაწარს ვეძახით“ (ს ი ო ნ ი).

ვალდახე ძვ. ც რ უ რ წ მ. სახელწოდება სულისა თუ ადამიანისა, რომე-ლიც განაგებს კაცის ბედისწერას. ძველად მიცვალებულის ნათესავი სასაფ-ლაოზე ღამით მიიპარებოდა, პირადმა დაწვებოდა და ელოდა ვალდახეს გამო-ჩენას და დაძახებას: ამ წელს ესა და ეს პირი მოკვდებაო.

ვალთავა იხ. ვ ა ლ თ ა რ ა.

ვალთარა მკის ან თიბვის დროს ერთი ნაპირიდან მეორემდე ჩატანილი მწკრივი, რამდენიმე ნამხრევი. „მკის დროს ეთი ჩაწლით მომკილი ნამხრევი. ნაპირით ნაპირამდი ეგრე გატანილს ვალთარა ჰქუთია“, 216. „რამდენი ვალთარა გაავლე?“

ვალწინა-ი ვალში მისაცემი პირუტყვი. „ემაგ ვალწინას ბევრი თივა მიუ-  
ყაროდე. აგრემც ტანზე წამოვიდეს“.

ვაჟიან-ი ვაჟის (სიძის) ნათესაობა, მხლებლები. „მამრე მოვა სადედოფ-  
ლოსთან საკლავითა ვაჟიანი“.

ვაჟური ვაჟ-ი ვაჟაკური ბიჭი, გულადი, შეუღრეკელი. „ვაჟური ვაჟია, გა-  
ნა ჩიდარმიდარაი!“

ვარდი-ი ეძახიან ადგილობრივ ღია ფერის ყაყაჩოს.

ვარდიში-ი ვარჯიში.

ვართითა ორთითა, ფიწალი.

ვარია-ი ურო, დიდი ჩაქუჩი. „პატარას კუერი ჰქუიან, დიდსა კი ვარიაი“.

ვას-ვას წამოძახილი ცეკვის დროს.

ვასვას-ი ცახცახი, კანკალი. „ცხორს შიმშილისაგან ვასვასი გაჰქონდა“.

ვაჩილობა ძვ. ელიობა, ამინდის დღესასწაული, სეტყვის საწინააღმდეგო  
ლოცვა-ვედრება, მართავდა სოფ. თოთი და გაიბოტენი ივლისში, წმინდა ელიას  
და ზაქარიას სახელზე კლავდნენ ვაცს. „ვაჩილობა მკათათუის ბოლოს მადიო-  
და, ორშაბათსა, თნებს კლავდეს“; „ეგ ოსებჩიგათ არის გადმასული“, 296.

ვაცალა-ი ვაციკი, მოზარდი მამალი თიკანი (სავაყე) ერთ წლამდე. „ვაცა-  
ლაია შარშანდელი ნაქორფალი მამალი თიკანი“ (კ. ქუ შ.).

ველიან-ი ვაკიანი. „ველიანი გორაკი“.

ველის კალო ეზოს მოშორებით. მინდვრად გამართული კალო (საპ. ს ა ხ-  
ლის კ ა ლო). „ზოგს ველის კალო ხქონდა“, 278 (შდრ. ლ. კ ა ი შ.).

ვენძალა-ი ბოტ. ენძელა.

ვერ გეჰენ საუბ. მოგიკვდეს ჩემი თავი. „ვაი, ვერ გეჰენ, ადრე რატო  
არ მითხარ, რო ვერ იყავ კარგა?! ვერ გეჰენას ჩემი თავი!“ (ა. კ.).

ვერა ჰქენ ტანი წყევლა-საყვედური: არ გაიზარდე (არ გასაზრდელო). „ეგ  
როგორღა მაგერია, ვერა ჰქენ ტანი!“ (ა. კ.).

ვირისრძევანა-ი ბოტ. რძიანა. იხ. ვ ი რ ი ს რ ძ ო ვ ა ნ ა ი.

ვირის რძოვანა-ი ბოტ. მალალი ბალახია, ფართოფოთლებიანი, მოწყვე-  
ტისას ხმაურობს, გადანატეხზე რძე ჟონავს, ქალები სახის გასათეთრებლად ხმა-  
რობენ.

ვირის ჩიმლა-ი წვრილი ნაცრისფერი სოკოა, მალალი ღერო და წოწოლა  
თავი აქვს, არ იკმება.

ვიცარ-ი, ვიცარა უეცარი. „ერთ ვიცარზე“ ერთ წამას, უეცრად, თვალის  
დახამხამებაში. „ვიცარზე აქ გაუჩნდები“.

## ზ

ზავ-ი შიში. „ჩემი ზავი რომ არა ჰქონდეს, აქათით გოდოგოსახლებდა“.

ზავიან-ი ზავთიანი, ძლიერი; საშიში, მრისხანე. „მგელი ცხტრისთუი სუ-  
ყელას ნადირზე ზავიანია“; „ბიბო ზავიანი კაცი ყოფილა“.

ზაით ზევით, ზემო მხარეს.

ზაით სახლ-ი ძველებური მოხეური სახლის ზემო სართული.

ზალტ-ი 1. სალტე; 2. კავიანი ჯოხი ცხერის დასაპერად. „უკენა ფეკჩი უნდა გამაზღვა ზალტი და დაიჭირა“.

ზანკალ-ი სუსტი, მორყეული. „ზანკალი სახურავი აქუ, არამც ჩაიქცეს“. ზანკლად აგებული არასწორი წყობით ნაშენი, სუსტად აგებული. „კედელი ზანკლად იყო აგებული, ლამ-კირი აკლდა“.

ზარა-ი კოქის თამაში, სამიზნეზე რაიმე ნიშნის დასმა. დაუდგებიან შორს და აგდებენ კოქს, ვინც მოახვედრებს ან ახლოს მიაგდებს სამიზნესთან, კოქები მას რჩება.

ზარავანდ-ი ყვითელი მძივი. ძვ. ც რ უ რ წ მ. ავეაროზის დანიშნულებით ბავშვის აკვანზე აბამდნენ სურავანდით დაავადებისაგან დასაცავად.

ზარიან-ი წარმოსადეგი, მოსარიდებელი შეხედულებისა, ომახიანი. „ბიბო ყაზბეგი ზარიანი და მავდენილი კაცი იყო“, 80.

ზაუზაუ-ი ბარბაცი, ტორტმანი. „სიცხე ჰქონდა და მთროლივით ზაუზაუით მიდიოდა შინატკე“.

ზაუზაუა-ი დანჯორეული ურემი, სიარულში რომ ჰკრიალებს და ირყევა. „მოვკუდი კაცი ამდუნის ზაუზაუით სიარულისაგა“.

ზგელ-ი სქელი. „ციხეც... კარი შაგაბეს ზგელია“ (ხ ა ლ ხ.).

ზგიდე კერისთავის ქვა ან რკინა, შეშის საყრდენად იყო ოთხკუთხი ან მორკალული, გვერდებში ორი ფეხი ჰქონდა და კაუჭები შემფურის თავჩამოსადებად.

ზღუხ-ი (რუს. дyx) ხსენება, არსება. „შენი ზღუხიც გაწყდეს, შენი არა მინდა რა“! (შღრ. დ ა ი ზ დ უ ხ ე ბ ა , გ ა ი ზ დ უ ხ ე ბ ა).

ზებურჰურ-ი ზეჰური (კოქებით თამაში).

ზედაქუე ძველებური ორსართულიანი ბანიანი სახლი. „გოჩიეთ განაყრობას ერთი ზედაქუე ჰქონდა“.

ზედზედებ-ი ზედიზედ მიყოლებულები, ერთი მეორის მიმყოლნი. „დამანი ზედზედები არიან“.

ზევა-ი ფარდა, ჩამოსაფარებელი, საგმანავი, საქოლავი. „ერდოზე ზევაი ავიღეთ და კორწილს იქით უყურებდით“.

ზევამდგმური, ზევემდგარ-ი, ზევედგარი — ლხინის ან ჰირის სუფრის მომსახურე პირი. „ზევემდგმური სიფროს უთოლოლოვდა, კორცი, პური, არაყი არ მაკლებოდა, თავად კი იქ არ სტამდა“; „კორწილი დაშლილიყო და ზეზამდგმურები ზოზიალობდეს იქი-აქა“.

ზელილ-ი ნამცხვარია, სიმინდის ფქვილს მოზელენ რძეში და ცოტა ერბოში. „ძრიალ კარგია ღომელჩი გამაცხორი ზელილი“.

ზემკაკა-ი ერთგვარი ხტომილა ჩიტია. „ზემკაკაი იმისთუი დახქუინეს, რომ კივის: ზემ კაკ“ (ნ. ს ა მ კ ა კ ა ი).

ზენაქუე იგივეა, რაც ზ ე დ ა ქ ე უ . „წინ ღერეფანი, მემრე ზენაქუე“ (ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, „ღ რ ო ე ბ ა“, 1160, № 167).

ზიპი-ზიპი-ი ბავშვები ამ სიტყვებს გაიძახიან და თან ფიქალს სცემენ უროს, რათა სწორად (ფენებად) გაიყაროს და განცალკევდეს. „ზიპი-ზიპი, გაიყარე, წყაროს თავზე შაიყარე!“ (ქ. კ ა ზ ა ლ ი კ).

ზლაყაზლუყ-ი უსიცოცხლო, უნიათო სიარული.

ზოზ-ი შიში. „გულჩი ზოზი აქუ და იმიტომ არ მოდის. დანაშაულისაგან აქუ ზოზი“.

ზოზნაჭამ-ი შიშნაჭამი, შეშინებული.

ზოკო სოკო. „ხიზანი თუ ავადმყოფობს, მას ყელზე ყუთავილის ზოკოს შაამბამენ, ზოკოს წყალჩი ალბობენ, ნაწურს ასმევენ“.

ზორა-ი ხბო (შღრ. ზ ვ ა რ ა, ზ ვ ა რ ა კ ი). „ერთი ზორა შეშუამის, ეგეთი იყო“, 142.

ზორაკა-ი ხბოს თირკმელების ქონი. ქორწილში ცხვრის ღუმის ნაცვლად უფროსებთან მიაქვთ ზორაკნი“ (ა. კ.).

ზუთუ ბ ო ტ. იგივეა, რაც ზ უ თ ო . ამ ნაყოფის მომცემ მცენარეს ეძახიან ე კ ა ლ ს .

ზუკზუკ-ი კუსკუსი, ხტომით სიარული. „ზუკზუკით დადის“.

ზუნაზურ-ი ძუნძული, ბაჯბაჯი. „თამაშობა ყველამ იცის, დათმაც იცის ზუნაზურიო“ (ხ ა ლ ხ.).

ზღდრუსავ-ს დრუზავს, ღონივრად მიარტყამს (ვ. შ ა დ.). „კეტი ზღდრუსა თავი მგელს“ (ყ ა ზ ბ.).

ზღუისქარა-ი დასავლეთის ქარი. „ზღუისქარაი ცივია, წუთიმა მაზღევსკე“.

## თ

თაბაუთობ-ს (იყენ. ითაბაუთებს) თათბირობს, მსჯელობს, საუბრობს. „ერთად რასლაც თაბაუთობენ“; „ჩუენ ერთად ვითაბაუთეთ“.

თაბუნ-ი (რუს. табуи) ჯოგი. „სნოჩი მარეკეს თაბუნი, ქიშტებისაგა წართმული“ (ხ ა ლ ხ.).

თაგა კედელში შერჭობილი ხის პალო, რომელზეც ჰკიდებენ ცელს და სხვა იარაღებს. „მკათათვეს ცელი თაგასა, ნამგალი — შუა ყანასაო“ (ა ნ დ ა ზ ა).

თაგალ-თაგალა-ი თამაშობაა — თავისებური ქვასალობანა. „თაგალ-თაგალაი იცოლიან, გადაიწივიან, გადაავდებდეს კორსა ან ჯოხით გახკრავდეს, სალამდის ის გაიწევედა, აიღებდა, გამარჯუებულს მჯარზე შაისუენდა“, 205.

თავნო-თავნობა ძ ვ. ც რ უ რ წ მ. დღესასწაული იყო, იმართებოდა იანვარში, აცხობდნენ პატარა კოკრებს. ბავშვები სახლს გამოხვეტავდნენ, რათა

თავეები და ავი სულეები გაპარულიყო სახლიდან, თან მღეროდნენ: „თავნო, თავნო-კართა, ანგელოზნი სახლთა...“ (მღრ. ჩ ი თ ა ფ ა ფ ო ბ ა).

თავუისკებილა-ი ძირმაგარა. „თავუისკებილასაც ვეტყუით ძირდილას, კისერ-ჩიც გამოვაკე, კელზეც“.

თავანკრობ-ს წინამძღოლობს, მეთაურობს. „ჯოგჩი ეგ მაზტერი თავან-კრობს“ (ა. კ.).

თავბედრიან-ი ბავშვს, რომელსაც დაბადების დროს გამოსდევს ერთგვარი თავსაბურავი (ჩაჩქანივით), ეძახიან თავბედრიანს (ა. კ.).

თავგადანაყარ-ი თავგადანაყალი. „ჩემი თავგადანაყარი გიამბა?“

თავგადანსაჯედ-ი თავგადანაყალი, რაც თავს გადახდება.

თავდამშუენებულ-ი აღამიანი, რომელმაც თავი დაიმშვენა პატიოსნებით, სინდის-ნამუსით, შრომით და სიყვარულით (ა. კ.).

თავდამშუენებულა-ი დ ა ც ი ნ ვ. სირცხვილნაჭამი, თავშერცხვენილი.

თავ-ღუმა ცხვრის თავი, ღუმა და ღვიძლი მთლიანად მოხარშული, ქეიფ-ში და ქელეხში მათ დებენ უფროსების წინ და ეძახიან „საუფროსოს“. უფროსი მცირე ნაწილს მოაჭრის სასას, ყურს, ზედა ღრძილის ნაწილს, ღვიძლს, ღუმის ნაქერს, ქვედა ყბას მთლიანად გადაულოცავს უმცროსებს და ეძახიან „საუმცროსოს“. თუ მუსულმანი ესწრებოდა სუფრას, დარწმუნდებოდა, რომ ღორი არაა დაკლული.

თავდლიან-ი 1. მოხერხებული, ალღოიანი; ყაირათიანი, თადარიგისანი, შორსმხედველი. „სეფიაი თავდლიანია, უქდური გამაიზოგა საზამტროდა“. 2. სახელოვანი; შნოიანი; მჭევრმეტყველი. „ორ მოსისხლე გორს თემმა შასარი-გებლად კითხული, თავდლიანი, სიტყო-პასუხიანი კაცები აუყენა“.

თავთავად-ი სხვადასხვა, ცალკეული, თავისებური, განსხვავებული. თავ-თავადია საქონელი: „ზოგი იფრო ერთს იგებს, ზოგი — ორსა“, 268; „თოლი თავთავადია, ზოგს ესეთი მოწონს, ზოგს ისითი“.

თავთავაი ერბო ახლადმოგებულ ძროხის რძისაგან გაკეთებულ კარაქის გადღნობით მიღებული ერბო, ინახავდნენ ცალკე ჭურჭელში ღლეობის ქადის-თვის (ა. კ.).

თავით-ი თავში, თავიდან, დასაწყისი მხარე (საპირისპ. ფ ე კ თ ო თ). „აღარა გაიგება რა, საით თავითია და სად ფეკთითი!“ (ა. კ.).

თავიორკე თავ-ბოლო შექცეულად. „გლორძჩი ფიჩხებს თავიორკე აწყობენ და მთიდან ჩამოაგორებენ“ (ყ ა ზ ბ.).

თავის აქცევა (თავს აიქცევს, თავაქცეული) თავზე ხელის აღება, გავარდნა, გაქრა, თავის აშვება. „ცხორმა თავი აიქცია და ველარ ვიპოვნე“; „ცოლ-შვილს თავი დაანება და დადის თავაქცეული“ (ა. კ.).

თავის ბაკან-ი თავის ქალა. „ფეკი ტყუპად გაიქნია... და თავის ბაკანი ჩაა-ლეწა“, 88. წყველათ: „გავისქდა თავის ბაკანი!“

თავისდა კოლად თავის კვალობაზე, თავისი ბუნების, შესაძლებლობისდა-გვარად. „თავისდა კოლად ძრიალ კარგა გოგიმასპინძლდა“ (ა. კ.).

თავის დღეთ არ ზედავ-ს იგივეა, რაც თავის დღეთ დაუნახავი.

თავის დღეთ დაუნახავ-ი იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც ხელგაშლი-ლად, გულუხვად მოქმედებს, მომპირნებობას არ ეწევა. „თავის დღეთ დაუნახავია, ისრი იხარჯება, ითამ ხვალ ცხოვრება აღარ უნდა“ (ა. კ.).

თავის მაგება (თავს მააგებს) თავის მოყრა, მოგროვება; აკოკოლავება. „თივას თავი მოვაგე“.

თავის კოლად თავის მაგივრად.

თავის მახელება (თავს მაიხელებს, თავმახელებული) 1. თავის მოწონება; 2. გატუტუება, გაყოყლოჩინება, გაბღენძა. „თავი მაიხელა და რაიც კარგი საქმელი ჰქონდა, სულ წინ გოდმოგიშალა“; „ქონებით თავმახელებული კაცია და სუყელას მასხარად იგდებს“ (ა. კ.).

თავისნება-ი თავნება, თვითნება. „თავისნებაი კაცია, არცვის რჩევას არ უგდებს ყურს“ (ა. კ.).

თავის ქეიფა-ი თავის გუნებისა, თავისი თავის მოყვარული; თავწვერა. „თავის ქეიფაი კაცია, ცხოს ანგარიშს არვის უწევს“ (ა. კ.).

თავისშინა თავის სახლ(ში). „ემ მწყემსებსა სულ თავის შინა დახპატიჯა“; „ისაც წავიდა თავის შინა“.

თავის ჩაკვრა (თავს ჩაუქრავს, თავჩაკრული). ცხენის თავის წვივზე ჩაბმა აღვირის ტოტით. „ცხენს თავი ჩაუქრა“; „თავჩაკრული ცხენი გაუშტი საძოვარ-ზე“ (ა. კ.).

თავის ჩამოსვლა, თავი ჩამოუვა ზამთარში გაცივებულ პირუტყვს გაზა-ფხულზე თავი და ყელი უსივდება, რის გამოც თავდახრილი დადის. „ამ ცხორს ახლა არ ეტყობა და გაზაფხულზე კი თავი ჩამოუვა“ (ა. კ.); „თავის ჩამოსვლა მუშა პირუტყვისთვის ძრიალ გონჯია“.

თავისწუერა-ი თავნება, ჭიუტი. „თავისწუერაი კაცია, არა შაისმინა რა ცბჭისი“.

თავკედ-ი მარხილის ფეხების შემაერთებელი ხე თავში (ჯ უ თ ა).

თავკისერას გადასვლა ყირაზე გადასვლა. „ვინ არის ეს კაცი, გადადის თავკისერასა ამ კევზე?“ 185.

თავკოკოშა-ი თავხოტორა, გოგრასავით უთმო თავიანი.

თავჭუერ-ი მთავარი კვერი (კოკორი), საქორწინო სამზადისში არჩეული ყველაზე უკეთესი პური, კარგად გამომცხვარი, სიმალღეზე აწეული. „კორ-წილჩი თავჭუერისგა ჯორს [=ჯვარს] გამავსპრითკე, რო სანთღები ავანთათ“.

თავმაგებულ-ი 1. თავმოყრილი, მოგროვილი, აკოკოლავებული. „თავმაგე-ბული ჩალა“; 2. თავდადგმული, პირსავსე. „ერთი ჯამი თავმაგებული ფქუილი ვისესხე“.

თავმახელებულ-ი ყოყოჩი, კუდაბზიკა, ზვიადი; თავგასული.

თავბირსაყარ-ი თავესყარი, მრავალი.

თავრიალა-ი თავრიელ-ი, — თავზე გადანადრობი ტყავი პირუტყვისა (შდრ. ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზ. I, 321. თ ა ვ ა რ ი ე ლ ა). „ტილო დარიალო, სულ კლდე ხარ ცარილო. ჯორციე ჩუენა და ტყავიცა, ჩუენს მტერს კი თავრილო“ (ხ ა ლ ხ.).

თავრიჩან-ი მდიდარი. „ვინც მდიდარი კაცი იყო, თავრიჩანი ექუინა“, 113.

თავსაკრავ-ი, თასაკრავი თავზე წასაკრავი პატარა შალი. „შუბლთან თავსაკრავი გამონოსკა“.

თავს გაისაჯურებ-ს თავს გამოიდებს, გაამბარტავანდება, გაყოფილება. „ფანდურზე დამკურელი მეტი რო არაეინ იყო, მაგანაც თავი გაისაჯურა და სახუეწრად გუიედიდა საქმესა“ (ა. კ.).

თავს გასტაცებ-ს თავს ვერ დაუჭერს, ვერ დაიმორჩილებს, ვერ დაიკავებს. „ბაღმა ცხენს თავი გასტაცა“ (ა. კ.).

თავსისხლ-ი მკვლელობის შემთხვევაში სამაგიერო სისხლის აღება, შურისგება. „თემმა შიოლენი გაამტყუნა და თავსისხლი არ ააღებინა“.

თავს მაიფხან-ს თავს მოიქაჩლებს; თავს გამოიდებს. „ლარიბი კაცია, მაგრამ სტუმრები რო მოუეიდეს, თავი მაიფხანა და ლამაზ გაუმასპინძლდა“.

თავსუილა ბალახია ერთგვარი, მალალღეროიანი, თავთავიანი. „იქ მოვიდა თავსუილა ბალახი“, 132.

თავს შაიდებ-ს იკისრებს, დაივალებს. „ცხენის პოენა თავს შაიდვა თითონა“ (ა. კ.).

თავს შაიხუევ-ს შავებში ჩაჯდება. ამბობენ ქერიე ქალზე, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ აღარ თხოვდება. „ერთი წლის ბალაი დარჩა და იმაზე შაიხუია თავი“.

თავტალიკ-ი, თავტალიკა-ი 1. მარტოხელა, უცოლშვილო, უოჯახო. „თავტალიკი ბიჭები“. 2. ხელცარიელი; 3. „თავტალიკაი ქოითად მოსიარულეს ჰქუიან, მარტო რომ არის“. „თავტალიკას (||თავტალიკად) მოვედი“.

თავქუდ-ი ბულაური, — ძველებურ მიწურ სახლებში დედაბოძზე დამაგრებული მოკლე, მოჩუქურთმებული კუნძი, რომელზეც ეყრდნობოდა თავზე, ამ უკანასკნელზე კი სართავები.

თავღერძ-ი რკინის გუთნის წინა ნაწილი. „თოლი იმითო შუირდება გუთანს, რო თავღერძმა მიწა არ გაქრას და სათრევი მალა დაიჭირას“.

თავყაღე მთავარი ყაღე — ერობაში გამართული მოგრძო, ფიცარივით ქვა უფროსის დასაჯლომად. „ბჰეთუფროსი ერობაჩი თავყაღეზე დაჯდებოდა“.

თავჩი ავარდნილა-ი გაყოფილებული, დროებითი წარმატებით ან ქონებით თავდავიწყებული. „თავჩი ავარდნილაი კაცი გავდა გიგაი“ (კ. ქუ შ.).

თავწასულ-ი 1. თავდაკარგული, დაღუპული. „ლოთობისგა და უწესო ცხოვრებისგა დაღუპული, თავწასულია“. 2. თავგასული, უზრდელი.

თავნასხმული ყანა დათავიანებული, თავნაყარი ყანა. „დაჯოცა ის ცხენე-  
ბი, თავნასხმულ ყანებჩი რო დადიოდა“, 25.

თავწინდაღებულ-ი თავქვე, თავდაყირა. „თავწინდაღებული გედეშო  
მდინარეჩი“.

თავწნელ-ი სათარის მთავარი წნელი. „სათარის თავწნელს ვალდახი შა-  
ვამბი“.

თავწყალ-ი მშობიარობამდე ან მშობიარობის შემდეგი წყალი. „თავწყა-  
ლი დაღორა“ (ა. კ.).

თავზე საღენჭელის ნაწილი: ქვის ამოღრმავებულ ადგილში გაყრილი ჯო-  
ხი, რომელიც ამაგრებს კედას.

თავკელ-ი, თავკელა-ი თავის ხელა, თავის ოდენა, თავის სწორი, ტოლი.  
„მაგა ლექსისა მათქომი თავკელ სწორებში ზისაო“ (ხ ა ლ ხ.).

თათამა-ი ბოტ. თათაბო — მხალია. „ქერთხალას ფათოლი და თათამაი კარ-  
გია მხლოვანისთჳი“, 219.

თათებ-ი ქალის კაბის სახელოების წაგრძელებული ნაწილი აბრეშუმის ან  
სატინისა, თითქმის ფარავდა თითებს («შინამრეწვ.»); ყელიანი წინდები.

თათხია-ი 1. გაჩაჩხული, ბარკლებდაშორებით მოსიარულე. „თათხიაი დე-  
დაკაცია, მძლივ დადის“. გ ა დ ა ტ. თამამი, მოურიდებელი ქცევის ქალი. „არ  
მაგერიდება, თათხიაია“. 2. იტყვიან ღონიერ პირუტყვზეც და გამძლე ადამიან-  
ზე შექებთ. „თათხიაი ცხენია, წინ ვერვისი დაუდგება“. „გაგაი თათხიაია;  
ვერცვინ ვერ მეერევა“.

თათხულას სიარულ-ი ფეხების განზე გადგმით სიარული (ყ ა ზ ბ.).

თამა-ი ბოტ. ქუჩისნაირი ბალახია. „სავალდახედ თამაია კარგი. თამაი ტყე-  
ჩია, კელით მავღგლეჯთ, გავაშრობთ, გავსწეწითყე და დავგრებთ“.

ს-თანობ-ს ეთვისება, ეგუება; იგუებს, მიიჩნევს, ანგარიშს უწევს. არ  
სთანობს — არაფრად აგდებს. „არც რაჩი არ მთანობდა“. „თავის ჭკორი ეგ  
არც ვის არაჩი სთანობს“; „არაჩი მთანობს“.

თანითან მთლიანად. „ხე ერთი კედლიდან მეორე კედლამდინა თანითან  
გასწულა“.

თანისთან გაყოლებით, მწყრივად. „ის ადგილები თანისთან მე მეკუთვ-  
ნოდა“.

თაფორა წყალში გაქნილი ნაკელი, ხმარობდნენ კალოს მოსაპირკეთებ-  
ლად (ჯ უ თ ა).

თაქთაქი კოჭლობით სიარული.

თაჯა-ი ბოტ. დაჯირა, ხმარობენ საღებავად.

თაჯური-ი ლაპარაკ-ი ქაჯური ლაპარაკი: სიტყვის მარცვლებში სხვა მარცვ-  
ლების ჩამატება ან მარცვალთგადასმა, მაგ., მო-წა-მე-წა-ცი — მომეცი; „ვარ-  
გიგი ლაქჩიქა ვიდაწა“ — გივარგი ქალაქი წავიდა.



თბე ფ ი გ უ რ. ფრთა. „შენაც გაგტეხეს ციხეო, გჳერდზე წაგსულია თბე-  
ნია“ (ხ ა ლ ხ.).

თბილი პურის გატეხა ძ ვ. ც რ უ რ წ მ. სულთმობრძავი ადამიანი მეტად  
რომ არ გაცოდვილდეს და დროზე მიიბაროს მისი სული ღმერთმა, მოხუცები  
შეიკრიბებოდნენ ავადმყოფთან, გატეხავდნენ თბილ პურს, შენდობას ეტყოდ-  
ნენ მიცვალებულს და შეევედრებოდნენ ღმერთს (ა. კ.).

თეთრგულა-ი ბ ო ტ. ვარდია ერთგვარი, თეთრ კოკობში ადგილ-ადგილ  
იისფერი ფურცლები აქვს, ოღნავ რუხი წინწყლებით აქრელებული.

თეთრი ბუარა-ი ბ ო ტ. ვირისტერფა.

თემლაკო (პოლ. temblak) ტემლაკი, ფოჩი. „ზურაბს აჩუქა თემლაკო,  
კმლის ვადით შესაბმელია“ (ხ ა ლ ხ.).

თესლის კჳერ-ი ძ ვ. ც რ უ რ წ მ. ახალ წელიწადს გამომცხვარი კოკორი,  
მისაკვლიერი (ქერის პური), ინახავდნენ ხაროში. გაზაფხულზე ხენის დროს  
გუთნისდედა კვერს გატეხდა ხარების უღელზე, ნაწილს თვითონ შეჭამდა, ნა-  
წილს წინამძღოლს შეაქმევდა, ნაწილს ხარებს, დანარჩენს აგდებდა ხნულის  
კვალში „ბარაქის მისაცემად“.

თიადურა-ი იგივეა, რაც თ ე ა დ ო რ ა — ღიმფური ჭირკვლების ტუბერ-  
კულოზი. „ხიზანს თუ თიადურები აქჳ, ბევრი კჳერცხი და ერბო რგებს“.

თიამულა-ი ბ ო ტ. მთის ნიორი, ბაშო.

თიბის თავ-ი თიბვის დაწყების წინ გამართული პურობა სალოცავად. „თი-  
ბის თავს გააკეთებდეს, ორს-სამს კარგ ყოჩს დაჰკლავდეს, ხატს შასთხოვდეს —  
კარგა გოთიბინეო“, 65.

თივა 1. მოთიბული ხმელი ბალახი; 2. ზვინი. ბარის თივა სოფლის ახ-  
ლოს მდებარე ვაკე, დაბლობ სათიბში დამზადებული ბულული 10—12 ფუ-  
თამდე. მთის თივა მაღალ, ძნელად მისადგომ ადგილში დამზადებული პა-  
ტარა ზვინი 8 ფუთამდე.

თივაკბილა მოზრდილი ზვინი, რამდენიმე თივის ზვინი ერთად აგებული.  
„ურემი მუუყენებია ი თივაკბილასთანა, მეეპარა ის თივა“, 280.

თივალა-ი მთიდან ერთი ჩამოტანა, მცირე თივა. „ესე შაკრულს ჩამაიტან-  
დეს სოფელჩი... ის უკუე თივალია“, 66.

თივთივა ბ ო ტ. წყლის მცენარეა, ბრტყელი, მოწითალო ხორკლი აქვს ღე-  
როზე, თავზე ქოლგისნაირი ბუჩქი, იზრდება წყლის ზედაპირამდე.

თითა-ი ბ ო ტ. ნარიანი ბალახია (სინ. თ ხ ი ს ძ უ ძ უ), სქელი, მოკლე  
ფესვები აქვს, დაბლობ და ნესტიან ადგილებში მოდის გაზაფხულზე, იჭმება,  
ხალხის რწმენით, უშვილობას რგებსო.

თითბეჭედა-ი ღუდკო, თითზე გამოსული სატკივარი.

თითინგოზის თითები ლამაზი, გრძელი და სწორი თითები, კარგი ხელსაქ-  
მის მკეთებელი თითები. იტყვიან პირდაპირაც და ირონიულადაც. „შენი თი-  
თინგოზის თითების ქირიმე“ (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

თიხურა თიენის ტყავის ქისა ან სხვადასხვა დანიშნულების ქურჭელი.

თინთიყ-ი თიეთიყი. „თინთიყის შალი“.

თიობ წასვლა სათიბად ან თივის (ზვინების) ჩამოსატანად, ჩამოსაყენებლად წასვლა. „ჩიენები თიობ წავიდეს, შინ არც ვინაა“.

თიხჩიკაბა წელში გამოყვანილი და ქამრით შესაკრავი ფართოსახელოებიანი კაბა, საშინაოდ ჩასაცმელი.

თლჷიყ-ი ფაფაში ან პურში გაუხსნელი, გამოუცხობელი ფქვილის გუნდები, კურკულალები. „კარგა თუ არ მაურიე ფაფას, თლჷიყები დარჩება“ (ნ. თ უ ლ ი კ ი).

თლუხთლუხი თუხთუხი, დუღილი.

თოლ-ი გადატ. ც რ უ რ წ მ. სასწაულთმოქმედი თვალი. „გუგუას ისრი კარგა მიუდის საქმე, იმის სენაჩი თოლი თუ არის შანახული“.

თოლახედულა-ი თვალხილული. „რასაც შენ თოლახედულაი გააკეთებ, მე — თოლმჭუხარაი გავაკეთებ“.

თოლების ამაყრა (თოლებს ამაყურის, თოლებამაყრილი) თვლების დაქყეტა, გადმოკარკვლა. „სიფროზე კელი დამიკრა და თოლები ამამიყარა; თოლ-ამაყრილი ჩემკე გამარბოდა“ (ა. კ.).

თოლებს და-ს-ჩუჩაგ-ს თვალებს დათხრის, მუქარაა: „ეგ რომ არ გააკეთა, თოლებს დაგჩუჩაგ:“ (ა. კ.).

თოლი მახუდება, თოლს მახუედრებ-ს ძვ. ც რ უ რ წ მ. თვალი ეცემა, გათვალავს. „თოლის მახუედრების წინააღმდეგ გჷოქ ლოცვა, შახუშებაც შჷელის“.

თოლინჯლიანი თვალზე ჭიჭლიბოს მქონე. „ჩამაიარა თოლინჯლიანმა დედაკაცმა“ (შ ე ლ ო ც ვ ი დ ა ნ).

თოლის გება (თოლს უგებს) მიბაძვა, წამხედურობა. „ერთურთის თოლის გებით იცმენ“, „ეგ სულ მე მიგებს თოლსა, თოლი რო გამავითხარა, აღბათ ეგეც გამავითხრის“ (ა. კ.).

თოლის წასულა სიხარბით, მეტისმეტი ნდობით რაიმეზე თვალის დარჩენა, ნატვრა. „ჩემი ცხენი რო ნახა, შავატყუე სებას თოლის წასულა დეეწყა“.

თოლკოკობა-ი მსხვილი, მოდილო ზედაუბეებიანი თვლების მქონე. „თოლკოკობაი — დასიებული თოლების მქონე, არა იმისთჷი, რომ მას ჭიბლიბო აქჷ ან წითელი ქარი, არა, ვისაც დაბადებიდან აქჷ შესიებულ თოლები, იმაზე ვამბობთ“ (ფ ხ ე ლ შ ე, გ ო რ ი ს ც ი ხ ე).

თოლკოჭ-ი წისქვილის მოწყობილობის ნაწილი — კიბორჩხი. „წისქვილს აქჷ ასაწევ-დასაწეველი რკინისა, რაზეც აწყჷია თოლკოჭი და თოლკოჭზე ბრუნავსკე ლერძი“; „წისქვილ ხქონდა ზიარი, თოლკოჭი მღვდელმა მახპარა“ (ხ ა ლ ხ., მ უ ზ. 337).

თოლკრაველა-ი მცენარეა ძირკოვანი, ძირკვებს ჭამენ (ა. კ.).

თოლთაღ-ი ლამაზი, თვალწარმტაცი.

თოლმარჯუე (თოლმარჯობ-ს) სწრაფად მიმხვედრი, მოხდენილად მოქმედი.

თოლმიმავალ-ი სანდომიანი, ლამაზი.

თოლმქუხარა-ი თვალდახუჭული. „რასაც მე თოლმქუხარაი გავაკეთებ, შენ იმას თოლახედულიც ვერ გააკეთებ!“

თოლსაგებ-ი მისაბაძავი.

თოლსადგამ-ი მიმზიდველი, ლამაზი, საყურადღებო. „რა ქალა იყო, რა თოლსადგამი, გაშლივითა უღუოდა ლაყონი“.

თოლს არ შაყრი-ს არ შეხედავს, ყურადღებას არ მიაქცევს; ცუდი თვალთ შეხედავს. „ეგეთმა გაიარა, რო თოლნიც არ შამამყარა ზედა“ (ა. კ.).

თოლს მაუგებ-ს წაპბაძავს, სხვის ნამოქმედარს გაიმეორებს.

თოლს შაახევ-ს დაცინვით იტყვიან გვიან ამდგარ აღამიანზე, ვითომ ბნელა კიდევ და თვალში არაფერი მოგხვდესო. „არქა, ფრთხილად. თოლი არას შაახია!“ გ ა დ ა ტ. ეხუმრებიან ახალგაზრდა ქალს ან ვაჟს: ხომ არავინ დაზვერა, თვალში ზომ არავინ მოუვიდა. „თოლოი რო არას შაახეო?“ (ა. კ.).

თოლჩიგათ ამალემა (ამაილებს, ამალებული) შეძლებმა, შეჭავრება. „თოლჩიგათ ამამილა და ჩემი აღარა მასწონ რა; გერები არ დენახვება, თოლჩიგათ ამალებულები ჰყვანან“ (ა. კ.).

თოპირ-ი თავ-პირი; შესახედაობა.

თოფის ნიშანზე დასაყენები წყევლა: დასახვრეტია, მოსაკლავია. „ეს შესაწყალელები კი არაა, თოფის ნიშანზე დასაყენებია!“

თოფის ნიშანს გასტეხ-ს ძ ვ. ე თ ნ. თოფის სროლაში, მიზანში მოხვედრაში გაიმარჯვებს. გამოთქმა დაკავშირებულია მიცვალებულის ხსოვნის აღნიშვნასთან. „თოფის ნიშანი უნდა გასტეხან მესამე დღესა მიცვალებულის სწორებმა. გამარჯუებულს მიცვალებულის ტანსაცმელს აჩუქებენ“.

თოფის კმის გატეხა (გატეხავს, გაატეხინებს) ძ ვ. რ ე ლ ი გ. აკრძალვის მოხსნა, დამგლოვიარებულ ოჯახში ხმის ამოღება. მიცვალებულის დასაფლავების მესამე დღეს მის ტანსაცმელ-იარაღს ნიშანში აყენებდნენ, ვინც პირველი ჩამოაგდებდა ნიშანს, ჯილდოდ ეძლეოდა ეს ნივთები. შემდეგ იმართებოდა ს ი ფ რ ო. თოფის კმის გატეხის შემდეგ სროლა ნებადართული იყო. „გათენებისას მოვიდეს. გატეხეს თოფის კმანია“ (ხ ა ლ ხ.); „როცა მოკუდებოდა ვინმე, სამს დღეს თოფს ვერ ისროდეს, მესამეს დღეს გაატეხინებდეს თოფის კმანია“, 55.

თოქი მშიშარა, მხდალი. „ციხე ვერ გასტეხს ვაჟკაცსა, ატირებს თოქს და ბეჩავსა“ (ხ ა ლ ხ.).

თოყუს ქნეს უ ა რ გ. მოიპარეს; გაქურდეს. „თოყუს ქნეს წინა ლამეს დუქანი“.

თოხუმობა იგივეა, რაც თ ო ხ უ მ ი — შთამომავლობა, შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები... „ჩემი თოხუმობა ორმოცზე მეტია“.

თრუსუ, თრუსუ ცხვრის მოსახმობი გამოთქმა მარილზე მისაყვანად.

თრუშო ცხენის მოსახმობი და დასაყვავებელი სიტყვაა: „თრუშო, შვინ-  
დავ. თრუშო“ (ა. კ.).

თუ 1. თურმე. „სახლის ქვას თუ ეზიდებოდა“; 2. ეგებ, ვინძლო. „დას  
მივღმართავ, შიოლას დას თუ შამინახასო“; 213. 3. ხომ. „დედაი თუ არ ავა-  
დობს?“

თუეჩი ჩამდგარი ფეხმძიმობის ბოლო თვეში მყოფი ქალი. „თუეჩი ჩამდგა-  
რია, მძიმე საქმეს ნულარ აკეთებინებ!“

თუთუნა-ი მოფუსფუსე, ნელა და უსულგულოდ მომეშავე. „თუთუნაი  
დედაკაცია, მთელი დღე ეგრე თუთუნებს და ვერას ახანებს კია“.||დუნე, ზანტი,  
მოუქნელი.

თუთუნებ-ს ნელა და უბარაქოდ, უსულგულოდ მოქმედებს. „ჩქარა, რას  
სთუთუნებ, გაანძრე კელი!“

თუთქარ-ი ნაღვერდალი, ლადარი. „გახურებულს კერის ძირს გამოვხუტ-  
დით, დავასუენდით პურსა და დავუყრიდით ცეცხლის თუთქარსა“.

თუი თ ა ნ დ ე ბ. თ ვ ი ს. „შენთუი“.

თუილიკ-ი იხ. თ უ ლ ი კ ი.

თუირთუილა-ი თრთვილისებური, ფაშარი, ქაშა. „თუირთუილაი ერბო;  
თუირთუილაი კარტონხაი; თუირთუილაი ცხორი“ ადგილ-ადგილ მოწითალო-  
მონაცრისფრო მატყლიანი ცხვარი.

თუის ნატამალო-ი მოგვარე, მაგრამ შორებელი ნათესავი. მიმართვაში: „ჩე-  
მო თუის ნატამალო, ჩემო კარგო, ჩემო მოკეთე ნათესავო“. „არეულნი დრო-  
ეამნი სუფევდა, ჩემო თუის ნატამალო“.

თუილიკ-ი ფქვილის გამოუცხოებელი ნაწილი პურში ან გაუხსნელი გუნდა  
ფაფაში. შდრ. თ უ ი ლ კ ი.

თუნალა-ი 1. თულანა — რვილი, საქსოვი დაზგის მბრუნავი ნაწილი, რაზე-  
დაც ეხვევა ნაქსოვი. „თუნალაი გრძელი, სველი ჯოხია, მაქსოვილი ტოლი-  
გადიხზვაკე“. 2. იხმარება ყ უ ნ ა ლ ა ს მნიშვნელობითაც. „თუნალაის ბო-  
ლოზე მყავ ბალღი გამაყიდული, საქმის არ მაცლის“.

თუში-ი ბოლოთრია. დაბალთელიანი ურემია, უკანა ნაწილი მიწაზე მიეთ-  
რევა, იხმარება მთიდან თივისა და ძნის ჩამოსატანად.

თქაფთქაფებ-ს ვ უ ლ გ. გაბრაზებით, პირზე დორბლმორვეით ლაქლაქებს.  
„თავი აღარ აქსონ, ისარი თქაფთქაფებს“.

თქონთქორ-ი (თქონთქორობს) განგაში, ჩოჩქოლი. „არშას შაიქნა თქონ-  
თქორი, გათხტა სიმაგრე კლდისაო“ (ხ ა ლ ხ.); „ხალხი რასდაც თქონთქორობს“.

თქუნეთათას თქვენებთან. ვისას იყავ? — თქუნეთათას.

თქუნეთათან-ი თქვენები, თქვენიანები. „თქუნეთათნიც ჩუნეთან ერთად  
იყუნეს“.

თხაბოტა-ი ბოტის თვისების თხა. გადატ. დაცინვ. მამაკაცური თვისების ქალი. „თხაბოტაი ქალია“.

თხარქა-ი ოთხრქიანი ცხვარი (კ. ქუშ.).

თხილაი კოჭ-ი სუფთა, კრიალა სათამაშო კოჭი. „სულ თხილაი კოჭები მაქტ“ (ა. კ.).

თხისურა-ი თხისური, ჩასაცმელი თხის ტყავისა.

თხლამფა-ი თხლაფა, — საქონლის თხელი ნაყელი.

## ი

იალა, იალა-ი ბოტ. იელი. „იალაი ცხორს ჩხამავს“.

იალუხათ იშვიათად. „იალუხათ და ძნელად მოხდება, რომ ამგვარად გასესხებული ფული სასუდეთ გაუხდეს“ (ა. ყაზბ. „დროება“, 1880, № 167, გვ. 1).

იანვრის კუდის მოწვა იხ. ამპარიობა.

იარ-ი იერი, სახე.

იაფა-ი გულუხვი. „ძრიალ იაფაი მეზობელი მყავ“.

იბუღებ-ა ილრუბლება, იბინდება, ინისლება. „ერთი კჭირეა იბუღება და წტიმა კი არ მადის“. გადატ. იბუტება, კუშტადაა. „მეცალენით ეხლა, თორი იბუღება“ (ა. კ.).

იბუშკებ-ა ილუშება. იხ. მაიბუშკება, დაბუშკილი „რას იბუშკები?“

იგებ-ს თმას ივარცხნის. „თმას ვიგებ (ჩამავიგებ)“.

იღვენებ-ს ევფ. ხურს, ატეხილია. „ჭრელმა ძროხამ იღვენა მარტის დამღვსა“.

ივარლა ცხენი იორლა ცხენი.

იზაუებ-ა იბრიცება, გვერდზე იხრება, გვერდულად მოძრაობს. „ეს ხე გჭერდზე იზაუება“.

იზნევ-ს იწყენს, გაჯავრდება. „ძროხას ჯოხი დაეკარ და იზნია, ახლოს აღარ გამოიკარა“.

ითათხებ-ა იჩაჩხება, ფართოდ შლის ფეხებს, ხელებს; გადატ. ბევრს ცდილობს. წელეებზე ფეხს იღვამს. ნუ ითათხები, „ბარკლებში გაიყრებიო — ბალღებს ეტყუიანკე“.

ითამ ვითომ.

ითამლა ფეო ვითომც არაფერიო. „სახელგატეხილი ქალია და ხალხი ისრი გამოვაცე, ითამლა ფეო“ (ა. კ.).

ითქრიალებ-ს იგრიალებს, — ხმაურით წამოვია. „ქიშტი დოგეცაო და ეგრე ითქრიალის ხალხმა“, 199.

იკი ბოტ. ხეა ერთგვარი. „ისარი მქონდა იკისა; შეინდი აწეიპისა“ (ხალხ., თოთი).

იკამკნებ-ს ცუდად, უმაღლად ქამს. „ძროხას ავადობა მეერია, გონჯა იკამკნება“.

იკეთილებ-ს იხეირებს, კარგად წაუყვას საქმე. „იმის მამრე იაგორამ აღარცა იკეთილა, სულ მალეშული დადიოდა“, 343.

იკეფნი-ს იცოხნის (ა. კ.).

იკვრენცებ-ა ზერელედ იჭრება, მოჭრის დროს წყდება. „კენცლით იკვრენცება ბალახი, ცელი შჯობს“.

იკლო-ბიკლო ნაკერი ტეხილი ხაზებით ნაკერი ხარდვა, იკრება როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად; შდრ. წყლისებურად ნაკერი.

იკმანებ-ს, იკმარისებ-ს იკმარებს, იმყოფინებს.

იკორსალეებ-ს კორით და სალათი ითამაშებს, სალაობას გამართავს. „ვიკორსალათ კუტერცხ-კუტერცხასაო, კოტალს დაპკრავდეს...“ 233.

იკუღლევ-ს იძიებს, კითხულობს. „რაისთუი იკუღლევ ქალასა, მე ვერ გეტყუი?!“

იკუნკებ-ა იკუნტება. „სიცივით იკუნკება“.

ილეჯ-ი ილაჯი.

იმბაშად, იმბაშაზე იმ დროს, იმ წამს, იმჟამად, მაშინ, იმ თავითვე. „თოფის კმა რომ გავიგეთ, იმბაშაზე გარეთ გავცუთივდით; იმბაშად ვერ შავარიგეთ მოსისხლენი“. 249.

იმგურგლივა ირგვლივ.

იმელ-ქიმელ-ი ვიგინდარა, გამელელ-გამომელელი. „იმელ-ქიმელს სულ აქ მაუყრია თავი“; „იმელ-ქიმელს კი არ უძახის, კაცურ-კაცებს ხპატიუობს“ (ა. კ.).

იმის კოლზედამც არი-ს, დადგებ-ა წყველაა. მიცვალებულს ცუდად რომ მოიხსენებს ვინმე, გაჯავრებით ეტყვიან: „იმის კოლზედამც ხარ; იმის კოლზედამც დაზღვები“ (= მიეწიე უკან).

იმხოლიებ-ს ანგარიშს უწევს, პატივს სცემს. „მაგ რაი კაცია, ვინ რამეჩი იმხოლიებს!“ (შდრ. გაიხოლიებს).

ინდბანდ-ი გაუთენებლივ, დილბინდი.

ინჩუღ-ი ქამანდი, — მარყუქისებრი თავიანი. საბელი გაშვებული ცხენის დასაჭერად, ესვრიან კისერზე წამოსაცმელად. „ცხენს ინჩუღილი გადაუწიე და პირდაპირ თავზე გადავატუი“.

ინჩუღიანი თოკ-ი ცხენის კისერზე მისაბმელი თოკი. ამ თოკით ცხენს გამოაბამენ ურემში შებმულ მეორე ცხენთან, რომ მიჰყვეს მას.

ინჯლი-ი ინჯლივი, ჯიბლიბო. „თოლი ჯერ შამისივდა და მამრენის ინჯლი გამამივიდა“.

იოშ-მაოშა საჩქაროდ, სახელდახელოდ. „იოშ-მაოშ წამოვე; იოშ-მაოშ შავკარ ბარგი“; „იოშ-მაოშ გაკეთებული საქმეა“.

იუუებ-ა ცახცახებს, სიცივისგან მოზუზულია. „რას იუუები, გაიქე-გამა-იქე და გასთბები!“

ირჩეულ-ი ურჯულო, მაჰმადიანი (უნდა მომდინარეობდეს საკუთარი გვარის სახელისაგან, შემდეგში გადატანითი მნიშვნელობის მიღებით). „გერგეტის ციხეჩი ირჩეული მდგარა“.

ისამე განუსაზღვრ. ნაცვალსახ. ისემე. „სასმელი და ისამე კი არ იყვის“, 65.

ისანა-ი კარის თავზე პატარა თაროსმაგვარი ადგილი რისამე შესანახად. „კარის თავზე ისანაი დაუღვე [=დაუტოვე] იარალის შესანახად“.

ისაჰმლებ-ს საჰმელს შეჰამს. „აღარც თურმე რაიმე ისაჰმლეს“, 318.

ისითი, ისრითი ისეთი, იმნაირი. „ისითი ამავჰკარ ცხტირჩი, რო სისხლი წამასლინდა“.

ისმელა-ი საკუთარი სახელია (დაკავშირებულია უძველეს დროში მცხოვრებ ისმელა ღუღუშაურის სახელთან, რომელსაც ჰყოლია ბევრი შვილი, იყო კეთილი და სახელოვანი), იხმარება დალოცვაში: „ისრი გაშენდითო, როგორც ისმელაის საბოლოო — ეგრე ვეტყუით ერთურთსა“; „ისმელაის პედიმც გეჰნებაო“.

ისორსორებ-ს იკამათებს, იდაეებს, იმსჯელებს, ამბებს მოჰყვება. „ქალებმა იმღტენი ვისორსორეთ, რომ თავის ბაკნები ძლივლა შაგურჩა“.

ისრი ისე, იმგვარად. „ისრი შავსწუხდი, რო შეტი არ შაიძლება“!

ისრივა ისევ, კვლავ.

ისრივ-ისრი ისევ ისე, კვლავინდებურად.

ისრის კილო სერის — ცხერის გამოსაცნობი ნიშნის სახეობა: ყურის წვერს ნახევარი გოჯის სიგრძეზე ოთხკუთხივ ამოიღებენ, მოჭრილი ადგილი ისრის კილოს (ბოძურს) ჰგავს.

იუდათ ეგლებ-ა ცა და ქვეყანას ეღება; ქვეყნიერებას აქცევს; დიდ გარჯა-წვალებაშია. „გარეთ იუდათ ეგლები და შინ კი არას აყეთებ“.

იფათრებ-ა იფატრება; იხოკს, იყაწრავს. გადატ. მეტისმეტად გამწარებულია. „ტირის... სულ იფათრება, თავ-თმათ იგლეჯს“, 118.

იფრო უფრო. „ჩქარედვე ცხენი მამგვარე, რომელნიც იფრო რბისაო“ (ხ ა ლ ხ.).

იფუთკებ-ა იბერტყება. „ქათამი მტუერჩი იფუთკება“.

იფუტკებ-ა<sup>1</sup> ლაყდება (შდრ. ნ ა ფ უ ტ კ ი). „მამალი რო არა ხყავ, იფუტკება კტერცხი“, 245.

იფუტკებ-ა<sup>2</sup> ფუტკარივით მრავლდება. „ჩუენი ღორი სულ იფუტკება: ბევრ გოქებს ხყრისკე“.

იფხუწებ-ა ნაოქდება, უსწორმასწორო დგება. „მთორის ცხრომაჩი შათელილი ტოლი არ ვარგა, იფხრუწებაკე“.

იქაველ-ი, იქიველ-ი იქაური. „იქიველი კაცი არავინ ღნახე?“

იქი-აქა აქეთ-იქით, ირგვლივ. „რას იცქირები იქი-აქა, სწორ წადი!“  
იქითა-ი განაპირა, ნაპირზე მყოფი. „იქითაი კაცი თუ კმას არ ამაილებდა,  
შენ უნდა გასულიყავი და ცხორისთუი დეგერილა“.

იქიობ, იქიობა იქ, იქაურობა, ის ადგილები. „ფხელშეს მაჩატუი მიწაა,  
იქიობ ცხოდაცხო ფერითაა აქრელებული“.

იქნა-ს ითამაშოს. „კოკებით ვიქნათ; მართალას ვიქნათ, თუ ტყუილ-ტყუი-  
ლასა?“

იქუსებ-ა ისვრება (ნ. გ ა ქ უ ს ვ ა, დ ა ქ უ ს ვ ა).

იქჩერებ-ს იმეტებს. „ვერ იქჩერა მასაკლავად (შიოლა) ცოლისძმა (მთრე-  
ხელმა)“.

ილლილორა-ი 1. ჭიდაობის ხერხი. დასაწყისში მოჭიდავეთა მხრებზე ხე-  
ლების დადება, შემდეგ თითოეულის მოხერხებისამებრ მოქმედება — ილლიების  
ქვეშ შევარდნა. „ბერასა კარგი ილლილორაი სცოდნია, შალვარდნია ილლიებჩი  
თათარასა“. 2. ზ მ ნ ს. „ილლიორას“ მხარილლივ. „ილლილორას მიჰქონდა თი-  
ვია“ (კ. ქ უ შ.).

ილუერებ-ა მატყლი სცვივა „თუ უხვიროდ გაკუბებ და ვერ მაუარე, ცხო-  
რი ილუერება — მატყლი არ რჩება“.

იშ, იშე შო რ ი ს დ ე ბ. ვიშ, ვაპ. „მარი, რასა მცემ, იშე!“ „იშ. ეგ რაილა  
ჩემი საქმეა!“

იშლი-ს აჩერებს, ჩაშლის. კოკებით თამაშის დროს ნასროლი კოჭი მოედე-  
ბა, დაეჯახება რაიმე საგანს ან ვინმე იქ მყოფს და თამაშიდან კოჭი გამოვა.  
„გიგამ იშალა კოჭი“ (შდრ. ნ ა წ ყ უ ე ტ ი).

იჩნევ-ს მაკეობა ეტყობა ცხვარს, ძროხას... „ცხორი იჩნევს“; „ძროხამ  
კარგა იჩნია“.

იწოლებ-ა (ძვ. ქართ. იწულებს) იყოფა, იტიხრება, ნაწილდება. „ოთახი  
იწოლებოდა სიგანეზე ტანებით, ტანებს ბოძები ჰქონდა შეყენებული“.

იწრიკებ-ა იჭიმება, იგრჩება, იტყვიან დართულ ძაფზე, როცა კარგად არ  
დგება. „ნასთავი მდორნე უნდა იყოს, ძალიან არ უნდა იწრიკებოდეს“ (ყ ა ზ ბ.).

იწუბებ-ა იპრანჭება, კოხტაობს. „რას იწუბება და ტუჩებს კუშავს შენი  
მეზობელი?“ გ ა დ ა ტ. პირმოთნეობს, ორპირობს, — იტყვიან ადამიანზე, რო-  
ცა სიმართლის თქმას ვერ ბედავს ან არ სურს. „ამათქვი, რაი გინდა, რას იწუ-  
ბები!“ (ყ ა ზ ბ.).

იწყუტებ-ს კოჭი კოკაობის დროს ნასროლი კოჭი მეორეს არ მოხედება.  
სწორი მიმართულებით დაუბრკოლებლად არ წავა, გაჩერდება. „კოჭი ქვამ  
იწყუტია“ (ა. კ.).

იჭიფებ-ა 1. იჭიმება, იბლინძება, იბერება; იჭაქება. „ძალ-ლონე შამალეო-  
და, იჭიფებოდა მკლავზედა“ (ხ ა ლ ხ.); „რას იჭიფებები, შენს მეტი კაცი არინ  
გგონია?!“ 2. იტევს, იწევს, იჭაჩება. „ჩხუბჩი მაგაზე ძრიალ არვინ იჭიფხე-  
ბოდა“.



იჭკარებ-ს იფხიზლებს, ძილი არ მოუვა, ძილი გაუტყდება. „წუხელ ბაღ-  
მა მთელი ღამე იჭკარა“.

იჭყირებ-ა იჭყიტება, იჭიტება. „კარის ნაწყობჩიგათ იჭყირება“.

იხორსლებ-ა იხოშება — ტირის, ზღუქუნებს. „ძრიალ იხორსლებოდა“  
(ა. კ.).

იხორცლებ-ა ფაციფუცობს, ჩქარობს. „ანიკოს სტუმრები მოუვიდეს და  
სენაჩი იხორცლებს, ხინკლებს აკეთებს“.

იხოშრებ-ა იგივეა, რაც ი ხ ო შ ე ბ ა — გლოვობს, ცრემლად იღვრება,  
თმა-წვერს იგლეჯს. „ღედა ტიროდა, მამა კი თმა-წუჭერთ იხოშრებოდა“  
(ხ ა ლ ხ., ა ჩ ხ ო ტ ი).

იხულებ-ა ცხენი საკბენად უტევს. „ცხენი კბილებით იხულება“ (ა. კ.).

იხუნისკარტა-ი ბ ო ტ. მაღალი ბრტყელფოთლებიანი ბალახი. „იხუნის-  
კარტაი იფრო მეტად თხების საქმელია“.

იჯავლებ-ს იჩხავლებს, იყრანტალებს. „სამს დღეს იჯავლეს ყორნებმა“  
(ხ ა ლ ხ., გ ე რ გ ე ტ ი).

იჯუნჩებ-ა თბილად იცვამს. „ცხელია [=სიცხება], ვერ ატყობ, რასღა იჯუნ-  
ჩები!“

იჯინდრებ-ა დიდგულობს, იბღინძება, თავის თავს ვერ ერევა (ვ. ქ უ შ.).

### 3

კაბალა-ი 1. ოთხკუთხა ფიცრის ჩარჩო ქსოვის დროს სახეების გამოსაყვან-  
ნად. „კაბალაი გუქონდისკე ოთხკუთხი ხისა, იმაზე ტყლაპი გამავეაკრითკე  
მიტკლისა და იმაზე ძაფი დავასითი“, 246. 2. რიკი, კოტა, გუთნის ან ცელის  
ხელმოსაკიდი. 3. ჩაქდელი მოკლე რიკი ხამუთის ტყავის გამოსანასკვად.  
4. ურმის ნაწილია — ოთხკუთხა ჩარჩო უბის წინ, ცხენს იცავს დაწოლისაგან.

კავთობა, კალთობა კავთისხევიდან მობრძანებული ხატის დღესასწაული,  
იხდიდნენ საბაურები და სამქანაშვილები ფანშეტში.

კავრა-ი ბ ო ტ. ტირიფის მაგვარი წვრილი წნელი, ხმარობდნენ მიწური  
ბანების დასაფარებლად, მიწის შესაკაეებლად.

კაზარა 1. კრაზანა (მწერი); 2. ფუტკარი. „იმ წელს კარგი ზაფხული იყო,  
რუსებმა იაშიკებით მარეკეს კაზარები და თაფლი აკეთებინეს“.

კაიდანარა-ი ტაფისებური ქვის კეცი, საკიდელზე იკიდებოდა, ხაბიზგი-  
ნებს აცხოვდნენ.

კაკ-ი სასქესო ჯირკვავი (ა. კ.).

კაკბისუელა-ი ბ ო ტ. მთის ყვავილია, მაღალ, მოწითალო ღეროზე წვრილი  
ფოთლებო აქვს, თავზე პაწია კოკობი, მზეზე სხვადასხვა ფერს ირეკლავს.

კალაჩა-ი (—калач) ფურნეში გამოცხვარი თეთრი პური. „კალაჩა პური  
და კიტრის წნელი მაქმია“, 192. „კალაჩაის ფქტილი“.

კალდამა აკლდამა, სასაფლაო, ძველი ნასაფლავარი. „ვისაც ხორველა შა-  
უდგებოდა და შაატყობდა თავს, რო არ მარჩებოდა, თავისი ფეკით მიდიოდა  
კალდამაში და იქ კტდებოდა“ (ფ ა ნ შ ე ტ ი); „ეხლა მანდა სალდათებმა ამაილეს  
კალდამები, ბევრს ოქრო ჰქონდა ჩაყვალებული“, 167.

კალთა მე კენჭობის დროს, კენჭი რომ გავარდება ხელიდან, მოთამაშე  
სწრაფად კალთაზე ირტყამს ხელს და ამბობს: „კალთა მე“, ე. ი. მანვე განა-  
გრძოს თამაში (ა. კ.).

კალთობა წმინდა გიორგის დღესასწაული, კ ა ვ თ ო ბ ა (ნ.).

კალიჩი-ი ნ. გ ა კ ა ლ ი ჩ ე ბ უ ლ ი. „კალიჩი ცხენი ჰყავ“ (ა. კ.).

კამარა 1. აკენის ზედა ჯოხი, რომელზედაც იკვრება თასები (ს ი ო ნ ი).

2. აკენის მთლიანი გადასაფარებელი, მკიდროდ რომ მოიცავს აკენს, რა-  
თა ვერაფერმა (მწერი, თავი...) მოახერხოს შეძვრომა. ნ. შ ე კ ა მ ა რ ე ბ ა  
(ფ ხ ე ლ შ ე).

კამენა იხ. კ მ ა კ ნ ი ს.

კანაფა-ი ბ ო ტ. მარადმწვანე მცენარეა, შემოდგომაზე ისხამს, მაყელის-  
ნაირი ნაყოფი აქვს.

კანდოლ-ი ქალის ახალუხი პერანგზე საცმელი. პატარა გოგოებს ეცვათ  
მოკლე ახალუხები — კანდოლები («შ ი ნ ა მ რ ე წ ე.»), შდრ. კ ა ნ ძ ო ლ ი.

კანკარა კამკამა, ანკარა, სუფთა და გამკვირვალე. „კალატაის წყალი სულ  
მთლად კანკარა და ცივია“.

კანკლაობა მოხდენილი, რიტმული სელა (ცხენისა). „ლუხუმმა ცხენი გა-  
ქუსლა, წაეიდა კანკლაობითა“ (ხალხ.).

კანწულობა-ს ბლლაძუნობს, ხელებს აფათურებს. „ნუ კანწულობთა,  
სირცხტილია, განა ბალები ხართ!“

კანძოლ-ი (—КАЗОЛ) საბავშვო „ლიფი“ (ა. კ.). შდრ. კ ა ნ ღ ო ლ ი. ყაზ-  
ბეგში განმარტეს: „უსახელოებო ზედატანსაცმელი“.

კანჭი-ი კუთხე, ნაპირი. „სახლის ბანის კანჭზე ხატები დეებზანათ“ [დაე-  
ბრძანებინათ]; „კანჭი რაისთუი დაჭექ, ქალავ, შტიდს წელიწადს გაუთხოვა-  
რი დარჩები“. კანჭის ქვა. კუთხის ქვა.

კანჭიანი-ი გაკუთხული, კუთხეებიანი. „კანჭიანი ქაჯი სნოჩია“.

კანჭლა-ი სუსტი.

კაპ-ი ხის ტოტი, შტო. „არიქა, ხიზანმა ხეს კაპები დაუმტურია“. გ ა დ ა ტ.  
მდინარის შენაკადი, რიყეზე ძლივს რომ მოჩანს. „წყლის კაპი მიწკანწკარებს“.

კაპარ-კალ-ი სასმელია — კაპარი (ბურახი) და ზედ მოყრილი ქუმელი  
(ხალი). „კაპარ-კალი მარზოჩი იცოდინაქე“.

კაპიოტა ბ ო ტ. ბალახია — კაპუეტა. „კაპიოტა სასთულო ბალახია, ლელის  
ბალახსაც ეძახიან“.

კარაპეტად იხ. კ ა რ ა ტ ა დ.

კარატად, კარატადა ოდნავ ღია დატოვებული კარი. „რო გაბოლი, კარი კარატადა დაავდე, თორე ძრიალ ცხელა“ (ა. კ.).

კარაჩხა 1. ნაძვისხის ფორმის ან შანდლისებური ხის ვაზა საკიდებიანი, ქორწილში ნეფის წინ დგამდნენ საჩუქრებისათვის. „კარაჩხა იყო ჯოხი, გაკეთებული როგორც ქოლგა, ნეფის წინ იდგის, ბევრს ხილს ჰკიდებდეს, მართვიან კოხტადა. სადილი რო მოთავდებოდა, გამაიტანდეს ი კარაჩხასა, ვინმე იქნებოდა უნცროსი, ცხენზე იჯდა, მას ექირა, გაიქეოდა, გაიტაცებდა კარაჩხასა, ვინც დაეწეოდა, მას დარჩებოდა ეს კარაჩხა“, 146. 2. ხორცის ჩამოსაკილი კაპებიანი ხე ან რკინა.

კარაჩხაის გატაცება შეჯიბრი კარაჩხის დასაკუთრებაში (ნ. კ ა რ ა ჩ ხ ა).

კარგარეთ მყოფი საშოვარზე, მოსაგებში წასული, სოფლის გარეთ (სხვა რაიონში) ქირით მომუშავე.

კარდაზიდულ-ი კარგამოკეტილი. „კარდაზიდულჩი დაავდეს ცხრა დღე და ლამე“.

კარისთავებ-ი ოთხკუთხა გრძელი ქეები კარ-ფანჯრების თავდასართავად (შდრ. კ ა რ ს ა რ თ ი).

კარის ყბა კარის გარეთა მხარეს გამოშვერილი, გამოკვეთილი ქეები, რომელთაც ებჯინება კარები.

კარნიხა-ი მოურიდებელი, თავხედი, ურცხვი. „წინავ გათხოვილ ქალს შუბლი უნდა შეეკრა, რო კარნიხაი არ დეექჷინათ“.

კარსართ-ი კარის თავი, კარის თავის სართავი, კარის შემკრავი მთლიანი ნაწილი, ჩვეულებრივ, სწორი ან რკალისებური ქვა. „კარსართებისთჷ გრძელი სავალები გამაიყენიან“.

კარსუქენა-ი 1. ძველებური მოხეური სახლის შესასვლელი ნაწილი, კარის იქითა მხარე, დერეფანი, იყენებდნენ ხელსაწყო-იარაღებისათვის. ცხენის აკაზმულობის და სხვ. შესანახად; 2. ხის გრძელი საწოლი, რომელიც კარების უკან იდგა.

კარტოხა-ი კარტოფილი. „აძღვედეს პურსა და კარტოხასა“, 144.

კარტოხაის ყარტი მაკატო.

კარწინა-ი წინკარი, პარმალი; კარ-მიდამო; პატარა ადგილი სახლის წინ. „მესამეს დღეს ნეფე-დედღუფალს გტირგჷინს აჯლიდეს, კარწინაზე დააყენებდეს“.

კატაის ნივარა-ი ბო ტ. იხ. კ ა ტ ა ნ ი ო რ ა ი.

კატანიორა-ი ბო ტ. მთის ნიორა, სუნიანი, ჰამენ. „ყველს სუნი დაზდეს, ცხორმა კატანიორაი თუ მაზძოვა“ (შ. გ ე ლ.).

კაჩი, კაჩა-ი წვივი, კანჭი; ბარკალი (ადამიანისაც და პირუტყვისაც). „ჩუენს დროს ბალებიც გამაგვაქციან, ვინც წინ მავილოდა კაჩას მისცემდეს, მახარშულს წუტრილ ფეკხს“, 256.

კაჩაის ტხვვა გართობა-შეჯიბრება მკლავის ძალისა და ხელის სიმაგრის გამოცდაში. სალხინო სუფრაზე ცხვრის, ყოჩის კაჩას (ბარძაყის ძვალს) მაგი-

დაზე დადებდნენ და შიშველ ხელს ურტყამდნენ, ვინც გატეხავდა, გამარჯვებულად ითვლებოდა.

კაცის ძე ძეხორციელი, ადამიანისშვილი, კაცი. „ერთი თტე ეგრე ვიარე, რო კაცის ძე არ შამხტედრია“ (ა. კ.).

კაცმანია ბიჭისნაირი ყოფა-ქცევისა და შეხედულების ქალი. „ლელაი კაცმანია ქალი იყო, ამბობენ“.

კაწანი-ი სიმაღლეზე დაყენებული მსხვილი ლერწმის კონებისაგან გაკეთებული ბაკები.

კაწანიორა-ი ბოტ. ნივრისმაგვარი მცენარეა (სნო). შდრ. კატანიორაი.

კაწაწი-ი, კაწაწა-ი ავი, კაპასი, ანჩხლი, მოჩხუბარი. „ისრი გააფრახებულია, დიდი კაწაწი კი უნდა იყოს“.

კაწაწებ-ი ფრჩხილები. „კაწაწები ჩამოუსო და სულ ჩამაპკრაზა მთელი სახე“ (ა. კ.).

კაჭი-კაჭი ცხვრის ან ბატკნის მარილზე ან პურზე მოსახმობი გამოთქმა (ა. კ.).

კაჯილა-ი 1. კუდის ძვალი, კუდუსუნი. ცხვრის ღუმის ტიტველი ადგილის საფარველი პატარა კუდი (კ. ქუ შ.). 2. გადატ. გამხდარი, პატარა ღუმიანი ცხვარი (შდრ. გაჯილა).

კბილ-ი, კბილა-ი 1. სიგრძეზე აგებული ჩალის ან თივის ზვინი. „ჩალის კბილი, თივის კბილაი“; 2. რთული ფუძის მეორე წევრი, იხ. თაგუის კბილაი (ა. კ.).

კბილზე ჩაბარება ჩანაბარების (მაგ. ცხვარ-ძროხის) ზუსტი სათვალავით დაბრუნება. „კბილზე ჩაბარება ისაა, რომ ორის წლის ცხორი მოგეცი, ორის წლისავე უნდა დაგებრუნა“, 185. (შდრ. ბაღდავანობა).

კბილის დაჭერა ჭამის მადის ხელოვნურად შეზღუდვა პირუტყვისათვის. ზამთარში საკვების ეკონომიისათვის თივაში მეტ ჩალას ურევენ, რასაც ნაკლები ხალისით ეტანება პირუტყვი და მაღა ეზღუდება (ა. კ.).

-კე 1. ხოლმეობითობის (მრავალგზისობის) გამოშხატველი ნაწილაკი, — ხოლმე. „არისკე“ არის ხოლმე, „იყვისკე“ იყო ხოლმე; 2. მიმართულების -კენ თანდებულის შეკვეცილი სახე: სოფლისკე სოფლისკენ; 3. იხმარება -გან, -გამო თანდებულების მნიშვნელობით; დედისაკე დამწუხრებული ვარ დედის გამო მოწყენილი ვარ.

კელა-ი 1. ხის კეტი, ურდული; 2. რკინის ძალაყინი. „საღენჭელის კელი იფნისა და შტინდისა იყო; კელით ვამტტრეველითკე კლდეს“; „ძირით უკიდებს კელასა, თავზე დეეცა ქვანია“, 77.

კევნა ცოხნა. „ცხენმა კევნა არ იცის“ (ა. კ.).

კეთტერა-ი ქვის ჯიშია ერთგვარი, ნარინჯისფერი. „კეთტერაი ჯუთის ახლოს, საძროხოს მთებში, წინავ იფრო მეტი შოგტხდისკე“.

კმაუზი-ი მაღალი, წოწოლა ქული. „[ყეენობას] შაკაზმიან კაცი, დიდი ქული გაუკეთიან — კეკუზი“.

კეკურაზი-ი 1. სუფთა, კობტა, სანდომიანი, კეთილი. „კეკურაზი კაციც შაიძლება და ქალიც“; 2. აზიზი; უკარება.

კელ-ი კოჭლი საქონელი.

კელობ-ს ოდნავ კოჭლობს. „ძრიალ არ კოჭლობს, ოდნავ კელობს“.

კელფ-ი 1. თმის ქერტლი; 2. თივის ან მატყლის დატყებნილი ნაწილები. „თივა კელფი და კელფი აილოდ და ისრი მამაწოდოდ, თორო გაიფანტება“: „მატყლის კელფები სწორ გაშალე საბნის შესაყარადა“.

კენკრა-ი ბოტ. ეკალივით ბალახია, ეკალსაც ეძახიან, როცა ცივა, მაშინ კვენტს ცხვარი (ხევი, მესაქონლ., 301).

კენტი შაურ-ი საუბ. „კენტი შაური არა მაქტ“ კაბიკი არ მომეძეება.

კენჩხო თავის ქალას უკანა. კისრის მხარე. „ქვა კენჩხოჩი მახტედრეყო და სისხლმა ყურებისაკე უწია“.

კენჭ-ი გადატ. სიმსუქნე, ხორციანობა (შდრ. უკენჭო). „უკენჭო ცხორია, კენჭის მანავალი არა აქტ“.

კერისთავ-ი რკინის ორფეხა, კერაში შეშის თავების დასადებად. შამფურების ჩამოსადებად (შდრ. ზგიდე).

კერკენ-ი მოყვითალო ან ქანგისფერის სათლელი ქვა; რკინანარევი ქვა-მიწის ფენა. „საცა კერკენჩი წყალი გამადის, სწუთავს ყველაფერს“ (სნო); დიდი მრგვალი ქვა. „კოჩნი კერკენი იდგა, ზედ ავფრინდიკე და ჩამავფრინდითკე“: „კერკენი ნიჟარებიანი კლდეა, ამ კლდის ლოდი მსუბუქია“.

კეტი-ი კენტი (საპირისპ. ლუწი). „კეტია თუ ლუწი?“

კეტმალულა თამაშია — დამალობანა. ერთი იმალება, დანარჩენები ეძებენ.

კეტრ-ი კანის თმიანი ნაწილის დაავადება — ტრიქოფიტია (ილ. ფიცხელაური), ჩნდება ცუდი კვების შედეგად. „კეტრი თუ შახტდა, ძირდილები გამოუვა, ბალანი დასცუთავა“.

კეფალი-ი კაფელი. უწოდებენ ფენა-ფენა მოჭრილ, მოტეხილ ქვას. „კეფალი მოვკერი“.

კეჩხო იგივეა, რაც კენჩხო. წყველა: „დეგეყარა მიწა კეჩხოზედა“.

კეცი-ი ანდუზიტის ან ბაზალტის ქვის ბრტყელი და თხელი ფილა, იყენებდნენ პურის საცხობად. კეცის აძრობა ქვის ფიქალის სწორად, თანაბრად ამოკვეთა. „კეცის აძრობა ისრი უნდა მამჯდარიყო, რომ ოთხკუთხა, თხელი და ბტყელი სიპი გაკეთებულიყო“.

კეწი-ი ცხვრის კანის ავადმყოფობა, ადგილ-ადგილ მატყლის დაცვენას იწვევს, გადამდებია (შდრ. კეტრი).

კიაპ-ი წყველა: „კიაპიმც ამაუწყდება, ყიაპიმც ამასწყუტია“ ძირფესვიანად ამოწყდეს, გაქრეს, მოესპოს სინსილა.

კიბის ქალ-ი კიბის საფეხური. „რძალი კიბის ქალზედით გადმავარდნილიყო“.

კილაბან-ი კილობანი.

კილაბანა-ი, კილობანა-ი კბილები უკანა, საძირის კბილები.

კილაჲ კიდეჲ: „კილაჲ რაი გინდა?“

კილაღარა კინაღამ.

ჰ-კილაჲ ჰმართებს. „შენ ჩემი ფული გკიდა“.

კილო უბატკნო დედაცხვარი, რომელსაც ბატკანი მოუყვდა ან დაეკარგა, ასეთ ცხვარს მწყემსები მაინც წველიან. „კილოებს ვუწუთელიდი და ძაღლებს ვაჭმევდი, ჯერი რომ აღარ მქონდა“.

კივისა-ი იხ. ყ ი ს ი ნ ა. „არიქაო, კივისაი წამამილოდო, დოგიკვილიან ბაღლებსა“.

კითხულ-ი მცოდნე, გაგებული, ვისაც რჩევა-დარიგებას ეკითხებიან. „ლეგაი [გოჩიეთი] კითხული კაცი იყო, შარიგებაჩი ამაირჩიანკე“.

კიკნაველა ახ. პატარა თოჯინა, ხელის მოჭერით წრიბინებს. „კიკნაველაი იმიტომ ხქუიან, რომ კნავილს იწყებსკე“.

კილო გუნება, ხასიათი; ფანდი, მოხერხება; ალლო, აზრი. „არა ხარ ომის კილოსა, ყმაწვილი ცოტას ხნისაო“, 293; „ამირან, ცოლ-დედა ბოზო, ომი ვერ იცი კილოსა“, 331; „ცხოვრების კილო არა აქჲ მაგ უბედურსა“.

კილოიან-ი 1. გუნებიანი, ხასიათიანი. „კილოიანი ქალია გაგაის დედა“: 2. ცხოვრების ალლოს მქონე, აზრიანი. „კილოიანი კაცია და იმიტომ კარგა მიუღის საქმე“.

კიმიტია-ი დ ა ც ი ნ ვ. ცხვირშეხმეკილი. „კიმიტიაი ცხტირი აქჲ“ (ა. კ.).

კინტულა-ი კატის კნუტი. „კინტულაი ციცაისია, ლეკუი — ოთხფეხისა (=ძაღლისა)“.

კინწ-ი კლდის პატარა შვერილი. „კინწმა მამტაცის თოლი, ძლივ კი ჩანდა კლდის სიშორეჩი გამოშუთერილი“.

კიპ-ი თივის დიდი ზვინი.

კიპირჩხოლა-ი ხის კაუჭებიანი ჩამოსაკიდებელი, ასობდნენ ბოსელთან ან საქათმესთან და ზედ ჰკადებდნენ დედოფალას, რათა ავი თვალი, ავი სული არ მიეკაროს ფრინველ-პირუტყვს. „ბოსელჩი კიპირჩხოლაზე დაკიდებული დედოფალაი კარჩს ვაღებისას ქანაობდა“.

კირცხვლა ბაძვა, სიტყვით ან უესტ-მიმიკით გამოჯავრება. ნ. უკირცხლავს.

კისრახ ხოფ-ი კეფის უკანა ნაწილისა და კისრის ბოლოში ჩადრმავებული ადგილი (იმერ. ს ა ლ უ ნ წ ე).

კისრის უღელ-ი ლავიწის ძვალი.

კიტ-ი (ჩვ. მრავლ. კიტები) 1. საქსოვი დაზგის ნაწილი — მოკლე, სწორი ჯოხები შე-საჲარცხლებზე გამობმული. „შე კიტებით ხის ქანდარაზეა თოკე-

ბით მიბმული“; 2. ჩილიკა, — სათამაშო ჯოხი (იხ. ვ მ ა ლ - კ ი ტ ო ბ ა); 3. თხილის პატარა ჩხირები, ანთებენ ყვერბეულის გამოსაცხობად.

კიტრიკობალა-ი, კიტრიკომბალა-ი ბ ო ტ. (სინ. ჩ უ გ უ კ ი ტ რ ა ი, ჩ უ კ უ - კ ი ტ რ ა ი) ყვეთელი მხალია, ღეროზე გოჭისოდენა, კიტრისებური მარცვალი აქვს, იქმება.

კიტრიკობალობა, კიტრიკომბალობა ყირამალას თამაში, თავით ზურგზე გადატრიალებდა. „ერთბაშად თავზე დეცა, ზურგი ხალიჩას გააკრა და ისრიე ფეჭზე წამადგა. ეგე, ეგრე გააკეთა კიტრიკობალობა“.

კიწიბო ბ ო ტ. ბალახია აბაზიანისოდენა, ხაოიანი ღეროები აქვს, კლდეზე იზრდება, იქმება. „კიწიბოსა კლდის დუმასაც ვეტყუთ“.

კიწილ-კიწილ-ი ახლადფეხადგმული, სიარულის შემსწავლელი ბავშვის დაძახება გათამაშების მიზნით, იგივე ს ი ა, ს ი ა, ტ ა, ტ ა. „კიწილ-კიწილი, მოდი, გამიარე, მოდი“.

კლდეკუტირა-ი ბ ო ტ. წიწვიანი მცენარეა, ღვიის მსგავსა, კლდეებში იზრდება, ვაშლისნაირ მარცვლებს ისხამს. „კლდეკუტირა უვარგისია, საძოვად ის არ ჯარვა, ცხორჩი ნიადაგ გამაუსადეგარია“.

კლდის ჩიტ-ი ბელურასნაირი ფრინველია, რუხი, გულისპირი მოწითალო აქვს, ეტანება კლდეებს“ (ა. კ.).

კლდის ჯორცა-ი ბ ო ტ. კლდის ვაშლა (ა. კ.).

კლოვ კვლავ — მერმის, გაისად. „წელს კი დეესწუტერთო ლომისობასაო და კლოვ ნულარაო“, 163.

კმაინობ-ს კმარა: ჰყოფნის, საკმარისად აქვს ის, რაც სჭირდება. „აქაური ადგილები ჰკმაინობდა, ყიზლარჩი უწინ არ დავდიოდით“, 273; „თუ არ კმაინობს საქმელი, დო დაუდოდეთ ბანზედა“ (ხ ა ლ ხ.).

კმაკინ-ს აზიზად ჰვამს. „ცოტას რასმე ჰკმაკინს“ (ა. კ.).

კმაობ-ს საკმარისად აქვს, ჰყოფნის. „ბატკნები ჯერ არა სძოვენ; დედის რძე ჰკმაობს იმათა“.

კნინობა ძვ. ც რ უ რ წ მ. ჩილი ვაჟის სალოცავად გამართული საღვთო. „კნინობას ყველიერის ხუთშაბათს იკდიდეს. საკლავს დაჯოცდეს, არაყს გამაჯდიდეს და ბალღის პატრონები მაქუჩდებოდეს ერთს ოჯახჩი, ბალღის გაჩენაზე დაილოცებოდეს“.

კოდახა-ი უხეში, ტლანქი. „კოდახაი საჩეჩი სავარცხელია, სქელი კბილები აქუ“ (ა. კ.).

კოთხო პურეულის გოდორი (ა. კ.).

კოკოუა კოპი, ამობურცული ადგილი სხეულზე (ჩვეულებრივ, თავზე).

კოკორა-ი ფიჭვის თესლი, გირჩი. „ადრე ფიჭვსაც კოკორაის ხეს ეძახდნენ“ (ა. კ.).

კოკრობა (კოკრობს) დეკეულის ცურის პერიოდულად მოშვება მაკეობისას. „პირველაია და კოკრობს; ეხლადღა დეეტყო დეკეულას კოკრობა“ (ა. კ.).

კოკროტინა-ი ბოტ. ბალახია ერთგვარი, შდრ. კორკოტაი.

კოკროქინა-ი ჩიტია ერთგვარი.

კოლ-ი 1. კვალი; 2. ძვ. ცრურწმ. ბელი. ფეხი. „ქარგ კოლზე ვიარე“; „მაგას გონჯი კოლი ჰქონია, რამდენჯერაც გზანი შამხტდა, იმდენჯერ საქმე არ გამიკეთდა“.

კოლად მსგავსად, ნაირად; სანაცვლოდ, მაგიერ, წილად. „ვსომდი მეც იმათ კოლადა“; „ჩემ კოლად მიდი და უთხარ“; „სიცილის კოლად ოჯახსა ცრემლი მაუდის ცხარია“, 152.

კომ-ი კვამლი, ბოლი; კომლი, მოსახლე. „ახლანის ოცი კომლიდა ორთ“.

კომეურად კომლობრივ, თითოეული ოჯახის მიხედვით, საკომლოდ. „და-შპრეს ეს ღუმა კომეურად გორისციხელებმა და ფხელშელებმა“, 224.

კონკმანკებ-ი ძონძები; ძველი ტანსაცმელი. „კონკმანკებჩი დადის“.

კონჩხლო სანთლის დასადები მოწყობილობა ძველებურ მოხეურ სახლში. ჩამოკიდებული იყო თასმებით ხის ნაჭერი ჭერში, ბოლოშიც ხე ჰქონდა გაყრილი, მასზე იდო ფიქალი, რომელზეც იწვოდა ქონი ან კვარი. „ოთხსავ კუთხზედ კონჩხლო ენთო. შუქსა ფენდა მისი სხივი“ („ამირან.“), შდრ. კორჩხო.

კორ-ი ბურთივით მრგვალი ქვა ან აგური, ჩიკორი. „კორით ვკორაობთ. კორი შაიძლება აგურისაც გავაკეთათ“.

კორაობა (კორაობ-ს) თამაშია კორით — ბურთივით მრგვალი ქვით (იხ. კორსალობა, კორჯოხოზა).

კორთა-ი საცხოვრებელი სახლის კუთხეებში შიგნიდან კორით — ქვით გამოყვანილი თახჩისმაგვარი სათავსი მატყლის, ძაფის, იარაღის და სხვათა შესანახად.

კორკოტა-ი 1. ბოტ. ბალბის ნაყოფი (სინ. ჩიტის ყველაი). 2. ფიგურ. სეტყვა, ხორხოშელა. „უცებ კორკოტა წამაუშინა“.

კორ-სალობა თამაშია. კორით — ბურთისებრი ქვითა და სალათი — ბრტყელი ქვით, სალაობა.

კორჩხო სანათის სადგამი ძველ მოხეურ სახლში. „კორჩხოზე ჭრაჭი წაქცეულიყო და იმასაც ცეცხლი გახკიდებოდა..“ იხ. კონჩხო.

კორწლვა (კორწლავს, იკორწლება, 'გაკორწლილი) თმების ერთმანეთში აწეწვა, აბურღვა, ჩახლართვა. „თმა იკორწლება“; „თმა 'გაკორწლილი ხქონდა“ (ა. კ.).

კორწოლა-ი ცრემლის ნამცეცი. „ბიძაი მოუკტდა და ერთი კორწოლაიც არ ჩამაღვარდნია“ (ა. კ.).

კორ-ჯოხოზა თამაშია კორით და ჯოხით, იგივე სალაობა (ოლონდ ქვის მაგიერ ჯოხს სცემენ კორს), სრულდება სხვადასხვაგვარად. „ორმოჩი ჩაყრიან კენჭებს, დაკრავს ჯოხს, ვინც სულ ამაყრის, გამარჯვებულია, დამარცხებულს შეაჯდება ზურგზე“, 239.

კოსაქა-ი დაცივნით ეძახიან დაბალ და ჩასუქებულ ქალს (ა. კ.).



კოსრო კეფა, კვინიხი. უპატვიც. ქეჩო. „ერთი ესროლა გივარგიმ... კოსრო გაგლიჯა თმიანი“, 209; „კოსროჩი დაავლა ჯელი“.

კოტ-ი, კოტა-ი ფერღობი, დამრეცი ადგილი, ციცაბო, დაქანება. „ახალ-ციხის მთებჩი იფრო მეტია კოტები. მაკლული ჩიჭუტი შეეკრა და კოტზე გემეგორა“.

კოტალ-ი თამაშობაში სიმალღეზე დაყენებული კოჭი. ოც კოქს აყენებენ, მათ შუა ოცდამეერთე — კოტალი — დაყუდებულია, ვინც კოტალს წაიკლავს და სროლით 25 ნაბიჯს გადააცილებს, ის მოიგებს ოცდაერთივე კოქს. „კოქებს დააყენებდეს, ერთს შუაჩი, სიმალღეზე, ეძახოდეს კოტალს“, 232.

კოტრა პატარა და მოხდენილი, კოტორა. „დაზარდეთ კოტრა ბატკნები, მწყემსკაცის სინარულიაო“ (ხ ა ლ ხ.).

კოფა-ი მოჩუქურთმებული ხის სამარილე (ა. კ.).

კოშალა-ი უზნეო კაცი. „ბეწიკაი კოშალაი იყო, სუტირცხტილი არ იცოდა და სახელი“.

კოძალ-ბოძალ-ი აყლაყუდა; უზრდელი. გაუთლელი. „ისითი კოძალ-ბოძალი კაცია, სახლი არ შაიშტება“.

კოწეწ-ი კოწიწი, გატეხილი ჭურჭლის შესაწევავე; კვერცხის, ბამბის, კირის ნარევი. „კოწეწით დავგოზითკე გაწერილი ჭურჭელი“.

კოწოლ-ი კვამლი, ოხშივარი. „თან მაზდევს ნისლის კოწოლი, შამაბნელა ჯევია“ (ხალხ., გ ა რ ბ ა ნ ი).

კოწმახ-ი 1. ძლიერ მეავე. 2. ჰირვეული, მძიმე ხასიათის, ანჩხლი.

კოჭი და საკოჭია-ი გამოთქმაში ნიშნავს: ბურთი და მოედანი. „მაგას დარჩა კოჭი და საკოჭიაი“ (ა. კ.).

კოხ-ი კენჭი, წერილი ქვა; კოლბოხი. „ჰილიგმა ქობჩი ზაითით კოხები ჩაუყარა“; „კოხები მიყარიან, ქვა-კენჭები, კოლბოხები“.

კოხუჯებ-ი ქალამნები ძროხის ან ღორის ტყავისა, ძირი მთლიანი აქვს, გვერდებზე ორპირი თასმით შემოწნულია, ფეხის თითების შესაყოფი დასერილი აქვს, ზედაპირი ღიაა.

კრავლისთოლა-ი ბოტ. მცენარეა, იკეთბს თხილისოდენა ძირს, ხახვის ფურცელივით კანი აქვს, გაფცქვნილი იჭმება (შ. გ ე ლ.).

კრავლისფეჯა-ი ბოტ. მხალია, იგივეა რაც თოლკრაველაი (ა. კ.).

კრაწალა-ი 1. ფრჩხილი. გადატ. ბრჭყალი. „შამიხედეთ ამ ქალსა, როგორი კრაწალები დაუზღია“; „კატასავით კრაწალები არა აქტ!“ 2. გადატ. წვალება, ვაი-ვაგლახი. „ჩემის კრაწალაით და შრომით გამავდივარ“, 246.

კრენტა თვალის ჩაკვრა. „თოლებს ჰკრენტს“ (შდრ. ჩ ა უ კ რ ე ნ ტ ს.).

კრიახებ-ი ხრიოკი, უტყუო, განრეკილი მთები. „წინავ სულ კრიახები იყო ყაზბეგჩიგა, ნელადლა გააშენეს ტყეები“.

ბიო“, 135; „ჩუენი ცხენი მოვნეს უწყალებია“.

მოზღაპრე მოსაუბრე, მოამბე, მოლექსე.

მოთავე მეთაური, წინაპარი, წინამორბედი. „ფიცხელაურების გორის მო-  
თავე თოლიკე იყო, ჩუენ იმის ხონჯრისანი ვორო“.

მოითავკელებ-ს მორჩება, მოიმთავრებს, მოილევეს, მოისტუმრებს, საიმე-  
ლო ადგილას დააბინავებს. „ისინი, სილამ თივას არ მოითავკელებენ, ჩუენს  
საქმეს არ მახედვენე“.

მოინტერესე დაინტერესებული, მდომელი, მსურველი. „ქმლის მიცემა არ  
უნდოდა, რადგან თაეად მოინტერესე იყო კმლისა“.

მოიქუეშიებ-ს წაქცევს, ქვეშ მოიგდებს. „მამრე ვიბრძოლეთ და, რო-  
გორც იყო, მოვიქუეშიე“ (ყ ა ზ ბ.).

მოიჭინის მოწყლენ-ი ეტყვიან წყლიდან დაგვიანებით მოსულთ. „აი მოვი-  
დეს მოიჭინის მოწყლენიცა“ (ა. კ.).

მოკომური-ი მეკომური, მოსახლე. „თითო მოკომური მოიტანდა ქადას და  
სანთელს“, 72.

მოკუნჯულე სიარულის მოყვარული მოძრავი, დაუდეგარი (ნ. კ უ ნ კ უ-  
ლ ა ი).

მოლემნო ოდნავ ღემანი, მონაცრისფრო. „ყოილი არის მოლემნო, ლურ-  
ჯი, იმაჩი ვლებავდით“. 219.

მომარნე მემარნე, მარნის — საკუქნაოს მცველი. „მე რო ერთი კოკა მქონ-  
და, მიბარია მომარნესა“ („ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ.“, სნო).

მომუტერალ-ი მზეერავი.

მომთქმელ-მოლექსენ-ი შაირ-ლექსების სიმღერით მთქმელნი.

მომწყენ-ი სამძიმრის მთქმელი (შდრ. მ ო უ წ ყ ე ნ ს).

მონარევე სხვის ფარაში შერეული ცხერის პატრონი (იხ. გ ა რ ე ვ ე ა, მნი-  
შენ. 3). „განა მარტო ჩემი ცხორია, მონარევებისაცაა“ (ა. კ.).

მონაძლიე 1. გრძნელი. „გზაჩი ამ კაცს შახვდა მონაძლიე. შამალომ  
უთხრა მონაძლიეს: — ეს ქალი, ათერაიო, ჩემკე შააბრუნეო“ („ე თ ე რ ი ა ნ ი“);  
2. მონაძლევე. „როგო მონაძლიესავით ემეკიდეო“.

მოორულ-ი 1. მორაული სენი, ინფექციური დაავადება; 2. გარე-გარე მო-  
სიარულე, სახლის საქმეს ნაკლებ ყურადღებას რომ აქცევს.

მოპრუწულ-ი კოპწია, სილამაზის მოცადე (მ თ ქ მ ე ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე-  
ბ ა). „მოპრუწული ხარ ქუტრივიო“.

მოროთვა წისქვილისა წისქვილის მომართვა, გამართვა. „წისქვილი ვერ  
მოვრთე კარგა“.

მოსაპარისი მისაპარებელი, საიდუმლოდ, პარვით მისასვლელი. „უნდა წა-  
მაუარა [ჯიხვს] იმ მკარესა, საითაც მოსაპარისი არის“, 159.

მოსაქმურ-ი საქმიანი. „მოსაქმური კაცია“.

მოსხმარ-ი მაცნე, შემტყობინებელი, გამაფრთხილებელი. „სადილთ უკენ  
მასულიყო მოსხმარი და ეთქო — ლეკი გამაჩნდა, ხალხო“.

მოსურავება (მოასურავებს, მოსურავედება, მოსურავებული) კალოზე შე-  
გროვილი მარცვლეულის არევა (ჯ უ თ ა).

მოუღ-ი მერინოსის ცხვარი. „მოუღის ცხორჩი ყოფილან მთელი ოდიანთ  
გვარია“ (ფ ა, 124. ს ი ო ნ ი).

მოუზომებ-ს მოუღერებს, მოუქნევს. „ჯოხი მოუზომა დასაკრავადა“. „კე-  
ლი მაუზომე, უნდა დემეკრა და მამრე ისრიე შემენანა“.

მოულუკლუკებ-ს ლუკლუკით — დაყვავებით, მოფერებით ეტყვის, მოუ-  
ალერსებს, ენას მოუქცევს, შეაქებს. „როცა ის შემიფუტხუნებს, მე გადვიქ-  
ცევი შელადა, მოულუკლუკებ, შევაქცევ, მოუქნევ ენას სველადა“ (ა. ყ ა ზ ბ.  
24).

მოუმჯარცერებ-ს გვერდზე წამოწვება. „ძილმა თავი რო მასტეხა, მოუ-  
მჯარცერა კიდეცა“ (ა. კ.).

მოუქუღიურებ-ს მოელაქუცება, ქულიასებურად მოექცევა.

მოუწონელი-ი გაუბედავი, ხათრიანი (შდრ. დაწონის). „მოუწონელი ხასია-  
თის კაცია“.

მოუწყენ-ს საწყენი შემთხვევის გამო სამძიმარს ეტყვის. „მიცუალებულის  
პატრონთან მახლობლები მივლენ, მოუწყენენ“, 251; „გორის უფროსი შუა  
ეზოჩი უხტდება მომწყენთ, მწუხარებას და სიბრალულს გამოთქვამენ — მეწყე-  
ნაო — ეუბნებიან. საპასუხოდ ჭირისუფალი მადლობას უჯდის“.

მოქასურება (მოუქასურებს, მოექასურება) გ ა დ ა ტ. მოფერება, მოპირ-  
ფერება. „ძალიან კი მოუქასურა, მაგრამ ვერას გამარჩა“ (ა. კ.).

მოქენცავ-ს ბევრ ნივთს თუ პროდუქტს მოიტანს, ყველა კუთხე-კუნჭულს  
აავსებს. „ბლომად მოვქენცე ყველაფერი, რაიც მჭირდებოდა“ (ყ ა ზ ბ.).

მოქისლავ-ს მიბერტყავს, მიბეგვავს. „მოვქისლე და მივაგდე“ (ა. კ.).

მოქჭეთონი ქვეითნი, ფეხით მოსიარულენი.

მოღონება (მოიღონებს, მოღონებული) შოვნა, მოპოვება, ღონება (ილო-  
ნებს), საშუალების პოვნა. „იმღტენი ვერა მოვიღონე რა, რო ჩემთჱი ცხენი  
მეყიდა“.

მოყუღვარ-ი კარდაკარ მოსიარულე, მოხეტიალე, უსაქმურად დაყუღე-  
ბული. „მოყუღვარი ხარ და იმისთჱი ვერ მაუღე (მოუღეჱი, დაადეჱი) ცხოვ-  
რებასა“.

მოჩტეჩქილ-ი წამოზრდილი, წამოჩიტული, მოსწრებული. „განალა ბატა-  
რაია, მოჩტეჩქილი ბალღია“ (ა. კ.).

მოცადე, მოცადინი-ი მონდომებული, მეცადინი, ბეჭითი. „ერთ წამს არ გაჩერდება, ძრიალ მოცადინი კაცია“.

მოცადობა მოცადინეობა, ცდა, მცდელობა. „ეს იმის მოცადობას არის, რო იმაზე მკობინობი კორწილი ქნას“; „თავის მოცადინეობით დაიდგა სახლი“.

მოცენიერ-ი მეცენიერი; გულთმისანი. „იყო ერთი ბრმა კაცი, ბებერი, მოცენიერი“, 231.

მოძილე ძილისმოყვარული, ძილისგულა; ზარმაცი. „ჩუენი ერთი როგორილაც ზარმაცი ყოფილიყო, მოძილე — სულ თურმე ძილი უყორდა“, 225.

მოწარმოვე ოჯახის უფროსი, მმართველი, წარმმართველი (შდრ. მ ა წ ა ლ - მ ა რ თ ე ბ ე ლ ი). „ოჯახის მოწარმოვე და უფროსი მამაკაცი იყო“.

მოწერაქვება წერაქვით დამუშავება. „ყანას გავარჩევდით და მამრე დავიწყით მოწერაქვება“ (ხ უ რ თ ი ს ი).

მოწკენტა 1. საუბ. დამც. მოწველა, ცოტა, უმნიშვნელო რძის მიღება. „ერთაი ძროხაი მოვსწკენტე“. 2. მოშორება, გაყიდვა.

მოწკუტერტ-ს მარცვლეულს ტაბაკით მოარჩევს. ქერი მოვწკუტერტე.

მოწყლე მსახური, — წყლის მომტანი. „იმ მანიჯარს ხეყანია სამოცი მოწყლე. ადგა და გაგზავნა თავისი მოწყლეები“ („ბ ე ე ა ნ ი ა ნ ი“, გ ა ი ბ ო ტ.).

მოჭირე ჭირში გამოსადეგი, საიმედო, ჭირისუფალი. „შენ არც მოკეთედ ვარგინარ, არც მოჭირედლო“, 88.

მოჭოჭყილ-ი წამოზრდილი (შდრ. ჭ ო ჭ ყ ი). „მოჭოჭყილი ებოა“.

მოხახავ-ს 1. მოხახავს. გადატ. საზღაურს არ გადაუხდის, მოატყუებს. „ეპაი, როგო მოუხახავა ბეჩავი!“

მოხისფეკება (მოახისფეკებს, მოხისფეკდება) ვ უ ლ გ. მოთრევა, მოსვლა. „ნეტარ რამ მოახისფეკა ამ ალივანზე?“ „საიდამლაც კიდავ მოხისფეკდა ეგ მაწანწალაი!“

მოხრენკა (მოხრენკს, მოხრინკება, მოხრენკილი) მოხრა, მოკაუჭება. „მოხრენკილი ჯოხი; მოხრენკილი ცხტირი“; „მარკილს წუტერები მაუხრინკა“ (ა. კ.).

მოჯაროზელ-ნი-ი ერთ ძროხას ადევნებული რამდენიმე მოზვერი.

მოკმე ამბის მომტანი, შემტყობინებელი. „წასვლით მეხუთეს დღეს მოკმე მოვიდა — ბაბულაის შვილი ყიზლარჩი დაილუბაო“.

მოკნავ-ი მხვნელი. „გაიარა ერთ ადგილზე და კაცი ქნავს. ამ მოკნავს აუძრახა“, 134.

მოკნავა 1. ჩიტია პატარა, გაზაფხულზე მოდის და გვიან შემოდგომამდე რჩება, — თოხიტარა, ბოლოქანქარა. 2. ჭიყელა. „ბარს რო დავეკრავთ და გადმავაბრუნებთ ბოლტს, იმას ამაჰყვება მოლურჯოდ თეთრი ჭია, ამას ვეძახით მოკნავასა“.

მოჯაბრე მოჯიბრე, მოქიშპე. „ძმაო თომაო, ჩემს ცხენსა ქერი აჰმეიე ბაკნითა, აგრემც კი ლამაზ ვასუქდეს, მოჯაბრენი მყავს მანდითა“ (ხ ა ლ ხ.).

მსნილობ-ს უქმეს ინახავს, აკრძალულ წესს იცავს, ჩვეულებას არ ტუხს (ფ ა, 76).

მტყველქერა ბრტყელმარცვლიანი ქერის ჯიში იყო ხევში, თავთავი გრძელი და მარცვალი ორწყებად განლაგებული ჰქონდა (შდრ. მ გ ჯ რ გ ჯ ა ლ ი ქ ე რ ი).

მურდალი საქონელ-ი უდანოდ მკვდარი (კლდეზე გადაჩეხილი, წყალში დამხრჩვალნი...) საქონელი (სინ. უ ს უ ლ ა დ ო). „მურდალი ცხორის ჯორცს არ გაიხმარენკე“. მურდლად ზ მ ნ ს. ტყულიუბრალოდ, ფუჰად. „ჩემმა შრომამ მურდლად გაიარა“.

მურია-ი გაღატ. პირქუში, გაუცინარი, უსალმო კაცის მეტსახელი.

მულალარ-ი, მულარელ-ი უხვი, თავსაყრელი, მეტისმეტი. „ბატონო, შენი წყალობა ჩემთვის სულ მულალარია“ („ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი“, ფ ხ ე ლ შ ე), მულალარად ზ მ ნ ს. უხვად. თავსაყრელად.

მულაურა-ი სერის სახეობაა, — ნიშანი ცხვრის ყურზე.

მუშან-ი მუშახელის ნაღი თიბვა-მკაში ან მარტოოდენ მშენებლები და მათი დამხმარე მუშები (უხარურმოდ). „მუშათ შაყრა“.

მუცელტიალა-ი გაუმადლარი, მსუნაგი, ღორმუცელა.

მუცელტიალობა ღორმუცელობა, გაუმადლობა, მსუნაგობა, მოუთმენლობა. „ზეზამდგმურებს ჯორწილჩი და პატარძალს ჩუმად ან ცალკე ჰამა არ შეეძლა, მუცელტიალობად ჩეეთულებოდა“.

მუცლის თიბა მუცლის გვრემა, ტყვილი. „მუცლის თიბისგა მაკუდა“; „მუცელი მთიბს!“ (ა. კ.).

მუცროს-ი უმცროსი.

მუკლ-ი 1. მოსახვევი გზაზე. „დარიელას ჯეობაჩი ბევრი მიწრო მუკლია“.

2. ღუმელის მოხრილი, კუთხოვანი მილი.

მუკლობალიში-ი მუხლებზე დასადები აკვნის პატარა ბალიში.

მუკლიან-ი ნაქსოვის სახეა, წიწვისებური მარჯნივ ისრით („შ ი ნ ა მ რ ე წ ვ.“).

მუკლის კუტერა-ი მუხლის თავი. დადგი მუკლის კუტერასაო, დაიჩოქეო!; „მუკლის კუტერას დამიჯდა და ისრი მეხტეწებოდა“ დამიჩოქა და ისე მეხვეწებოდა. „მუკლის კუტერას იცემდეს“.

მუკლის კუთშტავ-ი მუხლის კვერი, მუხლის თავი. „მუკლის კუთშტავი მიაგალა“.

მუჭლუგანა-ი მუჭლუგუნი.

მფონე მოფონებული, მოშეებული, განიერი, ხალვათი. „კაბის სახელოები მფონე იცოდინან“.

მქეჩავ-ი ცხვრის ფარის წინმავალი, წინამძლოლი თხა.

მღერობა (მღერობს) სიმღერა (მღერის). „მღერობის ჯმა გამადის სახლჩი-გათა, ხალხი შეწუხებული იყო და ესენი კი მღერობდეს“.

მშიერ-ქითირა-ი მშიერ-მწყურვალნი, ღარიბ-ღატაკი. „თავისი უქნარობის გამო ყველაფერს მოკლებულია, მშიერ-ქითირანი ჰყრიან, რას უნდა გამარჩე“.

**მშრლე მშველელი**, დამხმარე: შეძახილია ძაღლების წასასვლელად: „არჩი-ქა, ბოთიავ, მშრლე მაგას!“ (ა. კ.).

**მშრალად მეწუთელ-ი**, **მშრალად წუთელა** ბერწად მეწველი, ბერწად წველა, ძროხა, რომელიც ბერწად დარჩა და მიინც იწველებდა.

**მშრალა-სველა-ი** იხ. **კ მ ე ლ ა-ს ვ ე ლ ა ი**.

**მშრალი სტილ-ი** მარტოოდენ სვილის ნათესი. „აქ, სივანჩი და ცხო სოფლებჩი, მშრალი სტილი არ მოგუყვანდა, ქერ-სტილიც ვთესითვე“.

**მჩნევიარე ძროხა** მაკე ძროხა, მუცელი რომ ნათლად ემჩნევა. „დიდის ფათოლი მჩნევიარე ძროხებისთჳი არისკე კარგი“.

**მცდენ-ი** მაცთუნებელი. **გ ა დ ა ტ.** ეშმაკი, ხერხიანი. „მცდენი კაცია“.

**მცნეიერ-ი** გულთმისანი, წინასწარმეტყველი, მცოდინარე (ა. კ.).

**მცორ-ი**, **მცუარ-ი** ცვარი, თრთვილი. „მცუარიათა ბალახი“.

**მცუტრებ-ი** ცერები, — უწვერილესი მძივები ან ფერადი კენჭები; ოქრო-მკედის, სირმის წერტილები. „სათამაქვია (სათამბაქოე ქისა) მცუტრებით არის მართული“.

**მცქვლეფია-ი** ამბობენ გამხდარ, მაგრამ ენერგიულ, მოძრავ ადამიანზე, მოუსვენრად თვალებს რომ აცეცებს (ყ ა ზ ბ.).

**მძილ-ი**, **მძილად დაფქული** ძალიან წმინდად დაფქული.

**მძიმე 1.** დიდი, ძლიერი. ნეტავი ლაშქრად შეგვეყარა, გვიწია მძიმე ლაშქარი“ (ხ ა ლ ხ. 45, № 1); „გავიდა ქალაქის ბოლოს, იქ დახვდა მძიმე ჯარია“ (მ ა კ ა ლ. 276.92); **2.** **გ ა დ ა ტ.** მძიმე იყოს მაგის ფევი ამ ოჯახში, იტყვიან ახლად გარდაცვალებულის შესანდობარში, ე. ი. ამის შემდეგ ოჯახს ზარალი და უბედურება ნულარ მოუვაო. **3.** ნელი, ზანტი. „მძიმე კაცია ჩუენი მწყემსი“.

**მძლივ-მძლივა** ძლივს, ძლივ-ძლივობით.

**მწავ-ი** წავი; ძალიან შავი ბეწვი საერთოდ. „მწავი უკეთია პალტოზე“.

**მწერელ-ი** ძვ. **ც რ უ რ წ მ.** სვე-ბედის გამგებელი, ბედის მწერალი. — „მწერელიც დაიკუთნა ჩემთჳი. — იტყვის სიბერიტ და ავადმყოფობით თავ-მობეზრებული ადამიანი“. **დალოცვა:** ვაი, დეგეწოს მწერელი. **მწერელთა ტყუე უმოქმედო, უხალისო ადამიანი, რომელიც ბედმაც დაივიწყა და ხალხმაც.** „შე უბედურო, შე მწერელთ ტყუეო, შენა!“ (ა. კ.).

**მწივან-ი** გველის ეპითეტია. წყევლაა: „ჩააყვალე მწივანი!“ (ა. კ.).

**მწკალ-ი** კლანჭი, ბრჭყალი; ფრჩხილი. „კინტულამ მწკალი გამკრის“; „[მერ-ცხალმა] გამაიკრა მწკალი ყელჩიგა და ყელი გამაიქრა“, 217.

**მწკერი-ი** ნაპრალი, ბზარი. „მიწამ მწკერი მაილო“; „გამაიხედა ჩხერთავე, ქვიშამ დაიდგა მწკერია“ (ხ ა ლ ხ., გ ა რ ბ ა ნ ი).

**მწკილ-ი** იგივეა: რაც **მწკალი**. „ბედრიან ქალს თმანი ეზღებო და უბედურს კი მწკილნიო“ (ხ ა ლ ხ.).

**მწკლია-ი** გამხდარი, გალეული ადამიანი.

მწკლიან-ი კლანჭიანი, ბრჭყალიანი. მწკლიანები ფ ი გ უ რ. კატები. „თა-  
გუთავან ნუ გეშინიანთო, მანდავ არიან მწკლიანნიო“, 5.

მწკნევა (ემწკნევა, რმაწკნეული) ბლაუჭი, მოდება. „ქალაი ჩოკის კალ-  
თაზე მემწკნევა, გარეთ არ მიშობს!“

მწკრინას ზ მ ნ ს. მწკრიადა. „მწკრინას დაეწყუტეთ კოჭები“.

მწკრიაე იგივეა, რაც წ რ ი ნ კ ე — წვრილად და მჭიდროდ, ძალზე დაგრე-  
ხილი ძაფი. „წკრიაედ ნასთია“.

მწუტეტი-ი, მწუტეტი-ი უ პ ა ტ ი ე ვ ც. ფ ი გ უ რ. გამხდარი და მაღალი, გრძელ-  
სახიანი ადამიანი. „ისითი მწუტეტი რძალი მოუყვანიათ, ზედ არ შეეკარება“.

მწუტირე ძროხის შარდი.

მჭამელი-ი 1. კიბო, სიმსიენე. „მტკივანს ადგილს ღრღნის, შჭამს, იმისთუ  
დახქტინეს ძუელებმა მჭამელი“; 2. წითელი ქარი.

მჭივანა-ი ბ ო ტ. მხალია ერთგვარი.

მჭიყე, მჭიყნე ძალიან დაგრეხილი ძაფი. „მჭიყნელაა ნასთი დაძახული, არ  
გამადგება“.

მჭლობ-ს ხდება, სუსტდება. „ჩუენი ცხენი ეს ერთი თუეა მჭლობს“.

მხიბლავა-ი მხიბლავი, ჯადოს უნარის მქონე, მომნუსხველი.

მხლოვან-ი მხლისგულიანი ნამცხვარი. „მხლოვანისთუე წუტრილად დაქრილ  
ქინქარს ან ქეკარს, რაიც კარგი იქნება, ახალ ყველს ერბოსთან ავზელთ, ქერქს  
შამოვაკრავთ და გამოვაცხობთ“.

მხრიშე 1 უხეში (ქსოვილი, ნივთი). „მხრიშე ახალუხია, კისერი ამიდიტ-  
კოვა“. 2. მსხვილად ნაფქეავი. „მხრიშე მარილი“. შღრ. ხ რ უ შ ე.

მხუედრ-ი გამომცნობი, მიმხვედრი; მკითხავი, გრძნეული. „გეჭურაი ყა-  
ნანაზის წმინდა გივარგის ხყვანდა აყვანილი, იმისგა გაჯდა მხუედრი, რასაც კი  
გულჩი გაივლებდი, გეტყოდა“.

მხუევრა-ი ბ ო ტ. ხვევრა, ხვართქლა.

მხუთიმე მსხვილი (იტყვიან ფქვილზე). მხუთიმედ დაფქული მსხვილად, ოღ-  
ნავ დაღერლილივით დაფქული.

მჯარ-ი 1. სახვნელის ნაწილი. მოხრილი და გაკუთხული ფიცარი ან ბუ-  
ნებრივად მოხრილი ტოტი. ერთი თავი გუთნის ქუსლში ჩადის, მეორით წერ-  
წენას ებმის. 2. მჯარი — ზომის ერთეული, ორივე ხელის განზე გაშლა. „ქელ-  
ჩი ეკირა მათრავი შუიდეცი, შუიდი მჯარია“ (ხ ა ლ ხ.).

მჯარი ეუბნება-ა, ეტყვი-ს ასოთსამღერელი: წარბის მოქავეების დროს იტყ-  
ვიან სასიკეთოს ან საავოს მომასწავებლად. „მჯარი მეუბნება — მოგუთია ვინ-  
მე“; „ვეშაწყაროსთან მოვიდა, საწყინოს ეტყუის მჯარია“ (ხ ა ლ ხ.).

მჯართყავა ცხვრის მატყლიანი ტყავის უილეტი.

მჯართშასაკრავი-ი ხელებისა და მხრების შესახვევი არტახი აყენისა.

მჯარკუთერია-ი ფ ი გ უ რ. მრგვალებეჭებიანი, კონტად მოსული. „მოპკლავს  
შველისა თიკანსა არწივი მჯარკუთერიანი“, 261.

მკარცერას წოლა მხართემოზე წოლა. „თეოზე მკარცერას წაპოვნევე“.  
მკარჩუჩნ-ი ადამიანის აგებულება(?) „შახედელა მაგის მკარჩუჩსა, ად-  
რინდელ გმირს არ უგავ! აბა ეგ რასლა ასწევს, ვერ უყუტრებ მაგის მკარჩუჩსა!“  
(ა. კ.).

მკარწყუშა-ი ვიწრო და აწეულბეჭებიანი ადამიანი.

მკენცლაფ-ი იგივეა, რაც მკენცნელი.

მკენცნელი-ი ხენცელით — ნამგლით მომუშავე. „მკენცნელი იფრო ქალე-  
ბი არიანკე, ცელით კაცები მუშაობენ“.

მკრეულ-ი ნამხრევი, — გათიბული ბალახის ზოლი. „ხუთი მკრეული ჩა-  
მოუარე“.

მკობინობ-ი მკობნი, უკეთესი. „ეს იმის მოცადლობას არის, რომ იმაზე  
მკობინობი ჯორწილი ქნას“, 25.

მკულ-ი მკილი, მუშტი.

## 6

ნაბაგ-ი, ნაბაგურ-ი პირუტყვის საკვების ნარჩენები, ბაგაში ჩარჩენილი.  
„ნაბაგსა ბართიგა გაურევედიანკე, კარგა იწვოდა“.

ნაბადა ფათოლა ბოტ. ბალახია. ზავერდოვანი ფოთლები და წვრილი ყვი-  
თელი ყვავილები აქვს, უფრო მეტად ყანებში იზრდება, ჭრილობის სამკურნა-  
ლოდ იყენებენ.

ნაბარკლ-ი ცხვრის ბარკლიდან ანაკრეპი მოკლე-მოკლე უხარისხო მატყლი.  
„ეს ნაბარკლი რო მაგიტანია და — ნაქციაო — ამბობ, ვის უბრმობ თოლსა?“

ნაბდის კაცი, ნაბდით შაქნილი სალანძღავე გამოთქმა: უმარიფათო, უვარ-  
გისი, სუსტი; კაცობასმოკლებული.

ნაბღურებ-ი თექის ფეხსაცმელები საშინაო სახმარად.

ნაბერწალ-ი დედაცხვარი, „ბერწი რომ იყო და ახლა უკვე ბატკანი ჰყავს“.

ნაბეჩხალი, ნაბეჩხარი, ნაბეჩხარაი, ნამეჩხარი უნაყოფო, გამომშრალი,  
ძალაგამოლეული, სინოყვიერდაკარგული მიწა; მოუსავლიანი და გამოფიტუ-  
ლი ნიადაგი. „ნაბეჩხარი ყანა. ნაბეჩხარაია, აქ რაილა მოვალის!“

ნაბეხარ-ი შინ დაბერებული, გაუთხოვარი.

ნაბოტარ-ი გაკეთებული, დაკოდილი ვაცი (ა. კ.).

ნაბუარ-ი იტყვიან ჩქარ და გულდაგულ მომუშავეზე: ნაბუარი გადასდის —  
ბულს აყენებს, თავბღღვირს იყრის“ (ყ ა ზ ბ.).

ნაბურჯღალ-ი 1. ნაპერწყალი. „იმ ცეცხლისაგან ნაბურჯღალი წამოსული-  
ყო, ბიძაის წინ დაცემულიყო და გზა გეენათა“. 2. ნახერხი. „რო ვხერხავდი,  
სულ ნაბურჯღალი გაზდიოდა ხესა“.

ნაბღღეძ-ი ძველი ქსოვილის ან ქაღალდის ნაგლეჯი, ნაფლეთი, — მონა-  
ხევი. „ტყლაპის ნაბღღეძიც არა მქონდა, რო დასკერავად გემემეყენა“.

ნავაზრ-ი ნავაზარი, ფრჩხილებით ან კლანჭებით დასერილი, დაკაწრული „სახეზე ეტყობოდა ნავაზარი და ნაცემი“.

ნავალი წყალ-ი შორ მანძილზე ქვაზე ნავალი წყალი; მდინარის ნაწყვეტის წყალი (საპირისპ. წყაროს წყალი, დამდგარი წყალი). „წაქას გასაკეთებლად ხმარობენ მდინარის ანუ ნავალ წყალს, წყაროს წყლის წაქაფუქლება“ (ა. კ.).

ნაგვე-ი ყოველგვარი ნაკელი, სასუქად გამოსაყენებელი მასალა. „გამონაბეჩხრებული ყანა უნდა გოგუტეპატივა ნაგევითა“.

ნაგერალ-ი, ნაგერალა-ი 1. გულფუჭი მარცვალი. „რო გავანიავით, უსულგულო ქერი რო დარჩის, იმას ნაგერალი ექტინა“, 216; 2. ზრდადაუმთავრებელი, მოუმწიფებელი თავთავი.

ნაგლია-ი ჩიტია პატარა; გადატ. იგივეა, რაც ნავალა. იტყვიან უტანო, მილეულ ადამიანზე (ა. კ.).

ნაგრილ-ი ლანდი, ჩრდილი. „ოქროს სურები... აილა ამ კელჩიგა ქალმა და იქცა ნაგრილად“, 230; „იმ წუთერზე ჭიკვნი ტრიალებს. ნაგრილს მე ვუქცერ მისასა“ (ხალხ. ყაზბ. მუხ. № 34). გადატ. სუსტი, ლანდივით. „ნაგრილივით ბაღლია“.

ნაგრილებ-ი დამაკებული. „ეგ კუიცი ქიშტების ცხენის ნაგრილებია“.

ნაგულ-ი 1. საჩეჩლის კბილებზე შერჩენილი მატყლის გუნდები. „გაჩეჩვის შემდეგ ნაგული კარგა ბლომა დამირჩა“. 2. შეგულბული, წინასწარ მონიშნული. „ნადირობ რო მივედიოდითე, ნაგული გუქონდისკე ლამე სადგომი ადგილები“.

ნადვენ-ი გადატ. ევფ. დამაკებული, თავდაცული ძროხა. „ეგ ძროხა ნადვენია, აღარ უნდა მაზტერი“.

ნადირ-ი 1. მხეცი. „თორმეტი მოკლეს ლეკები როგორც ნადირმა ცხვარია“, 175. 2. ჭიხვი. „ნადირის კორცი მომეყავოა“.

ნადირბეწვა უხეში მატყლი; უხეში მატყლის მქონე ცხვარი.

ნადირმხალა-ი მაღალი მთის მცენარეა, დიყისებური მოყვანილობისა, ჭამენ გაფუქვინილს (ა. კ.).

ნადულალ-ი ნადული, ხაჭო. „ნადულალის მოღების (მოყრის) მამრე რჩება სველი (შრატი) მცირე ნარჩენებით, ის ნირლია“ (სიონი).

ნავარზლომა დიდი წვიმა, დელგმა, თავსხმა; წყალდიდობა. „ზაფხულის დიდი ნავარზლომა იყო“.

ნავილა-ი ნაველა. წისქვილის ხეიმირის ძირზე მიბმული ღარი დოლაბში მარცვლის მისაწოდებლად (სინ. სამარცვლაი).

ნათარხნ-ი განთავისუფლებული; დასვენებული. გადატ. ქვრავი. „ამდუენი ხნის ნათარხნია“.

ნაკა-ი ბოლოს დაბადებული გოჭი ან სხვა ცხოველი, ჩვეულებრივ, სუსტი და პატარა. „ეს გოჭი ნაკაია“ (ა. კ.).



ნაკარკატნებ-ი ტარსიკონის — თხის ტყავის — წვრილ-წვრილი, დამუშავებული ნაკრები, ყიდულობდნენ მეუნაგირეებისაგან, ამზადებდნენ წაკერებულ-მოკერებულ ქალამნებს (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

ნაკევნარ-ი ნაცოხარი. „ავადმყოფმა საქონელმა თუ ნაკევნარა ამილა, აღარა უჭირს რა“ (ყ ა ზ ბ.).

ნაკელფავ-ი ნაფლოქვარი. ფლოქვჩანადგამი ადგილი (შღრ. ნ ა კ ლ ი კ ა ვ ი). „ზღვას იქით ვიყავ, ზღვას აქათ ვიმალებოდი ხარის ნაქალიკავჩივა, ცხენის ნაკელფავჩივა“ (შ ე ლ ო ც ვ ი დ ა ნ).

ნაკენჭალა-ი მეშის ნაქერი. მეში აღარ მაქუ, ნაკენჭალებილა დამრჩა.

ნაკუშლიანი-ი ხორბლეულის არაყი ბოლოს გამოსული, ოდნავ დამწვრის სუნის მქონე. „ნაკუშლიანი არაყი“; ქვაბის ძირში მიმწვრის გემო და სუნი. „ნაკუშლიანი ფაფა“.

ნალო შეშის კონა. „სათარის ხევზე შეშა მოვქერი, ორი ნალო ჩამოვთარე და ერთი ურემი გამოვიდა“.

ნამგლევ-ი მგლისაგან დაგლეჯილი ცხოველი; მგლის ნაპირალი. „ნამგლევს მგელი წაიღებსო; ნამგლევს მგლისააო“; „კორცს ნამგლევს ააჭრეს“ (ა. კ.).

ნამგლის კუდი-ი მკის დამთავრების შემდეგ 12 ცალი საუკეთესო თავთავისაგან გაკეთებული ჯვარი, ინახავდნენ ლეწვის დაწყებამდე (შღრ. ძ ნ ი ს კ უ დ ი).

ნამგლურ-ი სიმღერაა. „ცელო, გასქერ, გზის პირია (ხალხი მხედავს, სირცხტილია) ცელიც მიჭრის, ქადაც მისდევს), ჰარი-ჰარალეო!..“ (ტ უ ა რ შ ე ტ ი).

ნამდგულევებ-ი ნამსხვრევები, ნამტვრევები, ნატებები. „ყინულის ნამდგულევები მოჰქონდა წყალსა“.

ნამზად-ი სამკუთხედის ფორმის ქადა, შუაში გამოხატულია ტეხილი ხაზები ერთმანეთის გარდიგარდმო (გადაუკვეთავად). „ხატჩი ნამზადს წაიღებდეს, არაყს...“ „დედამ ნამზადი შამიქნა“.

ნამპალ-ი ჩრდილიანი და ნესტიანი ადგილი. „ნამპალის თივას მზორე შჯობია“.

ნამქრევ-ი ნაბნევი, მიმოფანტული მარცვლეული. „წისქვილს მარცოლი ემქრია და ნამქრევი კალთაჩილა აკრთე“ (ა. კ.).

ნამცქრია აღმასივით ლამაზი, ვერცხლის მძივისებური, ცქრიალა. „ნამცქრია გოგო მე დამრჩა, დღეს მე მყავს იგი ცოლად“ (ა. ყ ა ზ ბ., ლ ე ქ ს. 17).

ნამკრევ-ი, ნამკრეული-ი სვე, მწკრივი — მკის და თიბვის დროს ერთი ჩველით გატანილი კვალი. „მკის დროს თითოს ჩავლას რო ჩაიტანდეს, ის ნამკრევია“, 216; „გასთიბდეს ნამკრეულებადა“, 66; „ერთი ნამკრეული კიდავ ჩამაუარა და მამრე ცელი მიწაჩი ჩაასტინა“; „ნამკრევიჩივათ გამაავდა მიმყოლი მთიბავი, წამოეწია, გამოლევნა და მერე წინ წავიდა“.

ნამჯა-ი მომკილი ყანის ძირი. „თოვლი მოვიდა და ნამჯასლა სკამდა საქონელი“.

ნამჭავ-ი 1. ნაწვერალი, ნამჭა. „ნამჭავს ნეხტ-მიწაჩი გაურევდეს, კედელს ლლესაედეს, ბართიგაც გაურევდეს“.

ნანებურა ნებაზე(?) „მოვკრიბავ ქარებულასა, მოვდივარ ნანებურასა“ („ხარის ყოილას შელოცვა“).

ნანქერ-ი ნამქერი. „ნანქერიჩი ჩაფლულიყო ცოდვილი და გათოშილიყო“.

ნაპარევ-ი დოლის დაწყებამდე დაბადებული ბატკანი (სინ. ბიჭა ბატკანი). „დოლი დაიწყება თებერვლის მიწურილჩი, მაგრამ, თუ დაასწრა, ის იქნება ნაპარევი“. ყოჩი რო შაიპარება დედალ ცხორჩი დროზე ადრე და განერბავს. მაშინ ჩნდება ნაპარევი (კ. ქუშ.).

ნაპარტალი-ი ნაფლეთი, ნარჩენი, ნაგლეჯი. „მგელს ცხორი შეეჭამა და ნაპარტალის მეტი აღარა დამრჩალა რა“ (ა. კ.).

ნაპირყურებ-ი ყანების და ლობეების ნაპირები. „ნაპირყურები მოვეკენცლე და ერთი ბიენიანი ამოვიდა“; „ნაპირყურების თივა“.

ნარ-ი ფიცრის საწოლი, გრძელი ტახტი (სინ. პანდარი). „როცა დევი იწვა, ნარის ძირჩი შაძრო და ძირით სადგისი შაშხუთირა“, 93.

ნარა-ი მცენარის ძირკვი (ა. კ.).

ნასიშინდარ-ი 1. ადგილი, სადაც სიშინდი ეთესა; 2. სიშინდის ჩალის გადნაპერი ძირები, ყანაში დარჩენილი.

ნასხლეტ-ი ფარას ჩამოშორებული, მოწყვეტილი რამდენიმე ცხვარი.

ნატაშ-ი ქვის ნამტვრევი? წერილი ქვა-ლორლი. „ნატაში ქვის პატარა ნაფოტია“.

ნაფართუკნ-ი კონკები, დახეულ ტანსაცმელზე ჩამოკიდებული ნაგლეჯები. „ნაფართუკნი დაჰკიდავდა“ (ყ ა ზ ბ.).

ნაფერებ-ი დამგვანებული, ნამგვანები. „ეს ლეკუი ჩვენი ძაღლის ნაფერებია“ (ნ. ფერება).

ნაფერცხლარ-ი გადატ. ნათესავი, გვარის განაყოფი.

ნაფერკალ-ი 1. ქალამნიდან გამოღებული ბალახი (ქუჩი). წინდას არ იცვამდნენ და ამ ბალახს ყოველდღე იცვლიდნენ. 2. ნაფეხური, ნატერფალი აღამიანისა (შდრ. ნაკლეკი, ნაკელფავი).

ნაფუარ-ი 1. ყინვის დროს კალაპოტიდან გადასული წყალი. 2. მოდიდების შედეგად ნაპირებზე გადმოსული წყალი.

ნაფუტკნ-ი კუთერცხ-ი გაუნაყოფიერებელი, უმამლოდ დადებული კვერცხი. „ნაფუტკი კუთერცხი წიწილას არ გამაჯდის“, 245.

ნაფშენეტ-ი 1. ხელზე მოდებული ცომის გუნდის ნაწილები, ზელის დროს აყოლილი. „ცომის ზელა მოვათაე და ნაფშენეტები ქათმებს გადავეყარე“; 2. ნამტვრევი, ნამსხვრევი. „თფეში გაუფშენეტია და ნაფშენეტები ძირს ჰყრია“ (ა. კ.).

ნაფშუერ-ი ნაფხვენი, ნამცეცი. „პური აღარ გუქონია, ნაფშუერებილა ჰყრია“ (ა. კ.).

ნაფხტურ-ი ფხენილი, ნამცეცი. „ქადის ნაფხტური“. „ისრა გაკეერდა, რო ნაფხტური არ შავარდა, — ვიტყუთიკე“; „წილების ნაფხტურებ: დაუყარე!“

ნაქაჩალ-ი, ნაქაჩარ-ი, ნაჩლიქარი, საქონლის ფხნადგამი. „იმალებოდა კარის ნაქაჩარჩია...“

ნაქენც-ი ნაფხლენწი, ნაგლეჯი, ნაქუწი. „ქალაღები სულ ნაქენცებად აქცია“.

ნაქც-ი პირველი მატყლი, ერთწლიანი თოხლის პირველნაპარსი (როცა პირველად იპარსება ცხვარი — შემოდგომაზე ან გაზაფხულზე).

ნალჭრენწ-ი განაყვლეფი მატყლი, ყველფენ მკვდარი ცხვრის დაბალ მატყლს, რომლის გაკრეპაც ძნელია (ა. კ.).

ნაყეგ-ი 1. გაჩეჩილი მატყლის ნარჩენი; 2. ქვის მცირე ნამტვრევი. ნატეხი.

ნაყრა-ი ბოტ. მათიტელა (ა. კ.).

ნაშიშაქარ-ი, ნაშიშაქვარ-ი დედაცხვარი ორ წელზე მეტი ხნისა; ცხვარი პირველი მოგების შემდეგ, შარშანდელი შიშაქი. „გასუქდით, ნაშიშაქვრებო, მძიმე აიღეთ დოლია“ (ხალხ.).

ნაშურა-ი ძვირფასი ძაფებით ნაქარგი ქსოვილი. „ხორწილჩი ნაშურაის გუირგუინები იცოდინან, ტოლის მანდილი“...

ნაჩეხარა-ი უბრალო რამე ნიუთი. „ეგ რაილა ნაჩეხარაი გიყიდა“ (ც. ჯ. ო.).

ნაჩიმჩარა-ი წივის დაუშლელი ნავლი. „დომელი გამაქრო და ნაჩიმჩარანი-ლა დამრჩალი“ (ა. კ.).

ნაჩიმჩორალნ-ი ჩაუმქრალი ბართისა და ქურთის ნარჩენები (სინ. ნაჩიმჩარაი).

ნაჩხატ-ი 1. წყალ-ღვარისაგან ჩამორეცხილი ნიადაგი. „წყალი რო ჩამადის და ხრამავს, ნაჩხატია“, 132; 2. ჩამონადენი წყალი — კლდეზე მდინარი ან სახლის სახურავიდან. „ავდარს გემეცალა და ნაჩხატს მიუჭირა თავიო“. 3. ხევი, რომელზეც წინათ წყალი დიოდა, ახლა კი ბალახითაა დაფარული; 4. წყლის ნაშხეფი (სიონი); 5. იგივეა, რაც ნაბეჩხარი. „ყანა გამაიფიტებოდა, ნაჩხატი შაიქნებოდა, ნაბეჩხარი“.

ნაჩხატარ-ი ადგილი, სადაც წინათ წყალი დიოდა (იხ. ნაჩხატი. მნიშვ. 2 და 3). „ნაჩხატარჩი ცხორი უდგას“.

ნაჩხიბ-ი ცუდად გაკეთებული (ა. კ.).

ნაჩხონთ-ი ცუდად, უხეიროდ ნაქერი. „ქალას ნაჩხონთი ხალათი ეცო“.

ნაცად-ნაჯად-ი გამოცდილი, ბევრის მნახველი, თავგადანახელი. „მაგას ვერცრათით გააკუთრებ, ბევრსაა ნაცად-ნაჯადი“.

ნაძირალა-ი ხავიწი. კარაქს გადადნობის დროს, სუფთა ერბოს მიღების მიზნით, ურევენ სიმინდის ფქვილს, ერბოს გადმოწურავენ, ნარჩენ ფქვილს კიდევ უმატებენ ფქვილს და კეთდება ერბო-ფაფა — ნაძირალაი. „ერბოჩი მოხარშული ფქვილი ფაფასავით რო დარჩებაკე, ეგ არის ნაძირალაი“.

ნაწინდ-ი დაგირავებული. „ჩტენებს ჩემს ბალობაჩი სახლი გაუყიდეს ნაწინდჩი“.

ნაწინწალ-ი (ჩვ. მრ. ნაწინწლები) 1. იგივეა, რაც ნაწინწკალი, ნაპეწკალი. ფიგურ. „მომხედნა, თოლნი შემყარნა, ნაწინწლებ წამყრევი-ნა“ (მოხეური სიმღ. 66, IX); 2. წვეთი, შხეფი. „კაბაზე ერბოს ნაწინწალი მამხტა“.

ნაწკლეტ-ი 1. ნარჩენი, ნალექი, მღვრიე ნარევი. „არაყჩი რალაც შავი ნაწკლეტები იყო“. მდინარის ნაპირას, სიღრმეში დაწმენდილი წყალი, დასალევად ვარგისი.

ნაწურალა-ი გრძელი, მქისე მატყლი, რომელსაც გაჩეჩამდე გამოარჩევენ, რადგან მისი ქსოვილი უხეში გამოდის (ა. კ.).

ნაწუკ-ი ნაწვეთი. „ბანს წყალი გაღვარდა და ნაწუკი კედელზე ემჩნევა“.

ნაწურალა-ი, ნაწურელა-ი, ნაწურილა-ი ხის კაპების წმინდა და წვრილი ნაპირები; შეშის ნაკაფი.

ნაწყობ-ი ბზარი, ღრიჩო, ნაპრალი ფიცრებს შორის. „კასრს ნაწყობებჩი-გათ გასდის წყალი; კასრს ნაწყობებჩიგათ შაუდის ქარი“.

ნაწყუტე კოჭ-ი კოჭებით თამაშის დროს გატანილი კოჭი, რომელიც ბოლომდე არ მივიდა, მოხვდა რამეს ან ვინმეს. ასეთ კოჭს ტოვებენ იმავე ადგილას, სადაც შეჩერდა. „ნაწყუტე კოჭს ვეტყუთით, თუ ქვამ იწყვიტა ან მოთამაშემ ან დამსწრომ იწყვიტა“ (ნ. იწყუტეტს, შდრ. იშლის).

ნაკერ-ი 1. ლაზლი, სახლში დართული მატყლის ძაფი. „დართულ ნაკერებს ვიყენებთ ოჯახობაჩი“, 344; „ტარი ყუნალაზე შამააბუყულა და ჩონგიდან ნაკერებს უშტებდა“. 2. ნაკრით გამბული ნათესავი შორეული ნათესავი, მისხის მისხი. 3. ნაღრბობი. „წელი მაქტ ნაკერი“ (შდრ. წელისკრა).

ნაკკმენტ-ი ნაჩქმეტი; ნაბწყენი. „ნაკკმენტი მკლავები ჰქონდა“.

ნაკლეკ-ი, ნაკლიკავ-ი 1. ნაჩლიქარი, ხარის ფეხნადგამი. „ზღვას აქათ ვიყავ. ზღვას იქათ, ვიმალებოდი ხარის ნაკლიკავჩია“ (ხარისყოლისლოცვა). 2. ტალახიანი ფეხებით მოსვრილი, ატალახებული. „ღორების ნაკლეკია“.

ნახტეწ-ი ბურბუშელა, ნათალი, ნაშალაშინევი.

ნახშიორა-ი გადამდნარი ქონის (დუმის) ნარჩენი. „დუმას ან ქონს რო გადაადნობენ, იმას რო გამოეცლება სიმსუქნე და ბოლო დარჩება, იმას ვეძახითკე ნახშიორას“ („შინამრეწვ.“).

ნაკლეჩი-ი ნატეხი, ნაკერი. „ახალს ნუ გაკვლეჩ, ნაკლეჩი ყველი ამიღე კასრჩიგათა“.

ნაჯუნჯღ-ი ხელში ნაკერი, ნაკმუქნი, ნასრესი, ნაწვალეები. „კელჩი ნაჯუნჯღნი ვაშლი“; ნაქრუვალი, „ცხუტის ნაჯუნჯღნი დედაკაცი რადლა მინდა!“ (ა. კ.).

ნება, ნება-ნება ნელა, ნელ-ნელა, აუჩქარებლად; ზომიერად, თანდათან.

„ნებას უთხროდე“, 125; „ნება იარე. ყმაწვილო, გზათა ვერ დავლევთ რბენითა“ («ა მ ი რ ა ნ ი»).

ნებისნებასა ძალდაუტანებლად, მაინცდამაინც. „ნებისნებას ნუ აპყვები საჩხუბრად; ნებისნებას ნუ გემეღლაპარაკები“ (ა. კ.).

ნებობა შეება, მოკეთება, მომჭობინება, შემსუბუქება (ავადმყოფობისა). „აქამდე გონჯა ვიყავ და ეხლა ცოტას ნებობა დემეტყო“ (ა. კ.).

ნელად ახლახან, არც თუ დიდი ხნის წინათ, გვიან. „ეგ ნელად იყო, რომოცი წელიც არ იქნება გამასული“, 144. „აღრე ქიშტები ცხოვრობდეს იქა, ოსები ნელად მოვიდეს“.

ნელადი დოლ-ი ნაკვიანები დოლი. „როცა ნელადი დოლია, გაზაფხულის ბინაჩი რჩებალა ასიოდ ქორფა“; „ნელადი ბალახი“.

ნელადობამდე გვიანამდე, აქამდე. „ნელადობამდე კაცები წყალს არ ზიდავდეს, სირცხტილი იყო, ეგ ქალის საქმე იყო“.

ნელაზე გვიან. „დედავ, ჩამოდი, დედაო, ქალი ზის წყაროზედაო... ვაკშიათ ყველი და პური, გაუშვათ ნელაზედაო“ (ხ ა ლ ხ.).

ნემსკავ-ი ანკესი. „ახლანის ნემსკავითაც კალმახოვდენ“.

ნებჭ-მიწა ნაკელი და მიწა, ერთად შერეული, კედლის შესაღესად, ზოგჯერ ნაბაგურ თივას (ნ. მ ა რ ს ლ ი) და ნამჯას ურევენ და ისე ზელენ. „წინავ ლამ-კირი არ იცოდეს, ნებჭ-მიწას ჰმარობდეს“.

ნიადაგ, ნიადაგა, ნიედეგა ჩართული სიტყვა: რასაკვირველია, რა თქმა უნდა, „ცხადია, ნიადაგ, ეგრე იყო“; „არ შაუშინდა, ნიადაგა“; „თუ შაიძულა, არ მათწოვებს, ნიედეგა“.

ნიგზურა-ი მუგუზალი. „ცეცხლის ნიგზურაი“, 101.

ნიგრ-ი ღერო, მცენარის მუხლი. „ჯეჭილი რო ამავიდოდა, მუჯლს — ნიგრს გაიკეთებდა და მამრე თავთავჩი შესვლას იწყებდა“ (ხ უ რ თ ი ს ი).

ნივრის ხინკალ-ი ნივრის გულიანი ხინკალი, სამარხო და ღარიბული. „ციცკამ მუშანი შაჰყარა, ნივრის ხინკალი ჩაყარა...“ (ხ ა ლ ხ.).

ნიკურ-ი (ნიკურიანი) გამხმარი წვინტლი, დაგუნდავებული ცინგლი. ლანძღვა: „დეეგდე, შე ნიკურიანო!“

ნინიის ბანკ-ი იხმარება იმავე მნიშვნელობით, რითაც ნ ი ნ ი ა ს ბ ა ლ ი.

ნიორჟალა-ი(?) იხმარება შედარებაში: „ეგეთი კარტოხი ამადის, როგორც ნიორჟალაი“.

ნიუტრ-ი კორძი, ნუერი. „მთიულეთის კირცხილასა ბევრი ნიუტრი აქტ“; „ნიუტრივით მაგარია“.

ნირლ-ი სველის ანუ შრატის ადუღების შემდეგ ძირს დანალექი, ნადულარის ნალექი. „ნირლს წინავ არ ჩამდიან და ეხლა ვისლა უნდა!“

ნიუციებ-ი კალმახის (საზოგადოდ, თევზის) ლიფსიტები. „მსხტილეები არა გავამბი რა და ნიუციებილა დავიჭირე“.

ნიშანდაუდებელ-ი უპრილობო, ვისაც ხანჭლით კრილობა არ მიუღია სახეზე და სხვაგან.

ნიშხა-ნიშხა (შდრ. ბ ა რ ბ ა ლ უ კ ო ბ ა) თამაშია, ჩამოკვავს თამაშს. „ვისი სული გნებავს“. ჭგუფები მიმართავენ ერთმანეთს: „ნიშხა-ნიშხა, ბარბალუკა, ქალი გვინდა, ვისიაო...“

ნოლი ბალახ-ი მოლი, ახლად წამოზრდილი ქორთა ბალახი.

ნოტო-ნოტო ნაწილ-ნაწილ, ჭგუფ-ჭგუფად დაცალკეება. „ცხორს ნოტო-ნოტო დასხლეტა დაუწყეს“.

ნოყლ-ი შთამომავლობა. „შენს ნოყელს გაუმარჯოს“ (გ ო რ ი ს ც ი ხ ე).

ნუნა-ი რქის შიგნითა ძვალი (სინ. ხევსურ. ნ ე თ ხ ა).

ნუნუკებ-ი იხ. ნ ი უ კ ი ე ბ ი.

## ო

-ობ, -ობა, -ობად აწარმოებს მასდარის ფორმას და აძლევს მიზნის გარემოების მნიშვნელობას. ნადირობ წასჭლა. სანადიროდ წასვლა; თიობ წასჭლა სათიბავად წასვლა.

ობა ძ ვ. რ ე ლ ი გ. დღესასწაული, იმართებოდა სექტემბრის კენტ რიცხვში სოფ. კარკუჩაში. ხატში ანთებდნენ სანთლებს, სწირავდნენ ცხვარს წმინდა ო ბ ა ს, რათა მის შვილებს — 365 წმინდა გიორგის — ხალხისთვის სიკეთე და ბედნიერება მიეცა.

ოდა პოდა. „ოდა, იმას ვიამბობდი“.

ოდა-ო დაურთავენ სალანძღავ სიტყვას. „ნუმც იქნები, ოდა-ო!“ ძალის სისხლდასხმულო, ოდა-ო!“

ოზღან-ი ქედმაღალი, ამპარტავანი, უკადრისი. „ოზღანი კაცია“ (ა. კ. შდრ. ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, 1,509).

ოთხფეკ-ი ეფვ. ძალლი. „დაბით თქვენნი ოთხფეხი, თორო მამწუღება მკარწედა“, 4; „ოთხფეკს დეეგლიჯა ქალაი“.

ოიშე გაკვირვების შორისდებ. შდრ. ა ი შ ე.

ონაზე 1. უზოგავად, დაუნდობლად, უშურველად. „იმღებენი შეშა იყო, რომ მთელი ღამე ონაზე ვწვით“; 2. ძალიან ბევრი, მეტისმეტად. „ონაზე სქამს და სომს“.

ონდოლია-ი შფოთი, ჩხუბი; აურზაური, არეულობა, ორომტრიალი. „ისითა ონდოლიაი გემართა, არცრაი ისმოდა; ემ ბრძოლაჩი და ონდოლიაჩი ცხრანი გაწყდეს კიდავაცა“ (ხ უ რ თ ი ს ი).

ონჩარ-ი ორთქლი, ოხშივარი. „გეჯაჩი ონჩრის გასაციებლად [არაყის ხდისას] ჩაეხყრით ყინულსა“, 72; „პირით გავიდის ონჩარი“ (ფ. ა. 158).

ოროლობა ხალხის წყვილ-წყვილად სიარული ან საუბარი (ერობაში, საერთო შეკრებაში). „ოროლობას ნულა ღმარებთ, აქათვე იყურეთლა!“

ორბაღდა მარქაფა; მარხილში ან ურემში ცხენის შებმა სხვა ცხენის მოხმარების მიზნით. „ორბაღდად შენი ცხენები გამადგებოდა“.

ორფარდა ორმაგი. „ორფარდა კარი არ იყო“, 282.

ორძირა-ი დოლის ფორმის კურკელი ხისა, ზურგზე წამოსაკიდებელი, მთაში წყლის, რძის სატარებლად ხმარობდნენ. „საწველელაჩიგათ რძე ორძირაით ჩამაგტიტანა“.

ორჯოჯა-ი ეკლიანი მცენარე, მაღალ პუჩქად იზრდება, ქარი აძრობს და ცხვარს ეკერის მატყლზე: გ ა დ ა ტ. გაბურძენული. „ე მაგ კაცსა ორჯოჯასავეთ წტერი აქტ“ («შ ი ნ ა მ რ ე წ ე.») შდრ. ო ჯ ო ჯ ა.

ოსურა თამაშია ბურთით და ჯოხით: ბურთს ვაკკრავენ გარას (ტაფელას); მეორემ უნდა დაიჭიროს და უკან ესროლოს. თუ დაიჭირა, გამკვრელა გადის, დამარცხებულია, 241.

ოსურმხალა-ი ბ ო ტ. მხალია ერთგვარი.

ოღრიალა-ი ნახევრად შიშველი, ტიტლიყანა. „ღამიხედე ამასლა, როგორ ოღრიალი დადის“.

ოჩხარ-ი პურმარილიანი წვეულება, რომელსაც აწყობს ღარიბი, მაგრამ სანდო (ჩვეულებრივ, უცხვარო ან დაზარალებული) კაცი შესაწვევრის მიღების მიზნით. ამ დროს მწვეველთა შემოწირულობით, ხელის გასამართავად, 40-დან 200 სულამდე ცხვარი შეუგროვდებოდა. „ოჩხარით ცხტრის შეყრა; ოჩხარით შეყენება“.

ოჯოჯა-ი ბუჩქნარი ბალახია ყიზლარის ველებში, ქოლგისებური მოყვანილობის. მეცხვარეები იყენებენ საწვავად, ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ *кypa*-ს (ა. კ.), იხ. ო რ ჯ ო ჯ ა.

### 3

პალობანა თამაში — შეჭიბრება: უროს ერთი დარტყმით პალოს ვინ უფრო ღრმად ჩაასობს.

პანდარ-ი გამოთლილი გრძელი ხის ან ფიცრის საწოლი, ტახტი, გრძელი სკამი (ს ი ნ. ა ჭ ა რ. ს ე ქ ე ვ ი, შდრ. სვან. ბ ა ნ დ ა რ). „პანდარზე ახალი ჯორდაწერილი ცოლქმარი არ იძინებდა“.

პარკა, პარკა-ი თხელი ნაქსოვის პარკი, ამოყვანილი ყველის შესაწურავად. „წტელა რო დავიწყი, წინ პარკაი უნდა გეგტემზადა“.

პატარძლის გაყიდვა მ ო ძ ე. სახუმარო მოქმედება: პატარძლის სანახავად რაიმე მცირე საჩუქრის მიღება. საჩუქარს იღებდნენ პატარძლის მეგობარი ქალები ეჭიბისაგან, უსაჩუქროდ ნახვას უჭიანურებდნენ.

პატივი-ი საჩუქარი, თავზე გადასადგები ქორწილში, დედაკაცების მიერ მიტანილი რაიმე ძღვენი.

პატიმარ-ი 1. ე ვ ფ. ორსული. „პატიმრად ვარო და საძრახი დემედვენე-

ბო... ქალი იქნება თუ ვაჟი, ჩუენი იქნებაო“, 123; 2. პატიმრად ზ მ ნ ს. მთლიანად, სულ. „ცხორი დავკალ და პატიმრად თეთრი გადაიშალა“.

პატიობა პატივის, ნეტე-დედოფლის თავზე გადასაგდები საჩუქარ-შესაწევრის აკრება ქორწილის მეორე დღეს. „პატიობა დღეს ხალხი დაჯარდებოდა, ეჯიფე იღებდა საჩუქრებს; ვინმე ხუმარა იქნებოდა, დაიძახებდა: ვინ რამდენს ეწევითო — და პირობას ჩამაართომდა“.

პაშტანიკ-ი, პაშტენიკ-ი მამაკაცის ქვედა საცვალი.

პაწიკუა-ი პაწაწა. „პაწიკუა კაცი გამავიდა ქალაქის ცირკჩია, პაწიკუაი ცხენი გამაიყვანა“.

პევშა-ი პეშვი, ხელის მტევანი ნახევრად მომუჭული (შდრ. ც ა ლ ა) „პევშაით დავლიე წყალი“.

პენტვა-ი გადატ. ფ ი გ უ რ. თოვა. „სთოლზე რო დაიწყება პენტვა, ზოჯბისგა საშიში იქნება“.

პეპელ-ი ცხვრის ავადმყოფობა: ნაწლავებში წვრილი ჭია უჩნდება, სივდება.

პეპელა-ი თხელი პური, შოთი. „პეპელაი ააკრა“.

პეპეროზ-ი, პეპიროზ-ი პაპიროსი.

პერ-ი ქადი. „კარაქის დლობაჩი პერი რო ამოდის, დაწდება, ქუევით წავა.“

პეტაკ-ი რაიმე ნიშანი სახეზე, ნაიარევი. „ნაკმლევი შუბლზე პეტაკად აჩნდა“.

პეტრე-პოვლობა ძვ. რ ე ლ ი გ. დღესასწაული. პეტრე-პავლობა, იხდიდა სოფ. ხურთისი ივლისში.

პეწ-ი ბუსუსი, ღინღლი. „წიწილას პეწი სცუიოდა“.

პიპინებ-ს ბრიალებს, ჩახჩახებს (ცეცხლი). „ვეძის პირდაპირ დიდი ცეცხლი პიპინებდა“.

პირაქცევა (პირს აიქცევს, პირაქცეული) გაჭრა, გავარდნა, გაველურება. „პირი აიქცია და აღარავის ეკარება, პირაქცეული დადის“ (ა. კ.).

პირებგადაქმნილ-ი პირდაბლაგეებული, გაულესავი იარაღი. „პირებგადაქმნილი ხანჯალი“.

პირველა-ი დეკეული, რომელმაც პირველად შობა ხბო. „ეს დეკეული პირველია; ებო პირველაისია და იმიტომაა ნაკაი“ (ა. კ.).

პირიან-ი ქულ-ი ტყავისაგან შეკერილი ქული (შ გ ე ლ.); კრაველის ქული (ა. კ.).

პირიპირ სწორად, ბარიბარ. „წუელით-წუელამდე პირიპირ გამოვდივართ ჩუენ და ჩუენი უქდური: არც გოკლდება, არც გუჭარბდება. პირიპირ მეწუელი ეძახიან ისეთ ძროხას, რომელიც ხბოს მოგებიდან მეორე მოგებამდე თითქმის განუწყვეტლივ იწველის; პირიპირ მიცულა ქება-დიდების, ხობის შესხმა. იეგეთი აღამიანია, რო სუყველაი პირიპირ მიიციულიან“ (ა. კ.).

პირის აღება ძვ. სარძლოს ნათესავების მიერ შუამავლებისათვის თანხმო-



ბის მიცემა. „სილამ ყველაფერს მამზადებდეს, სალამდე საჭიროა ქალის პირის აღება“.

პირის აუვალემა კინკლავი, ჩხუბი, ლანძღვა-გინება. „არ ვარგა მეზობლებში პირის აუვალემა, უნდა დაუთმან ერთურთსა“ (ყ ა ზ ბ.).

პირის გადაყრა წინდის ქსოვის დამთავრება, წინდის ყელის გადაქსოვა. „ქსოვას რო დაემთავრებ, მამრე წინდას პირს გადაუყრა“.

პირის დაყოფა გალანძღვა. „პირი დეჰყავ და ეგრე გაგივადე, რო ძალი პურს არ გამათრომდა“; „მე სულ ტყუილ-უბრალოდ დამყო პირი“ (ა. კ.).

პირის დაჭერა 1. ძ ვ. რ ე ლ ი გ. თებერვლის დასაწყისში სამდღიანი მარხულობა მიცვალებულთა სულების მოსახსენებლად (შ დ რ. შ ე გ რ. პ ი ჯ ი - ჩ უ ა ლ ა). „დიდი მარხვის წინ ღამეს ჩტენი გორი ერთიანდებოდა პირის დაჭერით“ (ფ ხ ე ლ შ ე). 2. აღება. დიდმარხვის დასაწყისი წინა ღამე, როცა საგვარეულო თავს იყრიდა და ღამეს ათევდა დროსტარებით, მეორე დღეს მართავდნენ ნამცეცობას (ს ი ო ნ ი).

პირისმღვინე მერიქიფე(?) (ფ ა ნ შ ე ტ ი).

პირის ნიავი სულის შებერვა. პირის ნიავე დაყრის სულს შეუბერავს.

პირკუპრ-ი ფ ი გ უ რ. შაგვერემანი. ასე ამბობდა დალესტანს პარკუპრი ლეკის ქალიო (ხ ა ლ ხ. ა ჩ ხ ო ტ ი).

პირმათქომა-ი პირში მთქმელი, გულანძლილი. „არაყნასომზე იტყუიანკე — ახლანის პირმათქომაი, არც ვის ერიდებაო“.

პირობა ნაფქვავის მეტ-ნაკლებობა წისქვილში. „როცა ფქვილი ბლომად გაღმადის, ამბობენ: კარგი პირობა აქუ წისქვილს; თუ ნაფქვავი მცირედ გაღმადის, ამბობენ: პირობა არა აქუს, ვერ ახანებს; როცა ფქვილი იმატებს, იტყვიან — პირობაჩი ჩავარდა“ (ა. კ.).

პირს აკრევინებ-ს ასაქმებს, აღებინებს. „ჭერ გონჯა იყო და პირს რო აკრევინა, კარგა გავდა“ (ა. კ.).

პირსისწურივ გასწვრივ, სისწორეზე. „პირსისწურივ გაკერე, თორო დაგიმიწროვდება“.

პირსისხლიან-ი ქირისუფალი, ახალი მიცვალებულის პატრონი. „ვერ ვიმღერებ, პირსისხლიანი ვარ“; „პირსისხლიანი ოჯახი ვორცს არა სკამს“ (ა. კ.).

პირქუთე-ი ძირმაგარა. „პირქუთეი ნაწყენმაც იცის, პაერის დაცდამაც“.

პირყავლ-ი, პირყაულ-ი ლაპარაკი, სიტყვა-პასუხი, გამოთქმა. „ემეგას გონჯი პირყაული მახდევს (სჩვევია)“; „გონჯი პირყავლისაა“.

პირშაუქცევი-ი გამოუყენებელი, უხმარი. „დარი არ იყო, ვერც რაი ვერ გავთიბეთ, ცელები პირშაუქცევი დოგრაჩა“.

პირწაყრილ-ი როყიო, ყველაფრის მოულოდნელად და უადგილოდ მთქმელი. „პირწაყრილი კაცი არც ვის შეერიდება, არ იცის სად იზრანასა“.

პისტულიანი თოფ-ი ფისტონიანი ძველებური კაყის თოფი, რომელსაც კატსულზე მუგუზლის დადებით გაისროდნენ.

პკა-ი ბრკე, კუჭყიანი ქაფი. „მარილწყალს საყველე კასრჩი პკაი აქტ მაც-რილი“.

პრაწიპრუწით ზ მ ნ ს. გ ა დ ა ტ. გაპირვებით, ძლივ-ძლივობით. „დაღლილ-მა ცხენებმა აღმართი პრაწიპრუწით ამათავეს“.

პრაწუკელა-ი მანჭია, პრანჭია ქალი.

პურ-მარილჩი გარევა პურ-მარილის; მიღება და დანდობა. „მაგათ პურ-მარილჩი არ გავერევი“.

პურს ჩაულგამ-ს, ჩაუსტინებ-ს სოფლის საერთო მწყემსს გუდაში პურს (ყველს და სხვა სანოვაგეს) ჩაულაგებს. „ქირის გარდა, მწყემსს აქმევედეს იმ-დენ დღეს, რამდენი სული პირუტყვიც ებარა. „დღეს ჩემი რიგია, მწყემსს პური უნდა ჩაულგა (ჩაუსტინა)“ (ა. კ.).

პურკმულობა პურის ჭამა, პურმარილი, ქეიფი. „დიდი პურკმულობა გუ-ქონდა, სასმელი არ გოკლდა, შამაკრული და ხაბიზვინები“.

## ჟ

ჟალჟალი დანშრალი წყალი ან წყარო, რომელიც ოდნავლა წვეთავს. ჟალ-ჟალ ზ მ ნ ს. წვეთწვეთობით. „ჟალჟალ ჩამოდის ეგ ჩემი ცოდვით სავსე“.

ჟამის კჭირა შავი ქირი. ძ ვ. ც რ უ რ წ მ. უქმე ყველიერის წინა კვირას. ღვთაებრივი მოვლენის — შავი ქირის წინააღმდეგ სალოცავად (ა. კ.).

ჟგერი შქერი — მარადმწვანე, დაბალი მცენარე.

ჟიფიფი-ი, ჟიფიფა-ი ა ხ. ჯიბის ელექტრომაშუქი და მისი ხმიანობა. „მაუ-„მაუტერ კელსა, დაიწყებს ჟიფიფეს ეს საჭირველი ჟიფიფაი და წამაფა სინათ-ლე ნება-ნება“.

ჟიჟიჟი ქიქიქი.

ჟინჟილა-ი ა ხ. ხელით სატარებელი ფანარი. „ომი რო იყო, ერთი ჟინ-ჟილაი სალდათისგა ვიყიდე“.

ჟირჟლვა ჟინჟლვა.

ჟუჟვა სიცივისაგან ცახცახი (ნ. ი ჟ უ ჟ ე ბ ა, გ ა ი ჟ უ ჟ ე ბ ა).

ჟღარტ-ი კყინტი, ქორფა. „ჟღარტი სიმინდია, ჯერ არ დაპურებულა“ (ა. კ.).

ჟღრიალა-ი 1. ეჟვანი. „კუტიც კისერზე ჟღრიალები შავამბი“. 2. დაირის ფირფიტები ლითონისა. „შამახკრა კელი დაირასა და დაიწყა ფრენა ჟღრია-ლებმა“.

## რ

რა იმბარება როგორც კავშირის მნიშვნელობითაც. „ნაპირზე იდგა მხვეწარი. ხალხია ყველა მხრისაო და იქვე პირით გიგოლი, რა ვეფხი ჩადის ძირსაო“ (ხ ა ლ ხ. მ ა კ ა ლ., 278,97).

რათახანია რახანია, რამდენი ხანია, დიდი დროა გასული. „რათახანია მე ავღე და პურიც ვკამე“.

რაია რა არის. „მაჩტენე, რაია ეგა!“

რაი შუქისაა ირონ. რასა ჰგავს, რა სიფათისაა. „ერთი შასტქირე რაი შუქისაა!“

რაკ-ი ყინულის ფენა წყლის ზედაპირზე. „წყალს რაკი გედეკრა და კი-ლი ილარ გტქირდება“.

რამთუნენ-ი რამდენი.

რასთენ-ი, როსთენ-ი რამდენი.

რეკა-ი გამხმარი კუნძი (შ. გ ე ლ.). შ დ რ. რ ე ხ ა რ.

რეპკა-ი, რეპკია-ი იხმარება პატარა ძაღლის, ფინიას მნიშვნელობით. „ძაღლს მაინც დავეგლიჯე, არა უშავდა რა, რეპკაი რაილაც იყო“. გ ა დ ა ტ. ზ ი ზ ლ. ჩია ტანის კაცი. „ეგ რაილა კაცია, რეპკიას ჰგავ, რეპკიანი რო ლიდ ძაღლებს აიყვალებს, მაგანაც ეგრე იცის“ (ა. კ.).

რეტივნობა ცხვრის ავადმყოფობაა: წონასწორობას კარგავს, ეცემა. „ცხორ-მა კიდაე იცის რეტივნობა, თავჩი წყალი უდგას“, 116.

რეულობა არეულობა, ბუნტი. „რეულობის წლები იყო მაშინის, სიძქირე იყვისკე“.

რეჟე გამორჩეობა, გამოტვივებული. „რეჟეა, თავადაც არ იცის, რას ბატბატებს“.

რეშტი, რეშტაი, რეშტე შტერი, ლენჩი. „მაგან რაილა იცის, რეშტეა“.

რეცრეც-ი ბარბაცი, ტორტმანი. „რეცრეცით მივიდა ორმოსთან, უნდა ნახას — არის თუ არა ათერაი“.

რეცრეცა-ი ახ. კედლის საათის ქანქარა. „ჩამავხკიდეთ საათი და რეცრეცამაც იწყა გადენ-გამადენა“.

რეხა-ი გამხმარი კუნძი. „გარეთ რომ გამოველ, რეხაი გდებულიყო და სიბნელეჩი ფეკი წამავკირე“.

რიაჩი ცხვრის გასადენი შეძახილი. „რიაჩი, ცხორო, ბა-ბა-ბა...“

რიგების ყენება ძვ. მიცვალებულის გლოვა-პატივისცემის ადათ-წესების შესრულება (შ დ რ. დ ლ ი ა ს წ ე ლ ი).

რიკ-ი კული; პატარა, ხმელი, გამხმარი და გრძელი ღუმეა.

რიკა-ი პატარა ღუმეიანი ცხვარი. იხმარება: რ ი კ მ რ უ ლ ი, რ ი კ ღ ა შ ტ ე ბ უ ლ ი, რ ი კ მ ო კ ლ ე, რ ი კ ა გ რ ძ ე ლ ი.

რისხეულობა დარისხება, დაწყევლა, შეჩვენება. „რისხეულობა ძნელი იყო, ვერ იბედავდა ადამიანი“, 327.

რკინის უღელ-ი ძვ. ც რ უ რ წ მ. მავთულის რკალი, ატარებდა კისრით ავადმყოფის პატრონი იმ ხატის დღეობამდე, რომელმაც დაამიზნა მისი მახლობელი. ხატის დღეობაში ქალი მიდიოდა ფეხშიშველი, სამჯერ შემოიუვლიდა

ჩოქეთ ხატს, ავლებდა სამ პირად ნიშს ბამბის ძაფს, შემდეგ იხსნიდა რკინის უღელს და ტოვებდა ნიშის შუკუნში (ა. კ.).

რო, რომ იხმარება ნაწილაკების მნიშვნელობითაც: ხომ, აკი. „ქალი რო არა ხარ, მეხტეწებიო“, 56.

როცანის-ა როცა „როცანის ჩტენ გალმა გავედით, მაშინისლა დავინახეთ ეგენი“.

როჭიკად გამოთქმაში. „როჭიკად ვერ წაუვიდა საქნე“. საქმე კარგად, წალ-მართიანად ვერ მოეწყო.

რუდა, რუნდა გაჩეჩილი მატყლის მოზრდილი გუნდა. „მატყლს დავშჩე-ჩავთ და დავახრვთ რუდებდა“.

რუვი-ი რუ; ხევი; წვრილი გზა მთაზე ხის, თივის დასაცურებლად. „თივასა ვალდახს გადავაკრავთ და დავაქანებთ მითთ რუვზე“, 66.

რუყ-ი ხარვეზი, ორნატი, მოუხნავად დარჩენილი კვალი ხვნის დროს. „რო ვხნავდით, პატრონი გაუჯავრდებოდისკე, კარები რო გაუმრუდდებოდა. — რუყს ნუ აგდებ, რუყი დაგრჩისკეო“, 132

რუშიანი-ი კაბა ნაოჭებიანი, ფურჩალებიანი კაბა, ბოლოში თავისივე ნაო-ჭები აქვს შემოვლებული.

რქაძირიანი-ი, რქიძირიანი დაბალრქებიანი საქონელი, რქამოკლე თხა, ცხვა-რი, ოდნავ რომ ეტყობა და აღარ გაეზრდება. „რქიძირიანი შიშაქი შარშან ნერბობისას დამეკარგა“.

რქაწკუპა-ი ვაცის ეპითეტია, ტყუპად, თითქმის პარალელურად სიმაღლე-ზე გაზრდილი რქების მქონე ვაცი. „რქაწკუპაზე კი არა, მეორე, რქაგაშლილ ვაცზე გეუბნები“ (ა. კ.).

რქახტელებ-ი ყოჩების ეპითეტია (ა. კ.).

რქის ბეწუ-ი ხარის კავ-სახენელის ნაწილია: მხრისა და წირწენის გადა-საბმელი რიკი, სოლი.

რძევანა-ი იხ. ა რ ძ ე ვ ა ნ ა ი.

რძეონა-ი იხ. არძევანაი.

რძეძალ-ი საგინებელი სიტყვაა (ა. კ.).

რძეჭრელა-ი აღუღებულ რძეში ერბოს ჩამატებით მიღებული საჭმელი. „ცხო არა მქონდა რა და რძეჭრელიდა გაუქეთე ბალებსა“.

რხინი ლხინი. „საფეჯისო რხინი“.

## ს

საალიონოდ ალიონზე, გამთენიას. „საალიონოდ გადასცდი ჟუთის სამა-რე-გორასა“ (ხ ა ლ ხ. ა ჩ ხ ო ტ ი).

საბაკნე, საბაკნია-ი 1. ბაკნების ჩასაწყობი, ჩვეულებრივ, წნელის ჩამოსა-კიდი გოდორი. 2. ბ ო ტ. მცენარეა ერთგვარი — ლენცოფა, ქოითანასაც ეძა-ხიან.

საბალახო ძვე. საძოვრის ქირა, ბალახიანი ადგილით სარგებლობის გადასახადი რევოლუციამდე.

საბანდ-ი თასმა ბანდულების (ქალაქების) ამოსახმელად ან შესაკრავად.

საბარგე ადგილი, საიდანაც თივა ხელბარგევით უნდა გამოიტანონ (ს ი ნ. ს ა ზ უ რ გ ე, ს ა ტ ვ ი რ თ ე).

საბატკნე, საბატკნია-ი 1. ბატკნების ადგილი ცხვრის საზამთრო ბინაში. „ეს ბინა შედგებოდა: საბატკნე, საჩულე...“ 113; 2. ბატკნებისაოვის შერჩეული უნდილბალახიანი საძოვარი. 3. ცხვრის საშობელი. „საბატკნე თუ გამაჰყვება... წამააკრიან ტოლითა“, 268.

საბაყაყე ცხენის ფლოქვის რბილი შუა ადგილი, ნალის ირგვლივ (ნალით დაუფარავი. შ დ რ. ბ ა ყ ა ყ ი: ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, 1,497). „საბაყაყე ამასტერ, თორო ცხენი დაგიკოქლდება“ (შ დ რ. ლ. ლ ე ო ნ. ბ ა ყ ა ო).

საბერწე არამეწველი საქონლის — ბერწი ფურების, ხარ-მოზვრებისა, ცხენების — სადგომი ადგილი ბოსელში; არამეწველი პირუტყვის საძოვარი. „საბერწე მთასაც კქტია, იქ მეწუთელი საქონელი არ აგუყავ“.

საბეწუგარეთო ბეწვიანი ტყავის სამოსი (შ დ რ. ს ა ბ ე წ უ შ ი გ ნ ი თ ო). „ჩიკტის ტყავს ჳევსურები ყიდულობენ და იკერავენ საბეწუგარეთო და საბეწუშიგნითო ტყაებს, ორს-სამს კილო ერბოს აძლევენ ტყავჩია“ (მ ო ნ ა დ ი რ. 425).

საბეწუე 1. ხარის ხის გუთნის წინა ნაწილის (წირწენის) ნახვრეტები, რომელშიც გაიყრება რიკები და გამოებმის სამატი უღელზე მისაბმელად. 2. ცხვრის და თხის წინა ფეხის ჩლიქის ზედა ნაწილი. დაავადება: წინა ჩლიქების შუაში უხეში ბეწვი ჩაებმება და აკოკლებს. „ცხორს ქაჩები დაულპებაყე, თოლები დაუწითდება, საბეწუე თუ აქუ ჩამდგარი, ველარ იზამთრებს, თოვლს ველარ მასთხრის“.

საბეწუნელ-ი, საბეწუნელა-ი მატყლის დამუშავებაში დამხმარე ქალების ნაღი; მათი სამასპინძლო პურ-მარილი. „ზამთრის დედაკაცები საბეწუნელობ შაიყრებიან“.

საბეწუნელობ იხ. ს ა ბ ე წ უ ნ ე ლ ა ი.

საბეწურ-ი 1. იგივეა, რაც საბეწუე — ნახვრეტი, კრილი, გუთნის მხრის ან წირწენის თავში მსხვილი რიკის (ნ. რ ქ ი ს ბ ე წ უ ტ ი) ჩასასმელი ადგილი. „საბეწური წირწენის თავჩია ან მკრის თავჩი, იმაჩი ჩაუსტინიან რქის ბეწუი და ყდელით უღელს მიაბშიანყე“. 2. ცხვრის დაავადება, იხ. ს ა ბ ე წ უ ტ ე.

საბეწუშიგნითო გადაბრუნებული, ბეწუშიგნითმოქცეული ტყავის სამოსი „ჩიკტის ტყავს ჳევსურები ყიდულობენ და იკერავენ საბეწუშიგნითო ტყაებს: ორს-სამს კილო ერბოს აძლევენ ტყავჩი“ (მ ო ნ ა დ ი რ. 425).

საბეჭდი კუერ-ი ნამცხვარზე ჳვრის გამოსახულების გასაყეთებელი კვერი. „წინავ ყუერბული ვიცოდითყე, გამოცხობამდე ჳემოდან საბეჭდი კუერით ჳტრები გამაიყვანიან“ (ს ი ო ნ ი).

საბეკნი-ი რკინის ხელსაწყო, სავარცხელი, რომლითაც გაბეკნიან ნაქსოვს. „საბეკნით გავლბეკნითვე ტოლს“.

საბეჭურ-ი პერანგის სარჩული მხარ-ბეჭზე და გულისპირზე შემოვლებული (ა. კ.).

საბზანის-ი საბრძანისი, საბრძანებელი. ხატის (ნიშის) ადგილი.

საბზია-ი საბძელი.

საბინე ბინა: ბინისთვის — მწყემსების სადგომისთვის განკუთვნილი ნივთი ან მოსაქმეობა. „უფროსი რასაც იტყოდა, იმას აკეთებდიანკე ცხო მწყემსები, საბინეს კიდავ თავისი ერთი მზარეული ხყვანდა“, 300.

საბიძო ძვ. ურვადის დანამატი. ურვადის მიტანის შემდეგ სიძის ოჯახის მიერ პატარძლის ოჯახში მიტანილი საჩუქარი (ჩვეულებრივ, ერთი ძროხა). საჩუქარს ჩაიბარებდა სიმამრის გვარიდან უფროსი კაცი.

საბნელო სამგლოვიარო სამყოფელი, განმარტოებული ადგილი (სახლის ნაწილი ან სხვაგან). ზოგჯერ თვითდასჯის ფორმა, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით სავარეულო ციხის ბნელ საკანში 9—21 დღე ყოფნა და მსუბუქი შიმშილობა. „ცოლის გატაცებაზე კელმწიფე ძრიალ შასწუხდა და საბნელოში შავიდა“ (თო თ ი). წყევლა: „ჩასჯე საბნელოსა!“

საბოლო, საბოლოო მომავალი, შთამომავალი, მემკვიდრე. „ბედრიანია, კარგი საბოლოო ჰყავ“; „თითონ კარგი იყო და საბოლოო კი არ გამაადგა“; წყევლა: „ამავიწყდა საბოლო!“; ლოცვა: „დაგირჩა საბოლო!“

საბუჯებ-ი საბუხარი — ტყავის ხელთათმანები.

საგაზაფხულო ზაფხულობით ბატკნების სადგომ-საძოვარი ადგილი. „მამრე იმათაც ემატება ახალი ბატკნები და იმათაც საგაზაფხულოჩი გზავნიან“.

საგათენებლოს გამთენიას. „საგათენებლოს წრგწიე, სად მიდის ჩონი ცხორია“, 175.

საგამრჯელო გასამრჯელო.

საგებ-ი ადგილი, სადაც თივა დროებით აიგება ზვინად. „სათანდრები რო დაჯდებაკე, თივას მაშინის ჩამავხყრითკე საგებჩი“ (ყ ა რ კ უ ჩ ა).

საგერობელ-ი საწუწყაკარი, სასუსნავი, ნაყრი ძროხებისათვის. „არის ძროხა. თუ საგერობელი არ მიეცი, რძეს დამალავს: „იტყუიან: „საგერობელს მიჩტეული ძროხაო“. გ ა დ ა ტ. ქრთამი. „საგერობელი მამთხოვა“; „საგერობელი თუ უნდა“.

საგოგავ-ი აკენის ფეხები; აკენის ფეხების ჩასადგმელი პატარა თხრილი მიწაში. „მამრე გაუთხარიან საგოგავები, რაზედაც აკვანია დადგმული“.

საგორება-ი ბანებზე მიწის სატყეპნი კასრისებრი ფორმის ჭეა, ბოლოებში მობმული აქვს ხის სახელურები, წინ და უკან გორებით ზეგნენ მიწურ ბანს.

საგორველ-ი თეძოს ნაწილი, საქონლის ხორცის ყველაზე უკეთესი ნაწილი. „საუფროსო ეთქმის, საგორველი და მეჭი, ისები დაარიგვიანკე“, 156: „ყოვემა წმინდა სამების ადგილზე გამახრა საგორველი და ძოლი იქ დაავდა“.

საგორმეტო ძვ. საგვარმეტო, ურვადის დანამატი, სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს ოჯახის საბოძვარი (ძროხა, უღელი ხარი ან შეკაზმული ცხენი...) საპატარძლოს გვარის წარჩინებულობისა და უპირატესობის პატივსაცემად.

საგულე 1. გუდისათვის განკუთვნილი ტყავი თხისა. 2. გადატ. ზურგზე გუდის მომკიდებელი, ე. ი. ვაჟი. ვაჟის შეძენის სურვილი გამოთქმაში: „ღმერთო, მოგზეც საგულე“ — ამბობს მწყემსი, რომელიც თვითონ გულამოკიდებული დადის და ნატრობს, რათა გაუჩნდეს შემწე და შემცვლელი. ასევე ლოცავენ ფეხმძიმე ქალს — „საგულე გოგიჩინეო“ (ყ ა ზ ბ.).

საგულეებელ-ი თივის პატარა ზვიენების ასაგები და დასაყენებელი საიშელო ვაკე ადგილი მთაში, სადაც სათრევი მოხერხებულად უდგება ბარში ჩამოსატანად.

საგძარ-ი საგზალი. „ჩააწყო გუდაჩი საგძარი და წაულა“.

სადაგლია-ი ვივინდარა, უპატივცემლო, კაცად არ ჩასაგდები. „ერთი ამა-სალა, ემ სადაგლიამაც საქმეჩი ჩარევა მაინდომა, მაგრამ ყური არც ვინ ათხოვა“ (ვ. შ ა დ.).

სადედისძმო ძვ. ურვადის დანამატი. სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს დედის ძმისათვის ქორწილამდე მისართმევი საჩუქარი (ჩვეულებრივ, ერთი ცხენი).

სადეზო ცხვრის სამოძრაო საძოვარი. „ერთი თუის სადეზოლა აქუ ცხორსა“ (ა. კ.).

სადიდებო ღვთაების სალოცავად წარმოსათქმელი ტექსტის სახელწოდება (ს ი ნ. ფ შ., მ თ ი უ ლ. და კ ე ლ ო ს ნ ე ბ ა, დ ა მ წ ყ ა ლ ო ბ ნ ე ბ ა). „დიდებ-ბა ჰქონდეს ყირენის წმინდა გივარგის...“ (ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, მსე, 1, 1938. გვ. 5, 36).

სადოლე, სადოლო 1. დოლისთვის. „სადოლედ ვემზადებითკე“. 2. მოსაგები, დასადოლებელი „სადოლე ცხორს გავათავთავადებთკე“.

სადრეკებ-ი მუხლის უკანა მხარე, სახსარი (ა. კ.).

სადლეკარო დღის ბოლო, დასასრული. ს ა უ ბ. გ ა დ ა ტ. სადლეკაროდ სამერმისოდ, სახვალიოდ, უკანასკნელ ვადამდე. „შენ სუყელა საქმეს სადლეკაროდ მიიტანკე“; „სადლეკაროდ მაქუ საქმე მისული“ (ა. კ.).

საენცო საკვირველი, შდრ. ს ე ე ნ ც ი.

სავალა-ი გაკუთხული ბრტყელი და გრძელი ქვა, სწორკუთხა სიპი, ფიქალი, კედლის შენებაში იყენებენ კუთხეების დასაკავშირებლად, გადასათიხრად, ლავგარდანის ქამრად და სხვ. „ჭერ შადაგაი გავუყვალით, მამრე სავალაი დავალაგით სიგრძივ“; „ემაგ სავალას ნუ მასტებ, სავალად გამადგებო“

სავალდახე თივა ან გრძელი ბალახი (ნ. თ ა მ ა ი), რომლისაგანაც წნავენ ვალდახს. „სავალდახე დავგრიხით თივისაგა“, 133.

სავარცხალ-ი სავარცხელი. — საქსოვი დაზვის ნაწილი. „ქალაქის წინ არის

კიდავ სავარცხალი, რომენიც ლბეკნის ტოლს“; ფევის სავარცხალი ტერფის ზედა ნაწილი.

სავსედლა, სავსედ აქშ-ს ძვ. ც რ უ რ წ მ. არა აქვს. ძველად ოჯახის უფრო-სი ქალი სანოვავის უქონლობას არ დაიჩივლებდა, რადგან უბარაქობა არ დას-ჩემებოდა. არ ჰქონდა, მაგრამ ს ა ვ ს ე დ მ ა ქ ე ს ო, ამბობდა, როცა სასესხებ-ლად მეზობელს მიმართავდა. ასევე უპასუხებდა მთხოვნელსაც, თუ არ ექნე-ბოდა. „სავსედლა გოქ პური, შენმა სიცოცხლემ, თორთ არ დაგიქვრდი“.

საზღულ-ი სლოკინი. „ბავშუთი რო ასნოკებს, იტყუიან: საზღული აქუო, საზღული ამიდაო“.

საზუბელა-ი სატკეპნი, სატკეპნელი იარალი — ხის ტარიანი დიდი მორგვი.

საზოვე საზეავე, ზვავისაგან საშიში ადგილი. „საზოვეს მავარიდებთ თი-ვას, საგულბელჩი დავაყენებთკე“.

სათავე კარის ზემო ნაწილი, კარის თავი, თალი.

სათავნო მზითვეად გაყოლილი ცხვარ-ძროხა. „ეგ შენი ჰრელი აშურმა, ცოლის სათავნოთ ნაყიდი, ემავას ჩამაიციდებ, მაშ, რას ჰედლიღებს დაპყიდი!..“ (ხ ა ლ ხ.).

სათამაქო, სათამაქუთია სათამბაქოე ქისა.

სათაო ძვ. სათავნო; მეორადი მზითვეი, გათხოვილი ქალისათვის ჰორწი-ლის შემდეგ ოჯახისაგან მიცემული საჩუქარი — ძროხა, დეკეული ან ორი-სამი ცხვარი.

სათარ-ი (მრ. სათრები) სათრეველა, მთიდან თივის (ძნის, შეშის...) ჩამო-სათრევი ან ზინის ქვეშ დასადები მეჩხერი ლასტისებური წნული არყის ტო-ტებისგან. „სათარს დავსწნავთ, დავუგებთ ორს-სამს ფუთს თივას“, ნნ; „სათარს აქშ თავი, კული და ორი მვარი; სათარზე ვალდახით მაგრდება ბულულია“.

სათაურ-ი ქუდის ზედაპირი, ცა (ა. კ.).

სათემოდ გავდომა საქეყენო სალაპარაკოდ გახდომა, აუგად მოსახსენე-ბელი (ს ი ნ. ს ა უ ბ ნ ო დ გ ა ხ დ ო მ ა). „თავის მიმუნობით სათემოდ გავდა“; „სათემოდ გაიჯადა თავი“ (ა. კ.).

სათესავ-ი, სათესავა-ი კისერზე ჩამოსაკიდი კალათა, საიდნაც მთესველი ხენის დროს იღებდა თესლს და მიმოაბნევდა, 25მ; „სათესავს თხელი ფიცრის ძირი ჰქონდა. გურდები მაწნული და შიგაით სკუმპიათ გავოზილი, რო თეს-ლი არ დაბნეულიყო“.

სათითურა-ი 1. სათითე; მტკივან თითზე წარმოსაცმელი ტყავის ან ნაქ-რის ბუდე. 2. პატარა ნაჩვრეტი სადლობელში. „სათითურაი სადლობელს სუ-ლის საქეყვად შვირდებაკე“. 3. ორთითის (ფიწლის) წვერზე წამოსაცმელი წვე-ტიანი რქები.

სათიკნია-ი თიკნების სადგომი ან საბალახო ადგილი. „სათიკნიაი ცალკეა; საჯოვე — ცალკე“.



სათმეურ-ი, სათმეურა-ი 1. საქონლის კისრის მყესი. 2. კუნთიანი ხორცი, ძნელად სახარშავი. 3. თმის შესაკონი, სამაგრი.

სათოლ-ი სათვლელი, სათვალავი, რაოდენობა. „სათოლჩი როსთენი ცხო-რი გამაგივიდა?“

სათოლავი მძივი-ი ძვ. ც რ უ რ წ მ. ავგაროზი, გათვალვის საწინააღმდეგო მძივი, აკვანზე ჰკიდებდნენ.

სათოლმარჯო ძველებური მოხეური სახლის სულ ზედა სართულის ბანი, კოშკისებრ აზიდული, საზვერავ-სათვალთვალოდ; მარჯვე, მოხერხებული ად-გილი ან საქმე; თვალსაჩინო. „სათოლმარჯო ადგილია“.

სათოლმარჯოდ ზ მ ნ ს. ამბის გასაგებად, დასაზვერად. „იმ კაცს საქმე არა ჰქონდა, სათოლმარჯოდ იყო შამასული“.

სათრევი-ი მთიდან თივის (შეშის, ძნის) ჩამოსათრევი ძალიან ვიწრო გზა, ძველი რუ ან ლელე. სათრევზე დააცურებდნენ ან ჩამასთრავდნენ ზომაზე შე-კრულ თივას, შეშას.

სათქეფ-ი საფეთქელი (შდრ. ს ა თ ე თ ქ ი). „სათქეფებში ამტკივდა“ (ი ნ - დ ი ვ ი დ.).

სათხეთ-ი თხის ჯოგი, თხები. „იელაი ექამა და მთელი სათხეთი გამიწყდა“.

საიგაკ-ი ქურციკი, ველის ჯეირანი.

საიწლიოდ მოსულა, წასვლა ქორწინების შემდეგ გათხოვილი ქალის სტუმ-რად მისვლა მამის ოჯახში რამდენიმე ხნით. „საიწლიოდ არის მამეულთას“.

საკანთილო, საკანთიელო 1. საკვირველი, საოცარი, უცნაური. „საკან-თიელო რაიმე ხარ, რაი მაგივიდა, რაისთუი ჰკივი?“ 2. სამასხარაო, საქვეყნოდ ასაგდები. „შენ სულ საკანთილოდ გაჰვდივე სუყელასა“.

საკაპრე კაპარის ქურქელი, ქვაბი. „საკაპრეს ქობს მაურევედეს“.

საკარტოხე, საკარტოხიაი საკარტოფილე ნაკვეთი. „სახლი მაქუ და ცოტაი საკარტოხე მიწა“; „საკარტოხიაჩი ჩავიდა ქარჩობა“.

საკაცე საკაცო — კაცებისთვის განკუთვნილი, უფროსი ნამაკაცების და-სასხდომი მხარე და ავეჯი ოჯახში.

საკდემელ-ი დიდი ბრტყელი ქვა ხატის გალავანში, მასზე კრიან ქალებს.

საკედე საურდულე, ნ. ს ა კ ე დ უ რ ი.

საკედურ-ი, საკედურა-ი 1. ტყავის საზელი კეტის ადგილი, ღრმული საღენ-ქელში; 2. ასეთივე ღრმული, ხვრელი კარსუკან, საურდულე. „ურდული სა-კედურაჩი შედიოდა და კარი მაგრა იკეტებოდა“.

საკევი-ი შაკივი. „საკევის ქარი მოსულა სათიბეთა უკენა...“ (შ ე ლ ო ც ვ ი - დ ა ნ).

საკეცეთ-ი კეცისთვის და სხვა დანიშნულებით სახმარი ცეცხლგამძლე ქვის ქანების ადგილი. „საკეცეთები არშასა და ცდოჩია. საკეცეთის ქვები ზა-ფხულის მთაჩიც აგუქონდისკე, ცეცხლი დიდ ხანს ძლებდა“.

საკინწიალო წისქვილის სარეკლას დასამაგრებელი.

საკლავ-ი რაც უნდა დაკლან. ჩვეულებრივ, ხმარობენ ცხვრის მიმართ. „საკლავს დავეკლავდით დღეობებზე; სიძიანთ საკლავის მიყვანა იცოდინაჲ ეკორწილიჩი“.

საკლიტურა ნაჭი, რბილი სასის ბოლო, ენის კლიტე.

საკლოოდა საგაისოდ, სამომავლოდ.

საკოდელა-ი საკოდელი, — წისქვილის ქვების მოსაკოდი. „მკედელს საკოდელაი დავაწუტრინე“.

საკოლთ-ი საკორთული — შესაკრავი ღვედისა ან თოკისა. „ბარდანაის საკოლთი“.

საკოლთურ-ი შესაკრავი, შესაკონავი ღვედი ან თოკი (შდრ. ს ა კ ო ლ თ ი).

საკოპე თასმების გამოსაპრელი ტყავი; ქალამნების თასმა. „საკოპე გამაყხიე“: „საკოპე დამაკლდა და კოხუჯები ამასასხამი დამრჩა“ (ა. კ.).

საკოპურ-ი მარხილის ნაწილი, — ხელნაზე რიკების დასაყრდენი.

საკრეფელ-ი ხისკბილებიანი ფოცხი, ნათიბის მოსაგროვებელი. „გათიბულს საკრეფლით მიხყვებიან დედაკაცები და ხტეტენ“, 66.

საკულ-ი სათარზე თივის გადასაკრავი საბლის ნასკვიანი ბოლო (შდრ. ა რ ტ ი).

საკუთ-ი ძვ. ქალის დასანიშნად გამოყენებული სამახსოვრო იარაღი — დანა. ხანჯალი. დამბაჩა ან სხვა, რასაც სასიძო უგზავნიდა სარძლოს მისი ძმობილის ხელით. ამის შემდეგ ქალს სხვაზე გათხოვების უფლება ეკრძალებოდა (ეკვეთებოდა).

საკუთიან-ი კვეთილიანი, საკვეთმილებული — სხვაზე გათხოვების უფლება ჩამორთმეული.

საკუღვე-ი, საკუღელი პური ძვ. ც რ უ რ წ მ. საკვლევი, მისალოცი, პური, შობის წინა ღამეს, საახალწლოდ ან ხვნის დაწყების წინ გამომცხვარი ყუერბეული (ნ.). „აცხობდეს ბედის კუერებს და პურებს. საკუღვე პურს ინახავდეს, ახალწლის დილას ოჯახის უფროსი მას გარეთ გაიტანდა, დაანახებდა ცას, შამიიტანდა, კერას სამჭერ შამაველებდა, გადატეხდა და თან ქერის მარცვლებს მიმოაბნევედა — ესრე გამრავლდითო“.

საკუმპიე 1. სანეხვე; 2. ლეწვის დროს კალოზე ხარის ნეხვის დასადები. „რო არ დეეკუმპა კალოზე, საკუმპიე გუტეკირა და იმას მივაშუელიდით“.

საკუნწურ-ი იხ. ს ა ყ უ ნ წ უ რ ი.

საკურთელ-ი კირკალის (ოდრიკალის) თავების შესაკრავი (ჩამოსაცმელი) თასმა (შ. გ ე ლ.).

საკურთულ-ი 1. საკვართული; 2. იგივეა, რაც ს ა კ უ რ თ ე ლ ი.

სალამდე სანამ; ვიდრე. „იქ მეტი სითბოა, სალამდე აქა“, 162.

სალანგავ-ი რბილი სალესავი ქვა, პირის ასაწყობი (ა. კ.).

სალაღობო ტაფაზე შემწვარი გულიანი ალტამა. „ორ-ორი სალაღობო დოგირიგეს მწყემსებს და ჩტენც გემოზე შავჭამეთ“.

სალევართაკე სიკვდილის პირზე, გათაეებაზე (ავადმყოფობით დასუსტების გამო). „აღარას მატობს, სალევართაკეა წასული“; „პირი სალევართაკე აქუ, პირი სალევართაკე ქნა“ (ა. კ.).

სალექსო, სალექსობელი სალექსებელი; ლექსის თქმის გასამრჩელო. „სალექსობელი შაკრიფეთ ფარაზე თითო ცხვარია“, 176.

სალექსოდ გაკლომა შერცხენა, გამასხარაება, გაშაირება. „სალექსოდ არ გაკდე!“

სალტე რკინის ნახევარწრიული რგოლი, კვიანი ჯოხის გასაკეთებლად (ან ცელის პირის დასამაგრებლად ცელის ტარზე); იყენებენ ცხვრის ჟესში გამოსადებად და დასაჭერად.

სამ რამე; სადმე, სადღაც; რაღაც. „წასული სამ ყოფილა“. 213: „საქმე სამ მაქუსო“, 319; „ამირანისას იტყუიან სამ, რომ ლეთის ნათლულიაო“, 316.

სამაგრია-ი მსხვილი საბელია, იყენებენ თამაშობა-შეჯიბრებაში. ერთ ბოლოში ერთი ჭგუფი ეზიდება, მეორეში — მეორე; ვინც დასძლევს, გამარჯვებულია.

სამაღავა-ი ძველებური მოხეური სახლის კოშკში ასასვლელი საიდუმლო ხერელი ან მეზობელთან დასაკავშირებელი გვირაბი — დარანი.

სამაღვითო დასამალავი, საიდუმლო. „სამაღვითოდ აკეთებენ საქმეს, სამაღვითო არა მაქუ რა“ (ა. კ.).

სამამისძმო მამისძმობისათვის განკუთვნილი საერთო სალოცავი ხატი, სამხთო და სხვა (ვ. ი თ ო ნ ი შ ვ.).

სამართ-ი 1. ცელის ან ნამგლის გამოსაპირავი, პირის გასამართავი რკინის სალესი. „სამართს ეძახოდეს, იმით გაუმართავედეს პირსა“, 65: 2. საკიდლის — კერიის ჯაჭვის — კავი, რომლითაც მოკლდება ან გრძელდება ჯაჭვი. „სამართს ჯაჭვის რგოლჩი გამასდებ და ქობს გინდა ცეცხლის ანლონ დააყენებ, გინდა — შორს“.

სამართლისა დეკეული, რომელიც თავისი ხნოვანების შესაბამისად, დროულად მაკდება და მოიგებს ხბოს (ს ი ნ . მ ა რ თ ი ა ნ ი). „სამართლისამ მიიგავბო“ (ს ა პ ი რ ი ს . უ მ ა რ თ ი ს ა).

სამაროვნობა ძ ვ . რ ე ლ ი გ . დღესასწაული. „სამს ხატი იცოდიან გასვლა: წუერობა, დარყეობა; სამაროვნობა სამშაბათს მოდიოდა“, 304.

სამართო შკამი იგივეა, რაც მ ა რ ტ ო შ კ ა მ ი .

სამარჩელო დავა-ცილობის გადამწყვეტი, გამრჩევი. „გადასცეს კევის სამარჩელო კაცებსა, რო ეს სახელი გოჭმიეს ჩუენ“.

სამარცხლია-ი ნაველა, ჭამჭამა, ხვიმირის ბოლოს მიბმული ღარი.

სამარჯუე საქმე ადვილი, მოსახერხებელი საქმე. „თავისთუი სამარჯუე საქმე დაიგდა, ჩუენ ემ ჯოჯოხეთჩი გოდმოგყარა“.

სამატყლია-ი მატყლის შესანახი ადგილი. ნ . ს ე ნ ა .

სამახა-ი, სამახია ბოტ. სარეველა მცენარე — გონგოლა, საცოცხია. „ეგ ვარის ნაბინავარი სულ სამახიას დაუქერია“.

სამახუხე მახობის მოსამზადებელი ჭურჭელი. „სამახუხეჩი ჩავხურითვე ფქტილსა და თბილ წყალს დავასხამთვე, თბილად რასმე დავხურავთ“.

სამბელა-ი საქსოვი დაზვის ნაწილია, შეს და სავარცხლის ჩამოსაბმელი თოკი.

სამბილობელა-ი ქალის პერანგი (ა. კ.).

სამბო ძირმაჯარა. „კისერზე სამბო გამიჩნდა, ძრიალ მტკიოდა“.

სამბურ-ი 1. სამბური, საბელი, პირუტყვის დასაბამი თოკი; 2. ბოსელი; დასაბამი ადგილი.

სამგლე, სამგლია-ი ცხერის თევ-კისრის შეერთების ადგილი. „სამგლია იმისთჳი დახჭინეს, ითომ აქ ჩაავლებს მგელი კბილებსაო. კისერი თავდება სამგლიათი, არ იქმება, გონჯი ჯორცი აკრია“.

სამგორველ-ი 1. იგივეა, რაც საგორველი (ნ.) 2. საქონლის მენჯ-ბარდაყის სახსარი; თედოს ან ბეჭის ძვლების სიღრუის ირგვლივი ნაწილი. „უკანა ბარკლის სამგორველი“, 310.

სამებობა ძვ. დღესასწაული გერგეტის წმინდა სამების ეკლესიის სახელზე.

სამთხრობლო მოსათხრობი, საამბობი, მისატანი ამბავი, საახალამბო. ირონ. „ეგ რაი უთხარ, რაი მაგცეს სამთხრობლო?“

სამთხულ-ი საფრთხობელა.

სამიწია-ი ადგილი, სადაც იპოვება ბანზე დასატკებნი წყალგაუმტარი, მკერივი (აყალოს, თიხამიწისებრი) მიწა.

სამკაკა-ი ჩიტია (უწოდებენ სნოსწყლის ხეობაში). იხ. ზემკაკაი.

სამკანჭა-ი სამკუთხა შემის ნაქერი, რომელშიც გამოკრულია შელოცვილი მძივი (ნ. სათოლავე მძივი) და შებმული აქვს კარგ ცხენს კისერზე გავალვისაგან დასაცავად (ა. კ.).

სამკერდულ-ი ცხენის მკერდზე შემოსავლები მოსართავი. „მოსართავები ბევრია: საბუე, აღტირი, სამკერდული, აეშარა...“ 254.

სამკლაო იგივეა, რაც მკლავი — ზომის ერთეული: იდაყვიდან მაჯის ბოლომდე, წყრთა. „ოცი სამკლაო ტოლი მაგქსოვიკე ერთ კუტირაჩი. ფიგურ. ერთი სამკლაო მიწა შამხტდა წილჩი“.

სამკუტებარ-ი, სამკუტებრო გამოკვება-შენახვის საფასური, რომელიც მიმბარებელი (გამცემი) საქონლის პატრონმა უნდა გადაიხადოს. „სამკუტებროდ ცხორ-თოხლი გამივა“; იტყვიან გამოსაკვებ საქონელზე. „რომთენი გყავ სამკუტებარი?“

სამნათო, სემნათო ძვ. მნათეს განჯარგულებაში არსებული ქონება; მნათეს უფლება-მოვალეობა. სამნათო მამული გარკვეული გვარის, უბნის, სოფლის ან თემის კოლექტიურ სარგებლობაში და გამგებლობაში არსებული მა-

შული (სახნაგ-სათესი), რომელსაც მორიგეობით ამუშავებდნენ და შემოსავლით სათემო ან საგვარო დღესასწაულებს (ჯვარობა, გიორგობა...) იხდიდნენ.

**სამსხმო მუწუკები.** „სამსხმო გადმამაყარა (=გამომაყარა)“.

**სამურებ-ი, სამურება-ი, სამურებელ-ი** სიციხის მოსარადებლად ცხვრის დასამურებელი, დასასვენებელი, შესაფარებელი ადგილი.

**სამუცროსო საუმცროსო** (იხ. მ უ ც რ ო ს ი), უმცროსებისათვის განკუთვნილი (ადგილი, ნივთი, საჰმელი).

**სამლარ-ი** სამი ღარის — ჩაღრმავებული ზოლის მქონე. „ეთერსა ცხენი რად უნდა, დანა უბოძეთ სამლარიო“ („ე თ ე რ ი ა ნ ი“, ტ ყ ა რ შ ე ტ ი).

**სამყარო 1.** მაგარი, მყარი ნიადაგი სახლის საძირკვლის ძირში, საფუძველი, რაზეც ემყარება ბალავერი. „საძირე მაგარს მიწაზე უნდა დავიდეს, სამყაროზე, ნაძრავი მიწა უღალატებს კედელს“, 155; **2.** მაგარი და ყვათელი მიწა, მოსავლისთვის უვარგისი. „სამყარო მიწა ყანად უვარგისია, სამყაროზე იფრო მეტად ესახლებიანკე“.

**სამყოფ-ი, სამყოფელ-ი, სამყოფო** ყველაზე დიდი ოთახი ძველებურ მოხეურ საცხოვრებელ სახლში, საჯალაბო. „სამყოფო მოსდევდა კარსუკენას, მისგან გამოყოფილი იყო ლასტის ტიხრით“.

**სამჩულია** იგივეა, რაც **ს ა ჩ უ ლ ე** — თბილი, დათბუნებული ადგილი ცხვარ-ბატკნისათვის. „მამრე სამჩულიაჩი შარეკენ ცხორსა“, 301.

**სამძროხო 1.** ძროხების მწყემსობის გასამრჯელო. „კაცს დაუყენებთ ძროხებს მთაჩი, პირობა ექნება, რო სრულად ეკადას სამძროხო“ (კ ა რ კ უ ჩ ა).

**სამწერლოდ წერაზე, ავ ბედზე:** „ეგ კაცი თავის სამწერლოდა ავარდნილი“.

**სამწუნებელ-ი, სამწუნვარო** ძვ. ჯარიმა, რომელსაც სასიძო (ან რაიმე მიზეზით ცოლს გაშორებული ქმარი) გადაუხდიდა სარძლოს ოჯახს დანიშნულის დაწუნების (უარის) შემთხვევაში. ეს ჯარიმა ზოგჯერ 50 ძროხას ან მის საფასურს შეადგენდა, სერთოდ, ურვადის ფასს ეტოლებოდა.

**სამწყალობნო** დასალოცავი, დასამწყალობნებელი ადგილი, ნივთი... „სამწყალობნო სამანს ეძახიან ემასა“, 50.

**სამქეო** საბჭო, სათათბირო ძველ ხევში. „კაცებმა უთხრეს, რო სამქეოს გადავსკათ და ისინი დაასაჩუქრებენ...“ 304.

**სამხდო, სამხვთო, სამხთო** პურ-მარლის, წვეულების, ღვინის გამართვა სახლის აშენების, ავადმყოფობისაგან ან რაიმე განსაცდელისაგან გადაარჩენის, ბრძოლიდან დაბრუნების ან სხვა შემთხვევის გამო მოსალოცავად მოსული ხალხისათვის.

**სამქარ-ი** სამხრე, სამხრეული, ტვირთის ასაწევი საბელი, ბოლოში რგოლათ არის გამოყვანილი მხარზე გადასაცემლად.

**სამკრეულ-ი** მხრებზე წამოსაცმელი, უსახლოებო ყილეტი მატყლისა ან ბამბისა.

სანაგდია-ი იგივეა, რაც სადაგდიაი — უქნარა, უშნო ადამიანი, რომელსაც არავენ არაფრად აგდებს. „ჩემი ძმა არც უწინ იყო სანაგდიაი და არც ეხლა“: „ეგრე ჰყავთ ჭალაბჩი რძალი, როგორც სანაგდიაი“.

სანამგალო ცხორი სამეზობლოდ მდგომი ცხვრის ფარები (ა. კ.).

სანაპირო (ჩ. ვ. მ. რ. სანაპიროები) ქვის სიპები, რომლებიც შემოწყობილი ჰქონდა ეგვლებური მოხეური სახლის ბანს ნაპირებზე.

სანაყრია-ი პირუტყვის უკანალი, უკანა გასავალი (ა. კ.).

სანაჩხატი, სანაჩხატე სახლის სახურავიდან გადმონადენი წვიმის წყალი ან ამ წყლის სადინარი მილი, ღარი (ლითონის, ქვის, თიხის, ხის). „სანაჩხატის წყალს ვაგროვებდით და ძრიალ გტშელოდა“; „ავდარს მევეცალე და სანაჩხატეს მიუჯეო“ (ან დ.).

სანაჰია ბალახია, სავალდახედ, — თივის შესაკონად იყენებენ. „სავალდახე დაეგრიხით, მავიტანით სანაჰია“; „სანაჰიობ წავიდოლით“.

სანაჰრე წვრილად დართული მატყლის ძაფი, ხმარობენ საკერავად. „სანაჰრე დავასთე“.

სანახავი-ი კრილობამ რომ პირი არ შეიკრას, დოსტაქრები შიგ ტოვებენ მალამოიან ჩვარს ან კანაფს, რასაც უძახიან სანახავს ან ფილთას (ა. კ.).

სანახავად მისვლა, სანახაობა ძ. ვ. 1. დანიშნული ქალის მოკითხვა ძღვენით ვაჟის ოჯახის მხრიდან. 2. გათხოვილი ქალის მოკითხვა მამის ოჯახის მხრიდან ძღვენით, საჩუქრებით და დედისაგან მირთმეული სამზითვო სკივრით.

სანერბი-ი დანერბვისთვის, განაყოფიერებისთვის დატოვებული დაუკოდავი ყოჩი. „ეს ყოჩი სანერბად დავაგდე, არ გამიკეთებია“ (ნ. გ ა კ ე თ ე ბ ა).

სანკაკა-ი ჩიტია ერთგვარი, რუხი ფერის გული და წითელი შუბლი აქვს (შდრ. ზ ე მ კ ა კ ა ი).

სანსალები-ი წყლის წვრილი ბაყაყები ან ჭიები.

სანსალიანი-ი სანსალათი — წყლის პატარა ჭიით — სავსე. „რუეჩი სანსალიანი წყალია, არ შეიძლება ცხორს დააღევიანა; თუ სანსალიანი წყალი შაჰყვა, ხსენი, ან უმი რძე და არაყი უნდა დალიას პირის სასაქმებლად“.

საოთ-ი სავათი (ფრინველი).

საოტი არა აქტ-ს სატეობა არა აქვს, ვერ ეტევა, სივიწროვეა, სიმკიდროვეა (ს ა პ ი რ ი ს პ. ს უ ლ ფ ო ნ ო ბ ა, ს უ მ ფ ო ნ ო ბ ა). სენაჩი საოტი აღარცა მაქტ, კასრებით სავსეა.

საოფლია-ი ჩლიქშუა ადგილი. „ცხორს ფეკებჩივ აქტ ქაჩი, ქუცუცი, საოფლიაი“ (კ ა რ კ უ ჩ ა).

საოც-ი ძილი. „წუხელ მთელი ღამე საოცი არ მამივიდა“ (ა. კ.).

საპირავი-ი 1. გამოსაპირავი, გასალესავი. 2. გამოსასვლელი წყლული, გამოსარწყავი მუწუცი. „სამზო საპირავად მაყრილია; იხვლი საპირავად შაიყარა“.

საპირე საცხვირე, ალიკაპი, სატუჩური წნელის პირბადე. „[კალოზე] კარს

საპირეს ვუკეთებდით, ტყის წნელით გავაკეთით გირგოლი, ის ამავაკრითვე ტუჩებშია“, 216.

საპირიან-ი ტყავის დაბალბეწვიანი ქუდი. „საპირიანი ქუდი“ (შდრ. უ ს ა პ ი რ ი ქ უ დ ი . ა . კ.).

საპირიქითო ჯვრის უღელტეხილის სამხრეთი (მთიულეთი და მიმდებარე კუთხე). „საპირიქითოდ ემზადები“.

საპოვნე საპონი.

სარათა-ი საძოვრებს შორის საზღვრების მაჩვენებელი ნიშანი, იყენებენ ყიზლარის ველებზე. მალალ სარზე თივას, ბალახს ან ძველ ბოხოსს ჩამოაცვამენ, რომ შორიდან გაარჩიონ საძოვრის მიჯნები.

სარაყუდა-ი ი რ ო ნ . იტყვიან მალალ აღამიანზე.

სარბოლალ-ი სარბოლი, საჯირითო, სასპარუზო. „ერთი მთა გინდა საძოვარი ცხენისთუთო, ერთი მთა გინდა სარბოლალი“ (გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ი მ ა მ ა კ ა ც ი ს დ ა ტ ი რ ე ბ ი დ ა ნ , დ ა ბ ა ყ ა ზ ბ ე გ ი).

სარეველა-ი ჯონი ან ჩოგანი არაყის ხდის დროს გეჯაში წყლის მოსარევად და მოსანელებლად.

სართ-ი (ჩ ვ . მ რ . ს ა რ თ ე ბ ი) ურმის ნაწილია: ღერძა და ხელნას შუა დანამატი. „ურემს აქუ კელნები, ხარიხები, ჭალები, სართები, ღერქი...“ (ყ ა რ კ უ ჩ ა).

სართავ-ი (ჩ ვ . მ რ . ს ა რ თ ა ვ ე ბ ი , ს ა რ თ ე ბ ი) კედლის ან კარ-ფანჯრის თავის შემკვერელი, გრძელი ოთხკუთხად გათლილი ქვები; შენობის ტანზე დაწყობილი შემკვერელი ხეები; ქვრის ხეები. „სართები გრძელი ქვებია ჭაჭისა. კედელს დაეურთავთ ფანჯრებს, ზედ გავურთავთ სართებსა. კარებსაც ზედ სართავი უნდა, — კარსართავი“.

სარიგაო ყანა ძ ვ . მამის დანატოვარი ყანა, რომელიც შეილებმა არ გაიყვეს და ამუშავებდნენ მორიგეობით.

სარიდალ-ი ტ ა ბ უ : გველი. „სარიდალი თუ სახლჩი შააპარა, რძეს მასწებნისო“.

სარივე, სარუვე წყლის ხელოვნურად გაკეთებული სადინარი, რუ. „წისქტილის სარივე გავაკეთეთ; სარივეს გაუქმია და წყალი აღარ მოდის: სარივეზედით წყალი გადაღვარდნია“ (ა . კ.).

სარისხებელი, სარისხეულო, სარისხულო სამანი ძ ვ . შესარისხავი, საწყევრად მოსაგონარი ქვის ბოძი, მიწაში ჩარქობილი, ხევიდან ქურდის, მკვლელის, მოლაღატის განდენისა და შეჩვენების ნიშნად.

საროდოლ-ა როდისთვის, რა დროისთვის. „საროდოდა ემზადები? საროდოლდ მოვიდე?“

სარტყველ-ი სოკოების გავრცელების ზოლი, გამოიყოფა მუქად მწვანე ბალახიან ფონზე. „ჯიშლის სარტყელი; ზოკოს სარტყელი“ (ა . კ.).

სარფინკა (რუს. сарафанчик) სარაფანი. ხევში (დაბა ყ ა ზ ბ ე გ შ ი) მო-

ხუცები ხმარობენ საკაბე ქსოვილის მნიშვნელობით. „უჯრებიანი სარფინკა იქსოვებოდა წინავე ჩუენთან, ყაზბეგჩი, მაშინები იდგა“.

**სარძეულა** სარძევე. „სენაჩი ინახავდეს სადლობელს, საღალე ქოთანს, საბრეულას, ბაენებს...“

**სასაგულე** საგულეს — ქალის წელში გამოჰქერილ გრძელ კაბას — რაც სჭირდება. საგულის მასალა, საკაბე. „მიუტანდეს სასაგულესა, საჩუქარსა, ურვათსა“, 24.

**სასათრე** სათრისათვის საჭირო მასალა. „წნელად ახლა არწანსაც ვხმარობთ. კარგიც არის და ტყეც იზოგება, თორთ არყი და შავარყაი შაცოტავდა, სასათრედაც აღარ გურჩება“ (კარკუჩა).

**სასაფანდრე** საფანდრის ადგილი, მთიდან თივის ჩამოსაცურებელი ყელი, სადაც ხარ-ურემი არ უდგება. „სასაფანდრეს ჩუენ არ ვაკეთებდით, ის ვილაცს თუ გეეკეთა, არ ვიცი, ეგრე კი იყო დამრჩალი“.

**სასთლო**, **სასთლო** სართვლო, საშემოდგომო, შემოდგომისთვის შემონახული. „ცხორს დავაყეფებდით სასთლოჩი“.

**სასიდედრო** საჩუქარი ძვ. დანიშნული საპატარძლოს დედისათვის ქორწილამდე მორთმეული საჩუქარი (საკაბე, თავშალი...).

**სასიმამრო** პატივი ძვ. სიმამრისთვის განკუთვნილი ძღვენი. ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ სიძე ეწვეოდა სიმამრს 2—3 თუნგი არაყით და სხვა სანოვაგით.

**სასინათობელა**-ი ციცინათელა (კარკუჩა).

**სასისხარ**-ი სისხლის (მკვლელობის) საზღაური, ჯარიმა სისხლის საქმეზე. „სასისხარჩი აღებული ყანა“.

**სასისხლო** სამტრო, სამკვდრო-სასიცოცხლო. „განა ისითი რაი დავუშავეთ ერთურთსა, რო საქმე სასისხლოდ გაქტ გამქდარი?“

**სასიძოდ** მისვლა ძვ. ქალის დანიშენიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სიმამრის ოჯახში სასიძოს მისვლა ბიძაშვილების თანხლებით და საჩუქრებით. „რამდენი ხანია დანიშნულია და ჯერ სასიძოდ არ წასულა“.

**სასიძოდ** ყოფნა ძვ. დანიშნული ქალის ოჯახში ქორწილამდე სასიძოს მისვლა ძღვენით და იქ დარჩენა 2—3 თვით. სასიძო ეხმარებოდა სასიმამროს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში.

**სასკორია**-ი საპირფარეშო.

**სასორ**-ი (—სვარა) საქონლის თხევადი, ფაფისნაირი საკვები, სალაფავი. „სომინდის ან ქერის ფქტილს წყალჩი წამავადულებთ, სასორს ვაკეთებთ, სასორი თუ არ მაკლდა, ძროხა კარგად მაიწველის“.

**სასრევი** ცელის საღესი პატარა ქვა, როდინის ქვის (ქვასანაყის) ფორმისაა, ოღონდ უფრო თხელი. „კობსა და სნოჩია ბასრის რბილი სასრევი“, 65, 66.

**სასტენება**-ი ცხვრის დასასვენებელი ადგილი აღმართის ავლის შემდეგ. **სასტილე** სვილის — ქვავის სახნავ-სათესი ადგილი (ყანა) ან შესანახი



ქურქელი. „იყო ადგილი, რომენიც სასტილედ გეჭონდა, ცხო არ ვარგობდა“. სასულია-ი სასულე, ყანყარაო, საყლაპავი მილი. „ბევრი ყჭირილისაგა სასულიაი დამიავადდა“.

სასუტებელა-ი, სასუტელა-ი ყველა სახის ნექტარიანი მცენარე. ყვავილებს წუწნიან. „სასუტელაი გამოვსუტე“.

სასწაულო სასწაულისა, ხატობის. „მირიანობა იციან თხუთმეტჩი, სასწაულო დღეა“, 52.

სასხებ-ი ზედამწოლი, საყვინთავი, საძირავი. ბალიშისებრი ქუის ბაღიმი. „ყველს ზედა დავასტენთვე დიდს მტყელს სასხესა, ყველმა რო ზაით არ ამაიწიას“ (კ ა რ კ უ ჩ ა).

სასხეპია-ი ბოტ. მხალია ერთგვარი (ს ი ნ. ღ ი მ ა), იზრდება ზაფხულზე. იკეთებს თეთრ ყვავილს, ტკბილია, იჭმება უმად, მწნილადაც აკეთებენ.

სასხერა-ი იგივეა, რაც სასხეპი.

სატვირთე ძნელად მისადგომი ადგილი მთაში, საიდანაც თივა ზურგით უნდა გამოიტანონ, საზურგე.

სატოშიკაო სასაცილო, საკვირველი (გაკვირვების გამო ტაშის დასაკრავი ხელის ხელზე დასარტყმელი).

სატყავე დათბუნებული ტანსაცმელია. „სატყავეს ქსოვდიანვე ცხტრის მატყლისაგა, ქტეშ სარჩულად აკრავდეს ცხტრის ბეწუიან ტყავს“.

სატყაშობელა-ი, სატყეშებელაი ბოტ. მცენარეა, რომელსაც ქოთნისებური მოყვანილობა აქვს, იკეთებს თეთრ ყვავილს, ბავშვები ხელში წვეროთი იკავენბენ, ქვედა ნაწილით ირტყამენ შუბლზე და ტყაცანის ხმას გამოაცემინებენ.

სატყრობელა-ი ბოტ. ბალახია ერთგვარი (უფრო მეტად საქუხარას და ბაშოს უწოდებენ).

სატყუარა-ი ბოტ. ალპური ზონის ბალახია ერთგვარი, ჩრდილში იზრდება, ცხვარი ჭამს, უყუათოა.

საუბნოდ გაჯდომა საქვეყნო სალაპარაკოდ გახდომა სააუგო საქმის გამო.

საუბნო სამხთო გერგეტის სამების დეკანოზების მიერ მარიამობის მეორე დღეს მოსული სტუმრებისათვის შემოწილულობით გამართული მასპინძლობა (მლოცავეებს წინა დღით მიჰყავდათ შესაწირავი, რომლის ნახევარს იტოვებდნენ დეკანოზები).

საუბნო ქადა ძვ. დიდი ქადა. მზადდებოდა ნახევარი ფუთი ფქვილის, მეოთხედი ფუთი ერბოს და მერვედი ფუთი ყველის შეზავებით. მიჰქონდათ დანიშნული სარძლოს სანახავად მისელისას, რათა მთელ ოჯახს და მეზობლებს ვამასპინძლებოდნენ.

საუჯდოოდ, საუკუდაოდ გადაცემა ცხვრის გადაცემა თთხი წლის ვადით სხვა პირზე, როცა პატრონს მოვლა არ შეეძლო ან მახლობლისთვის ხელის გამართვა უნდოდა. ზარალიც და სარგებელიც მიძღებისა იყო, პატრონს ვადის

გასვლის შემდეგ უბრუნდებოდა იმავე რაოდენობისა და ასაკის ცხვარს, რაც ჩააბარა (ა. კ.).

საურდულე შუკუნა-ი ურდულის თავის შესაყრელი ხვრელი კედელში, კარების უკან შუაწელში (მღრ. ს ა კ ე დ უ რ ა ი).

საურველ-ი, საურმელ-ი სამურველი, — რქინის მოკლექებილებიანი სავარცხელი.

საურჩოდ მოურჩენლად. სასიკვდილოდ. „თაქია დაჭრილა, მაგრამ საურჩოდ არა სკირს რა“: „საურჩოდაა, ჯღარ მგონია გააღწიოს“ (ა. კ.).

საფაიქრო საფეიქრო, საქსოვი მოწყობილობა ან მისი რომელიმე ნაწილი.

საფანდარ-ი მთიდან თივის გადმოსაყრელი ადგილი; ერთად მოგროვებული რამდენიმე პატარა ზვინი მთაში, სათრევთან გადმოსაყრელად მიტანილა. „საფანდრებად ავაგითქე თივა; საფანდრები რო დაჯდებაკე, მაშინის ჩამავხყრიოთქე საგებჩი“, 66.

საფართხელა იგივეა, რაც შ ა ფ ა რ თ ხ ე ლ ა.

საფარცხველ-ი ფარცხი. „კალოს მაჩალავდეს საფარცხვლებით“ (ჭ უ თ ა).

საფეთქ-ი საფეთქელი. „საფეთქი ტიტუელი ჰქონდა“, 127.

საფეროზნო საფარეზო, — მოფერებით სალაპარაკო; დიდგული, პატივმოყვარე. „ძრილ საფეროზნო კაცია, მაგას სულ ფეროზნობით უნდა ელაპარაკა“ (ა. კ.).

საფეკისო ფეხისაში, ფერხულში შესასრულებელი სიმღერა. „საფეკისო რხინი“.

საფეკო საფეხური, ციკაბო მთაზე ფეხის მოსაქიდი ადგილა. „ფრილოზე საფეკო გაეშქერით და ისრი გავედით ვალმა“.

საფეკურ-ი საქსოვი დაზგის შეებზე გამობმული თოკი, რომლის ფეხის მოძრაობითაც ხდება საქსოლის ერთი პირის ზევით აწევა, ხოლო მეორისა — ქვევით (ა. კ.).

საფორე ფორის ანუ ალას მასალა. „დავფქოვდით საარაყელ სიმინდსა, საფორდელ ჩავსდებდით ქერსა წყალჩი ტუმრებითა“, 71.

საფრობ-ს ჩასათრებულია, უთვალთვალებს. „ერთი კი ისრივ საფრობს, რო არ მაგჩეწიენენ“, 304.

საფსმურ-ი (penis?) საშარდე. „მუცელი ამაგევსება აგურითა და კირითა, საფსმური ჩაგემატლება, კიებს გიყრიდენ ჩხირითა“ (ხ ა ლ ხ., თ ო რ ი). || ძროხის საშობელი. „ძროხამ საფსმურზე მაიჩნია მაკეობა“.

საქადე ქადისთვის განკუთვნილი. „ისრი აქუწეს გიგლაი, როგორც საქადე მხალია“ (მ უ ზ. 765).

საქადურ-ი სასიქადულო, საამაყო, თავმოსაწონი. „საქადური საქმე“.

საქანელა-ი სასრილო, საცივაო, საცურაო ადგილი. „საქანელას ზამთარჩი გაგკოლდითქე თოვლზე, ღამით იმას რაკი (ნ.) გედვეკროდა და დავქანდითქე“.

საქარჩი-ი სათოხნი, ქარჩით დასამუშავებელი. „კარტოხაი მაქუ საქარჩი“.

საქეჩავ-ი, საქეჩავა-ი კლდეზე გადასასვლელი ვიწრო ბილიცი. „საქეჩავა-ზე ცხორი ქეჩით გადადიოდა“.

საქირჯღავა-ი საქირდავი, აბუჩად ასაგდები, გასამასხარაუებელი. „საქირ-ჯღავაი წყალს მიჰქონდა, თავი ამაყო და ცხრა სოფელი გაქირჯლაო“ (ან დ.).

საქმე კერკად მოვა მოხერხდება, მოგვარდება.

საქობე ადგილი, სადაც საარაყე ქვაბი დგას და მისი მოწყობილობაა გამართული, იქვე ხარშავენ სალხინო ხორცს. „საქობეჩი წაილე პური და სასმე-ლი“; „საქობეჩი ბევრი ხალხია, იქ აღარ უნდა დაქმარება“.

საქონლის ყურება საქონლის მოვლა-პატრონობის დრო. „იქნებოდა საქონლის ყურება, ლურბელა კიდთან რო მივიდა“; „საქონლის ყურების დროს მოჰქვდა ეგ ამბოვი“.

საქორცოლიო, საქორცორიო მოსაფერებელი; საპირფერო, სალაქუცო. „რაი მჭირს მაგის საქორცოლიო“.

საქრუვოდ მისვლა ო.ვ. დაქვრივების შემდეგ ვათხოვილი ქალის მისვლა პირველი ქმრის ოჯახში მოსაბოდიშებლად და შესარიგებლად, თან ძღვენი (პური, ყველა, არაყი, ფული) მიჰქონდა.

საქსელ-ი, საქსოვლ-ი, საქსოლ-ი მოსაქსოვი ტოლის (შალის) სიგრძეზე გაჭიმული ძაფები. პერპენდიკულარულად ჰალაკით გატარებული ძაფები არის ზედა. „ზედა, რომენიც მეორე ხარისხისაა, სხტილია, ის ცალკე მაქუ, საქსო-ლი გრძელი ბეწუთისა წმინდად დასთული ძაფია“, 218.

საქურთე ქურთის (წივის) გასაყეთებელი ოთხკუთხი ყალიბი ხისა (ფიც-რისა), აგურისებური მოყვანილობისაა.

საქუხარა-ი ბოტ. ბალახია ერთგვარი. ერთ მტკაველამდე იზრდება, თავზე კოკობს იყეთებს, ხელის მოჭერით სკდება (შდრ. სატყრობელაი).

სალაღე რძის ნაღების მოსაგროვებელი ჭურჭელი. „ლალას მავკლითკე სალაღეჩი ჩასხმადე“, 115.

სალამურა-ი ყურიანი თხელი ქუდი, მოქსოვილი ან გადმობრუნებული ბო-ხონი მეცხვარეთა დასახურავად (ყაზბ.).

სალენჭველ-ი ამოღრმავებული ლოდი ან პატარა გობივით გულამოღებული შორი, მომცრო კასრის ნახევარი სივანე-სიმაღლისა, იყენებდნენ ტყავის (ჩვ. საქალამნე) დასაზელად (შდრ. ყუთული, მაჯაგანი, კედა, საკედეურაი). „ქვის ლოდია ამახტრეტილი, სალენჭელი ხქთია იმასა“, 131); „სალენჭე-ლისთუი ქვა ცდოჩიგათ მახქონდისკე, არც კრიალ მაგარი ვარგა, არც რბილი. ხისა კიდავ მაქისგა გააკეთიან და მუხა იფრო კარგი იყო; ქვის სალენჭელი ერო-ბაჩი იდგა, საზიაროდ სარგებლობდეს, ხისა სახლჩი გუქონდა, ზამთრის ვიხ-მარითკე“.

სალომლე, სალომლია-ი მოხეური ღუმელისათვის განკუთვნილი ადგილი. „სალომლიაი კარსუკენაც შაიძლებოდა, სამყოფოჩიც, ეზოჩიც გუქონდისკე“.

სალონის-ი სახსარი, საშუალება, ღონე, გზა. „ცხენი უნდა გავყიდა, მეტი სალონისი აღარაა“.

სალორე, სალორია-ი საღვარე, — ადგილი ბორბალსა და ღარს შორის წისკვილში, სადაც წყალი ხედება ბორბალს.

სალორდია-ი ქვა-ღორღის დასაყრელი ადგილი ყანის ნაპირში.

საღვთიშობლო პურ-მარილის სუფრაზე საბოლოო, დამამთავრებელი სადღეგრძელო, საყოველწმინდო.

საყალავ-ი ლახტის კედლის (საწოლავის) გასაკეთებელი წვრილი სარი, რომელზეც გამოეხლართება, გამოეწვნის წნელი.

საყანყურო სახნავი მიწის პატარა ადგილი მთაში.

საყარაულო რგოლები ძველი სამლოცველოების (არშის, ბეთლემის სამეზბის) კარებზე მიკრული რკინის პატარა რგოლები. დაკეტვისას რგოლებს ზემოთ შეაბრუნებდნენ, კარის გაღების დროს რგოლები ეშვებოდა და წკრიალებდა, რაც სასიგნალო ნიშანი იყო ყარაულისათვის (ა. კ.).

საყენ-ი დასაყენებელი, სადგომი, საიმედო და ადვილმისადგომი ადგილი ბარში, მთის ძირას თივის ზვინისათვის (შ დ რ. ს ა გ უ ლ ე ბ ე ლ ი). „მთაზეით თივას ჩამავართო საყენჩი, მამრენის ეზოჩი მოვიტანაჟე“.

საყენთავ-ი საგულეებელი, თივის დროებით (ზამთარში) დასაბინავებლად შერჩეული ადგილი მთაში. „ზოგმა რო არ გოგიფუჟას, თივას საყენთავჩი გავიტანთჟე“.

საყინჟე ქვემო ყბა. „ცხორს აქუ თავზე რქები, ყბები, საყინჟე“ (ყ ა რ-კ უ ჩ ა).

საყირებ-ი მუცელსა და ბარკლებს შორის საჭსრები — საკეცი. „საყირებჩი გამაყელილი აქუ ბაღლსა“ (ა. კ.).

საყოვე საყვავე, თავზე. „კედლის სათავეზე ჯერ ხეები უნდა დაირთას, მამრე მსხტილი ქვის საყოვეებს აწკრინებენ“.

საყოლაწმინდო, საყუტელაწმინდო საბოლოო სადღეგრძელო, ეძახიან საღვთიშობლოსაც. „საყუტელაწმინდო დავლიეთ“.

საყუნწურ-ი კარის ანჯამა; კიდე, კუდი. „იმ კედას გადაუგდებდა კარის საყუნწურამდე“, 127.

საყურთან-ი ცხოველი (ცხვარ-ბატკანი, ღორი), რომელსაც ყელში ბურთულები დაჰყვება. „საყურთან ბატკანი; საყურთან ღორი“ (ა. კ.).

საშალ-ი შაშარი, სისხლის გამოსაშვები იარაღი, ნესტარი.

საშურდულე შურდულში სასროლად გამოსაყენებელი კენჭი. „ქრუვის სამყოფოჩი საშურდულე კოხები შეაგდა“.

საშუღლო აზარის ათავება ძვე. მოსისხლეთა თანაბარ პირობებში ჩაყენება უმეტნაკლებო მსხვერპლის გაღებით (რაც ერთმა მოკლა, იმდენივე დაზარალებულმა მოუკლა).

საჩაღე 1. ადგილი, სადაც თიბავენ. 2. შემოღობილი ადგილი თივის ზვი-

ნის დასადგმელად. „გასთიბდა ესეთ თივას ოცდაათსა, ზოგიც კარბსა, იმას საჩალებში ინახავდა“, 66 (შდრ. ა. ყ ა ზ ბ. I, 512: კ ა ლ ო).

საჩაღურა-ი, საჩარულა-ი გობანის პირში ჩაყრილი ჩალა; ჩალით ან ქუჩით გატენილი ლეიბი. „სახლიდან საჩარულაის მეთი არა გამყოლია რა“; „საჩარულაი დავიგე და დავწვი“.

საჩახია-ი გრძელი ბეწვის ქუდი (ა. კ.). შდრ. ს ა ჩ ე ხ ი ა ნ ი.

საჩეჩქველა-ი, საჩუეჩქველა-ი უხეში ქსოვილების, ხალიჩა-ფარდაების სარეცხი, მოკლეტრიანი ნიჩბისებრი ხელსაწყო (სინ. ს ა ჯ ტ ე დ ე ლ ა ი). „საჩეჩქველას ურტყამენ ფარდაგსა და ისრი სუფთავდება“.

საჩეხიანი ტყავ-ი ტყავის გრძელბეწვიანი პალტო ან ქუდი კაცისა («შ ო ნ ა მ რ ე წ ვ.»).

საჩირაღე სასანთლე, საკვარე (შანდალი). „საჩირაღეს სამი ჯობის ფეხი ჰქონდა, ზედ ჰრეპი იდგა ან კვარი იწვოდა, კერასთან იდგა ან ეკიდა“.

საჩულე (საჩულე—საჩვილე) მიწური, დათბუნებული ადგილი ახლად-მოგებული ბატენებისათვის. „ცხორს საზამთრო ბაკებში მივღრეკთ, საცა ფარახიცაა, საჩულეც, საბატენეც, ეს ბინა შედგებოდა: საჩულე, საბატენე, საწუები ბაკი“, 113.

საჩხრეკელა-ი საჩხრეკელი, ჩეკი, ნაღვერდლების ასარევი კავიანი და ხისტარიანი რკინა, მაშას მაგიერი.

საცდელ-საყაირათო 1. შორ გზაზე, დოღში ან ურემში გამოსაცდელი. „საცდელ-საყაირათო ცხენი“. 2. მშვიდი მუშაობა ან შორ გზაზე სიარული. „საცდელ-საყაირათო შემთხვევა გტქონდა“ (ყ ა ზ ბ.).

საცერა-ი ცერში დასაქერი. კოჭაობის დროს ბავშვები მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის დაიკერენ ერთ კოქს — საცერას, — რომელიც წაგების შემთხვევაში რეზერვს წარმოადგენს. „მთელი კოქები წაეგავ, საცერაილა დამრჩა“ (ა. კ.).

საცეხუ-ი, საცუეხ-ი საღრღნელი, საკნატუნებელი.

საცოდრიანი-ი მცოდნე, ავკარგიანი, გაგებული. „საცოდრიანი დედაკაცია“.

საცოცხია-ი ბ ო ტ. მცენარეა ერთგვარი (ს ი ნ. გ ო ნ გ ო ლ ა, ს ა მ ა ხ ა).

საცრევი-ი ძ ვ. სამცვრევი, მისასხურებელი. ხატში დადგმული დიდი ლოდი, რაზეც უნდა მიესხურებინათ დაკლული ცვრის სისხლი. „დაკლულის სისხლი საცრევს უნდა წეეცხას, რო ხატმა გაიგას — ვის სახელზეა საკლავი“.

საცხებ-ი საპოხავი, ცხიმი-ქონი ან ღუმეა ტყავეულობაზე (ფეხსაცემელტანსაცემელზე) წასასმელად (ა. კ.).

საცხენე 1. ძველებური მოხეური საცხოვრებელი სახლის წინა მხარეს მიშენებული სათავსი; წინგარდის ნაწილი (სინ. ქ ო ი თ დ ა რ ი ფ ა ნ ი). „წინგარდა არის საცხენის ბანი“; 2. საცხენე ბალახი ბ ო ტ. ისლურა (ა. კ.).

საძირე 1. საძირკველი. „საძირე სამყაროზე დააშენიან“. 2. ფსკერი, ძირი. „ეგრე ბატარაი იყვისკე წყალი, საძირეზე დავრბოდიოკ“, 257.

საძნე ძნისა, ძნისათვის განკუთვნილი. „საძნე სათარი“ ძნის საზიდი (ქო-ს ე ლ ი).

საძრახ-ი დასაძრახისი, აუგე. საძრახი დედედევნება გაილანძლება, დაძრახა-ვენ. „პატიმრად ვარო და საძრახი დემედევნებაო“, 123.

საძრომა-ი იხ. სამალავაი.

საძროხე საძოვარი მხოლოდ ძროხებისათვის (ა. კ.). შდრ. სამძროხო.

საწაფ-ი პირუტყვის ბალნის თოკი (ჭუთა).

საწელე საწელური, წელსაკრავი, სარტყელი. „საწელე მაივსნა და ისრი სწულებოდა“, 201.

საწვალ-ი, საწვალა-ი საწოლი, საძინებელი, ახალდაქორწინებულთათვის გამოყოფილი ოთახი სახლის პირველ სართულზე, ქოითასთან (ნ.) ახლოს. საწვალაში სხვა შემთხვევაში ოჯახის საქონლის მეთვალყურე წევრი იძინებდა. „საწვალ სახლი შავედით“.

საწინაო ავანსი. გასამრჯელოს ნაწილის წინდაწინ გადახდა. „მწყემსი დავიქირავე და საწინაო ორი ცხორი მივეცი; ზოგი წყემსი ძროხებს არ უღგება. სილამ საწინაოს არ მივსცემთ“ (ა. კ.).

საწინდია-ი საწინდე.

საწმინდო წმინდა ადგილი ძველ მოხეურ სახლში, ჩვეულებრივ, კუთხე. თახჩა, სადაც ინახებოდა ხატი, ჭვარ-სანთლები ფუძის ანგელოზის სალოცავად (ოჯახის უფროსი საწმინდოსთან სანთლებს ანთებდა შაბათობით).

საწმინდური-ი ლორწოვანი სითხე, მოსდის მოსაგებ ძროხას (ა. კ.).

საწოვ-ი საწვაი — ჩალა ან ბალახის გამხმარი ღეროები, ხმარობდნენ ღომელში ცეცხლის ალის ასაშვებად, რომ ცხელ პურებს ზემოდან გადმოვლებოდა (ა. კ.). შდრ. გადმასავლები, გასკიდაი.

საწოვა-ი ბოტ. მცენარე, იგივე სასუტელაი.

საწოლავ-ი (ძვ. ქართ. გან-წუალ-ა „გაყო“) ტიხარი, გამოსაყოფი საშუალება (ლასტი, ფიცრები...) ძველ მოხეურ სახლში, სინ. საყალავი.

მიწის საწოლავ-ი სამანი, მიჯნა, საზღვარი.

საწოლებ-ი საწვალებელი, სადავიდრაბო. „გოჩას ბევრი საწოლები გაუჭდა მტრისაგა“.

საწრინტობელა-ი ახ. ზეთის და მისთ. ჩასაწვეთებელი ხელსაწყო, რეზინის მრგვალიძირიანი მილი. „მაიტა საწრინტობელაი, დავზეთა ბორბლის ხრახნები“ (სიონი).

საწუბ-ი, საწუბელ-ი მოსაწოვებელი ადგილი ცხვარ-ბატკნის საზამთრო ბინაში. „ბინაჩი... იყო საჩულე, საწუბები“, 113.

საწუტელეა-ი ქვით შემოლობილი ადგილი, სადაც ცქვრეზი შეჰყავთ და წველიან.

საწუტერე ეუბნება ასოთსამღერელი: ულვაშის მოქავებაზე იტყვიან. „საწუტერე მეუბნება, წუტერიანი (ე. ი. მამაკაცი) ვინმე მოგუთივა“ (ა. კ.).

საწულე ძვ. საძეობო, პირველ შვილიანობასთან დაკავშირებული შესაწირავი. „მშობიარე ქალის მშობლები საწულედ დაკლავდინანკე ბატკანს ან ძუძუმწოვარ კბოს და ილოცებდეს“.

საწურავა-ი ბოტ. მთის ბალახის წვრილი ხილია, სინ. ფშატე, ფშალტა, ფშლარტა.

საწყობ-ი ქვის სატეხი ხელსაწყო, — რკინის ბრტყელი სოლი, რომელსაც სიპის ქანებში ჩაატანენ.

საჭე დასაჭერი, შესაპყრობი. თევზი<sup>მ</sup> საჭე თევზის დასაჭერი, ანკესი და სხვ.

საჭეკე ჭეკის (ნ. ჭეკაი) ადგილი კარებში, საკლიტე. „შესავალ კარს ჰქონდა საჭეკე და საკედე“ (ხევი, «მშენებლ.», 41).

საჭრელა-ი ბოტ. ბალახია, ხელით მოგლეჩისას ხელს ჭრის. ზოგან მკერავასაც უწოდებენ.

საჭრეხელ-ი, საჭრეხელა-ი დაქდეული, ძირდაჭიკნილი, დაკბილული ორომისებური ხის ხელსაწყო, ფორმაზე ჭრიდა ნამცხვარს. „ხეს გათლიდიან, ოთბკუთხი როგორიდაც იყო, საჭრეხელს ეძახოდეს, ძირზე ჰქონდა დაჭრეხილი, დანით გამაღებული, იმ საჭრეხელაით პურს დაშქრიდეს“, 65.

სახარი-ი კოჭის ხელახლა შეგდება, ყრა. თამაშის დროს კოჭი რომ არ მიიღებს სასურველ მდგომარეობას (გადახრილ-გადაყირავებულია), მას ხელახლა შეავადებენ. „ეს კოჭი სახარია, კელახლად ვყარათ“ (ა. კ.).

სახევი-ი 1. თავდაპერა, თავშეკაეება; დაფიქრებისა და გონს მოსვლის უნარი. „სახევი უნდა ჰქონდეს კაცსა“. 2. გატანა, დახმარება, გაჭირვებიდან გამოსხნა. „ამღტენი ქონება აქტ და სახევი (ჩასახევი) კი ეჭჩერება“ (არშა).

სახელის შადება, შამადება (შამადებ-ს) წოდება, სახელის დარქმევა, სახელით მიმართვა, დაძახება, „რაილაც სახელი შასდვა, არ მაქსონს“; „მე კი არ ვიცნობდი და იან მაშინვე სახელი შამამდვა“ (ა. კ.).

სახლის კალო ბანი, — ტერასულად ნაგები ძველებური მოხეური სახლის ქვედა მხარე სახლის ბანია, ზემო სართულისთვის — კალო.

სახლიშვილ-ი მოჯამაგირე, — ოჯახში შვილად მიღებული, სანდო. შდრ. ცხოთა შვილი.

სახოვე სახვავე, კალოზე მარცვლეულის ასანიავებელი და შესაგროვებელი ნიჩაბი.

სახრინავზე მიდგება-ა ყველაფერი გამოელევა; გაღარიბდება. „სახრინავზე მიედგითო — გაზაფხულის პირზე იტყოდესკე ძტელად“ (ყაზბ.).

სახტეწელ-ი სახვეწი, შალაშინი.

საჯარე ხარების საძოვარი ან სადგომი. „საჯარე თუა საძოვარი, იქ ცხორძროხა არ მიგტყავს“.

საჯარებელ-ი ხართან, მოზვერთან მისაყვანი. „ძროხამ ითომ იჯარა და ახლა ისრივ საჯარებელია“.

საკბე სახბორე, ჩვეულებრივ, მოწყობილი იყო მოხეური საცხოვრებელი სახლის ძირა სართულში.

საკბია-ი კნ. იხ. საკბე.

საკედ-ი კიბე (მისადგმელი, გადასატან-გადმოსატანი), ორი გრძელი ლატანი შეერთებულია ხაჩიხებით (საფეხურებით). „კედელს საკედი მივადგი და სხტენზე ავედი“.

საკედ-ი, მრ. საკლებ-ი 1. სახელო, სახელოები. ხელის გასაყრელი. „პერანგები გრძელები ვიცოდით, საკლებიც გრძელები ჰქონდა“. 2. ხამუთის ღვედები ურმის ხელნებში გასაყრელი (ა. კ.).

საკელურებ-ი სქელი შალისაგან შეკერილი ხელთათმანები. „საკელურები გრკეთა, სიცივისა არ გრშინოდა“.

საკენცლ-ი ნამგლით სათიბი ქვალორდიანი ადგილი, რომელიც ცელით ვერ მოითიბება.

საკერკო მოსახერხებელი. „საკერკო ადგილზე ჩავსაფრდი“.

საკენელის მკარ-ი იხ. მკარ ი.

საკენიელ-ი სახენელი იარაღი, კავ-სახნისი. „საკენიელს აქტ მხარი, წირწენა, საბეწუე...“

საკმობ-ი ცხენის სენია: რქისებრ-ხრტილოვანი წანაზარდები ნესტოებში, სუნთქვას უშლის. „ცხენს აქტ ცხტირჩი მაგარი კორცი, ძოლსა ღვაგ, იმას ჰქტიან საკმობები, ისრი იზრდება, როგორც კაცის ფრჩხილები და იმას ამოქრა უნდა“ (კარკუჩა).

საკმობელა-ი შეყვარებული ქალი და ვაჟი უწოდებენ ერთმანეთს. „ის ჩემი საკმობელია არის“.

საკნაულ-ი, საკნაურ-ი სახნავ-სათესი ადგილი; ხენის დრო. „საკნაულჩი გასვლა; საკნაურის დაწყება; ოჯახს არჩევდიან [სასიძოლ], მამული ვის ექნებოდა, ბევრი საკნაული“.

საკხენე ხსენის ანუ დვრიტის, სამკვეთოს შესანახი ჭურჭელი.

საკუედელა-ი ხალიჩა-ფარცაგების საბერტყე-სარეცხი ხელსაწყო, თავისებური ჩოგანი (მდრ. საქეჩქელაი).

საკუნავ-ი, საკუნავა-ი ბავშვის თბილი შესახვევი, შესაფუთავი. „საკუნავჩი შევხტიე“; გადატ. განებვიერებული, ნალოლიავები, სუსტი. „საკუნავებჩი გაზრდილი ბალღია“.

საკამია ბოტ. ლენცოფის სათესლე პარკის სარქველი.

საკიგუელი-ი 1. ფრჩხილებიანი რკინის რგოლები, ხელზე წამოიცვამდნენ ჩხუბის დროს (სინ. საცერული, ხევს. დაჯია). 2. ტყავის საზელი (სინ. მაჯაგანა).

საკილდავა შესაჯიბრებელი, სანაძლეო, ძალის გამოსაცდელი. „ის ხის კუნძები თურმე საკილდავა გავდა, ის კუნძი უნდა ეელა და გედებბრუნა“, 231.

საკილდო დასაჯილდოებელი, დასასაჩუქრებელი. „ეს ქაიხოსრო ბატონი



არ არი სამართლიანი, არც რაი საჭილო დადვა, არც ქალი მამწონს თმიანი“ („რ ო ს ტ ო მ ი ს ზ ლ ა პ ა რ ი“, ფ ხ ე ლ შ ე).

საჯოხე ძვ. საუფროსო, — დანამატი ოჯახიდან გამონაყოფ წილზე. ჟილ-ლო დიდხანს მწყემსად ნამყოფი ოჯახის უფროსი წევრისათვის. „საჯოხე რაია და — ოცი ცხორი ან შაკმაზული ცხენი“; „საჯოხედ აძლევდეს ყანას, სათიბებს და ცხოს“.

საჯლნე საქალამნე, ჟღანის — შინ შეკერილი ქალამნის ტყავი. „საჯლნეს ზელდიან სალენქელჩი“.

სეენცი-ი საინტერესო, უცნაური. „სეენცი ამბოვი მაკდა, სეენცი სანახავი იყო“ (სოფ. ყ ა ზ ბ ე გ ე).

სეერო, სერო სურდო, გრიპი. „სეერომ ძრიალ დამასუსტა“; „სეერო რაი-ლაც დაღის“.

სევა სიცივე მდინარის პირას, სუსხი, რომელიც ხეობას შემოჰყვება (სან. იმერ. თ ე რ ხ ვ ი, თ ე ლ ხ ი), „როგორი სევაა, ძრიალ შამცივდა“.

სევედაგარ-ი სოვედაგარი, „ცხო სახელმწიფოჩი რო გაღის და გამაღის და გააქუ საქონელი და ყიდის“, 185.

სენცა, სენცა-ი წინკარი, შესასვლელი დერეფანი. „მე ბატარაი ვიყავ, სენცაჩი რაისთჳილაც ვავედი“ (გ ა რ ბ ა ნ ი): „სენცაი გავიარეთ და ოთახჩი შავედით“; „კარები შამატურიეს და სენჩაჩი შაცტივდეს“.

სერ-ი შინაური ცხოველის ყურზე პატრონის გამოსაცნობი ნიშანი. სერის სახეობებია: ის რ ის კ ი ლ ო, დ ა ნ ის ფ ხ ა, ფ რ თ ე გ ა მ ო ვ ა რ დ ნ ი-ლი, ყ უ რ წ ა თ ლ ი ლ ი, ყ უ რ ა მ ო ჯ ტ რ ე ტ ი ლ ი, ყ უ რ გ ა ხ ე უ ლ ი, წ ი ნ და უ კ ე ნ ჰ დ ე, უ კ ე ნ წ ა თ ლ ი ლ ი, წ ი ნ ი თ ნ ა ხ ე ვ ე ი, უ კ ე ნ ი თ ნ ა ხ ე ვ ე ი, ს წ ო რ გ ა ხ ე უ ლ ი...

სერა, სერა-ი ფაშვის კანი, ხმარობენ სადღობელის ან ქილების თავმო-საკრავად, კერავენ საზაფხულო ქუდებსაც.

სერკვი-ი პატარა ძნების ზვინი, 10—12 წერილა (ჯ უ თ ა).

სველაი-მშრალაი, სველაი-პურაი თამაშის დაწყებაში შესათანხმებელი პირობა. პატარა ბრტყელ ქვას ერთ მხარეზე დაასველებენ და იკითხავენ — მშრალაი გინდა თუ სველაი (ან: სველაი თუ პურაი) და ქვას ააგდებენ. რომელი მხრითაც დაჭდება ქვა, იმის არე მიხედვით იწყებენ თამაშს.

სთვა რთვა. „მატყლის სთვა“.

სთჳელ-ი. სთლომა შემოდგომა, რთველი, „ერთჳელ, სთჳელზე, ქერის ლეწვის დროსა...“ 103.

სთჳლის ჟორობა (←რთელის ჟვარობა) შემოდგომაზე მიცვალებულების ხსენება და წირვა-ლოცვა პურმარილის გამართვით.

სიბინ-ი 1. ნისლი, ბურუსი. „დათოვნა კევის მთებზედა, თყთოი გააკრა სიბინი“ („ბ ე ს ო ვ ა რ...“ ა ჩ ხ ო ტ ი). 2. იტყვიან სიცხის ბულზეც.

სიბინიან-ი ნისლიანი. „მეორე დილა გათენდა, დღე მოდის სიბინიანი“ (გ ე რ გ ე ტ ი, 79,210).

სიბურ-ი ჩელტი ან ნახვრეტებიანი ფიცარი. „შათელილს ტოლს სიბურზე დაესწურავთ და გასაშრობად გავხფენთ“.

სივსივ-ი ფრინველთა ფრთების ხმაური ფრენის დროს. „სოვმა სივსივით გადიქროლა“.

სითარხნე ძვ. რ ე ლ ი გ. დღესასწაული სოფ. ხურთისში ბავშვის დაბადების სალოცავად (შდრ. ს ა წ უ ლ ე).

სილაგ-ი სილაქი, ტყავის დასამუშავებელი ხსნარი. „სილაგჩი ტყავი სამი დღე-ღამეა, იქითით რო ამიიღებენ, დაუწყებენ მაჯგანაით ზელას. სილაგი ჩუენ გავაკეთთ: ავილით ფორი, ხათა, რძე ან ხურხაი, საპოვნე, კირი დაავზი-ლითკე ერთად წყალჩი“.

სილამ სანამ, ვიდრე.

სილუმე სიგამხდრე. „ცხვარმა თქვა — საჩივარი მაქუ... თუ სილუმითა დავარდი, არაუინ მიგდა ყურია“ (ხ ა ლ ხ., 267,63).

სიმგჭირგჭილივ ირგვლივ. „სიმგჭირგჭილივ უვლიდეს ქალი და ბიჭი“, 26. სინაზე ელვარება(?) „ეკალში (=ზუთოს ხე) ცეცხლი გაჩენილა, კლდეებს სინაზე გააქუ“.

სინამ სანამ.

სიპურადე პურადობა, პურმარილიანობა. „სიპურადით ცნობილი კაცია“.

სირა ყალიონის ტარი. „სირა დამეკარგა, ყალიონი ველარ მოვსწრე“.

სირსოლა-ი<sup>1</sup> მოხარული სიმინდი სამარხვოდ საქმელი.

სირსოლა-ი<sup>2</sup> სირსვილი, კანის დაავადება. „სირსოლაი ჳნავდა ყანასა, იავუნდისა ჳალასა, მგელი შამამბა ჳარადა, გუელი მამამბა წნელადა“ (შ ე ლ ო ც- ვ ი დ ა ნ).

სისია-ი ყველი ბავშვის ენაზე. „დედავ, მაიტა სისიაი“.

სისხა მუცელა, დიზენტერია. წყევლა: „შაგეყარა სისხა; გაჰქანდი სისხაზე“.

სისხლდაკარგულ-ი დაზარალებული, მიცვალებულის პატრონი, ვასაც მახლობელი მოუკლეს. „შარიგების დროს სისხლდაკარგულს მეელაპარაკებიან თემის კაცები თემის სახელითა“.

სისხლი აუღვება-ა სისხლი მოაწვება (საქონელს). მკურნალობენ სისხლის გამოშვებით. მაგ., ცხვარს თვალთან ისე გაუჭრიან, რომ სისხლი ტუჩებთან ჩაიღვაროს, თუ ალოკა, მორჩებო; საქონელს ყურს გაუჭრიან.

სისხლს უყრი-ს სისხლს გამოუშვებს. „როცა ცხორს სისხლი აუღვება, სისხლი უნდა უყარა“.

სისხლძაღლ-ი სალანძღავი სიტყვაა.

სიტყომცდარა-ი დაუფიქრებლად მოლაპარაკე (კ. ქ უ შ.).

სიტყოს შაუქცევ-ს სიტყვას შეუბრუნებს.

**სიფრო 1.** სუფრა, — დაბალი და მოგრძო სამფეხა მაგიდა. 2. ხარჯი, მიცვალებულის ქელეხში გამართული სამგლოვიარო მაგიდა. „სიფრო აქტო, დღეს იქ შენთუი არა სცალიათ“; „სიფრო დაუდგეს წლისთავზე“.

**სიფრო უწევარ-ი** (||უწვევარ-ი) ძვ. ისტ. ლხინის სუფრაზე მოუწვეველად, დაუპატეებლად დასწრების, მისვლის უფლება. ამ უფლებით შეფე აჯილდოებდა ომში განსაკუთრებით თავგამოჩენილ ვაჟაკს (შდრ. ქ ა ლ ი უ თ ხ ო ვ ა რ ი).

**სიცივის ბობოქარ-ი** ცახცახი, კანკალი. „შიშისაგა სიცივის ბობოქარი აუთხტა“ (ა. კ.).

**სიძის ფევის მამბრუნება** სიძის სტუმრობა სიმამრის ოჯახში ქორწილიდან მეშვიდე დღეს ერთი ღამით. „სიძის ფევის მამბრუნების დროს სიმამრი მაკეთემეზობლებს მაიწუტედა, სიძე კი არ დაჯდებოდა სიფროსთან, ზედამდგმურობდა“.

**სიხიმსე ცხიმი, ცხიმოვნება.** „წუნინანი საქმელი ჰქონდათ და ოდნავ სიხიმსე არ ჰქონდა“ (ა. კ.).

**სკა 1.** აპკი. „კუტერცხის ნაჭუქსა და ცილას შუა არის სკა“, 219; 2. ბრკე — სითხის ობი.

**სკუმპა-ი** იგივეა, რაც კ უ მ პ ა, ფუნა, ძროხის ნეხვი ახალი (ა. შ ა ნ ი ძ ე). „ან სალორიას კარებში ურდულად შენ არ გაგჩარა, ან ლაჩქინად არ გიკმარა, სკუმპასთან ერთად მაგთარა“ (ხ ა ლ ხ. № 186, კ ა რ კ უ ჩ ა).

**სმაგა-ი** ძალა, შაბი; შაბიამანი. „ტოლს ჰერთხალაჩი ვლებავლით, სმაგაიც მისციანკე, სმაგას ტყავის დასასილაგებად ვხმარობლითყე“, 212.

**სრა** სროლა; ხოცვა-ყლეტა. „ერთი მეორეზე სრა დადგებოდა. დაიკოცებოდა ჩუენიცა და მათიცა“ (ტ ე ქ ს ტ. № 60).

**სრევა-სრევა** ზ მ ნ ს. სრევა-სრევას სრიალ-სრიალით, თრევით ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. „სრევა-სრევას ვავლიე წყვილი ნადირი“.

**სტუმრების გარეგვა** ასოთსამღერელი: ბავშვის სლოკინის დროს ამბობენ — „სტუმრები მოგუირეკა“.

**სოგო** ნოტიო, ნესტიანი, ნამიანი, ოდნავ დასველებული (მატყლი, თივა). „ღამე გარეთ დარჩა მატყლი და იმიტომაა სოგო“.

**სოლის აჯა** სოლის მოხმარება, — სოლის თავზე უროს ცემა და კლდეში ჩარჭობა ქვის მოტეხა-მოხგრევის მიზნით. „სოლის აჯა იცოლიანკე ქვის ტეხაჩი“.

**სორ-ი** (←სვარ) სალაფავი. „ლეკის ბელადის ძალლებსა აუდულოდეთ სორიო“ (ხ ა ლ ხ.).

**სორსორ-ი** ლაილაი, ლაქლაქი, ყბედობა.

**სორსორა-ი** მოლაქლაქე, ყბელი.

**სორსორობ-ს** ყბედობს, უმიზნოდ და უსაგნოდ ბევრს ლაპარაკობს. „როგორ სორსორობს, ვერც ვილას არჩევს“.

სპარსანგელოზობა ძვ. რელიგ. დღესასწაული სოფ. სნოში, იმართებოდა აგვისტოში (ზოგიერთი გადმოცემით, — ხვანათესვის დაწყების წინ, ზოგი ვარიანტით უწოდებდნენ წუთერის ან გელოზობასაც, ურევენათენგენობაშიც). სპარსეთიდან გამოქცეული ლეგენდარული ტყვე ქალის სახელზე. თავდაპირველად ქალები მონაწილეობდნენ, შემდეგ კაცებაც ჩაეზიარნენ.

სრევალ-ი სრავალი.

სრევლის ჩიტა ბელურაა ერთნაირი.

სტე 1. სვე, სერელი, შაკი, მწკრივი. 2. ბოტ. სვია. 3. მშობიარობისწინა მუცლის ტკივილი. „სტე უვლის“ (ა. კ.).

სტილის ტარ-ი ლაბარი (ნ.) გამობერტყილი სვილის ხმელი ღერო.

სტილისფერ-ი მკრთალი ფერისა (ა. კ.).

სულდგმულ-ი იგივეა, რაც დასულდგმულეზული, პირუტყვი (ზვარაკი — ცხვარი, მოზვერი), რომელიც შეწირულია ხატისთვის, სუქდება შინ და უნდა დაიკლას ხატის დღეზე (სინ. ყურშატუსილი). „ერთი სულდგმული დავკალ გივარგობაზე“.

სული ატირებ-ს ძვ. ცრურწმ. ბავშვი ხშირად რომ ტირის, ამბობდნენ — რომელიმე მიცვალებულის სული ატირებსო. დაასახელებდნენ მიცვალებულს და იტყობდნენ — მისი სული ატირებს და მისივე სახელი უნდა ეწოდოს ბავშვსო (ა. კ.).

სულისმღებელ-ი სულთამხუთავი. გადატ. მაჭლაჯუნა. „ბეჩავი დამე გონჯად შექმნილიყო და სულისმღებელი მაშჩვენებოყო“.

სულის პეპელა-ი ჩრჩილი. „ტოლის შარვალი სულის პეპელას გეედუქა“. გადატ. სუსტი, ჩია, გამხდარი ბავშვი.

სულს უწოვ-ს (— უწუა-ს) გულს, სულს უწუხებს, ამწარებს. „ამ დღეთ ბაღს მაგისაგა მასტენება არა აქუ, სულს უწოვს“ (ა. კ.).

სულფონ-ი სუმფონ-ი თავისუფალი; ხალვათი.

სულფონობა, სუმფონობა თავისუფლება, ხალვათობა „ბაქჩი ცხორი მიწროდ არის თუ სუმფონად?“

სუმახ-ი ქსოვილია. „ადრე აქ თავადმა ქარხანა გავსნა, სუმახი იქსოვებოდა“ (დაბაყაზბეგი).

სულწუხ-ი მოუთმენელი, სულწასული, საქმის სწრაფად გაკეთების მსურველი. „დაიცალა, ნუ ხარ სულწუხი“.

სუნსულა-ი მსუნაგი; მსუნაგურად მოსიარულე. „სუნსულაი კაცია, სუყელაზე გული მიუწევს“.

სუროვანდ-ი სურავანდი.

სუსუმატობა უბარაქობა, უყაირათობა, უკმარობა. „ოჯახჩი სუსუმატობა აქუთ“.

სუტავ-ს სრუტავს, წუწნის. „ძოლჩიგათ ტუტინს სუტავს“.

სუყელა-ი, სუყელგა სუყველა, სუყველგან.

სწორთ მამორდებ-ა ტოლ-ამხანაგებს მოშორდება, გამოესხლიტება, გამოეთიშება. ფიცია: „სწორთ მავშორდე, თუ გიღალატა“.

სწორთუარია-ი ტოლებს მოკლებული, უმაქნისი. „რა კენა, რა ვუყო თავსაო, სწორთუარიას ქმარსაო, არცა აქუ შანახვის თავი, არცა მანებებს თავსაო“ (ხ ა ლ. ხ.).

სხმუტუნ-ი ხმაურიანი სირბილი. „ლორებმა სხმუტუნით გაიარეს“ (ა. კ.).

ბ

ტაბაკა-ი ბოტ. ყვაილია კონუსისებური მოყვანილობისა (ა. კ.).

ტაბაკის ქადა ტაბაკზე მომზადებული ეროიანი ქადა; ძველად საპატარძლოს სანახავად ვაყის ოჯახს უნდა მიეტანა ათი ტაბაკის ქადა.

ტაბახ-ი შიმშილის მოთმენა. აღდგომის შაბათს წირვის გამოსვლამდე არავის შეეძლო პურის ჭამა. ამაზეა ხალხური ლექსი: „აღდგომისა შაბათსაო მკტიდარნი წაველენ ტაბახსაო, ვინც იმ დღესა არ იმარხავს, გაუსქდება დედასაო“ (ა. კ.).

ტაბურ-ი ხატში ლოცვის დროს დეკანოზის ნათქვამის განმეორება-დადასტურება: მიცვალებულის სავედრებლად ო-ს წარმოთქვამდნენ, სოფლის სალოცავად — გაგრძელებულ ა-ს. „ტაბურს ვინ მასძახებს, დაიწყათ! — ჩუენა: ააა! აა, ააა!..

ტაბლალა-ი იტყვიან ახლადდაბადებულ ბატკანზე ან ხბოზე, რომელიც მწყემსის დაუხმარებლად მოწოვს ძუძუს, იტყვიან ჩვილ ბავშვზეც. „ტაბლალაია, მალე აიდგამს ფექსა“.

ტავრიჩინ-ი იხ. თ ა ვ რ ი ჩ ა ნ ი. „ტავრიჩინები ასწავლიდეს აცრას“.

ტამტიტა მოკლეკაბიანი და მოკლესახელოებიანი ქალი, ტიტლიკანა.

ტან-ი (ჩვ. მრ. ტანები) დედაბომზე დაყრდნობილი მთავარი ხე, დირე, მასზეა გალაგებული დანარჩენი სართები. „სახლი იწოლებოდა (=იყოფოდა) სიგანეზე ტანებით. ტანებს ორი ან სამი ბოძი ჰქონდა შეყენებული“ (მ შ ე ნ ე ბ-ლ ო ბ ა); „თუ სახლის ტანი გათხტებოდა, გუჭეროდა რო სახლის უფროსი მამკუდებოდა“. შუა ტანი ცენტრალური დირე, შუაბოძი.

ტანა-ი ცხვრის, თხის ან ჯიხვის დიდი კოჭი, ბავშვები იყენებენ სათამაშოდ. „შორით დახტრავდეს, თხუსი და ტანა იქნებოდა“, 232.

ტანბედრიან-ი ერთგვარი საბურავით (პერანგით) დაბადებული ბავშვი.

ტანიოგ-ი, ტანიოკ-ი კ ნ ი ნ. ტანი. „ამას შამიხედე და ამის ტანიოკსა!“

ტანკორტ-ი ცუდი ტანსაცმელი, უხეირო ჩაცმულობა. „ნეტარ შენი ტანკორტით სად უნდა წახვიდე!“

ტანტარა ტიტლიკანა, უსაცვლოდ ტანტალა. „მაგას რაილა სცხვენიან, უნიფხო-ტანტარაია“ (ა. კ.).

ტანტრაბეჩა-ი 1. მეტიჩარა, არა მკითხე მოამბე. „ეგ ვინლა ტანტრაბეჩაია?“  
2. უსაქმო, უქნარა, ზარმაცი. „ეგ რაილა კაცია, ნამდული ტანტრაბეჩაია!“

ტაპტაპ-ი ფეხშიშველა სიარული, ტანტალი. „იმდროულა ქალის ტაპტაპი ეხლანის სირცხულია“.

ტაპწიკ-ი მაშველა, ფეხსაცმლის ჩასაცმელი ფირფიტა (ლითონის, ხის ან რქისა). „ტაპწიკს ძირახლების ჩასაცმელად ვხმარობკე“.

ტარაბუა-ი გამხმარი მცენარის ღეროს სტვირი. „ბებიაშენი ბუასა, დაუკრავს ტარაბუასა...“ (შ ა ი რ ი ა. ა. კ.).

ტარ-კუთშტავ-ი ტარი და კვირისტავი. „ტარ-კუთშტავი, რუდა და საჩეჩელი“...

ტარხვეულა სირმა, ოქრომკედი. „ტარხვეულას ვერცხლის ძაფისას რო დაახტევდეს, გამოვიდოდა შატი“ («შ ი ნ ა მ რ ე წ ე ვ.»).

ტატალ-ი ჯოგს აცდენილი ჭიხვი. „ტატალი შამამეყარა, ცხო არა იყო რა და ვახალე“.

ტატნად!!ტატნას დგახ, ტატნაზეა მოსწრებაზეა, რაიმე (კეთილი ან საძრახისი) საქმისათვის მზადაა. „გავაქციეთ ცხენები, სულ ტატნას ვიდექიჟ“.

ტაფ-ი ტაფობი, დაცემული ვაკე. „ტაფჩი დაუდის ცხორი“.

ტაყიან-ი ორივე ფეხით კოკლი, თეძოებამოვარდნილი. გ ა დ ა ტ. ცუდად მოსიარულე. „ტაყიანი იყო და მაინც დაასწრა მოსვლა“.

ტაშკუვილა-ი ვ უ ლ გ. უგუნურად მოლაპარაკე, აბდაუბდას რომ მიედმოედება. მსუბუქი ქცევისა, ქარაფშუტა, ტაშიკოლა. „ტაშკუვილაი დედაკაცია“.

ტაშ-ფანდურაის კაც-ი ტაშ-ფანდურის მოყვარული, მოქეიფე, დარდიმანდი. „მაგას ცხო საქმე არც აგონდება, ტაშ-ფანდურაის კაცია“.

ტაცულაი, ტაცულია-ი ტაციობა. „მთიულები რო ჭურჭელს გადმაიტანდეს, ერთი ტაცულია დადგისკე“.

ტელფი-ი იგივეა, რაც კ ე ლ ფ ი — შეკრული და დაპრესილი თივის ან ჩაღლის ნაწილი. „ნუ გაშლიკე თივასა, ტელფი აილოდე!“ (ა. კ.).

ტელუა-ი ჩხუბი, აყალმაყალი, გაწევე-გამოწევა. „ქალაქჩიგათ ნასომი მამდინარიყვნეს და ტელუაი გეემართათ“.

ტვინებ-ი ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი, რბილი ქანები მთისა. „კდეჩი კარგი ტვინებია“.

ტიალა-ი ტიალი. რთული ფუძის მეორე ნაწილი, იხ. წ ე ლ ტ ი ა ლ ა ი.

ტიტავ-ს იხ. დ ა ტ ი ტ ა ვ -ს.

ტიფილა-ი 1. ერთი ნაჩეჩი, ერთ მუჭში დასაჭერი მატყლი, საჩეჩლის კბილების გარშემო დაგროვებული მატყლი. „მატყლის ტიფილებს ცხავჩი დატეკენიან ჭეღშაიები ნაბდის შასათელავად“: „ტიფილები ავიდე და რუდები დაჯახტიე“. 2. დატეკენილ-დაპრესილი თივა, რომელსაც ორთითათი აწვდიან ზვინის ამგებს.

ტკაპუნ-ი (პირისა) წკლაპუნი, წკაპუნი (პირისა). „კაცს რო კაცი ეჭავრება, ჭამა ტკაპუნად ეჩუნებოა“ (ან დ ა ზ ა).

ტკბილა-ი ტკბილი ნამცხვარი, რომელსაც გულად უღევს აზელილი ფორის ფქვილი.

ტკბილი თამაქო მაღალი ხარისხის თამბაქო, წეკოსაგან განსხვავებული.

ტკრაცუნ-ი, ტკრეცა ლაპარაკის დროს რომელიმე ხმოვნის ან მარცვლების გაგრძელებით გამოთქმა. „თერგის გაღმი ტკრეცით ლაპარაკობენ“. „ნუ სტკრეცლა, წესიერად აძიარახე!“ „მაგათ ტკრაცუნით იციან ლაპარაკი“.

ტლაკტლუჟ-ი (ტლაკტლუკობ-ს) ყანყალი, ბორძიკი, მერყეობა, მოთამბალებული დგომა. „ქობი სწორ არა დგას, ტლაკტლუკობს“ (ა. კ.).

ტლუნკებ-ი, ტმუკებ-ი ტლინკები. „ვირის ტმუკები გეწყინება, განა გეტკინებოა“ (ან დ.); „ტმუკები აისროლა“ (ა. კ.).

წაკანწულებ-ა შეძიძგილაეება, წაბლლარძუნება. „ჯერ შალაპარაკდეს, მამრე წაკანწულდეს“.

წაკლვა (წაიკლავს, წაუკლავს) თამაშში ფიგურის მოკვლა, კერძოდ, კოქის მოკვლა — გატანა განსაზღვრულ მიჯნამდე, მოგება. „ერთი კოქი წაიკვალ, დანარჩენები იშალა“; „თხუსი ვესროლე და ვერც ერთი კოქა ვერ წაიკვალ“; „მოწინააღმდეგეს მთელი კოქები წაუკვალ“ (ა. კ.).

წაკურდლლება მცირედ წაძინება. „წაკურდლლება დევაპირე და ამ დროს დამიკივლა ამხანაგმა — გამადიო“.

წალამ-ი ხის კვირტი. „ტყეს წალამი ექსნება გაზაფხულზე“.

წამაყუდება უცბათ, ერთბაშად ტანის აყრა, მოსალოდნელზე მეტად გაზრდა. „ერთი წელია გიგუშა არ მინახია და ველარც კი ვიცან, ეგეთი წამაყუდებულა“ (ყ ა ზ ბ.).

წამაყუთრდება წამოიზრდება. „ბალახი ერთბაშად წამაყუთრდა“ (ა. კ.).

წამაჩუქეჩქილი წამოჩიტული, წამოზრდილი (ბავშვზე იტყვიან). „ფეჭზე სასიარულოდ არის წამაჩუქეჩქილი“.

წამაჭახებულ-ი ჩამოჭახებული, წამოჭარხლებული, გაწითლებული. „სახეზე წამაჭახებულია“.

წამაჯილია-ი 1. სანახევროდ შიშველი, ჩაუცმელი. „წამაჯილია დედაკაცაცია, არც კი სცხტენის რა!“ 2. ხელგაშლილი, მხარჯველი, გულუხვი. „ნუ ხარ ეგეთი წამაჯილია, თორო ოჯახს ვერ დაიდგამ!“ 3. გულღია, ალაღმართალი, გულუბრყვილო, საიდუმლოების ვერ შემნახავი. „წამაჯილია კაცია, მაგასთან არც რაი ითქმის, მაშინვე ცხტებს ეტყუის“.

წამა-ჭ-კირებ-ს წამოსდებს, წამოჰკრავს. „ფევი წამაჭკირა ჰკაცსა“.

წამებულობა რწმენა, ადათი. „ასეთი წამებულობა იყო მაშინ“, 328; „ნუ დავკარგავთ ჩუენსა წესსა და წამებულობასაო“, 23.

წამისწამ-ა წამდაუწუმ. „წამისწამ პეპეროზს ეწევა“.

ს-წამობ-ს სწამს, სჯერა. „ეხლანის ვინღა სწამობს ძტელს დღესასწაულსა!“

წამობრიყვდება-ა სიმაღლეში თვითნებურად და უთანაბროდ გაიზრდება, სუსტი დარჩება (შდრ. წ ა მ ა ყ უ თ ი რ დ ე ბ ა). „ბალყუმ მიწაზე დიკა ზრდას ვერ ისრულებს, ჩალა წამობრიყვდება, სიმაღლისაგა ტანს ვერ იქერს“.

წაპა-ი 1. ჩიტია — ჰინჭრაქა, ღობემძერალა. 2. გრძელნიკაპიანი ადამიანის მეტსახელია.

წაპერანგდება-ა მიწის, წყლის მოყინული ზედაპირი თოვლის თხელი მცირე ფენით დაიფარება. „ლუსკუმზე თოვლი წაპერანგდა და გაზაფხულამდე ეგრე იყო“.

წარაუგონთ წარამარა; ანგარიშმიუცემლად. „წარაუგონთ ლაპარაკი იცის“; „წარაუგონთ დადის“ (ა. კ.).

წაუდება-ს წაართმევს, მოსტაცებს. „თერგზე წისქტილი წყალმა წამიღა, მამრე სამქანეთ აუგია და ისაც წაუღა თერგმა“, 223

წაქუსლილ-ი ქუსლებჩათელილი (ფეხსაცმელი); ქუსლებგამრუდებული. „წაქუსლილი ჩექმა ეცო“.

წაყინწრულ-ი გამხდარი, წვრილ და გრძელკისერა ადამიანი.

წაყრა ნართის გადახვევა გავსებული ტარიდან. „წაყრა ვიცით, სართავი ტარი რო გაივსება, აძრობენ კუთშტავს და ახტევენ ნასოს“.

წაჩოთირებული შიგნით ქუსლებგადაკეცილი (შდრ. წ ა ა ქ ო ჩ ი რ ე ბ ს), საქუსლე ჩათელილი ფეხსაცმელი. „წაჩოთირებულ ჩუსტებში ჰქონდა ფევი წადგმული“.

წაწანი-ი (წაწანებ-ს) ჩვილი ბატენის და თიენის გაბმული კნავილი მისუს-ტებული ხმით.

წაწანა-ი გორგოლაქებიანი სადგომი ბავშვის ჩასაყენებლად და სიარულის მისაჩვევად, გადმობრუნებულ ტაბურეტს ჰგავს, ოღონდ ძირი არა აქვს.

წაწაწა (წაწაწავს წასწაწავს, წაეწაწება) მიწვდომა, მიუდგომელ და ძნელად მისაღწევ ადგილიდან რაიმეს ხელში ჩაგდება. „ვაშლისაკე კელი წააწაწა“: „წასწაწებია ბერაი ი თურქსა, გადმაულია და დაუწვევია მიწაზე“, 249.

წაწკურტ-ს 1. მარცვლეულს გადაარჩევს, ტაბაკით ნარჩენებს წააცლის. „იფქლანი წაეწკურტე“; 2. გ ა დ ა ტ. გასცლის, წაართმევს, მოუგებს. „კოქები სულ წაეწკურტე“ (ა. კ.).

წახედილი საქმე მიბაძვით გაკეთებული საქმე. „მუდამ ცხოთა მაცქერალია, მაგის გაკეთებული ყველა საქმე წახედილია“.

წახისფექდება-ა უ ა რ გ. ნაძალადევად, ძლივს-ძლიეობით წაეა, წაეთრევა. „ღილაზე უნაყროდ უნდა წავხისფექდე ექიმთან, რაილაც უნდა გადამაყლაშპას და გამსინჯას“.

წახტევაი დიდი თოვა, თოვლის კორიანტელი; უბედურება. „ისითი წახტევაი იყო, გარეთ თოვლის მეტი არა რაი არ ჩანდა“; „ამ წახტევაჩი საღლა წახოლ, ძალლი გარეთ არ გაიგდება!“

წახტეულ-ი გადატ. სავსე. აღსავსე. პირსავსე. „ქუთეყანა ხილით წახტეულია და ჩტენ ვაშლი გტენატრება!“

წელთასაკრავი-ი, წელთსაკრავი 1. გარსაკრავი, გარსართავი, — თასმა ან ღვედი, რომელიც გადაუვლის ცხენის უნაგირს ან სახედრის კენს და მოეჭირება ფერდებში; 2. ღვედი, რომლის ერთი ბოლო მიბმულია ურმის ხელნებზე, მეორე კი ხელნიდან გატარებულია ცხენის მკერდის ქვეშ და მიბმულია მეორე ხელნაზე სიმაგრისათვის.

წელის შაკვრა ხალხური მკურნალობის მეთოდი: შვილის ყოლის მიზნით ქალს წელს შეუკრავენ, ცხრა ღღეს ფიცრის ლოგინზე დააწვენენ და მკურნალობენ (ყ ა ზ ბ.).

წელის ძოლი-ი ხერხემალი. „ყინულზე დაეცა და წელის ძოლი გაუთხტა“.

წელის ჭრა ხერხემლის ძვლის ღრძობა. „ქვეას ავსწიე და წელი მეჭრა; წელი ვიჭერ“ (ა. კ.).

წელტიალა-ი ოხერი, ნავსიანი, დაწყველილი წელიწადი. „გონჯი წელტიალაი იყო, შიმშილობა და ქესეტობა სუფევდა“.

წელწელა არხ-ი მთის ფერდობზე გაჭრილი არხი. „წელწელა არხით გუქონდა გამატანილი წყალი“.

წენგერა-ი ბ ო ტ. წენგარა, ლაშქარა.

წერ-ი, წერან-ი, წერონ-ი სვლის 90 ხელეური (შდრ. მ ა რ კ ი ლ ი ს უ ბ ე). „... ოთხმოცდაათი კელეური ერთად შაკრული საბლით, იმას წერი ექტინა“: 217.

წერა ბედი, საბედო. „ადგა აბესალომი, მივიდა ქალთან და უთხრა, — შენ ჩემი წერა ხარო“; „ეგ ბიჭი და ქალი ერთმანეთის წერა იყვნენ, ერთუროთი გაიტანნო“, 148.

წერვა გაბზარვა (ნ. გ ა ი წ ე რ ე ბ ა, დ ა წ ე რ ა).

წერილა-ი შვიდი სამეულის (21) ძნა.

წერწენ-ი, წერწენა მოხეური ხის გუთნის ნაწილი — მხრის გაგრძელება ულამდის (1— $\frac{1}{2}$ —2 მ); იხმარება ხარის სახველის მთლიან აღმნიშვნელად (ყ (შდრ. წ ი რ წ ე ნ ი; წ ე რ წ ე ნ ა)). „წერწენი ხის სოლებით, მავთულით ან ჯაქუთ მიმაგრებული მკარზე“.

წელა, წელან, წელანის წელან. „ბიძა წელა წავიდა შინა“.

წეწავ-ს და მ ც ი რ. გაჭირვებით წველის. „ერთაი ძროხაი მყავ და იმას ვწეწავ“ (ა. კ.).

წვინტალ-ი წვინტლი; ცხვირიდან ნადენი სითხე. ლანძღვაა: „ეგ მამაჩემის ცხენის წვინტალიათ“, 315.

წვრილმხალა ბოტ. მხალია ერთგვარი, შეჭამანდად იხმარება. „ჭინჭარს, ჭეკარს (ლოლოს), თათამას, წვილმხალას დაეშქრით, ყველს, ერბოს გაეუზრევთ და გამოვაცხობთ“ (ხევი, საქმელები, 247).

წვრიწალმივ წვერწალმა, წვერით (ბუნით) წალმა მხარეს. „წვრიწალმივ იხმარა ხანჯალი. პირთავექვე დასცა თათარი“ (ს ი ო ნ ი).

წიაკა-ი წიკენა, — უსიამოვნო მაღალი და წვრილი ხმის მქონე, ავი ქალი; მაღალი და გამხდარი ადამიანი.

წილა 1. ყალიონის ტარში დაგროვილი მჭევრტლი; 2. ზღვეზე დამხმარი ბართი (იხ. ქ ე ა ბ ა რ თ ა). „სველ ზღვეზე მარსლს ჰყრიან, ბართი აირევა და ქვაბართა ან წილა გაცდება“.

წივ-ი ნაპერწკალი. „წამოიდა ქალი და თან კოლი გაიდევნა ნაცრისა თავის სახლამდე. ქალს ერთი წივი მიხყვა შინა, ქალმა გააღუა და გაანთა ცეცხლი“.

წივა-ი ქვის ჯიშია, სხვადასხვა ფერის ნაერთები აქვს, უმეტესად რუხი. შიგადაშიგ ოქროსნაირი წინწკლები გამოჩანს.

წითელა ე ა რ გ. „ლურჯას“ მოხევები არაყს ეძახიან, „წითელას“ კი ღვიწხოს“ (ა. ყ ა ზ ბ. „დ რ ო ე ბ ა“, 1880, № 158, გვ. 3).

წითელი მხალ-ი ბოტ. წითელი ჯიჯლაყა (ა. კ.).

წითელი ხილ-ი ბოტ. მთის წვრილი ხილია.

წითელწებრა-ი ბოტ. დაბალი ბალახია, ბუჩქად იზრდება, ღეროს წითელი ფერი გადაჰკრავს, ბუსუსიანი ფოთლები აქვს, ყიზლარში მოდის.

წითიწლამდე წლიდან წლამდე. „ეგ თოული მანდ წითიწლამდეა“.

წიკენა-ი ავი ქალი, კაპასი, ანჩხლი. „ძრიალ მარკე და წიკენაი დედაკაცი იყო, საქმე კი უყორდა“.

წილ-ი ნაწილი, საკუთრება, ქონება: ჩემი წილი ჩემი კერძი; წილები ვყა-



რეთ კეხვი ვყარეთ; გავიყავით, ჩვენ-ჩვენი ნაწილი, საკუთრება მივიღეთ საერთო ქონებიდან (მემკვიდრეობიდან); წილის ამაღება გადასახლება, აყრა, სხვაგან გადასვლა; წილის ჩაღება ნაწილის მიცემა, შეზიარება. „მეც ჩამიღვეით წილი“.

წილ-ბოლო მემკვიდრე, შთამომავალი, ქონება და შთამომავლობა. წყევლა: „შე წილ-ბოლო ამოწყუეტილო!“ დისწული დედისძმათასი (შკამს უკითხვად დაჯდება), ვინც იმას გაუჯავრდება, წილ-ბოლომთაიც გასწყდება!“ (ხ ა ლ ხ.).

წილდებული მონაწილე, მოზიარე. „იმ დღიდან მკევეები წილდებულნი არიან ამ დღესასწაულისა“.

წიმიწიმ<sup>1</sup> პირთამდე სავსე. „ტაგანაი წიმიწიმ ავაესე წყლითა“; „ფქტილით წიმიწიმ გავსებული ხონაი შამაიტანა“ (ა. კ.).

წიმიპირა-ი პირველი მშობიარე. „წიმიპირაი ქალაა და იმისთჳი გაუტირდა მალოგინება“ (ა. კ.).

წინა, წინავე, წინავის-ა წინათ, უწინ ადრე, ძველად. „წინავე იცოდინაკე“.

წინამდეგი წინამძლოლი, მეთაური, მდგომარეობით და უფლებით წინ მდგომი ქალი ძველ მოხეურ ოჯახში, უფროსი დიასახლისი.

წინებისყენება ცხერის ფარის თანაბრად შეჩერება, როცა მწყემსი წინ უღვას. „წინებისყენებას შეჩუეული ფარა გზაზე იყო“.

წინამძლოლი-ი წინამძლოლი, ხენის დროს ხარის, ცხენის წამყვანი.

წინწადეგა-ი მეტიჩარა, წინმასწარა, უტარო კოვზივით ყველგან რო ჩავარდება (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

წინწადეგობა მეტიჩრობა, არამკითხე მოამბეობა, დანიშნულება-საჭიროებისა და მოთხოვნილების მიუხედავად თავგამოჩენა.

წიოკა-ი წიაკა — ანჩხლი, კაპასი, მყვირალა (ქალი). „წიოკაი დედაკაცია“

წიპ-ი ორი თითი ერთად (ცერი და შუა ან საჩვენებელი). „ერთი წიპი ფქტილი მიინც მამეც!“ „მარილი წიპით ავიღე“.

წიპტარა-ი პატარა, მსუბუქი თითისტარი ორი თითით საბრუნებელი. „ვასთავდით წიპტარაითაც და მუცლიანი ტარითაც“, 202.

წიპწავ-ს 1. ხინკლის (ხაქაპურის...) ქერქს თავს უყრის, ახვევს, ანაოქებს, ნაპირებს ამრგვალებს. 2. თვალებს უშნოდ ახამხამებს. „საშინლად სწიპწავს თოლთა“.

წირწენი, წერწენა იხ. წ ე რ წ ე ნ ი.

წისქტილთკარ-ი წისქვილის კარმიდამო.

წიქორია კიამაია. „ყანაჩი ბევრი წიქორია დავიჭირე; წიავ-წიავ. წიქორიავ მთაზე კუერცხი გიპოვნია, გიწუთია და გიქამია, პირზე გცხია, გიხარიან“ (ხალხ.).

წიწანა-ი ხის პატარა ჯამი.

წიწინ-ი (წიწინებს) ჩხუბის კილოზე წვრილი ხმით წივილ-კივილი. „გაიარე, ბევრს ნუ სწიწინებ!“ (ა. კ.).

წიწკაობა თამაშია: წიწკებს (ჩხირებს) დააწყობენ, კორს (სალას) გაკკრავენ და მონიშნულ ორმოში უნდა ჩაყარონ, 257.

წკაპი- ნაგლეჯი, ანახლეჩი, ძვლის ან ხის ნაპირის შენატები. „ფიცარს წკაპი ასძრო“; „ფევი გადამიბრუნდა და ძოლზე წკაპი ამძრო“ (ა. კ., კ. ქუ შ.).

წკაპწყუბი- ს ა უ ბ. ცემა-ტყეპა. „დღემ ბიქს ლამაზი (ლაზათიანი) წკაპწყუბი აუყენა“ (ა. კ.).

წკენტა 1. ჩხვლეტა, ჩქმეტა. 2. დ ა მ ც. ს ა უ ბ. წველა (ნ. მ ო წ კ ე ნ ტ ა. შდრ. ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, III, 662).

წკეპება შეკრთობა. გულმა მიწკეპა შული შემიკრთა (შიშზე, სიხარულზე).

წკეპლა-ი ზოლიანი. „წინათ ეცვათ წითელი წკეპლაი ახალუხნი ქალის“ (მ ო ხ. ტ ა ნ ს ა ც მ., 7).

წკირას იხ. წკრინას.

წკიტინი წკმუტუნი; ხმამალა შეცხადება რაიმე უსიამოვნებისა. „თავის უბედურება რომ გაიგა, ერთი წკიტინი ასტება“.

წკრინას ზ მ ნ ს. მწკრივად. „წეროები წკრინას მიფრინავენ“.

წკრითი-ი ქალების ჩხუბი, წიოკობა: წივილ-კივილი, გოდება, ტირილი; „თაუგაჩხილ კაცს კი აღარას დაგიდედეს, ქალების წკრითილი გამადიოდა“.

წმინდობ-ს წმინდა დღესასწაულის წესებს იცავს. „ხატობის დრო რო მათანის, დეკანოზები ერთის კუბით გავიდიანკე და წმინდობდიანკე“.

წოწინ-ი ჯამოზოგვა, მომჭირნობა, სიფრთხილით ხმარება. „ერთი ვაშლი ჰქნდა და მთელი დღე წოწინით ჰამდა“.

წოწინარ-ი გრძელი ჯოხია, სარეცხის თოკს შეუყენებენ შუაში. „თუ სარეცხის თოკი ჩამაიძაგრა, ქტეთით წოწინარი შაუყენიანკე“.

წრთხილ-ი ჩარჩოში დატანებული ამონაჭერი მინის ჩასასმელად. „შუკუ-ნაჩი ფიცრის წრთხილი გამოვაწყუტე შუშის ჩასასმელად“.

წრინკე მაგრად, ზედმეტად დაძახული ნართი. „ძრიალ გაძახული წრინკე გამაეიდოდა. სუსტად გაძახული კი მდორნე“, 203.

წრტილმხალა-ი ბ ო ტ. ყუნურუკო (ა. კ.).

წრტიმიანი-ი ბ ო ტ. წერილი ცერცვის ბუჩქი, ხათხვერა. „წრტიმიანი ყანა“ (ა. კ.).

წრუმპელა-ი წურბელა. „წრუმპელაი დაისხა“.

წრუმპვა წრუმპვა, მიუინებით და ხარბად ბოლომდე სმა. „ძალიან წრუმპავს არაყსა და ღვინოს, რა კეთილი დეემართება!“ (ყ ა ზ ბ.).

წრუმპია-ი სმას დახარბებული, ხარბად მსმელი. „ახალგაზრდობიდანვე წრუმპია იყო“ (ყ ა ზ ბ.).

წუა-ი ცხელი (ბავშვის ენაზე). „წუაია ხაბიზგინა არ მინდა!“

წუენ-ქორც-ი წვნიანი საჭმელი ხორცისა.

წუერობა ძვ. იგივე წვერის მამაწმინდობა, — რეგილიური დღესასწაული ფხელშე-გორისციხეში (ერთ-ერთი სალოცავის საბრძანისი იყო

რუხეს მთის წვერზე). „სამს ხატჩი იცოდინას ვასელა. კუირას წუეროთა იყვის“, 211.

წუეტაცხორა-ი ჩია და მოკლემატყლიანი ცხვარი. „ცალრქაი წუეტაცხო-რაი დათუხს შავაქამე... სამი დღე და სამი ღამე ბევრი ვიტირე“ (ხ ა ლ ხ.).

წუიმსაფარ-ი ახ. წვიმისაგან დასაცავი, მოსახურავი. „წუიმსაფარ:“ რომ არ მქონიყო მთაჩი, ალბათ მოვკუტდებოდი“.

წუჯანა-ი, წუჯანია-ი ძალიან პატარა, მცირე. „წუჯანაია და რამოდენა ვმა აქუ“; „წუჯანაია კარტოხაი“.

წუჯა-წუჯა წვეთ-წვეთ. „წუჯა-წუჯას“ ზ მ ნ ს. წვეთ-წვეთად. „სისხლი წუჯა-წუჯას ჩამასლიოდა ცხუირჩიგათა“ (ა. კ.).

წუპავ-ს კუმავეს ბაგეებს. „რანითუი წუპავ ტუჩებს, თქვი სათქმელი!“ (ყ ა ზ ბ.).

წურვა 1. ცხენის სადოღედ მომზადება (ნ. გ ა მ ა წ უ რ ვ ა). „ცხენს სწუ-რავს“. 2. ყველის ამოყვანა (ამოღება) შრატრიდან. „ყველს სწურავს“.

წუწა, წუწიანა-ი წირპლი, წირპლიანი. „წუწიანაი ბებერაი ტყეჩიგათ გა-მაიყურება“ (გამოცანა: ზღმარტლი); „დაიკარგე, შე წუწიანაო, შენა!“ (ა. კ.).

წყალღორ-ი ნიაღვარი. „წყალღორი გამავეიდა და გზება სულ წაიდა“.

წყალჩიტა-ი მდინარის პირების ფრინველია, მონაცრისფრო, ბელურას-ოდენა, ოღონდ ცოტა უფრო გრძელი.

წყარობანა თამაშია. დასხდებიან სიგრძეზე ორ რიგად, შუაში ორი დგება, ააგდებენ პატარა ბრტყელ ქვას, შეთანხმდებიან — სველი პირი უნდათ, თუ მშრალი. ამის მიხედვით, ერთი ჯგუფი იწყებს კენჭის დამალვას, მეორემ უნდა გამოიცნოს — ვისთან არის დამალული (გ ე რ გ ე ტ ი, 232).

წყევლით გადაიდებ-ს წყევლა-კრულვით ამოაგდებს.

წყემსის ნატირალი, წყემსის ცრემლი პირუტყვის შინაგან ორგანოებზე წყლიანი ბუშტუკები. ვეტეჟიმები ეძახიან ჭიის კვერცხების ბუდეს (ა. კ.).

წყლიანი პური-ი უსაფუეროდ გამომცხვარი პური, ხშიადი. „წყლიანი პური ქერისაყაა და ქერსვილისაყ. ცოტა წყალი უნდა ახმარო, მახოხს არ ვაძლეუო, მაგრა უნდა მაზილო“ (ხ ე ვ ი, პ უ რ ი ს ც ხ ო ბ ა, 240).

წყლის დაღუტა ძ ვ. ე თ ნ. ჩვეულება-ცრურწმენა: წყალკურთხევა, დილით ადრე მიცვალებულების სახელზე წყლის დაღვრა, ვითომც მიცვალებულების-თვის წყლის დაღვეინება. შემდეგ ჩალა-თივას დაანთებდნენ, ვითომ მიცვალებულებს ათბობდნენ.

წყლისებური ნაკერ-ი გაუმრუდებელი, სწორხაზიანი, თანაბარი ნაკერი. ასე იყრებოდა ქალისა და კაცის ყველა ტანსაცმელი კიდევებში.

წყლის ყოილი წყლის ნაწყენი (herpes.), ბაგეებზე წყლიანი ბუშტუკების გამონაყარი (სინ. იმერ. ნ ა თ ა გ ვ ა რ ი).

წუერწყლია-ი დ ა მ ც. ძალზე გამხდარი, დასუსტებული ადამიანი (ა. კ.).

წყუბეტა კოკის თამაშში აცილება, ასხლეტა. „კოკის წყუბეტა“ (ა. კ.). შდრ. იწყუბეტს.

ბ

ჰალ-ი ფანდურის ნაწილია. ხის პატარა სამკებილიანი ფირფიტა, რომელშიც ჩაისმის სიმები. ჰალი სიმებს გარკვეულ დონეზე აყენებს, უმისოდ სიმები ფანდურს დაეკრება. საქციევი ჰალი ფანდურის ყელშია, ასაწევი ჰალი — გულში. „ეს ფანდური კარგა უკრავს, მამართული ჰალებჩიო, ჰალავ, მოლი, ბაკოცნინე მაგ ყუუყუნა თოლებჩიო“ (ხ ა ლ ხ.) ნ. კ ი ბ ი ს ჰ ა ლ ი.

ჰალის ყანა ვაკე ადგილის, წყლისპირის ყანა. „მე წილჩი ჰალის ყანა მერგა“.

ჰანჰიკა ნაქარგ-ნაქსოვის სახეა: ერთი უჯრა სირმით, მეორე უჯრა უბრალო ძაფით ირთვებოდა. „ჰანჰიკას თუღიანს მაქსოვდეს, ვერცხლის ძაფის ბატარა თოლი ექნებოდა“ (ხ ე ვ ი, ქ ა რ გ ვ ა-ქ ს ო ვ ა, 48).

ჰაპოშარ-ი მსხვილკბილებიანი ქლიბი, კოპოსანი.

ჰალაჰა-ი მაქო (შდრ. ც ხ ე მ ლ ა ი), საქსოვი მოწყობილობის ნაწილი: ორმხრივ კონუსისებურად გათლილი ხე, შუაში სიგრძეზე ამოკვეთილია და ჩასმულია თითისტარი, რომელზეც ეხვევა შალის საქსოვი ძაფი — ზედა. საქსოლში მარჯნიდან მარცხნივ და პირუკუ გატარება-გამოტარებით ქსოვენ შალს. „ძაფს გავახტევე წიწკებზე, ჩაესდგამ ჰალაჰაჩი“, 213; „თუნალაის წინ ჰალაჰაია, ძაფს ამოძრავებს, ზედას ავლებს საქსოლს შუა“.

ჰაკით მოზღავებული, მოზღაული სიპის ქვით მოფენილი იატაკი საქონლის სადგომში, ბინაში ან პატარა ეზოში კარის წინ.

ჰაკ-ი მკებნარის (ტილის) კვერცხები. „უსუფთაოდ დაგდებულ ჰალასა ჰაკი გაშჩენიყო თმაჩი“.

ჰდე პაწია ჰრილი ხეზე ან ჯოხზე, ნაქდევი, ხაზი, ნიშანი რისამე სამახსოვროდ. ჰდის ამაგდება ძე. სათვალავიდან ამორიცხვა დამნაშავეის მოკვეთის ნიშნად. „ისრი ამაგდას მოლალატის საბოლოო, როგორც ამ ჰდეს ამაგავდებო — დაარისხა ხევის უხუცესმა“. ჰდის დაკვრა//დადება ჯოხზე პატარა ღრმულის გაკეთება დანით რისამე გაანგარიშების მიზნით. „ჰდეს დახკრავდეს და ორი კუჩირალა დარჩებოდა ჯორწილამდინა“. ჰდეს მისცემს ნიშანზე შეჭფიცავს, პირობას მისცემს. „მთიულთ ჰდე მამცეს, რო ნუგზარს არ ვემხრობითო“ (ხ ა ლ ხ. „გოჩას ამბავი“). წინ და უყენ ჰდე ნ. ს ე რ ი.

ჰეკა-ი ძველებური ხის ბოქლომი, კბილანებიანი, იღებდა და იკეტებოდა ბაწკინტათი. ახლა უწოდებენ ლითონის ბოქლომსაც. „ჰეკა-კლიტით დავკეტეთ სახლი“; „ამ ჰეკას ეგ კლიტე ვერ აღებს“.

ჰერ-ი სწორი, გრძელი და წვილი ხეები სახლის თავებზე გასაწყობად, ბანზე ჰაკის ქვეშ საგებად. „როცა კედელი აიგება, ზედ გავრთავთვე ხეებს, ხეებზე კი დავაყრით ჰერსა — სწორსა და გრძელს გალებსა“.

**ჭერხო 1.** ძველებური მოხეური სამსართულიანი სახლის მესამე, კოშკურა ნაწილი, საცხოვრებელი (საზაფხულო) ან სამეურნეო დანიშნულებისა. „ჭერხოჩი სადღობელია ჩამაყიდებული“, 115. 2. სახლთან მიშენებული ან განცალკევებით მდგარი ოთახი, ინახავდნენ სეზონურად სახმარ იარაღ-ჭურჭლეულს (ხ ე ვ ი, მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა, 33).

**ჭერხოზა** ძვ. ერთი საგვარეულოს დასახლების დღესაწაულა, იხდიდნენ ზაფხულში საზიარო მამულებისაგან მიღებული შემოსავლის განაწილებით. „იმათ გადაიჯადიანკე დღესასწაული, ჭერხოზა გააკეთიან, დალიანკე წმინდა გივარგის სადიდებელი... ჭერხოზა სამხთო დღეობა იყვის“, 70; 196; ძვ. ე თ ნ. ყამარაულების გვარის ამოწყვეტისაგან გადარჩენის აღსანიშნავი დღესასწაული კარკუჩაში.

ჭია ცხვრის ავადმყოფობაა, რქებში უჩნდება, ძლიერი ქავილი აწუხებს.

**ჭიანჭუტელა** ვინ გაგპარა თამაშია: „უნდა გამაიციანს, რომელ ჯელი მამჭუკენჭი, თუ ვერ გამაიციან, ზურგზე შაასხდებიან“, 241.

**ჭიკლაპურ-ი** თამაშია. ერთი მოთამაშე კორს შორიდან გამოისერის, რათა ორმოში ჩაადგოს, სხვები ორმოსთან დგანან და ცდილობენ ააცდინონ ორმოს.

**ჭიმურ-ი** საქმელია: ახალგამომცხვარი მკადი, ერბო და ყველი ერთად აირევა და დაგუნდავდება, ჭამენ გზად მიმავალნი ან სახელდახელოდ დანაყრდებიან.

**ჭირ-ს** უჭირს; აქვს, ატარებს. „შვილო, რაი მაგივიდა, ტყვია ღომ არა გჭირსაო? — ვალი მამჭუ სიკუდილისაო, ტყვია არა მჭირს, დედაო“, 294.

**ჭირის დედა** დიდი გაჭირების გადამტანი, ვაის მნახველი. „აი შე პაჭი-ჭაურო. შენ ბევრის ჭირის დედაო!“ (ხ ა ლ ხ. ა. ქ.).

**ჭირნაკოდ-ი** ჭირნაკიდელ-ი გრიბი, ავადმყოფობა სიცხითა და ოფლიანობით. „ჭირნაკიდი (||ჭირნაკიდელი) აჭუ; ჭირნაკიდელი დაასხა“; „მთელი დამე ჭირნაკიდელჩი ვცურავდი“.

**ჭიროზ-ი**, **ჭუროზ-ი** ადგილი, სადაც გრანიტისებური, ფორეჯებიანი ქვა იპოვება.

**ჭიღვა**, **ჭიღო** მხარ-ბეჭის ძვალი. „ერდოზედით გაღმავარდნილა, კიღო დაურტყმია და გასწერია“.

**ჭიშკენ-ი** შვრია (ა. ქ., სოფ. ქ ო ს ე ლ ი).

**ჭიჭინობელა-ი** კალია. „სათიბიგ დაცხა, ჭიჭინობელიც აყმიანდა“.

**ჭკაროზ-ს** (იყენ. იჭკარებს) ფხიზლობს, უძილობა აქვს. „ხიზანი ჭკაროზს ღამ-ღამობითა; დღე სძინია და ღამე ჭკაროზს“.

**ჭკმენტ-ს** ჩქმეტს, ბწყენს. „ნუ მჭკმენტ, მტკიცა!“

**ჭლევა** ატალახება, ფეხებით დასვრა (ნ. მ ა ქ ლ ე ქ ა).

**ჭლიკ-ი** ნაჭრის ბურთი ან ბურთივით დამრგვალებული კოლოფი. „ჭლიკს სათამაშოდ ვიყენებთ-კე, ვინც იფრო მეტჯერ ჩაადგებს, გამარჯვებული ის არის“.

კლიკა-კლიკა პურ-მარილობა თამაშია, იხ. წ ი წ კ ა ო ბ ა.

კორთხო ელამი ცხენი. „კორთხო ცხენი სადმე გადაგჩეხავს“.

კოკყი-ი 1. მოზარდული რქოსანი საქონელი 1-2 წლისა (ზოგან სქესს არ არჩევენ, ზოგან — მარტო მოზვერს უწოდებენ). 2. ქვის ნამტვრევი. „კედელი კოკყისა და ნატაშის დატანებით სწორდება“.

კოკყობა მოზარდული რქოსანი პირუტყვის (დეკეულების და მოზვერების — ერთად ან ცალკე) ჯოგი.

კრა-ი საბავშვო თამაშია. თამაშობენ წრის გარეთ, ვინც წრეში შევა, წესს დაარღვევს და კრაი ეწოდება (კ. ქ უ შ.).

კრელი ლაპარაკი-ი სააუგო, საეჭვო ლაპარაკი ვინმეზე, ძვირის თქმა. „ყამარაზე კრელი ლაპარაკია, რას არ იძახიან: ქმარს ლალატობსო, იპარავს კიდავაცო“.

კრელი კმა-ი საეჭვო ხმა; მითქმა-მოთქმა. „მაგ ბალღზე კრელი კმაი დადის — ითომ ნაბიჭვარიაო“.

ს-კრეს-ს 1. გრესს, მანჭავს, ათამაშებს. „ცეკვის დროს კელებს კარგა სკრესს“ (ა. კ.).

კრიჭინა-ი 1. ბ ო ტ. მხალია, ეძახიან აგრეთვე მ ჭ ი ვ ა ნ ა ს. 2. ცხოველთა ავადმყოფობაა (ა. კ.).

კროლი ჩავარდება-ა ადგილ-ადგილ თოვლი გადნება და მიწა გამოჩნდება. „ყანებში გამაიხედე, არ ჩავარდნილა კროლია“ (ხ ა ლ ხ.).

კროლავ-ს აჩუქურთმებს, აკრელებს (ა. კ.).

კრტიალ-ი ფრინველების ხმიანობა. „ქარი ამავარდა, ფრინველთ კრტიალი დაიწყეს“.

კრუჭუნა-ი სარკმელი. ფ ი გ უ რ. „კრუჭუნასავეთ სახლი ააგა“ (ა. კ.).

კუტიანი-ი ქუტალა, — წვრილთვალება და ახლომხედველი (კ. ქ უ შ.).

კუპრუნტალა-ი ქუპრუტანა. „კარის კუპრუნტელაჩი გავცქირე“.

კუხუნი, კუხუნი... ღორების მოსახმობი სიტყვებია: „კუხუნი, კუხუნი, მოოდი, მოდი!..“

კუანჭყარი-ი კანჭყარი, ტყამპალი, ნაკლული სითხის ხმაური ქურჭლის რყევის დროს.

კუშული-ი მუცლის ყურყული. „გონჯმა წყალმა იცის მუცლის კუშული“.

კურიალ-ი ბრიალი, ჩანჩახი სანთლებისა. „სივანის გორ რომ გავიდეს, დადგა სანთლების კურიალი“ (ხ ა ლ ხ.).

კუუნჭყულ-ი (კუუნჭყულებს-) კუუკუნი, აკვანში მწოლარე მღვიმარი ბავშვის უკმაყოფილო კრუსუნი. „არ გეყურება ხიზანის კუუნჭყული, გაღმობებულია, მიხედე-ღა, სანამ იტირებს; ნულა ასწებ, ბაღლი კუუნჭყულებს!“

**ხაბუა-ი ბოტ.** მხალია, დიეს წააგავს, უმად ჭამენ. „ყანებჩი ხაბუაი დაკერიფეთ“.

**ხავა-ი** (—ხაო) ნაბდის გარე მოგრძო ბეწვები. „ხავაი გასტვივდა ნაბადს და წყალს ველარ იჭერს“.

**ხათა** თხლე, არყის ნახადის ნარჩენი. „ტყავი რო რბილი გამასულიყვა, ფორს ვურევდით, ხათას ვახმარდით სილაგჩი“.

**ხალაღია-მაღაღია** იხ. ხოლოლიამალოლია.

**ხალვას-ი** სალი, ჯანმრთელი (შდრ. ა. ყაზბეგი, თხზ., III, 662).

**ხალისს ჭამ-ს** თამამდება, გულს მოიციემს, წაქეზდება. „ხათრით რო არას ვეუბნები, მაგან ახლა იფრო ხალისი ჭამა“; ხალის ნაჭაში გათამამებულნი. „ხალის ნაჭამია და იმიტომ იქცევა ეგრე“ (ა. კ.).

**ხამპალა-ი** სიმინდის ცომის გუნდები წყალში მოხარშული. „სამპალაი სამარხო საკმელია“.

**ხამხნა** საკმლის მომთავრება (ნ. მახამხნის).

**ხარდაგ-ი** იგივეა, რაც ხარდაგა — სამყურას, ნეკერჩხლის ფოთლის ან ირმის რქების მსგავსი ნაქარგ-ნაკერი ოქრომკედლის სამოსის შესამკობად. „ახალუხი გტქონდა გულისპირიანი, კალთები ალხინწაით და ხარდაგებით გამართული“, 246. „ხარდაგებს ვაკეთებდით ვერცხლისას“.

**ხარიხა** ურმის ჭალებზე ჩამოცმული ვიწრო ფიცარი სიგრძისად (სინ. იმერ. ზეწარი).

**ხაროვან-ი** იხ. ქაროვანი. „გამაუძღვება ლაშქარსა არხოტელთ ხაროვანზედა, ზეით ჩასტქერის ნახირსა...“ (სნო).

**ხარხილ-ი** ქლე, ნაწყობი (სალტის ადგილი კასრზე და სხვ.). „ქერი კასრჩი ხარხილზედითლაა; წისქტილს ხარხილზედით უგია“ (ა. კ.).

**ხარხუბაი, ხარხუპაი** დამცირ. წყალ-წყალა, ნაკლებცხმიანი წვენი. „ეს რაილა ხარხუბაი მაგინარშია?“ „ხარხუპაი რაილაც დავხტურიტე“ (ა. კ.).

**ხარხუმ-ი** ხრტილი. „ხარხუმი ცხტირჩი გუოქ“.

**ხატით** დაკოჭვა ძვ. ცრურწმ. ავადმყოფის შევედრება ხატისათვის და ხატის ძალით შეშინება, როცა მავნე აწუხებს.

**ხატის გამტეხი** ღვთის შემცოდე, ავი კაცი, ავაზაკი, კაცნაკლავი. „თოლებს შამიხედე მაგისასა, ხატის გამტეხივით თოლნი არ უყრია! აი შე ხატის გამტეხო, შენა!“

**ხატის ყანა** ძვ. უმემკვიდროდ დარჩენილი პირის მიერ ხატისთვის შეწირული ყანა საკუთარი სახელის სახსენებლად და უკვდავსაყოფად.

**ხატის ყმანი** ძვ. ცრურწმ. ხატის მონა, მსახური, რომელამე ხატის მფარველობაში მყოფი. „ჩუნ ლომისის ხატის ყმანი ვართ“.

**ხაფაფუა-ი** ავადმყოფობის ადვილად ამყოლი — მშიშარა ადამიანი. „ხაფაფუაი კაცია, თითი რო ასტკივდეს, მაშინვე ლოგინჩი ჩაწუება“.

ხაფახუფა-ი იხ. ხ ა ფ ა ფ უ ა ი.

ხამხისყელა-ი ბოტ. მცენარეა ერთგვარი, ბუჩქად იზრდება, მჩხვლეტა-ვია, შიგ გავლა თითქმის შეუძლებელია.

ხაკი-1. მდინარის კალაპოტი, ციცაბო კლდიანი ნაპირი. „ერთხალ ყური იმოდენა გამოვიდა, რო ხაკი სულ გაავსა“. 2. ყველის ნასვრეტი. „წელს ბევრი ხაკი გამახყვა ყველსა, კარგია“.

ხევანი-ი ხის ნაწილები, ხის მასალა. „რაიცი ხევანი ხქონდა თოფსა, სულ მიამტრია, რკინეული შარჩა“ (გორსციხე).

ხეთერ-ი, ხეთირ-ი, ხეთრ-ი ნაწლავების ქონი.

ხეთანობა, ხეთობა ძვ. დღესასწაული ხევში, ზაფხულში მოდიოდა. „ამ ქალმა იცოდა... როდის მოვიდოდა წტერობა, როდის იქნებოდა ხეთობა“, 229.

ხეკეთილა-ი ძვ. ც რ უ რ წ მ. ხის ჭიშია, მაგიურ ძალას მიაწერდნენ, მაღალი იზრდება, ნაცრისფერი კანი და წვრილი ფოთლები აქვს. იხსენიება ლეგენ-დაში „ცხრა ძმის გაცილება“.

ხელვა-ი კოკობის დროს არა მონაწილე მომსვლელს შეუძლია კოკები მოიტაცოს, თუ მოთამაშეებმა არ დაასწრეს და არ დაუძახეს — ხელვაია, ხელ-ვაი (ქართლურად ჩ უ რ ი. ა. კ.). კარკულაში იხმარება ხ ე დ ვ ა ი (შ. გ ე ლ.).

ხელუპყარ-ი უსაქმური, ზარმაცი, უქნარა, მოუხერხებელი. „ნუ ხარ ხელ-უპყარი, გაინძერი!“

ხელუყარ-ი იგივეა, რაც ხ ე ლ უ პ ყ ა რ ი.

ხეპრეკად დადის მოსულელოდ, შეუსმენლად დადის, დაეხეტება.

ხე-ჭერი-ი ხეები ანუ ღირეები და ჭერი, გრძელი სწორი ლატანი — სახლის სახურავი, რომელზეც შემდგომ აყრიან მიწას და სხვ.

ხვალეზე სახვალიოდ, ხვალისათვის; ზეგ. „დღეს რო აჰვადო, ხვალეზე ის-რიც ისეა“.

ხველის დაბერება ხველების გათავების პირზე მისვლა, შერბილება, გაიო-ლება. პირველად მშრალი ხველა აქვს, ბოლოს ბანდს (ნახველს) ამოიღებს და ცოტა შეებას იგრძნობს. ამას ჰქვია ხველის დაბერება (ს. ა ლ ი ბ ე გ.).

ხთიანი-ი ღვთიური. „ნეტაი გამაგებინა, ქალავ, ვისი ხარ ხთიანი...“ (ხ ა ლ ხ.).

ხიზანი-ი ბევში, შვილი (ორივე სქესისა). „ეყვალა ხიზანი — ორი ბალღი და ერთი ქალი“, 129.

ხილიანი-ი ხილეული, ხილეულობა. „ხილიანი ძრავალ მიყორს, პაპამ ხილია-ნი მოგტიტანა“.

ხილხოტ-ი, ხირხოტ-ი ხირხატი. „მაგ ხილხოტჩი რაილა ყანა შოვა!“

ხიმხალი-ი მხალეული, გაოეული მწვაილი. „იიმწალი ვკოიფეთ და ეჭამეთ“; „დუნია ხიმხალი დავკრიფეთ: ჰერთხალაი, ხატოტი, სასხეპიანი, მდოგი“.

ხინკლობა ქორწილის მესამე დღეს ხინკლებით გამასპინძლება შინაურე-ბისათვის. ამ დღეს ხუმრობდნენ: ან მაყრებს მოსტაცებდნენ ქულებს და სა-



ჩუქრებს გამოსტყუებდნენ, ან ნეფეს და ეჭიბს ჩამოჰკიდებდნენ პერში, რათა მეტი სასმელი და ხინკლები გამოეტყუებინათ მეკოლდებისათვის.

- **ხირტალა**-ი 1. დიდი კოვზი ხისა; უწოდებენ ჩოგანსაც. 2. **გ ა დ ა ტ**. ავი ენის მქონე, ენატანია. „ემაგას ნუ ენდობი, ხირტალაი დედაკაცია“.

**ხირხალ**-ი ხირხატი, ქვიანი მიწა; მოუსავლიანი, უნაყოფო, მწირი მიწა (ჭუთა).

**ხიფხა**-ი ხიფი, ხიფა; ორფენა ძაფების გადაჯვარედინება; საქსოვად მომზადებული ნართი, ძაფი აწყვია რვიანის მსგავსად და გამზადებულია შე-სავარცხელში ამოსაყვანად. „შეს მოძრაობის დროს ხიფხა კეთდება; გავაკეთებ ხიფხასა ამ შკმიდან იმ შკმამდე; გავიკეთებ ხიფხასა ჯელზე“, 218

**ხიშტა**-ი ქელეხი. „ისითი ქალი მიწაჩი იწვეს და მისი სიშტაი ვქამაო!“ წყევლა: „ბედრიანაი ეღირსება შენის ხიშტაის გაგლეჯასა!“

**ხიჩონა**-ი გრძლად მოქსოვილი მატყლის ზეწარი, ძველად საბნის მაგივრადაც ხმარობდნენ.

**ხოზზარ**-ი შიშველი, ჩაუტმელი. „ტიტველ-ხოზზარი ხიზანი ჰყავ“ (ა. კ.).

**ხოვი** 1. ხვაფი, ბარაქა. 2. გალწილი მარცვლეულის გროვა კალოზე ნარჩენებითურთ. „ჩალას ავბერტყდით ორთითებითა. რაც დარჩებოდა, იმას ხოვს ვეძახდით, იმას გავანიავებდით და ჩავხყრიდით მოწნულს გოდრებში; სამითთებით გავანიავეთ, ხოვი დარჩის და ბზე გაიტანის“, 178.

**ხოირ**-ი წვიმის წვეთების დაცემით გუბეში და სხვაგან ზედაპირზე წარმოქმნილი ბუშტუკები.

**ხოლიობ**-ს ზოგავს, ინდობს, არ იმეტებს (ნ. გ ა ი ხ ო ლ ი ე ბ ს).

**ხოლოლია-მალოლია** საბავშვო თამაშია ერთგვარი, იწყება ასე: ხალალია-მალალია, ფურის წველა გოჩიჩია... შემდეგ თითებზე ჩამოთვლიან: ამან დაკლა...

**ხონაბაკანა**-ი (←ხონა+ბაკან-ა) ხელგობი, ხის მოზრდილი ჯამი (2-3 ლიტრიანი). „ეგეთი მქამელია, რო ერთი ხონაბაკანაი უნდა“.

**ხონაის პურ**-ი გობზე მოზელილი პური (ორ კილომდე). სარძლოს სანახავად მისული სასიძოს მშობლები ათ ხონაის პურს მიიტანდნენ.

**ხოწარისან**-ი, **ხოწარისებ**-ი შთამომავლობა კაცის (ქმრის) მხრიდან, კაცის თოხუმი. „სტუმარს ვახტორებია მასპინძლის სახლის მდგმურთა მრავლობა მანპინძელს უთქომ: ესენი ყველანი ჩემი ხოწარისანი არიანო. სამოცი სული იყო სახლჩი და სუყელას თავის ხოწარისებს ეძახოდა“.

**ხორადიობ**-ს მასხარაობს. „რაია, რას ხორადიობთ; გეყოფათ, ნუ ხორადიობთ!“ (ა. კ.).

**ხორამ**-ი, **ხორამან**-ი დროებით გრძლად აგებული თივის ბულული, პატარა გროვა თივისა. „ის ხორამანიც ჩაგილპება და ერთაი ძროხაიც მაგიკუდება“; „ნათიბი ავხუტეტ და ხორამებად ავაგე“ (ს ნ ო).

**ხორამან**-ი ბ ო ტ. ხოროსანი.

**ხორხმალ-**ი ბრძოლის ველზე დარჩენილი იარაღების ნამსხვრევებია. „მტერი რო გაიქცა, სუ ხორხმალი ეფინა მიწაზედა“.

**ხოფა-**ი მარცვლეულის გასარჩევი ხის ტაბაკი, გობი. „ქალი ჩაპყურებდა ხოფას და ნელა არჩევდა ქერს“.

**ხოხ-**ი მოთეთრო, რბილი ბასრის ქვა, იყენებენ ცელის სალესაებად. „ხოხით პირს გაუთხელებდით ცელსა“, 178.

**ხოხორ-**ი (ხოხორობ-ს) ხმაური, აურზაური, ყაყანი, ალიაქოთი. „ყველაწმინდის მინდორზედითო ხოხორი გამადის, რაზე ხოხორობს ხალხიო?“ 69.

**ხოხრა-**ი, **ხოხრიალა-**ი თავის ქალა. „ცხორს აქუ ხოხრიალაი და საწუარი“; „რადგან ქოხი არცა იყო, ჩუენ ერთს კაცს თავის ხოხრიალაჩი შევეფარენით“ („ამირანიანი“, ჭუთა, ფა, № 44). **გ ა დ ა ტ.** დიდი გონების ადამიანი. „ეს კარგი ხოხრაის კაცია“.

**ხრეშა** ხეხვა, ხახუნი, შეხება. **ნ . ა ხ რ ე შ ს , ე ხ რ ი შ ე ბ ა .**

**ხრიაკ-**ი ხრიოკი. „ჩემო ქვეყანავ ხრიაკო, მალალო მთებო კლდიანო“ (ხალხ.. 34).

**ხრინკა-**ი სარმა, ფეხის გამოდება. „ხრინკაი მამლო“.

**ხრუშე** მსხვილად დაფქული. „თუ გინდა... ხრუშედ დაფქოვ, თუ გინდა — მბილად“, 154.

**ხსნილობა** ბოდიში, უკაცრავად პასუხია. „შენ ხსნილობა, ოთხფეკმა (=ძალღმა) ლეკუები დაყარა“; „შენ ხსნილობა, ქათამს კუტერცხები ნაგევი უღვია“ (ა. კ.).

**ხსოულობ-ს** იხსომებს.

**ხტლებ-ა** ებმის, ეკიდება. „ძალები ხტდეს ერთმანეთსა“; „სივანს აქებენ ვაუკაცსა, მაგ სტიმანაის შვილსაო, თურმე ხტედრია მიხასა, წამოუღვია ძირსაო“ (ხალხ.).

**ხუევრა-**ი ბ ო ტ. იხ. კვევრა.

**ხუთაო** (მრ. ხუთაეები) ხ უ თ ო — ქვა გესლიანი (საბა), კენჭი. „აიღებენ ხუთაოს, რძეჩი ან წყალჩი გაღლესენ, უწამლებენ წითელ ქარსა. ჩუენს ძტელებს ეგრე სწამდათ, რომ ეს ხუთაეები კარის ღვიძლიდან არის გადმოვარდნილი“.

**ხუთეულ-**ი, **ხუთეულა-**ი ხუთი ძნა. აწყობენ ორს ძირს, ორს ზემოდან ჯვარედინად, მეხუთეს — თავში.

**ხტირ-**ი გამხმარი ღერო (ჩალის, თივის). „ჩალის ხტირები ჩაუყარა ბაგაჩი; **გ ა დ ა ტ.** ცალი, ბეწვი. „ერთი ხტირი თივა არა მაქტო — იტყუიანკე“, 132.

**ხტირობლ-**ი ღერა-ღერა, თითო ღეროებით. „თავსტილა ბალახი სულ ხტირობლი მავიდის“, 132.

**ხტიშირაი** თოვლ-ი ხვრიში თოვლი.

**ხულა-**ი პატარა ყურიანი, წვრილყურა ცხვარი.

**ხულება** ცხენის მიტანება საკბენად (**ნ . ი ხ უ ლ ე ბ ა , ე ხ უ ლ ე ბ ა**).

ხურხუმა ბოტ. ბალახია, მიწაზე გაშლილი იზრდება, პატარა-პატარა ფოთლები აქვს, მლაშეზე მოდის (მე ს ა ქ ო ნ ლ. 301).

ხურჯინის უღელ-ი ხურჯინის ნაწილი, ხურჯინის თვლების შემაერთებელი, რომელიც გადაიკიდება (ხურგზე, უნაგირზე...).

ხუსხუს-ი ძუნძული. ხუსხუსით სიარული. „ლორებმა ერთის ხუსხუსით ჩამაირბოლეს“.

ხუშიან-ი წვინტილიანი.

ხუშკაპარა-ი დ ა ც ი ნ ვ. ცინგლიანი. „დაიკარგე, შე ხუშკაპარაო, შენა!“ (ა. კ.).

ხუშტურა-ი წვინტილიანი. „დაიკარგოს ეგ ხუშტურაი!“ ნ. ხ უ შ ხ უ შ ა ი.

ხუშხუშა-ი წვინტილიანი. „ხუშხუშაი ბაღია. ცხტირი ვერ მოუწმენდია“.

ხუშხუშუბ-ს ღუღუნებს, სურდოსგან ხმადაქერილი ლაპარაკობს. „რას ხუშხუშებ, ცხტირი ველარ მაიწმინდე?“

### 3

კავი-ს 1. კნავის. „კათაი კავის“. 2. ყივის, ჩხავის. „რას ჰკავე ყორანი-ვითა?“

კავილ-ი 1. კნავილი (მაგ., კატისა). 2. ჩხავილი. „ჰკების კავილი ისმოდა“.

კათხტურა-ი ბოტ. ერთგვარი ცერცველაა, წვრილი გაბმული ბუჩქი აქვს. „ყანავ, რას მოუხვევინხარ, კათხტურასა თუ ხვევრასა?“ (ხ ა ლ ხ.).

კალ-ი ხალი. ქუმელი, მოხალული მარცვლის ფქვილი. „კალს ამზადებენ: დააკალებენ (მოთუთქავენ) ქერს ან სიმინდს, მერე დაფქავენ, დაფქულს ერბოჩი აურევენ და ჰამენ“.

კანჩალა-ი სპილენძის პატარა ქვაბი.

კართ ნაწნავ-ი ნამუშევარი, შრომით მოწეული — პურეული. „კარის ნაწნავი რაია, ის არ ჩაუშუთა პირჩი“ (ა. კ.).

კარისთავა-ი ბოტ. მხალია ერთგვარი, კლდეებში იზრდება, ჰამენ. ეძახიან კ ლ დ ი ს ღ უ მ ა ს ა ც (ა. კ.).

კარის ყოილ-ი საქონლის დაავადებაა, ციმბირის წყლული. „კარის ყოილი ფოთლებივით გამაყრის; კარის ყოილი და ხუთვა გონჯი ავადობაა; ნათლის-მცემლის ბრძანება მავიდაო, ვიტყოდითქე, კარის ყოილი რო გაჩნდისქე“, 251.

კარობ-ს (იყენ. ივარებს) ხარს (მოზვერს) ითხოვს ფური. „როცა ღვენობს ძროხა. არ უვარებია, მაზუერთან არ ყოფილა“ (მ თ ქ მ ე ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, ყ ა ზ ბ ე გ ი).

კაროვან-ი ხარების ნახირი (იხმარება ხ ა რ ო ვ ა ნ ი ც — ლექსებში და ახალთაობის მეტყველებაში). „ძროხებს ჩტენ ძროხებსვე ვეძახით ან საფურეთა, მაზტრებს ერთად მყოფთა — კაროვანთ ვეტყუით“.

კარკატ-ი თუხთუხი, ხმაურით დუღილი სქელი სითხისა. „არაყის ქობის კარკატი ისმოდა“.

კაფ-ი, კაფიან-ი ნასვრეტი, ფორი. „კაფი თუ აქტ, ის ყველი იფრო კარგია“: „კაფიანი ქვა“.

კაფრაფ-ს კარგავს.

კაჯ-ი 1. ხაზი. „ჩერ კოკები მწკრინას დაეწყუთითვე, მამრე კაჯი შამოვავლით“; „კაჯი სწორ გააღლე!“ 2. ჩამოქცეული ხევი, ნიაღვრით დაღარული ადგილი მთაში. „ყანობსა და სნოს აქათვე არის ნამეწყრალი, წინავ წყალღორი თუ ყოფილა და კაჯები დამრჩალა; კაჯები გონჯი სავალია“, 17; 225.

კაჯავ-ს ხაზავს. ჩხაპნის, ცუდად წერს, უბრალო ხაზებს ავლებს. „ეგ რასა ხეჯავ, რაია?“ და ც ი ნ ვ. „ლექსს რასლაც ხეჯავს“.

კაჯან-ი ქაქანი, ხმამაღალი ლაპარაკი; ხმაჩახლეჩით, ჩახრინწული ხმით ლაპარაკი.

კაკრანჭულა-ი ყანყრატო. „დამწორი ქერქი გოკმიეს, კაკრანჭულაი გაგი-თეთრდებოა“.

კადებ-ა გონი, გონება ეკარგება, გული მისდის. „მაგას ხშირად ჰყდება გონი“.

კედანიშის, კედაშნის იხ. კ ე დ ე ნ ი შ ი ს.

კედენიშის დღეობა ელიობა, — ამინდის მფარველი წმინდა გიორგის დღე-სასწაული ხედენიშნის მთაზე 20 ივნისს. „განჯას თუშნი ცხენებს სქედენ, იძახიან გალობასა, ბედრიანაი შეესწრობა კედენიშის დღეობასა“ (ბ ა ლ ხ.).

კელა (მრ. კელები|კელნი) ხელნა — ურმის, მარხილის ნაწილი.

კელადა-ი ხის პატარა კასრი, იყენებენ მარცვლეულის ჩასაყრელად, ძროხის საწველად... „რძეს ეწუელით ვედრებჩიგაცა და კელადებჩიგაც, კელადა, აქტ ასაწვედა“.

კელანა-ი საწყლე ხელადა. „ბიძიისო, ერთი კელანაი წყალი ომოგიტანე!“ „კელენაით დაელიეთ არაყი“.

კელაპირა-ი იტყვიან ისეთ დიასახლისზე, რომელიც მარტო სადღეისო ლუკმაზე ზრუნავს და სახვალიოდ არ ფიქრობს. „ეგ რაილა დედაკაცია, კელაპირაია“ (ა. კ.).

კელასმურა-ი იგივეა, რაც ა ლ ტ ა მ ა, ფ უ შ რ უ კ ი.

კელდაუქერია ხელცივი, ქურდი. „სახლჩი არ შაიშტება, ეგ თოლს არ და-იცდენს, კელდაუქერია“ (ა. კ.).

კელერთიანად მთლიანად, ხელმოსმით. სულერთიანად.

კელზე გაზდილ-ი ხელოვნურად გამოკვებილი უდედო ხბო ან ბატკანი.

კელზე იკიდებ-ს თანამონაწილედ იხდის. „ის ქურდობაჩი დაიქირეს და მეც კელზე მიკიდებს, ითამ მეც იმასთან ვიყავ“ (ა. კ.).

ველის ახრა (ველს აუხრის) საქმის გაკეთებისათვის თავის არიდება, უარის თქმა, ხელის აღება, პირის შეშლა. „მემდური, თეთრო მყინვარო, ჩქარ ამიხარე ველიო, გამგზავნე დასაველეთისკე, იალბუზს მივე მხარიო“ (ხალხ.).

ველის ქვა 1. ი რ ო ნ. მორჩილი, დამყოლი; „ეგ სულ ცხოთა ველის ქვაია, საცა უნდათ, იქ აგზავნიან“. 2. ბრმა იარალი; ყურმოჭრილი მონა. „ეგ ძველად მთავრობას ყვანდა ვ ე ლ ი ს ქ ვ ა დ, რაიც უნდოდათ, იმას აკეთებინებდესკე“ (ყ ა ზ ბ.).

ველისჯაგებ-ი შინაურული, სახლში შეკერილი ხელთათმანები ტყავისა, საცერული აქვს მხოლოდ, დანარჩენი ოთხი თითი ერთადაა.

ველიჯელთ არა აქუ მოუცლელია, დაკავებულია.

ველმაგარა-ი, ველმაგრა მაგრად მოხელილი ცომი.

ველმარტო-ი მარტოხელა. „ველმარტო ვარ“.

ველს ს-დებ-ს პატრონობს, მზრუნველობს, მღარველობს, ყურადღებს აქცევს. „პაბის ჩუენის ძმა ველს სდებდა ჩუენებს — მე არ მყავ შვილი და ესები მაინც დაიზარდნენო“, 277; „ახლანის მთავრობა ველს სდებს სამებასა“.

ველს იური-ს, ჰ-ური-ს 1. იხეირებს, მოიმატებს, იმრავლებს. „ცოტა ბრინჯი ჩავეყარე და კარგა ველი იყარა — ქობი სულ გაავსა“. ველყრით ზ მ ნ ს. უხვად, თავსაყარად. „საქმელი ველყრით იყო“. 2. გულს იჭერებს. „ნაჯავრები ვიყავ მაგაზე და ცემით კარგა ველი ვიყარე“; „წელს ხილზე კარგა ველი ვიყარე“. 3. სარგებლობს, იყენებს. „ნათხოვარ ცხენს კარგა ველსა ჰყრის -- მთელი დღე ამუშავენს“.

ველს მიიტან-ს ხელს ახლებს, დააკარებს. „მაგ ლაწირაკზე როგორღა მივიტან ველსა!“ „საქმელი კი კარგი იყო და ბევრი, მაგრამ ველი არავეის არ მიუტანია სიფროზე“ (ა. კ.).

ველს რევ-ს იბრიყვებს, ერევა. „ვემსური ბალები თურმე აჯავრებდეს, ველს ღრევედეს იმ ვაჟსა“, 123.

ველტურატურა-ი ხელთუქნარი, ხელთუყარი, ვისაც ხელიდან არავითარი საქმე არ გამოუდის (ვ. ქუ შ.).

ველწკეპია-ი თამაში-გართობა: კენჭისყრით ერთ მონაწილეს თვალზე ხელს აფარებენ, დაკუზულს ერთ ხელს (ნებით აღმა) ზურგზე დაადებინებენ და ურტყამენ. თუ გამოიცინო დამრტყმელი, მაშინ ეს უკანასკნელი იკავებს მის ადგილს.

ველჭობა-ი კავიანი ჭობია მოგრძო, თივის ზვინის ჩამოსაშლელად ხმარობენ.

ვენცელ-ი ნამგალი. „ვენცლითა იფრო დედაკაეები მკიდიან“.

ვექ-ს, ვენჯი-ს კორტნის, ჭიჭენის. „არწივს დასცემიან ყორნები და ვექენ თურმე ნისკარტითა“, 221.

ვერვარცლი-ი ხელგობი. „ვერვარცლით ვუმატებთ ცხაკჩი მარცოლს და ვაცხავენთ“ (ჭუთა).

კეკერა-ი უღედოდ გაზრდილი ბატკანი, სხვისი რძის ნაკვები, გამნდარი და სუსტია. „კეკერი რო შავიყარენით, მაში ვთქტი — ესლა მეშუელა! ძუძუებს ვეტანებოდა, როგორც ბატკანი კეკერა!“ (ხ ა ლ ხ.). გ ა ლ ა ტ. იტყვიან გამსუ-საგებულ ბავშვზე.

კვევრა ბოტ. ხვიარა ბალახია ერთგვარი. „ყანავ, რას მოუხვეენინხარ, კვევრასა თუ კათხტერასა?“ „კოხუჯებში კვევრას ჩაუფენენ“.

კვესკვეს-ი (კვესკვესებს) ხვარხვალი, ხმაურით დულილი. „წყალი კვეს-კვესებს“.

კიღ-ი 1. ჩანგურის ნაწილია. „ჩანგურის გულქვეშ ორი კიღია. კიღი ბატის ფრთის რქოვანი ნაწილისაგან კეთდება. მას ძალებთან, ჩანგურის გულში ჩაარ-კობენ ისე, რომ სიმები ამის ქვეშ მოექცეს და აღარ ათამაშდეს დაკვრის დროს“ (ხ ე ვ ი, ს ა კ რ ა ვ ე ბ ი, 482). 2. წისქვილის ხვიმირის შუაში დამაგრებული ფიცარი, ერთი მხარე გვერდზე გამოდის და მასზე ებმის თოკი, რომლის ბო-ლო მიმაგრებულია ნაველაზე და სარეკელაზე.

კინდაჯორ-ი (ფილახორი?) ბოსელი; თავლა. „ბედაურნი დაიჯოცნეს, ვი-რებს დარჩათ კინდაჯორი“ (ა ნ დ ა ზ ა).

კინჩიან-ი ხინჯიანი, ნაკლიანი, ზადის მქონე. „სისხლის შაგმარება კინ-ჩიან თოხუმობას ჩამახყრის“.

კინცავ-ს 1. სხვა ენაზე დამტერეულად, ბორძიკით ლაპარაკობს. „ქიშტი ქართულად მძლივ კინცავდა“. 2. განსხვავებული ტონით და კილოთი ლაპა-რაკობს. 3. სხვის ლაპარაკში ერევა. 4. სტყუის, არადამარწმუნებლად, გაუბე-დავად ლაპარაკობს. „სიტყუებს კინცავდა“.

კირტალა-ი იგივეა, რაც ხ ი რ ტ ა ლ ა ი.

კირქალ-ი გადასაღობი ხარიხა ცხვრის საწვედელაში.

კმაგაგდებით ხმამალა, გასაგონად. „კმაგაგდებით ტიროდა, განა ჩუ-მალა“.

კმაგათქმულ-ი სახელგანთქმული, სახელოვანი. „ესენიც კმაგათქმული ბი-კები ყოფილან“, 141.

კმალ-კიტობა თამაშია, წააგავს ჩილიკაობას, რიკ-ტაფელას. „კმალ-კიტო-ბას ვსჩადიოდით; ვიკმალკიტავათ“.

კმალ-ქარქაშობა იგივეა, რაც ვ მ ლ ი ს ქ ა რ ქ ა შ ო ბ ა.

კმაჰკობა ხმიანობა, ხმამალალი საუბარი. „გარეთით კმაჰკობა შემემესმა“; „თავისთუი კმაჰკობენ რასმე“ (ა. კ.).

კმა-კორჯ-ი ბოხი, მალალი კმა. „ისითი კმაკორჯი აქუ, რო გერგეტჩიგათ ცდოს გაიგონებ“.

კმელა-სველა-ი თამაშის დაწყებამდე კენჭს ჰყრიან, თუ რომელმა ჯგუფმა დაიწყოს თამაში. აიღებენ პატარა, მრგვალ და ბრტყელ ფიქალს, ცალ მხარეს დაუსველებენ, შეთანხმდებიან — მშრალი მხარე უნდა მოპირდაპირეს, თუ

სველი: „კმელი გინდათ თუ სველი?“ შემდეგ აადგებენ მალა და დავარდნის დროს გადაწყდება, ვინ იქნება თამაშის დამწყები.

კმიან-ი სახელოვანი. „ბიბო ყაზბეგი კმიანი და კარგზე კარგი კაცი იყო“ 80.

კმის მალვა ძვ. უმძრახობა, ხმის ამოუღებლად ყოფნა ოჯახში. „წინავე პატარძალი კმას მალავდა, უფროსს ვერ შაუქრახავდა, სახელს ვერ ეტყოდა“.

კმლის ქარქაშობა ძვ. ეთნოგრა. შიმშილობა, საერთო ქესატობა. როცა მარცვლეულს ხმლის ქარქაშით სესხულობდნენ. „კმლის ქარქაშობა მაშინის არის მაგონილი, შიმშილობა რო იყვისკე“, 23. გადატ. ხელმოქერილობა, სიძუნწე. „რამ ამბოვია, რამ კმლის ქარქაშობაია, მამიტა პურები ბლომდა!“

კნავილ-ი კნავილი. „ციციას კნავილი“.

კოლაშ-ი იგივეა, რაც ხორამი — მთაში აგებული პატარა თივის ზვინი, ბიჟინა.

კორციალ-ი ხორციელი, ყველიერის წინა კვირა.

კორცმოყორულ-ი იტყვიან ისეთ პირუტყვზე, რომელიც ჩქარა სუქდება. „კორცმოყორული ცხენია, ერთი კუთრე რო ბალახზე გაუშო, მაშინვე კორცს აისხამსკე“ (ა. კ.).

კორც-წუენ-ი იხმარება წუენ-ფორცი — სუფი, ხარხო. „ავადულებთ წყალსა, დიდ ნაქრებს ჩავადებთ კორცისასა, მაიხარუება, მარილს ვუზამთ და იმ წუენ-კორცს ვკამთ“.

კორწილის სწორ-ი ძვ. ქორწილიდან ერთი კვირის თავზე ვაყის ოჯახში გამართული ქეიფი ქალის იმ ნათესავეებისათვის. ვინც ქორწილს ვერ დაეწრო.

კოტ-ი ღორის ავადმყოფობაა, ხოკი.

კოფ-ი ჩაღრმავებული ადგილი. „კოფი ამ ჩუენ კევჩი ბევრია, აგრა, იქა — ტყარშეტში“; „ცხორი კოფებჩი ჩამალულიყო“.

კოკილ-ი, კოკილა-ი (—ქეახიდი) მდინარეში ჩალაგებული ქვების რიგი საცალფეხო გადასასვლელად. „კობის წყალზე კოკილი გუქონდა გაკეთებულ და იმით გავდიოდითკე“.

კრასტუნ-ი (კრასტუნობ-ს) ყელში მოქერით ლაპარაკი; ნელი ჩახველებით ყელის ამოწმენდა, ხრინწის მოშორება და ხმის გასწორება. „ნუ რასტუნობდა!“.

კსონობა ხსოვნა. „ჩუენს კსონობასა ლამე ადგებოდეს რომენიჟე ბიჟი“... 277.

კუტელობა ძვ. რელიგ. დღესასწაული ს. კარკუჩაში. გადიოდნენ სასაფლაოზე, ნიშთან სანთლებს ანთებდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ მიცვალებულთათვის ადგილს სამოთხეში.

კუტესი დაიკრა, დაიცა, მაიკიდა აღუღდა. „მოსახარშად ჩაყრილი კორცი რო აღუღდება, კუტესი დაიკრაო — ვიტყუითკე“; „წყალმა კუტესი ეხლალა დაიცა“; „ჭერ კუტესი არ მაჰკიდებია“.

კუთულა ხუთულა — კალოზე კონუსისებურად აგებული რამდენიმე მარხილის უბე (შდრ. უ რ მ ე უ ლ ი, წ ე რ ი).

კუნაფ-ს ათბუნებს, ფუთავს, თბილად ახვევს (სინ. კ უ ნ ჩ ა ვ ს, ი კ უ ნ ჩ ე ბ ა). „ბაღს ეგრე ჰკუნავს, რო სიცხით დაახრჩობს“.

კუსუნაი ხბო ბავშვის ენაზე.

კუსკუს-ი (კუსკუსებს) 1. ფაფის ან ლობიოს ჩუხჩუხი. 2. გულამოსკენით ტირილი. „ქალაი ისრი კუსკუსებდა, მძლიელა გავაჩერეთ“ (ა. კ.).

## ჯ

ჯაგჯაგ-ი (ჯაგჯაგებს) უშედეგო შრომა, მიღებ-მოღება. „თავის სიცოცხლეჩი სულ ჯაგჯაგებს და არც რაი გააჩნია“.

ჯაგჯაგა ჯაგლაგა, გამხდარი. უხეირო ცხენი.

ჯათირობ-ს დალატობს, არ შეგლის, იტყვიან, სახნაფში რომ ცხენი ზარმა-ცობს. „ლურჯა ჯათირობს და შტინდას მეეყარაო“.

ჯალა-ი შინაური არაყის ზემოდან მონაყარი ზეთოვანი ბურთულები.

ჯალაბჯორობა (—ჯალაბთჯვარობა) ძე. დღესასწაული საშემოდგომო სამუშაოების დამთავრების აღსანიშნავად, — ჯვარობა, ხატობა. იხლიდნენ ოჯახები მონაცვლეობით და საზიარო პურ-მარილით.

ჯალდავ-ს ერევა, იბრიყვებს, სძლევს, ჩაგრავეს. „ჩტენ ბატარა სოფელი ვიყავით, ეგენი ბევრნი იყვნენ, გტჯალდავდეს“, 223.

ჯანდრაფ-ს ტენის, ქედავს. „გატეხილს სარკმელიჩი ვჯანდრაფკე თბილს რასმე. თო-ო ქარი შამოდის“, 2. გ ა დ - ტ. ძალით აკმევს. „ბაღს სჯანდრაფენსაკმლითა“.

ჯანჯახ-ი ქაობი, ქენჭები (ჯ უ თ ა).

ჯარჯ-ი ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყოს — მაჯაგანის — ხის მთლიანი ნაწილი.

ჯალ-ი ჯანლი — ბურუსი, ნისლი.

ჯალიან-ი ჯანლიანი — ბურუსიანი, ნისლიანი. „ჯალიანი დღე გათენდა, შუქი არ გტწუღდება მზისაო, აკოფებჩი ვართ ჩამსხდრები, თოვლიც ჩამადის ცისაო“ (ხ ა ლ ხ.).

ჯალუნ-ი შარიანობა. „ჯალუნი დაიწყა“.

ჯაშარატ-ი, ჯეშარატ-ი ორგული, ბოროტი, დაუნდობელი, შურიანი. „ალათანგი ჯაშარატი და მარჯე კაცი ყოფილა“.

ჯაჯანა-ი 1. დიდი, ვებერთელა; „ჯაჯანაი კარტოხაი ამაგტივიდა“. 2. ზორბა ტანის, ძვალმსხვილი ბავშვი. 3. უშნოდ მსუქანი ადამიანი. „რას ჯაჯანას დამგტანებხარ, რასა შკამდი ისითსა?“

ჯაჯა-ი ქათმის ბიბილო.

ჯაჯან-ი (ჯაჯანებს) თავაუღებელი მუშაობა, შრომა. ჯაფა. „ცხენს ჯაჯანით სული ამაართეს“; „მთელი დღე ვჯაჯანებ“.



ჯაჯანაი ჯაჯანა, ბუზლუნა.

ს-ჯგუღემ-ს 1. მუჯლუხუნს სცემს. „გუერდჩი მჯგუღემს“. 2. ცხვირს ჰკრავს და მადიანად სწოვს. „ქობულაჩი ბატკანი შჯგუღემს და შჯგუღემს ცხორსა, სილამ ცხორი არ შაიჩუევს“. 3. ურევს, ზელს. „ნეხუ-მიწას ერთურთ-ჩი შჯგუღემს და კედელს აგებს“.

ჯეგარი-ი ჯაგარი. „ჯეგარი უნდა წეეღა ქალაქსა“, 273.

ჯელ-ი (მრ. ჯელები) ჯეელი. „არ გუინდა ძუელი კაცები, აცმაცუნებდენ წუტერსაო! ჩუენ გუინდა ჯელი კაცები, მაგრა შოგიკრვენ წელსაო“ (ხალხ.).

ჯენჯ-ს 1. როშავს, ღერღავს. „გონჯა მართული წისქუილი საფქოვს ღუ-პავს, ჯენჯს“. 2. გლეჯს, კბენს. „ძაღლები ხშირად ჩხუბობენ და სჯენჯენ ერთ-ურთსა“ (ა. კ.).

ჯიბის ბოხჩა ქისა. „ჯიბის ბოხჩა ვერცხლის ძაფით იქსოვებოდა გუ-რგვლად“.

ჯიგარი-ი ყვეისფერი თალხი. „ქრუეს ჯიგარი ეცო; თოლები დიდი ჰქონ-და, ჯიგრის ფერისა“.

ჯიგარი-ი<sup>2</sup> სიყვარული, ეშხი; დარდი. „აბესალომს ათერაის ჯიგარი არ შორდებოდა, ათერაის ჯიგრით თანდათან წუხლებოდა“.

ჯიგვი-ი საცერული, რკინის კბილანებიანი რგოლი ხელზე წამოსაცმელად ჩხუბის დროს.

ჯიგიტობ-ს ჯირითობს, დოღს მართავს. „უწინ აურამე ჯიგიტობდიან ცხე-ნებიითა, კარგი მევედანი იყო აქა“.

ჯიგჯიგი (ჯიგჯიგებს) ჯიყჯიყი, ულაზათო, გაურკვეველი ლაპარაკი. „წე-სიერად აიძრახოდე, რას სჯიგჯიგებ წარამარასა“.

ჯილა-ი მოზრდილი კოჭი, რომლითაც ურტყამენ; ჯილას სესხება. კოჭაო-ბის დროს მოგებული ასესხებს წაგებულს, რათა ხელახლა ითამაშონ. ჯილას ჩაუყენებს კოჭებს ასესხებს: ჯილას აუქდის კოჭებს გადაუხდის, დაუბრუ-ნებს. გა და და ტ. სამაგიეროს მიაგებს. „ძოლა მაგან რო მცა, ახლა მე მოვასწუტერ და ჯილაი აუქადე“.

ჯილაგ-ი მოდგმა, შთამომავლობა დედულეთის მხრიდან. წყევლაა: „დაი-ხურას მაგათი ჯილაგი“.

ჯილდოობა შეჯიბრება, მეტოქეობა. „სოფელ-სოფელ გაქდა ჯილდოობა, რომ საძირის ქეები (ბალავერი) ჩუენ უნდა ჩაეაწყათო“, 12.

ჯიმლა წერილი წითელი სოკოა საკმელი.

ჯიმლოვანა ჯიმლას — საკმელი სოკოს — გულიანი ნამცხვარი.

ჯიმუჯი-ი ჯმუხი, ჩასკვნილი, მკერივი კუნთების მქონე. „ჯიმუჯად მოსული კაცია“.

ჯიმჯიმი-ი (ჯიმჯიმებ-ს) უკმეხი ბუტბუტი. „გაჯაერდა და კარი ჯიმჯიმით გაიარა“; „რას სჯიმჯიმებუ“

ჯინდორა-ი 1. ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო, უპირატესად თასმების გამოსაყვანი. ხის ოთხკუთხა ნაჭერზე (50×20 სმ). გაჭიმული თასმები უჭირავთ და თხის რქით ასწორებენ. 2. გაბღენძილი. უშნოდ ჩასუქებული. 3. ღორმუცელა. „დიდი ჯინდორაია ბერაის ბალდი“ (ე. ქუშ.).

ჯინჯიბახ-ი 1. ჯმუხი, წარბშეკრული, ქუში. „ვანეთ ბიძაი ჯინჯიბახი კაცია“. 2. ტლანქი უხეში (ავევი). „ჯინჯიბახი ჩაშკამაია; ჯინჯიბახი სკიერი მაქუ“.

ჯიქნობა შეჯიბრება.

ჯიშ-ი მოდგმა, შთამომავლობა მამის მხრით. „ჯარგი ჯიშ-ჯილაგის ქალია“.

ჯიჯინა-ი ჯუჯღუნა, ბუზღუნა, უმადური, უკმაყოფილო. „ჯიჯინაი კაცია, არაფერი არ მოსწონს და არც რაი არ აკმაყოფილებს“.

ჯიჯინებ-ს ბუზღუნებს, ბუტბუტებს. „ნეტავ რას სჯიჯინებ?“

ჯიჯიტა-ი ქუქრუტანა, ნახვრეტი; მრგვალი რამე (მაგ. ბლითი). „ჯიჯიტაჩი შემეეპირება ვალდახი“, 66; „დედამ ცომის ჯიჯიტები გოგიკეთა“.

ჯლაგუნ-ი რყევა, რხევა. „სადლობლის ჯლაგუნ“.

ჯოლუავ-ს ბზეს და მარცვლეულს აცალკევენ, ანიავენ. „ხოვს ჯოლუავს“ (ა. კ.).

ჯორ-ი ფანდურის ჭალი (ა. კ.).

ჯორადინი, ჯორედინი, ჯოროდინი კოლი ძვ. ჯვარედინი კვალი. ხვნის დაწყების წინა დღით ყანაში ჯვარედინ კვალს (ჯვარის სახეს) გაავლებდნენ და მეორე დღეს ხვნას დაიწყებდნენ.

ჯორაკ-ი, ჯორიკა-ი ჯორი. „ჯორაკები დეემბათ იქ, საცა ლეწავდეს ქუცენი, ერთი ჯორაკი აშტებულოყო და მისულოყო ხოვზე“ (ს ი ო ნ ი): „დაიწყა ყურილი ჯორიკამა“, 249.

ჯორიღლიტა თამაშია ლახტის მსგავსი: წრეს შემოხაზავენ, გაყოფიან ორად. წრეში ჩამდგარს იცავენ, რომ ზურგზე არ შეასხდნენ.

ჯორობა (—ჯვარობა) 1. სამგლოვიარო სუფრა დასაფლავების შემდეგ. 2. სადღესასწაულო სუფრა ხვნა-თესვის ან მკა-ლეწვის, თიბვის დაწყების წინ.

ჯორობანა თამაშია, იგივე ა ტ მ ი რ უ ლ ა .

ჯორულ-ი (—ჯვარული) საქორწინო სიმღერის სახელწოდებაა (ს. შ ა დ უ რ ი, „ივერია“, 1890, 8 მაისი). ტექსტი: „ნეფეს უხდება გვირგვინი, ყმაწილია და უხარის, ნეფეო, ჩემი ძმა ხარო, მთავარ ანგელოზს გეცხარო, ღმერთმა ჯელი მაგიმართას, რასაც საქმეზე დგეხარო“...

ჯორწუტრა-ი ალპური ზონის ბალახია, თავსვილას ჰგავს, დაბალია, საქონელი არ ძოვს.

ჯოხზე ამასტლა ჯოხზე გათვლა. თამაშის დაწყების ან სანაძღვოს დადების წინ იწყებენ ჯოხის ბოლოდან ზევით მუშტების შემოქდევას რიგრიგობით, ვისაც ჯოხის წვერზე მოუწევს ხელის მოკიდება, ის იწყებს თამაშს ან ითვლება ნაძღვემოგებულად.

ჭუმჭუმი-ი (ჭუმჭუმებს) ბუტბუტი, ბურტყუნი, ვამწყრალი და უკმაყოფილო ლაპარაკი. „რასა სჭუმჭუმებ, რაი გეწყინა?“ „ჭუმჭუმ დევი“.

ჭუმჭუმი-ი ბუზლუნა, უკმაყოფილოდ მოლაპარაკე.

ჭუნჭღავ-ს, ჭუჭღნის, სრესს, კმუჭნის, ხელში ჭერით აწვალებს. „ბალღებისაგა ლეკტი დაჩეგრილია, სულ კელჩი სჭუნჭღნიან“ (ა. კ.).

ჭურუმობ-ს (ეჭურუმება) ბუზლუნობს. „რას მეჭურუმები?“ ბალღი თავის-თუი ჭურუმობდა“ (ვ. შად.).

ჭუყ-ი მარადმწვანე სარეველა ბალახია, ჭაობებში მოდის, წვრილ კოკრი-სებრ თავთაეებს იყეთებს.

ჭუხტი-ი ლუწი, წყვილი, „ჭუხტი თუ კეტი?“

ჭღაბარდალა-ი 1. დავიდარება, ალიაქოთი, აურზაური, ჩხუბი. „უბრალო რაზეღაც ერთი ჭღაბარდალაი ათხტება“. 2. ანჩხლი მოჩხუბარი. „ჭღაბარდალა კაცია“.

ჭღავჭღავ-ი 1. უშნო, გაუგებარი ხმით ლაპარაკი. 2. უღავჯღავი, ყრიაშული. „ჭღავჯღავის ჯმა ისმოდა“.

ჭღან-ბაჭიჭნი-ი (||პაჭიჭნი) ქალამნები და პაჭიჭები.

ჭღანჭღარ-ი ჭირვეულობა, ჭანჭალი, ყოყმანი. „მაგას ვერ მალრიგღები, სულ ეგრე ჭღანჭღარი იცის“ (ა. კ.).

ჭღარაჭღურ-ი რაუღუნე, ყრიალი. „ბორკილის ჭღარაჭღურითა მე რაი მა-მგურის ძილსაო?“ (მუზ. 840).

ჭღარდღ-ი მცენარეა, — შავჯაგა. „ლომლის გასახურებლად ჭღარდღ-ი შავიტანე“. გა დ ა ტ. დატოტვილი, გაფარჩხული ეკლის ან ფიჩხის კაპებიანი ღერო.

ჭღირტლა, ჭღირტლებ-ი 1. ყბაყურა; ლიმფური ჭირკვლების გასიება. „თეთრფერად გამახყვება, ყურის ბიბილოებჩიგა ჭღირტლები გამაჩნდება“, 246. 2. ჭირკვალი (ს ნ ო).

### ჰ

ჰაერის დაწყობა ჭარის ჩადგომა; ღრუბლების გადაყრა.

## ლიტერატურა

1. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, ტფილისი, 1938.
2. გ. ბედოშვილი, „მწყემსის“ კორესპონდენცია (ხევიდან), „მწყემსი“, 1898, № 10; შისივე, „მწყემსის“ კორესპონდენცია სოფ. გერგეთიდან, იქვე, № 22; შისივე, წერილები „სასოფლო გაზეთში“, ურკათი, მზითვეი და ტყვილი ხარჯები, 1876, № 2.
